

პაცნა

675-ი/ა
1973


ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

3.1973

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საზოგადოებრივ მეცნიერებათა
განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
Отделение общественных
наук

თბილისი-1973 ТБИЛИСИ



ՄԱՇՆԵ

ՎԵՍՏՆԻԿ



Серия истории,
археологии, этнографии и
истории искусства

3.1973


გაცნე



ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

18221

3.1973



სა რედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე ვ. გაბაშვილი,
ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კეცნაძე (რედაქტორის მოადგილე),
გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе,
В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (зам. редактора), Р. К. Кекнадзе (зам. редактора).
Г. А. Меликишвили (редактор), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили.

პასუხისმგებელი მდივანი ე. ვაშაკიძე
Ответственный секретарь Э. Вашикидзе

შ ი ნ ა ა რ ს ი

წერილები

ნ. მახარაძე, დიადი გზის სახელოვანი ნიშანსვეტი	7
რ. კოკლაშაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობა და გლეხთა სოციალ- ეკონომიური სტრუქტურის საკითხი	19
ა. კაცაძე, მოსახლეობის მიგრაციული პროცესების სოციალური ისექტები	35
ა. ლუშაშვილი, ქართველ რევოლუციონერთა მონაწილეობა ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში	51
კ. ტაბატაძე, საქართველოში თემურლენგის შემოსევათა ქრონოლოგიის გამო	63
ლ. ხახარაძე, უძველესი საბრძოლო იარაღის ისტორიისათვის	82
ი. ხუციშვილი, ირანული სამინიატურო ხელოვნების საკითხისათვის	95

ცნობები და შენიშვნები

თ. ტიშკაძე, ქართლის მეფე როსტომის მიერ 1652 წელს რუსეთში გაგზავნილი ელჩობის საკითხისათვის	109
წ. სონღულაშვილი, რთველი და ვურძნის წურვის წესები აღმოსავლეთ საქართვე- ლოში	124
შ. ბაჰიაშვილი, ერთი ქართული წვეილნარჩოიანი დამლის შინაარსი	140

კუპალიკაცია

ზ. ალექსიძე, მახალები დენის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის	145
მ. სილოგავა, ისტორიული საბუთები ლავურკიდან	167

პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მ. ფიფია, ვერძინის ფედერაციული რესპუბლიკის ისტორიკოსთა ახალი ნაშრომები	185
ლ. კახარაძე, ქართველი ხალხის გმირულ შემართებათა ისტორიის ფურცლები	196
მ. პანტაძე, საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ზოგიერთი პრინციპული საკითხის შესახებ	203
მ. თვალაშვილი, ვერძინის კოლონიური პოლიტიკის საკითხები XIX ს. II ნახევრის ქართულ პერიოდიკაში	214

ძრონიკა და ინფორმაცია

ბ. ჩიტიძე, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის XXI სამეცნიერო სესია	222
წ. რუხაძე, ეთნოგრაფიული ექსპედიცია სამტრედიის რაიონში	224
მ. ხუციშვილი, ათვისტური პროპაგანდის ზოგიერთი საკითხი საქართველოს სახელმ- წიფო მუზეუმში	228
ი. ტაბატაძე, საფორაღლეო დისერტაცია უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტო- რიის საკითხზე	230

ისტორიული თარიღები

ნ. სტურუა, ბაქოს 26 კომისიის ხსოვნა	232
ი. ჯიქია, ჭიათურის მეშათა გაფიცვა 1913 წლის ზაფხულში	243
ბ. მელიქიშვილი, აკადემიკოს გიორგი წერეთლის ხსოვნა	249

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

Н. МАХАРАДЗЕ, Знаменательная вежа великого пути	7
Р. КОЧЛАМАЗАШВИЛИ, Сельское хозяйство Грузии и вопрос о социально-экономической структуре крестьянства	19
А. КАЦАДЗЕ, Социальные аспекты процессов миграции населения	35
А. ЛЕЖАВА, Участие грузинских революционеров в борьбе за утверждение Советской власти на Северном Кавказе	51
К. ТАБАТАДЗЕ, О хронологии вторжений Тимура в Грузию	63
Л. САХАРОВА, К истории древнейшего боевого оружия	82
И. ХУСКИВАДЗЕ, К вопросу об иранском миниатюрном искусстве	95

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Т. ТИВАДЗЕ, К вопросу о посольстве, направленном царем Картли Ростомом в 1652 году в Россию	109
Дж. СОНГУЛАШВИЛИ, Способы сбора и обработки винограда в Восточной Грузии	124
Ш. БАДЖИАШВИЛИ, Содержание одного грузинского клейма в двойной оправе	140

ПУБЛИКАЦИЯ

З. АЛЕКСИДЗЕ, Материалы к истории Двинского церковного собора 506 года	145
В. СИЛОГАВА, Исторические документы из Лагурки	167

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. ПИПИЯ, О некоторых новых работах историков ФРГ	185
Д. КАЧАРАВА, Страницы героического прошлого грузинского народа	196
М. КАНТЕРЕ, О некоторых принципиальных вопросах развития капитализма в Грузии	203
В. ТВАЛАВАДЗЕ, Вопросы колониальной политики Германии в грузинской периодике второй половины XIX века	214

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Г. ЧИКОИДЗЕ, XXI научная сессия Государственного музея Грузии имени С. Джанашиа	222
Дж. РУХАДЗЕ, Этнографическая экспедиция в Самгредском районе	224
М. ХУЦИШВИЛИ, Некоторые вопросы атеистической пропаганды в Государственном музее Грузии	228
И. ТАБАГУА, Ценная диссертация по истории венгеро-грузинских взаимоотношений	230

ИСТОРИЧЕСКИЕ ДАТЫ

Н. СТУРА, Памяти 26 бакинских комиссаров	232
В. ДЖИКИЯ, Забастовка чиагурских рабочих весной 1913 года	243
Г. МЕЛИКИШВИЛИ, Памяти академика Г. В. Церетели	249



ნიკოლოზ მახარაძე

ღიაღი ზვის სახელწოდანი ნიშანსკვბი

12281

2224

70 წელი გავიდა რსდმ პარტიის II ყრილობიდან, რომელიც 1903 წლის ზაფხულში გაიმართა, ყრილობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი დიდი ფორუმი იყო. იგი შევიდა რუსეთისა და საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში როგორც დიდმნიშვნელოვანი ეპოქალური მოვლენა. ყრილობამ გააერთიანა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები და საფუძველი ჩაუყარა ბოლშევიკურ პარტიას, როგორც ახალი ტიპის მარქსისტულ პარტიას. „ბოლშევიზმი, — წერდა ლენინი, — როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია 1903 წლიდან არსებობს“¹.

ყრილობა რთულ ისტორიულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ამ ხანებში შევიდა რუსეთი იმპერიალიზმის ეპოქაში, ახალ პირობებში მკვეთრად გამწვავდა ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლა, ეს ის დრო იყო როცა დასავლეთის სახელმწიფოებში უკვე დამთავრდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციები. ამ ქვეყნების მუშათა პარტიები უმეტესად პარლამენტარული წყობილების პირობებში მოქმედებდნენ, ხოლო რუსეთში თვითმპყრობელობის მძიმე რეჟიმი ბატონობდა, რომელიც ბორკავდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას და სამეურნეო განვითარებას. რუსეთი — რევოლუციის წინაშე იდგა, მისი მეთაურობა პროლეტარიატს ეკისრებოდა. აქ მუშათა კლასის პარტიის დიდი და განსაკუთრებულად რთული ამოცანების გადაწყვეტა ევალებოდა. მას უნდა დაერაზმა მშრომელთა ფართო მასები, წაეყვანა ისინი ჯერ ცარიზმისა და შემდეგ ბურჟუაზიული წყობილების დასამხოზად.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ რუსეთის პროლეტარიატის ამოცანები უფრო მძიმეა, ვიდრე დასავლეთის პროლეტარიატისა, მას მოელის ბრძოლა საშიშარ „ურჩხულთან“. როგორც უწოდებდა იგი ცარიზმს. „ისტორიამ ახლა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ჩვენს წინაშე დააყენა უახლოესი ამოცანა, რომელიც ყველაზე უფრო რევოლუციურია, რომელიც გნებავთ სხვა ქვეყნის პროლეტარიატის ყველა უახლოეს ამოცანათა შორის. ამ ამოცანის განხორციელება, არა მარტო ევროპის, არამედ აგრეთვე (შეგვიძლია ვთქვათ ახლა) აზიის რეაქციის უადრესად ძლიერი დასაყრდენის დაგრევა რუსეთის პროლეტარიატს საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის ავანგარდად გახდიდა“².

საქმეს ართულებდა ის გარემოება, რომ ამ დროს, განსაკუთრებით ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ II ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში შეიჭრა და ვითარდებოდა რევიზიონიზმი. რომელიც უხეშად

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 31, გვ. 9.
² ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 465.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს
მ რ ო ვ ნ უ ლ ი
ბ ი ბ ლ ი ო თ ე ა

აყალბებდა მარქსიზმს, უარყოფდა რევოლუციური თეორიის მნიშვნელობას, კლასთა ბრძოლის გამწვავებას, პროლეტარიატის ისტორიულ როლს და პროლეტარულ რევოლუციას. ამ მიმდინარეობას, რომელსაც ევროპაში ბერშტეინი, ფოლმარი და სხვა რევოიონისტები მეთაურობდნენ, რუსეთშიაც გამოუჩნდნენ მომხრეები, ესენი იყვნენ „ლეგალური მარქსისტები“ და „ეკონომისტები“. ამ მიმდინარეობათა შეხედულებების პროპაგანდამ და პრაქტიკულმა საქმიანობამ უდიდესი საფრთხე შეუქმნეს რევოლუციურ მოძრაობას რუსეთში.

ასეთ ისტორიულ ვითარებაში ჯერ კიდევ 1898 წლის მარტში შეიკრიბა რსდმპ I ყრილობა, მან მიიღო მანიფესტი, სადაც გამოცხადებული იყო პარტიის შექმნის შესახებ, განიხილა ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხი, მაგრამ ამ ყრილობამ მანც ვერ გააერთიანა ადგილობრივი ორგანიზაციები, ვერ მიიღო პროგრამა და წესდება, ვერ შექმნა ერთიანი პარტია. მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ, მომზადდა ხელსაყრელი პირობები ახალი პარტიული ყრილობის მოსაწვევად.

ისტორიამ მას რთული და საპატიო ამოცანები დააკისრა: ყრილობას პასუხი უნდა გაცეა რუსეთისა და საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის საარსებო საკითხებზე, დაეძლია რევოიონისტების მანენ თეორიების და პრაქტიკული საქმიანობის გავლენა, მოესპო დაქსაქსულობა და კუსტარობა, შეეკავშირებინა პარტიული ორგანიზაციები, შეექმნა ერთიანი მარქსისტული პარტია, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევდა მუშათა კლასს და რევოლუციის ძალებს ახალ ისტორიულ ვითარებაში. ყრილობა მართლაც აღმოჩნდა მოწოდების სიმალეზე, რაც იმის შედეგი იყო, რომ მას წინ უძლოდა დიდი და დაძაბული მუშაობა, რომელიც ჩაატარეს ვ. ი. ლენინის მეთაურობით „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირმა“ და განსაკუთრებით ლენინურმა „ისკრამ“. „ისკრამ“ სასტიკად დაამარცხა „ეკონომისტები“, რომლებიც სტიქიურობის ანტიმარქსისტულ პოზიციებზე იდგნენ, უარყოფდნენ რევოლუციური მოძრაობის გეგმაზომიერად წარმართვის შესაძლებლობას და ერთიანი პარტიის საჭიროების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ვ. ი. ლენინმა მკაცრად ამხილა ეკონომისტების შეხედულებათა ოპორტუნისტული ხასიათი, თავის ცნობილ სტატიაში „რით დავიწყეთ“, რომელიც 1901 წლის მაისში დაიბეჭდა, ლენინმა ჩამოაყალიბა ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის შექმნის ძირითადი მონახაზები. ამ სტატიაში მოცემული დებულებები ლენინმა შემდეგ განავითარა თავის განთქმულ შრომაში „რა ვაკეთოთ?“ ეს შრომები და ლენინის სხვა ნაწარმოებები, სადაც განხილულია პარტიის პროგრამისა და ორგანიზაციული პრინციპების უმნიშვნელოვანესი საკითხები, წარმოადგენენ იმ მტკიცე იდეურ საფუძველს, რომლებმაც განსაზღვრეს რსდმპ პარტიის მეორე ყრილობის მუშაობის მთელი მიმართულება და განაპირობეს ლენინელთა ისტორიული გამარჯვება. ამიტომაც, რომ ვ. ი. ლენინი ხშირად აღნიშნავდა „ისკრის“ დამსახურებას პარტიის შექმნის საქმეში, მაღალ შეფასებას აძლევდა ისკრელთა მოღვაწეობას. „არც ერთ სხვა ორგანიზაციას გარდა ისკრელისა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — არ შეეძლო ჩვენს ისტორიულ პირობებში, 1900—1905 წლების რუსეთში, შეექმნა ისეთი სოციალ-დემოკრატიული პარტია, როგორც შექმნილია ახლა“³. ბრძოლამ, რომელიც ისკრელ-

³ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 13, გვ. 118.

თა ორგანიზაციამ ჩაატარა, დაამარცხა „ეკონომისტები“ და მარქსიზმის სხვა ნტრებზე, თითქმის საფსებრთ გამოდევნა. ისინი რუსეთის მუშათა მოძრაობიდან ახლა შეიძლებოდა ყრილობის მოწვევა, უკვე ნათელი იყო, რომ ანტიისკრე-ლებს იქ არ ექნებოდათ მნიშვნელოვანი გავლენა.

ყრილობა 1903 წლის 17(30) ივლისს გაიხსნა, ქ. ბრიუსელში, აქ რამდე-ნიმე სხდომა ჩაატარდა. შემდეგ დელეგატები იძულებულნი გახდნენ ბრიუსე-ლიდან ლონდონში გადასულიყვნენ, რადგან რუსეთის მეფის მთავრობის მოთხოვნით ბელგიის პოლიციამ აკრძალა ყრილობის მუშაობა. ლონდონში დაამთავრა ყრილობამ მუშაობა 10(23) აგვისტოს.

ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 26 ორგანიზაცია და 43 დელეგატი, რომელთაც 51 ხმა ჰქონდათ. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ პეტერ-ბურგის, მოსკოვის, ეკატერინოსლავის, სარატოვის, ხარკოვის, ოდესის და სხვა სამრეწველო ცენტრების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დელეგა-ტები. ყრილობაზე კარგად იყვნენ წარმოდგენილი ამიერკავკასიის ისკრელები. აქ ამ დროს საქმად მრავალრიცხოვანი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზა-ციები არსებობდა, რომელთაც რსდმ პარტიის კავკასიის კავშირი აერთიანებ-და. ყრილობის წინ ამ ორგანიზაციებმა ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს და ყრილობაზე სამი დელეგატი გაგზავნეს — ბაქოდან, თბილისიდან და ბათუ-მიდან, ამ დელეგატებს 6 ხმა ჰქონდათ. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ყრილობის მუშაობაში. მტკიცე ისკრელების პოზიციებზე იდგნენ, ლენინს ემ-ხრობოდნენ.

ყრილობას ესწრებოდნენ „ზრომის განთავისუფლების“, „ისკრის“ რუ-სული ორგანიზაციის“, „რუსი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლი-ვის“, აგრეთვე „რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთელი კავშირის“ და ზოგი სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამრიგად, ყრილობის მუშა-ობაში მონაწილეობდა პარტიის ყველა ორგანიზაცია.

ყრილობა თავის შემადგენლობით ერთფეროვანი არ იყო, გარდა ისკრე-ლებისა, რომელთაც 33 ხმა ჰქონდათ, ყრილობის მუშაობაში მონაწილეობ-დნენ ანტიისკრელები — ბუნდელები და „ეკონომისტები“, რომელთაც 8 ხმა ჰქონდათ, აგრეთვე ჭგუფი „იუენი რაბოჩის“ დელეგატები, რომელთაც არა-თანმიმდევრული, მერყევი პოზიცია ეკირათ. ვ. ი. ლენინმა მათ „ქაობი“ უწო-და. ამ ჭგუფს 10 ხმა ჰქონდა: ყრილობის მსვლელობაში ისკრელებიც გაიყე-ნენ, მათი ერთი ნაწილი ოპორტუნისმიისაკენ გადაიხარა, ამ ჭგუფის წევრებს, რომლებსაც მარტოვე მეთაურობდა 9 ხმა ჰქონდა. ესენი რბილი ისკრელების სახელით შევიდნენ ყრილობის ისტორიაში. ისკრელთა უმრავლესობა ძველი „ისკრის“ რევოლუციურ-მარქსისტულ პოზიციებზე დარჩა, და ამიტომ „მტკი-ცე ისკრელების“ სახელწოდება მიიღო, მათ 24 ხმა ჰქონდათ. ამ მიმდინარე-ობის ბელადი ვ. ი. ლენინი იყო.

ყრილობის ასეთი შემადგენლობა, განსაკუთრებით „ეკონომისტებისა“ და სხვა ოპორტუნისტების გამოსვლები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ხელი შეეშალათ ყრილობის ნორმალური მსვლელობისათვის, ძალზე ართულებდა ყრილობის მუშაობას. მხოლოდ ვ. ი. ლენინის დიდი და დაძაბული, უაღრესად პრინციპული ბრძოლის შედეგად იქნა დაძლეული მტრული ბანაკის შემო-ტევები.

ლენინელთა ბრძოლამ უზრუნველყო მარქსისტულ-ლენინური პრინციპების გამარჯვება და განსაზღვრა ყრილობის უდიდესი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა, განაპირობა მკვეთრი მობრუნება რუსეთის და საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაში.

ყრილობამ მიიღო რსდმ პარტიის პროგრამა და წესდება, შეიმუშავა ტაქტიკური პრინციპები და აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები — ცენტრალური კომიტეტი, „ისკრის“ რედაქცია, შექმნა პარტიის საბჭო.

მწვავე თეორიული პაექრობის შემდეგ ყრილობამ მიიღო პარტიის პროგრამა შემუშავებული „ისკრის“ რედაქციაში. ეს ლენინური პროგრამა იყო. მისი პირველი პროექტი გ. პლხანოვმა წარმოადგინა, ვ. ი. ლენინი გაეცნო ამ პროექტს და მთელი რიგი არსებითი მნიშვნელობის შენიშვნები გააკეთა, შემდეგ პლხანოვმა მეორე პროექტი წარმოადგინა. ვ. ი. ლენინმა ისიც არ მოიწონა და აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტი უფრო გავდა სკოლის სასწავლო სახელმძღვანელოს, ვიდრე მებრძოლი რევოლუციური პარტიის პროგრამას. მისი უმთავრესი ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ იქ არ იყო წამოყენებული და დასაბუთებული პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული აუცილებლობა.

აღსანიშნავია, რომ სწორედ პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ მძაფრად გაილაშქრეს ყრილობაზე ანტიისკრელებმა, ისინი თავის მოსაზრებას იმითაც ასაბუთებდნენ, რომ ეს მოთხოვნა არ იყო დასავლეთის არც ერთი სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში. ყრილობამ უარპყო რევოზიონისტების ცდები და მხარი დაუჭირა ლენინელებს. პროლეტარიატის დიქტატურის მოთხოვნა პარტიის II ყრილობის მიერ მიღებული პროგრამის უმნიშვნელოვანეს თავისებურებებს წარმოადგენდა და მას მკვეთრად განასხვავებდა II ინტერნაციონალის პარტიების პროგრამებისაგან.

ყრილობამ დიდი ადგილი დაუთმო აგრარულ საკითხს, პროგრამის ეს ნაწილი ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა. იგი მიზნად ისახავდა ბატონყმური ურთიერთობის ნაშთების ლიკვიდაციას და ემსახურებოდა მუშათა კლასისა და გლეხობას შორის კავშირის განმტკიცების დიდ ისტორიულ ამოცანას. პროგრამა, პირველყოფლისა. მოითხოვდა გლეხებისათვის „ჩამონაჭრების“ ე. ი. იმ მიწების დაბრუნებას, რომელიც მათ საგლეხო რეფორმის დროს ჩამოერთვათ და აგრეთვე სხვა ღონისძიებების გატარებას, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ გლეხობის განთავისუფლებას მემამულური კაბალისაგან და დააჩქარებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამასთანავე ვ. ი. ლენინი თვლიდა, რომ აგრარული პროგრამის ეს მოთხოვნები არ გამოხატავდნენ საბოლოო მიზანს და გლეხობის პოლიტიკური აქტივობის გაზრდის შესაბამისად, ხელსაყრელ პირობებში პარტია წამოაყენებს ახალ რადიკალურ მოთხოვნებს, მათ შორის მემამულეთა მიწათმფლობელობის გაუქმებას და საერთოდ მიწებზე კერძო საკუთრების მოსპობას.

ლენინის აგრარული პროგრამის წინააღმდეგ მკაცრად გაილაშქრეს „ეკონომისტებმა“. ისინი მიხვდნენ, რომ ეს პროგრამა განამტკიცებდა მუშათა კლასის ხელმძღვანელ როლს გლეხობაზე, ხელს შეუწყობდა სოციალ-დემოკრატების გავლენის გაზრდას სოფლად, გლეხობის ფართო ფენებზე. განამტკიცებდა რევოლუციის ძალების კონსოლიდაციას.

მაგრამ მათი ცდა, ჩაეშალათ აგრარული პროგრამის მიღება, უშედეგოდ დამთავრდა.

აღსანიშნავია, რომ აგრარული საკითხის გარშემო საქართველოს პრესა-შიაც გაიმართა პაექრობა. აქაც გამოჩნდნენ „ეკონომისტების“ მომხრეები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ჩამონაჭრების დაბრუნება და ბატონყმობის სხვა ნაშთების ლიკვიდაცია ხელს შეუწყობს წვრილი წარმოების განმტკიცე-ზას, რაც მარქსის მოძღვრებას ეწინააღმდეგებაო. მაგრამ ქართველმა ლენინე-ლებმა უკუაგდეს რევოლუციონისტების ეს შემოტევები, ენერგიულად იცავდნენ აგრარულ პროგრამას, რაზმავდნენ სოფლად რევოლუციის ძალებს, რამაც უზრუნველყო ქართველი გლეხობის აქტიური მონაწილეობა რევოლუციაში.

პროგრამის განხილვისას ცხოველი პაექრობა გაიმართა ეროვნული სა-კითხის გარშემო, პროგრამის მე-9 პარაგრაფი ითვალისწინებდა ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებას, ამას არ დათანხმდნენ ყრილობის მონაწილე პო-ლონელი სოციალ-დემოკრატები, ისინი ვარაუდობდნენ, თითქოს, თვითგამორ-კვევის უფლება ყველა შემთხვევაში გულისხმობდა ერების გამოყოფას რუსე-თიდან, რაც, მათი აზრით, გათიშავდა ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ძა-ლებს. ასეთი მოსაზრება სწორი არ იყო, პროგრამით აღიარებული ეროვნება-თა თვითგამორკვევის უფლება, მიმართული ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, მხოლოდ იმას გულისხმობდა, რომ არავის არ ჰქონდა უფლება ესა თუ ის ერი ძალით, მისი სურვილის წინააღმდეგ დაეტოვებია მპყრობელი სახელმწიფოს დარგლებში, ხოლო საკითხი გამოყოფის შესახებ, ყველა კონკრეტულ შემთ-ხვევაში უნდა გადაწყვეტილიყო ისტორიული პირობების შესაბამისად, მიზან-შეწონილობის თვალსაზრისით.

ყრილობამ, რომელიც ხელმძღვანელობდა რევოლუციის ძალების შეკავ-შირების მიზნებით, ყურადღება დაუთმო სოციალ-დემოკრატიული პარტიის სხვა პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობის საკითხს, ამასთან დაკავშირე-ბით ყრილობამ განიხილა ლიბერალებთან დამოკიდებულების საკითხი და ორი რეზოლუცია მიიღო პოტრესოვისა (სტაროვერის) და პლეხანოვის, ეს რე-ზოლუციები ძალზე განსხვავდებოდნენ ერთმეორისაგან. პოტრესოვის რე-ზოლუცია მეტად ბუნდოვანი იყო, იგი არ ითვალისწინებდა ლიბერალების კლასობრივ ბუნებას, თვლიდა, რომ საჭიროა მათთან შეთანხმება; ვ. ი. ლენინ-მა მკაცრად ამახილა პოტრესოვის შეცდომა. იგი მიუთითებდა, რომ ლიბერა-ლები მქონებელი კლასების ინტერესებს გამოხატავდნენ და არ შეიძლება მათი ნდობა, რომ ამ მიმდინარეობამ უკვე საკმაოდ გამოამყვანაო თავისი კლასობრივი სახე. ბრძოლის შემდგომმა განვითარებამ სავსებით დაადასტურა ვ. ი. ლენინის პოზიციის სისწორე. რევოლუციის დროს ლიბერალები ცარიზ-მის მომხრეთა ბანაკში აღმოჩნდნენ. ვ. ი. ლენინმა მხარი დაუჭირა პლეხანოვს, რომელიც ყრილობის მუშაობის მთელ მანძილზე ვ. ი. ლენინთან ერთად გა-მოდიოდა. თუმცა „ისკრის“ მოწინააღმდეგენი ცდილობდნენ უთანხმოება ჩა-მოეგდოთ მათ შორის, ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ მათ სურვილს მოაწყონ გათიშვა ლენინსა და პლეხანოვს შორის განხორციელება არ უწერია.

ყრილობამ მიიღო დადგენილება სოციალისტ-რევოლუციონერების (ესე-რების) შესახებ. ეს პარტია ნაროდნიკების სუბიექტივისტურ პოზიციებზე

იღგა, მაგრამ სოციალიზმის ნიღბით გამოდიოდა, ცდილობდა გავლენა მოეპოვებია მუშათა კლასში და გლეხობაში, რითაც ხელს უშლიდა რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიის მუშაობას.

ყრილობამ გამოაშკარავა ესერების წვრილბურჟუაზიული ხასიათი, ამხილა მათი თეორიების და საქმიანობის უარყოფითი მხარეები, მიუთითა, რომ ყოვლად დაუშვებელია მათთან გაერთიანების ყოველგვარი ცდა და შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული შეთანხმება ცარიზმის წინააღმდეგ მოქმედების პრაქტიკულ საკითხში და ისიც ყველა შემთხვევაში ცენტრალური კომიტეტის თანხმობით.

ყრილობამ ყურადღება მიაქცია მოსწავლე ახალგაზრდობას შორის მუშაობის ამოცანებს და მიიღო სათანადო დადგენილება. ამ დროს სტუდენტობა და საშუალო სკოლების მოწაფეებიც კი აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობაში, ესმაურებოდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციურ გამოსვლებს, მონაწილეობდნენ რევოლუციურ დემონსტრაციებში, სტუდენტობა აქტიურად იბრძოდა უნივერსიტეტებში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მმართველობის ბიუროკრატიული წესების წინააღმდეგ, სწავლების პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის. ესერები და სხვა არაპროლეტარული პარტიები, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლების პროფესორის ლიბერალურად განწყობილი ნაწილი, ცდილობდნენ თავის გავლენაში მოექციათ ახალგაზრდობა, ჩამოეშორებინათ იგი რევოლუციური მოძრაობისაგან.

ყრილობა მხურვალედ მიესალმა ახალგაზრდობას, მოუწოდა მას კიდევ უფრო ენერგიულად ებრძოლა სხვა პროგრესულ ძალებთან ერთად ქვეყნის რევოლუციური გარდაქმნისათვის.

ყრილობის მუშაობაში დიდი ადგილი დაიკავა პარტიის ორგანიზაციული მშენებლობის საკითხებმა. აქ პარტიის წესდების განხილვისას ერთი მეორეს მწვავედ შეეჯახა ორი თვალსაზრისი ლენინისა და მარტოვის. კამათი გაიმართა წესდების პირველი პარაგრაფის გარშემო.

გ. ი. ლენინი თვლიდა, რომ პარტიის წევრი არა მარტო პარტიის პროგრამას და წესდებას უნდა იზიარებდეს, და ესმარებოდეს მას მატერიალურად, არამედ იგი აუცილებლად უნდა იყოს რომელიმე პარტიული ორგანიზაციის წევრი, ისე შეუძლებელია მასზე დახმარებისა და კონტროლის გაწევა, პარტიული დავალებების მიცემა, მისი შესრულების შემოწმება.

მარტოვი, არსებითად გამოდიოდა ერთიანი ცენტრალიზებული პარტიის შექმნის წინააღმდეგ. იგი საპიროდ არ თვლიდა, რომ პარტიის წევრი გარკვეული პარტიული ორგანიზაციების წევრი ყოფილიყო. მისი აზრით, ყველას შეეძლო თავი გამოეცხადებინა სოციალ-დემოკრატად. ეს გამორიცხავდა პარტიის ორგანიზაციულ და იდეურ ერთიანობას, უკან ეწეოდა პარტიულ ორგანიზაციებს კუსტარობისა და დაქსაქსულობისაკენ, რასაც ადგილი ჰქონდა ყრილობის მოწვევამდე.

პარტიის მარქსისტულ-ლენინური წესდების წინააღმდეგ გამოდიოდნენ აგრეთვე ბუნდელები. ისინი პარტიის მშენებლობის ფედერაციულ პრინციპს იცავდნენ, რაც მათი ნაციონალისტური პოზიციის შედეგი იყო და ერთიანი ინტერნაციონალური კლასობრივი პარტიის შექმნის ამოცანას ეწინააღმდეგებოდა.

ამ საკითხზე მარტოვის წინადადება მიიღეს, ეს იმის შედეგი იყო, რომ რბილ ისკრელებს აქტიურად დაუჭირეს მხარი ანტიისკრელებმა, მაგრამ მათი გამარჯვება მტკიცე და ხანგრძლივი არ იყო. ვ. ი. ლენინი ყრილობის შემდეგ ენერგიულად განაგრძობდა ბრძოლას მარტოვის ოპორტუნისტული მიმდინარეობის წინააღმდეგ. თავის ცნობილ ნაშრომში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, რომელიც 1904 წლის მაისში გამოვიდა ლენინმა მკაცრად ამხილა მარტოვის მიმდევართა უკან დახვევა და ოპორტუნისში ორგანიზაციულ საკითხებში. ვლადიმერ ილიას ძე იმედოვნებდა, რომ მომავალი პარტიული ყრილობა აუცილებლად გააუქმებდა წესდების პირველი პარაგრაფის მარტოვისეულ ფორმულირებას, და მართლაც, ასე მოხდა. პარტიის III ყრილობამ, რომელიც 1905 წლის აპრილში, რევოლუციის აღმავლობის ვითარებაში შეიკრიბა პარტიის წესდების ლენინური ფორმულირება მიიღო, ეს ლენინური ორგანიზაციული პრინციპების ბრწყინვალე გამარჯვება იყო, რამაც განამტკიცა პარტიის რიგები, გაზარდა მისი ხელმძღვანელი როლი მშრომელთა ფართო მასებზე და რევოლუციის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობა გახდა.

დასასრულს, ყრილობამ პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები — „ისკრის“ რედაქცია და ცენტრალური კომიტეტი აირჩია, პარტიის საბჭო შექმნა, არჩევნების გარშემო ყრილობაზე ცხარე ბრძოლა გაიმართა.

ოპორტუნისტები მოითხოვდნენ, რომ „ისკრის“ რედაქციაში ძველი შემადგენლობა აერჩიათ, ამას ისინი იმით ასაბუთებდნენ, რომ დელეგატებმა მოიწონეს რედაქციის მუშაობა. ყრილობამ უარყო ეს წინადადება, რადგან ძველი რედაქციის ნაწილი ოპორტუნისტულ პოზიციაზე იდგა და რედაქციაში აირჩია ლენინი, პლეხანოვი და მარტოვი, მაგრამ ეს უკანასკნელი საბოტაჟის გზას დაადგა და მუშაობაზე უარი განაცხადა. ყრილობამ ცენტრალურ კომიტეტში აირჩია ლენინი, გ. კრჟიჟანოვსკი და გლებოვი (ნოსკოვი), რომლებიც მტკიცე ისკრელების პოზიციაზე იდგნენ. ისკრელთა არჩევა ორივე ხელმძღვანელ ორგანოში ვ. ი. ლენინის დიდი დამსახურებისა და ავტორიტეტის საყოველთაო აღიარება იყო.

ამრიგად, ყრილობის მუშაობის გადამწყვეტ მომენტში, ხელმძღვანელი ორგანოების არჩევის დროს, გამარჯვება ლენინელებს ხვდა, მათ უმრავლესობა მიიღეს. ასე წარმოიშვა ბოლშევიზმი და სახელწოდება ბოლშევიცი, რაც საფუძვლად დაედო უდიდესი პოლიტიკური პარტიის სახელწოდებას, ხოლო ოპორტუნისტებს, რომლებიც უმცირესობაში აღმოჩნდნენ მენშევიკები ეწოდათ.

ყრილობამ დიდი ადგილი დაუთმო ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საკითხებს, რაც პარტიის იდეური და ორგანიზებული გაერთიანების მნიშვნელოვანი პირობა იყო. ყრილობას მხედველობიდან არ გამოარჩენია საქართველოს ისკრელთა საქმიანობა და რევოლუციური მოძრაობის ამოცანები. ეს კარგად იგრძნობოდა ყრილობის მუშაობის მთელს მანძილზე და განსაკუთრებით გამოვლინდა როგორც ორგანიზაციული, ისე აგრარული და ეროვნული საკითხების განხილვისას, ვ. ი. ლენინი, რომელიც მშვენივრად იცნობდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ ვითარებას, თავის გამოსვლებში არაერთხელ შეეხო ამ საკითხებს, მან მკაცრად გააკრიტიკა ყრილობის ის დელეგატები, რომლებმაც გამოიჩინეს უყურადღებობა საქართველოში აგრარული ურთიერთობისა და ქართველი გლეხობის ისეთი მნიშ-

ვენელოვანი მოთხოვნებისადმი, როგორც იყო ხიზნობისა და დროებით ვალდებულთა ინსტიტუტის გაუქმება, ამტკიცებდნენ, ეს ადგილობრივი და უცნობი საკითხებიაო. ვ. ი. ლენინმა ამხილა ამ შეხედულებათა უსაფუძვლობა, „...ხიზნებისა და დროებით ვალდებულთა საკითხი, — ამბობდა ლენინი, — მარტო ადგილობრივი საკითხი როდია. თან ეს საკითხი ცნობილია ლიტერატურაში“⁴.

ყრილობამ განიხილა საკითხი რს დმ პარტიის კავკასიის კავშირის შესახებ და დაამტკიცა იგი რაიონულ (სამხარეო) ორგანიზაციად, ხოლო მის ბექდვით ორგანოდ აღიარა გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“, რომელიც ლენინურ-ისტორიული მიმართულების გაზეთი იყო.

საქართველოს ბოლშევიკები წარმატებით იბრძოდნენ პარტიის II ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ამხელდნენ მენშევიკებს, ენერგიულად და თანამიმდევრულად ატარებდნენ ლენინურ ხაზს. ვ. ი. ლენინი მხურვალედ იწონებდა მათ მოღვაწეობას, ეხმარებოდა მუშაობაში, აძლევდა რჩევა-დარიგებებს, თავის წერილში კავკასიის კავშირისადმი, რომელსაც ხელს აწერდა აგრეთვე გ. პლენხანოვიც, ლენინი წერდა „ვიგრფასო ამხანაგებო! ჩვენ ნივილეთ ცნობა თქვენი საქმიანობის შესახებ... დაე, კავკასიელი ამხანაგები მტკიცედ იდგნენ იმ გზაზე, რომელსაც ისინი დაადგინეს“⁵.

ამის შემდეგ მოწვეულმა პარტიის III ყრილობამ მტკაცედ შეამჭიდროვა პარტიული ორგანიზაციები, შეაიარაღა ისინი რევოლუციის ხელშეწყობის ნათელი პროგრამით, რამაც უზრუნველყო მუშათა კლასის, გლეხობისა და პროგრესული ინტელიგენციის დარაზმვა და ბრძოლას ფართო სახალხო შეიარაღებული აჯანყების ხასიათი მისცა.

ყრილობას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. მან ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა და ხელი შეუწყო მემარცხენე რევოლუციური ძალების დარაზმვას სხვადასხვა ქვეყნების სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ, ვ. ი. ლენინის ბრძოლას მარქსიზმის რევოლუციური პრინციპების დასაცავად და ბოლშევიკური მიმდინარეობის შექმნას, მტრულად შეხვდნენ II ინტერნაციონალის მემარჯვენე მიმდინარეობის ბელადები, ისინი აშკარად მხარს უჭერდნენ მენშევიკებს, უარყოფდნენ ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის არსებული უთანხმოების პრინციპულ მნიშვნელობას, II ინტერნაციონალის ბიურომ მემარჯვენეების ზეგავლენით დადგინებდაც კი გამოიტანა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შექმნილი ორი მიმდინარეობის შერიგების შესახებ, იმ იმედით, რომ ამ გზით უზრუნველყოფდნენ მენშევიკების გამარჯვებას. კაუცკი ხალისით უთმობდა გაზეთ „ნოიე ცაიტის“ ფურცლებს მენშევიკ ავტორებს, რომლებიც პარტიის მშენებლობის ლენინური პრინციპების წინააღმდეგ გამოდიოდნენ და ამავდროს უარი განაცხადა დაებეჭდა ვ. ი. ლენინის წერილი, იმ მოტივით, რომ, თითქოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ჩანასახობრივ მდგომარეობაში იმყოფება და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პრესა მის საქმეებს დიდ ადგილს ვერ დაუთმობსო. სამაგიეროდ, ევროპის ქვეყნების მემარცხენე მიმართულების სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებში და სხვა პროგრესულ პრესაში II ყრილობის მუშაობამ და შედეგებმა მოწონება დაიმსახურა.

⁴ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 6, გვ. 618.

⁵ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 34, გვ. 295.

გერმანიის, ინგლისის, შვეიცარიის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების სოციალ-დემოკრატიული პარტიების გაზეთებმა დაბეჭდეს მასალები და მაღალი შეფასება მისცეს ყრილობის მუშაობას. ყრილობის შედეგებს მხურვალედ მიესალმა უნგრეთის გაზეთი „ნებსავა“. იგი აღნიშნავდა, რომ ეს იყო დიდი პარტიული ყრილობა და იმის ნათელი მოწმობა თუ როგორ გაიზარდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობა. შემდეგ გაზეთი ახასიათებდა პარტიის პროგრამას, რომელიც მიიღო ყრილობამ და ასკვნიდა, რომ იგი ავტუულია მარქსიზმის მტკიცე საფუძველზე და „ბრწყინვალედ არკვევს პარტიის მოთხოვნებსა და მიზნებს“.

ინგლისელი სოციალ-დემოკრატების გაზეთი „ჩარტის“ ვრცლად ახასიათებდა ყრილობის მიზანს — შეექმნა ერთიანი პარტია თავისი ცენტრალური კომიტეტით სათავეში — და ასკვნიდა: „ასე შეიქმნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. ნება გვიბოძეთ გამოვთქვათ იმედი. რომ არა ნარტო მის წევრებს, არამედ მის მგობრებსაც სხვა სოციალისტურ პარტიებში უხარიათ, რომ მათი ყველაზე უმცროსი დაც გაბედულად შევიდა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ოჯახში“.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ფორვერსტი“ სტატიამი „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II მორიგი ყრილობა“ მიუთითებდა, რომ „ყრილობამ შეიმუშავა „პარტიის პროგრამა და ორგანიზაციული სტატუტი, რის საფუძველზეც მოხდა რუსეთის მრავალრიცხოვანი ჯგუფების და კავშირების გაერთიანება ერთიან სოციალ-დემოკრატიულ კავშირში“.

ლენინელთა ბრძოლამ ყრილობაზე და ბოლშევიზმის ჩამოყალიბებამ გავლენა მოახდინა მემარცხენე რევოლუციური ძალების კონსოლიდაციაზე გერმანიაში, საფრანგეთში, პოლონეთში და სხვა ქვეყნებში. ხელი შეუწყო ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რევოლუციური ფრთის „ტენსიაკების“ დარაზმვას და მათი ბრძოლის გაძლიერებას მემარჯვენეთა წინააღმდეგ, დააჩქარა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის შექმნა.

ამ დროს დასავლეთ ქვეყნების სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში მუშაობდნენ რევოლუციური მოძრაობის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები როგორც იყვნენ: ა. ბებელი, კ. ლიბკნეხტი, პ. ლაფარგი, ფ. მერინგი, კ. ცეტკინა, რ. ლუქსემბურგი, მ. კაშენი, დ. ბლაგოვი და სხვები. ისინი შეადგენდნენ მემარცხენე რევოლუციურ ფრთას II ინტერნაციონალში, ბევრ რამეში არ ეთანხმებოდნენ მემარჯვენეებს, ებრძოდნენ მათ. მაგრამ ორგანიზებულად გაერთიანებული არ იყვნენ. უშვებდნენ შეცდომებს, ვერ ბედავდნენ ოპორტუნისტებისაგან გათიშვას. ბოლშევიზმის გამოსვლამ საერთაშორისო სარბიელზე გააძლიერა მათი ბრძოლა რევიზიონისტების წინააღმდეგ. რუსეთის ბოლშევიკები ვ. ი. ლენინის მეთაურობით ენერგიულად ეხმარებოდნენ და რაზმავდნენ მათ, ამ მიზნით ჩატარდა მემარცხენეთა არა ერთი თათბირი, განსაკუთრებით მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინ, როცა მილიტარიზმის ზრდამ უაღრესად საშიში ხასიათი მიიღო. ვ. ი. ლენინისა და მემარცხენეთა ზეგავლენით II ინტერნაციონალის ბაზელის კონგრესმა 1912 წელს მიიღო დადგენილება ომის წინააღმდეგ, მაგრამ ოპორტუნისტებმა უღალატეს ამ დადგენილებას, მხარი დაუჭირეს თავიანთი ქვეყნების იმპერიალისტურ მთავრობებს, მხოლოდ ბოლ-

შევიკებმა დარაზმეს ძალები ომის წინააღმდეგ და ისტორიულ გამარჯვებას მიაღწიეს.

ლენინელთა პარტია სამი სახალხო რევოლუციის ბელადი იყო, მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა რუსეთის პირველი, 1905—1907 წლების რევოლუცია, რომელსაც სამართლიანად ეწოდა დიდი ოქტომბრის „გენერალური რეპეტიცია“. ლენინელთა პარტიის მეთაურობით განხორციელდა 1917 წელს თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, რომელმაც ცარიზმის მრავალსუკუნოვანი ბატონობა დაამხო და მშრომელთა ფართო მასებს გზა გაუხსნა ოქტომბრისაკენ. ამ დროს რუსეთში არაერთი მრავალრიცხოვანი პარტია მოქმედებდა. ისინი იბრძოდნენ ძალაუფლებისათვის, მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ ბედავდა მარტო აეღო ხელისუფლება. მხოლოდ ბურჟუაზიისა და წვრილბურჟუაზიული პარტიების გაერთიანებული ძალებით, კონტრრევოლუციური კოალიციური მთავრობის საშუალებით ფიქრობდნენ ისინი დაეცვათ ისტორიულად განწირული ბურჟუაზიული წყობილება, გაენადგურებინათ რევოლუციის ძალები. მაგრამ ვარაუდი არ გაუმართლდათ. სწორედ ამ გადამწყვეტ მომენტში შეუტყეს მათ ლენინური პარტიის მიერ მუშათა კლასის მეთაურობით მტკიცედ შეკავშირებულმა მშრომელთა ფართო მასებმა და ხელიდან გამოაცალეს ძალაუფლება.

ამ ისტორიულ დღეებში, როცა დიდი ბელადი რაზმავდა ძალებს შეტევისათვის, გადამწყვეტ როლს ანიჭებდა პარტიას. ლენინი ღრმა რწმენით აღნიშნავდა, რომ პარტია შეასრულებს თავის ისტორიულ დანიშნულებას. მისი ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს გამარჯვებას. „ჩვენ ვენდობით ჩვენს პარტიას, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ჩვენ მასში ვხედავთ ჩვენი ეპოქის გონებას, პატიოსნებას და სინდისს“⁶. ასეთი იყო კომუნისტური პარტია თავიდანვე, ასეთია იგი ახლაც. ამიტომ არის, რომ პარტიის ეს ლენინური დახასიათება აღბეჭდილია ჩვენს ახალ პარტიულ ბილეთებში. პარტიის ძლიერების წყარო არის მისი მტკიცე კავშირი მუშათა კლასთან და მშრომელთა ფართო მასებთან, ამ კავშირის საფუძველია სწორი ხელმძღვანელობა, მშრომელთა ინტერესების მტკიცე დაცვა.

ამიტომ იყო, რომ დიდი ოქტომბრის დღეებში კომუნისტურმა პარტიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმპერიალისტური ომიდან გამოსვლის ამოცანას, ეს იყო საერთო სახალხო მოთხოვნა, იგი აერთიანებდა მოსახლეობის უფართოეს ფენებს, მაგრამ მისი განხორციელება მხოლოდ რევოლუციის გზით შეიძლებოდა. ამიტომ ლენინელთა პარტია ოქტომბრის რევოლუციისთან მშვიდობის ლოზუნგით მივიდა და გამარჯვებული საბჭოთა ხელისუფლების პირველი ღონისძიება მშვიდობის შოპოვების ამოცანას ემსახურებოდა.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა პარტიის კავშირი და ხელმძღვანელი როლი მშრომელთა ფართო მასებზე, კიდევ უფრო ნათელი გაჩადა, რომ პარტია გონიერი და თავდადებული მებრძოლია ქვეყნის კეთილდღეობისათვის. განვითარების ურთულეს პირობებშიც კი, იგი კარგად ერკვეოდა მოვლენათა მსვლელობაში, სწორად სახავედა ამოცანებს, „რუსეთი, — წერდა ლენინი, ჩვენ ბრძოლით წაავართვით მდიდრებს ღარიბებისათვის, ექსპლუატატორებს — მშრომელთათვის,

⁶ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 25, გვ. 312.

ახლა ჩვენ რუსეთი უნდა ვმართოთ“⁷. შემდეგ იგი მიუთითებდა ამოცანის სიძნელეებზე და იძლეოდა სოციალისტური მშენებლობის გაშლის ვრცელ პროგრამას.

უფრო გვიან, წარმოუდგენლად მძიმე პირობებში, როცა ქვეყნის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა დანგრეული იყო იმპერიალისტური ომისა და უცხოელი აგრესორების შემოსევის შედეგად საბჭოთა რუსეთმა, დაამარცხა მტრები. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ გამარჯვება მოაპოვებულა პარტიის ბრძნული და ენერგიული მოღვაწეობის შედეგად, რომ „პარტია იყო სადარაჯოზე“ მისი მორგანიზებელი ძალა წვდებოდა ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარეს.

ვ. ი. ლენინის ეს სიტყვები შეიძლება გავიმეოროთ, როცა ვარკვევთ საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვების პირობებს დიდ სამამულო ომში, აქაც ვადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ „პარტია იყო სადარაჯოზე“. მან დარაჯმა მთელი საბჭოთა ხალხი ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, ბრძნული საგარეო პოლიტიკით უზრუნველყო მსოფლიოს ანტიფაშისტური ძალების წარმართვა აგრესორთა გასანადგურებლად.

ყრილობები პარტიის სახელოვანი ისტორიის ნიშანსვეტია, მათი მნიშვნელობა დიდად გაიზარდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როცა პარტია სახელმწიფოს და ქვეყნის მთელი ცხოვრების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად გადაიქცა. უაღრესად დიდი მნიშვნელობა პარტიის XXIV ყრილობის, რომელიც შევიდა ისტორიაში, როგორც ეპოქალური მოვლენა, მან შეაჯამა საბჭოთა ხალხის წარმატებები, და კომუნისტური მშენებლობის ახალი გრანდიოზული პროგრამა შეიმუშავა. ყრილობამ განსაკუთრებული ადგილი დაუთმო საერთაშორისო მდგომარეობის პრობლემებს და მსოფლიოში მშვიდობის გასამტკიცებლად ვრცელი და ქმედითი ღონისძიებები დასახა.

პარტია განუხრელად ახორციელებს ყრილობის დადგენილებებს, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად ამაღლდა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. გაფართოვდა და გაღრმავდა საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიული საფუძვლები. გაუმჯობესდა საბჭოების პროფკავშირების, კომკავშირისა და სხვა მასობრივი ორგანიზაციების საქმიანობა. გაძლიერდა კონტროლი მატერიალური დოვლათის განაწილება-მონხარებაზე, გაიზარდა საბჭოთა ადამიანისა და მშრომელთა კოლექტივების შემოქმედებითი აქტივობა მეცნიერულ-ტექნიკური პროცესის წარმართვასა და დაჩქარებაში. კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, განუზომლად გაიზარდა და განმტკიცდა ხალხისა და პარტიის ერთიანობა.

სკკპ გაიზარდა და განმტკიცდა მენშევიზმის, ტროცკიზმის, მემარჯვენე და მემარცხენე ოპორტუნიზმის, ნაციონალისტური გადახრებისა და სხვა მტრული მიმდინარეობების წინააღმდეგ ბრძოლაში, მტკიცე იდეური და ორგანიზაციული ერთიანობა მოაპოვებული ისტორიული გამარჯვებების უმნიშვნელოვანესი პირობა იყო.

⁷ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 27, გვ. 246.

2. „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1973, № 3.



ბრძოლა პარტიის იდეური სიწმინდისათვის, შეურიგებლობა მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველგვარი დამახინჯების მიმართ, კვლავ დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა.

განსაკუთრებით დიდ ყურადღებას მოითხოვს ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული თეორიების მხილება იმ კომუნისტური პარტიებისაგან, რომლებიც კაპიტალისტურ ქვეყნებში მოქმედებენ. აქ არა ერთი ჯგუფი და მიმდინარეობა არსებობს, რომელიც რევოლუციონისტულ პოზიციებზე დგას და ანტიკომუნისტურ პროპაგანდას ეწევა. დამახასიათებელია, რომ მათი ბრძოლის ფორმები და მეთოდები მიზნები და ამოცანები ბევრ რამეში ენათესავენა მათი წინაპრების შეხედულებებს, რომლებიც სასტიკად დაამარცხა ვ. ი. ლენინმა ბოლშევიზმის წარმოშობის პირველ ხანებში.

ლენინური პარტიის ეროვნული პოლიტიკის განუხრელად გატარების უედგად კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური თანამეგობრობა, რაც ამ ხალხების შემდგომი განვითარებისა და ურთიერთ დაახლოების დიდმნიშვნელოვანი პირობაა. „ვეებერთელა სივრცეზე ბალტიის, შავი და თეთრი ზღვებიდან წყნარ ოკეანემდე, გადაშლილ უზარმაზარ სივრცეზე იგი ამკვიდრებს ხალხთა ძმობას და შრომის სუფევას, ამავე დროს ესწრაფვის იმას, რომ ხელი შეუწყოს მთელი მსოფლიოს ხალხთა მეგობრულ თანამშრომლობას⁸, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის ისტორიულ მოხსენებაში, რომელიც სსრ კავშირის 50 წელს მიეძღვნა.

სკკპ სახელოვანი გმირული გზა, მისი ისტორიული გამარჯვებები კომუნისმის მშენებლობაში გადამწყვეტ გავლენას ახდენს მსოფლიო რევოლუციურ პროცესზე, აჩქარებს მას. ლენინური პარტიის მოღვაწეობა ბრწყინვალე მაგალითს აძლევს ძლევამოსილ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს ახალი ცხოვრების მშენებლობის ყველა სფეროში, ამხნევებს იმპერიალისტური სახელმწიფოების მუშათა კლასს მის ბრძოლაში კაპიტალისტური წყობილების დასამხობად, უდიდეს დახმარებას უწევს კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხებს, რათა გამოვიდნენ ისინი ისტორიული შემოქმედების ფართო გზაზე.

ასეთი პოლიტიკის შედეგად სწრაფად და განუხრელად იზრდება მარქსისტულ-ლენინური დროშით მებრძოლი კომუნისტური და მუშათა პარტიების გავლენა მთელს მსოფლიოში. ისინი, არა მარტო სოციალისტურ ქვეყნებში, არამედ ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში, წარმოადგენენ მუშათა კლასისა და მშრომელთა ფართო მასების ნამდვილ ავანგარდს, თავის რიგებში აერთიანებენ პროლეტარიატისა და ყველა პროგრესული ძალების საუკეთესო წარმომადგენლებს.

კომუნისტურ მშენებლობაში მიღწეულმა წარმატებებმა განამტკიცეს საბჭოთა კავშირის ძლიერება, გაზარდეს მისი გავლენა საერთაშორისო სარბიელზე, განაპირობეს დიდი ისტორიული გამარჯვებები მშვიდობისათვის ბრძოლაში. ჩვენი პლანეტის პროგრესული ძალები, მსოფლიოს ყველა ხალხი ერთსულდონად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნულ სამშვიდობო პოლიტიკას, იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მღვწის ლ. ი. ბრეჟნევის სამშვიდობო მისიას.

⁸ ლ. ი. ბრეჟნევი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავი, გვ. 57.

როგორც კოლმამაზაშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობა და გლეხთა
სოციალ-დემოკრატიული სტრუქტურის საკითხი

(1917—1921 წწ.)

მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკა აფერხებდა განაპირა მხარეების და მათ შორის საქართველოს ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებას. ამის შედეგად ეს უკანასკნელი უმთავრესად აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა. მისი მოსახლეობის 80 პროცენტი სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული. 1913 წელს საქართველოს სახალხო მეურნეობის საერთო შემოსავლის 91,7 პროცენტი სოფლის მეურნეობაზე მოდიოდა¹. „მეფის თვითმპყრობელობა ხელოვნურად ამაგრებდა ბატონყმობის ნაშთებს საქართველოს სოფელში და ყოველნაირად აფერხებდა მრეწველობის განვითარებას... თითქმის მკვდარ წერტილზე აჩერებდა სოფლის მეურნეობას“².

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ხვანა-თესვა ორ და სამმინდვრიან სისტემას არ სცილდებოდა, ხოლო მესაქონლეობა დამოკიდებული იყო თითქმის მხოლოდ ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების რაოდენობაზე. დაბალ დონეზე იდგა სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზა და აგრონომიული მომსახურება, რის გამოც ჩამორჩებოდა მოსაველიანობაც. 1914 წელს თბილისის გუბერნიაში 1 დეს. ნარწყავ მიწაზე მიიღეს 49,6 ფ. ხორბალი, ხოლო უნარწყავზე — 33,9 ფ., ქერი შესაბამისად — 63,8 და 53,6 ფ.³.

1913 წლისათვის საქართველოში მარცვლეულის ნათესი ფართობი შეადგენდა 706,7 ათას ჰექტარს, ხოლო საქონლის რაოდენობა აღწევდა 3 544 500 სულს. მემცენარეობის მთელი შემოსავალი უდრიდა 73 702 800 მან (63,7%), ხოლო მეცხოველეობისა — 35 069 300 მან (31,3%)⁴.

მევენახეობისა და მებაღეობის პროდუქციის ღირებულება შეადგენდა სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქციის ღირებულების 18,5 პროცენტს, ბამბისა და თამბაქოს — 8,3 პროცენტს. მემცენარეობის მთელი პროდუქციის ღირებულების 40 პროცენტი მოდიოდა ძვირფას და ტექნიკურ კულტურებზე⁵. ამ კულტურების ასეთი მაღალი ხვედრითი წონა იხსნება, ერთი მხრივ, ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული პირობებით, რომლებიც ხელს უწყობდა მათ განვითარებას, მეორე მხრივ, ამ შრომატევადი კულტურების გაგრცელებას ხელს უწყობდა ქვეყნის აგრარული მოსახლეობის სიჭარბე, მცირემიწიანობა. იგი აიძულებ-

¹ „საქართველოს სსრ მთავრობის 1924 წლის მოქმედების მოკლე ანგარიში“, თბილისი, 1925, გვ. 46.

² „საქართველოს კომპარტიის VI ყრილობა“ (სტენ. ანგარიში), თბილისი, 1929, გვ. 695.

³ «Жрожай, состояние скотоводства в Закавказье в 1914 году», Тбилиси, 1915, გვ. 7.

⁴ პარტული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ნაწ. II, საქ. 3101, ფურც. 2—3.

⁵ იქვე.

და გლეხობას გამოენახა შრომის გამოყენების ინტენსიური ფორმები და მეთოდები. იგივე ფაქტორები ხელს უწყობდა მეფრინველეობის, მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის განვითარებას. საზაფხულო და საზამთრო საძოვრების არსებობამ განაპირობა მესაქონლეობის, განსაკუთრებით კი მეცხვარეობის განვითარება.

ძვირფასი და ტექნიკური კულტურების გავრცელებას ძალუწებურად ხელს უწყობდა მეფის მთავრობაც, რომელსაც სურდა, ერთი მხრივ, უზრუნველყო თავისი მრეწველობა ისეთი ნედლეულით, რომელიც, ბუნებრივი პირობების გამო, მეტროპოლიის ტერიტორიაზე არ ხარობდა, მეორე მხრივ, ამ კულტურების გავრცელებით სურდა შეემცირებინა სხვა, მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი, რათა არ დაეკარგა პურეულის გასაღების ბაზრები.

ზემოაღნიშნული ხელშემწყობი პირობები ვერ პოულობდა მაქსიმალურ გამოყენებას. ამას ხელს უშლიდა ქვეყნად არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება. გლეხური მეურნეობა თანდათან არა რენტაბელური ხდებოდა, უძლურდებოდა. ასე მაგალითად, 1909—1913 წწ. სოფლის მოსახლეობის თითოეულ სულზე ძლივს მოდიოდა 54 მან. წელიწადში⁶. ასეთ შემთხვევაში გლეხს არ შეეძლო კაპიტალის დაგროვება, მით უმეტეს რომ მეტად მძიმე იყო გადასახადები. 1913 წლამდე მიწაზე გადასახადი შეადგენდა წმინდა შემოსავლის 3 პროცენტს. 1914 წლის 24 დეკემბრის კანონით, 1915 წლის 1 იანვრიდან მიწაზე გადასახადის განაკვეთი გაიზარდა 50 პროცენტით გლეხებისათვის და 100 პროცენტით სხვა მიწათმფლობელთათვის, ე. ი. გადასახადმა შეადგინა წმინდა შემოსავლის 4,5 და 6 პროცენტი. ეს ზრდა შემდეგ გაგრძელდა 1915 წლის 4 ივლისის კანონით 1918 წლის 1 იანვრამდე და ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წლის 3 იანვრის დადგენილებით — 1919 წლის 1 იანვრამდე⁷. ამასთანავე არ ხდებოდა გლეხთა კრედიტით უზრუნველყოფა. სოფლის მეურნეობას აკრედიტებდა სამიწათმოქმედო ბანკი. აქედან კრედიტი ხელში უეარდებოდათ მსხვილ მიწათმფლობელებს, რომლებიც მას ყოველთვის საწარმოო საჭიროებისათვის როდი იყენებდნენ.

ამიერკავკასიის მოსახლეობისათვის სოფლის მეურნეობაში დახმარების გასაწევად 1912 წელს არსდება საერობო აგრონომიული ორგანიზაცია. 1913 წლის 23—28 მარტს თბილისში აგრონომიულ თათბირზე ამიერკავკასიის თითოეული გუბერნია და ოლქი დაიყო აგრონომიულ რაიონებად ბუნებრივ-ისტორიული პირობების მიხედვით, მიუხედავად მათი ადმინისტრაციული დაყოფისა⁸. თითოეულ აგრონომიულ რაიონს სათავეში ედგა აგრონომი, რომელსაც ექვემდებარებოდა რაიონის აგრონომიული და გამჭირავებელი პუნქტები. რაიონული აგრონომების მოღვაწეობას თითოეულ გუბერნიაში აერთიანებდა გუბერნიის აგრონომი და აგრონომთა ყრილობა. აგრონომიულ ღონისძიებებს ამუშავებდა, აგროპერსონალის მოღვაწეობის შესახებ ანგარიშს ისმენდა, მისთვის თანხებს გამოყოფდა და აგრონომიულ მოღვაწეობას გარკვეულ მიმართულებას აძლევდა საგუბერნიო სასოფლო-სამეურნეო თათბირი. აგრონომიული მუშაობის შემდგომი განვითარების მიზნით 1916 წლის 1 აპრილს საერობო ხარჯზე არს-

⁶ ვაზ. „კომუნისტი“, 1925 წლის 17 მარტი.

⁷ პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 8, აღწ. 3, ს. 202, ფურც. 2.

⁸ საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1818, აღწ. 1, ს. 112, ფურც. 33.

დება განსაკუთრებული ბიუროები სოფლის მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველად.

მოსახლეობის ძირითადი მასა — გლეხობა მინც მოკლებული იყო აგრონომიულ დახმარებას. იგი მისაწვდომი იყო მხოლოდ კულაკებისათვის, მდიდარი ფენებისათვის. მთელი ამიერკავკასიის აგრონომიული ორგანიზაციის პერსონალი შედგებოდა 11 საუბერნიო და 55 სარაიონო აგრონომისაგან, 51 ინსტრუქტორისა და 120 ტექნიკური მუშაკისაგან. თითქმის მთელ კავკასიაში იყო სულ 4 სპეციალური ბიურო მავნებლებთან საბრძოლველად⁹. ცხადია, რომ ასეთი მცირე აგრონომიული პერსონალით შეუძლებელი იყო მოსახლეობისათვის სათანადო აგრონომიული დახმარების გაწევა მით უმეტეს, რომ მიწათმოქმედების დეპარტამენტი ამ მიმართულებით მეტად მცირე თანხებს ხარჯავდა.

სოხუმის ოლქის საერთო აგრონომი აგრონომიული ორგანიზაციის მდგომარეობისა და მოღვაწეობის შესახებ 1917 წლის 19 ივლისს იტყობინებოდა: „მუდმივი აგრონომიული პუნქტების უქონლობა და ადგილობრივი პირობებისადმი მათი შეგუების შეუძლებლობა, მოსამსახურეთათვის მძიმე საცხოვრებელი პირობები რაიონების ცენტრებში, მათი მატერიალური გაჭირვება... სოფლებში გადაადგილების შეუძლებელი პირობებისა და მცხოვრებთა ცხენების მიღების სიძნელეთა გამოც კი მოსამსახურენი ფეხით დადიან, ყველაფერი ეს აძლიერებს და ქმნის არანორმალურ პირობებს როგორც ორგანიზაციის მყარი მშენებლობის, ისე მოსახლეობისათვის უშუალო აგრონომიული დახმარების აღმოჩენის საქმეში“¹⁰.

აღნიშნული ფაქტი ერთხელ კიდევ დამატებით ადასტურებს საერობო აგრონომიული ორგანიზაციის უძლურებას მოსახლეობისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენაში.

1917 წლის 17 თებერვალს მიწათმოქმედების სამინისტრომ მოაწყო სასოფლო-სამეურნეო კურსები, რომლის მიზანიც იყო სოფლის მეურნეობის მცოდნე პირთა მომზადება როგორც ერობის ორგანიზაციისათვის, ისე საკუთარ მამულში მუშაობისათვის. 1920 წელს თბილისის კულტურულ-ტექნიკური სასწავლებელი და ქუთაისის სამეურნეო სკოლა გადაკეთდა საშუალო სამეურნეო სასწავლებლად, ხოლო წინამძღვრიანთკარის სკოლა — 4-კლასიან სასოფლო-სამეურნეო სკოლად. ასეთივე სკოლა დაარსდა ლანჩხუთშიც¹¹.

მოსახლეობის აგრონომიული მომსახურების სურათი სრული არ იქნება თუ ორიოდ სიტყვით არ შევეხეთ „საქართველოს სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ მოღვაწეობას. საზოგადოება მიზნად ისახავდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების ტექნიკისა და საერთოდ ეკონომიკის გაუმჯობესებას. ამ მიზნით იგი იძენდა საუკეთესო ხარისხის თესლს და ნარგავებს, გაუმჯობესებულ მანქანა-იარაღებს, სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის საშუალებებს, აწყობდა საცდელ და საჩვენებელ მინდვრებს, გასაჭირავებელ და საგრილებელ პუნქტებს, სასოფლო-სამეურნეო გამოფენებს და ანიჭებდა პრემიებს საუკეთესო მაჩვენებლებისათვის. ეწეოდა შუამავლობას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღებისას, კონტაქტებს ამყარებდა საერობო ორგანიზაციებთან და ადგილობრივ კოოპერატივებთან, სხვადასხვა ადგილას ხსნიდა საზოგადოების

⁹ საქართველოს სსრ ცსა, ფ. 2080, აღწ. I, საქ. 631, ფურც. 3.

¹⁰ საქართველოს სსრ ცსა, ფ. 2080, აღწ. I, ს. 629, ფურც. 1.

¹¹ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, 31 იანვარი, 6 თებერვალი, 1920, 2 სექტემბერი.

ფილიალებს, განყოფილებებს, ბეჭდავდა ბროშურებსა და პლაკატებს, რომელთა მეშვეობითაც მოსახლეობაში ავრცელებდა სასოფლო-სამეურნეო ცოდნას.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას 4 მაზრაში (თბილისის, გორის, თელავის, დუშეთის) ჰქონდა სარაიონო პუნქტები, რომელთა მოვალეობას შეადგენდა ესწავლებინა მოსახლეობისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის რენტაბელური წარმოება. ამ მიზნით ეს პუნქტები სწავლობდნენ ნიადაგის შემადგენლობასა და კლიმატურ პირობებს, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ჯიშებს, მათი გავრცელების პირობებს.

ერთ-ერთი ასეთი პუნქტი იყო იყალთო, რომელიც საზოგადოებამ 1913 წელს იყიდა თავადაზნაურთა ბანკისაგან და რომლის ფართობი უდრიდა 18 დესეტინას. საზოგადოებამ ამ ფართობზე გააშენა ვენახი, ამერიკული ვაზის სადედე და ხეხილის ბაღი.

საგურამოს მამული (368 დეს.). საზოგადოებას საიჯარო საფუძველზე გადაეცა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან 1916 წელს. მისი დიდი ნაწილი (314 დესეტინა) ტყეს ეკავა, დანარჩენი კი სახნავი იყო. საზოგადოებამ აქ გააშენა 4 დეს. ვენახი, 5 დეს. ბაღი, 2 დეს. ბოსტანი და 0,25 დეს. ვალერიანის მცენარე, ჰყავდა 100 სკა ფუტკარი¹².

საგარეჯოს მამული უფასოდ დაეთმო საზოგადოებას 1916 წელს საგარეჯოსა და გიორგიშინდის სასოფლო საზოგადოებისაგან. ეს ხყო საძოვარი, საზოგადოებამ კი აქ გააშენა 4 დეს. ბაღი, 2,5 დეს. ბოსტანი.

ატენის მამული საქართველოს ეროვნულ საბჭოს ეკუთვნოდა და იმყოფებოდა საზოგადოების განკარგულებაში. მამულის ფართობი 32 დეს. უდრიდა. აქ გაშენებულ იქნა 3 დეს. ბაღი და 1,25 დეს. ამერიკული ვაზის სადედე.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება სისტემატურად აწყობდა კურსებს მეცხოველეების, მეხილეების, მევენახეებისათვის. 1914 წელს თბილისში მოეწყო კურსები, სადაც მსმენელებს ასწავლიდნენ ხილ-ბოსტნეულის გახმობისა და დაკონსერვების წესებს. საზოგადოების მიერ დაარსებული მანქანა-იარაღების გამჭირავებელი პუნქტებიდან გლეხობა სარგებლობდა გუთნებით, რკინის კავებით, ვაზის შესაწამლი აპარატებით, ხორბლის საღეწი და სანიავებელი მანქანებით, რომლებითაც 1915 წელს უფასოდ ისარგებლა 34 სოფელმა¹³. მაგრამ ამ ღონისძიებათა მასშტაბი მეტად მცირე იყო და არსებითი ხასიათის გავლენას ვერ ახდენდა საქართველოს მთელ სოფლის მეურნეობაზე.

ომმა და მენშევიკების ბატონობამ მძიმე გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაზე. ომმა ორას ათასზე მეტი მუშა მოსწყვიტა სოფლის მეურნეობას¹⁴. სოფლები თითქმის მხოლოდ მოხუცების, ქალებისა და ბავშვების ანაბარა დარჩა. იმდენად დიდი იყო მუშა-ხელის ნაკლებობა, რომ კავკასიის სამხარეო სასურსათო კომიტეტის დადგენილებით კავკასიის არმიას სთხოვეს ჯარისკაცები სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ¹⁵. განადგურდა სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალები. 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცნობებით გლეხურ მეურნეობათა 5,2 პროცენტი სრულიად უმიწო იყო. 38,9 პროცენტს არ გააჩნდა მუშა პირუტყვი¹⁶. არ დამუშავებულა მთელი ვარგისი მიწე-

¹² საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1915, აღწ. I, ს. 2298, ფურც. 31.

¹³ თ. ჩ ხ ე ი ძ ე, ეგნატე იოსელიანი, კურ. „მეცნე“, 1970, № 6, გვ. 95.

¹⁴ „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“, ნაწ. I, თბ., 1957, გვ. 360.

¹⁵ საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1927, აღწ. I, ს. 3, ფურც. 8.

¹⁶ სტატისტიკური კრებული, 1909—1921, ტფ., 1923, გვ. 33.

ბის 35,7 პროცენტი, მკვეთრად შემცირდა ნათესების ფართობი და პირუტყვის სულადობა. სასურსათო მარცვლეულის ნათესების ფართობი 1909—1913 წლებს 710 784 ღესეტინიდან 1917 წელს 489 116-მდე შემცირდა, 1921 წლისათვის კი — 479 369 ღესეტინამდე¹⁷. ამასთან დაკავშირებით იკლო მოსავლიანობამ, რამაც გამოიწვია შიმშილი. დამფუნდებელი კრების წევრები ტატიშვილი და სულაქველიძე, რომლებმაც იმოგზაურეს სვირის რაიონში 1920 წლის 26 ივლისს მთავრობას მოახსენებდნენ: „მთელი სვირის რაიონში დიდი შიმშილობაა. ნახევარი ხალხი ბალახით იკვებება, რის გამოც ხალხში ათასგვარი ავადმყოფობა მძინვარებს, იყო შემთხვევა, როცა ამ დღეებში სამუშაოზე მიმავალი კაცი გზაში მოკვდა, გამოირკვა, რომ მთელ კვირაში ოჯახს მარცვალი სიჰინდიც კი ვერსად ეშოვა. ამისთანა მაგალითები ბევრია“¹⁸.

მოუსავლიანობა იმდროინდელი სოფლის ხშირი თანამგზავრი იყო. მენშევიკური მთავრობის მომარაგების მინისტრი გ. ერაძე 1920 წელს აღნიშნავდა, რომ გარდა პოლიტიკური სიტუაციისა „ეკონომიური ორგანიზმი შერყეულ იქნა სხვა გარემოებითაც (მოუსავლიანობით). მოუსავლიანობამ 1919 წელს თავზარი დასცა რესპუბლიკის ნაყოფიერ ადგილებს. სენაკის, ზუგდიდის, ქუთაისის და შორაპნის მაზრებმა შიმშილობა დაიწყეს შემოდგომიდან. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, თურქთა თავდასხმების გამო, თესვა არ ჩატარებულა, ხოლო რაჭისა და დუშეთის ხაწილი გაჭირვებას განიცდიდნენ მოსავლის აღების დასაწყისშივე. ცხადია, რომ შემოტანილი პურის გარეშე მოსახლეობა ვერ გადაიტანს ზამთარს. მთავრობის წინაშე დადგა დიდი ამოცანა — გამოძებნოს საშუალება როგორც ქალაქის მოსახლეობის, ისე მოუსავლიანი მაზრების გადასარჩენად“¹⁹.

ნათესი ფართობებისა და მოსავლიანობის შემცირების ძირითად მიზეზს წარმოადგენდა მანქანა-იარაღების შემოტანის შეწყვეტა და სათესი მასალის სიმცირე, რასაც ზედ ერთვოდა მუშა-ხელის ნაკლებობა, რაც გამოწვეული იყო მსოფლიო ომითა და მენშევიკების ბატონობის დროის სამხედრო ვითარებით.

მენშევიკებმა სასურსათო კრიზისთან დაკავშირებით 1919 წლის ნოემბერში შექმნეს მომარაგების სამინისტრო, რომელსაც ევალებოდა გვარდიის, არმიისა და მუშათა მომარაგება სურსათით. მაგრამ აღნიშნული უწყება თავს ვერ აართმევდა საქმეს.

მენშევიკების ბატონობის პერიოდში საქართველო მოწყდა რუსეთს, საიდანაც შემოდოდა პური. ამან გაამწვავა სურსათის კრიზისი და გამოიწვია ვენახების გადაქცევა პურის ნათესებად. შეწყდა უცხოეთიდან (საფრანგეთი, ინგლისი, იტალია) ვაზის შესაწამლი მასალის შემოტანა, რის გამოც თითქმის აღარ ხდებოდა ვენახების შეწამვლა, რამაც ხელი შეუწყო ფილოქსერის გავრცელებას.

მომარაგების სამინისტრომ 1920 წლისათვის შინაურ და საგარეო ბაზარზე შეისყიდა 1 270 000 ფ. სურსათი, წლის განმავლობაში კი მას სჭირდებოდა 2 400 000 ფ.²⁰ მენშევიკურმა მთავრობამ სცადა სურსათისა და სხვა საქირო საქონლის შემოტანა დასავლეთ ევროპიდან. მაგრამ ამან სასურველი შედეგი

¹⁷ სტატისტიკური კრებული, 1909—1921, ტფ., 1923, გვ. 15.

¹⁸ საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1825, აღწ. I, ს. 139, ფურც. 11—12.

¹⁹ პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 8, აღწ. 3, ს. 309, ფურც. 2.

²⁰ პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 8, აღწ. 3, ს. 309, ფურც. 12, 13, 20.

ვერ გამოიღო, იქიდან შემოდიოდა უმთავრესად ფუფუნების საგნები. „როგორღა არ ცდილობს ჩვენი მთავრობა დაიყოლიოს სავაჭრო მსოფლიოს წარმომადგენლები რომ მათ აბრეშუმის ჩულქების მაგივრად შემოიტანონ საქონელი, რომელიც საქირთა ქართველი ხალხისათვის, მაგრამ ამის გაკეთებას ის ვერ ახერხებს“²¹ — წერდა გაზეთი „კლდე“.

საქართველოს მენშვეიკური მთავრობის მესვეურები ცდილობდნენ ნატურალური გაცვლის საშუალებით შეეძინათ საქირთა საქონელი ევროპის ბაზარზე. 1920 წლის დეკემბერში საქართველოს მიწათმოქმედების მინისტრი (ხელს აწერდა დ. ონიაშვილი) საქართველოს დიპლომატიური მისიის თავმჯდომარეს ვლ. ახმეტელს წერდა: „თქვენ უკვე წარსული თვის 24-ში გაცნობეთ, რომ მიწათმოქმედების სამინისტროს სურვილი აქვს ჩვენს სახელმწიფო ღვინოებს (ყოფილ საუფლისწულო) მოუბოვოს ევროპაში ბაზარი, უფრო კი გვანტერესებს გერმანიის, ბაზარი... საქართველო ძლიერ საქირთებს სხვადასხვა სამეურნეო იარაღებსა და მასალებს, აგრეთვე ბევრ სამრეწველო მანქანებსა და სხვა საგნებს, რომელთა შესაძენად ვალუტაა საქირთ. აი ამ ვალუტისათვის გვინდა ღვინოების და კონიაკის გატანა ევროპაში“²².

ევროპიდან საქონლის შემოტანა, რა თქმა უნდა, მეტად ძვირი ჯდებოდა. საქართველოს, რომლის სახალხო მეურნეობაც ვლ. ვოიტინსკის გამოთქმით დამბლადაცემულ მდგომარეობაში იმყოფებოდა²³, იმ დროს არ შეეძლო საქირთა რაოდენობისა და ხარისხის საქონლის დამზადება, რომლითაც იგი იყიდდა მისთვის აუცილებელ პროდუქციას, საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი პასიური იყო. საქონლის შემშღობა გამოიწვია მეურნეობის ნატურალიზაცია. „უკანასკნელ წლებში საქართველოში, ისევე როგორც რუსეთის სხვა მრავალ ადგილებში, მოსახლეობის ფართო წრეებში გამოვლენდა ტენდენცია შინაური საშუალებებით დააკმაყოფილონ მეურნეობის მრავალი მოთხოვნა, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ კმაყოფილდებოდა ღია ბაზრით. გლახებს, ისევე როგორც ქალაქის მცხოვრებთ გამოუჩნდათ შინ დამზადებული ფეხსაცმელი. ცუდით გამოთლილმა ბალომ შეცვალა სოფლად აღრინდელი ქარხნული წესით დამზადებული ლურსმანი, თვითნაკეთმა ქონის ქრაქმა შეცვალა ნავთის ლამპა და ა. შ.“²⁴, წერდა იგივე ვ. ვოიტინსკი.

ეს გამოწვეული იყო არა მარტო იმით, რომ მშრომელი გლახობის ნაწილი მოსწყდა მატერიალური დოვლათის წარმოების სფეროს, არამედ იმითაც, რომ ომისა და მენშვეიკების ბატონობის პერიოდში სოფლის მეურნეობის პროდუქციას პროაკლდა გასაღების ბაზარი. ომამდე საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქცია გადიოდა დასავლეთ ევროპაში. ომის დროს კი ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობა შეწყდა. ამავე დროს შეწყდა სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოტანა რუსეთიდან და გერმანიიდან.

ომამდე საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო იარაღებით ამარაგებდნენ უცხოეთის, უმთავრესად გერმანიის ფირმები. ამ ფირმების სათავეში მდგომი სპეციალისტები, როგორც ჩანს, იცნობდნენ ამიერკავკასიის სოფლის ბუნებრივ პირობებს. ადგილობრივი პირობებისათვის შესაფე-

²¹ გაზ. „კლდე“, 1920, 13 თებერვალი.

²² საქართველოს სსრ ცსა, თ. 1915, აღწ. I, ს. 1282, ფურც. 784.

²³ В. В. Ойтинский, Паралич народного хозяйства, Жур. „საქართველოს ეკონომისტი“, 1918, № 1, გვ. 20—21.

²⁴ ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1918, № 1, გვ. 23.

რი მანქანების შერჩევა ხდებოდა პრაქტიკული შემოწმების შემდეგ ფირმების საგანგებო ინსტრუქტორებისა და მონტიორების მონაწილეობით. იარაღების, კერძოდ კი გუთნების რომელიმე დეფექტს, რომელიც კი თავს იჩინდა ხოლმე მუშაობის პროცესში ფირმა დაუყოვნებლივ ასწორებდა მისი გადაკეთებით ან ახალი მოდელის შექმნის გზით. მაგალითად, ცნობილმა ფირმამ „საკკომ“ გუთნების ჯგუფის ღერძები შეცვალა რკინის ღერძებით, რადგან ნაწვიმარ ნიადაგში თუჯი ადვილად იმსხვრეოდა. ფირმა „ეკკერტმა“ სპეციალურად საქართველოსათვის გააკეთა გუთანი „ს. კ. № 1“, რადგან მანამდე გავრცელებული გუთანი „ს. კ. № 2“ ძალიან მძიმე და ძვირი აღმოჩნდა²⁵.

რასაკვირველია, აღნიშნული ფირმების მუშაობას საფუძვლად ედო არა ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების საწარმოო პროგრამა, არამედ კომერციული მიზნები, გლეხები ნაკლებად იყვნენ გაცნობილი ახალ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, მაგრამ მოვაპრე ფირმები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ გაესაღებინათ თავიანთი საქონელი.

მაგრამ საზღვარგარეთიდან ზოგჯერ შეუფერებელი მანქანა-იარაღებიც იგზავნებოდა. 1921 წლის 22 იანვარს სრულიად რუსეთის ცენტრალური კოოპერატიული ბანკის თბილისის განყოფილება საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრს აცნობებდა, რომ ევროპიდან შემოტანილი 100 000 ცელიდან, 30 000 ნამგლიდან და 40 000 ცულიდან საქართველოში გაიყიდა მხოლოდ 1 000 ცელი, 100 ცული და რამდენიმე ნამგალი, რადგან ცელები მეტად პატარა ზომისა იყო, ნამგლები და ნაჯახები კი ისეთი ტიპისა, რომელიც არ გამოადგებოდა საქართველოსთვის. ამიტომ დანარჩენი უკან დააბრუნეს²⁶. საქართველოს მთავრობას 1920 წელს თხოვნით მიუმართავს კომპანია „საფრანგეთ-აღმოსავლეთისათვის“ მიეწოდებინა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები. კომპანიას იმავე წლის 20 ნოემბერს დადებითი პასუხი გაუცია. მაგრამ საჭირო თანხების უქონლობის გამო საქართველოს მთავრობა ყოველთვის ვერ ახერხებდა ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოზიდვას.

თუ როგორი მდგომარეობა იყო სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღებით აღჭურვის მხრივ, ამაზე ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს მენშევიკური მთავრობის მიწათმოქმედების მინისტრის ნ. ხომერკის წერილი, რომელიც მან 1920 წლის 27 მარტს გაუგზავნა საქართველოს ეკონომიური დელეგაციის თავმჯდომარეს კ. კანდელაკს პარიზში. იგი აქ წერდა: „5—6 წელიწადია შეწყდა ევროპიდან და ამერიკიდან სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და მასალების შემოტანა. მოთხოვნილება კი ფრიალ დიდია. ამ გარემოებას ანგარიშს უწყვენ ათასგვარი სპეკულიანტები, რომლებიც კალიასავით მოედვნენ ჩვენს ქვეყანას და უმეტესად მოაქვთ დროგადასული, უვარჯისი მანქანები და იარაღები, რომელთა ხმარება მხოლოდ საზარალოა ჩვენი მეურნეობისათვის, ფასს კი მეტად დიდს ახდენენებენ“²⁷.

მიწათმოქმედების ტექნიკა მენშევიკების დროინდელ საქართველოში წარმოდგენილი იყო 7 400 ცალი ხის გუთნით, 17 800 რკინის გუთნით, 163 000 კავით, 3 060 რკინისა და 54 800 ხის ფარცხით. მეურნეობათა 54 პროცენტს არ

²⁵ გაზ. „კომუნისტი“, 1925, 1 ივლისი.

²⁶ საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1915, აღწ. I, ს. 1282, ფურც. 1187.

²⁷ საქართველოს სსრ ცსა, ფ. 288, აღწ. 3, ს. 8, ფურც. 9.

გააჩნდა სახნავი იარაღები, ხოლო 60 პროცენტს — სატრანსპორტო საშუალებები²⁸.

მდგომარეობას ამ მხრივ ისიც აძნელებდა, რომ არ ხდებოდა ძველი მანქანა-იარაღების შეკეთება, რადგან სათადარიგო ნაწილები არ იშოვებოდა. მანგლისიდან, თიანეთიდან, სიღნაღიდან და სხვა ადგილებიდან იუწყებოდნენ, რომ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი უიმედო მდგომარეობაშიაო. მთავრობას მოახსენებდნენ, რომ „წარმოების იარაღები“, რომლებიც 1914 წლიდან არ განახლებულა და არ შერემონტებულა, უვარგისი გახდა და უჩვენებენ მწარმოებლურობის მხოლოდ უმნიშვნელო ეფექტს²⁹.

ამას ემატებოდა ისიც, რომ მენშევიკების ბატონობის წლებშიც გლეხობა მიწის დიდ სიმცირეს განიცდიდა. საუკეთესო ხარისხის მიწები თავმოყრილი იყო სახელმწიფოსა და მემამულე-თავადაზნაურთა ხელში. ისინი სულ უფრო აძლიერებდნენ მშრომელ გლეხთა ჩაგვრასა და ექსპლუატაციას. რევოლუციამდე საქართველოში მიწათსარგებლობა ასე გამოიყურებოდა. ხაზინას ეკუთვნოდა 3 628 000 ჰექტარი (მთელი მიწების დაახლოებით 57%), მემამულე თავადაზნაურობას — 1 994 000 ჰექტარი (31,2%), სასულიერო და სავაჭრო წოდებას — 178 000 (2,8%) ეკლესია-მონასტრებს და საუფლისწულოებს — 160 000 (3,5%). გლეხობას კი მხოლოდ — 343 000 ჰექტარი (5,5%)³⁰.

თავადაზნაურობას, რომელიც 12 520 კომლს შეადგენდა (მთელი სოფლის მოსახლეობის 5,2%), ეკიბრა 6-ჯერ მეტი მიწა, ვიდრე 225 007 კომლ გლეხობას (93,7%).

რევოლუციამდე საქართველოში მიწის იჯარა წარმოადგენდა მსხვილ მიწათმფლობელთა მიერ მშრომელი გლეხობის დაკაბალების მთავარ იარაღს.

უმიწობას ყველაზე მეტად გლეხური მეურნეობები განიცდიდნენ. ეს განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობოდა მეთამბაქოეობისა და მესაქონლეობის რაიონებში. მეთამბაქოეობის რაიონში გლეხური მეურნეობები, რომლებიც მთელ მეურნეობათა 98,3 პროცენტს შეადგენდნენ, ფლობდნენ მთელი მიწების 47,9 პროცენტს. მთელ საქართველოში კი გლეხური მეურნეობების (97,3%) განკარგულებაში იყო მიწების 78,8 პროცენტი, ხოლო დანარჩენი მიწები, ე. ი. 21,2 პროცენტი იმყოფებოდა კერძო მესაკუთრეთა (უმთავრესად კი მემამულეთა) ხელში, რომელნიც მეურნეობათა მხოლოდ 2,7 პროცენტს შეადგენდნენ. მესაქონლეობის რაიონში თითოეულ გლეხურ მეურნეობაზე მოდიოდა 0,45 დეს. ხოლო მესაკუთრეთა (უმთავრესად კი მემამულეთა) მეურნეობაზე კი — 151,6 ე. ი. თითქმის 337-ჯერ მეტი³¹. მთელ საქართველოში კი გლეხური მეურნეობა თითქმის 10-ჯერ ნაკლებ მიწას ფლობდა, ვიდრე მესაკუთრე, მემამულე.

ამიტომ გლეხობა მასობრივად მიმართავდა მიწების იჯარით აღებას. ამ მხრივაც ყველაზე მეტად მეთამბაქოეობის რაიონი გამოირჩეოდა, სადაც გლე-

²⁸ ბ. ხ ა ს ი ა, საქართველოს მიწათმოქმედების ტექნიკა და მისი როლი კოლმეურნეობრივი წყობილების გამარჯვებაში (1929—1937 წწ). „ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები“, ტ. XIV, თბ., 1964, გვ. 113.

²⁹ საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1861, აღწ. 2, ს. 118, ფურც. 4, ფ. 1863, აღწ. I, ს. 1130, ფურც. 41.

³⁰ ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა“, 1927, № 10, გვ. 22 (პროცენტები ჩვენ მიერაა გამოანგარიშებული — რ. კ.).

³¹ პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ს. 2903, ფურც. 3. (აქ შედარებულია გლეხთა და მესაკუთრე მეურნეობათა მიწათმფლობელობა მენშევიკთა ბატონობის დროს).

ხის მიერ იჯარით აღებული ფართობი 2-ჯერ აღემატებოდა საკუთარს. ხოლო თუ მესაქონლეობის რაიონში იჯარით აღებული ფართობი მანცდამანც დიდი არ იყო, ეს იმიტომ რომ გლეხობას აქ უმთავრესად საძოვრები ესაჭიროებოდა და სახნავ მიწაზე შედარებით მცირე მოთხოვნილება იყო.

თავის მხრივ გლეხობა მეტად იშვიათად აძლევდა მიწას იჯარით. მესაქონლეობის რაიონში იჯარით აძლევდა გლეხი დაახლოებით 0,01 დეს. სახნავს, ხოლო საშუალოდ მთელ საქართველოში კი — 0,04 დეს. იჯარის პირობები მეტად მძიმე იყო. მოიჯარადრეს უნდა მიეცა მოსავლის 0,25 ან 0,5. არავითარი კანონმდებლობა მიწის იჯარის შესახებ არ არსებობდა. „იჯარის ფასი იმდენი იყო, რომ მეურნეობის მოსავალს უდრიდა. საქართველოს გლეხს მეურნეობის შემოსავალ-გასავლის ანგარიში რომ ეწარმოებინა, ის დაინახავდა, რომ იჯარა ზარალის მეტს არაფერს არ აძლევდა, იშვიათ შემთხვევაში გლეხი ძლივს აინახავდა ლუბებდა შრომას“³².

იჯარის ფასი მენშევიკების დროს თითქმის არ შემცირებულა. ყველა ჩამორთმეულ და სახელმწიფო ფონდში გადაცემულ სახნავ მიწებსა და სათიბებს მენშევიკური მთავრობა თვითონ სცემდა იჯარით.

მენშევიკები ამაოდ „ცდილობდნენ“ გადაეჭრათ აგრარული საკითხი. ჯერ კიდევ 1917 წლის 26 მარტის დადგენილებით „ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა“ შექმნა დროებითი კომისია მიწის საკითხის მოსაგვარებლად. დადგენილებაში „განსაკუთრებული კომიტეტი“ აღიარებდა, რომ „ამიერკავკასიის გლეხური მოსახლეობა მრავალ ადგილას განიცდის ეკონომიურ სიძნელეებს სახნავი და სათიბი მიწების ნაკლებობის, უადრესად მაღალი მიწის იჯარისა და სერვიტუტებით სარგებლობის შემშლუდავი პირობების შედეგად“³³.

1917 წლის 16 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა გამოსცა კანონი მიწის შესახებ ანუ „დებულება სახაზინო, ყოფილ საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიულ პირთა და კერძო მფლობელთა მიწების საადგილმამულო კომიტეტებისათვის გადაცემის შესახებ“, რომლის ძალითაც გლეხობა გათავისუფლდა მიწების გამოსასყიდი გადასახადისაგან 1918 წლის 1 იანვრიდან. საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიულ და კერძო პირებს უნდა ჩამორთმეოდა ნორმაზე მეტი მიწა, რომელიც უნდა გადასულიყო საკუბერნო ან საოლქო საადგილმამულო კომიტეტების განკარგულებაში³⁴. მაგრამ დეკრეტით არ იყო განსაზღვრული თუ რამდენი მიწა უნდა დაეტოვებინათ ან ჩამოერთვათ მიწათმფლობელთათვის.

1918 წლის 7 მარტს ამიერკავკასიის სეიმის მიერ გამოცემულ კანონში უკვე იყო მითითებული ძველი მფლობელისათვის დასატოვებელი მიწის ნორმა: ძველი მფლობელისათვის შეიძლება დაეტოვებინათ 7-დან 40 დეს. მიწა, მიწის ხარისხის მიხედვით, თუმცა იგი შეიძლებოდა გადიდებულიყო 50 დესეტინამდე. ჩამორთმეული მიწები მიწათმოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილებამ ოთხ კატეგორიად დაჰყო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ცალ-ცალკე.

³² ვაზ. „მიწის მუშა“, 1922 წლის 22 ივლისი.

³³ А. А с а т и а н и, Сборник изданных с начала революции по 1 ноября 1918 года законов, инструкции и разъяснений по Министерству земледелия, Т., 1918, გვ. 45.

³⁴ საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1861, აღწ. I, ს. 505, ფურც. 4.

1919 წლის 28 იანვარს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი მიწის შესახებ, რომლის ძალითაც გლეხთა საკუთრებად ცხადდებოდა მათი სანადელო მიწები, კერძო საკუთრებად გამოცხადდა აგრეთვე ხიზანთა და სახაზინო გლეხთა მიწები, გორის მაზრის მთიანი ოსეთის გლეხთა მიწები, რომლებიც მათ სარგებლობაში იყო ე. წ. „ვორონცოვის უფლებით“, აგრეთვე ახალციხისა და სოხუმის ოლქის ზოგიერთი კატეგორიის გლეხთა მიწები³⁵. 1920 წლის 1 იანვრისათვის აგრარული რეფორმა შეეხო 3 417 თავადაზნაურსა და 411 გლეხურ კომლს, რომელთა ხელში იყო 621 696 დესეტ. მიწა და რომელთა საშუალო მიწათმფლობელობა შეადგენდა 163,62 დესეტინას. რეფორმის შემდეგ მათ დარჩათ სულ 34687,86 დესეტინა და მათი საშუალო მიწათმფლობელობა შეადგენდა თბილისის გუბერნიაში 10,16 დესეტინას, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში კი 7,15 დესეტინას³⁶. მათი მიწათმფლობელობა შემცირებულია თბილისის გუბერნიაში 18-ჯერ, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში — 15-ჯერ.

ჩამორთმეული მიწებიდან 85 419 დესეტინა მიეყიდა გლეხებს 25 808 ათ. მან. ბონებით³⁷.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მენშევიკური აგრარული რეფორმის განხორციელების შედეგად საკმაოდ შეიზღუდა მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობა. მაგრამ მათი ნაწილი კვლავ ინარჩუნებდა მიწის დიდ ფართობებს, ისინი ზოგჯერ ახერხებდნენ ორი და სამი ნორმის შენარჩუნებას.

მენშევიკურმა მთავრობამ კონფისკაციაქმნილ სამონასტრო, საეკლესიო და საუფლისწულო მიწებზე მოაწყო სახელმწიფო მამულები, რომელთა შემოსავალიც რამდენადმე ავსებდა მენშევიკთა ცარიელ ხაზინას.

1920 წლის გაზაფხულზე მენშევიკური მთავრობის განკარგულებაში იყო დაახლოებით 20 სახელმწიფო მამული და დაწესებულება. მათ შორის იყო წინანდლის, ნაფარეულის, მუკუზნის, ვარციხის, მუსხანის, მანავის, კარდანახის, სკრის, ყარაიას, ვიაურ-არხის, მერეთის, გულრიფშის, სინობის, კოლხიდის და სხვ.³⁸ მათგან უმრავლესობა მევენახეობა-მეღვინეობის მეურნეობას წარმოადგენდა.

1918 წელს სახელმწიფო მამულებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ფაქტიურად შეჩერებული იყო. მუკუზნის მამული ადგილობრივმა გლეხებმა დაიტაცეს და იქ დასახლდნენ კიდევ. წინანდალში ხენა-თესვა არ ჩატარებულა, რადგან არ იყო დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა. ნაფარეულში თუმცა დაიწყეს ხენა-თესვა, მაგრამ მუშა-ხელის სიძვირისა და უკმარობის გამო ისევ მიანებეს თავი. ორივე მამულმა სახნავ-სათესი მიწები იჯარით გასცა თავის მოსამსახურეებზე — წინანდალში ნატურით, ნაფარეულში კი — ფულზე: 1 დეს. 5 მანეთად³⁹. მეურნეობა ჩაშლილი იყო სხვა მამულებშიც. არ ხდებოდა გაფართოვ-

³⁵ საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1836, აღწ. 401, ფურც. 24.

³⁶ საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1915, აღწ. I, ს. 1467, ფურც. 121, პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ს. 1472, ფურც. 6.

³⁷ პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. I, ს. 1472, ფურც. 612; ი. შირიკოვსკის (ოქტომბრის რევოლუცია და აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1917—1921 წლებში, თბ., 1965, გვ. 119) მ. ჯიჯიყიშვილს (საქართველოს მუსლითა კლასის და გლეხობის კავშირის ისტორიისათვის, თბ., 1970, გვ. 97) რამდენადმე განსხვავებული ციფრი აქვთ მოტანილი — 25 608 604 მან.

³⁸ საქართველოს სსრ ცსა, 1916, აღწ. I, ს. 1282, ფურც. 2.

³⁹ იქვე, ფ. 1940, აღწ. I, ს. 4, ფურც. 18.

ბული კვლავწარმოება. 1920 წლის 4 მარტს მიწათმოქმედების მინისტრი აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო მამულებსა და დაწესებულებებში ნათესების გასაღიდებლად სამუშაოთა ჩატარება შეუძლებელი ხდება „ვინაიდან დამატებითი მუშახელის დასაქირავებლად, თესლეულის, საქონლის და სამეურნეო იარაღების შესაძენად და შესაკეთებლად თანხა არ მოეპოვებათ“⁴⁰. როგორც ჩანს, მენშევიკები თავს ვერ ართმევდნენ სახელმწიფო მამულების მუშაობას და ზოგიერთ მათგანს იჯარით სცემდნენ.

მაგრამ ეს მამულები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მენშევიკურ მთავრობას გარკვეულ შემოსავალს აძლევდა. 1920 წელს მევენახეობის მამულებიდან შემოსავალი აღწევდა 74 976 820 მანეთს; გასავალი — 55 566 598 მანეთს⁴¹. წმინდა შემოსავალმა შეადგინა 19 410 222 მანეთი.

სახელმწიფო მამულების გარდა სახელმწიფო იჯარით სცემდა სხვა მიწებსაც. 1919 წლის სექტემბერში „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო სარეწაომ“ 20 წლის ვადით იჯარით აიღო 15 დესეტინა მიწა თბილისის მაზრის სოფელ ოლგინსკში. მოიჯარადრეს უნდა მოეწყო ფერმა და მოეშენებინა ძროხები⁴². ფერმა უნდა გამოეყენებინათ მოსწავლეთა პრაქტიკული მეცადინეობისათვის მესაქონლეობის შესასწავლად.

1920 წლის 15 ნოემბრისათვის დანიშნული იყო საჯარო ვაჭრობა, მარნეულის ხილის ბაღის (9 დეს.) — 3 წლით, კოშა-კილისის ხილის ბაღის — 6 წლით, ქობულეთის ყოფ. ბაღისა (12 დეს.) — 5 წლით და რამდენიმე ვენახისა — 3-დან 6 წლამდე იჯარით გაცემასზე⁴³.

კაპიტალისტურ მეურნეობათა ნაწილს მენშევიკური მთავრობა ხელუხლებლად ტოვებდა და იჯარით აძლევდა მისსავე ძველ მესაკუთრეს — ასე, რომ, ზოგიერთი მათგანი ფაქტიურად კვლავ ინარჩუნებდა მიწის დიდ ფართობს.

რასაკვირველია, აღნიშნული რეფორმის განხორციელებას მემამულეები დიდ წინააღმდეგობას უწყევდნენ. 1919 წლის დეკემბერში ზესტაფონიდან ქალაქის მოურავი ნ. ჩხეიძე მთავრობას აცნობებდა, რომ „მიმდინარე წლის აგვისტოში, როდესაც გამგეობამ დააპირა აგრარული რეფორმის გატარება ქალაქის ფარგლებში, მემამულეების ერთმა ჯგუფმა, რომლებსაც მხარს უმშვენივრდნენ სოციალ-დემოკრატები, ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს და როგორც საბჭოში, ისე ხალხში დაიწყეს აგიტაცია ამ რეფორმის წინააღმდეგ. ამით ისინი ფიქრობდნენ გავლენა მოეხდინათ და საკითხის გადაწყვეტის დროს იგი გადაეხარათ თავიანთ სასარგებლოდ. მაგრამ მიზანი არ გაუმართლდათ“⁴⁴.

აღნიშნულმა რეფორმამ უმიწო და მცირემიწიანი გლეხობა ვერ დააკმაყოფილა მიწით, რადგან ჩამორთმეული მიწებისაგან შემდგარი ფონდი არ იყო საკმარისი გლეხთა მცირემიწიანობის აღმოსაფხვრელად. სწორად შენიშნავდა ს. ავალიანი, რომ „მშრომელი მეურნის მიწისმფლობელობა იმდენად ვერ გაფართოვდა, რომ იგი სრულად უზრუნველყოფილიყო მიწით. თითოეულ მეურნეს სახელმწიფო ფონდიდან ერგება ქუთაისის გუბერნიაში 0,13 დეს., ხოლო თბილისის გუბერნიაში — 0,25 დეს., საშუალოდ რესპუბლიკაში — 0,14 დეს. ასეთი ნორმების დამატება ვერ შესცვლის წვრილ მეურნეთა მიწისმფლობელო-

⁴⁰ საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1833, აღწ. I, ს. 811, ფურც. 1.

⁴¹ საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1915, აღწ. I, ს. 1282, ფურც. 1208.

⁴² აქვე, ს. 2025, ფურც. 83.

⁴³ აქვე, ფ. 1915, აღწ. I, ს. 1457, ფურც. 3, 31.

⁴⁴ საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1863, აღწ. I, ს. 957, ფურც. 1.

ბის ხასიათს⁴⁵. ამ გარემოებას თვითონ მენშევიკებიც გრძნობდნენ. 1919 წლის 26 ივნისს მიწათმოქმედების მინისტრი (ხელს აწერს მინისტრის ამხანაგი პ. გელეიშვილი — რ. კ.) საქართველოს მთავრობას მოახსენებდა: „ამჟამად წარმოებული მიწის რეფორმა არა თუ სავსებით, ნაწილობრივდაც ვერ აკმაყოფილებს იმ მიწის შიშობილს, რომელსაც განიცდის ქართველი ვლახი. ცნობილია, რომ რაქის, შორაბნის, ქუთაისის ყოფილი ქუთაისის გუბერნიის სხვა მაზრების მცხოვრებთ ისე მცირე მიწა აქვთ, რომ ისინი ვერ იკმაყოფილებენ თავიანთ ოჯახურ მოთხოვნილებებს და იძულებულნი არიან მთელ რუსეთში გაიფანტონ დღიური ლუკმის საშოვნელად, ოჯახის გამოსაკვებად. არა მარტო ქუთაისის გუბერნია განიცდის მიწის ასეთ სიმცირეს, თბილისის გუბერნიის ბევრი ადგილიც თითქმის ასეთსავე მდგომარეობაშია“. ამან განაპირობა ის, რომ მჭიდროდ დასახლებული ადგილების მკვიდრნი ყოველგვარი სისტემისა და წესრიგის გარეშე იყრებიან თავიანთი მუდმივი საცხოვრებელიდან და თავიანთი ნებით სახლდებიან საქართველოს სხვადასხვა თავისუფალ ადგილებში, ანადგურებენ ტყეებს, იწვევენ უკმაყოფილებას ადგილობრივ მკვიდრთა შორის და სხვ.⁴⁶ აქედან ცხადია, რომ მენშევიკების აგრარული რეფორმა სრულიად ვერ აკმაყოფილებდა მიწით მშრომელ გლეხობას. ამიტომ გლეხობა სტიქიურად სახლდებოდა დაუსახლებელ ან ნაკლებად დასახლებულ ადგილებში.

გადასახლების მსურველთა რიცხვი 3—4 ათას ოჯახს უდრიდა. აქედან 1 200 ოჯახი მიწათმოქმედების სამინისტრომ დაასახლა ლავოდნისა და ყარაიას რაიონებში. მიწათმოქმედების მინისტრი ამ საქმისათვის თხოულობდა 10 მილნ. მანეთს, მაგრამ მთავრობამ მხოლოდ 5 მილნ. მანეთი გამოყო⁴⁷. მაგრამ ახლად დასახლებული ადგილები ყოველთვის არ იყო მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგი. ამიტომ მოსახლეობა ზოგჯერ უკანვე ბრუნდებოდა.

გლეხთა მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ მათ კვლავ უნდა ეხადათ საღალო და ყველა ის გადასახადი, რომლებსაც ადრე იხდიდნენ. მეტად მძიმე ტვირთად აწევებოდა იგი გლეხობას. 1921 წლის 10 თებერვალს ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრის მარნის საზოგადოების 33 მცხოვრებმა თხოვნით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებას შეემციერებინა მათთვის გადასახადები. ისინი ჩიოდნენ: — „ისეთებს უწევს გადასახადი 5, 10, 15, 20, 30, 40 ფუთიც, რომელთაც დღესაც სარჩო არა აქვს და ან ორი თვის განმავლობაში მოაკლდება. სიმინდი უნდა შევიტანოთ კოლხერატივში, ფუთზე იძლევიან 1 200 მან. მაშინ, როცა ბაზარში იყიდება ორიათას ორასიდან ორიათას ხუთას მანეთამდე. და ჩვენ ასეთ დამწუხრებულ მდგომარეობაში მყოფი — ტიტველ-შიშველად დავიარებით. ასეთ ხალხს როგორ შეგვიძლია, რომ ვიყიდოთ სიმინდი და ისე გადავიხადოთ, როდესაც ჩვენი სარჩოს საყიდელი ფულიც არ მოგვეპოვება. ამიტომ გთხოვთ გავვათავისუფლოთ გადასახადისაგან“⁴⁸, ჩვენ არ ვიცით, გაათავისუფლეს თუ არა ზემო აღნიშნული პირები გადასახადისაგან, მაგრამ ეს უკანასკნელი გარემოება რომ მშრომელ მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწევებოდა, ეს სხვა წყაროებიდანაც ჩანს. თბილისის ერთობის წარმომადგენელი 1919 წელს ერობათა I ყრილობაზე აღნიშნავდა: „ყველაზე გადა-

⁴⁵ ს. ავალიანი, მიწისმფლობელობა საქართველოში, 1920, გვ. 32.

⁴⁶ საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1883, აღწ. I, ს. 209, ფურც. 3.

⁴⁷ იქვე, ფ. 1833, აღწ. I, ს. 209, ფურც. 3, 4, 18, ფ. 1915, აღწ. I, ს. 951, ფურც. 1—3.

⁴⁸ იქვე, ფ. 1833, აღწ. I, ს. 129, ფურც. 1.

მეტებულ გადასახადად ხალხს მიაჩნია ის, რომ მიწაზე გადასახადსაც და ღალასაც იღებენო, წინათ მიწა ბატონისა იყო და ჩვენ ვხმარობდით მეოთხედებად. ეხლა კი მიწასაც გვასყიდებენ და ღალასაც გვახდევინებენ. ასე რომ ხალხის ჩივილი ჩვენს მაზრაში მარტი ეს ღალებია, რომელსაც, სიმაართე უნდა თქვას კაცმა, სხვადასხვანაირად თურმე ჰკრეფენ, რაც თავს უბრუნებს ხალხს და უწეწავს გზა-კვალს“⁴⁹. აქ არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ ერობის წარმომადგენელს მხოლოდ ღალა მიაჩნია ხალხის უკმაყოფილების მიზეზად, სინამდვილეში კი უკმაყოფილების მიზეზები ბევრი იყო. აღვნიშნავთ მხოლოდ რომ ეს ღალაც არასწორად იკრიბებოდა, ზოგჯერ ნორმაზე მეტსაც ახდევინებდნენ. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, გლეხს ეკარგებოდა ინტენსიური მეურნეობის ხალისი და სასაქონლო პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა.

ამრიგად, მენშევიკების დროინდელი საქართველოს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის ძირითად მიზეზებად ჩვენი აზრით, უნდა ჩათვალოს ტექნიკური ბაზის სისუსტე, აგრონომიული მომსახურების დაბალი დონე, გასაღების ბაზრების ნაკლებობა, უთანაბრობა მიწათსარგებლობაში და სოფლის მეურნეობის დარგების არასწორი განლაგება და სხვ.

საქართველო, როგორც ცნობილია, იყო წვრილბურჟუაზიული გლეხური ქვეყანა. სოფლად აშკარად შეიმჩნეოდა გლეხთა კლასობრივ ფენებად დაყოფა, ეკონომიური და სოციალური დიფერენციაციის პროცესი შორს იყო წასული. ეს კარგად ჩანს მიწათმფლობელობის მიხედვითაც.

საქართველოს სოფელში მიწათმფლობელობის მდგომარეობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალებით. დავიწყოთ საშუალო მეურნეობებიდან. როგორც ვიცით, საშუალო მეურნეობები ძირითადად თვითონ იკმაყოფილებდნენ თავს, არ განიცდიდნენ და არ ეწეოდნენ სხვის ექსპლუატაციას. ამავე დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ „დამოუკიდებელი სამიწათმოქმედო შრომა მხოლოდ საუკეთესო წელს და განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში თუ აძლევს ასეთ გლეხობას თავის შენახვის საშუალებას, და ამიტომ ის უკიდურესად მერყევე მდგომარეობაში იმყოფება. უმეტეს შემთხვევაში საშუალო გლეხს არ შეუძლია თავის გატანა, თუ მან შრომამიგებით სესხს არ მიმართა, თუ მან არ მოძებნა „დამხმარე სხვა საშოვარი, რომელიც აგრეთვე ნაწილობრივ სამუშაო ძალის გაყიდვაში მდგომარეობს“⁵⁰. ამიტომ, ვფიქრობთ, ქვეშარტებას დიდად არ დავშორდებით, თუ 2—5 დესეტინა მიწის მქონე მეურნეობებს ჩავთვლით საშუალო მეურნეობებად. მასზე ნაკლები მიწის ფართობის მქონეთ — დარიბ და უღარიბეს მეურნეობებად, ხოლო 5 დესეტინაზე მეტის მფლობელებს — მდიდარ მეურნეობებად.

მენშევიკური მთავრობის გამაონგარიშებით სოფლად ერთ სულს წლის განმავლობაში სჭირდებოდა დაახლ. 13—14 ფუთი მარცვლეული⁵¹. თითოეულ დესეტინაზე იმ დროს საშუალოდ მოდიოდა 51 ფ. ხორბალი და ქერი, 80 ფ. სიმინდი, ასე, რომ 2 დეს. მიწის მქონე გლეხს, თუნდაც აქედან 1,5 დეს. ყოფილიყო სახნავ-სათესად გამოსადეგი, წლიურად მოუვიდოდა 75 ფ. ხორბალი ან

⁴⁹ საქართველოს სსრ ცსა, ფ. 1921, აღწ. I, ს. 17, ფურც. 26.
⁵⁰ ვ. ი. ლე ნი ნი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 196.
⁵¹ ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წლის 6 ოქტომბერი.

ქერი, ან 120 ფ. სიმილი, რაც საკმარისი იქნებოდა 4—5—6 სულსაგან შემდგარი ოჯახის გამოსაკვებად. აქ, რასაკვირველია, მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ გლეხი იხდიდა გარკვეულ გადასახადს, ზოგჯერ ნატურითაც. მას სჭირდებოდა თესლიც, ტანსაცმელიც, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მიწათმოქმედებასთან ერთად გლეხი მისდევდა მესაქონლეობას, მეფრინველეობას, მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას, შინამრეწველობას და სხვ., რაც შემოსავლის დამატებით წყაროს უქმნიდა მას. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ასეთი მეურნეობები ძირითადად საკუთარი მეურნეობის შემოსავლით იკმაყოფილებდნენ თავს, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ზოგჯერ თავიანთ სამუშაო ძალასაც აქირავებდნენ ან თვითონ ქირაობდნენ სხვის სამუშაო ძალას. ხოლო თუ მარცვლეულის მაგივრად ისინი მრავალწლიანი ტექნიკური და ძვირფასი კულტურების მეურნეობას მიჰყოფდნენ ხელს, მაშინ, მით უმეტეს, უფრო მეტ შემოსავალს მიიღებდნენ, რითაც შეეძლოთ შეეძინათ საკვები პროდუქტები.

ამ გზით, აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში 1917 წლისათვის უღარიბეს და ღარიბ მეურნეობათა რიცხვი აღწევდა 44 პროცენტს⁵². მაგრამ, ამ მონაცემებიდან არ ჩანს, თუ რამდენი კომლი იყო დარჩენილი უმიწოდ დასავლეთ საქართველოში. უნდა ვიფიქროთ, კი, რომ ასეთი მეურნეობანი აქ უფრო მეტი იყო, რადგან დასავლეთ საქართველო უფრო მეტად განიცდიდა მიწების ნაკლებობას, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველო. 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცნობებიდან ირკვევა, რომ საქართველოში მეურნეობათა, 5,2 პროცენტი იყო უმიწო⁵³. ამიტომ, ღარიბი მეურნეობანი იზრდება 48,52 პროცენტამდე. მაგრამ აღწერის მასალებში ზუსტად არაა ნაჩვენები 2 დეს. მიწის მფლობელთა რიცხვი. ასეთი მეურნეობანი დაახლოებით 1—1,5 პროცენტი მაინც იქნებოდა. მაშინ ღარიბი მეურნეობები შეადგენდნენ 50 პროცენტს.

მდიდარ მეურნეობათა რიცხვი, აღწერის მასალების საფუძველზე, 6,5 პროცენტია. მაგრამ, აღწერის მასალებში 10 და მეტი დესეტინა მიწის მქონე მეურნეობანი დასავლეთ საქართველოში არ არის აღრიცხული. სავარაუდოა, რომ მათი რაოდენობა არ იქნებოდა 0,5 პროცენტზე მეტი, მაგრამ რადგან მათ რიცხვში შედის 5 დეს. მიწის მქონენი, ხოლო ისინი სულ ცოტა 1 პროცენტს მაინც შეადგენდნენ ალბათ, დავგვრჩება 6 პროცენტი.

ამრიგად, დარჩენილი 44 პროცენტი იქნება საშუალო გლეხურ მეურნეობათა რაოდენობის მაჩვენებელი.

მიწათმფლობელობის მიხედვით, როგორც ცნობილია ძალიან ძნელია გლეხთა სოციალური დიფერენციაციის დადგენა. მართალია, ეკონომიური ფაქტორები მთავარი გასაღებია კლასების გამოსავლინებლად, მაგრამ სოციალურ პროცესებთან მათი დაკავშირების გარეშე შეუძლებელია სოფლის ზუსტი სოციალური სურათის შედგენა. ჩვენ არ ვიცით მათი წარმოებითი ურთიერთობის სხვა მნიშვნელოვანი მხარეები, ჩვენ არ ვიცით, როგორ ამუშავებდნენ ეს მეურნეობები მათ განკარგულებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს. იჯარით აძლევდნენ თუ თვითონვე ეწეოდნენ მეურნეობას, საკუთარი წარმოების საშუალებებითა და სამუშაო ძალით ამუშავებდნენ მას თუ დაქირავებულთ, თუ თვითონ აქირავებდნენ საკუთარ წარმოების საშუალებებსა და სამუშაო ძალას. ყველა მდიდა-

⁵² გაზ. „Правда Грузии“, от 25 января 1922 года (პროცენტები ჩვენ მიერაა გამოანგარიშებული—რ. კ.).
⁵³ პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 2914, აღწ. I, ს. 342, ფურც. 16.

რი და შეძლებული მეურნეობა არ შეიძლება ჩაითვალოს კულაკურ მეურნეობად, რადგან იგი შეიძლება არ ეწეოდეს სხვის ექსპლუატაციას.

1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალებიდან ჩანს, რომ საქართველოში მეურნეობათა 7,1 პროცენტს არ ჰყავდა მუშახელი, 12,9 პროცენტს არ ჰქონდა ნათესი ფართობი, 15,4 პროცენტს არ ჰყავდა საქონელი, 38,9 პროცენტს — მუშა საქონელი და 36,2 პროცენტს — ძროხა⁵⁴. ჩვენ არ ვიცით, ზემოაღნიშნულ გლეხურ მეურნეობათა ჯგუფებიდან რომელს რა აკლდა, მაგრამ ერთი რამ მაინც ცხადია, რომ მეურნეობათა დიდი ნაწილი (39%-მდე) მუშა საქონლის ნაკლებობას განიცდიდა. რასაკვირველია, არც იმის თქმა შეიძლება, რომ მუშა საქონელს მოკლებული ყველა მეურნეობა ღარიბი იყო, რადგან მეურნეობის ყველა ღარიბი არ მოითხოვს (მეციტრუსეობა, მეთამბაქოეობა, მებნლეობა და სხვ.), ან, თითქმის, არ მოითხოვს მუშა საქონელს. მაგრამ ისიც ცხადია, რომ მათ რამდენადმე გაუჭირდებოდათ მეურნეობის წარმოება.

ყველა ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დაახლოებით წარმოვადგინოთ 1917 წლის საქართველოს სოფლის სოციალური სტრუქტურა: ღარიბი გლეხობა შეადგენდა დაახლოებით 52 პროცენტს, საშუალო გლეხობა — 45 პროცენტს, კულაკობა — 3 პროცენტს.

ამ ცნობებს ერთგვარად აზუსტებს და ავსებს 1921 წლის მონაცემები გლეხთა მიწით უზრუნველყოფის შესახებ⁵⁵. ამ მონაცემებით საქართველოში 1921 წლისათვის გლეხურ მეურნეობათა 29,2 პროცენტს ჰქონდა 4-დან 50 დესეტინამდე მიწის ფართობი თითოეულს, მაშინ, როცა მეურნეობათა 61,5 პროცენტს ჰქონდა 0,5-დან 4 დესეტინამდე თითოეულს. მაშასადამე, უმრავლესობას შეადგენდნენ მცირემიწიანი მეურნეობები. 29,2 პროცენტს ჰქონდა მთელი მიწების 62,6 პროცენტი, ხოლო დანარჩენებს 70,8 პროცენტს კი 37,4 პროცენტი. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს აღწერა ჩატარდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ დღეებში, როცა გლეხობა ელოდა აგრარული საკითხის სამართლიან გადაწყვეტას, ელოდა მიწას. ამიტომ ცდილობდა, რომ რამდენადმე მცირემიწიანად მოეჩვენებინა თავი. ამის გამო, უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ცნობები გლეხთა მიწათმფლობელობის შესახებ რამდენადმე შეემცირებულა.

აღნიშნული ცნობების 1917 წლის მონაცემებთან შედარება საფუძველს გვაძლევს ერთხელ კიდევ დავასკვნათ, რომ მენშევიკებმა მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებანი შეიტანეს გლეხთა მიწათმფლობელობაში.

თუ ზემოაღნიშნულ მეთოდს გამოვიყენებთ, აღმოჩნდება, რომ 1921 წლისათვის ღარიბ მეურნეობათა რიცხვი შეადგენს 40,2 პროცენტს, მაგრამ ჩვენ არ ვიცით 2—5 დესეტინამდე მიწის ფართობის მქონე მეურნეობათა რიცხვი, ცნობილია მხოლოდ 2—4 დესეტინამდე მიწისმფლობელთა რაოდენობა (30,6%) და 4—10 დესეტინიანი მეურნეობების რიცხვი (28,4%), მაგრამ როგორ გამოვყოთ ამ უკანასკნელიდან ის მეურნეობები, რომელთაც ჰქონდათ 4—5 დესეტინა მიწა?

ამისათვის უნდა მოვიშველიოთ 1917 წლის მონაცემები, საიდანაც ვიცით, რომ 5-დან 10 დეს-მდე მიწას ფლობდა მეურნეობათა 5,5 პროცენტი, თუ ვი-

⁵⁴ პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 2914, აღწ. I, ს. 342, ფურც. 12.

⁵⁵ რ. კოჭლამაშაშვილი, საქართველოს გლეხურ მეურნეობათა სოციალურ-ეკონომიური ხასიათი, საკანდ. დისერტ. თბ., 1968, გვ. 175, დაუთვალა საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

3. „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1973, № 3.

გულისხმებთ, რომ მეურნეობათა საერთო რიცხვი ორივე აღწერის დროს ერთნაირი იყო, მაშინ 1921 წლისათვის $4-5$ დესეტინა მიწის მქონე მეურნეობათა რიცხვი იქნებოდა $28,4-5,5=22,9$ პროცენტი.

ამრიგად, $2-5$ დესეტინამდე მიწა უნდა ჰქონოდა მეურნეობათა $53,5$ პროცენტს. ესენია საშუალო მეურნეობები, დანარჩენი $6,3$ პროცენტი იქნებოდა მდიდარი მეურნეობები.

ამ ეკონომიური დიფერენციაციის საფუძველზე შეიძლება დაახლოებით დავადგინოთ გლეხთა სოციალური ფენები. ღარიბობა დაახლოებით შეადგენდა 50 პროცენტს, საშუალო გლეხობა — 47 პროცენტს და კულაკობა ასევე დაახლოებით აღწევდა 3 პროცენტამდე.

1917 წლის გლეხთა სოციალური დიფერენციაციის სურათს თუ შევადარებთ 1921 წლისას, შევნიშნავთ, რომ მეტად უმნიშვნელოდ შემცირებულია ღარიბ მეურნეობათა რაოდენობა, ხოლო საშუალო მეურნეობათა რიცხვი კი გაზრდილა. ეს არის მიწათმფლობელობაში მომხდარი უმნიშვნელო ცვლილებათა შედეგი. ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ 1921 წლისათვის საქართველოში საშუალო გლეხთა პროცენტი უფრო მაღალი იყო, ვიდრე 1917 წელს რუსეთში. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ რუსეთთან შედარებით საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობანი უფრო სუსტად იყო განვითარებული, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში. მეორე მიზეზი, ჩვენი აზრით, იმაში მდგომარეობდა, რომ მენშევიკებმა, როგორც წვრილბურჟუაზიულმა პარტიამ თავიანთი აგრარული რეფორმით ერთგვარად გაამაგრეს წვრილი ბურჟუაზიის, კერძოდ, საშუალო გლეხობის პოზიციები. მესამე მიზეზი იყო საქართველოში გავრცელება ტექნიკური და ძვირფასი კულტურებისა, რაც უზრუნველყოფდა გლეხის შრომის მაღალ ანაზღაურებას, მაღალ შემოსავალს. მეოთხე მიზეზად ჩვენ მიგვაჩნია მსოფლიო ომისა და მენშევიკური ბატონობის პირობებში სოფლის მეურნეობის ნატურალიზაციის მიმდინარე პროცესი.

აპაპი კანამი

მოსახლეობის მიგრაციული პროცესების სოციალური ასპექტები

მოსახლეობის ადგილგადანაცვლება, როგორც ცხოვრებისეული მოვლენა, გენეტიკურად სოციალურ გაერთიანებათა (ერთობათა) ფორმირების საწყისებს, მეურნეობის ადრინდელ სახეებს უკავშირდება.

ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს მიმოხილვა ხალხთმოსახლეობის, კერძოდ მიგრაციული პროცესების საკითხებისა, რაც ჩამოყალიბებულია წინამარქსისტული და არამარქსისტული თეორიული ხასიათის ნაშრომებში. ჩვენ შევეხებით კ. მარქსისა და ვ. ლენინის ფუძემდებლურ დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ხალხთმოსახლეობის არსს.

კ. მარქსის ცნობილი დებულება ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციისათვის საკუთარი ხალხთმოსახლეობის ობიექტური კანონის არსებობის შესახებ მიგრაციაზეც ვრცელდება¹.

იმავე ნაშრომში კონკრეტული გამოკვლევის საფუძველზე დადგენილია შედარებითი ჭარბი მოსახლეობის კანონი კაპიტალისტური ფორმაციისათვის².

ვ. ლენინმა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების ბუნების ეკონომიურ-პოლიტიკური ანალიზის დროს გამოიყენა და განავითარა კ. მარქსის დემოგრაფიული შეხედულებანი. მანვე შექმნა, რუსეთის კაპიტალიზმის მაგალითზე, მიგრაციის მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფცია. ვ. ლენინის კლასიკური ნაშრომი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ სრულყოფილად წარმოსახავს მანქანური ინდუსტრიის განვითარების პირობებში სოფლის მოსახლეობის ინტენსიურ მიგრაციას ქალაქში, რაც, მიუხედავად წინააღმდეგობებისა, პროგრესულ მოვლენადაა მიჩნეული³.

ნაროდნიკები სოფლის მოსახლეობის ქალაქში მიგრაციას სოფლის თემის სამწუხარო რღვევის მიზეზად, დიდ სოციალურ უბედურებად მიიჩნევდნენ. ვ. ლენინი არსებითად უჭერს მხარს ადგილგადანაცვლებაში პიროვნების თავისუფლებას და შენიშნავს, რომ დასახლების ადგილის არჩევანი ადამიანის სუბიექტური უფლებაა; მკაფიოდაა ჩამოყალიბებული კაპიტალიზმის ეპოქაში სოფლიდან ქალაქში მიგრაციის არსი: „მიწათმოქმედებიდან მოსახლეობის გამოცალკევებისა და მისი ქალაქში გადასვლის მსგავსად, არასამიწათმოქმედო გასვლა პროგრესულ მოვლენას წარმოადგენს. იგი მოსახლეობას მიერეკება მივარდნილი, ჩამორჩენილი, ისტორიისაგან მივიწყებული მიყრუებული ადგილებიდან და ითრევს თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Капитал, Критика политической экономии, М., 1960, т. 23, стр. 646.

² იქვე, стр. 645—646.

³ ვ. ლენინი, თხზულებანი, თბ., 1948, ტ. 3, 651, 652.

ორომტრიალში. იგი აღიღებს მოსახლეობის წერა-კითხვის მცოდნეობას და ამაღლებს მის შეგნებულობას, ნერგავს მასში კულტურულ ჩვეულებებს და მოთხოვნილებებს... კიდევ სხვა მიზეზი მიერკეება ადამიანს სახლიდან. ეს მიზეზია საზოგადოებრივი აზრი... ქალაქში გასვლა ამაღლებს გლეხის მოქალაქეობრივ პიროვნებას, ათავისუფლებს მას დამოკიდებულებისა და წოდებრიობის იმ აურაცხალ პატრიარქალურ და პირად ურთიერთობათაგან, რაც ასე ძლიერია სოფლად⁴.

ამრიგად, წარმოების კაპიტალისტური წესის არსებობის პირობებში მიგრაციის არსის გაგება ხალხთმოსახლეობის მარქსისტულ კანონს უკავშირდება (შედარებითი ქარბი მოსახლეობის წარმოქმნის ობიექტური პროცესი), აგრეთვე, სოფლად ძველ საწარმოო ურთიერთობათა რღვევას, მანქანური ინდუსტრიის განვითარებას, შრომის ახალ დანაწილებათა ფორმირებას.

სოციალიზმის პირობებში ახალ წარმოებით ურთიერთობათა ბაზაზე წარმოქმნილი სოციალურ-პროფესიული მობილობის დიდი შესაძლებლობები მიგრაციათა ფორმების რთულ კომპლექსებს წარმოქმნიან, რომელთა შესწავლა მხოლოდ ეკონომიური, ან გეოგრაფიული თვალთახედვით არ არის საკმარისი. ბოლო წლებში საბჭოთა საზოგადოებრივ მეცნიერებაში ინტენსიურად მუშავდება მიგრაციის ეკონომიური, გეოგრაფიული და სოციალური ასპექტები.

მოსახლეობის მიგრაციის თანამედროვე მრავალწახანაგოვანი პროცესის საფუძველი მიინც წარმოებაა. ი. კოზირევი მართებულად შენიშნავს, რომ მოსახლეობის ხშირი ადგილგადანაცვლება (подвижность) ადამიანთა საზოგადოების გარდამქმნელ მოქმედებათა გამოხატვის აბსოლუტური ფორმაა, ამასთან კაცობრიობის ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე საწარმოო ძალების პროგრესული განვითარების მთავარი პირობაა⁵.

ი. კოზირევი საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა მიხედვით გვიხსნისათებს მოსახლეობის ხშირი მოძრაობის (подвижность) ბუნებას.

სოციალიზმის პირობებში მოსახლეობის მიგრაციის თეორია ამჟამად ფორმირების პროცესშია, ქვეყნდება საყურადღებო გამოკვლევები⁶. საბჭოთა კავშირის მსხვილ სამეცნიერო ცენტრებში კომპლექსურად შეისწავლება მიგრაციის კონკრეტული და ზოგადი საკითხები, რაც ხელს შეუწყობს მიგრაციის კონცეფციის შემუშავებას; ამას კი დიდი პრაქტიკული ღირებულება ექნება.

სოფლის მოსახლეობის მიგრაციის მეცნიერული კონცეფციის შემუშავებისათვის სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვს ლ. ი. ბრეჟნევის გამონათქვამს: „სოფელში ახალი და სულ უფრო რთული ტექნიკის — მძლავრი ტრაქტორების, ავტომანქანების მიღება, გლეხთა კეთილდღეობის ზრდა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების თანდათანობით გაუმჯობესება სასოფლო-სამეურნეო შრომას უფრო მიმზიდველს, საინტერესოს ხდის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, საშუალებას აძლევს მას შეიძინოს მაღალი კვალიფიკაცია. ამის შედეგად სოფლის ახალგაზრდობა, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უფრო ხალისით რჩება ახლა სამუშაოდ სოფელში — ეს დადებითი ტენდენციაა, მას ყოველწლიურად უნდა დაეუჭიროთ მხარი, მით უმეტეს, რომ სასოფლო-სამე-

⁴ ე. ლენინი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 681, 682, 683.

⁵ Ю. Н. Козырев, Введение в общую теорию подвижности населения, Сб. «Вопросы теории и политики народонаселения», М., 1970, გვ. 37, 38.

⁶ Миграция сельского населения, под редакцией Т. И. Заславской, М., 1970; В. Переведенцев, Миграция населения и трудовые проблемы Сибири, Новосибирск, 1966.



ურნეო წარმოების განვითარება მოითხოვს სოფლის კვალიფიციური კადრების მომზადების გაფართოებას⁷.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა, რომ არცთუ იშვიათად მიგრაციული ძვრები არ შეესაბამება საზოგადოებისა და პიროვნების განვითარების ინტერესებს. ანალოგიური შემთხვევები ჩვენს რესპუბლიკაშიც შეინიშნება, მაგალითად, საქართველოს მთიდან ბარში ორგანიზებული სასოფლო-სამეურნეო ჩასახლებები ზოგჯერ არ ამართლებს მიზანდასახულობას. ახალი სასოფლო-სამეურნეო რაიონების აღმოცენება საზოგადოების ბუნებრივ-ისტორიული განვითარების თანმხლები მოვლენაა და მას კონკრეტულ შემთხვევაში ზოგადთან ერთად ლოკალური მიზნებიც განსაზღვრავს. ახალი წარმოების მოწყობა სხვა გარემოდან შრომითი რესურსების მიზიდვასაც მოითხოვს, რაც უშუალოდ უკავშირდება მოსახლეობის ადგილგადანაცვლების სოციალ-ეკონომიურ პრობლემებს. სასოფლო-სამეურნეო ჩასახლებები, როგორც პროგრესული მოვლენა სახელმწიფოებრივი ღონისძიებების არეალში მოექცა და სახალხო მეურნეობის განვითარებისა და ხალხის ცხოვრების მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლების მიზნებს დაუკავშირდა. სასოფლო-სამეურნეო გეგმიური მიგრაციების პრაქტიკული საკითხები სოციალ-ეკონომიურ პრობლემათა რიგისაა, რომელსაც მიზეზ-შედეგის თვალსაზრისით, სპეციალური შესწავლა ესაჭიროება.

საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის რთული მექანიზმის ახსნა, როცა პიროვნების ჰარმონიული განვითარება საზოგადოებრივი პროგრესის პირობაცაა და მიზანიც, ორგანიზებული მიგრაციის დროს ცენტრალურ პრობლემად დგება.

ჩვენი დროისათვის დამახასიათებელია მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა განუწყვეტელი ზრდა; ამავე დროს, უმუშევრობის ლიკვიდაციის პირობებში ადამიანს დასაქმების დიდი არჩევანი მიეცა. პიროვნების მობილურობა ობიექტურ მოვლენად იქცა და რამდენაღმე სტიქიური ხასიათი მიიღო. წარმოების სოციალისტური წესი ამ პროცესის დასაბუთებული გეგმიური წარმართვის საფუძველს იძლევა. ორგანიზებულ ჩასახლებას საქართველოში, სადაც ყოველი ისტორიულ-გეოგრაფიული რაიონისათვის ტრადიციულად ჩამოყალიბებული საწარმოო გამოცდილებათა სისტემა გვაქვს, მეცნიერულად უნდა მივუდგეთ. მთიდან ბარში მოსახლეობის გადმოყვანის დროს წინასწარ უნდა იქნეს შესწავლილი ძველი საცხოვრებლის სოციალ-ეკონომიური და კულტურული აქტივინაციის შესაძლებლობები, რაც შედარებული უნდა იქნეს ახალ საცხოვრებელში მოსალოდნელ სოციალ-ეკონომიურ შედეგებთან⁸.

ამრიგად, მოსახლეობის მიგრაციის რეგულირება და რაციონალიზაცია პიროვნებათა ქცევის ნორმირებას კი არ გულისხმობს, არამედ სოციალ-ეკონომიურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო სფეროებში ახალ მიდგომათა გამო-

⁷ სკვპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას, ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდიანის ახანავ ლ. ი. ბრეცნევის მოხსენება 1971 წლის 30 მარტს, სკვპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 94.

⁸ М. Гегешидзе, А. Кацадзе, Культурно-исторические аспекты современных процессов внутренних миграций населения Грузинской ССР, «Материалы Всесоюзной научной конференции по проблемам народонаселения Закавказья», Ереван, 1968, гв. 229, 230.

ყენებას, კომპლექსური ბუნების ახალ ღონისძიებათა გატარებას, როდესაც საზოგადოების ბუნებრივ-ისტორიული განვითარების გზაზე ყოველგვარ გადმონაშთურ თუ ახლადწარმოქმნილ ანომალიათა კატეგორიული უკუგდებით სოციალურ ქცევათა სისტემა უაღრესად რაციონალური, რეალურად პროგრესული და ჰემოარითად ჰუმანური იქნება. ყოველივე ეს კი განვითარებული სოციალიზმის პირობებში გარანტირებულია.

მიგრაციული პროცესები, როგორც საზოგადოების სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარების თანმხლები მოვლენა ქართველ მეცნიერთა ყურადღებას ყოველთვის იპყრობდა.

ჩვენი კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევა საქართველოს მთის მოსახლეობის ადგილგადანაცვლებას შეეხება, ამიტომ მსჯელობა, ძირითადად, ამ ზონის მიგრაციულ ძვრებს დაუკავშირდება.

ქართულ ისტორიულ, გეოგრაფიულ და ეკონომიურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრებები და წამოყენებულია კონცეფციური ხასიათის დებულებები მოსახლეობის მიგრაციის არსებით საკითხებზე.

საქართველოში მიგრაციული პროცესების მეტად მნიშვნელოვან მხარეებს ეხება ქართველთა ეთნოგენეზის საკითხებისადმი მიძღვნილი ი. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და გ. მელიქიშვილის ცნობილი გამოკვლევები; ამ ნაშრომებში ეთნიკურ გაერთიანებათა რთული პროცესები მიგრაციულ ძვრებსაც უკავშირდება⁹.

ძვ. წ. I და ახ. წ. I საუკუნეებში, კოლხეთში, მოსახლეობის მთიდან ბარში ჩამოსახლების ინტენსიურ პროცესებზე ყურადღებას ამახვილებს გ. მელიქიშვილი¹⁰.

ნ. ბერძენიშვილი სინანულით აღნიშნავდა, რომ მიუხედავად საკმაო ფაქტური მასალის არსებობისა, ისტორიულ საქართველოში მოსახლეობის ადგილმონაცვლეობის სპეციალური, მონოგრაფიული შესწავლა არავის უცდია. იგი რამდენიმე წერილში¹¹ გამოთქმული ფრაგმენტული მოსაზრებების საფუძველზე საინტერესო კონცეფციას გვთავაზობს ისტორიულ საქართველოში, კერძოდ, საქართველოს მთიდან ბარში და პირიქით მოსახლეობის მექანიკური მოძრაობის კანონზომიერებათა შესახებ:

1. მოსახლეობის ადგილგადანაცვლება დამახასიათებელია არა მარტო ფეოდალური, არამედ წინაკლასობრივი (გვაროვნული, სამხედრო დემოკრატიული) საზოგადოებისთვისაც.

2. ფეოდალურ საქართველოში მოსახლეობის მოძრაობის ანალიზი ადასტურებს მოვლენის კლასობრივ ხასიათს.

⁹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950; გ. მელიქიშვილი, საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965; ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარნი, შრომები, ტ. 3, თბ., 1955.

¹⁰ გ. მელიქიშვილი, ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა ძვ. წ. 11—1 საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970, ტ. 1, გვ. 482; იქვე, საქართველო ახ. წ. I—III საუკუნეებში, გვ. 540, 547.

¹¹ ნ. ბერძენიშვილი, ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიცია 1932 წ. (დღიური), საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, 1964; მისივე, ზორჯომის ხეობა (დღიური, 1947 წ.), საქ. ისტ. საკითხები, I, 1964; საქართველოს ისტორია XIII—XIX სს. კონსპექტი, საქ. ისტ. საკითხები, II, 1965.

3. მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობაში ისტორიულად ორი ეპოქა გამოიყოფა, მთა ბატონობს ბარზე და პირიქით.

4. უცხოელთა შემოსევების შედეგად ხდებოდა ძლიერი ეთნიკური შერწყმა-გადაადგილებანი.

5. მთისა და ბარის მოსახლეობის მკიდრო კონტაქტისა და შერწყმის არეალია ზეგანი.

6. ფეოდალური საქართველოს კრიზისის მომასწავებელია ამ ფორმაციისათვის არასპეციფიკური მოვლენა — ტყვეებით ვაჭრობა, რაც ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილის განთესვას ხელს უწყობდა.

XIX საუკუნის სამრწველო და საქალაქო ცხოვრების განვითარების საკითხების კვლევის დროს ე. ხომტარიამ საგანგებოდ გააანალიზა სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის მიგრაციული პროცესები¹².

ამავე საუკუნის სოციალ-ეკონომიური განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ შრომებში საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული პროცესების კონკრეტულ საკითხებზე საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამენ პ. გუგუშვილი¹³, მ. დუმბაძე¹⁴, ა. ბენდიანიშვილი¹⁵ და სხვ.

გ. ჩიტაია მთიდან ბარში მოსახლეობის მიგრაციას უკავშირებს ალპური ლანდშაფტის მეურნეობის თავისებურებებს, კერძოდ, მთური მეურნეობის პირობებში მთის ჭარბი მოსახლეობის ბარში ჩამოსახლების ობიექტურ აუცილებლობას¹⁶.

პ. გუგუშვილი საქართველოს მთიდან ბარში მოსახლეობის ჩამოსახლების საქმეში ვაჟა-ფშაველას ღვაწლის შეფასების დროს იზიარებს და ავითარებს კონცეფციას, რომ საჭიროა მთიდან ბარში ჭარბი მოსახლეობის მიგრაციის სტიმულირება, რაც ნებჰყოფლობისა და თვითშერჩევის პრინციპით უნდა განხორციელდეს; ამასთან არ არის მიზანშეწონილი სასოფლო დასახლების მთლიანი ლიკვიდაცია¹⁷.

ქართველ ისტორიკოსთა და ეთნოგრაფთა ნაშრომებში, საველე-საექსპედიციო მასალებში უხვად მოიხილება ცნობები მოსახლეობის შინაგანი მიგრაციების შესახებ; დასტურდება მრავალი საყურადღებო მოვლენა, ფაქტი და გამოთქმულია ანგარიშგასაწევი მოსაზრებები.

მკვლევარი ნ. ვოლკოვა მდიდარი მწიგნობრული და საარქივო მასალების საფუძველზე XIX—XX საუკუნეებში მოსახლეობის მექანიკური მოძრაობის (მათ შორის, მთიდან ბარში) მთელ რიგ ფაქტებს გადმოგვცემს¹⁸. მიგრაციული

¹² ე. ხომტარია, მიგრაციული პროცესები XIX ს. საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XX სამეცნიერო სესიაზე წაკითხული მოხსენების თეზისები (1971 წ.).

¹³ პ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1941, გვ. 27, 47—61.

¹⁴ მ. დუმბაძე, დას. საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957, გვ. 389—390.

¹⁵ ა. ბენდიანიშვილი, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება სოფელში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970, ტ. V, 357.

¹⁶ გ. ჩიტაია, ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, ენიმკის მოამბე, IV, 1931, გვ. 284; მისივე, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, „მიომხილველი“, 1, 1949, გვ. 365, 366.

¹⁷ პ. გუგუშვილი, საქართველოს მოსახლეობა 160 წლის მანძილზე (1800—1959), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII—XIII, თბ., 1963, გვ. 381.

¹⁸ Н. Г. Волкова, Этнические процессы в Закавказье в XIX—XX вв. Кавказский этнографический сборник, IV, М., 1969.

პროცესი, როგორც სოციალ-ეკონომიური მოვლენა მისი კვლევის მიზანს არ შეადგენს.

საქართველოს მოსახლეობის, კერძოდ, მთის მოსახლეობის სისტემურ მეცნიერულ კვლევას საფუძვლიანი ეკონომიურ-გეოგრაფიული გამოკვლევები მიუძღვნა ვ. ჯაოშვილმა. დიდად საყურადღებოა მისი შემაჯამებელი მონოგრაფია¹⁹.

იგი საქართველოს მთიდან ბარში მოსახლეობის მიგრაციის არსებით ფაქტორად მთის პირობებში დასაქმების დიდ შეზღუდულობას მიიჩნევს; ამასთან, მთაში დანაწევრებული რელიეფისა და მკაცრი კლიმატის გამო გამორიცხულია სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია, გართულებულია ბარის განვითარებულ რაიონებთან სამომავლო კავშირები. ვ. ჯაოშვილი არკვევს პროცესის სოციალ-ეკონომიურ ბუნებას, იძლევა ფაქტობრივი მასალის ანალიზს (XVIII ს. ბოლო — XX ს. 60-იანი წლები) და ქართულ მასალაზე წარმოგიდგენს მიგრაციის განსხვავებული ფორმების მწყობრ კლასიფიკაციას.

ამრიგად, საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული პროცესების სოციალ-ეკონომიური შესწავლა საზოგადოებრივი მეცნიერებების პრობლემატიკაში მკვიდრდება, რაც, ამვე დროს, ახალ კომპლექსურ მიდგომათა ფართო და დასაბუთებულ გამოყენებას გულისხმობს.

ხალხთმოსახლეობის, კერძოდ, მოსახლეობის მიგრაციის საკითხების კონკრეტული სოციოლოგიური კვლევა საბჭოთა მეცნიერების ინტერესთა წრეში უკანასკნელ წლებში მოექცა; საქართველოში კი კვლევის ეს სფერო უფრო ახალგაზრდაა. ისტორია, დემოგრაფია, სოციოლოგია, ეკონომიური გეოგრაფია, სოციალური მედიცინა, ეთნოგრაფია მეცნიერების ის დარგებია, რომელთა გზა-შესაყარზე წარმოიქმნა ახალი საკვლევე სფერო — ხალხთმოსახლეობა. ამასთან აღსანიშნავია, რომ მიგრაცია საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის კვლევის უშუალო სფეროშიც შედის: ისტორიის ყურადღებას მიგრაცია იქცევს, როგორც წარსულში მომხდარი ფაქტი, ისტორიული მოვლენა. ეკონომიკას ის აინტერესებს ქვეყნის ეკონომიური განვითარების, შრომითა რესურსებით სახალხო მეურნეობის შეუფერხებელი უზრუნველყოფის თვალსაზრისით; დემოგრაფია მიგრაციას იხილავს მოსახლეობის მექანიკური მოძრაობის ისეთ ფორმად, რომელიც სქეს-ასაკობრივ და სოციალურ სტრუქტურებში ცვლილებებს იწვევს; ეკონომიური გეოგრაფია აღნიშნულ პროცესებს განიხილავს მოსახლეობის გეოგრაფიული განაწილების (განსახლების) თვალსაზრისით, საწარმოო ძალების, მეურნეობის დარგების განვითარება-გადაადგილების მოვლენებთან, აგრეთვე, სხვა რიგის სოციალ-ეკონომიურ საკითხებთან კავშირში; არქეოლოგიაში და ეთნოგრაფიაში მოსახლეობის მექანიკური მოძრაობის საკითხები დგება კულტურათა ურთიერთგავლენის, ან ურთიერთმიმართების გარკვევის დროს; ყურადღება ექცევა მიგრაციის შედეგად წარმოქმნილ ეთნიკურ პროცესებს, რასაც მოსახლეობის გადაადგილება იწვევს ხალხის ყოფსა, მეურნეობის გაძლიერების ტრადიციულ ჩვევებსა და სულიერ ცხოვრებაში. ანთროპოლოგია მიგრაციული მოვლენების არსის გაგებას იმ შორეული პროცესების წვდომისათვის იყენებს, რომელიც ხსნის ადამიანთა დიდ გაერთიანებათა ლოკალურ ფიზიკურ-სომატურ თავისებურებებს და ზოგად ბიოლოგიურ კანონზომიერებებს, რაც, ბევრ შემთხვევაში, ეთნოგენეზის პრობლემებსაც ეხ-

¹⁹ В. Ш. Джаошвили, Население Грузии, Тб., 1968.



მაურება. კრიმინოლოგია მიგრაციას დანაშაულის სტრუქტურისა და ინტენსივობის ცვლილებების თვალსაზრისით აფასებს; სოციალური ფსიქოლოგია მიგრაციას სოციალური ქცევის იმ ასპექტით განიხილავს, რომელიც მოტივაციის სფეროს განეკუთვნება; ფილოსოფია ამ მოვლენას საზოგადოების განვითარების ზოგად კანონზომიერებათა წრეში მოაქცევს.

უკანასკნელ წლებში კონკრეტულ სოციოლოგიური მიდგომა მიგრაციის კომპლექსური შესწავლის არსებით ნაწილად იქცა.

მიღებულია, რომ კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის დროს საჭიროა საკვლევი ობიექტის ზუსტი შემოფარგვლა, პროგრამის შემუშავება, სამუშაო ჰიპოთეზის დადგენა, სასმარ კონცეპტუალურ ცნებათა აპარატის სისტემატიზაცია, მოვლენის მყარი და ცვლადი მაჩვენებლების კონკრეტიზაცია, მობოვებული სოციალური ინფორმაციის რეპრეზენტატულობა — სანდოობა და მასალის მათემატიკურ-სტატისტიკური დამუშავების სიზუსტე. დასკვნების საიმედოობა დამოკიდებულია კვლევის ყველა რგოლში თანამედროვე სამეცნიერო მეთოდოლოგიურ მოთხოვნილებათა დონის უზრუნველყოფაზე. მოსახლეობის მიგრაციის მრავალფეროვან ფორმათა, მათი შინაგანი სტრუქტურების და სტრუქტურის ელემენტთა ურთიერთმიმართების გამოვლინება და მიგრაციის ფიქსირებულ ფორმათა სისტემის მეცნიერული გააზრება კონკრეტულ სოციოლოგიაში სრულდება დოკუმენტური, სტატისტიკურ აღწერათა მასალების და საზოგადოებრივი აზრის სპეციალური კვლევის ბაზაზე. მოსახლეობის მიგრაციის კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის შედეგად უნდა გამოვლინდეს: მიგრაციული ნაკადების მიმართულებები (სოფლიდან სხვადასხვა სიდიდისა და ფუნქციური მქონე ქალაქში, ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან სოფელში, რესპუბლიკათშორისო მიგრაციული კავშირები), მიგრაციის ფაქტორები და მოტივები (მიგრაციული ქცევის სოციალ-ეკონომიურ პირობათა კომპლექსი, სოციალურ სტრუქტურათა ფორმირება); მიგრანტთა სქეს-საკომპლექსი, სოციალურ სტრუქტურათა ფორმირება); მიგრანტთა სქეს-საკომპლექსი, სოციალურ სტრუქტურათა ფორმირება); მიგრანტთა ძველ და ახალ საცხოვრებელში მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიულ სტრუქტურებში მომხდარი ცვლილებები; პოტენციური მიგრაციული ძვრები.

მიგრაციული მოვლენა ისტორიული კატეგორიაა, ამიტომ ზემოთქმული მოვლენები დიდი და მცირე სოციალური ჯგუფების ფუნქციონირების ცვლილებების მიხედვით უნდა შევადგასოთ და დაუკავშიროთ როგორც მთლიანად საზოგადოების, ისე ლოკალური განვითარების ისტორიულ გზას.

ქართველი ხალხის, როგორც სოციალური ორგანიზმის, ფუნქციონირება სხვა არსებით მხარეებთან ერთად, აკრეფვე, მთისა და ბარის მოსახლეობის ისტორიულ და დღევანდელ ერთიანობაში უნდა განვიხილოთ; აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოსათვის ნიშანდობლივია ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების მიხედვით რეგიონალურ თავისებურებათა მდიდარი სოციალ-ეკონომიური და კულტურულ-ისტორიული კომპლექსები, რომელთა სახეცვლა მეტ-ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობს.

მთის რეგიონებში კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის ჩატარების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ეკოლოგიურ სისტემათა ფუნქციონირების ადგილობრივი თავისებურებები. მოსახლეობის მიგრაცია იმ ურთიერთგანმსაზღვრელი მოვლენების ნაყოფია, რომელთა ფესვები კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიურ სიტუაციაშია საქმნი. სვანეთი, ლეჩხუმი, ქვემო და ზემო რაჭა, ზემო იმერეთი, ხევი, მთიულეთ-გუდამაყარი, ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი, თიანეთი,

მთიანი ქართლი, აჭარის მთიანეთი, მესხეთი — შეიძლება მივიჩნიოთ ეკოლოგიურ სისტემებად, რომელთაც განვითარების ზოგად კანონზომიერებებთან ერთად მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებიც აქვთ; ივულისხმება ბუნებრივ და საზოგადოებრივ-საწარმოო განვითარების ისტორიულად ჩამოყალიბებული სისტემები. ასე, მაგალითად, ზოგან სამარწველო-ეკონომიური განვითარების ინტენსიფიკაციის შედეგად ტრადიციული სამეურნეო-საწარმოო სისტემის ძლიერი ვარდაქმნა, ტრანსფორმაცია ხდება (ზემო იმერეთი); ზოგან, სადაც ასეთი განვითარება გამოირიცხულია და ამასთან შეფერხებულია მთური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ტრადიციული განვითარება, ეს სისტემა თანდათან ირღვევა (რაჭა-ლეჩხუმი); ზოგან ძველთაგან მომდინარე სისტემა ძირითადად ინერციულად, ავტომატურად ფუნქციონირებს (სვანეთი, მთიულეთ-გულდამაყარი, ფშავესურეთი); ზოგან კი საწყისში თვითრეგულირების, შემდეგ კი მთლიანი მიგრაციის გზით, სავსებით დაირღვა ძველი და წარმოიქმნა სრულიად ახალი ტიპის სამეურნეო-საწარმოო სისტემა (თუშეთი-ალვანი).

სოციალიზმის პირობებში ინდუსტრიისა და კულტურის დაჩქარებული განვითარების კერების მეტ-ნაკლები დამორება საქართველოს მთის რაიონების მოსახლეობის მიგრაციულ პროცესებზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს. ინდუსტრიული წარმოებისაგან განსხვავებული მანძილით დამორებული, მაგრამ დაახლოებით ერთიდაიგივე სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესაძლებლობების მქონე მსგავსი ბუნებრივ-გეოგრაფიული რეგიონების შედარება (მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმი და ზემო იმერეთის ჭიათურის მიმდებარე სასოფლო ზონა) გვარწმუნებს, რომ ქანქარული მიგრაციის წარმოქმნელი ინდუსტრიული წარმოება ახლომდებარე სასოფლო დასახლებებში მოსახლეობის სოციალ-ეკონომიურ აქტივობის იწვევს, რაც გონივრული ორგანიზაციის პირობებში ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის კოორდინაციულ გადაწყვეტას, აგრეთვე ნორმალური დემოგრაფიული და პროგრესული სოციალური სტრუქტურების ფორმირებას. გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ რაც უფრო ინტენსიურია ქანქარული მიგრაციული პროცესი, მით უფრო სუსტია მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის ტენდენცია.

მიგრაციის ამა თუ იმ ფორმის არსებობა რომელიმე რეგიონში არ არის შემთხვევითი, არამედ საზოგადოებრივი განვითარების გარკვეული დონის ერთ-ერთი კონკრეტული გამოხატულებაა.

მთის ზოგიერთი რეგიონი, სადაც ისტორიულად მიგრაციის სეზონური ფორმა იყო გაბატონებული და სოციალისტური საზოგადოების განვითარების ინტენსიფიკაციის ფონზე პერიფერიაში მოექცა — ერთგვარად ჩამორჩა საერთო ეკონომიურ-კულტურულ წინსვლას; ამ გარემოში სეზონური მიგრაციის ინტენსივობა თანდათან შესუსტდა, ჩამოყალიბდა მუდმივი მიგრაციული მიზიდულობის კერები, რამაც შეარყია ადგილობრივი დემოგრაფიული სტრუქტურები, წარმოშვა დემოგრაფიული ანომალიები, როგორც მაგალითად, მოსახლეობის დაბერების კოეფიციენტის ზრდა, შობადობის მკვეთრი შემცირება და სხვ.

მუდმივი მიგრაციული ძვრები შეეხო საშუალო, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას და გამოვლინდა როგორც ინდივიდუალური, ისე ოჯახით მიგრაციაში. გარკვეული პროფესიის დაუფლების მიზნით უმაღლესი, საშუალო სპეციალური ან პროფესიული განათლების მიღების სურვილი სოციალური

ქვეყნის სტერეოტიპად ჩამოყალიბდა, რომლის სტაბილიზაცია ერთნაირი სიძლიერით მიმდინარეობს მთისა და ბარის მოსახლეობაში. მიგრაციულ ფაქტორთა შორის არსებითია დასაქმების სფეროს შეზღუდულობა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დაბალი დონე, ადგილზე სოციალურ-პროფესიული დაწინაურების მცირე შესაძლებლობები.

ცხადია, საქართველოს მთის მოსახლეობის მიგრაციის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგების გათვალისწინებამ ხელი უნდა შეუწყოს რესპუბლიკაში მოსახლეობის რაციონალურ განაწილებას, ისტორიულ-გეოგრაფიული რაიონების სოციალ-ეკონომიურ და კულტურულ აქტივიზაციას, სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურების ოპტიმიზაციას.

1970 წელს ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კონკრეტულ-სოციოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი პროფ. მ. გეგეშიძე) სვანეთში მოიპოვა მიგრაციული პროცესების ამსახველი ემპირიული მასალები (დოკუმენტური, სტატისტიკური, გამოკითხვითი). მკითხველს ვთავაზობთ დამუშავებული მასალის ერთ ნაწილს.

მიგრაციული ბინდენციები სვანეთში

(ანკეტა-ინტერვიუს გზით მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები)

შესაბამის რაიონულ სტატისტიკურ არქივებში დაცული მოსახლეობის აღწერის მასალების მიხედვით მესტიის რაიონში 1970 წლის დასაწყისში ცხოვრობდა 17 801 სული (1959 წლის აღწერის მიმართ 105,9%), ხოლო ლენტეხის რაიონში — 13 479 (1959 წლის აღწერის მიმართ 94,9%). დროის აღნიშნულ მონაკვეთში ზემო სვანეთის მოსახლეობა, მცირე მასშტაბის მიგრაციის მიუხედავად, გაიზარდა, მაღალი დონის შობადობის მეოხებით; ქვემო სვანეთში კი, მიგრაციის შედარებითი ინტენსივობის გამო, მოსახლეობამ იკლო.

სვანეთში მოსახლეობის დინამიკის საყურადღებო სურათია წარმოდგენილი ა. ჩარკვიანის, ვ. ჯაოშვილის და მ. შენგელაიას²⁰ შრომებში.

უქანასკნელ წლებში საქართველოს მთიდან ბარში მოსახლეობის მიგრაციამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. აღნიშნული პროცესი ერთგვარად სვანეთსაც შეეხო, რასაც ადგილობრივი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით მიღებული პოტენციური მიგრაციის ამსახველი მონაცემებიც ადასტურებს.

მეთოდება

სვანეთი ისტორიულ-გეოგრაფიულად დანაწევრებულია: ბალსქვემო, ბალსზემო და ქვემო სვანეთი. თითოეულ დასახელებულ მიკრორეგიონში შეირჩა დამახასიათებელ დასახელებათა ჯგუფი — ბალსქვემო სვანეთისათვის ნაკრა, ქუბერი, ბეჩო; ბალსზემო სვანეთისათვის: მესტია, იფარი, უშგული; ქვემო სვანეთისათვის: ლაშხეთი, ლენტეხი, რცხმელური, ხელედი; თითოეულ დასახელებათა ჯგუფში მექანიკური 20%-იანი შერჩევითი წესით, ოჯახების მიხედვით, მოპოვებულია პირველადი სოციალური ინფორმაცია, რისთვისაც

²⁰ ა. ჩარკვიანი, სვანეთი, თბ., 1967, გვ. 28; ვ. ჯაოშვილი, მ. შენგელაია, სვანეთის მოსახლეობა, კრებ. „მაღალმთიანი რაიონების ეკონომიურ-გეოგრაფიული ნარკვევი“, თბ., 1970, გვ. 65.

გამოყენებულ იქნა სპეციალურად შედგენილი ანკეტა-ინტერვიუ. გარდა ერთ-გეაროვან კითხვებზე პასუხებისა, მიღებულია მდიდარი დამატებითი მასალა. გამოკითხულ იქნა ბალსქვემო — 98, ბალსზემო — 196, ქვემო სვანეთში — 125; სულ — 419 კაცი (რესპოდენტი) ოჯახის უფროსი.

რებრუნენტატულობა მიღწეულია სქეს-ასაკობრივი შედგენილობის, სოციალურ-პროფესიული ჯგუფის, განათლების დონის მაჩვენებლების მიხედვით.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზანი მიგრაციული ტენდენციის გარკვევა იყო, მაგრამ დემოგრაფიული სიტუაციის სხვა მომენტებსაც ითვალისწინებდა (ბუნებრივი მატება, ოჯახის ზომა და სხვა).

ანკეტა-ინტერვიუს საშუალებით მოპოვებულ სოციალურ ინფორმაციაში უნდა ასახულიყო თავისი საცხოვრებლით მოსახლეობის კმაყოფილების ხარისხი როგორც საერთოდ (ზოგადად), ისე საცხოვრებლის მახასიათებელთა კომპლექსის ცალკეული ელემენტების მიხედვით; კომპლექსში გაერთიანდა 10 ძირითადი მახასიათებელი, რაც, თავის მხრივ, 4 ერთგეაროვან ჯგუფად დანაწილდა:

- ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოპირობები (კლიმატი, სასმელი წყალი).
- საარსებო-ეკონომიური პირობები (სოფლის მეურნეობის პროდუქცია, დასაქმების შესაძლებლობა, ბაზართან სავაჭრო კონტაქტი).
- კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ფუნქციონირება.

სატრანსპორტო მომსახურება, ელექტროფიკაცია, რადიოფიკაცია, კინომომსახურება, სასკოლო მშენებლობა, ჯანმრთელობის დაცვის კერები და სხვ.

- დ) გარესარაიონო ურბანიზირებულ გარემოსთან კონტაქტი.

საცხოვრებლით კმაყოფილება შეფასდა სტატისტიკური ინდექსების გაანგარიშებით; (ბალური შკალა (+1)-დან (-1)-მდე), კერძოდ,

ა) საცხოვრებლით ზოგადი კმაყოფილების ხარისხი გაანგარიშებულ იქნა ფორმულით:

$$i = \frac{(+1)a + (+0,5)b + (0)c + (-0,5)d + (-1)e}{N} = \frac{b-d}{N} - e^{20}$$

თითოეულ სოციალურ-პროფესიულ ჯგუფში გამოიყო 5 ქვეჯგუფი (a, b, c, d, e). N რესპოდენტთა საერთო ერთობლიობაა. a, b, c, d და e — კმაყოფილების ხარისხის დიფერენცირებულ შეფასებათა აღნიშვნებია: a — მეტად კმაყოფილი, b — კმაყოფილი, c — ნეიტრალური პასუხი, d — არ არის კმაყოფილი, e — მეტად უკმაყოფილო.

ბ) საცხოვრებლის მახასიათებელთა კომპლექსის ცალკეული ელემენტებით კმაყოფილება გაანგარიშებულ იქნა ფორმულით:


$$V = \frac{(+1)a + (0)b + (-1)c}{N} = \frac{a-c}{N}^{21}$$

²⁰ А. Здравомыслов, В. Ядов, Влияние различий в содержании и характере труда на отношение к труду, Сб. «Опыт и методика конкретных социологических исследований», М., 1965, гл. 164.

²¹ იქვე, გვ. 171.

მიღებული ინდექსები ნათლად ასახავს კომპლექსის თითოეული ელემენტით კმაყოფილების იერარქიას, რომელიც საცხოვრებლით ზოგად კმაყოფილების ხარისხთან ერთად მშობლიური საცხოვრებლის შეფასების დღევანდელ სიტუაციაზე მიგვიითებს.

ინდექსები გაანგარიშებულ იქნა ყოველი მიკრორეგიონისათვის და საერთოდ სვანეთისთვისაც (იხ. ცხრილი 1 და გრაფიკი 1).



განსხვავება სოციალურ-პროფესიული ჯგუფების მიხედვით (სასოფლო-სამეურნეო ფიზიკური შრომა, არასასოფლო-სამეურნეო ფიზიკური შრომა და გო-

საცხოვრებლის კომპლექსის ელემენტთა შეფასება
(კვალიფიკაციის დონე), სიანეთი, 1970 წ.

I ზბ.—ფიზიკური შრომა (სსოფლო-სამეურნეო)
II ზბ.—ფიზიკური შრომა (არასსოფლო-სამეურნეო)
III ზბ.—გონებრივი შრომა

საცხოვრებლის შასათ- ფუელთა ზღუდე	სტრუქტურული ელემენტები	სოციალ-ეკონომიური ზღუდეები												სიანეთი მუდანი	შასათბული ჩაღუბა
		ბალსტუმო სიანეთი				ბალსტუმო სიანეთი				ჭეშო სიანეთი					
		I ზბ.	II ზბ.	III ზბ.	საშ. ინდ.	I ზბ.	II ზბ.	III ზბ.	საშ. ინდ.	I ზბ.	II ზბ.	III ზბ.	საშ. ინდ.		
		0	5	10	15	20	25	30	35	40	45	50	55		
I ბუნებრივ-ეკონომიური პირობები	1. კლმატი I ₁	0,71	0,62	0,7	0,67	0,91	0,85	0,89	0,88	0,88	0,79	0,8	0,82	0,79	0,83
	2. სასმელი წყალი I ₂	0,8	0,78	0,85	0,81	0,9	0,91	0,95	0,92	0,9	0,91	0,87	0,89	0,87	
	3. სოფლ. მეურნეობის პროდუქცია I ₃	0,41	0,4	0,35	0,39	0,39	0,22	0,24	0,22	0,41	0,53	0,46	0,44	0,35	
II საარსებო-ეკონომიური პირობები	4. დასაქმების შესაძლვა- ლობები I ₄	-0,41	-0,55	-0,6	-0,52	-0,8	-0,41	-0,72	-0,84	-0,38	-0,21	-0,43	-0,34	-0,56	0,14
	5. ბაზარიან კონტაქტი I ₅	0,68	0,6	0,56	0,61	0,55	0,49	0,3	0,45	0,83	0,82	0,7	0,85	0,63	
III ქვეტრულ-საგანმანათ- ლებლო და საოფიცხოე- რეო დაწესებულებათა ფუნქციონირება	6. ეხის მდგომარეობა, ავ- ტოსტრ. მომსახურება I ₆	-0,23	-0,3	-0,8	-0,44	-0,3	-0,29	-0,31	-0,3	0,31	0,3	0,29	0,3	-0,15	-0,085
	7. ელქტროფიკაცია I ₇	-0,71	-0,8	-0,91	-0,82	-0,46	-0,39	-0,41	-0,42	0,78	0,78	0,71	0,78	-0,15	
	8. კულტ. საგანმ. დაწეს. მუშაობა I ₈	0,65	0,45	0,64	0,58	0,7	0,59	0,31	0,52	0,8	0,71	0,41	0,64	0,58	
	9. საოფიცხოერებო დაწეს. მუშაობა I ₉	-0,71	-0,89	-0,95	-0,85	-0,69	-0,71	-0,7	-0,7	-0,52	-0,63	0,82	-0,32	-0,62	
IV ვარესარიონო ურბანი- ზარბულ ვარემოსთან კონტაქტი	10. კალაქერ ვარემოსთან კონტაქტი I ₁₀	0,1	0,32	0,36	0,26	0,49	0,52	0,6	0,5	0,1	0,12	0,26	0,16	0,34	0,34
		62 63,2	20 20,4	16 16,4	98 100,0	99 50,5	56 28,6	41 20,9	196 100,0	69 35,2	35 28,0	21 16,8	125 100,0	419 100,0	

ნებრივი შრომა) არაა არსებითი. გონებრივი შრომის ჯგუფი ძირითადად სოფლის ინტელიგენციას წარმოადგენს, გამოსულს სასოფლო-სამეურნეო შრომის სფეროდან და ამჟამადაც მასთან საარსებოდ დაკავშირებულს. სვანეთის მოსახლეობა ძირითადად ერთგვაროვანია, რომლის სოციალურ სახეს მთის სოფლის ეკონომიკა ჰქმნის; მაგრამ ვასთავლისწინებელია წარსულშიც და განსაკუთრებით სოციალიზმის პირობებში ცივილიზაციის ცენტრებთან კავშირ-ურთიერთობის თანდათანობითი აქტივიზაცია, რაც ახალ სოციალურ ღირებულებებს აღმოაცენებს. ეს კი შეიძლება მიჩნეულ იქნეს ახალ და ძლიერ ელემენტად მიზეზთა იმ კომპლექსისა, რომელიც თანამედროვე მიგრაციული პროცესების ფორმირებას ახდენს.

საცხოვრებელი ადგილის არსებითი მახასიათებლების ელემენტებით კმაყოფილების ხარისხი მიგრაციის პოტენციურ ინტენსივობაზე მიუთითებს; სუბიექტური შეხედულებების სოციალურ ქცევად ფორმირების პროცესი კი, ჯერჯერობით, სვანეთში ტრადიციების ძლიერი ზეგავლენის გამო არაა ინტენსიური; საკუთარი ოჯახით სვანეთიდან წასვლის მსურველთა ზვედრითი წონა ბევრად ნაკლებია, ვიდრე იმათი, ვინც საკუთარი შვილების სასურველ მუდმივ საცხოვრებლად საქართველოს ინდუსტრიულ ქალაქებს მიიჩნევენ.

გონებრივი შრომის ჯგუფი, სამივე მიკრორეგიონში, კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო პირობებს უფრო კრიტიკულად აფასებს. დასაქმების შესაძლებლობები მათთვის შედარებით ნაკლებია, ამავე დროს, მათი კავშირები გარესარაიონო ურბანულ გარემოსთან უფრო აქტიურია.

მიკრორეგიონალური სხვაობები თავს იჩენს დასაქმების შესაძლებლობებში; ბალსზემო სვანეთში ეს მაჩვენებელი $i_4 = -0,84$ -ს, ბალსქვემოთ $i_4 = -0,52$, ქვემო სვანეთში $-i_4 = -0,34$, ასეთივე სხვაობაა გზის მდგომარეობისა და სატრანსპორტო მომსახურების შეფასებისას. ქვემო სვანეთს გარკვეული უპირატესობა აქვს კულტურულ-საგანმანათლებლო პირობებით და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონით.

ქალაქურ გარემოსთან კავშირი ბალსზემო სვანეთში უფრო ძლიერია მეტია-ქუთაისის საავიაციო ხაზის ფუნქციონირების გამო.

აღნიშნული სხვაობების მიღმა ზოგადად სვანეთისათვის დამახასიათებელია:

ა) მიუხედავად მკაცრი ხასიათისა, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების შეფასების მაღალი ინდექსი ($i_1 + i_2 = +0,83$).

ბ) საარსებო-ეკონომიური პირობების დადებითი დაბალი ინდექსი ($i_3 + i_4 + i_5 = +0,19$).

გ) კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მუშაობის უარყოფითი ინდექსი ($i_6 + i_7 + i_8 + i_9 = -0,88$).

დ) გარესარაიონო ურბანიზირებულ გარემოსთან კონტაქტის ზომიერი დადებითი ინდექსი ($i_{10} = +0,34$).

სვანეთის მოსახლეობა სვანეთში ცხოვრებით კმაყოფილებას აფასებს ამგვარად: ბალსქვემო — ($V_1 = +0,2$), ბალსზემო — ($V_2 = +0,17$), ქვემო სვანეთი — ($V_3 = +0,18$) (იხ. ცხრილი 2).

საცხოვრებლის შეფასება მიგრაციის მძლავრ პოტენციურ შესაძლებლობებს შეიცავს, მაგრამ დღეისათვის ანკეტა-ინტერვიუს მონაცემები სვანეთიდან მოსახლეობის გასვლის ტენდენციის შესახებ საშუალო მასშტაბზე

ცხრილი 2

საცხოვრებლის საერთო შეფასება, სვანეთი, 1970 წ.

მიკრორეგიონი	ჩვეულების რანჟირებული რივი	a	b	c	d	e	ინდექსი v
	ბალური შეფასება	+1,0	+0,5	0	-0,5	-1,0	
1. ბალსქვემო სვანეთი v_1		11	23	59	5	—	0,2
2. ბალსზემო სვანეთი v_2		15	59	104	15	3	0,17
3. ქვემო სვანეთი v_3		8	33	79	5	—	0,18
4. სვანეთი მთლიანად		34	115	242	25	3	0,18

მიუთითებს (იხ. ცხრილი 3), ბალსზემო სვანეთი ($I_1 = +0,22$), ბალსზემო — ($I_2 = +0,55$), ქვემო სვანეთი — ($I_3 = +0,33$). ბალსზემო სვანეთიდან მოსახლეობის გასვლის ტენდენცია უფრო ძლიერადაა გამოხატული. მიგრაციაში მონაწილეობის მამაკაცები სპარბობენ (71,4%). მათი საშუალო ასაკი კი უდრის 29,7.

ცხრილი 3

საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის ტენდენცია, სვანეთი, 1970 წ.

რეგიონი	ინდექსი I	რესპოდენტთა საშუალო ასაკი
1. ბალსქვემო სვანეთი I_1	0,22	33,3
2. ბალსზემო სვანეთი I_2	0,55	39,1
3. ქვემო სვანეთი I_3	0,33	34,6
4. სვანეთი მთლიანად	0,36	35,6

სტატისტიკური მონაცემების სათანადო გაანგარიშების შემდეგ ლენტეხის რაიონისათვის (ქვემო სვანეთი) გამოიყო მიგრაციის ზონები ინტენსივობის მიხედვით (1966—1970 წლები); 5 წლის მანძილზე მოსახლეობამ დაიკლო % -ში: ა) ძლიერი ზონა — ცანას სასოფლო საბჭო — 20,1%, ლენტეხის სადაბო საბჭოში შემავალი სოფლები — 15,2%, ხელედის სასოფლო საბჭო — 14,1%.

ბ) საშუალო ზონა — რცხმელურის სასოფლო საბჭო — 5,1%, ჩიხარეშის სასოფლო საბჭო — 3,1%.

გ) სუსტი ზონა — ხოფურის სასოფლო საბჭო — 1,9%, ყახუნდერის სასოფლო საბჭო — 1,8%, ჩოლურის სასოფლო საბჭო — 1,2%.

ძლიერი მიგრაციის ზონაში მოხვდა რთული რელიეფის მქონე, ძნელად-მისადგომი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მხრივ დაბალ დონეზე

ნეზე მდგარი სასოფლო დასახლებები. მიგრაციის ინტენსივობა კლებულობს იმისდაკვალად თუ ზემოაღნიშნული ფაქტორების მნიშვნელობა როგორ იცვლება უკეთესობისაკენ.

ყურადღებას იქცევს გასული მოსახლეობის დასახლების პუნქტები. ზემო სვანეთის ორივე ნაწილისათვის პირველ ადგილზეა თბილისი და მის ახლო მდებარე აგროდასახლებები (ლილო, კრწანისი); შემდეგ კი, ბალსქვემო სვანეთისათვის — სამეგრელოს რაიონები, ბალსზემო სვანეთისათვის — ქუთაისი. არის ზღვისპირეთში და გურიაში გადასვლის შემთხვევებიც.

საცხოვრებლით კმაყოფილებასთან კავშირშია რესპოდენტების მიერ გამოთქმული სურვილები კითხვასთან დაკავშირებით: „თქვენს სოფელში ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის რას ისურვებდით“. შიდარეგიონალურ სხვაობათა მიუხედავად, მიღებულია სურვილების კომპლექსის იერარქია:

1. სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესება.
2. ელექტროფიციერება.
3. სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება.
4. სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგების გაუმჯობესება.
5. ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მოწყობა (სავეჯო, საკონსერვო, ხე-ტყის დამამუშავებელი) დასაქმების შესაძლებლობათა გაზრდის მიზნით.
6. ბალნეო-საკურორტო და ტურისტული ბაზების მშენებლობის გაშლა.
7. სათიბ-საძოვრებზე მისასვლელი გზების მოწყობა.
8. საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მოწყობა (აბანო, სამკერვალო, საპარკმახერო და სხვა).
9. კულტურულ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესება (კინო-მომსახურება, ლექცია-მოხსენებები და სხვა).
10. სატელეფონო კავშირგაბმულობის მოწყობა და არსებულის გაუმჯობესება.
11. ტელეფიკაცია.
12. რადიოფიკაცია.
13. სასმელი წყლის სოფელში შემოყვანა.
14. შრომითი შეფასების მოწესრიგება კოლმეურნეობაში.

შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ თუ სეზონურ მიგრაციებს გემიურ ხასიათს მივცემთ და მოსახლეობის მიერ გამოთქმულ ზემოაღნიშნულ სურვილებს გავითვალისწინებთ, მოსახლეობის სვანეთიდან მუდმივ საცხოვრებლად გასვლის ტენდენცია საგრძნობლად შემცირდება; მაგრამ ახალგაზრდობის განათლებისაკენ სწრაფვა, როგორც ჩანს, საზოგადოების განვითარებისდაკვალად აქაც გაიზრდება, რაც, ბუნებრივია, მათ გარკვეულ ნაწილს სამუდამოდ ურბანულ გარემოს დაუკავშირებს.

სვანეთში ჰარბი მუშახელის გამოყენების პრობლემა დგას, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელი იქნება რეგიონალური თავისებურებების გათვალისწინებით; ჯერ ერთი უნდა გატარდეს პრაქტიკული ღონისძიებები სვანეთის სოციალ-ეკონომიური აქტივიზაციის მიზნით, მეორე, როგორც ჩანს, დასაქმების სეზონურობა ადგილობრივი თავისებურებაა, რის გამოც სეზონური მიგრაციები კვლავაც ვაგრძელდება. საჭირო გახდება ამ სახის მიგრაციებში გვეგუური საწყისების შეტანა. რესპუბლიკის გარკვეული რაიონები შრომითი რესურსების მკვეთრ ნაკლებობას განიცდიან და შრომითი რესურსების დროებითი გადაადგილება საერთო რესპუბლიკურ და მოსახლეობის ინტერესების შესა-

ბამისი იქნებოდა. ამავე დროს, სეზონური მიგრაციების გეგმური წარმართვა მთელ რიგ სოციალურ საკითხებს აყენებს, რაც სავანებო შესწავლასა და გადაწყვეტას მოითხოვს, მით უმეტეს, რომ სეზონური მიგრაცია უკავშირდება სოციალურ-პროფესიული მობილობის შესაძლებლობებს, რაც გეგმურობის პირობებში დადებით სოციალურ შედეგებს მოგვცემს.

სვანეთში მოსახლეობის მიგრაციის კონკრეტულ-სოციოლოგიურმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ:

1. მიგრაციას, რასაც ადრე მოსახლეობის სიჭარბის გამო სამეურნეო არეალის გაფართოების საჭიროება აპირობებდა, ამჟამად წარმართავს ახალ სოციალურ ღირებულებათა სისტემის შექმნა, რომელიც მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა კომპლექსს შეიცავს.

2. სვანეთში ისტორიულად ცნობილ სეზონურ მიგრაციებს ამჟამადაც მხოლოდ ეკონომიური ფაქტორი წარმოშობს და წარმართავს.

3. ორგანიზებული მიგრაციების შედეგად საქართველოს ბარის რაიონებში აღმოცენებულმა კომპაქტურმა სვანურმა დასახლებებმა სვანეთიდან მოსახლეობის მიზიდვის ძალა შეიძინა, რაც ადრე სვანეთისათვის დამახასიათებელი მიგრაციის ნელ ტემპს შესამჩნევად აჩქარებს, თუმცა ეს პროცესი არავითარ სოციალ-ეკონომიურ ცვლილებებს არ იწვევს სვანეთში.

4. მიგრაციის დღეს მიმდინარე პროცესებს აპირობებს არა იმდენად ეკონომიური ცხოვრების დაბალი დონე, რამდენადაც, როგორც ითქვა, ახალ სოციალურ ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბება (სწავლა-განათლებისაკენ სწრაფვა, თანამედროვე მატერიალურ და სულიერ ფასეულობებთან დაკავშირების სურვილი, ტექნიკური რევოლუციის შედეგად შექმნილი ახალი საყოფაცხოვრებო პირობებით სარგებლობისაკენ ლტოლვა და სხვა). აღსანიშნავია, რომ სოციალურ ღირებულებათა შინაარსი ბოლომდე გაცნობიერებული არაა და მისი ზოგიერთი ასპექტი სოციალურ პროვოლაციას საჭიროებს.

5. შესწავლის ობიექტი უნდა გახდეს მიგრაციის სოციალური შედეგები ახალ გარემოში, ურომლისოდაც მიმდინარე პროცესის არსის შეცნობა არასრული იქნება.

6. შიდა და გარესარაიონო მიგრაციული ნაკადები სვანეთში ტრადიციულთან ერთად ახალი მოვლენებით ხასიათდება როგორც მიმართულებების, ისე ინტენსივობისა და დემოგრაფიული მახასიათებლების ცვლილებების თვალსაზრისით.

მიგრაციის ორგანიზებულ ფორმებს მიგრანტი ახალ სოციალურ ღირებულებათა სისტემის თვალთახედვით აფასებს. აღნიშნული სახის მიგრაციებში მკვეთრად ჩანს ინდუსტრიული ცენტრებისაკენ სწრაფვა, რაც არ ემთხვევა სვანეთისათვის დაგეგმილ ადგილგადანაცვლებას.

მიგრანტთა ქცევის სოციალ-ეკონომიური მოტივაცია უთუოდ ფიზიოლოგიური ადაპტაციის შესაძლებლობებსაც ითვალისწინებს.

სტიქიურ მიგრაციაში უმეტესად ახალგაზრდობა მონაწილეობს, ეს კი, მიუხედავად სვანეთში შობადობის ერთგვარად მაღალი დონისა, დემოგრაფიული დაბერების კოეფიციენტის ზრდაზე მოქმედებს.

ბოტენციური მიგრაციის ინდექსი რეალურზე მაღალია.

ახონ ლეჟავა

**ქართველ რევოლუციონერთა მონაწილეობა ჩრდილო კავკასიაში
საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში**

1920 წლის მარტში, დენიკინელთა ბანდების განადგურების შემდეგ, ჩრდილო კავკასიაში საბოლოოდ გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ.

ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის წინაშე დაისვა გადაუდებელი ამოცანა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა. ამისათვის, პირველ რიგში, საჭირო იყო დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა და კონტრრევოლუციური ბანდების ნარჩენების ლიკვიდაცია.

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების საფუძველზე, ჩრდილო კავკასიაში დაიწყო ხელისუფლების საგანგებო ორგანოების — რევოლუციური კომიტეტების შექმნა. იგი შეიქმნა 1920 წლის 31 მარტს ვლადიკავკაეში. შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — სერგო ორჯონიკიძე, მოადგილეები — ს. კიროვი და ი. პოლუიანი, წევრები — ა. სტოპანი, ნ. ნარიშკინი, ს. გაბიევი და სხვ.¹

ბოლშევიკებმა დაიწყეს პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნა. პარტიული მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობისათვის 1920 წლის 31 მარტს ჩრდილო კავკასიის რევკომთან ჩამოყალიბდა პარტიული ბიურო ი. სმილგას (რკპ (ბ) ცკ-ის წევრი) თავმჯდომარეობით. პარტიული ბიურო ასრულებდა უმადლესი პარტიული ორგანოს ფუნქციებს თერგის ოლქში, რადგანაც ამ დროს კავკასიის სამხარეო კომიტეტი იმყოფებოდა მენშევიკურ საქართველოში არალეგალურ პირობებში და არ შეეძლო ეხელმძღვანელა ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა რაიონებისათვის.

თერგის ოლქში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების მიზნით ჩრდილოეთ კავკასიის რევკომმა 1920 წლის 8 აპრილს შექმნა თერგის საოლქო რევოლუციური კომიტეტი. მას სათავეში ედგა ბ. კვიციანი, მოადგილეები იყვნენ ტ. ელდარხანოვი და ს. ტაკოევი. სამხედრო კომისარი ნ. გიკალო შედიოდა საოლქო კომიტეტში როგორც სრულუფლებიანი წევრი². შეიქმნა აგრეთვე ოსეთის, ჩეჩნეთის, ინგუშეთისა და დაღესტნის რევკომები.

რევკომებს უნდა ეწარმოებინათ ბრძოლა კონტრრევოლუციური ბანდების წაშტებთან, გადაეკრათ სამეურნეო ამოცანები. რევკომებს პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა მოემზადებინათ და ჩაეტარებინათ საბჭოთა ორგანოების არჩევნები.

¹ Борьба за установление и упрочение Советской власти в Дагестане, 1917—1921 гг., Сборник документов и материалов, Москва, 1958, гл. 410.

² Партархив СО Обкома КПСС, г. Орджоникидзе, Ф. История партии.

ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლისა და ჭრელი ეროვნული შემადგენლობის მოსახლეობაში ფრთხილი ეროვნული პოლიტიკის გატარების სახელმძღვანელოდ, პარტიის IX ყრილობის დადგენილების შესაბამისად, რკპ (ბ) ცკ-ის პლენუმმა 1920 წლის 8 აპრილს მიიღო დადგენილება, რომლითაც შეიქმნა რკპ (ბ) ცკ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა ჩრდილო კავკასიაში რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს სახით³. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს მეთაურობდნენ ს. ორჯონიკიძე და ს. კიროვი. მასში შევიდნენ აგრეთვე ა. ნაზარეტიანი, მ. ორახელაშვილი და სხვა გამოჩენილი ბოლშევიკები⁴.

რკპ (ბ) ცკ-ის კავბიუროს შემადგენლობაში 1920 წლის მანძილზე შედიოდნენ: გ. ბელობოროდოვი, ფ. მახარაძე, ნ. ნარიშკინი, ი. სმილგა, ე. სტასოვა და სხვ.⁵

კავბიუროს შექმნა ახალი ეტაპი იყო კავკასიის პარტიული ორგანიზაციების მშენებლობაში.

რკპ (ბ) ცკ-ის დავალებით კავბიურო ხელმძღვანელობდა მთელ ჩრდილო კავკასიაში (თერგზე, დონზე, ყუბანსა და დაღესტანში), პარტიული ორგანიზაციების აღდგენასა და განმტკიცებას, პირველი სოციალისტური გარდაქმნების განხორციელებას. იგი მთელ პარტიულ მუშაობას ხელმძღვანელობდა აგრეთვე ამიერკავკასიაშიც.

რკპ (ბ) ცკ-ის კავბიუროს პლენუმმა 1920 წლის 3 აგვისტოს დაადგინა, რომ ამიერიდან იმ საკითხებს, რომლებიც ეხებოდა ჩრდილო კავკასიასა და დონს, გადაწყვეტდა არმავირის სამეული, ხოლო ამიერკავკასიისას — ბაქოს სამეული⁶.

კავკასიის ბიურომ დიდი როლი შეასრულა ჩრდილო კავკასიაში პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და კავკასიის მრავალეროვანი ხალხების მიმართ სწორი პოლიტიკის გატარების საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ უბირველეს ამოცანას წარმოადგენდა მხარის დანგრეული მეურნეობის აღდგენა. ვ. ი. ლენინი წერდა: „ვეყრდნობით რა ამ გამარჯვებას, ჩვენ მთელი ძალებით უნდა განვატკიცოთ იგი ახლა უკვე სხვა ფრონტზე, უსისხლო ფრონტზე, ნგრევის საწინააღმდეგო ომის ფრონტზე, ნგრევისა, რაც გამომწვია მემამულეებთან, კოლჩაკთან და დენიკინთან ომმა“⁷.

³ ЦПА ИМЛ, ф. 17, оп. 2, ед. хр. 30, л. 1.

⁴ П. Мосесов, В. И. Ленин об интернациональных традициях и боевом содружестве народов Кавказа, Ученый записки, т. IX, Махачкала, 1961, გვ. 38.

⁵ История КПСС, т. 3, ч. 2 (март 1918—1920 гг.), Москва, 1963, გვ. 526—527. რაც შეეხება რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტს, როგორც კავკასიის კომუნისტების რეგიონალური ორგანო, კვლავ აგრძელება თავის არსებობას კავბიუროს პარალელურად და მან თავისი საქმიანობა შეწყვიტა მხოლოდ 1920 წ. მაისში. აღნიშნულ საკითხზე ბოლო დრომდე ვაბატონებული იყო აზრი, თათქოს კავკასიის სამხარეო კომიტეტმა 1920 წ. 8 აპრილსვე შეწყვიტა არსებობა და რომ იგი გარდაიქმნა რკპ (ბ) კავკასიის ბიუროდ. ამ საკითხს ნათელი მოძღონა კობა ივანიშვიმ თავის სადოქტორო დისერტაციაში — იხ. А. М. Иванидзе, Образование и деятельность Кавказского Краевого Комитета РКП (б), (октябрь 1917 г. — май 1920 г.). Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук, Тбилиси, 1971, გვ. 67—70.

⁶ ЦПА ИМЛ, ф. 64, оп. 2, ед. хр. 1, л. 2.

⁷ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 477.

თერგის ოლქის კომუნისტებმა ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გააჩაღეს დანგრეული მეურნეობის აღსადგენად. ამ მხრივ მნიშვნელოვანია კავკასიის შრომის არმიის (Кавказская армия труда) დამსახურება, რომელიც შეიქმნა VIII არმიის ბაზაზე. მას სათავეში ჩაუდგა ი. კოსიორი.

ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიწის საკითხის გადაჭრას. 1920 წლის 19 აპრილს გამოცხადდა მთელი მიწის ნაციონალიზაცია.

1920 წლის 4 ავგისტოს გაიხსნა საბჭოების საოლქო ყრილობა, სადაც ოსეთის, ყაბარდოს, ინგუშეთის, ჩეჩნეთის და ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხების წარმომადგენლებმა, მშრომელი კაზაკების წარმომადგენლებთან ერთად, შეაჯამეს საოლქო რევკომის მიერ ჩატარებული მუშაობა და აირჩიეს თერგის ოლქის აღმასკომი 18 კაცის შემადგენლობით (თავმჯდომარე — ბ. კვიციკველია, მოადგილეები — ნ. გიკალო და ვ. ელერდოვი)⁸.

მაშინ, როდესაც ჩრდილო კავკასიის ხალხები შეუდგნენ დანგრეული მეურნეობის აღდგენას და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად კავკასიის მთებში ყალიბდებოდა კონტრრევოლუციური ჯგუფები. ამავე დროს ჯერ კიდევ არ იყო გამორიცხული მტრული ძალების შემოჭრა მენშევიკური საქართველოს მხრიდან. ცნობილია, რომ აქ თავი შეაფარეს დამარცხებულ თეთრგვარდიელთა დიდმა ძალებმა, რომლებსაც საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ფართოდ გაულოკარები. ამიტომ წითელი არმიის 28-ე დივიზიას დაევალა საქართველოს მხრიდან თერგის ოლქში მიმავალი ყველა გზის დაცვა⁹.

1920—1921 წწ. მთელ ჩრდილო კავკასიაში თითქმის მთლიანად ლიკვიდირებულ იქნა კონტრრევოლუციური ბანდები. ამ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებას ხელმძღვანელობდა სერგო ორჯონიკიძე.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის პერიოდში ჩრდილო კავკასიის ხალხებს მნიშვნელოვანი რევოლუციური დახმარება აღმოუჩინეს საბჭოთა რუსეთმა, ამიერკავკასიის მშრომელებმა და, კერძოდ, საბჭოთა ბაქოს პროლეტარიატმა, ამ ბრძოლებში მრავალი ქართველი რევოლუციონერი მონაწილეობდა. ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა გ. კ. ორჯონიკიძემ, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეს.

დენიკინელთა განადგურების შემდეგ დაღესტანში მწვავედ იდგა საკითხი მშრომელთა სურსათითა და ტანსაცმლით მომარაგებისა და დანგრეული სოფლების აღდგენისათვის დახმარების გაწვევის შესახებ. ს. ორჯონიკიძემ, ს. კიროვთან ერთად, სათანადო ზომები მიიღო. 1920 წლის აპრილის პირველ რიცხვებში მათ თხოვნით მიმართეს ვ. ი. ლენინს, „რაც შეიძლება მალე სურსათის გამოგზავნის შესახებ“.

ს. ორჯონიკიძე 1920 წლის 29 სექტემბერს დეპეშით აცნობებდა დაღესტნის რევკომს, რომ „თანახმად სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ლენინის

⁸ История Северо-Осетинской АССР, Советский период, Орджоникидзе, 1966, гл. 118—119.

⁹ ЦГАСА, ф. 109, оп. 3, ед. хр. 63, л. 33.

განკარგულებისა, დაღესტნის რევკომს მიეცა 100 მილიონი მანეთი დანგრეული აულების აღსადგენად. ამ თანხიდან 50 მილიონი დაღესტნის რევკომს მიღებული აქვს, კიდევ გასაცემია 50 მილიონი, რისთვისაც წინადადებას გაძლევეთ გაუხსნათ რევკომს 50 მილიონი მანეთი კრედიტი¹¹.

გ. ი. ლენინი მოითხოვდა, რომ საჭირო იყო კავკასიასა და ყუბანში კონტრრევოლუციური ბანდების უმოკლეს განადგურება და მას ეს მიაჩნდა „აბსოლუტურად საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ“¹².

კავბიურო, ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ამ ამოცანას. ს. ორჯონიკიძე არაერთხელ ჩავიდა დაღესტანში, სადაც ჩაატარა პასუხისმგებელ მუშაკთა და დაღესტნელ ღარიბთა თათბირები, პარტიულ ორგანიზაციას აძლევდა კონკრეტულ მითითებებს. 1920 წლის 6 ოქტომბერს იგი კვლავ ჩავიდა დაღესტანში, რათა ადგილზე გარკვეულიყო არსებულ ვითარებაში, გამოესწორებინა როგორც ადგილობრივ მუშაკთა, ისე სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული ზოგიერთი შეცდომა და მოეხდინა ყველა ძალის მობილიზაცია მტრის გასანადგურებლად.

9 ოქტომბერს სოფ. ლევაში ღარიბობის წარმომადგენელთა ყრილობაზე, რომელსაც 1000-მდე დელეგატი ესწრებოდა, ს. ორჯონიკიძემ მთიელებს განუმარტა საბჭოთა ხელისუფლების ამოცანები. იგი მიუთითებდა, რომ მათი მთავარი ამოცანაა მთიელთა თავისუფლებისა და უფლებების დაცვა მშრომელი ხალხის მტრების ხელყოფისაგან¹³.

1920 წლის 13 ნოემბერს თემირ-ხან-შურაში შეიკრიბა დაღესტნელი ხალხების საგანგებო ყრილობა, რომელმაც ადგილობრივ მშრომელებს მოუწოდა სასწრაფოდ ჩაეხშოთ კონტრრევოლუციური აჯანყება მთებში და მთელი ძალები გადაესროლა დანგრეული მეურნეობის აღსადგენად. ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა სერგო ორჯონიკიძე. მან განაცხადა: „დღევანდელი დღე დაღესტნის ისტორიაში შევა როგორც ერთ-ერთი უდიდესი დღე... როცა მოსკოვში მიღებულ იქნა ცნობა, რომ დაღესტანში აჯანყებუბა, რომ გამოჩნდნენ გოცინსკი, ალიხანოვი, რომლებსაც ეხმარებიან ქართველი მენშევიკებიო, ჩვენ ვიცოდით, რომ წითელი დაღესტანი, რომელიც ხანგრძლივ რევოლუციურ ბრძოლას ეწეოდა, თავის თავს გაამართლებდა. ჩვენ ვთქვით: დადგა დაღესტნის გამოცდის მომენტი. გოცინსკი არ იქნება სასურველი სტუმარი დაღესტნის ხალხებისათვისო. ჩვენი მოლოდინი გამართლდა. დაღესტნის წითელი პარტიზანები ჩვენს ამხანაგ წითელარმიელებთან ერთად დღეს თუ ხვალ გააძევენ გოცინსკის იქ, საიდანაც ის მოვიდა“¹⁴.

ამავე გამოსვლაში ს. ორჯონიკიძემ დაღესტნელ ხალხს მიულოცა დაღესტნის ავტონომიის გამოცხადება.

17 ნოემბერს სერგო ორჯონიკიძე გამოვიდა ვლადიკავკავში თერგის ოლქის ხალხთა ყრილობაზე და მიესალმა მთიელთა ავტონომიური რესპუბლიკის შექმნას.

საქართველოში მენშევიკების ხელისუფლების დაცემას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კონტრრევოლუციურ ძალთა განადგურებასა და კავკასიაში საბ-

¹¹ გ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. I, 1910—1926 წწ., თბ., 1957, გვ. 154.

¹² В. И. Ленин, Военная переписка, 1917—1920 гг., Москва, 1942, გვ. 108.

¹³ История Дагестана, т. III, Москва, 1968, გვ. 125—126.

¹⁴ გ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. I, 1910—1926 წწ., თბ., 1957, გვ. 166.

ქოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის. ჩრდილო კავკასიელმა კონტრრევოლუციონერებმა დაკარგეს მატერიალური და იდეოლოგიური დასაყრდენი ბაზა. „დაღესტნის ავანტიურამ, — წერდა ს. ორჯონიკიძე 1921 წლის 8 მარტს, — რომელსაც თბილისიდან აღვივებდნენ, მენშევიკური ხელისუფლების დაცემის შემდეგ მკისვე დაიწყო დამზობა გასაოცარი სისწრაფით და ამჟამად იგი თითქმის ლიკვიდირებულია“¹⁵.

1921 წლის 15 მარტისათვის ანტისაბჭოთა ამოხეზვა დაღესტანსა და თერგის ოლქში ლიკვიდირებულ იქნა. მხოლოდ ერთმა ჯგუფმა (300 კაცის რაოდენობით) ბანდის მეთაურებთან ერთად შეძლო თავი შეეფარებინა მიუვალი ხეობებისათვის, მაგრამ ისიც განადგურებულ იქნა 1921 წლის მაისისათვის¹⁶.

საარქივო მასალების სიმცირე საშუალებას არ იძლევა ყველა ქართველი რევოლუციონერის ჩრდილო კავკასიაში (თერგის ოლქსა და დაღესტანში) მოღვაწეობის სრული სურათის წარმოსადგენად. მაგრამ მათი რევოლუციური საქმიანობის თუნდაც იმ ზომით წარმოჩენა, რის საშუალებასაც ჩვენ მიერ მოპოვებული მასალები იძლევიან, უშუალოდ სასარგებლო საქმედ მიგვაჩნია.

ქართველმა რევოლუციონერებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს, ამ პერიოდში, ჩრდილო კავკასიაში კონტრრევოლუციური ბანდების ნარჩენების საბოლოო განადგურებისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში.

საქართველოს რევკომების თითქმის ყველა ხელმძღვანელი მუშაკი სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის წლებში მუშაობდა ჩრდილო კავკასიაში და ჩრდილო კავკასიის რევკომებში ხელმძღვანელი თანამდებობანი ეკავათ. მაგალითად, საქართველოს რევკომის წევრი და საქართველოში კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის საგანგებო კომისარი კ. ცინცაძე 1920 წელს იყო თერგის ოლქის რევკომის წევრი და თერგის ოლქში კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის საგანგებო კომისარი; საქართველოს რევკომის წევრი და თბილისის რევკომის თავმჯდომარე ა. გეგეჭკორი 1920 წელს მუშაობდა ვლადიკავკავის საოლქო რევკომის თავმჯდომარედ¹⁷.

ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის წარმოებულ ბრძოლებაში თავი გამოიჩინა ილია გობეჯიშვილმა. იგი აქტიურად მონაწილეობდა მტრისაგან ჩრდილო კავკასიისა და ბაქოს განთავისუფლებაში. ბაქოს განთავისუფლების შემდეგ ილია გობეჯიშვილი იგზავნება ყაზარდობალყარეთში ესკადრონის უფროსის პოსტზე. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს ყაზარდობალყარეთის ტერიტორიაზე ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში (1920 წლის აგვისტო).

1921 წლის ივნისში პარტიის საოლქო კომიტეტი ილია გობეჯიშვილს ნიშნავს ცხენოსანი რაზმის მეთაურად, რომელიც შეიქმნა ბანდიტიზმის წინააღ-

¹⁵ გ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, გვ. 222.

¹⁶ რაც შეეხება გოცინსკის, იგი კიდევ დღეხანს იმყოფებოდა მთებში, მაგრამ 1925 წელს ხელი იგდეს და სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით დახვრტეს (იხ. История Дагестана, т. III, გვ. 130).

¹⁷ И. Д. А х а л а я, Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение Советской власти (февраль 1921 г., март 1922 г.), Сухуми, 1968, გვ. 16; ა. გეგეჭკორი, საბჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის 1920 წ. 7 მაისს დაღებული ხელშეკრულების შედეგად ანთავისუფლებენ ციხიდან და ასახლებენ საქართველოდან. 1920 წლის ზაფხულში იგი ჩადის ვლადიკავკავში, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებს ქალაქის მურწუნობის აღდგენაში.

დეგ საბრძოლველად. მრავალი უძილო დამე გაატარა ი. გობეჯიშვილმა ყაბარ-დო-ბალყარეთის მთებსა და ტყეებში, ანადგურებდა რა საბჭოთა ხელისუფლების მტრების ნაშთებს. 1917—1922 წლებში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში დიდი დამსახურებისათვის იგი 1967 წელს დაჯილდოვებულ იქნა ლენინის ორდენით¹⁸.

როგორც ცნობილია, მრავალი ქართველი რევოლუციონერი იბრძოდა ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. 1919 წლის თებერვალში დენიკინელთა მიერ თერგის ოლქის დროებითი დაკავების შემდეგ, ქართველ რევოლუციონერთა დიდი ნაწილი საქართველოში გადმოვიდა, მაგრამ 1920 წლის მარტში, ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, ბევრი ქართველი რევოლუციონერი კვლავ დაბრუნდა ჩრდილო კავკასიაში და ჩაება საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის წარმოებულ ბრძოლაში. მათ შორის იყვნენ სერგო გუბელი (მემპარიაშვილი), ვასილ ელერდაშვილი, აკაკი ქავთარაძე, ალექსანდრე (ალექსი) ყამარაული, სიმონ ჯუღელი, ნოე ლეჟავა და მრავალი სხვა.

სერგო გუბელმა ბათუმის ბოლშევიკური კომიტეტის დავალებით მოახერხა ბათუმიდან არალეგალურად წასვლა და კვლავ ჩრდილო კავკასიაში გადასვლა. 1920 წლის აგვისტოში იგი ხელმძღვანელობდა პარტიზანულ რაზმს, რომელიც ვრანგელის ზურგში მოქმედებდა¹⁹.

პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ ვასილ ელერდაშვილი გაემგზავრა ვლადიკავკავში, სადაც იგი აირჩიეს თერგის ოლქის საბჭოების აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ და პრეზიდიუმის წევრად. 1920 წლის 9 აგვისტოდან 1921 წლის 26 მარტამდე მუშაობდა შინაგან საქმეთა სამმართველოს განყოფილების გამგედ²⁰.

ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდა ჩრდილო კავკასიაში კომკავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი აკაკი ქავთარაძე. იგი 1920 წლის მაისში საქართველოს ფარგლებიდან გასახლეს. აკაკი ქავთარაძე გადავიდა ვლადიკავკავში, სადაც მუშაობდა რუსეთის კომკავშირის ვლადიკავკავის საოლქო კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად. ამავე დროს იყო რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის კავკასიის ბიუროს წევრი. ვლადიკავკავიდან იგი დელეგატად გააგზავნეს კომკავშირის III ყრილობაზე. 1920 წლის ნოემბერ-დეკემბერში აკაკი ქავთარაძე მუშაობდა პარტიის თერგის საოლქო კომიტეტის მდივნად²¹.

ვლადიკავკავის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა ალექსანდრე ყამარაული, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენისათვის წარმოებულ ბრძოლებში (შემდეგ იგი მუშაობდა თერგის ოლქის კავშირგაბმულობის განყოფილების გამგედ)²².

¹⁸ Газ. «Кабардино-Балкарская правда», 1967, 24/X.

¹⁹ რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში (ბიოგრაფიული კრებული), თბ., 1961, გვ. 185.

²⁰ ЦГА СО АССР, г. Орджоникидзе, ф. 852, оп. 1, д. 62, გვ. 1—2.

²¹ Архив СОНИИ, ф. 238, папка 82, л. 33.

²² ვ. იშეღაძე, ა. ირემაძე, ს. ციციშვილი, რევოლუციის ქართველი ჭარბ-კაცები, თბ., 1961, გვ. 41—43.

ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე იმყოფებოდა აგრეთვე სიმონ ჯუღელი. იგი 1920 წლის მაისში გაანთავისუფლეს მეტეხის ციხიდან და გადავიდა ჩრდილო კავკასიაში. ს. ჯუღელი მუშაობდა ვლადიკავკაის პარტიული ბიუროს წევრად. იგი აქტიურად ჩაება ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. აქ მან ჩამოაყალიბა მედიკონის მუშაკთა პროფესიული კავშირი და არჩეულ იქნა მედსანშრომის საოლქო კავშირის თავმჯდომარედ, პროფსაბჭოსა და მუშათა და გლეხთა საბჭოს წევრად²³.

კახკთა თეთრგვარდიული ბანდების ნაშთებისაგან ჩრდილო კავკასიის სოფლებისა და სტანიცების გწმენდაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ნოე ლეჟავა²⁴.

საინტერესოა ჩრდილო კავკასიაში ალექსანდრე (სანდრო) მახარაძის მოღვაწეობა. სანდრო მახარაძე სათავეში ედგა განსაკუთრებული დანიშნულების რაზმს თერგის ოლქში, რომლის მეშვეობით კონტრრევოლუციის მრავალი ბუდე იქნა განადგურებული. სანდრო თავდადებით ებრძოდა კონტრრევოლუციონერებს მოზდოკის რაიონში. თეთრგვარდიელებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს 1920 წლის 25 ოქტომბერს, იგი და მისი მეუღლე ამალია, რომელიც მუდამ სანდროს თანამგზავრი და თანამებრძოლი იყო, გმირულად დაიღუპნენ²⁵.

ამ პერიოდში ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის წარმოებულ ბრძოლებში მონაწილე ქართველ რევოლუციონერთაგან აღსანიშნავია აგრეთვე პ. აღნიაშვილის, შ. ფალავანდიშვილის, ა. კობაიძის, ილია მგელაძის, შალვა წითლიძის, ნინო მგელაძის, ვერა ნანეიშვილის, ი. წიფწივაძის, გიორგი ჩხეიძის, თამარ მამულაშვილის (დოსხოვეა) და სხვათა მოღვაწეობა. ზოგიერთი მათგანი იმყოფებოდა სხვადასხვა ხელმძღვანელ სამუშაოზე. მაგ., ილია მგელაძე მუშაობდა ჩრდილო კავკასიაში ჯერ ჟელეზნოვოდსკის რაიონმასკომის თავმჯდომარედ, ხოლო შემდეგ პარტიის პიატიგორსკის საოლქო კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგედ. მისი მეუღლე ნინო მგელაძე კი მუშაობდა ჟელეზნოვოდსკის პარტიის რაიკომის პასუხისმგებელ მდივნად. ერთდროულად იყო საკურორტო სამმართველოს პოლიტიკური კომისარია და მუშაობას ეწეოდა ბავშვთა სახლების ხაზით²⁶.

1920 წლიდან ჩრდილო კავკასიაში დაბრუნდა ვერა ნანეიშვილი. იგი მუშაობდა პიატიგორსკში სამხარეო საბჭოთა პარტიული სკოლის გამგედ. 1921 წელს იგი გადაყვანილ იქნა დალესტანში ქალთა განყოფილების გამგედ და დალესტინის სამხარეო კომიტეტის წევრად²⁷.

შალვა წითლიძე 1920 წლის აგვისტოში, რათა თავი აერიდებინა მენშევიკური მთავრობის მხრივ დევნისათვის, სოხუმის საოლქო კომიტეტის ნებართვით გადავიდა ტუაფსეში, სადაც მუშაობდა 1920 წლის ბოლომდე პარტიულ კომიტეტში სოფლად მუშაობის განყოფილების გამგედ²⁸.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ სასურსათო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ქ. ვლადიკავკაეში იყო გიორგი ჩხეიძე²⁹.

²³ ЦПА ИМЛ, ф. 124, оп. 1, ед. хр. 585, стр. 8.

²⁴ რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში, დსახ. ნაშრ., გვ. 359.

²⁵ მ. ტ რ ა ს კ ე ლ ე ვ ი, მეთერთმეტე წითელი არმიის სახელოვანი გზა, თბ., 1960, გვ. 69.

²⁶ Государственный архив Ставропольского края, ф. 1919, оп. 1, д. 167, გვ. 2—4.

²⁷ ЦПА ИМЛ, ф. 124, оп. 1, ед. хр. 1362, ფურც. 7.

²⁸ Борцы за Советскую власть в Абхазии, Сухуми, 1965, გვ. 230.

²⁹ ЦПА ИМЛ, ф. 124, оп. 1, ед. хр. 2119, ფურც. 6.

დიდ მუშაობას ეწეოდა ჩრდილო კავკასიასა და საქართველოს მთიანეთში (ფშავში, ხევსურეთში, თუშეთში) შაქრო ფალავანდიშვილი³⁰.

ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მთიელ ქალთა შორის წერა-კითხვისა და კულტურის შეტანის საქმეში დიდ მუშაობას ეწეოდა თამარ მამულაშვილი³¹.

საინტერესო დოკუმენტს მივაკვლიეთ ჩრდილო ოსეთის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, რომელიც დათარიღებულია 1920 წლის 24 ივნისით. ესაა საოლქო რევკომის, პარტიურისა და პასუხისმგებელ მუშაკთა სხდომის ოქმი. რომელიც მიეძღვნა საქართველოდან ჩამოსულ კომუნისტთა სამუშაოზე განაწილების საკითხს. ამ დოკუმენტში მოხსენიებულია სულ 33 კომუნისტი, მათ შორის 20 ქართველი, რომელთა შორის არიან ისეთი ცნობილი რევოლუციონერები, როგორიც იყვნენ ალექსანდრე გეგუქორი, ლადო დუმბაძე, ილია წივწივაძე, ვასილ ელერდაშვილი, ილია მგელაძე და ნოე ლეჟავა. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ილია წივწივაძე დაინიშნა საგანგებო კომისიის განსაკუთრებული ბატალიონის პოლიტიკურ კომისრად, ხოლო ლადო დუმბაძე პარტიის საოლქო ბიუროს წევრად და „პასუხისმგებელ პარტიულ ორგანიზატორად პროვინციაში“. ამავე დოკუმენტში მოხსენიებული არიან სხვა ქართველი რევოლუციონერებიც: ლორთქიფანიძე, ერქომიშვილი, სარჯველაძე, ჭღამაძე, რუხაძე, მათიკაშვილი, კალანდაძე, ნავროზაშვილი, მუქერია, მამულაშვილი, გიორგაძე, ლელომაძე, ფაბულაძე და ჭეჯელავა³². მართალია, მათ შესახებ აღნიშნული დოკუმენტი მეტს არაფერს გვეუბნება, მაგრამ საეჭვო არაა, რომ ისინიც აქტიურად ჩაებნენ ჩრდილო კავკასიის პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში და გარკვეული წვლილი შეიტანეს იქ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში.

ასეთია ჩრდილო კავკასიაში (თერგის ოლქსა და დაღესტანში) საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში ქართველ რევოლუციონერთა მონაწილეობის არასრული სურათი.

მაშინ როდესაც ქართველი კომუნისტი-რევოლუციონერები ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცების საქმეს თავის სისხლხორცულ საქმედ განიხილავდნენ და თავდადებით იბრძოდნენ მისთვის, სრულიად განსხვავებული იყო მისადმი საქართველოს მენშევიკური მთავრობის პოლიტიკა. მენშევიკური მთავრობა იმთავითვე დაადგა ანტისაბჭოთა გზას და ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლაში გადაჭრით დადგა კონტრრევოლუციური ძალების მხარეზე.

ამის გამო ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ საქართველოს მენშევიკური მთავრობის დამოკიდებულებას ჩრდილო კავკასიაში რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის გაშლილ ბრძოლისადმი.

ქართველმა მენშევიკებმა საქართველოს ტერიტორია გადააქციეს ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერთა თავშესაფრად და ბაზად. მენშევიკური საქართველოს დედაქალაქ თბილისში თავშესაფარი პოვეს ჩრდილო კავკასიის, დაღესტნისა და აზერბაიჯანის კონტრრევოლუციურმა მთავრობებმა. მათ თავის

³⁰ Архив Музея С. М. Кирова и Г. К. Орджоникидзе СО АССР, ф. 8, оп. 2, д. 87 а.

³¹ ვახ. „ლენინის დროშა“ (ქ. მახარაძე), 1967, 31/Х.

³² ЦГА СО АССР, ф. 39 (Владикавказский окружной революционный комитет), оп. 1, д. 7, ფურც. 46.

ირგვლივ გააერთიანეს ყველა კონტრრევოლუციური ელემენტი და კვლავ ემზადებოდნენ ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

თერგის მხარის „მთავრობაში“ შედიოდნენ კოცევი, ჯაბაგიევი, ცალიკოვი და სხვ. მათი გეგმებით ჩრდილო კავკასიიდან ბოლშევიკების განდევნა უნდა დამთავრებულიყო 1920 წლის დეკემბრისათვის³³.

1920 წლის ზაფხულში თბილისში მოქმედებდა თერგის მთავრობის შტაბი, რომელსაც სათავეში ედგა გენ. ვლოვენკო და თეთრკაზაკთა „ყუბანის სამხარეო რადა“, ანტანტისა და ვრანგელის აგენტის ტიმოშენკოს მეთაურობით. „რადას“ მფარველობდა საფრანგეთის მთავრობა, რომელიც აფინანსებდა მას. „ყუბანის სამხარეო რადა“ ამზადებდა ანტისაბჭოთა ამბოხებებს ყუბანის მხარეში.

ასეთსავე ანტისაბჭოთა ორგანიზაციას, რომელიც შექმნილი იყო ანტანტის, ქართველი მენშევიკებისა და ვრანგელის დახმარებით, წარმოადგენდა „მთიელთა და თერგის კაზაკთა ბოლშევიკებისაგან განთავისუფლების კომიტეტი“. ამ კომიტეტის დამაარსებლები იყვნენ ვრანგელის პირადი მეგობრები გენ. თუმანოვი და გენ. მელიქოვი, როტმისტრი ელდაროვი და ჰორუჩიკი პოვოდინი³⁴.

„განთავისუფლების კომიტეტთან“ შეიქმნა „მთიელთა ხალხების აჯანყებების ორგანიზაციის“ განყოფილება, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ თერგის კაზაკებიდან პოლკ. პორტიანკა და გენ. ბლაქენოვი, ოსეთიდან პოლკ. ბაგაევი, დაღესტნიდან როტმისტრი ელდაროვი და მავრაევი (მთიელთა მთავრობის ყოფილი წევრი), ინგუშეთიდან მუსა ბაზურტანოვი, ჩეჩნეთიდან როტმისტრი საროკაევი³⁵.

„განთავისუფლების კომიტეტი“ ადგილებზე ანტისაბჭოთა ამბოხებების მოწყობის საქმეში დიდ იმედებს ამყარებდა ჩრდილო კავკასიის ხალხების ამ გამცემლებზე.

ანტანტა, ვრანგელი და მენშევიკური საქართველო ამარაგებდნენ „განთავისუფლების კომიტეტს“ იარაღით, საომარი მასალითა და ფულით. იმპერიალისტური სახელმწიფოების ხელში „კომიტეტი“ იქცა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად.

ამავე დროს თბილისში აზერბაიჯანელმა მუსავატელებმა ჩამოაყალიბეს (ასევე ანტანტისა და თურქეთის იმპერიალისტების დახმარებით) „აზერბაიჯანის ხსნის კომიტეტი“, ხოლო 1920 წლის შემოდგომის ბოლოს სომეხმა დაშნაკებმა შექმნეს „სომხეთის ხსნის კომიტეტი“. ეს „კომიტეტები“ ცდილობდნენ აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას³⁶.

1920 წლის შემოდგომაზე კონსტანტინეპოლში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა კიდევ ერთი კონტრრევოლუციური ორგანიზაცია — „კავკასიის კომიტეტი“, რომელშიც შევიდნენ ჩრდილო კავკასიის ხალხების მოღალატეები: გენ. ხალილოვი, ყაბარდოელი თავადი ბეკოვიჩ-

³³ История Кабардино-Балкарской АССР, т. 2, Москва, 1967, გვ. 99.

³⁴ Ростовский областной Государственный архив, ф. 156, оп. 1, ед. хр. 43, лл. 131—136.

³⁵ იქვე.

³⁶ М. Кичев, Из истории борьбы за упрочение Советской власти в Дагестане (1920—1921 гг.), Махачкала, 1963, გვ. 23.

ჩერკასკი, ხაბაევი და სხვ.³⁷ ამ კომიტეტის მიზანი იყო ყველა მუსლიმანის გაერთიანება ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. „გავიხსენოთ, — ამბობდა ს. ორჯონიკიძე, — სავსებით ლეგალური არსებობა სომხეთის, აზერბაიჯანის, ყუბანის, თერგის „განთავისუფლებისა“ და „ხსნის კომიტეტებისა“, ყბადღებულ მთიელთა მთავრობა მისი ტრუბადური ახმედ ცალიკოვით. გავიხსენოთ უკანასკნელი ამბები დაღესტანში... და მაშინ ნათელი გახდება, რას წარმოადგენდა მენშევიკური თბილისი და მენშევიკური საქართველო ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერებისათვის: იგი იყო ანტანტის ტყვე. მთლიანად გადაქცეული იყო კონტრრევოლუციის ბაზად კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების ასაფეთქებლად“³⁸.

ყველა ჯურის პოლიტიკური ავანტიურისტები მენშევიკურ „სამოთხეში“ მფარველობას და დახმარებას პოულობდნენ.

ამიერკავკასიასა და ჩრდილო კავკასიაში მოწყობილი ყველა ამბოხების ძაფი თბილისში მოდიოდა. ყველა ეს კონტრრევოლუციური ორგანიზაცია მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას ამიერკავკასიასა და ჩრდილო კავკასიაში. აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლებს გამარჯვების შემდეგ მენშევიკური საქართველო გადაიქცა ამიერკავკასიისა და მთელი სამხრეთის კონტრრევოლუციის ყველაზე საშიშ ბუდედ.

განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა ამიერკავკასიაში 1920 წლის შემოდგომაზე. ამ დროს ანტანტის იმპერიალისტებმა, საქართველოს მენშევიკებთან და თეთრგვარდიელებთან ერთად, მოაწყვეს კონტრრევოლუციური ამბოხება დაღესტანში (მან მოიცვა მთელი ანდიის ოლქი, ავარიისა და გუნიბის ოლქების ნაწილი). საშიშროება შეექმნა რკინიგზის ხაზს, რომელიც საბჭოთა აზერბაიჯანს აკავშირებდა საბჭოთა რუსეთთან.

ჩრდილო კავკასიის მთებში კონტრრევოლუციური ამბოხების დასახმარებლად საქართველოდან იგზავნებოდა ინგლისის ოქრო, მანუფაქტურა, სამხედრო ნაწილები, თეთრგვარდიელი ოფიცრები. მენშევიკური მთავრობა აკავებდა და არ უშვებდა იმ სურსათს, რომელიც საბჭოთა რუსეთიდან და საბჭოთა აზერბაიჯანიდან იგზავნებოდა სომხეთის მოსახლეობის დასახმარებლად. მენშევიკებმა დაარღვიეს, ერთი მხრივ, საბჭოთა რუსეთსა და საბჭოთა აზერბაიჯანსა და, მეორე მხრივ საქართველოს შორის 1920 წლის 14 ნოემბერს დადებული სავაჭრო-სატრანზიტო ხელშეკრულება³⁹.

საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ უარი უთხრა საბჭოთა რუსეთს გადაეცა მისთვის ის გემები, რომლებიც ვრანგელის განადგურების შემდეგ ყირიმიდან ჩამოვიდნენ და იღვწენ საქართველოს პორტებში.

ნათელი იყო, რომ ანტანტის იმპერიალისტები საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან ერთად ამზადებდნენ ახალ ანტისაბჭოთა გამოსვლებს კავკასიაში.

საქართველოსთან დამოკიდებულების საკითხი განხილულ იქნა 1921 წლის 26 იანვარს რკბ (ბ) ცკ-ის პლენუმზე. სავარეო საქმეთა სახალხო კომისარს ევალებოდა არ დაეშვა მშვიდობიანი დამოკიდებულების დარღვევა საქართვე-

³⁷ ЦГАСА, ф. 266, оп. 1, д. 52, о. 5.

³⁸ Г. К. Орджоникидзе. Избранные статьи и речи, 1911—1917, Москва, 1939, 33. 106.

³⁹ История гражданской войны в СССР, т. 5, февраль 1920 — октябрь 1922 гг., Москва, 1960, 33, 246; ЦПА ИМЛ ф. 85, оп. 15, ед. хр. 72, л. 78.

ლოსთან. ამავე დროს პლენუმმა რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოსა და კავკასიის ფრონტის სარდლობას მისცა დირექტივა, რათა მზად ყოფილიყვნენ საქართველოს მხრიდან მოსალოდნელი პროვოკაციისათვის⁴⁰.

მაგრამ საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ არ დააფასა საბჭოთა რუსეთის სამშვიდობო პოზიცია. იგი კვლავ აგრძელებდა თავის პროვოკაციულ საქმიანობას, რაც მიმართული იყო რსფსრ-თან დამოკიდებულების გამწვავებისაკენ⁴¹.

1920 წლის 14 სექტემბერს თბილისში ჩამოვიდა „სოციალისტური დელეგაცია“ II ინტერნაციონალის ლიდერების — ვანდერველდეს, მაკონალდის, რენოდელისა და სხვათა შემადგენლობით. 30 სექტემბერს ჩამოვიდა კარლ კაუცკიც. ამ დელეგაციის მიზანი იყო მენშევიკური საქართველოსა და დაშნაკური სომხეთის დაპირისპირება საბჭოთა აზერბაიჯანისათვის, რათა ჩაეხშოთ იქ საბჭოთა ხელისუფლება. მათ მიზანს შეადგენდა აგრეთვე მენშევიკური საქართველოს დახმარებით მხარი დაეჭირათ დაღესტანში კონტრრევოლუციური ამბოხებისათვის, რათა გადაეჭრათ რკინიგზის ხაზი, რომელიც გადიოდა დაღესტნის ტერიტორიაზე და რომელიც ბაქოს აკავშირებდა საბჭოთა რუსეთის ცენტრალურ რაიონებთან.

„სოციალისტური დელეგაციის“ გავლენით მენშევიკურმა საქართველომ ფართოდ ვაშალა აგიტაცია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აზერბაიჯანსა და დაღესტანში. აი რას ვეითხულობთ ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტში, რომელიც დათარიღებულია 1920 წლის 10 ოქტომბრით: „საქართველოს ტერიტორიაზე ადგილი აქვს მუსლიმან-მშრომელთა ხშირ მიტინგებს, რომლებზედაც მშრომელ მასებს აქეზებენ რუსების წინააღმდეგ, აღვივებენ რელიგიურ და ნაციონალურ შუღლს, მოუწოდებენ მუსლიმანებს გაერთიანებისაკენ“⁴².

ყოფილ მთიელთა მთავრობის ლიდერებმა ახმედ ცალიკოვმა და ბამატ გაიდაროვმა თხოვნით მიმართეს II ინტერნაციონალის „სოციალისტურ დელეგაციას“, რათა დახმარება აღმოეჩინათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში⁴³.

ანტანტის იმპერიალისტური სახელმწიფოები ცდილობდნენ მენშევიკური საქართველოსა და სხვა კონტრრევოლუციური ძალების დახმარებით ჩრდილო კავკასიაში ანტისაბჭოთა ამბოხებები გამოეყენებინათ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საქართველოს მენშევიკური მთავრობა ყოველმხრივ ეხმარებოდა დაღესტნის ტერიტორიაზე მოქმედ გოცინსკის კონტრრევოლუციონერ მემამოხებს. გოცინსკიმ პატარა რაზმით თავი შეაფარა საქართველოს ტერიტორიას, სადაც დაუკავშირდა პოლკ. ალიხანოვს, რომელმაც მენშევიკური მთავრობის დახმარებით უკვე შექმნა ცხენოსანი რაზმი დაღესტნელ, აზერბაიჯანელ და სხვა ეროვნების ოფიცერთაგან⁴⁴. დაღესტანში საქართველოდან იგზავნებოდა იარაღი და ხალხი, ავრცელებდნენ ფურცლებს, რომლებშიც მოუწოდებდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. საქართველოს ტერიტო-

⁴⁰ ЦПА ИМЛ, ф. 17, оп. 2, д. 56, л. 1.

⁴¹ История КПСС, т. 3, ч. II, гл. 532.

⁴² ЦГАСА, ф. 6, оп. 3, д. 72, л. 13.

⁴³ М. Кичев, Из истории борьбы за упрочение Советской власти в Дагестане, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

⁴⁴ Газ. «Советский юг», № 3, 3 октября 1920 г.

რიაზე, მენშევიკური მთავრობის დახმარებით, ყალიბდებოდა შეიარაღებული რაზმები სხვადასხვა ჯურის ავაზაკთა და კონტრრევოლუციონერებისაგან⁴⁵.

ფაქტები ადასტურებენ, რომ დაღესტნის მთებში კონტრრევოლუციური აჯანყება მზადდებოდა, ერთი მხრივ, „მთიელთა მთავრობის“ ყოფილ მოღვაწეთა, გოცინსკის და, მეორე მხრივ, საქართველოს მენშევიკური მთავრობის, ვრანგელისა და ანტანტის აგენტებს შორის ოფიციალური მოლაპარაკების გზით. აჯანყების ორგანიზაციისათვის საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა ე. წ. „ლაგოდების შტაბი“. მისი დაფინანსება და შეიარაღება ხდებოდა ანტანტის იმპერიალისტების მიერ. საქართველოს ტერიტორიაზე დაღესტანში შესაჭრელად რაზმები ყალიბდებოდა არა მარტო იმ კონტრრევოლუციონერთა ნაშთებისაგან, რომელთაც თავშესაფარი მენშევიკურ საქართველოში ჰპოვეს, არამედ მენშევიკურ, მუსავატელ და დენიკინელ ოფიცრებისაგანაც. ვრანგელმა და საქართველოს მენშევიკებმა ამბოხებისათვის გამოყვეს 60 ინსტრუქტორი, 600 ცხენი და სხვა სამხედრო მასალა⁴⁶. დაღესტანში ე. წ. „გოცინსკის აჯანყების“ მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების მოსპობა და „მთიელთა მთავრობის“ აღდგენა.

მენშევიკები ცდილობდნენ აფხაზეთიც გადაექციათ ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად. მათ სურდათ ჩერქეზები და აფხაზები გამოეყენებინათ „ბოლშევიზმთან ბრძოლის მიზნით“. თათბირზე, რომელიც შედგა ამ საკითხის მოსაგვარებლად და რომელსაც ესწრებოდნენ აგრეთვე აფხაზეთის წარმომადგენლები თავადი ა. შერვაშიძე და პოლკ. ჩხეტია, გადაწყდა „დაუყოვნებლივ დაეწყოთ 10-ათასიანი ცხენოსანი კორპუსის შექმნა“ თურქეთში მყოფ აფხაზი და ჩერქეზი ემიგრანტებისაგან⁴⁷.

აქეზებდა და ეხმარებოდა რა კონტრრევოლუციურ ამბოხებებს აზერბაიჯანსა და დაღესტანში, საქართველოს მენშევიკური მთავრობა ისწრაფოდა, ჯერ ერთი, საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი შეიარაღებული ძალების მთელი ყურადღება გადაეტანათ ადგილობრივი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაზე, რითაც ისინი იხანგრძლივებდნენ თავიანთ არსებობას, დროს იგებდნენ ანტანტიდან დახმარების მისაღებად. მეორე მხრივ, ისინი აქეზებდნენ თურქეთის მმართველ წრეებს საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების გამწვავებისაკენ და ცდილობდნენ შეექმნათ ხელსაყრელი პირობები „დევენოლ“ მუსლიმანთა დახმარების საბაზით ამიერკავკასიაში თურქეთის ინტერვენციისათვის⁴⁸.

მაგრამ კონტრრევოლუციური ძალები უძლურნი აღმოჩნდნენ. კავკასიის მშრომელთა ერთობლივმა რევოლუციურმა ბრძოლამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა რუსეთის მატერიალური და მორალური დახმარებით, ჩაფუშა საბჭოთა ხელისუფლების მტრების გვეგმები და შექმნა პირობები ამ ხალხთა სოციალისტური გზით განვითარებისათვის.

⁴⁵ Б. О. К а ш к а е в, Красная Армия в Дагестане, Махачкала, 1964, гл. 147.

⁴⁶ Борьба за победу и упрочение Советской власти в Дагестане (под ред. Г. Алихберова), Махачкала, 1960, гл. 544.

⁴⁷ ЦГАСА, ф. 6, оп. 4, л. 581, л. 277; Г. А. Дзидзария, Очерки истории Абхазии, 1910—1921, Тбилиси, 1963, гл. 331.

⁴⁸ А. Сургуладзе, Закавказье в борьбе за победу Социалистической революции, Тбилиси, 1971, гл. 436.

კარლო ტაბაბაძე

საქართველოში თემურლენგის შემოსევათა ქრონოლოგიის კავშირი

საქართველოში თემურლენგის შემოსევებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ XVII ს-ის მიწურულს ირანში მოღვაწე ქართველმა მამულიშვილმა ფარსადან გორგიჯანიძემ სცადა აღნიშნული მოვლენების აღდგენა. XVIII ს-ში ამ საქმეს დიდი ღვაწლი დასდო განათლებული მეფის ვახტანგ მეექვსის მიერ „ქართლის ცხოვრების“ შერყენილი და ნაკლებად აღგილების გასამართავად და შესავსებად შექმნილმა „სწავლულ კაცთა“ კომისიამ, ხოლო მათ მოყოლებით „ახალი ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების ავტორმა, ვახუშტი და იოანე ბაგრატიონებმა და ა. შ.

დასახელებული ავტორები ადგილობრივი ნარატიული ქართული წყაროების უქონლობის გამო იყენებდნენ უცხოურ წყაროებს და მეტ-ნაკლები სისრულით აღადგენდნენ საქართველოში თემურლენგის ურდოების შემოსევებთან დაკავშირებულ ამბებსა და მოვლენებს, მაგრამ რაც შეეხება ქრონოლოგიას, ამას ან საერთოდ არ მიუთითებენ, ანდა, ასახელებენ მხოლოდ ორიოდ და ისიც სავსებით უმართებლო თარიღებს. ასე მაგალითად, ფ. გორგიჯანიძეს მართალია, აღწერილი აქვს საქართველოში თემურლენგის თითქმის ყველა შემოსევა, მაგრამ საერთოდ არ მიუთითებს არავითარ თარიღს¹. დაახლოვებით, იგივე ვითარება სუფევს „სწავლულ კაცთა“ კომისიის ნაშრომშიც, სადაც მოცემულია ერთადერთი და ისიც მცდარი თარიღი — 1393 წ. საქართველოში თემურლენგის პირველი შემოსევის შესატყვისად². „ახალი ქართლის ცხოვრების“ გადაკეთებული გაგრძელების ავტორს სიტყვიერად კი აქვს ნათქვამი თემურლენგის შესახებ, რომ „შეიდგნის იავარ ჰყო საქართველო ბოროტმან და ღმთისა მიერ რისხვეულმანო“, მაგრამ მხოლოდ ორი და თანაც ორივე მცდარი თარიღი აქვს მიითებულნი: — 1393 წ. საქართველოში თემურლენგის პირველი და, — 1402 წ. ბოლო შემოსევის შესატყვისად³.

დაახლოვებით ასეთივე ვითარება გვაქვს ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების საისტორიო თხზულებებშიც⁴.

¹ ფ. გორგიჯანიძის ისტორია, „საისტორიო მოამბე“, II, თბ., 1925, გვ. 301—314.

² ბ ე რ ი ე ვ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტექსტი და დღევანელი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 328.

³ ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი და დღევანელი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 451, 471; სინამდვილეში კი თემური საქართველოს შემოსევა პირველად 1386, ხოლო უკანასკნელად 1403 წლებში).

⁴ ვახუშტი ბაგრატიონს, მაგალითად, სულ ოთხი თარიღი (1387, 1393, 1394 და 1396 წლები) აქვს დასახელებული საქართველოში თემურლენგის შემოსევათა საჩვენებლად (იხ. მისი: საქართველოს ისტორია, განმარტებული და შეესებებული ახლად შექმნილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით დ. ბაქრაძის მიერ, ნაწილი I, ტფილისი, 1885, გვ. 284, 288, 289 და 291).

სულ მხოლოდ ორიოდე ქორონიკონია დამოწმებული, აგრეთვე, ჩვენამდე მოღწეულ ქრონიკებსა და წარწერა-მინაწერებში საქართველოში თემურლენგის შემოსევათა დასათარიღებლად⁵.

აღნიშნულმა გარემოებამ, ეტყობა, თავისი დალი დასვა საკითხის გარშემო შექმნილ სამეცნიერო ლიტერატურასაც.

საქართველოში თემურლენგის ურდოთა შემოსევებთან დაკავშირებული საკითხების მეცნიერული კვლევის პიონერი აკად. მარი ბროსე იყო.

მ. ბროსეს მიხედვით, თემურლენგმა საქართველოში სულ ილაშქრა 6-ჯერ, ხოლო შემოსევათა ქრონოლოგია გამოიყურებოდა ასე: „1. 1386 წ. თემური იღებს ტფილისს, და ატყვევებს ბაგრატს, 2. 1393 წ. მეორედ იღებს ტფილისს, თათრები სამცხეს თავს ესხმინან, თვით თემური კი — შიდა-ქართლს, 3. 1400 წ. ის იპყრობს ციხეებს და ჯანიბეგის სამფლობელოს, 4. 1401 წ. იყო სამხრეთ-დასავლეთ ივერიაში ბრძოლა, რომელმაც გამოიწვია ბატონიშვილის კონსტანტინეს ელჩად გაგზავნა მასთან, 5. 1402 წ. ვურჯი-ბექის ციხის აღება, 6. 1403 წ. ბირთვისის აღება“⁶.

ეს ქრონოლოგია გამოიყენა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების კომენტარების დროს⁷.

მოგვიანებით საქართველოში თემურლენგის შემოსევებთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხნენ ისტორიკოსები მ. ჯანაშვილი და დავით კარიჭაშვილი. აქედან, პირველ დასახელებული აქვს მხოლოდ ორი თარიღი — 1393 და 1402 წლები⁸, ხოლო მეორეს აღწერილი აქვს საქართველოში თემურლენგის 7 შემოსევა და შესაბამისად მითითებული აქვს 1387, 1388, 1394 (ორჯერ), 1395, 1400 და 1403 წლები⁹.

ზემოდასახელებული ავტორებისაგან დიდად არ განსხვავდება ინგლისელი ქართველოლოგის უ. ე. დ. ალენის ქრონოლოგია, რომელსაც აღნიშნული აქვს საქართველოში თემურლენგის ურდოთა 6 შემოსევა 1386/7, 1393, 1400 (ორჯერ), 1402 და 1403 წლებში¹⁰.

საქართველოში თემურლენგის შემოსევებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლაში მ. ბროსეს შემდეგ ახალი ეტაპი შექმნა აკად. ივ. ჯავახიშვილმა. მანვე ქართულ, სომხურ, ბერძნულ, სპარსულ და სხვა ენებზე არსებულ წყარო-

⁵ მაგ. 135 წ. „პარიზის ქრონიკა“ საქართველოში თემურლენგის პირველი შემოსევის თარიღად იძლევა 1385 წელს (იხ. ტ. ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, ტფილისი, 1897, გვ. 199); სხვა ქრონიკაში ამ მოვლენის თარიღად მითითებულია 1387 წელი (იქვე, გვ. 191). შემდგომი შემოსევის თარიღად ქრონიკები უთითებენ 1396 წელს (იქვე, გვ. 201); საქართველოში თემურლენგის ერთ-ერთი შემოსევის თარიღი, 1400 წელი, დაცულია ლარგვისის მონასტრის პარაკლიტონის მინაწერში (იხ. „ძველი ერისთავთა“, ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთანე, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაფრთხილ. შ. მესხიამ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 315) და რკონის ასომთავრულ წარწერაში (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 299).

⁶ M. Brosset, Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusoquan XIX^e siècle St. Petersburg, 1858, გვ. 675, n. 4; აგრეთვე მისივე, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, ტფილისი 1895, გვ. 216—223.

⁷ ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, დასახ. გამოცემა, გვ. 295.

⁸ მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, I, ტფილისი, 1895, გვ. 216—223.

⁹ დ. კ ა რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს მოკლე ისტორია, ტფილისი, 1908, გვ. 153—158.

¹⁰ W. E. D. Allen, A History of the Georgian people from the bigining down to the Russian conquest in the nineteenth century, London, 1932, გვ. 124—125.

თა ყოველმხრივი შესწავლით მოგვცა ამ შემოსევათა გაუმჯობესებული ქრონოლოგიაც.

ივ. ჯავახიშვილს აღწერილი აქვს საქართველოში თემურლენგის ურდოთა 8 შემოსევა, რომელთა რიგი და ქრონოლოგია ასეთია: 1. 1386 წ. თემურლენგი ყარსიდან შემოიჭრა საქართველოში, აიღო თბილისი, დაატყვევა ბაგრატი, წაიყვანა ყარაბაღში და გაამპყმდიანა. 2. 1393 წ. თემურლენგმა ოთხი სარდალი გამოგზავნა ახალციხისაკენ სამცხის დასარბევად. 3. 1394 წ. თემურლენგმა დალაშქრა არაგვის ხეობა, ჩაიარა თბილისზე და წავიდა შაქის მიმართულებით. 4. 1399 წ. ზამთარში თემურლენგი შემოიჭრა პერეთ-ჯახეთში („ხიზმისა ხეობა“) და სამინლად ააოხრა საქართველოს ეს მხარე. 5. 1400 წ. გაზაფხულზე თემურლენგი საქართველოში შემოიჭრა ყარაბაღის ყიშლალიდან, აიღო 15 ციხე, დაერია გამოქვაბულებში გახიზნულ ხალხს, თბილისში დასტოვა ხორასნული სპა, გავიდა მუხრანის ველზე, მიუხტა ჯანიბეგ ქართველს და გიორგი მეფის ძებნა-დევნით მივიდა დასავლეთ საქართველოს საზღვრამდე. 6. 1400 წ. ლიხთიმერეთში გადასულმა გიორგიმ სცადა თემურლენგთან დაზავება. თემურლენგმა არ მიიღო ზავის პირობა და იგი ჯერ სამცხეს შეესია, მერე არაგვის ხეობას და ბოლოს დაარბია ფანასკერტი და მისი მიმდგომი მხარე. 7. 1401 წ. თემურლენგის სარდლები თავს დაესხნენ თორთუმის ციხესა და მის შემოგარენს. 8. 1403 წ. თემურლენგი უკანასკნელად შემოიჭრა საქართველოში, დაიპყრო აულელებად მიჩნეული (ბირთვისის) ციხე, გადავიდა დასავლეთ საქართველოში, ბოლოს, დაუზავდა გიორგი მეფეს და სამუდამოდ გაცეალა ჩვენს ქვეყანას¹¹.

საქართველოში თემურლენგის შემოსევათა რიცხვი და ქრონოლოგია, რომელიც დაადგინა ივ. ჯავახიშვილმა, ტრადიციულად გადაიქცა ჩვენს ისტორიოგრაფიაში. იგი უყოყმანოდ გაიზიარეს პროფ. ვ. გაბაშვილმა¹², პროფ. დ. გვრიტიშვილმა¹³, პროფ. კ. გრიგოლიამ და ასახვა ჰპოვა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში¹⁴. მაგრამ, უკანასკნელ ხანებში ამ საკითხზე გამოითქვა განსხვავებული თვალსაზრისიც. კერძოდ, პროფ. ი. პეტრუშევსკიმ წლების დაუსახელებლად საქართველოში თემურლენგის შემოსევათა რაოდენობა განსაზღვრა 7 შემოსევით¹⁵, ხოლო დოც. დ. კაციტაძემ სპეციალური წერილიც კი უძღვნა ამ საკითხს და კიდევ ერთით შეამცირა ეს რიცხვი¹⁶.

¹¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1941, გვ. 181—219.

¹² ვ. გაბაშვილი, თათართა შემოსევები საქართველოში (ბაგრატ V და გიორგი VI) თბ., 1943; მისივე, მახლობელი აღმოსავლეთი XIV—XVI საუკუნეებში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 223.

¹³ დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, I, თბ., 1962, გვ. 346—354.

¹⁴ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ნ. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, უძველესი დროიდან XIX-სის დამდეგამდე, თბ., 1948, გვ. 278—285; ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, უძველესი დროიდან XIX-სის დასასრულამდე, თბ., 1958, გვ. 225.

¹⁵ И. П. Петрушевский, Монгольское владичество в странах Закавказья, Борьба народов Закавказья против захватчиков, წიგნში: Всемирная история, т. III, М., 1957, გვ. 589.

¹⁶ დ. კაციტაძე, საქართველოში თემურლენგის შემოსევების ქრონოლოგია, „სკოლა და ცხოვრება“, დამატება: „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“, 1968, № 3, გვ. 29—35.

5. „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1973, № 3.

საქართველოში თემურლენგის შემოსევათა კაციატაძისეული ქრონოლოგია, რომლის მიხედვითაც 1386—1403 წლებს შორის თემურლენგი საქართველოს სულ შემოესია 6-ჯერ 1386, 1394, 1399, 1400, 1402 და 1403 წლებში¹⁷, არ იქნა გაზიარებული შ. მესხიასა და ვ. გუჩუას მიერ შედგენილ საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოსა¹⁸ და ახლახან გამოცემულ პროფ. კ. გრიგოლიას ნაშრომში „რას მოგვიტხოვრობს ქართლის ცხოვრება“¹⁹, რამაც გამოიწვია ვ. სიღამონიძის შენიშვნა²⁰ და კ. გრიგოლიას „პასუხი რეცენზენტს“, რომელშიც ავტორი კვლავ იცავს ძველ აზრს²¹.

აღნიშნულმა გარემოებამ, სავსებით ბუნებრივია, ხელახლა დააყენა დღის-წესრიგში ამ საკითხის განხილვა.

ბარლასთა მონღოლური ტომის წარმომადგენელი, მაგრამ უკვე გათურქებული თემურლენგი მთელი მავერანნაჰრის ვანუყოფელი მბრძანებელი შეიქნა XIV ს-ის 70-იან წლებში თავისი დიდი სამხედრო ნიჭისა და პირადი სიმამაცის წყალობით. ამიერიდან მისი მოღვაწეობის მთავარ მიზანს შეადგენდა მეზობელი ქვეყნებისა და ხალხების დაპყრობა და მათი ვანუკითხავი ძარცვა. ამ მიზნით, სხვადასხვა დროს გარდა აღმოსავლეთ ირანსა, ხორეზმსა და ინდოეთში გამართული ბრძოლებისა თემურლენგმა სამი დიდი ლაშქრობა მოაწყო ირანის, შუა მდინარეთის, ამიერკავკასიის, სამხრეთ რუსეთის, მეტიერ აზიისა და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც პირობითად იწოდებიან „სამწლიან“ (1386—1389), „ხუთწლიან“ (1392—1397) და „შვიდწლიან“ (1399—1405) ლაშქრობებად, რაკი თითოეული მათგანი დაახლოებით გრძელდებოდა ამდენსავე ხანს.

ამ ლაშქრობათა დროს უწიგნურ თემურლენგს თან ახლდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან თავის კარზე შემოკრებილი „ეპოქის უგანათლებულესი ადამიანები“ („ფაზელანე ასრ“) და „ხელმწიფის პირადი მდივან-მწიგნობრები“ („დაბირანე ხას“), რომლებიც აზუსტებდნენ გზებსა და მარშრუტებს, აღწერდნენ დაპყრობილ ქვეყნებს, აღნუსხავდნენ ნადავლსა და დავლას, ადგენდნენ ლაშქრობათა დღიურებს და შესვენების უამს წიგნებს უკითხავდნენ თავიანთ მრისხანე მბრძანებელს. მათი ჩანაწერები, შემდეგში, საფუძვლად დაედო თემურლენგისა (1370—1405) და თემურიან სულთანთა (1405—1500) კარზე შექმნილ მდიდარ სპარსულენოვან საისტორიო მწერლობას, რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები ნეზამ ად-დინ შამი, შარაფ ად-დინ ალი იეზდი, მოინ ად-დინ ნათანზი, ჰაფეზე აბრუ, ფასიპი ხაფი, აბდ არ-რაზაყ სამარყანდი, მირხოზდი, ხონდემირი და სხვა ისტორიკოსები იყვნენ. მათი ცნობები ჩვენთვის ძვირფას წყაროს წარმოადგენს საქართველოში თემურლენგის შემოსევებთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად. მავალითისათვის, ერთ-ერთი ამათთავანის თხზულებას, კერძოდ, შარაფ ად-დინ ალი იეზდის „ზაფარ ნამეს“ („გამარჯვების წიგნი“) იყენებდა ივ. ჯავახიშვილი ქართული, სომხური, ბერძნული და სხვა წყაროების გვერდით საქართველოში თემურლენგის ლაშქრობათა ქრონო-

¹⁷ დ. კაციატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

¹⁸ შ. მესხია, ვ. გუჩუა, საქართველოს ისტორია, VII—X კლასების სახელმძღვანელო, თბ., 1972, გვ. 103.

¹⁹ კ. გრიგოლია, რას მოგვიტხოვრობს ქართლის ცხოვრება, თბ., 1971, გვ. 183.

²⁰ ვ. სიღამონიძე, წიგნი „ქართლის ცხოვრებაზე“, „წიგნის სამყარო“, № 21, (105), 8 ნომბერი, 1972.

²¹ კ. გრიგოლია, პასუხი რეცენზენტს, „წიგნის სამყარო“, № 1, 10 იანვარი, 1973.

ლოგის დასადგენად, რომელიც ერთადერთი ხელმისაწვდომი გამოცემული სპარსული წყარო იყო მის დროს²².

შარაფ ად-დინ ალი იეზდის, ისევე როგორც ზემოთ დასახელებული სხვა ისტორიკოსთა ცნობების მიხედვით თემურლენგი პირველად საქართველოს შემოესია „სამწლიანი“ ლაშქრობის დროს. ამ ლაშქრობის მიზეზი თემურლენგსა და ოქროს ურდოს გამგებლის თოლთამიშ-ხანს შორის ამტყდარი ორთაბრძოლა იყო, რომელიც შუააზიელ ხეიბარს ეცილებოდა მეზობელი ქვეყნების დაპყრობასა და ძარცვა-რბევაში. ამ ორმა მოქიშპემ ჯერ ხორეზმსა და მის დასამხარ ქვეყნებში მოსინჯეს ერთმანეთი, მერე კი ბრძოლები გააგრძელეს ირანსა და ამიერკავკასიაში.

თოლთამიშმა თემურლენგთან ბრძოლით ხორეზმში რომ ვერა გააწყო რა, თავი მიანება შუა აზიას, დერბენდიდან შემოიჭრა ამიერკავკასიაში, თავს დაესხა ჩრდილოეთ ირანს, სასტიკად გაძარცვა მდიდარი და მოშენებული თავრიზი და აუარებელი ტყვე წაასხა თან. ეს მოხდა 1385 წელს.

ჭულაგუიანთა ირანის სამფლობელოებზე თემურლენგს თვითონ ექირა თვალი და აქეთ გამოემართა თოლთამიშ-ხანის მოყოლებით, რითაც დაიწყო „სამწლიანი“ ლაშქრობა.

თემურლენგმა თავრიზი დაიპყრო და უმოწყალოდ დაერია წინა წელს თოლთამიშ-ხანის მიერ განაწამებ ხალხს. ამის შემდეგ, 1386 წლის შემოდგომაზე იგი საქართველოში შემოიჭრა გარნისის, სურმალუსა და ყარსის გამოვლით. თემურლენგმა საქართველოს დედაქალაქი თბილისი დაიპყრო და მეფე ბაგრატ V (1360—1393) ტყვედ იგდო ხელთ.

საქართველოს დატყვევებული მეფე თემურლენგმა წაიყვანა თან და გაამაჰ-მადიანა ყარაბაღში²³.

საქართველოში თემურლენგის აღნიშნული შემოსევის თარიღად 1386 წელს მიუთითებენ სომხური წყაროებიც²⁴, ხოლო ბიზანტიელი ისტორიკოსი მიქელ პანარეტოსი კიდევ უფრო აზუსტებს მას და ათარიღებს 1386 წლის 21 ნოემბრით²⁵.

ამის შემდეგ პირდაპირი მითითება საქართველოში თემურლენგის ლაშქრობათა შესახებ შარაფ ად-დინ ალი იეზდის, ისევე როგორც ნეშამ ად-დინ შამის, ჰაფეზე აბრუს, აბდ არ-რაზაყ სამარყანდის, მირხონდისა და სხვათა თხზულებებში აღარ გვხვდება „ხუთწლიანი“ ლაშქრობის დაწყებამდე.

თემურლენგმა „ხუთწლიანი“ ლაშქრობა წამოიწყო 1392 წელს. იგი მდინარე ამუ-დარიზზე გადმოვიდა და ასთრაბადის, მუშენდარანის, ირანის ერაცის, ქურდისტანისა და სხვა ქვეყნების დაპყრობა-გაძარცვის შემდეგ ამიერკავკასიისაკენ გამოუყვია გზას. ნეშამ ად-დინ შამის ცნობებით თემურლენგი ავნაქის ციხესთან იპყოფებოდა ჰიჯრის 796 წლის შაბანის თვის 17 რიცხვში

²² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1941, გვ. 181; სხვათა შორის, იგივე თხზულების ფრანგულ თარგმანს იყენებდა მ. ბროსეც რომელიც ეკუთვნის პტი დე ლა კრუას და პარიზში გამოიცა 1722 წელს (იხ. Histoire de Timur-Bec, écrite en persan par Cherefeddin Ali, traduite en français par Petis de la Croix, Paris, 1722).

²³ Histoire des conquêtes de Tamerlan intitulée Zabarhama par Nizamuddin Sami, édition critique par Felix Tauer. t. I, texte persan de Zabarhama, Praha, 1937, გვ. 100 (ქვემოთ: ნეშამ ად-დინ შამი).

²⁴ ვ. ნალბანდიანი, თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, თბ., 1959, გვ. 113, 114.

²⁵ მიქელ პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 33, თბ., 1960, გვ. 45.

(=1394 წ. იენისის 16-ს)²⁶. ერთი თვის შემდეგ, 1394 წ. 16 ივლისს, თემურლენგი უკვე აიღინის ციხესთან ჩანს, საიდანაც ოთხი სარდალი: ამირ ბორჰან ოლღანი, ამირ სეიფ ად-დინი, ჯაჰან-შაჰ ბაჰადორი და ოსმან ბაჰადორი გამოაგზავნა ახალციხისაკენ სამცხის დასარბევად²⁷, რაც შარაფ ად-დინ ალი იეზდის თავის თხზულებაში გამოყოფილი აქვს ცალკე თავად: „ამბავი თემურის მიერ საქართველოში საღვთო ომად ჯარის გაგზავნისა“²⁸.

სამცხეში გამოგზავნილ სარდლებს თემურლენგი უკან გამოჰყვანადირობანადირობითა და მოსახლეობის რბევა-აწიოკებით და ყარსამდე მოაღწია ალატაღის გზით. აქ მას შეატყობინეს, რომ შავალის თვის 28-ს (28 აგვისტოს) ვაჟი-შვილი შესძინოდა უფლისწულ შაჰრობ-მირზას. შვილაშვილის დაბადება ძალზე ეამა აზიის დიდ დამპყრობელს, ყარსის მიდამოებიდან კოლის ველზე გადაინაცვლა და მიეცა ზეიმისა და ლხენისა²⁹.

რაც შეეხება სამცხეში გაგზავნილ სარდლებს, ისინი ადგილზე მივიდნენ, დაიპყრეს და შემუსრეს ბევრი ციხე და გამაგრებული პუნქტი, ქვეყანა ააოხრეს, ხალხი დაარბიეს, გაძარცვეს და კოლის ველზე დაბრუნდნენ დიდძალი ნაშთივართითა და დავლით³⁰. შარაფ ად-დინ ალი იეზდი, მაგალითად, საგანგებოდ მიუთითებს მათ შესახებ, რომ საქართველოდან დაბრუნებულმა სარდლებმა ბანაკში არსებული საზეიმო განწყობილება რომ შეიტყვეს ოქრო-ვერცხლის მონეტებსა და თვალმარგალიტს ხელმოწიფური ხელგაშლილობით ფანტავდნენო³¹.

ეს იყო თემურლენგის ურდოთა პირველი შემოსევა საქართველოში „ხუთწლიანი“ ლაშქრობის დროს და საერთოდ მე-2 შემოსევა ივ. ჯავახიშვილის ქრონოლოგიით, რომელიც მას დათარიღებული აქვს 1393 წლით³².

აღნიშნული ამბების შემდეგ თემურლენგის ბანაკი კვლავაც კოლის ველზე იდგა პიჯრის 796 წლის ზოლყადეს 18-მდე (=1394 წ. სექტემბრის 14), ამის შემდეგ კი იგი აიყარა და არაგვის ხეობისაკენ წამოუძღვა თავის ჯარს³³. ეს ამბავი შარაფ ად-დინ ალი იეზდის გამოყოფილი აქვს ცალკე სათაურით: — „ამბავი საქართველოში უსჯულოთა წინააღმდეგ თემურის საღვთო ომად ვალაშქრებისა“³⁴, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თხზულების ავტორი სავსებით ასხვავებს ამ ლაშქრობას საქართველოში თემურლენგის ურდოთა წინა შემოსევისაგან.

გზაში, კოლის ველიდან არაგვის ხეობამდე, თემურლენგმა დაარბია და ააწიოკა საქართველოს სხვადასხვა თემი³⁵.

ჩვენ აქ აღარ შევუძღვებით იმის განხილვას თუ რა მიზნები ამოძრავებდა თემურლენგს არაგვის ხეობაში ლაშქრობის დროს, ეს ახსნილი და აღწერილი აქვს ივ. ჯავახიშვილს, მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას, რომ ჩაღათაელებს აქ მძიმე ბრძოლები გადახდომიათ. ნეზამ ად-დინ შამის, მაგალითად, საგანგებოდ

²⁶ ნეზამ ად-დინ შამი, გვ. 154.

²⁷ იქვე, გვ. 156.

²⁸ The Zafarnamah, by Maulana Sharafuddin Ali of Iazd, ed. by Moulawi Muhammad Iahdad, vol. I, Calcutta, 1887, გვ. 705 (ქვემოთ: შარაფ ად-დინ ალი იეზდი).

²⁹ იქვე, გვ. 720.

³⁰ ნეზამ ად-დინ შამი, გვ. 157.

³¹ შარაფ ად-დინ ალი იეზდი, ტ. I, გვ. 720.

³² ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

³³ ნეზამ ად-დინ შამი, გვ. 157.

³⁴ შარაფ ად-დინ ალი იეზდი, ტ. I, გვ. 130.

³⁵ იქვე.

აქვს ხაზგასმული ხეობის დამცველთა მრავალრიცხოვნება³⁶, ხოლო შარაფ ად-დინ ალი იეზდის კი ბევრი ძნელადმისადგომი ციხისა და სიმაგრის დაპყრობა³⁷.

არაგვის ხეობის დარბევის შემდეგ თემურლენგის ლაშქარი მთებიდან ბარად დაეშვა, ცოტა შეისვენა და, შემდეგ, თბილისზე ჩავლით შაქის მთიანეთისაკენ გაუდგა გზას.

ასე დასრულდა საქართველოში თემურლენგის ურდოთა მე-2 შემოსევა 1394 წლის სექტემბერში „ხუთწლიანი“ ლაშქრობის დროს, რომელიც ივ. ჯავახიშვილს დათარიღებული აქვს ამავე წლით³⁸.

აღნიშნული ამბების შემდეგ თემურლენგი გაემშრა თოღთამიშ-ხანთან საომრად და 1395 წ. იგი სასტიკად დაამარცხა მდინარე თერგის პირას. აქედან თემურლენგი კვალში მიჰყვა უკუქცეულ მოწინააღმდეგეს და გაანადგურა ოქროს ურდოს დედაქალაქი სარაი-ბერქე და სამხრეთ-რუსეთის ქალაქები აზოვი და ასტრახანი. უკან დაბრუნებისას თემურლენგმა სასტიკად დაარბია ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნები და ხალხები და 1397 წლის ივლისის დამდეგს დაბრუნდა სამარყანდს უამრავი ტყვითა და ნადავლით³⁹.

მომდევნო წლის შემოდგომაზე თემურლენგი უკვე ინდოეთისაკენ მიემართებოდა „უღაბნოს ქვიშასა და ვარსკვლავებზე ურიცხვი ჯარით“⁴⁰. რომლის ზღაპრული სიმდიდრე მოსვენებას უქარავადა მის ხარბ თვალს.

თემურლენგი აუარებელი ტყვითა და აურაცხელი ნაძარცვით დაბრუნდა ინდოეთიდან 1399 წლის აპრილის ბოლოს⁴¹, ამავე წლის სექტემბერში კი უკვე ამიერკავკასიისაკენ გამოემართა⁴² და დაიწყო „შვიდწლიანი“ (1399—1405) ლაშქრობა, რომლის დროსაც მისი ურდოები 4-ჯერ შემოესივნენ საქართველოს.

ამიერკავკასიაში მოსული ჩალათაელთა ლაშქარი ზამთრის გასატარებლად დაბანაკდა ყარაბაღის ყიშლაღზე, საიდანაც თემურლენგი რჩეული ჯარით შემოიჭრა ჰერეთ-კახეთში („ხიმშიას ხეობა“) და სასტიკად ააოხრა საქართველოს ეს მხარე⁴³.

ეს იყო თემურლენგის პირველი შემოსევა საქართველოში „შვიდწლიანი“ ლაშქრობის დროს 1399 წელს, რაც დაწვრილებით აქვს აღწერილი ივ. ჯავახიშვილს⁴⁴.

ჰერეთ-კახეთის აოხრების შემდეგ თემურლენგი 1400 წლის გაზაფხულზე კვლავ შემოესია საქართველოს და ქვეყნის გაუგონარი ნგრევა-ოხრებით მივი-

³⁶ ნე ზამ ად-დინ შამი, გვ. 157.

³⁷ შარაფ ად-დინ ალი იეზდი, ტ. I, გვ. 730.

³⁸ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 193—194; დ. კაციაძე თემურლენგის მიერ სამცხეში სარდლების გაგზავნას და არაგვის ხეობაში მის გამოლაშქრებას განიხილავს საქართველოში თემურლენგის ერთ შემოსევად 1394 წელს, რითაც ერთით ამცირებს საქართველოში მის შემოსევების საერთო რიცხვს (დ. კაციაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 32).

³⁹ ნე ზამ ად-დინ შამი, გვ. 167.

⁴⁰ იქვე, გვ. 171.

⁴¹ ინდოეთში თემურლენგის ლაშქრობა დაწვრილებით აქვს აღწერილი დღიურების სახით ყიას ად-დინ ალის, იხ. ამ თხზულების რუსული თარგმანი: Гийас аддин Али, Дневник похода Тимура в Индию, М., 1958.

⁴² ნე ზამ ად-დინ შამი, გვ. 213.

⁴³ ნე ზამ ად-დინ შამი, გვ. 214; შარაფ ად-დინ ალი იეზდი, ტ. II, გვ. 222—226.

⁴⁴ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 196—199.

და დასავლეთ საქართველოს საზღვრამდე. აქედან იგი შეჰყვა მტკვრის ზედა დინებას და დაარბია სამცხე, სამცხიდან მიუბრუნდა არაგვის ხეობას. არაგვის ხეობის აოხრების შემდეგ თემურლენგი მივიდა კოლის ველზე, იქიდან გაილაშქრა ფანასკერტსა და მის მიდამოებში გამაგრებული ქართველების წინააღმდეგ და მხოლოდ ამის შემდეგ გასცილდა ჩვენს ქვეყანას.

ეს იყო თემურლენგის მეორე შემოსევა საქართველოში „შვიდწლიანი“ ლაშქრობის დროს 1400 წელს.

გარდა სპარსული წყაროებისა, ამ შემოსევის თარიღად 1400 წელს დებს არაბი ისტორიკოსი იბნ არაბშაჰი, რომლის მიხედვითაც აღნიშნული წლის 30 იანვარს მას უკვე თბილისიც აღებული ჰქონდა⁴⁵, რაც ამ დროისათვის ჯერ ნადრევი ჩანს. საქმე ისაა, რომ ნეზამ ად-დინ შამის, შარაფ ად-დინ ალი იეზდის და სხვა ისტორიკოსების მოწმობით თემურლენგის ბანაკი 1400 წლის გაზაფხულზე ჯერ კიდევ ყარაბაღში იდგა და ემზადებოდა საქართველოში სალაშქროდ⁴⁶. ხოლო ქართული წყაროებიდან კი ისიც ვიცით, რომ ქსნის ხეობამდე მან მხოლოდ მაისის დასაწყისში მოახერხა შეღწევა, რაზეც კარგად მეტყველებს ლარგვისის მონასტრის პარაკლიტონის 1400 წლის მინაწერი, რომელშიც ნათქვამია: „მოქცევასა იდ: (14) ქორინიონსა: პშ: (88) მაისსა: ზ (7) მოვიდა თემურბე სულტანი სამარყანელიო“⁴⁶.

აღსანიშნავია, რომ ეს შემოსევა ივ. ჯავახიშვილს განხილული აქვს, როგორც საქართველოში თემურლენგის ურდოთა ორი შემოსევა 1400 წელს⁴⁷. ასეთ გაყოფას, როგორც ირკვევა, საფუძვლად დაედო თემურლენგთან დაზავებაზე გიორგი მეფის უშედეგო ცდა, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღნიშნული მოვლენების დროს.

სპარსული წყაროების მოწმობით, დასავლეთ საქართველოში გადასულმა გიორგიმ თემურლენგს მართლაც მიუგზავნა დაზავების წინადადებით ვინმე ისმაილი, რომელიც შეპყრობილი ჰყოლოდა ტყვედ. მაგრამ თემურლენგი დაზავების უპირველეს პირობად მოითხოვდა მის კარზე საქართველოს მეფის პირადად გამოცხადებას, რაც ყოვლად დაუშვებელი იყო. ამასთან, თემურლენგს სამხედრო მოქმედება არ შეუჩერებია და კვლავინდებურად აგრძელებდა ქვეყნის ძარცვასა და რბევას⁴⁸.

მაგრამ თემურლენგს კიდევაც რომ მიეღო გიორგი მეფის წინადადება და დაზავებოდა მას, სულ ერთია, ლიხთ-იმერეთის საზღვართან მყოფი, საქართველოდან ისე ვერსად წავიდოდა გზათ არ გაველო მის რომელიმე თემზე, სადაც მისი მეომრები ჩვეულებრივის ძარცვა-რბევისაგან ვერ შეიკავებდნენ თავს, მაგრამ ეს არ ჩაითვლებოდა საქართველოში თემურლენგის ურდოთა მორიგ შემოსევად. სხვათა შორის, 1403 წელს, გიორგი მეფესთან დადებული ზავის

كتاب عجایب المقدور في اخبار تیمور الفاضل الادیب اکامل الادیب وحید
عصره و فرید دهره افضی القضاء شهاب الدین احمد بن عبد الله اندمشقی الا نصاری
المعروف با بن عرب شاه ، القا هرة ، 1305 '143 83.

⁴⁵ თ. ყორღანია, ქრონიკები, გვ. 204.

⁴⁷ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 199—205.

⁴⁸ ეტყობა, სწორედ ეს მომენტი ჰქონდა მხედველობაში დ. კაციტაძესაც, როცა აღნიშნული მოვლენები მიიჩნია საქართველოში თემურლენგის ერთ შემოსევად 1400 წელს და კიდევ ერთი შეამცირა საქართველოში თემურლენგის შემოსევათა საერთო რიცხვი (დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 33—34).

შემდეგ, დასავლეთ საქართველოდან რომ უკან გამობრუნდა, ივ. ჯავახიშვილი-სავე მოწმობით „შეპირებისა და დადებული ზავისა და მიუხედავად, მონღოლთა მბრძანებელმა თბილისის მიდამოებში ყველა ეკლესიები და მონასტრები დაანგრევინა, ხოლო შემდეგ ყარაბაღის გზით საქართველოდან წავიდა“⁴⁹, მაგრამ ეს მომენტი, რა თქმა უნდა, არ ყოფილა მიჩნეული საქართველოში თემურლენგის ურდოთა მორიგ შემოსევად.

მომდევნო წელს თემურლენგი ისევ მოადგა საქართველოს ასაოხრებლად, მაგრამ გიორგი მეფემ ელჩები მიაგება კონსტანტინე უფლისწულის მეთაურობით და, ამჯერად, მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა 1401 წელს შამქორში დადებული ზავით⁵⁰.

ამის შემდეგ, თემურლენგი თურქეთის სულთან ბაიაზეთ ილდირიმთან საომრად რომ ემზადებოდა და მეთოდურად უახლოვდებოდა მის სამფლობელოებს, 1402 წლის გაზაფხულზე აღმოჩნდა თორთუმის ციხის სიახლოვეს, რომელშიც გამაგრებულიყო 200 ქართველი მეციხოვნე⁵¹. მიუხედავად საქართველოს მეფესთან წინა წელს დადებული ზავისა, თემურლენგმა თავისი სარდლები მაინც შემოუსია ჩვენს ქვეყანას, რომლებმაც დაიპყრეს და „მიწასთან გაასწორეს“ აღნიშნული ციხე⁵².

ივ. ჯავახიშვილს თემურლენგის სარდლების მიერ თორთუმის ციხის დაპყრობა დათარიღებული აქვს 1401 წლით და მიჩნეული საქართველოში თემურლენგის ურდოთა რიგით მე-7 შემოსევად⁵³. დ. კაციტაძე კი ათარიღებს 1402 წლით და თვლის საქართველოში თემურლენგის მე-5 შემოსევად⁵⁴.

1402 წლის ანგორის ომში ბაიაზეთ ილდირიმის დამარცხებისა და მისი სამწყსოს გაძარცვის შემდეგ თემურლენგი კიდევ ერთხელ მოადგა საქართველოს 1403 წლის ზაფხულში, დაიპყრო აულეზლად მიჩნეული ბირთვისის ციხე, შემდეგ გადავიდა დასავლეთ საქართველოში და მიაღწია ქუთაისამდე. შემოდგომის მიწურულს თემურლენგი დაუზავდა გიორგი მეფეს და სამუდამოდ გასცილდა ჩვენს ქვეყანას. 1405 წლის 18 თებერვალს კი „ბოროტი იგი ბოროტად წარწყმდა“ ქალაქ ოთარარში ჩინეთის დასაპყრობად გზად მიმავალი.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მივიღეთ, რომ 1386—1403 წლებს შორის თემურლენგი 7-ჯერ შემოესია საქართველოს 1386, 1387, 1394 (ორჯერ), 1399, 1400, 1402 და 1403 წლებში. ფაქტიურად სახეზე გვაქვს ივ. ჯავახიშვილისეული ქრონოლოგია მცირე ხასიათის კორექტივებით, ოღონდ აკლია ერთი შემოსევა.

იმ საკითხის გარკვევა კი, მოხდა თუ არა საქართველოში თემურლენგის მე-8 შემოსევა, მჭიდროდაა დაკავშირებული XV ს-ის სომეხი ისტორიკოსის თომა მეწოფელის იმ ცნობის ავ-კარგის დადგენასთან, რომელიც შეეხება ბაგრატ V და გიორგი VII-ის მიერ თემურლენგის 12 ათასიანი ჯარის გაქვლტას ჩალათელთა ტყვეობიდან საქართველოს მეფის შინ დაბრუნების დროს, რომ-

⁴⁹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

⁵⁰ ნეზამ ად-დინ შამი, გვ. 243.

⁵¹ იქვე, გვ. 250.

⁵² იქვე.

⁵³ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 210—213.

⁵⁴ დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

⁵⁵ ნეზამ ად-დინ შამი, გვ. 280—284.

⁵⁶ თ. ქორღანიძე, ქრონიკები, II, გვ. 204.

ლის მსგავსიც არ გვხვდება სპარსულ საისტორიო თხზულებებში, მაგრამ ოდნავი სახეცვლილებით წარმოდგენილია „ახალი ქართლის ცხოვრების“ ტექსტებში.

თ. მეწოფელის დასახელებული ცნობის მიხედვით, ყარაბაღში ყოფნის დროს „ეშმაკის სიბოროტით აღსავსე“ თემურმა ბაგრატი „აიძულა განმდგარიყო“ ე. ი. დაეგმო ქრისტეს სარწმუნოება და გამუსლიმანებულიყო. ხოლო „ქართველთა მეფემ, აღივსო რა სულიწმიდის სიბრძნით, მოატყუა იგი (თემური) და თქვა: მომეც მე დიდი ჯარი, რათა წავიდე ქართლში, დავიჭირო მთელი ის ქვეყანა და თქვენს რჯულზე მოვაქციო“. გახარებულმა თემურმა ბაგრატი დაასაჩუქრა „მრავალი პატივითა და მისცა მას დიდი ჯარი და თითონაც (თემური) ურიცხვი ჯარითა წარმოემართა ქართლზე.

ხოლო ბაგრატმა იღუმალ შეუთვალა თავის შვილებს — გიორგის, კონსტანტინესა და დავითს, რომ ფარულად მივიდნენ მასთან და მეწეველონ მშობელს, რათა მას შეეძლოს გაქცევა თემურის ხელიდან. ხოლო ჩალათამ აიყვანა ჯარი და მიიყვანა უფვიწროვს და გაუვალ ადგილს. მეფის წულეგმა კი, დიაკავეს რა (ჩალათაელთა მიერ) გასავლელი გზა, მახვილით გაწყვიტეს მრავალი მათგანი, უმეტეს ვიდრე 12 ათასი, როგორც ამბობენ. და მოუვიდათ რა მამა თვისი, ისინი (მეფის წულნი) წავიდნენ თავის სამკვიდრებელში. ხოლო ბილწი მფლობელი თემური გაზაფხულის ეამს აიყარა თავისი ჯარით და იღუმალ მივიდა თურქმანთა ყარა-მაჰმადზე“⁵⁷.

ეს ცნობა დიდ ხანს გაზიარებული იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში, მაგრამ უარყო ივ. ჯავახიშვილმა შემდეგ მოსაზრებათა გამო: თემურლენგი ისეთი ცბიერი და ეჭვიანი კაცი იყო, რომ მისი ასე სულელურად მოტყუება არავის შეეძლო⁵⁸. გარდა ამისა, ბაგრატ V-სა და ქართველებს რომ მსგავსი რამ ჩაედინათ, თემურლენგი, უეჭველია, უმალ მრისხანებით სავსე თავის ჩვეულებრივს შურისძიებას შეუდგებოდა და არასვხით საქართველოდან ისე არ წავიდოდა, რომ სამაგიეროს გადახდა არ ეცადნა მაინც, თემურლენგი კი ამის შემდეგ სხვაგან მიდის საომრად და საქართველოში აღარ გამოჩენილა⁵⁹. აღნიშნული სიტყვების მოყოლებით, იქვე, შენიშვნაში, ივ. ჯავახიშვილი იხსენიებს „ახალი ქართლის ცხოვრების“ ცნობას, მომდევნო წლის გაზაფხულზე ყარაბაღიდან საქართველოში თემურლენგის შემოჭრის შესახებ, და ამბობს: — „მართლაც, რომ ასე მომხდარიყო, ამის მიხედვით კიდევ შესაძლებელი იყო თომა მეწობელის ცნობა სინამდვილედ გვეცნო, მაგრამ არც შერეფედდინი და არც თვითონ თომა მეწობელი თემურისა და ბაგრატის ასეთი ვითომც მომხდარი ბრძოლის შესახებ არაფერს ამბობენო“⁶⁰.

თ. მეწოფელის ცნობის გაჩენას კი ივ. ჯავახიშვილი სახელოვანი მებრძოლის ბაგრატ V-ის მოულოდნელი, ხალხისათვის ძნელად დასაჭერებელი და თავმოყვარეობისათვისაც უსიამოვნო მარცხთან დაკავშირებით გაჩენილ თქმულებად თვლის⁶¹.

⁵⁷ თომა მეწოფელი, ლანგ-თემურის ისტორია, თარგმანი, შესავალი წერილი და კომენტარები პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგისა, თბ., 1937, გვ. 17—20; აგრეთვე, Фома Мецопский, История Тимур-ланка, Баку, 1957, გვ. 58—59.

⁵⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 291.

⁵⁹ იქვე, გვ. 292.

⁶⁰ იქვე.

⁶¹ იქვე.

მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილის ზემოთ მოტანილი ციტატის შინაარსიდან ჩანს, მას არც თუ სულ შეუძლებლად მიაჩნდა თ. მეწოფელის ცნობის გაზიარება გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში.

ალბათ ამას ითვალისწინებდნენ შემდეგი თაობის ისტორიკოსები, როდესაც ივ. ჯავახიშვილთან კამათის გარეშე როგორც საცხებით სარწმუნოს ისე იყენებდნენ „ახალი ქართლის ცხოვრების“ ანალოგიურ ცნობას.

ასე გამოიყენა, მაგალითად, პროფ. ვ. გაბაშვილმა ეს ცნობა 1943 წელს გამოცემულ წიგნში: თათართა შემოსევები საქართველოში⁶², ხოლო ახლახან პროფ. კ. გრიგოლიამაც უცვლელად შეიტანა თავის ნაშრომში, რადგან, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ „ასეთი ეპიზოდი მთლად ჰაერში გამოკიდებული არა ჩანს“, რაკი მას „თითქმის თანამედროვე ძველი სომეხი მემატიანე, თომა მეწოფელიც უპირს მხარს“ და, რომ „მსგავსმა ამბავმა შესაძლებელია დადასტურება ჰპოვოს სპარსულენოვან წყაროებშიც“⁶³.

მართლაც, გვგონია, რომ თ. მეწოფელის თხზულებაში დამოწმებული ჩვენთვის საინტერესო ცნობის და, მაშასადამე, „ახალი ქართლის ცხოვრების“ ანალოგიური ცნობის, სულ ერთია, პირველი მეორისაგან მომდინარეობს თუ ორივე გაჩნდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, უარყოფა შეუძლებელი ჩანს დამატებითი კვლევა-ძიებისა და ახალი წყაროების მოხმობის შემდეგ, რაშიც აქვე შევეცდებით მკითხველთა დარწმუნებას.

ერთ-ერთი უპირველესი საბუთი იმისა, რომ თ. მეწოფელის ცნობა სინამდვილეს შეეფერება, იმაშიც უნდა ვეძიოთ, რომ მისი ანალოგიური ცნობა მოგვეპოვება „ახალი ქართლის ცხოვრებაში“. მაგალითად, ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა რომ ეს ცნობა ამ თხზულებაში გაჩენილია თომა მეწოფელის მეშვეობით⁶⁴. ლ. მელიქსეთ-ბეგი კი ფიქრობდა, რომ „ახალი ქართლის ცხოვრების“ ავტორები საერთოდ არ იცნობდნენ თომა მეწოფელის შრომას⁶⁵.

თუ „ახალი ქართლის ცხოვრების“ ავტორები მართლაც იცნობდნენ თომა მეწოფელის თხზულებას და ეს ეპიზოდი მისი მიხედვით შეიტანეს თავიანთ ნაშრომში, მაშინ მათ ის სარწმუნოდ მიუჩნევიათ და არ შეხებია მათი სიტყვები „გუჯართა, აგრეთვე, სპარსთა და სომეხთა „ცხოვრებათა“ შესახებ რომ ამბობდნენ: — „რაოდენიცა საეკუელ იყო, უხმარ ვყავითო“. ხოლო თუ „სწავლული კაცები“ თომა მეწოფელის თხზულებას საერთოდ არ იცნობდნენ და აღნიშნული ცნობა მისგან დამოუკიდებლად შეიტანეს „ახალი ქართლის ცხოვრებაში“ ეს კიდევ უფრო დიდი საბუთია მისი უტყუარობის დასადასტურებლად.

მაგრამ, ნათქვამი, საბედნიეროდ ერთადერთი საბუთი არ არის თომა მეწოფელის ცნობის სანდოობის დასადგენად, რაშიც, ვფიქრობთ კარგად დაგვარწმუნებს ქვემოთ გამართული მსჯელობა.

⁶² ვ. გაბაშვილი, თათართა შემოსევები საქართველოში, თბ., 1943, გვ. 16—17.

⁶³ კ. გრიგოლია, პასუხი რეცენზენტს, „წიგნის საყარო“, 10 იანვარი, 1973.

⁶⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1949, გვ. 291.

⁶⁵ ლ. მელიქსეთ-ბეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

ქეშმარიტების უკეთ დადგენის მიზნით თ. მეწოფელის ცნობა შინაარსის მიხედვით გავყოთ ორ შემადგენელ ნაწილად და განვიხილოთ ცალ-ცალკე. ამის შედეგად მივიღებთ რომ: I. თემურლენგის ტყვეობაში მოხვედრილი საქართველოს მეფე ბაგრატე, თემურის ტყვეობიდან თავის დახსნის მიზნით იძულებული შეიქმნა „განმდგარიყო“, ე. ი. მიეღო ისლამის სარწმუნოება და II. სულთქმის სიბრძნით გამსჭვალულმა ბაგრატმა შურისგების მიზნით მოატყუა თემურლენგი, დასტყუა მას ჯარი და 12 ათასზე მეტი ჩალათაელი მეომარი გაჟლიტა გიორგისთან ერთად.

ახლა ორივე მათგანი განვიხილოთ ცალ-ცალკე და ვნახოთ რომელი დასტურდება სხვა წყაროთა მონაცემებით და რომელი არა.

რაც შეეხება თ. მეწოფელის ცნობის პირველ ნაწილს — ბაგრატის „განდგომას“, ე. ი. საქართველოს მეფის გაათათრებას, ამითი დიდად იყო დაინტერესებული თემურლენგი, რადგან ეს საკითხი მკიდროდ იყო დაკავშირებული დაპყრობილი ქვეყნების პოლიტიკურ მოწესრიგებასთან. საქმე ისაა, რომ თემურლენგი დაპყრობილი ქვეყნების ერთ ნაწილს თავის შვილებსა და ნათესავებს აძლევდა საბატონოდ, ზოგანაც ადგილზე ტოვებდა ძველ მმართველებს და უქვემდებარებდა თავის ხელისუფლებას. მაგრამ თუ ეს საკითხი სხვაგან იოლი გადასაწყვეტი იყო, სამავგიეროდ ამას დიდი სიძნელეები ახლდა საქართველოსთან დაკავშირებით. საქმე ისაა, რომ თემურს სხვა შემთხვევაში მუსლიმან მფლობელ-მპყრობელებთან ჰქონდა საქმე, რომლებსთვისაც მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში გაბატონებული მიწისმფლობელობის წესი და მისგან გამომდინარე მოვალეობები შესისხლბორცებული იყო, საქართველოში კი ერთნაირად მიუღებელი იყო როგორც დამპყრობლის რელიგია, ისე მისთვის დამახასიათებელი წარმოების წესი და მმართველობის ფორმა.

ამ საკითხის გადასაწყვეტად, როგორც ჩანს, თემურს საჭიროდ მიაჩნდა საქართველოს მოსახლეობის გამუსლიმანება და, სულაც არ არის შემთხვევითი, მის მძარცველურ ხასიათის ლაშქრობათა მიზნებს მისი ისტორიკოსები აქ ისლამის რელიგიის გავრცელების საჭიროებით რომ ხსნიდნენ⁶⁶.

ცნობილია, რომ თემურლენგი პირადად არასდროს არ გამოიჩინებდა დიდი მორწმუნეობით⁶⁷, მაგრამ მას მშვენივრად ესმოდა რელიგიის ფასი და მნიშვნელობა და მარჯვედაც იყენებდა მას. იგი შიიტი მუსლიმანი იყო სადაც ამას საჭიროება მოითხოვდა, სხვაგან სუნიტობის დამცველად გამოდიოდა და, საერთოდ, ისე იქცეოდა სადაც როგორც დასკირდებოდა⁶⁸. რელიგიური მოტივების მომიზნება მით უფრო ეფექტური იყო საქართველოში, სადაც ადგილობრივი რელიგიის, ქრისტიანობის, ისლამით შეცვლა დაკავშირებული იყო პოლიტიკური მიზნების განხორციელებასთანაც. საქართველოს საბოლოოდ დამორჩილება და აქ ჩალათაელთა ბატონობის გახანგრძლივება შეუძლებელი იყო ადგილობრივი სამამულო სისტემის შეუცვლელად მუსლიმანური აღმოსავლეთის ქვეყ-

⁶⁶ აბდ არ-რაზაყ სამარყანდი, მათლა ას-საყდინ ვა მაჯმა ალ-ბაჰრინ, ლენინგრადის ნ. სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი, დორნის კატალოგით № 298, ფ. 268ბ.

⁶⁷ В. В. Бартольд, Улуг-бег и его время, соч., II, ч. 2, გვ. 21.

⁶⁸ ე. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთი XIV—XVI საუკუნეებში, გვ. 225.

ნებისა და ხალხებისათვის დამახასიათებელი მეურნეობის სისტემითა და ფეოდალური მიწის მფლობელობის წესით. ქართული სამამულო სისტემა კი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქრისტიანულ რელიგიასთან. თემურლენგსაც და სხვა დამპყრობლებსაც, როგორც მანამდე ისე მას შემდეგ, ეგონათ, რომ საქართველოში ქრისტიანობის ნაცვლად მაჰმადიანობის გავრცელებით, მიიღწევენენ თავიანთ მიზანს და ადვილობრივ სამამულო სისტემას ადვილად შეცვლიდნენ მათთვის დამახასიათებელი სამხედრო-ლენურის სისტემით.

მაგრამ დამპყრობელთა ასეთი ცდა ყოველთვის აწყდებოდა ქართველი ხალხის მედგარ წინააღმდეგობას, საქართველოს პოლიტიკის მესვეურებს კი მშვენიერად ესმოდათ, რომ ქრისტიანობისათვის ბრძოლა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეურნეობის ადგილობრივი სამამულო სისტემის, ხოლო ეს უკანასკნელი თვითონ „ქართველობის“ შენარჩუნებასთან. ეს გარემოება, როგორც ჩანს, შეუნიშნავთ თემურლენგის ისტორიკოსებსაც. სხვანაირად შეუძლებელია გავიგოთ მონი ად-დინ ნათანზის ცნობა იმის შესახებ, რომ „საქართველოს მეფეს დანებებისა და მორჩილების სრული მისწრაფება ჰქონდა, მაგრამ გამუსლიმანებისა ეშინოდა, ამიტომ შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწეოდა, რასაც ათეული ათასობით ქართველის სიცოცხლე შეეწირა“⁶⁹.

დასაწყისში, როგორც ჩანს, თემურლენგი იოლად უყურებდა ამ საქმეს და ეგონა, ადვილად მოახერხებდა აქ თავისი მოზნების განხორციელებას საქართველოს ფეოდალური ზედაფენისა და, პირველ რიგში, მეფისა და მისი კარის გამუსლიმანების გზით. ამიტომაც იყო, რომ საერთოდ მრისხანე და დაუნდობელმა თემურლენგმა საქართველოს მეფე ცოცხალი დასტოვა ტყვედ დანებების დროს მიუხედავად ისლამის მიღებაზე მისი უარისა, ხოლო შემდეგ ყველა ღონე იხმარა მის გასამაჰმადიანებლად ყარაბაღის ყიშლაღზე დგომის დროს.

აღსანიშნავია, რომ რჯულის გამოცვლის წინადადება თემურლენგს ბაგრატიანთა მიუცია ჯერ კიდევ თბილისში, ტყვედ დანებების დროს: „ხოლო დაჰპატიჟა ლანგ-თემურ რჯული მაჰმადისა, ხოლო მეფემან არა უსმინა და ჰყვა პატიმრად“⁷⁰. დატყვევებულ ბაგრატს თემურლენგის ბრძანებით ბორკილები დაადეს და ისე ჩაიყვანეს ყარაბაღში⁷¹.

ყარაბაღში თემურლენგს ცდა და მეცადინეობა არ დაუკლია ბაგრატის გასამუსლიმანებლად. ამ თემაზე, როგორც სპარსული წყაროები გვაუწყებენ, იგი საქართველოს მეფეს რამდენჯერმე პირადად ესაუბრა და ბოლოს კიდევაც დაიყოლია⁷². შარაფ ად-დინ ალი იეზდის თქმით „მისი უდიდებულესობის (თემურის) რჩევისა და დარიგების შედეგად გზააბნეული და ცდომილი (ბაგრატის) ბნელ არსებაში სწორი გზის მაჩვენებელმა სხივმა ჩაიხედა შემწეობის სარკმლიდან და გამუსლიმანდა“⁷³.

⁶⁹ სსრკ მეცნ. აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერი C-381, ფ. 586 ბ: اگر چه ملک گرج رغبت تمام باطاعت و انقياد داشت اما از قضیه آنکه مبادا مسلمان شود تمبرد مینمود بواسطه این لح مجموع تومانات گرج بخرج رفت

⁷⁰ ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 328.

⁷¹ შარაფ ად-დინ ალი იეზდი, გვ. 403.

⁷² გვ. 148: میر خواند ، روضه الصفا ، جلد ۶ ، تهران ، ۱۳۳۹

⁷³ შარაფ ად-დინ ალი იეზდი, ტ. I, გვ. 407.

იმავე ავტორის ცნობით, ბაგრატიან ერთად ისლამის სარწმუნოება მიუღიათ მის თანმხლებ პირებსაც და მოქცეულან ჰანიფის რჯულზე⁷⁴.

აღსანიშნავია, რომ ჰანიფიზმის რელიგიური მოძღვრება არაბეთშივე ჩაისახა და დიდი გავრცელება ჰპოვა მიწათმოქმედ ტომებში. იგი თავისი არსით ახლოს იდგა ქრისტიანობასთან და ქადაგებდა მონოთეიზმის იდეას.

გამუსლიმანებული ბაგრატიანთა თემურლენგს საქართველოს სამეფო ტახტიც დაუბრუნებია სხვა „დამატებებითა და დანართებით“⁷⁵, რის შესახებაც, სხვათა შორის, სათანადო იარლიყიც დაუწერიათ, როგორც ეს იმავე ისტორიკოსის ცნობიდან ჩანს⁷⁶.

იარლიყში საქართველოში ბაგრატიან დებრუნების უფლებაც ყოფილა დადსტურებული და სხვა „წყალობათა“ შესახებაც იქვე ყოფილა ლაპარაკი⁷⁷.

მაშასადამე, თომა მეწოფელის ცნობის პირველი ნაწილი სხვა წყაროებითაც უცილობლად დასტურდება და აღარ იწვევს არავითარ ეჭვს.

ახლა განვიხილოთ თ. მეწოფელის ცნობის მეორე ნაწილი, რომ ბაგრატი „აღივსო რა სულიწმიდის სიბრძნით, მოატყუა იგი (თემური) და სთქვა: „მომეც მე დიდი ჯარი, რათა წაგიდე ქართლში, დავიპირო მთელი ის ქვეყანა და თქვენს რჯულზე მოვაქციო“, ხოლო „გახარებულმა (თემურმა) დაასაჩუქრა იგი (ქართველთა მეფე) მრავალი პატივითა და მისცა მას დიდი ჯარი და თითონაც (თემური) ურიცხვი ჯარითა წარმოემართა ქართლზე.

ხოლო ბაგრატი იდუმალ შეუთვალა თავის შვილებს — გიორგის, კონსტანტინესა და დავითს, რომ ფარულად მივიდნენ მასთან და მიეშველონ მშობელს, რათა მას შეეძლოს გაქცევა თემურის ხელიდან. ხოლო ჩალათამ აიყვანა ჯარი და მიიყვანა უუვიწროეს და გაუვალ ადგილს, მეფის წულებმა კი, დაიკავეს რა (ჩალათაელთა მიერ) გასავლელი გზა, მახვილით გაწყვიტეს მრავალი მათგანი, უმეტეს ვიდრე 12 ათასი“.

მაშასადამე, გამოდის რომ შურისძიების გრძნობით განმსჭვალულმა ბაგრატიანმა მოატყუა თემურლენგი, ჯარი დასტყუა მას გაქლეტის მიზნით; წამოიყვანა საქართველოში სადაც სისრულეში მოიყვანა თავისი განზრახვა. მაგრამ, შეიძლება თუ არა იმისი სერიოზულად დაჯერება, რომ ბაგრატი მართლაც თვითონ იყო ინიციატორი სამაგიეროს გადახდის მიზნით საქართველოში თემურლენგის ჯარის წამოყვანისა? რა თქმა უნდა არა. ბაგრატიან ერთადერთი მიზანი მაშინ შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ თემურლენგის ტყვეობიდან თავისდაღწევა და შინ მშვიდობით დაბრუნება ცოლ-შვილთან ერთად, სხვა ყველაფერი, მით უმეტეს შურისგება, მაშინ გამორიცხული იყო. საქმე ისაა, რომ რაკი ბაგრატიან ისლამის მიღებით თემურლენგის მრისხანება დააცხრო და მოიპოვა შინ დაბრუნების უფლება, ხომ სრული უაზრობა იქნებოდა, ვიდრე სამშობლო-

⁷⁴ შარაფ ად-დინ ალი იეზიდო, გვ. 409.

⁷⁵ იქვე.

⁷⁶ იქვე.

⁷⁷ იქვე.

ში არ დაბრუნებულყო, როგორც პირადი ისე თავისი ცოლ-შვილის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება თემურლენგისათვის სამაგიეროს გადახდის ცდით? რა გარანტია უნდა ჰქონოდა მტრის ჯარის გარემოცვაში მყოფ ბაგრატს, რომ იგი და მისი ცოლ-შვილი უვნებელი დარჩებოდა თემურლენგის ჯარსა და საქართველოს ლაშქარს შორის გამართული ბრძოლის დროს? გარდა ამისა, განალიზირება 12 ათასი კაცისათვის სამკვდრო-სასიცოცხლოთ თემურლენგის გადაკიდება რომელთანაც უკვე გამონახული იყო საერთო ენა და საქართველოს აღმარას ერჩიოდა? რა თქმა უნდა, არა.

და, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, თემურლენგის მიერ ბაგრატიონისათვის საქართველოში ჯარის გამოტანება თუ მაინც სარწმუნოდ მიგვაჩნია, იმიტომ კი არა, რომ „სულიწმიდის სიბრძნით“ განმსჭვალულმა ბაგრატმა მოახერხა ეს, არამედ იმიტომ, რომ ამას ბუნებრივად მოითხოვდა შექმნილი ვითარება. სხვანაირად რა გარანტია უნდა ჰქონოდა ცბიერსა და ეჭვიან თემურლენგს, რომ ბაგრატი სამშობლოში დაბრუნებისთანავე მყისვე არ უარყოფდა ისლამის რჯულს და დაუბრუნდებოდა ქრისტიანულ რწმენას?

გარდა ზემოთ თქმულისა, ბაგრატიონისათვის ჯარის გამოყოფას მოითხოვდა სხვა გარემოებაც.

ბაგრატი, როგორც ითქვა, მარტო კი არ გამოუსლიმანდა, არამედ თავის თანმხლებ პირებთან ერთად. თემურის ვარაუდით, როგორც ჩანს, მათთვის უნდა მიეზამა მთელ ერს, ანდა, სავსებით შესაძლებელია, დანარჩენების გამოუსლიმანება თვითონ დაავალა თემურლენგმა მათ. ყოველად ბუნებრივია, ამ საქმის განსახორციელებლად თემურლენგს ბაგრატიონთან ერთად საქართველოში უნდა გამოეგზავნა ისლამის წეს-მეცნიერები და სასულიერო პირთა დასნი, რომლებიც ისლამის რჯულზე მოაქცევდნენ საქართველოს ქრისტიან მრევლს. ისინი კი სავანებო დაცვას საპირობედნენ არა მარტო გზაში, საქართველოში ჩასვლამდე, არამედ ადგილზეც, რელიგიური მოღვაწეობის დროს.

მხედველობაშია მისაღები კიდევ ერთი ფრიად საყურადღებო გარემოებაც. სახელდობრ, მიიღებდა თუ არა ქართველი საზოგადოებრიობა რჯულგამოცვლილ, გამოუსლიმანებულ მეფეს, ან შეძლებდა თუ არა ეს უკანასკნელი წინააღმდეგობის გარეშე კვლავ დაპატრონებოდა სამეფო ტახტს? რა გარანტია ჰქონდა საამისოდ ბაგრატს, მით უფრო თემურლენგს, რომლის ბუნებისათვისაც სავსებით უცხო იყო ასეთი რამ, რომ საქართველოს სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე, გიორგი მეფედ არ ეკურთხებოდა საქართველოში უმეფობის უამს, ხოლო შემდეგ ტახტს დაუთმობდა გაათავრებულ მამას? მით უფრო, მის მხარეზე იქნებოდა ის უპირატესობაც, რომ რჯულგამოცვლილი ბაგრატი წინააღმდეგ მას მთელი საქართველო დაუჭერდა მხარს⁷⁸.

⁷⁸ ამას, როგორც იოანე ბაგრატიონის ცნობიდან ჩანს, გიორგის თვითონ ურჩევდნენ ქართველი დიდებულები, „რათა ეკურთხოს გიორგი მეფედ“. მაგრამ გიორგიმ ასეთი წინადადება არ მიიღო, რადგან: „მამაჲ ჩემი არს ცოცხალი და გელთა შინა თემურისათა რათა არა რაიმე მიზეზითა ჩემითა ეგნოს მას რაიმე, და მე მხოლოდ ნიშობისა სახითა ემართაველ ქვეყანასა ჩვენსა“ (საქ. მეცნ. აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი, H—2134, ფ. 722ა). იმდროინდელი ზოგი საბუთის მიხედვით კი გიორგი საქართველოს მეფედ ჩანს ბაგრატთან ერთად საქართველოში თემურლენგის შემოსევაზე, რაც მკვლევრებს (თედო ჟორდანი, ჯუმბერ თოდუა)

ყოველივე ზემოთქმულიდან საესებით აშკარაა, რომ თემურლენგი ვერავე-თარ შემთხვევაში ვერ გამოგზავნიდა საქართველოში ჯარის გამოუყოლებლად ისლამიზებული ბაგრატსა და მის დასს.

ახლა რაც შეეხება საქართველოს ლაშქრის მიერ ჩალათაელთა 12 ათასიანი ჯარის გაჟლეტას, ეს, საესებით შესაძლებელია, მართლაც ასე მომხდარიყო, მაგრამ შურისგების გამო კი არა, არამედ მტრის ხელიდან ბაგრატის განთავისუფლების მიზნით. ეს გარემოება, სხვათა შორის, კარგად ჩანს თ. მეწოფელისავე ცნობაში, სადაც, დასაწყისში ავტორი, მართალია გვაუწყებს, რომ ბაგრატი „სულიწმიდის სიბრძნით განიმსქვალა“ და ბილწი მფლობელი მოატყუაო, მაგრამ, შემდეგ, საქმე საქმეზე რომ მიდგება, ასე ვადმოგვცემს მდგომარეობის ქეშ-მარიტ არსს: „ბაგრატმა იდუმალ შეუთვალა თავის შვილებს — გიორგის, კონსტანტინესა და დავითს, რომ ფარულად მივიდნენ მასთან და მიეშველონ მშობელს, რათა მას შეეძლოს გაქცევა თემურის ხელიდან!“ (ზახი ჩვენია — კ. ტ.). აქედან აშკარად ჩანს, რომ თემურლენგის ჯარის ხელიდან თავდახსნა ყოფილა ბაგრატის მთავარი საზრუნავი ამ დროს და არა თემურლენგისადმი შურისგება!

ახლა რაც შეეხება ივ. ჯავახიშვილის იმ მოსაზრებას, რომ „ბაგრატ V და ქართველებს რომ ამის მსგავსი რამე ჩაედინათ, თემურლენგი, უეჭველია, უმალ მრისხანებით სავსე თავის ჩვეულებრივს შურისძიებას შეუდგებოდა და არას-გზით საქართველოდან ისე არ წავიდოდა, რომ სამაგიეროს გადახდა არ ეცადნა მაინცო“, წავიდა კი?

როგორც ითქვა, სპარსული საისტორიო თხზულებებიდან ბაგრატის შემდგომი ბედი აღარ ჩანს. მისი ხსენება საერთოდ აღარ გვხვდება საქართველოში თემურლენგის შემდგომი შემოსევების აღწერის დროს რაც მათდამი ბადებს გარკვეულ ეჭვს, განსაკუთრებით შარაფ ად-დინ ალი იეზდის მისამართით და გვახსენებს ივ. ჯავახიშვილის სიტყვებს, რომ „ეს სპარსელი ისტორიკოსი თემურის მაქებელ-მადიდებელია და სხვაგანაც არაერთხელ ისე არ აქვს აღწერილ-გაშუქებული, როგორც ნამდვილად მომხდარა, ზოგი რამე სრულებით მოხსენებულიც კი არ არისო“⁷⁹.

მარი ბროსე, მაგალითად, შარაფ ად-დინ ალი იეზდის მიერ საქართველოში ბაგრატის დაბრუნების⁸⁰ დროს 12 ათასიანი ჯარის გაჟლეტის მოუხსენებლობას განზრახ წაყრუებითა და ტენდენციურობით ხსნიდა⁸⁰.

ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, ამ შემთხვევაშიც, მხედველობაში გვაქვს თემურლენგის რეაქცია აღნიშნულ ფაქტზე, სპარსელი ისტორიკოსები რაღაცას გვიმალავენ და განზრახ ერიდებიან უსიამოვნო ამბების თხრობას. მაგრამ მათი არაპირდაპირი და ტენდენციური ცნობებიდან მაინც კარგად ჩანს, რომ თემურლენგს ეს ამბავი უყურადღებოდ არ დაუტოვებია და უცდია ბაგრატის დას-ჯაც, რისთვისაც სპეციალურად ულაშქრნია საქართველოში 1387 წ. გაზაფხულზე. ასე მაგალითად, ნეზამ ად-დინ შამის მიხედვით, ბაგრატის გამუსლიმანებასთან დაკავშირებული ამბების შემდეგ თემურლენგი ყარაბაღის ყიზილბაშებს ატარებს ზამთარს. გაზაფხულზე იგი შეიტყობს დერბენდის გზით ჩრდილოეთ

⁷⁹ შელი აფიქრებიანებთ, რომ იგი მამამისის ზოგაშივე საქართველოს ერთ-ერთ ნაწილს განაგებდა მეფის ტიტულით (ჯ. ოდიშელი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის XIV—XVII სს., „XIV—XVII სს. რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი“, თბ., 1964, გვ. 74).

⁸⁰ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 292.

⁸⁰ მ. ბროსე, Additions..., გვ. 387.

კავკასიიდან თოლთამიშ-ხანის ლაშქრის გამოსვლას⁸¹. მაგრამ ამ დროს იგი, თავისი ჯარით გოგჩის ტბის მიდამოებში დგას⁸², საიდანაც უფლისწულ მირანშაჰს აგზავნის თოლთამიშ-ხანის უკუსაქცევად, თვითონ კი გაილაშქრებს ყარა მოჰამედ თურქმენის წინააღმდეგ⁸³.

რა დროს მოვიდა თემურლენგი გოგჩის ტბასთან, ან რას აკეთებდა იქ ეს ნეზამ ად-დინ შამის ცნობებიდან აღარ ჩანს, მაგრამ უნდა შევნიშნოთ კი, რომ ამ დროს ეს ტბა საქართველოს კარიბჭესთან ძვეს.

შედარებით მეტი ცნობები აქვს შეტანილი ამ ამბების თხრობაში შარაფ ად-დინ ალი იეზდის. მისი მოწმობით, კურდღლის წლის (789 = 1387) დასაწყისში, ე. ი. 1387 წლის გაზაფხულზე თემურლენგი მდ. არაზის ნაპირებიდან ბარდავისაკენ დაიძრა თავისი ჯარით⁸⁴. მაშასადამე, იგი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მოემართება და გეზი აშკარად საქართველოსაკენ აქვს. მაგრამ შემდეგ მისი კვალი იკარგება და, ბოლოს, გოგჩის ტბის მიდამოებში ჩანს⁸⁵. აქ იგი შეიტყობს დერბენდიდან თოლთამიშ-ხანის ჯარის გამოსვლას და მის შესახებ ვერაფერად აგზავნის უფლისწულ მირანშაჰს, თვითონ კი გაილაშქრებს ყარა მოჰამედ თურქმენის წინააღმდეგ⁸⁶.

თემურლენგის მოძრაობის ასეთ მარშრუტს სავსებით ადასტურებენ სხვა სპარსული წყაროებიც და, ვფიქრობთ, ძნელი არ უნდა იყოს იმისი ამოცნობა თუ საით მიემართებოდა თემურლენგი ამ დროს ან რა მიზნები ამოძრავებდა მას.

იგივე თვალსაზრისით, სხვათა შორის, ძალზე საინტერესოა თვითონ თ. მე-წოფელის ცნობაც. მისმა ავტორმა, სპარსული წყაროებიდან სავსებით დამოუკიდებლად, კარგად იცის, რომ ჩაღათაელთა მიერ თბილისის აღებისა და ყარაბაღში გამოზამთრების შემდეგ, „თემური გაზაფხულის ჟამს აიყარა თავისი ჯარით და იღუპა მთელი თურქმენთა ყარა-მაჰმადზე“. ამ ამბების შუალედში კი, გამაჰმადიანებული ბაგრატი რომ სამშობლოში ბრუნდებოდა, „თითონაც (თემური) ურიცხვი ჯარითა წარმოემართა ქართლზე“.

მაშასადამე, ზემოთქმულიდან აშკარად ჩანს, რომ თბილისის აღებისა და ყარაბაღში ჩასვლის შემდეგ თემურლენგი ჯერ ისევ საქართველოში მოდის „ურიცხვი ჯარით“ და მხოლოდ ამის შემდეგ მიემართება ყარა მოჰამედ თურქმენზე სალაშქროდ.

საკითხის გარკვევაში კიდევ უფრო მეტი სიცხადე შეაქვს ისტორიკოს ფასიხი ხაფის ცნობას, რომლის თხზულებაც წლების მიხედვით შედგენილ მატიანეს წარმოდგენს და იძლევა უმნიშვნელოვანეს მოვლენათა ჩამოთვლას. ამ თხზულებაში, მაგალითად, 1388 წლის ქვეშ სულ ორიოდ სიტყვით არის ნახსენები თემურის მიერ საქართველოს დაპყრობა და მასთან დაკავშირებული ამბები, სახელდობრ: „ამირ საჰბეყერანის (თემურის) წასვლა ნახჭევნისაკენ და იქიდან საქართველოში, საქართველოს დაპყრობა და იქიდან დაბრუნება, არანის ყარაბაღში ყიშლადად დადგომა, საქართველოს მეფის შეპყრობა და გამუსლიმანება“. მომდევნო 1387 წლის ამბებში კი ფასიხი ხაფის დასახელებული

⁸¹ ნეზამ ად-დინ შამი, გვ. 101.

⁸² იქვე, გვ. 102.

⁸³ იქვე, გვ. 103.

⁸⁴ შარაფ ად-დინ ალი იეზდი, ტ. I, გვ. 412.

⁸⁵ იქვე, გვ. 413.

⁸⁶ იქვე, გვ. 417.

აქვს: „ამირ საჰბეყერანის (თემურის) გალაშქრება არანის ყარაბაღიდან საქართველოსაკენ... თოლთამიშ-ხანის ბედშაობის, უმადურობის, წრესგადასულობისა და ამბოხის შეტყობა; ბატონიშვილ მირანშაჰის შებრძოლება თოლთამიშ-ხანთან და მისი გაქცევა; ამირ საჰბეყერანის წასვლა გოგჩის ტბისაკენ... მისი უდიდებულესობა ამირ საჰბეყერანის (თემურის) თავდასხმა ყარა მოჰამედ თურქმანის ჯამათზე და მათი დარბევა ალატალში“⁸⁷.

ყოველივე ამის შემდეგ, საქართველოსაკენ თემურლენგის გამოლაშქრება 1387 წლის გაზაფხულზე, ვფიქრობთ, აღარ უნდა იწვევდეს ეჭვს. მასასადამე, სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ, როგორც თ. მეწოფელის ისე „ახალი ქართლის ცხოვრების“ განხილული ცნობა მიუხედავად იმისა ერთი მეორისაგან მომდინარეობს თუ ერთმანეთს დემთხვა დამოუკიდებლად.

იმის შესახებ კი, თუ როგორ დასრულდა 1387 წლის გაზაფხულზე საქართველოში თემურლენგის რიგით მე-2 და საერთო ჯამში კი მე-8 ლაშქრობა, მოუესმინოთ „ახალ ქართლის ცხოვრებას“.

„ახალი ქართლის ცხოვრების“ ავტორები, როცა ბაგრატის მოჩვენებით გამუსლიმანებასა და თემურლენგის მიერ გამოტანებული 12 ათასიანი ჯარის გაჟლეტის ამბავს გვაუწყებენ, ასე გამოხატავენ ამაზე თემურლენგის რეაქციას „და ვითარცა მიიწია ამბავი ესე ლანგ-თემურისა, დიდად დაუძნდა და მწუხარე იყო საქმისა ამისთვის, და დაიბანაკა მუნვე ზამთარსა მას. და ვითარცა მოიწივა თუე მარტისა, შემოიკრიბა სიმრავლე ლანგ-თემურ და წარმოემართა კუალად ქართლად, განძვნებული ფრიალ... მას ჟამსა იყო გაზაფხულის პირი ციოდა დიდად და მოსწვდა და სთოვდა“⁸⁹.

თემურლენგი რომ საქართველოში შემოიჭრა იგივე წყაროს ცნობით: „დახუდეს მეფე ბაგრატ და ქართველნიცა შეყრილნი. და მიეტევნეს ერთმანეთსა, და იქნა ბრძოლა ძლიერი, და მოისრა იმიერ და ამიერ კაცი ურიცხვ და უფროსად თათარი ორი ზომა მოისრა ომსა მას შინა“⁸⁹. თემურლენგი იძულებული გამხდარა პირადი მაგალითით შეეგულიანებია თავისი მხედრობა, ამიტომაც „იხადა მახული და თვთ განვიდა წინაგანწყობად, აღიზახა ხმითა დიდითა სპათა მიმართ თვსთა. და განმკნდეს სპანიცა მისნი, და მიეტევნეს მიყოვრებასა მას თანა ომისასა“⁹⁰.

მიუხედავად ამისა, რომ საქართველოს ლაშქარი გაცილებით უფრო მცირერიცხოვანი იყო, იგი ბრძოლის ველიდან ფეხს მაინც არ იცვლიდა, იგერიებდა მტრის ჭარბ ძალებს „და დასთხევდეს სისხლსა მათსა, რომელ ყოველნივე მეწამულად იხილვებოდეს სპანი ქართველთა, ცხენით კაცითურთ. და მოისრა ორკერძვე ბანაკი ურიცხვ, და უფროსდა ხუთი ზომა სპანი ლანგთემურისანი

عزيمت امير صاحب قران از قشلاق قراباغ اران بجانب گرجستان آمدن
 خبر بطر و کفران و نعمت و طغيان و عصيان که نغمتمش خان نموده حرب امير
 زاده امير انشاه کورکان با نغمتمش خان و فرار نغمتمش رفتن امير صاحب قران بگو
 گچه تنگيز تاخت کردن حضرت امير صاحب قران بر سر مردم قران محمد و غارت
 کردن ایشان در الا طاق، فصیح احمد بن حلال الدين محمد خوافی، مجمل

فصیحی، بتصحیح و تحشیه محمود فرخ، مشهد، ۱۳۳۹: 126, 23.

⁸⁸ ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 330.

⁸⁹ იქვე, გვ. 331.

⁹⁰ ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, გვ. 458.

მოისრნეს, რამეთუ განგრძობასა თანა ომისასა ვერღარა ძალ-ედვით ქართველთა წინაგანწყობა მათ დიდისა სიმაშურალისაგან, და არცაღა იარაღი შერჩომოდათ, არცაღა ცხენთა მათთა ძალ-ედვა სრბა“⁹¹.

ბოლოს, „სპათა სიმრავლისაგან თათართასა მძღე იქმნეს თათარნი“⁹². მაშინ „უჟუნ იქცა მეფე ბაგრატ და ქართველნი და მიჰმართეს სიმაგრესა მათათასა, და დევნა უყო უკანა მათსა ლანგ-თემურ და სრულიად სპათა მისთა“⁹³. მაგრამ მტერმა ამჯერად ვერაინ მოიხელთა საქართველოში, რადგან „ქართველთა წინაშე უწყოდეს მოსვლა ლანგ-თემურისა და ყოველივე შელტოლვილ იყვნეს მათსა კავკასიისასა. და მოჰყვნენ თათარნი თანა, შემოვიდეს საქართველოში, მოითარემეს, მოაოხრეს და დაწვეს წმიდანი ეკლესიანი და ალაოკრეს ქუეყანანი, და ხიზანი ვერა დააქელეს.

და შემდგომად ამისა შეიქცა ლანგ-თემურ თვსადგე. და ამისად შემდგომად წარვიდეს კუალად ყარაბაღსავე, დაყო მუნ ხანი რაოდენიმე“⁹⁴.

„ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტში ბაგრატი და გიორგი გვერდიგვერდ არიან მოხსენიებულნი ამ ომის დროს⁹⁵. მასასადამე მის დამწერს სავსებით კარგად ესმოდა რომელ ბრძოლაზე იყო ლაპარაკი, თუმცა, გზადაგზა სხვა ამბების შესატყვისი მასალაც შეუტანია თხზულების ამ ნაწილში.

ზემოთქმულის შემდეგ სავსებით გასაგები ხდება რატომ გაჩნდა საქართველოში თემურლენგის პირველი შემოსევის ორი სხვადასხვა თარიღი, 1386 და 1387 წლები, აგრეთვე, ორი სხვადასხვა დრო: ერთ შემთხვევაში შემოდგომა და, გაზაფხულის პირი მეორეში. ეს გარემოებაც, ვფიქრობთ, იმაზე მიუთითებს, რომ თემური საქართველოში იყო ორივეჯერ, როგორც 1386 წლის შემოდგომაზე, ისე 1387 წლის გაზაფხულზე.

დაბოლოს, სავსებით ბუნებრივია, გავაყეთოთ დასკვნა, რომ 1386—1403 წლებს შორის თემურლენგმა საქართველოში ილაშქრა 8-ჯერ: 1386, 1387, 1394 (ორჯერ), 1399, 1400, 1402 და 1403 წლებში.

⁹¹ ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, გვ. 458—459.

⁹² ბ რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 331.

⁹³ ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, გვ. 459.

⁹⁴ იქვე.

⁹⁵ იქვე.

ლაშარა სხაროვა

შქველსი საბრძოლო იარაღის ისტორიისათვის

(ბრინჯაოს შუბისპირები)

ბრინჯაოს შუბისპირი ბრინჯაოს ხანის იარაღ-საჭურვლის ერთ-ერთი კომპონენტია. ბრინჯაოსაგან დამზადებული პირველი შუბისპირები აღრებრინჯაოს ხანაში გვხვდება, ხოლო გვიანბრინჯაო-აღრერკინის ხანაში, დაახლოებით ძვ. წ. XI საუკუნიდან მათ თანდათანობით რკინის შუბისპირები ცვლიან¹.

აღრებრინჯაოს ხანის შუბისპირებს, განსხვავებით მომდევნო ხანის შუბისპირებისაგან ტარის დასაგები მასრის ნაცელად, მეტ-ნაკლებად წაგრძელებული ღერო აქვს, რომლითაც იგი ხის ტარში მაგრდებოდა. მაგრამ ღერო სხვადასხვანაირი იყო და ამიტომ ტარის დასამაგრებელი ნაწილის მიხედვით ძირითადად სამ ვარიანტს არჩევენ: სწორღეროიანს, მოკაულღეროიანს და ღიღისებრ დაბოლოებულ ღეროიანს².

საქართველოში სამივე ვარიანტია ცნობილი (საჩხერედან³, ზაპსიდან⁴, ბაგინეთიდან⁵, ოსპრისიდან⁶, ახალციხიდან⁷, სვანეთიდან⁸, საჩხერედან⁹, ხოვლედან¹⁰, და ლაჯანურპესის ტერიტორიიდან (ეს უკანასკნელი ი. გქელიშვილის არქივშია). საქართველოში აღმოჩენილია კიდევ ორი შუბისპირი: ერთი დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, ხოლო მეორე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში¹¹. დაბოლოს აღსანიშნავია ახალციხის ამირანის გორაზე აღმოჩენილი შუბისპირის ჩამოსასხმელი ყალიბის ნატეხი¹².

¹ რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX—A და XXI—B, 1957, გვ. 136, და ტაბ. 1, 171.

² თ. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების აღრეულ საფეხურზე, 1961, გვ. 164.

³ ბ. ა. კუფტინი, Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетии и Имеретию, გვ. 67, ტაბ. IX.

⁴ ბ. ა. კუფტინი, Археологические раскопки в Триалети, 1941, გვ. 11, სურ. 7ა.

⁵ ა. აფაქიძე, მცხეთა ქართლის სამეფოს ძველი ღვდაქალაქი, 1959, გვ. 65.

⁶ ვ. ს. ლიუბინი, Археологическая разведка в окрестностях г. Сталинири, КСИМК, вып. 60, М., 1952, გვ. 22, სურ. 19.

⁷ თ. ნ. ჩუბინიშვილი, Г. Татишвили, О. Гамбашидзе, Археологические разведки в южных районах Грузии в 1953—1955 гг., СА, 1957.

⁸ შ. ჩართოლიანი, სპილენძის უძველესი იარაღები სვანეთიდან, საისტორიო კრებული, II, 1971, გვ. 506, ტაბ. VII 1—2.

⁹ ც. ლაშხი, არქაული შუბისპირები, საბჭოთა ხელოვნება, 1968, № 7, გვ. 81.


¹⁰ გ. გრიგოლია, აღრებრინჯაოს ხანის ყორღანი სოფ. ხოვლესთან.

¹¹ ბ. ა. კუფტინი, დასახ. ნაშრ., გვ. 11, 12, სურ. 75, 95.

¹² ტ. ჩუბინიშვილი, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, თბილისი, 1965, სურ. 18.

საქართველოს გარეთ მსგავსი შუბისპირები აღმოჩენილია სომხეთში¹³ და ჩრდილო კავკასიაში (ვოზდეიენსკოესა და პროლეტარსკოეს დოლმენურ სამარხებში, ნოვოსვობოდნიას და პსებაისკაიას ყორანებში)¹⁴.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნული შუბისპირები ჩრდილო კავკასიაში მოხვდნენ წინააზიური სამყაროდან ამიერკავკასიის გზით (ბ. კუფტინი, გ. გობეჯიშვილი, ო. ჯაფარიძე). წინააზიურ სამყაროში ისინი ძვ. წ. IV ათასწლეულიდან იწყებენ გავრცელებას. ლეროიან შუბისპირთა ადრეული ფორმები ცნობილია ურის სამეფო სამარხებიდან (ძვ. წ. XXVI—XXV სს.), შუა ევფრატისტიდან (ქარხემიში, ტელახმარა), თიურინგ-თეფედან და თეფე-პისარიდან¹⁵.



სურ. 1. 1 და 3 — საქართველო, 2 — საჩხერე, 4 — ქვემო სვანეთი, 5, 6 — ოსპრისი, 7, 8 — ზაპესი, 8 — ბაგენეთი, 9 — ზემო სვანეთი.

ო. ჯაფარიძე, რომელსაც სადღეისოდ ყველაზე სრულადა აქვს შესწავლილი აღნიშნული შუბისპირები, ითვალისწინებს რა წინააზიურ და მცირეაზიურ მასალებს, მათ თარიღებს (კ. შეფერის, დ. სტრონახის, დ. გორდონის) შესაბამისად, ცდილობს შედარებით ზუსტი პარალელების მოძებნას ჩვენში აღმოჩენილი ცალკეული შუბისპირებისათვის და სრულიად სამართლიანად მათ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარსა და II ათასწლეულის პირველ საუკუნეებს შორის ათავსებს. ყველაზე ადრეულად მას ახალციხისა და ოსპრისის შუბისპირები მიაჩნია (III ათასწლეულის II ნახევრის შუა ხანები), რამდენადმე უფრო

¹³ С. А. Е с а я н, Оружие и военное дело древней Армении, Ереван, 1966, გვ. 13, ტაბ. 1_{1,2}.

¹⁴ Отчет археологической комиссии за 1898 г. таб. IV, рис. 49; Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 12; А. А. Иессен, К археологии «Больших кубанских курганов», გვ. 178.

¹⁵ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 74; Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

ახალგაზრდად მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცული შუბისპირი; საჩხერულ შუბისპირს III ათასწლეულის ბოლოს აკუთვნებს; ზაპესისა და საქართველოს მუზეუმში დაცულ შუბისპირებს III—II ათასწლეულთა მიჯნას, ხოლო ბაგინეთის შუბისპირი, ყველაზე განვითარებულ ფორმად მიაჩნია, და II ათასწლეულის პირველ საუკუნეებს აკუთვნებს¹⁶.

ზემო სვანეთის შუბისპირი, როგორც მართებულად აღნიშნავს შ. ჩართოლანი, ყველაზე პრიმიტიულია, ამდენად იერიც არქაული აქვს და მისი მიმსგავსება ამირანის გორაზე აღმოჩენილ ყალიბით წარმოდგენილ იარაღთან, რომელსაც ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით ათარიღებენ, შეიძლება ნიშანდობლობიდან¹⁷.

რაც შეეხება ღეროლილაკიან შუბისპირს ქვემო სვანეთიდან¹⁸, რომელიც ერთდღერითაა ჯეროლილაკიან საქართველოში, მას შ. ჩართოლანი ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებით ათარიღებს. ჩვენი აზრით შ. ჩართოლანი აღნიშნულ შუბისპირს რამდენადმე უნდა აძველებდეს. დილაკი სუსტად არის გამოსახული არა ტექნიკური განვითარებლობის, არამედ დეფორმაციის გამო (აშკარად, ეტყობა დარტყმის კვალი), სხვა მორფოლოგიური ნიშნებით კი (პირზე მკვეთრი ქედი, რთული წახანაგოვანი ღერო და სხვა) მეტად სრულყოფილი ფორმა აქვს. პირის მოყვანილობით იგი ზაპესისა და ბაგინეთის შუბისპირებს უახლოვდება და რთულწახანაგოვანი ღეროთიც, ჩვენი აზრით, ტექნიკურად უფრო მაღალ დონეს უნდა გულისხმობდეს. ამიტომ ეგებ უფრო მართებული იყოს მისი არსებობა II ათასწლეულის საწყის პერიოდში.

ადრებრინჯაოს ხანის მასალებში ყურადღებას იპყრობს ჯგუფი იარაღთა, რომელთაც ბ. კუფტინი „შუბისმაგვარი დანის პირებს“ უწოდებს, ა. ტალკრენი — „სატევარს, ან შუბისპირს“, ხოლო ო. ჯაფარიძე — „ფოთლისებური შუბისა თუ სატევარის პირებს“¹⁹. ჩვენი აზრით ისინი უფრო შუბისპირებს გვანან. ამათაც ტარში გასამაგრებლად ღეროები აქვთ, პირი ფოთლისებური მოყვანილობის, რომელსაც სიგრძეზე მეტ-ნაკლები სიმაღლის ქედი დაუყვება ორსავე მხარეს დაბალი დარტყმით. აფხაზეთის V დოლომენის „შუბისპირები“ უფრო გლუვია და უფრო წაგრძელებული, რითაც ისინი სტანიცა ნოვოსვობოდნიას დოლომენში აღმოჩენილ პირებს ემსგავსებიან²⁰. ამავე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ თრიალეთის X ყორდანის შუბისპირი და XIX ყორდანის ნაკლული იარაღი²¹; ურბნისში ხიზანანთ გორაზე „მტკვარ-არაქისი“ ხანის ფენაში აღმოჩენილი იარაღი²² და საჩხერეში, ცარცის გორაზე მასიურ ყუამილიან ცულთან ერთად აღმოჩენილი „შუბისპირი“²³.

¹⁶ ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლიოთონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, 1961, გვ. 168.

¹⁷ შ. ჩართოლანი, დასახ. ნაშრ., გვ. 319; ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 119, სურ. 18.

¹⁸ დაცულია ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, №5488.

¹⁹ Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I, 1944, გვ. 279, ტაბ. XXXII₆₋₇; ო. ჯაფარიძე, ლიოთონის წარმოების საფეხური საქართველოში, თბ., 1935, გვ. 86.

²⁰ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 284, სურ. 65₄₋₅.

²¹ ე. გოგაძე, თრიალეთის ყორდანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, 1972, გვ. 27—28.

²² Л. Глонти და სხვა ავტორები, Некоторые итоги полевых работ 1964 г. Урбинской и Квирильской археологической экспедиции, სსშ, XXV—B, 1968.

²³ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 71, ტაბ. VI.

მსგავსი იარაღები აღმოჩენილია ჩრდილო კავკასიაშიც (ფასკაუსა და კუმბულთის სამაროვნებზე)²⁴. აფხაზეთისა და საჩხერის „შუბისპირების“ ანალოგიურია სტანიცა კოსტრომსკაიას ყორღანული კომპლექსიდან ცნობილი მომცრო იარაღები²⁵.

წინააზიურ სამყაროში მსგავსი „შუბისპირები“ ცნობილია ცენტრალური ანატოლიიდან (თეოკეიდან), რომელსაც ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებით ათარიღებენ. თეოკეის „შუბისპირი“ ე. გოგაძეს საჩხერის „შუბისპირის“ იდენტურად მიაჩნია. ასევე იდენტურად მიაჩნია ეშერის IV დოლმენის ერთ-ერთი „შუბისპირი“ და ქარაზ-ჰიუიუკის (ერზერუმთან) „შუბისპირი“²⁶.

ამგვარად ადრებრინჯაოს ხანაში საქართველოში გავრცელებული ყოფილა ღეროიანი შუბისპირები (სწორღეროიანი, მოკალღეროიანი და ღეროლიანი) და აგრეთვე ჭგუფი „შუბისპირისებური“ იარაღებისა (რომელთა დანიშნულება დასადგენია), რომლებიც მორფოლოგიურად წინააზიურ სამყაროში გავრცელებულ შუბისპირებს უკავშირდებიან. ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებს, რომლებიც მოიცავენ აღნიშნულ იარაღებს, ან რომელთა საშუალებითაც ისინი ამ პერიოდს მიეკუთვნებიან, ძირითადად ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით ათარიღებენ (ბ. კუფტინი, ძვ. წ. 2300—2100 წლებით, ო. ჯაფარიძე 2200—1900, ხოლო ე. გოგაძე 2300—2000 წლებით)²⁷, რასაც სავსებით ვიზიარებთ ჩვენც.

შუბისპირის ხანაში — მასრიანი შუბისპირი იწყებს გავრცელებას. ამ პერიოდის ყველაზე ადრეულ შუბისპირს თრიალეთის XV ყორღანის ბრინჯაოს მასრავახსნილი შუბისპირი წარმოადგენს²⁸.

თრიალეთურ შუბისპირს — ფოთლისებური მოყვანილობის პირი აქვს, მხრებთან მკვეთრად დახრილი; პირს მკვეთრი შუა ქედი გაუყვება; მასრა გახსნილია და პირი პირთან მჭიდროდ მიტანილი. მასრას ბოლოში ვერცხლის სალტე აკრავს ტარზე დასამაგრებელი ნახვრეტით. ქედის ორივე მხარე შემკულია წვრილი, სიგრძივი რელიეფურ-ხაზოვანი დეკორით. ასეთივე დეკორი, მხოლოდ უფრო მსხვილი ამკობს მასრასაც. დეკორს პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონდა, რადგან სიბასრეს ანიჭებდა იარაღს. ე. გოგაძე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ამგვარი გაფორმება რთულ და თავისებურ მაღალტექნიკურ სამსხმელო ხერხების გამოყენებას გულისხმობს და ამ ტექნიკის საწყისს ურში ხედავს. ამავე ტექნიკით, მხოლოდ უფრო უხეშად შემკული ყოფილა ძვ. წ. 1500 წლით დათარიღებული სატევარი თეფე-გვიანიდან (ირანი), წინაღინასტიური ხანის ეგვიპტური იარაღი და გვიანბრინჯაოს ხანის სატევარი თრიალეთიდან (ორმო-სამარხი № 20, საფარხარაბა)²⁹.

უძველესი, მასრის ბოლოზე სალტიანი შუბისპირები სირიაში (რა-შამრა —

²⁴ МАК. VIII, გვ. 211.

²⁵ Т. Б. Попова, Дольмены станицы Новосвободной, М., 1963, гв. 44—46, таб. XIX_{1,2}.


²⁶ ე. გოგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 27—28, 118.

²⁷ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 75; ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 168; ე. გოგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

²⁸ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 96.

²⁹ ე. გოგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

ძვ. წ. 2000)³⁰ ჩანს, ხოლო XVIII—XVI საუკუნეებში ეგეოსურ სამყაროში³¹, თრიალეთური შუბისპირი უფრო მეტ მსგავსებას ეგეოსურ სამყაროში გავრცელებულ შუბისპირებთან იჩენს ფოთლისებური (უფრო ფრთისებური) პირით, მკვეთრი ქედითა და გახსნილი მასრით. სირიულ შუბისპირებს მასრა და პირი შედარებით მოკლე აქვთ. სწორედ აღნიშნულის საფუძველზე თრიალეთის XV ყორღანი ბ. კუფტინმა ძვ. წ. XVI—XV საუკუნეებს მიაკუთვნა³². ასევე დაათარიღა ეს ყორღანი ფრანგმა არქეოლოგმა კ. შეფერმა (ძვ. წ. 1550 — 1450 წწ.)³³. ო. ჯაფარიძე შესაძლებლად სთვლის XV ყორღანის მიკუთვნებას ძვ. წ. XXII საუკუნის მეორე ნახევრისათვის და ამავე პერიოდიდანვე ვარაუდობს მასრიანი შუბისპირების გავრცელებას ჩვენში³⁴. ე. გოგაძე თრიალეთის XV ყორღანს თრიალეთის ყორღანული კულტურის III ჯგუფის ძეგლებში აქცევს, რომელთაც შუაბრინჯაოს დასასრულ პერიოდს მიაკუთვნებს და ძვ. წ. 1600—1450 წწ. ამ პერიოდისათვის შესაფერ თარიღად მიაჩნია³⁵. ე. ი. მასრიანი შუბისპირი შუაბრინჯაოს ხანის დასასრულისათვის ჩნდება და ფართოდ ვრცელდება შემდგომ ხანაში.



სურ. 2. 1 — თრიალეთი, 2 — მეტეხი.

თრიალეთური შუბისპირის ანალოგიას კიროვოკანის ყორღანში აღმოჩენილი შუბისპირი წარმოადგენს³⁶. მსგავსება იმდენად დიდია, რომ ბ. პიოტროვსკი მათ ერთ ყალიბში ჩამოსხმასაც კი ვარაუდობს³⁷. მორფოლოგიური თვალსაზრისით თრიალეთურ შუბისპირთან ახლოს დგანან ნულის (უკეთესი ნიმუშები)³⁸ ქვათილისა (№ 1 სამარხი 1952 წ.)³⁹ და ბრილის შუბისპირები⁴⁰.

³⁰ Glaude, F. Schraeffer, Stratigraphie comparee et chronologie de L'Asie Occidentale, London, 1948, გვ. 515.
³¹ A. Evans, The shaft Graves and Bee. Hive tombs of Mycenae and their interrelation, London, 1929, გვ. 32—41, სურ. 27, 28.
³² Б. А. Купфин, დასახ. ნაშრ., გვ. 71.
³³ G. Schaeffer, La date des Kouranes die Trialeti Antiquity, № 68, 1943, გვ. 184.
³⁴ ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, 1969, გვ. 162, 247.
³⁵ ე. გოგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 69.
³⁶ А. А. Мартиросян, Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1964, გვ. 64, სურ. 28.
³⁷ Б. А. Пиотровский, Археология Закавказья, 1949, გვ. 47.
³⁸ ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, 1957, ტაბ. XVI, Н—49.
³⁹ О. М. Джапаридзе, Квасатальский могильник эпохи бронзы в Юго-Осетии, КСИИМК, вып. 60, М., 1955, გვ. 20, სურ. 6, 7.
⁴⁰ ბ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, 1952, გვ. 58, ტაბ. X¹⁰⁻¹².

რამდენადმე მსგავსი მოყვანილობა აქვთ, მაგრამ შედარებით მდარედ ნაკეთებია ამავე პერიოდის შუბისპირები მეტეხიდან, აენევიდან, ნულიდან, დიდი-ახალსოფლიდან და სხვა⁴¹.

ჩრდილო კავკასიაში მსგავსი შუბისპირები აღმოჩენილია ანდრიუკოვსკაიას, პერვომაისკაიას და კუმულთის სამაროვნებზე⁴².

გვიანბრინჯაო-ადრეკინის ხანა მასრიანი შუბისპირების ფართო გავრცელების ხანაა. როგორც ტიბოლოგიურად, ასევე ტექნიკურად ისინი განვითარების უმაღლეს დონეს აღწევენ და ამ პერიოდის დასასრულისათვის არსებობასაც სწყვეტენ, რადგან მათ რკინის შუბისპირები ცვლიან.

გვიანბრინჯაო-ადრეკინის ხანაში, პირის მოყვანილობის მიხედვით, შუბისპირებში ძირითადად ოთხი ტიპი გამოირჩევა (სურ. 3); I. ფრთისებური (ან ვიწროპირიანი), მხრებდახრილი: II. ფოთლისებური — მეტ-ნაკლები ვარიაციებით: III. ალისებური და IV. სამკუთხა პირიანი.

როგორც წესი ჩვენ მიერ გამოყოფილ I—III და IV ტიპის შუბისპირებს მასრა გახსნილი აქვთ. მასრის პირები ზოგჯერ მჭიდროდაა ერთმანეთთან მიტანილი.

II ტიპის შუბისპირებისათვის დამახასიათებელია, როგორც მასრაგახსნილობა ასევე მასრამთლიანობა. მთლიან მასრიან შუბისპირებში გამოიყოფა ჭგუფი შუბისპირებისა, რომელთაც მასრაზე ორი რელიეფური სალტე აქვთ და სალტეებს შორის ორი გამჭოლი სამანჭკლე. რელიეფური სალტეები ტექნიკური გაუმჯობესებაა, თუმცა უნებლიეთ დეკორის როლსაც ასრულებენ. სალტეებს შორის გაჭედვით მანჭვალი ალბად არ ირყეოდა და უკეთ ამავრებდა ხის ტარს.

თუ თვალს გადავაგვლებთ შუბისპირების გავრცელებას გეოგრაფიულად, შემდეგ სურათს მივიღებთ:

ფრთისებური თუ ვიწროპირიანი (I ტიპი) მხრებდახრილი შუბისპირები უპირატესად დამახასიათებელია აღმოსავლურ-ქართული კულტურისათვის (და საერთოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიისათვის). გვაქვს მათი აღმოჩენის შემთხვევები დასავლეთ საქართველოშიც და ჩრდილო კავკასიაშიც, მაგრამ ეს ერთეული შემთხვევებია და არაა დამახასიათებელი ამ მხარეებისათვის. ჩვენ აზრით ამ ჭგუფში უნდა გაერთიანდეს შუბისპირები ჩავულოვის კომპლექსიდან⁴³, ბეშთაშენის № 20 სამარხიდან⁴⁴, თლიდან (1968 წლის შემთხვევით მონაპოვარი და 1958 წელს გათხრილი № 46 სამარხიდან; ინახება ბ. ტეხოვთან), ლუხვანოს განძიდან (ინახება ერმიტაჟში, 172715), წალკიდან (კომაროვის კოლექცია, ინახება მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, 62[21]), კასპიდან (ინახება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში), ბანისხევიდან (ინახება ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში) და სხვა ამ სახეობის შუბისპირები.


⁴¹ შ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. IV, 1965, გვ. 57; ე. გოგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 67, 68.

⁴² А. А. Иессен, Прикубанский очаг металлургии и металлообработки, МИА, 23, 1951, გვ. 114, სურ. 51; Е. И. Крупнов, Археологические работы в Кабарде и Грозненской области, КСИИМК, вып. XXXII, 1950, სურ. 253.

⁴³ რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სმ მოამბე XXII—B, 1961, გვ. 308.

⁴⁴ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 335.

ფოთლისებურპირიანი შუბისპირები (II ტიპი) რაოდენობრივად ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმაა და გეოგრაფიულად უმეტეს წილად ისევ აღმოსავლეთ საქართველოზე მოდის (სამთავროს სამაროვანი, ბეშთაშენი, თლის სამაროვანი, კახეთი და უამრავი შემთხვევითი აღმოჩენები). საერთოდ კი უნდა




სურ. 3.

აღინიშნოს, რომ ფოთლისებურპირიან შუბისპირთა გავრცელების დიაპაზონი მეტად დიდია და სხვადასხვა ვარიანტებშია გამოსახული⁴⁵.

საქართველოში ეს ვარიანტები გამოიხატება პირის მეტ-ნაკლებ მომრგვალებაში, ქედის მეტ-ნაკლებ სიმაღლეში და პროპორციებში. მთავარი კიდევ ის არის, რომ მხოლოდ ამ ტიპისათვის არის დამახასიათებელი სხვადასხვა ფორ-

⁴⁵ Е. Н. Черных, *Металл—человек—время*, 1972, გვ. 54.

მის მასრა — გახსნილი, მთლიანი ან მთლიან მასრაზე რელიეფური საღტეები-
ეს უკანასკნელი განსაკუთრებით დამახასიათებელი იორ-ალაზნის აუზისა-
თვის⁴⁶.



სურ. 4. 1,3 — გახსნილი მასრები, 4 — მთლიანი მასრა, 5 — მთლიანი მასრა
რელიეფური საღტეებით.

ალისებურპირიანი (III ტიპი) შუბისპირები საქართველოში მხოლოდ 20 ცალია აღმოჩენილი და ოცივე კოლხური კულტურის გავრცელების სფეროში. იგი აღმოჩენილია აფხაზეთში, ლეჩხუმში, იმერეთში, გურიაში, მესხეთ-ჯავახეთში, ყარსში და შიდა ქართლში⁴⁷. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ალისებურპირიანი შუბისპირები შემკულია კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი დეკორითა და მხატვრული სიუჟეტით. ძირითადად გაფორმებულია ხოლმე მასრა, რომელიც როგორც წესი ყოველთვის გახსნილია.

სამკუთხაპირიანი (IV ტიპი, სურ. 34) შუბისპირების გავრცელება უფრო მეტი ლოკალურობით ხასიათდება, რამდენადაც მხოლოდ აფხაზეთში ჩანს გავრცელებული⁴⁸. გვაქვს რამდენადმე მიმსგავსებული ფორმები აღმოსავლეთ სა-

⁴⁶ ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 84; К. Н. Пидхелაური, Памятники эпохи поздней бронзы Иоро-Алазанского бассейна, автореферат, 1960, გვ. 15.

⁴⁷ დ. ქორიძე, ალისებურპირიანი შუბისა და ხელშეშის გავრცელების არეალისა და გენეზისის საკითხისათვის, სსშ მოამბე, XXIX—B, 1972, გვ. 42—43.

⁴⁸ М. М. Иващенко, Исследование арханчских памятников материальной культуры в Абхазии, 1935, სურ. XVI; Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, 1949, გვ. 133—192, ტაბ. XV₆₋₇; М. М. Тапш, Труды, М., 1969, გვ. 178.

ქართველოსა და ჩრდილო კავკასიაში, მაგრამ ეს ერთეული შემთხვევებია და არსებულ სურათს ვერ ცვლის. სამკუთხაპირიანი შუბისპირების მასრაც ყოველთვის განსნილია და განსხვავებით სხვა შუბისპირთა მასრებისაგან გრძელი (სურ. 43).

აფხაზეთიდანვეა ცნობილი ერთი მეტად განსხვავებული და უფრო სწორად უნიკალური ფორმა შუბისპირისა. ეს არის ეშერის ერთ-ერთ ურნა-სამარხიდან ცნობილი იარაღი, რომელსაც პირი სატევრისა აქვს, ხოლო ტარზე დასამაგრებელი ღეროს ნაცვლად მასრა. მ. ივაშჩენკო მას სატევარს უწოდებს, მაგრამ შესაძლებლად თვლის, მის გამოყენებას შუბისპირადაც (პირის სიგრძე — 17 სმ-ია, ხოლო მასრისა — 3 სმ, მაგრამ ეს უკანასკნელი ნაკლებია)⁴⁹. ბ. კუფტინი აღნიშნულ იარაღს შუბისპირს უწოდებს, რადგან მისი თხელკედლიანი გახსნილი მასრით დამაგრებული პირი არ გამოდგებოდა სატევრის ფუნქციის (გვერდითი დარტყმები) შესასრულებლად. მისი აზრით, ეს იარაღი არ უნდა აურიოთ დასავლურ-ევროპულ (საფრანგეთი, ბრიტანეთი) გვიანბრინჯაოს ხანის სატევრებში, რომელთაც მოკლე, მასიური და მთლიანი მასრა აქვთ⁵⁰. ბ. კუფტინის მოსაზრება სავსებით მართებულია და თავად ცდა კი სატევრის პირის მიბაძვისა უცხო თვისება არაა, რასაც ადასტურებს ადრეულ უყუნწო სატევრისპირთა მსგავსება ფოთლისებურპირიან შუბისპირებთან და ასევე აღისებურპირიან სატევართა და შუბისპირთა მსგავსება.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეშერის შუბისპირი ერთადერთია და ამდენად მისი შეტანა საქართველოში გავრცელებულ შუბისპირთა ტიპოლოგიაში (როგორც ხასიათისა) არამართებულად მივიჩნით. ამ საკითხის დახუსტება შემდგომი აღმოჩენების ვალია.

ამრიგად, შუბისპირთა გავრცელების გეოგრაფიული სურათი საშუალებას იძლევა შემოიხაზოს ამა თუ იმ ტიპის შუბისპირთა გავრცელების ლოკალური საზღვრები. ასე მაგალითად: იორ-ალაზნის აუზში გავრცელებული რელიეფურ-სალტეებიანი მასრა მთლიანი შუბისპირები სრულიად უცნობია დასავლეთ საქართველოსათვის და პირიქით, გრძელმასრიანი სამკუთხაპირიანი შუბისპირები აღმოსავლეთ საქართველოსათვის, ხოლო აღისებურპირიანი შუბისპირები იორ-ალაზნის აუზისათვის და სხვა.

აღნიშნულის შემდეგ ბუნებრივია კითხვა — თუ რომელი ტიპია ადრეული და გენეტიკურად რა მიმართებაშია?

მორფოლოგიურად შუაბრინჯაოს ხანის შუბისპირებთან (თრიალეთური და მისთანა შუბისპირებთან) ყველაზე ახლოს დგას ფრთისებურპირიანი, მხრებდახრილი მასრაგახსნილი შუბისპირები. ამდენად, ტიპოლოგიური თვალსაზრისით 1 ტიპის შუბისპირები თრიალეთური და მისი მსგავსი შუბისპირების ადგილობრივი ვარიანტი და გაგრძელებაა. ჩვენი აზრით ამ მოსაზრებას უნდა ამაგრებდეს მათი ქრონოლოგიური თანმიმდევრობაც. მაგალითად შუაბრინჯაოს ხანის ამ ტიპის შუბისპირებს ქრონოლოგიურად მოსდევს შუბისპირი ჩაგულოვის კომპლექსიდან, რომელსაც რ. აბრამიშვილი ძვ. წ. XIV საუკუნით ათარიღებს⁵¹. შემდეგ შუბისპირი ბეშთაშენის ძვ. წ. XIII—XII საუკუნის № 20 სამარხი-

⁴⁹ М. М. Иващенко, დასახ. ნაშრ., გვ. 59, სურ. XVI-ა.

⁵⁰ Б. А. Куптин, დასახ. ნაშრ., გვ. 159.

⁵¹ რ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 308.

დან⁵², თლიდან (ძვ. წ. XII საუკუნე) ლუხვანოდან (ძვ. წ. X—VIII საუკუნე)⁵³ და სხვა.

ე. ო. შუბისპირთა 1 ტიპი შუაბრინჯაოს ხანაში შექმნილი ფორმაა, რომელიც დეტალებში განსხვავებით, მაგრამ ერთი ზოგადი ნიშნით (პირვიწრო). განაგრძობს არსებობას გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაშიც თუმცა კი შედარებით სპორადულად, მაშინ როცა ამავე პერიოდში მავალითად აზერბაიჯანში იგი ფართოდაა გავრცელებული (ჩოვდარი, ტაშქესანი)⁵⁴. როგორც ჩანს, აღნიშნულ პერიოდში სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებულ მდგომარეობას ფოთლისებურპირიანი შუბისპირები იჭერენ.

მორფოლოგიური თვალსაზრისით ასევე ღრმა ფესვები აქვს ფოთლისებურპირიან (II ტიპი) შუბისპირებს, რომელთა ადრეული ფორმები თავს იჩენს უკვე შუაბრინჯაოს ხანის მასალებში (ნული, ქვასათალი) და მეტ-ნაკლები ვარიაციებით ფართოდ ვრცელდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. საინტერესოა რომ რკინის შუბისპირები თითქმის მხოლოდ ამ ფორმიტაა, შემდგომ წარმოდგენილი.

თუ I და II ტიპის შუბისპირები მორფოლოგიურად წინააზიურ სამყაროს უკავშირდებიან⁵⁵, სამაგიეროდ III (ალისებურპირიანი) და IV (სამკუთხაპირიანი) ტიპის შუბისპირები ადგილობრივ ნიადაგზე წარმოქმნილი ფორმებია და არსად საქართველოს გარეთ მათი ანალოგიები არ გვევლება. ალისებურპირიან შუბისპირთა ადრეული ნიმუშები აღმოჩენილია სურამუშში (ძვ. წ. XIV—XIII სს.)⁵⁶, სვერში, სამთავროში, თლიში და მათ დ. ქორიძე, სრულიად მართებულად ძვ. წ. II ათასწლეულის შუა და ბოლო საუკუნეებით ათარიღებს. მისივე აზრით ალისებურპირიანი შუბისპირები ძვ. წ. XII საუკუნემდე არსებობენ⁵⁷. რაც შეეხება სამკუთხაპირიან შუბისპირებს (IV ტიპი), მისი ადრეული ფორმები ცნობილი არ არის, ჯერჯერობით იგი მხოლოდ ძვ. წ. XI—VII საუკუნეთა კომპლექსებში გვხვდება⁵⁸.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შუაბრინჯაოსა და აგრეთვე მომდევნო ხანის ადრეული შუბისპირები ყველა მასრაგახსნილია და ეს დატალი სიძველის ერთერთ საბუთადაა მიჩნეული. მაგრამ მასრაგახსნილი შუბისპირები ღიღახანს არსებობენ და ამიტომ დათარიღებისას აუცილებელია მისი დამზადების ტექნიკური მხარის გათვალისწინება.

შუბისპირთა დამზადების უძველესი ხერხები დადგენილია ვ. თავაძისა და თ. საყვარელიძის მიერ. როგორც მიკროსკოპიულ-ტექნოლოგიურმა შესწავლამ ნათელყო, შუაბრინჯაოს ხანის მასრაგახსნილი შუბისპირი⁵⁹ მცირე მინარევია სპილენძის ფურცლისაგან არის დამზადებული ცივი ჰედვით. შუბისპირის გამო-საჭედად საჭირო იყო მავარი მასალისაგან ნაყეთები ორგვარი სპეციალური სამარჯვი. ერთი სამარჯვით სპილენძის ფურცლისაგან გამოჭრილ შუბისპირის

⁵² რ. აბრამიშვილი, გვ. 322.

⁵³ Л. С. Сахарова, Позднебронзовая культура ущелья реки Цхенискали, автореферат, 1966, გვ. 8.

⁵⁴ ხატამ ქესამელის განათხარი, გამოუქვეყნებელი მასალა.

⁵⁵ Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 70—72.

⁵⁶ Л. С. Сахарова, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

⁵⁷ დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 45—48.

⁵⁸ М. М. Иващенко, დასახ. ნაშრ., გვ. 59.

⁵⁹ 1949 წელს ბ. ფუტინის მიერ სოფ. ნულში მოპოვებული შუბისპირი, გვ. 49.

ნამზადს მასრის ბოლოდან შუბის წვერამდე საწყის ფორმას აძლევდნენ. ამისათვის სპილენძის ფურცლის ნამზადი სამარჯვზე იკვებოდა. მეორე გრდმლისებური სამარჯვი, რომელსაც ღარი ჰქონდა იხმარებოდა შუბისპირის ცივად გამოკვერვისათვის. სამარჯვზე პირველად შუბის მჭრელი პირი იჭედებოდა, შემდეგ კი სამარჯვზე გაკეთებული ღარის მეშვეობით პირზე გამოყვანილი ქედი უკვე დასრულებულ ფორმას იღებდა⁶⁰. ასეთი ტექნოლოგიითაა დამზადებული ანალოგიური შუბისპირები ნულიდან (ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი № 788, 789, 495), წირქვალიდან (საქართველოს მუზეუმი), 13—32 (23, 25), ბრილიდან და სხვა პუნქტებიდან სადაც ამ პერიოდის ძეგლებია აღმოჩენილი⁶¹.

ადრეული გვიანბრინჯაოს ხანის მასრაგახსნილი შუბისპირების დასამზადებლად იმავე ავტორების აზრით იყენებდნენ უკვე განსხვავებული ფორმის ღრუ სამარჯვს, რომლითაც მიიღებოდა ქედი პირის მთელ სიგრძეზე. ცხელი ქედვით სპილენძის ფურცლოვანი ნამზადისაგან, სამარჯვის საშუალებით შუბის ბრტყელი და მჭრელი ნაწილი კეთდებოდა. შემდეგ ორივე სამარჯვის გამოყენებით და ქედვითი შედუღებით იკვებოდა ფურცლის ნაპირები. ასე მიიღებოდა მასრაგახსნილი, მაღალი და მრგვალქედიანი შუბისპირი⁶².

ჩამოსხმის წესით დამზადებული შუბისპირები მეტალოგრაფიულად შესწავლელია და ამდენად მათი დამზადების ტექნოლოგიაც ჯერ დადგენილი არ არის. ტ. ჩუბინიშვილის აზრით ასეთი შუბისპირების დასამზადებლად იყენებდნენ ყალიბს, რომელშიაც შუბის ორივე ნაწილს საწყისი ფორმა ეძლეოდა. შუბისპირის დასრულებული სახე უკვე ქედვის საშუალებით მიიღებოდა⁶³. ასეთი წესით უნდა იყოს დამზადებული შუბისპირები ზეეწიდან (ცხინვალის მუზეუმი, 786 და 1591), თრიალეთიდან (ბეშთაშენსაფარ-ხარაბას გზაზე გათხრილი სამარხებიდან), რუსთავიდან და სხვ.

მაგრამ არის ისეთი ჩამოსხმული მასრაგახსნილი შუბისპირები, რომელთაც დამუშავების კვალი არ ეტყობათ. ასეთი უნდა იყოს ფლავისმანის (საქ. მუზეუმი, № 17—24:17), წეროვანის, ნატახტარის (გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, № 23—89:12, 13; 28—39:10), ყორნისის (ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, № 802) და ბანისხევის (მოსკოვის ისტორიული მუზეუმი, № 54321) შუბისპირები⁶⁴, რომელთა დამზადების ტექნოლოგია ჯერ დაუდგენელია.

მთლიანმასრიანი შუბისპირები კი, როგორც ზემოხსენებულმა ავტორებმა დაადგინეს ქვის ორსაგდულიან ყალიბში ჩამოსხმებოდა. სპეციალური სახმის საშუალებით ყალიბის ზედა ნაწილში (საითაც იარაღის წვერი იქნებოდა მიქცეული) იხმებოდა 7% კალის შემცველი ბრინჯაო. მასრის ღრუ ნაწილის მისაღებად ყალიბის ქვედა ნაწილში, საგდულებს შორის სათანადო მოყვანილობის ჯოხს ატანდნენ, რომლის საშუალებით მიიღებოდა მთლიანი მასრა⁶⁵.

⁶⁰ ფ. თავაძე, თ. საყვარელიძე, საქართველოს ბრინჯაოს ძველი ნივთების ჩამოსხმის ტექნოლოგიის დადგენა, გვ. 77—78.

⁶¹ ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 77.


⁶² ფ. თავაძე, თ. საყვარელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 78.

⁶³ ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 79—80.

⁶⁴ იქვე, გვ. 80.

⁶⁵ ფ. თავაძე, თ. საყვარელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

ამრიგად უძველესი ტექნოლოგიისა და სამთავროს ძეგლების საფუძველზე, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის შუბისპირებში ყველაზე ადრეული ქედვით დამზადებული მასრაგახსნილი შუბისპირებია მიჩნეული. ქრონოლოგიურად მისი მომდევნოა ჩამოსხმის წესით დამზადებული მასრაგახსნილი და მთლიანმასრიანი შუბისპირები. ჩამოსხმის წესით დამზადებული მთლიანმასრიანი შუბისპირები გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის დასასრულიდან გვხვდება (სამთავროს №1547 და № 4865 შუბისპირები)⁶⁶ და ფართოდ ვრცელდება ძვ. წ. XI—VII საუკუნეებში⁶⁷. მასრაზე რელიეფურ სალტიანი შუბისპირები ჩნდება და ფართოდ ვრცელდება ძვ. წ. XIII—X საუკუნეებში⁶⁸. მაგრამ IX—VIII საუკუნეთა სამარხებში აღარ ჩანს (ერთადერთი შემთხვევაა № 151 სამარხი). სადა და მასრაზე რელიეფურ-სალტიანი შუბისპირების თანაარსებობა ძვ. წ. XI—X საუკუნეებზე მოდის⁶⁹. რით შეიძლება აიხსნას ასეთი ტიპობრივი და ქრონოლოგიური მონაცვლეობა და თანაარსებობა?



სურ. 5. შუბისპირისათვის დამახასიათებელი დეკორის ნიმუშები.

ჩვენ აზრით, ეს უნდა აიხსნას წინააზიური კულტურის ერთ-ერთი ელემენტის (ამ შემთხვევაში მასრიანი შუბისპირის) ტექნოლოგიისა და ზოგადი მორფოლოგიური ნიშნების სწრაფი ათვისებით, შესაბამისად მისი გადამუშავებით ადგილობრივ ამა თუ იმ მეტალურგიულ კერაში, რომლის შედეგადაც მიიღება მსგავსი (I და II ტიპი) ან სრულიად ახალი ლოკალური ფორმები (III და IV ტიპი), და რადგან ეს პროცესი ბუნებრივია გულისხმობს გარკვეულ დროსა და გარემოს, ამიტომ შუბისპირთა ტიპობრივ-ქრონოლოგიური მონაცვლეობა თუ თანაარსებობაც ამ პროცესითვე უნდა აიხსნას.

⁶⁶ ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 78.

⁶⁷ რ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. 1.

⁶⁸ სამთავროს № 80, 228, 240, 18, და სხვა სამარხები.

⁶⁹ К. Н. Пицхеллаური, დასახ. ნაშრ., გვ. 15.

მხატვრულ-ხარისხობრივი თვალსაზრისით ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ტიპოლოგიაში გამოირჩევა I და III ტიპის შუბისპირები. პირველისათვის დამახასიათებელია მოხდენილი პროპორციები, ხოლო მეორესათვის სხვადასხვა გეომეტრიული და ცხოველური სახეებით გრავირება (სურ. 3). ცნობილია აგრეთვე I და II ტიპის შუბისპირთა გრავირების ერთეული შემთხვევები. ჩვენი ზრით, ეს მხოლოდ ლოკალური ხასიათის თვისება არის და მჭიდროდაა დაკავშირებული გარკვეულ სოციალურ მომენტთან. საფიქრებელია, რომ მხატვრულად დამუშავებული ე. ი. უკეთესი შუბისპირები წარჩინებულთა, სახმარი იარაღი იყო. შეიძლება სწორედ ამითვე აიხსნას II ტიპის (ფოთლისებურპირიანი) შუბისპირთა გავრცელების ერთგვარი „სერიული“ ხასიათი, როგორც ფართო მოხმარების იარაღისა.

დაბოლოს რამდენიმე სიტყვა ბრინჯაოს შუბისპირთა მოხმარება-დანიშნულების შესახებ. ამ თვალსაზრისით ნაწილი შუბისპირებისა მიჩნეულია საქვერებელ, ნაწილი კი სატყორცნ იარაღად. საქვერებელი შუბისპირები დიდი ზომისაა (25—35 სმ), ხოლო სატყორცნი შუბისპირები პატარა (10—15 სმ). საქვერებელ შუბისპირებს შუბს უწოდებენ, ხოლო სატყორცნს — ხელშუბს, რადგან შუბი ხის ტარსაც გულისხმობს, ამიტომ, როცა ბრინჯაოს ნაწილზე ვლაპარაკობთ ალბათ უფრო მართებულია ვინმართ შუბისპირი (=შუბი) და ხელშუბისპირი (=ხელშუბი).

იუზა ხუსპივაძე

ირანული სამინიატურო ხელოვნების საკითხისათვის

ირანულ სამინიატურო შემოქმედებაში, მისი განსაკუთრებული სპეციფიკიდან გამომდინარე, შედარებით არატიპურად, ნაკლები სიმკვეთრით, მაგრამ მაინც გარკვეულად ჩნდება ობიექტურ სინამდვილესთან მეტი და მეტი დაახლოების ის აუცილებელი ტენდენცია, რაც ყველა ხალხის ხელოვნების განვითარების შინაგან პრინციპად შეიძლება ჩაითვალოს. ამგვარი სწრაფვა უფრო მეტად მოგვიანო ხანაში, კერძოდ XVII საუკ. შუა წლებიდან, იქცა შესამჩნევ მოვლენად, მაშინ როცა ირანული სამინიატურო ხელოვნება გაეცნო და ეზიარა ევროპულ სახვით საშუალებებს (მანამდე ეს მოვლენა უფრო ძნელად დასანახია, რადგან გაცილებით ძლიერია პირვანდელი დეკორაციული საფარველი)¹. ევროპული გავლენაც, ცხადია, ყოველმხრივ გასათვალისწინებელია და მხედველობაში მისაღები, მაგრამ, როგორც ირკვევა, ამ გავლენის მიუხედავად, ეს პროცესი ადგილობრივ, თვით ირანულ მხატვრულ სინამდვილეშივე მზადდება. სწორედ ამ შინაგანი, ბუნებრივად მიმდინარე პროცესის გარკვევა შეადგენს ჩვენს ძირითად მიზანს.

განსახილველ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში დღეისათვის არსებობს ერთი ძირითადი მოსაზრება: ირანულ სამინიატურო შემოქმედებაში ევროპული გავლენის წარმოჩენა ახსნილია, როგორც გარედან მოხვეული მექანიკური პროცესი². აღნიშნული პერიოდის, მხოლოდ და მხოლოდ ფრაგმენტულად შემორჩენილი, ფაქტობრივი მასალა, ერთი შეხედვით, მართლაც ისეთი სახით წარმოგვიდგება, რომ ირანული სამინიატურო ხელოვნების მიერ ევროპული სახვითი საშუალებების გამოყენება განვიხილოთ იმ ხასიათის პროცესად, რომელიც, თუ შეიძლება ითქვას, ზემოდან ქვემოთ ვითარდება: XVII საუკუნის ბოლო მეოთხედიდან უკვე გარკვეულად, საკმაო რაოდენობით მოზღვავებული ევროპული ხელოვნების სხვადასხვაგვარი ნიმუშები დიდი მოწონებით სარგებლობს ირანის შაჰის კარზე და ისიც, როგორც მთავარი დამკვეთი, ძირით-

¹ ევროპულ გავლენაში იგულისხმება იმ ახლებური სახვითი საშუალებების გამოყენება, რაც არ იყო ტიპური ტრადიციული ირანული მინიატურისთვის — მინიატურის პირობით-დეკორაციულ გადაწყვეტაზე უარის თქმა; მასში რამოდენიმე ხელის, სიღრმის ჩვენება, თვით პერსონაჟთა თუ რაიმე საგანთა შექაჩრდილით მოდელირება; მათი მოცულობის, მატერიალურობის გამოვლენა და სხვ.

² მეკვლევრები მიუთითებენ, რომ აღნიშნულ პერიოდში ევროპულ ქვეყნებთან დიპლომატიურ და სავაჭრო ურთიერთობის ინტენსიურ განვითარებას შეუძლებელია ირანში არ გამოეწვივა ევროპული კულტურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და ყოფა-ცხოვრების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი. ევროპულ ოსტატთა სურათები და გრაფიურები ირანში საჩუქრების სახით ჩამოქონდათ როგორც ელჩებს, ისე კათოლიკე მისიონერებსა და ვაჭრებს. ამასთან, საელჩოებისა და სხვადასხვაგვარ მისიათა შემადგენლობაში იყვნენ ევროპელი მხატვრებიც, რომელთაგან ზოგიერთი საშუალო რჩება ირანში. ეს უცანასკნელი გარემოება მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს სამეფო კარის ვატაკებს ევროპული ფერწერით, რომელიც ამდროისთვის უკვე მოღაღ იყო ქვეყლი. ამდენად, ბუნებრივია, რომ სპარსულ მხატვარ-მინიატურისტებს თავისებური ხარკი გაეღოთ ამ ვატაკებისთვის და პირველ

თაღად უნდა აპირობებდეს კიდევ მისი გავლენის გაფართოებას³. მაგრამ ამასთანავე, ვიმეორებთ, ეს საკმაოდ რთული პროცესი თვით ირანის მხატვრულ სინამდვილეში მომხდარი მთელი რიგი გარემოებითაც უნდა აიხსნას.

მუსულმანური ირანის სამინიატურო შემოქმედების შესწავლისას საკუთრივ ხდება მისი განვითარების პროცესში თანხვედრი სხვადასხვაგვარი გავლენის გათვალისწინება: როგორც ძველ სასანურ ხელოვნებაში ძლიერი რეალისტური ნაკადის შეთვისება, ისე შედარებით მოგვიანო ხანაში (XII საუკუნის ბოლოსა

ხანებში ევროპული ორიგინალებიდან ასლების გადმოღებისთვის მიემართათ, რაც თანდათანობით უკვე შემდგომ პერიოდში, თვით მხატვრული მანერის მიმაძიეთ უნდა შეცვლილიყო.

Б. П. Денике, Искусство Востока, Казань, 1923; A. Sakisian, La miniature persane du XII^e au XVII^e siècle, Paris, 1929; B. W. Robinson, A descriptive catalogue of the Persian paintings in the Bodleian library, Oxford, 1958; B. Grey, An album of designs for Persian textiles, — «Aus der Welt der islamischen Kunst, Festschrift für Ernst Kühnel», Berlin, 1959; J. Stchoukine, Les peintures des manuscrits de Shāh Abbas I^{er} a la fin des Safavis, Paris, 1964; Персидские миниатюры XIV—XVII вв. вступительная статья О. Ф. Акимушкина и А. А. Иванова, 1968.

³ ძალაუხებურად ისმის კითხვა (გათვალისწინებელი ზემოხსენებულ გამოკვლევებში) — რატომ სწორედ XVII საუკუნის ბოლო მეოთხედისათვის? ირანსა და შუა აზიაში მომუშავე მხატვრებს ევროპულ სახვით ხელოვნებაზე XV საუკუნეშიც უნდა ჰქონოდათ რეალური წარმოდგენა. ცნობილი ფაქტია — შერეფდლინი, იმ შეწირულობათა შორის, რომელიც ესპანეთის მეფის ენრიკო კასტილიელის მიერ იყო თმერილთა კარზე გამოგზავნილი, მოხატულ ქსოვილებსაც ასახელებს, რასაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია — ერთ-ერთი მემატიანე აღნიშნავს: თვით მანიც გაოგნდებოდაო (მოტანილია გ. ბუგაჩენკოვასა და ლ. რემპელის მონოგრაფიიდან — იხ. История искусств Узбекистана, М., 1965, გვ. 286). ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, საუბარია სახვით ხელოვნების ევროპულ ნიმუშებზე, რადგან აღმოსავლეთში მხოლოდ ძვირფასი ქსოვილებით ვიწმეს გაკვირვება როლი იყო იოლი საქმე. ჩვენამდე მათ თუმცა არ მოუღწევიათ, მაგრამ ფაქტია, იმ პერიოდში ევროპულ ნიმუშებს ირანულ მინიატურაზე არ მოუხდენია გავლენა, რადგან, და სწორედ ესაა საგულსხმო, ირანული სამინიატურო ხელოვნება, იქამდე ძიებითა და შემოქმედებითი სრულყოფის სწრაფით იყო დატვირთული, აღმავლობის გზით მიდიდა და ძნელი იყო გარედან შემოტანილ ხელოვნების ნიმუშებს მოეხდინა მასზე რაიმე ზეგავლენა.

იგივე მდგომარეობა, როგორც ჩანს, XVI საუკუნის მეორე ნახევარშიც გრძელდება, რადგან ზოგიერთი ირანული მინიატურისტის შემოქმედებაში მხატვრობის ევროპული გავლენის შესახებ პირდაპირი ცნობების არსებობა თუმცა უკვე უტყუარადაა დადასტურებული (მაგ., ისკანდერ მუნ-შის ცნობა სეფიანთა ხანის ერთ-ერთი გამოჩენილი მხატვრის მავლინა შეიხ-მუჰამედ შირაზის შემოქმედების შესახებ, რომელსაც „ვერაინი შეედრებოდა ფერებისა და კოლორიტის ხელვნებაში... ირანულ სამინიატურო ხელოვნებაში სწორედ მან გადმოიტანა და გაავრცელა ევროპული მანერა“. იხ. „თარიხე აღემ არაი აბასი“ — თურქულ-ლოთოგრაფიული ტექსტი, გვ. 68. მაგრამ თვით ირანულ სამინიატურო შემოქმედებაში ჯერ კიდევ მაინც არ ჩანს ევროპული ხელოვნების გავლენის ნაკადი.

XVII საუკუნის დამფუძნებელი მოყოლებული, ირანის შაჰის კარზე, უკვე მრავლად მოღვაწეობენ და, რაც განსაკუთრებით საგულსხმოა, სპეციალურადაც არიან მოწვეული. ევროპელი მხატვრები (იხ. Альбом индийских и персидских миниатюр XVI—XVIII вв. вступительные статьи А. И. Иванова, Т. В. Грек, О. Ф. Акимушкина, 1962, გვ. 58; J. Stchoukine, Les peintures des manuscrits de Shāh Abbas I^{er} a la fin des Safavis, გვ. 46—47.

A. Sakisian, La miniature persane du XII^e au XVII^e siècle, გვ. 132—133. 1962, გვ. 58). და მხოლოდ მოგვიანებით, დაახლოებით XVII საუკუნის მეორე ნახევრისთვის, ირანულ სამინიატურო შემოქმედებაში უკვე მომხდარ ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს ევროპული ხელოვნებისთვის დამახასიათებელ თავისებურებათა გადმოტანა — მხატვრული მანერის აშკარა მიმაძიე თუ თემატის ხშირად სრულად მექანიკური გამოვრება (Альбом индийских и персидских миниатюр XVI—XVIII вв., 1962, стр. 44—53).

ამ მოტანილი ფრაგმენტული ცნობებითაც, ეფიქრობთ, უკვე საკმაოდ ხდება მექანიკურ გავლენებზე საუბარი. ირანული სამინიატურო შემოქმედება გაცილებით ადრე გაიცნო ევროპულ სახვით ხელოვნების ნიმუშებს; მაგრამ გავლენას ევროპული სახვითი საშუალებები, როგორც ჩანს, განვითარების მხოლოდ გარკვეულ ეტაპზე ახდენენ.



სურ. 1. ქამალად დინ ბეჰზადი. მუსლიმანური სასწავლებელი
(XVI საუკუნის 20-იანი წლები).



სურ. 2. ქამალ-ად დინ ბეჰადი. სასახლის მშენებლობა (XVI საუკუნის 30-იანი წლები)



სურ. 3. ქამალ-ადდინ ბეკზადი. ახალგაზრდა მხატვრის პორტრეტი
(XVI საუკუნის 30-იანი წლები).



სურ. 4. რეზაი აბასი. მამაკაცის პორტრეტი (1634 წელი).



სურ. 5. შადი აბასი. დერვიში ყვითელი ჩალმით (XVI საუკუნის ბოლო).



სურ. 6. მუინ მუსავირი აქლემი (ჩანახატი; 1678 წელი).

და XIV საუკუნის დასაწყისში) ჩინური მხატვრობის გადმოღება⁴. ამ გარეშე გავლენებს ირანული მინიატურა, ეროვნულ ხელოვნებად ფორმირების გზაზე, თანდათანობით უარყოფს; მაგრამ უარყოფს არა მთლიანად. უარყოფს მხოლოდ იმ დოზით, რაც არ არის მისთვის ორგანული, და იმდენად, რამდენადაც ეს არ შეესატყვისება მის სიბრტყობრივ-დეკორაციულ გავებას. თუმცა, XV საუკუნის შუა წლების ირანულ მინიატურაში ისეთი ეტაპიც დგება, როცა შეუძლებელია რემინისცენციების პოვნა და სიბრტყობრივ-დეკორაციული სქემაც მაქსიმალურადაა გამოვლენილი⁵. სწორედ ამ პერიოდთან შედარებით, კლასიკურ ირანულ მინიატურაში, უკვე ნათლად დანახულ ახლებურ ელემენტებს (სხვადასხვა ხედების გამოყოფა, მოცულობის მინიშნება; ინტერესი კონკრეტული დეტალებისადმი და სხვ.), რომლებიც ისევ და ისევ საერთო დეკორაციულ სისტემაშია ჩართული, ამ ადრეული გავლენიდან წარმოჩენილი სინამდვილის ასახვისადმი დამოკიდებულებაც უნდა განსაზღვრავდეს, მაგრამ, და საგულისხმოც სწორედ ესაა, ეს ელემენტები ძველი ნიმუშებიდან მექანიკურად კი არ არის გადმოღებული და ეკლექტიკურად ჩართული, არამედ უკვე ორგანულად, ბუნებრივადაა შეთვისებული და შემოქმედებითად სრულიად ახლებურად გააზრებული.

ირანულ სამინიატურო ხელოვნებაში, განვითარების ამ ეტაპზე, უკვე გარკვეულად შეინიშნება თვითმყოფადი, დამოუკიდებელი სტილის ფორმირება, რის შედეგადაც ჩნდება ამ ხელოვნების „კლასიკური“ ფორმის გამოხატვის ცდები. ირანული სამინიატურო შემოქმედების განვითარების სწორედ ეს უმაღლესი ფორმა დაედება ჩვენს კვლევას საფუძვლად, რადგან ცნობილია — მოვლენის შესასწავლად ჩვენ ეს მოვლენა მისი განვითარების მაღალ საფეხურზე უნდა ავიღოთ; ამ შემთხვევაში შესაძლო ხდება, როგორც მისი სრულქმნის, თვით მოვლენის სრულყოფის წინაპირობის დადგენა, ისე განვითარების შემდგომი გზების შედარებითი მინიშნებაც⁶.

ირანულ მხატვრულ შემოქმედებაში XVI საუკუნის 30-იანი წლების თარიღული მინიატურა, სწორედ ამგვარი, შედარებით დასრულებული, „კლასიკური“ ფორმით წარმოგვიდგება⁷. სამინიატურო ხელოვნების ძირითადი იდეური შინაარსი — საფუძველშივე რეალურად აღქმული სამყარო, ნათელ ფერებში პოეტურად გარდაქმნილი — მთელი სისრულით სწორედ ამ სკოლის მხატვრობაში იქნა გამოვლენილი და, ირანული მინიატურის მხატვრული შესაძლებლობის ფარგლებშიც — მასალის გამოყენების, მისი დამუშავების მხრივ — შეუდარებლად გაზრდილი. უკვე აშკარაა და საჩინო — კომპოზიცია განთავისუფლდა სტატიკური ფორმისაგან; მინიატურა მრავალბლანოვანია (თუმცა ისევ სიბრტყობრივი და ტრადიციულად დეკორაციული); ჩნდება ეპიურობა; თემა-

⁴ A survey of Persian art, V, ტაბ. 818, 819, 821, 822, 829, 830, 838, 839,

⁵ იქვე, ტაბ. 855, 864 ა, ბ. და სხვ.

⁶ „განვითარების დაბალ საფეხურზე მოვლენის მხარეები, მომენტები თუ ელემენტები ნაკლებ დიფერენცირებული, ნაკლებ ჩამოყალიბებული, „გამოვლენილი“ არიან. განვითარება, მაღალ საფეხურზე ასევეა შინაგან სრულქმნას, მომენტებისა თუ ელემენტების უკეთ გამოვლენას, დიფერენცირებულად უფრო გარკვეულისა და გამოკეთილიცენი ვადასელასაც ნიშნავს. სწორედ ამიტომაც უფრო ხელსაყრელი ყოველი მოვლენის შესწავლა მისი განვითარების მაღალ საფეხურზე“. — ნ. ქაჯეძე, ე. ძ. ე. წ., უსთერციის საკითხები, 1958, გვ. 11.

⁷ ამ მხრივ ტიპობრია 1537 წლის „შაჰ-ნამეს“ დასურათებანი (არტურ ჰოგონის კოლექცია; ამჟამად დატულია მეტროპოლიტენის მუზეუმში).

7. „მ ა ც ნ ე“, ისტორიის... სერია, 1973, № 3.

ტიკის მრავალფეროვნება (თუნდაც ქანრული სცენები); პერსონაჟთა სიმრავლე და შემდეგ, უკვე პოზისა და ქესტის ბუნებრიობა, სახისა და ფორმის ინდივიდუალობა (მხოლოდ შედარებით, რა თქმა უნდა, და ამას კვლავ ვიმეორებთ, ისევ და ისევ მინიატურის მხატვრული შესაძლებლობის ფარგლებში). ამრიგად, ირანულ მინიატურაში მოძებნილია ყველა მისი კლასიკური კომპონენტი — მიღწეულია მწვერვალი; სხვაგვარად, რომ ვთქვათ — მინიატურის ესთეტიკური ღირებულება ყველაზე მეტად ამ, დასრულებულ სახეში ვლინდება (ირანული მინიატურის განვითარების სხვა პერიოდები — კლასიკურის წინა პერიოდი ან კიდევ რღვევის, დაცემის დაწყება — ამ თვისებას შედარებით მოკლებულია მინიატურის შემადგენელ ნაწილთა არა ჰარმონიული ურთიერთობის გამო), ფურცელი ჰარმონიულადაა დატვირთული, არაჩვეულებრივად და დახვეწილი კოლორიტის მხრივ. ტრადიციულია ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, ეროვნულია — ამ მხრივ ხელნაწერი წიგნის სამკაულებრივი ფუნქცია, შეიძლება ითქვას, ამოწურულია (სურ. 1)⁸. იმისათვის, რათა დავინახოთ მაგ. ბეჰზადის ან ყასემ-ალის მინიატურათა ისეთი თვისებები, როგორცაა პერსონაჟთა სახეების გამომეტყველება, სხვაობა ამ სახეთა შორის, ქესტის, პოზისა თუ საერთოდ მოძრაობის სიმართლე, ფერთა სინამდვილე, მათი შეთანხმება — საჭირო ხდება ან ნამუშევართა მიმართ ყურადღების მეტად დაძაბვა, მეტი დაკვირვება, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ჰქირდება მინიატურას, ე. ი., და ეს უკვე ნათლად საგრძნობია, მინიატურაში — ამ სამკაულებრივ ხელოვნებაში, მართალია, მხოლოდ ოდნავ შესამჩნევად, მაგრამ მაინც ჩნდება, თუ შეიძლება ასე პირდაპირ ითქვას, დაზგური მხატვრობისთვის დამახასიათებელი ელემენტები — ვიმეორებთ, ის ელემენტები, რაც მეტ ყურადღებას და დაკვირვებას მოითხოვს (სურ. 2)⁹. თავდაპირველად ეს ჯერ კიდევ დაფარული პროცესი შეუძლებელია განუვითარებელი დარჩეს — ეს ცხადია — რადგან სწორედ ესაა შემოქმედების ის აუცილებელი წყარო, რომლითაც ყველა დროის ხელოვნება იკვებება. ამრიგად, ირანული მინიატურის მოძებნილი, სრულყოფილი ფორმა ჩანასახის სახით შეიცავს იმას, რაც მას შემდგომში დაარღვევს კიდევ; სწორედ ამგვარი,

⁸ თუნდაც ამგვარი ფაქტი — ამ პერიოდის მინიატურაში უკვე აშკარად წარმოდგენილი სიუჟეტისადმი დამოკიდებულების გამოხატველი გამომეტყველება: ძირითადად თუმცა ისევ პერსონაჟთა ქესტით, მაგრამ უკვე მეტყველი ქესტით გადმოცემული ემოცია, რასაც ამახვილებს მათივე სახის განწყობა — აქედან, სურათის უფრო მეტად მოძრავი და ცოცხალი ხასიათი. განწყობათა შორის კონტრასტი შედარებით მკაფიოდ იმ შემთხვევებში იგრძნობა, როცა ერთსადიამდე მინიატურაში წარმოდგენილია სხვადასხვა ხასიათის სიუჟეტები (მაგ. იხ. ბეჰზადის რამდენიმე მინიატურა — The Metropolitan museum of art bulletin, may, 1967).

თხრობის ელემენტის წინ წამოწევამ უკვე თავისთავად მოითხოვა მინიატურის მიმართ ყურადღების მეტი კონცენტრაცია და არა მხოლოდ ტრადიციულად — ხალისისებრ აღქმა. ამგვარი მომენტის აქცენტირებამ, რა თქმა უნდა, გაამდიდრა მინიატურა და ისიც არა მარტო სამკაულია, არამედ უკვე სამკაული-ილუსტრაცია.

⁹ ზემოჩამოთვლილი ელემენტების თავმოყრა უფრო და ძირითადად, დაზგურ ფერწერას ახასიათებს, სადაც ესთეტიკური სილამაზე ხანგრძლივი ჭერტის, მხოლოდ სხვადასხვა პლანებისა და დეტალების შეცნობის შემდეგ მკლავდება. აქ განხილულ აღმოსავლურ დეკორაციულ სურათში კი, ყოველივე პირველ პლანზე მოცემული (ნარნარი ხაზებითა და ნატიფი ფერადოვანი ლაქებით შექმნილი, ძირითადად ერთპლანოვანი სიბრტყე) და თუნდაც ამიტომ იგი, ცხადია, ბევრად მარტივია, აღვილად აღსაქმელი და მისი სილამაზეც, უცაბედდ ვლინდება. დაზგურ სურათში, ვიმეორებთ, თავმოყროლია სახეით ხელოვნების მთელი საშუალებები ფერწერის ენით მოტანილი სხვადასხვაგვარი სიღრმეები; მოცულობის, მატერიალურობის, საგნობრიობის გამოვლენა და სხვ.) — მათი შეგრძნება და წვდომა ამიტომაც მოითხოვს მეტ დროსა და ყურადღებას.

მართალია, რთული, მაგრამ ბუნებრივი სწრაფებით შეპირობებული პროცესით ირანული მინიატურაც, როგორც ჩანს, იმ ერთიან დინებას უნდა შეუერთდეს, სადაც თავს იყრის ყველა ხალხის ხელოვნების გზები.

ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ სწრაფვაზე ვლაპარაკობთ და არა მომხდარ ისტორიულ ფაქტზე.

ისტორიულად ზემოთქმული იმაში გამოიხატა, რომ ირანული სამინიატურო ხელოვნება აღნიშნულ ხანაში ჯერ კიდევ ინარჩუნებს მიღწეულ დონეს. სხვადასხვაგვარი ისტორიული მოვლენები აჩენს სხვადასხვაგვარ სამინიატურო სკოლებს, რომლის წარმომადგენლებიც ფლობენ ამ მიღწეულ სიმალეებს; ზოგ შემთხვევაში კი, არცთუ მოგვიანებით (დაახლ. XVI საუკ. 40-იან წლებში), მართალია, მცირედ, მაგრამ მაინც ხდება მიღწეული დონის შემდგომი სრულყოფა და. ჯერ კიდევ დეკორაციულად აღქმულ რეალობაში უკვე შესამჩნევად, მეტად იგრძნობა კონკრეტული დეტალების წარმოჩენის ტენდენცია.

სპარსული სამინიატურო შემოქმედება სწორედ ამ პერიოდში აღწევს თავის უმაღლეს განვითარებას და აქვე, ვიმეორებთ, განვითარების ამვე პროცესში უნდა მზადდებოდეს ის ნიადაგი, რაც შემდგომ პრინციპულად სრულიად ახალ სახვითს საშუალებებში პოვებდა გამოვლენას. ცხადია, თუ მწვერვალი მიღწეულია, თუ ირანული მინიატურის „კლასიკური“ ნიმუშია შექმნილი, საჭირო და აუცილებელი ხდება მისსავე წიაღში წარმოჩენილი და მისი შემდგომი განვითარების გზების ძიება, რადგან სხვაგვარად შეუძლებელი იყო ტრადიციული მინიატურა გასცდენოდა თავისსავე შესაძლებლობის ფარგლებს.

ამჟამად კი ჯერ კიდევ მრავლად იქმნება ასეთივე სრულყოფილი ნაწარმოებები, მხოლოდ უკვე დაწესებულ ტრადიციულ ფორმაში¹⁰. მაგრამ ამ დონეზე შეუძლებელი იყო დიდხანს გაჩერება, რადგან მხატვარი-მინიატურისტი იმ შემთხვევაში მხოლოდ სიუჟეტის მხრივ ქმნიდა ახალს და ყოველი ახალი მინიატურაც, შემდგომში მხატვრული ძიების გარეშე წარმოდგენილი ახალი ამბავი, მხოლოდ ახალი წიგნის სამკაული იყო — ამ პროცესის დიდხანს გაგრძელება ამიტომაცაა შეუძლებელი. ახალი სიუჟეტების ძიება, რა თქმა უნდა, კვლავ და კვლავ შეიძლებოდა, მაგრამ ამგვარი სურათი კიდევაც რომ წარმოვიდგინოთ, რა ექნება მას საერთო ხელოვნებასთან. და მოხდა კიდევ ასე — ახალმა დრომ შედარებით სხვაგვარი მიდგომა და მისი შესატყვისი გადაწყვეტა მოითხოვა. მხატვარი-მინიატურისტებს უკვე აღარ აკმაყოფილებთ სრულყოფილი, კლასიკური ფორმები და მათ შემოქმედებაშიც, მეტ-ნაკლები სიახლით, იკვეთება ახალი მხატვრული ამოცანები. თანდათან იკლებს ფიგურათა რაოდენობა; ჩნდება პირველ პლანზე წამოწეული ფიგურა, საგანი, ხაზგასმული დეტალი, რაც სრულიად არ იყო ზემოხსენებულ კლასიკურ მინიატურაში (იქ ხომ არ არსებობდა უპირატესობა მინიატურის ფურცელზე განაწილებულ საგნებსა და დეტალებს შორის; ფურცელზე შესრულებული ყველა დეტალი ერთნაირი უფლებით სარგებლობდა და ესეც იყო კლასიკური მინიატურის ძირითადი თვის-

¹⁰ ამ აზრის საილუსტრაციოდ შეიძლება მრავალი მოვიტანოთ XVI საუკ. სხვადასხვა წლებსა და სხვადასხვა მხატვრულ სკოლებში შექმნილი მინიატურები. მაგ., ჯამის მისტრიკური ტრაქტატის „სჯულის კანონის“ („ლაჟაის“) მინიატურები შესრულებული თაერისულ სკოლაში XVI საუკუნის 40-იან წლებში (ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი, Dorn 256), ჯამის პოემის „ოქროს ძეწვის“ ილუსტრაცია — „ნადირობა“ (ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი, Dorn 434). ჯამის „ეკლოათის“ დასურათბანი და სხვ.

სება). ახლა ამ ფიგურას, ამ დეტალს უკვე წარჩინებული მნიშვნელობა ეძლევა, რაც, რასაკვირველია, ხელს უშლის მინიატურის ტრადიციულ ერთიანობას, მის დეკორაციულობას — შლის მის სპეციფიკას. შემდგომში ეს ფიგურა კიდევ უფრო იზრდება, ხაზგასმულად წარმოჩენილი ხდება და მთავარი აქცენტიც თანდათანობით ინაცვლებს მათ ამა თუ იმ კონკრეტულ მოძრაობაზე. შედარებით ადრე და მხოლოდ იშვიათად გამოქმდვანებული ამგვარი ტენდენცია ახლა უკვე, XVI საუკუნის ბოლო მეოთხედის სპარსული სამინიატურო შემოქმედების განვითარების ძირითად ხაზში, ნათლად გამოკვეთილ მიმდინარეობად იქცევა¹¹. მინიატურის ფონი, მართალია, ჯერ კიდევ შესამჩნევად დეკორაციულია, მაგრამ ნაკლებგადატვირთული და ჩამქრალი; ამგვარ ფონზე, ცხადია, მეტად გამოიყოფა უკვე ერთმანეთისგან განსხვავებული, ბუნებრივი მოძრაობით წარმოდგენილი, დიდი ზომის, მცირერიცხოვან პერსონაჟთა სახეები¹². XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე, ისფაჰანური სამინიატურო სკოლის ჩამოყალიბების პერიოდის მინიატურებში, ფიგურა სულ უფრო და უფრო ხშირად ფურცლის სიბრტყეზე რჩება სრულიად მარტო და ამ სკოლის ტიპური წარმომადგენლებიც ამგვარად წარმოდგენილ ფიგურას, სახეთი საშუალებების ძუნწი გამოყენებით რეალისტურ, თუმცა, ამასთან, შესაძლოა, ჯერ კიდევ ერთგვარად პირობითად განზოგადებულ, სახეებად იაზრებენ — ქმნიან პორტრეტებს, სადაც აღბეჭდილია ესა თუ ის განწყობილება¹³.

ირანულ სამინიატურო ხელოვნებაში პორტრეტის ცალკე, დამოუკიდებლად, გამოყოფა უკვე თავისთავად ბევრისმომცველ ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს. პირველი პორტრეტები XVI საუკუნის მეორე ნახევრისთვის ჩნდება და ამრიგად, თუნდაც ამ მხრივ, დგება საკითხი მოდელის ინდივიდუალობის შესახებ (სურ. 3)¹⁴. მაგრამ ეს ჯერ კიდევ როდი ნიშნავს მინიატურის სპეციფიკის დარღვევას; ამ ხასიათის თუნდაც ცალკე წარმოდგენილი პორტრეტები ისევ და ისევ ტრადიციული მინიატურაა — აქ ჯერ კიდევ მოქმედებს ირანული მინიატურის ტრადიციული ფაქტორი, სადაც ყოველი დეტალი გადმოცემულია ერთნაირი მნიშვნელობით — პორტრეტირებულის სახე, სახის ნაკვეთები თუ დახვეწილი ფერადოვნებით წარმოდგენილ მოსასხამზე კალიგრაფიული სიზუსტით გამოყვანილი ორნამენტირებული ხაზები¹⁵. თუმცა სხვაობა, ოდნავ შესამჩნევი,

¹¹ მაგ., იხ. XVI საუკ. პირველი ნახევრის მინიატურა — „ახალგაზრდა წიგნით“ (ლენინგრადის სალტკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა, შურაჟა, 489).

¹² მაგ., ყაზი აჰმედის ცნობილი ტრაქტატის („ტრაქტატი კალიგრაფთა და მხატვრების შესახებ“; აღმოსავლური კულტურის მუზეუმი, მოსკოვი) ილუსტრაციები. К а з и - А х м е д , Т р а к т а т о к а л л и г р а ф а х и х у д о ж н и к а х , в в е д е н и е , п е р е в о д и к о м м е н т а р и ი პროф. Б. Н. Заходера, М.-Л., 1947.

¹³ მაგ., რეზა ი აბასის სამინიატურო ხელოვნების შედევრებში: „დერვიში აბდ ალ-მუთალიბ სიმანი“, „მწყემსი“ და სხვ. (Персидские миниатюры XIV—XVII вв.,... ტბ. 65).

¹⁴ ახალგაზრდა მხატვრის პორტრეტი (A survey of Persian art, V, ტბ. 890); სულთან ჰუსეინის პორტრეტი (Всеобщая история искусств II (2) ტბ. 102); შეიბანი ხანის პორტრეტი (Всеобщая история искусств II (2), 164-სა და 165 გვერდებს შორის მოთავსებული ფერადი ტაბულა).

¹⁵ მოვიგონოთ ამ პერიოდის რომელიმე პორტრეტი — მაგ., კონკრეტული პიროვნების, შუა აზიაში უზბეკეთის სახელმწიფოს დამარცხების, შეიბანიხანის გამოსახულებით. პირველ რიგში, ყურადღება მივაქციოთ პორტრეტის კომპოზიციურ აგებულებას — მკვეთრად გამოსახული სილუეტობრივი გაწონასწორება; ფეხმორთხმული ფიგურა — ზუსტად შუაში. სურათის ზემო კუთხეებში მარჯვნივ და მარცხნივ დეკორაციულ ჩარჩოში მოქცეული წარწერებით. ფიგურის ხაზგასმული სიმეტრიულობა, რომელიც ისევ და ისევ დეკორაციულობას უსვამს ხაზს — მის

მინც საგრძნობია. ფიგურის ტრადიციული სილუეტი წარმოდგენილია არა ტრადიციულ, ორნამენტირებულ ფონზე, არამედ სრულიად ნეიტრალურზე; კიდევ მეტიც, ფონი ამ შემთხვევაში აქტიურად გამანეიტრალებელია, სადაც, ვიმეორებთ, არა მარტო ფიგურა, საგნებიც კი, უკვე მკვეთრად გამოიყოფა. თვით სახის გამომეტყველებაზე კი, სახის ამა თუ იმ ინდივიდუალურ ხასიათზე მთავარი აქცენტის გადატანა, ამ მხრივ სინამდვილესთან მეტი დაახლოება უკვე მომდევნო ხანის, კერძოდ, ისფაჰანური სამინიატურო სკოლისა და ამ სკოლის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურის რეზა ი აბასის მიღწევაა¹⁶.

რეზა ი აბასისთან, ზემოხსენებულ პორტრეტებთან შედარებით, მთავარია თვით მოდელის სახე. ინდივიდუალობის წარმოჩენის გზით მოქმენილი პორტრეტული სიმართლე, მთელი ყურადღების სახეზე კონცენტრირება, ე. ი. სინამდვილესთან, ობიექტურთან დაახლოება (სურ. 4). დამახასიათებელია, რომ მის პორტრეტებში არ გვხვდება ხალიჩისებრ გააზრებული მდიდრული ჩარჩოები — ვიმეორებთ, აქ პორტრეტია მთავარი და მხატვარიც შესანიშნავად გრძნობს, რომ სიმართლის ვადმოცემაში ჩარჩო მას ვერ დაეხმარება. მაგრამ საქმე ისაა, რომ იმავე დროს, შედარებით მეორე პლანზე გადადის განვითარებული მინიატურის ტიპური ნიშნები — დეკორატიული ჰარმონიულობა, რიტმი, წონასწორობა, და ირღვევა ტრადიციული, ჩამოყალიბებული ხელოვნება, რაც თავის მხრივ სინამდვილესთან დაშორებას ნიშნავდა, ე. ი. ერთი მხრივ, აუცილებელ მოვლენათა გამო, ხელოვნება ვითარდება როგორც ისტორიული პროცესი; იმავე დროს ირღვევა მოპოვებული მთლიანობა კვლავ აუცილებელ მოვლენათა გამო. ასეთ ვითარებაში ირანულმა მინიატურამ ადვილად მიიღო გარედან მოტანილი ევროპული ხელოვნების სახეითი საშუალებები — თუ კლასიკურ ხანაში შემოსულ ევროპას ირანული მინიატურა გულგრილად შეხვდა, ახლა, პირიქით, შეეჯვარა მას.

კონკრეტულისკენ, ამა თუ იმ დეტალის გამოვლენისკენ გარკვეულმა სწრაფვამ, როგორც ჩანს, თავისთავად შეცვალა მინიატურის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტისადმი — ხაზისადმი დამოკიდებულება. მსუბუქი შტრიხებით ვადმოცემული ნაოჭები (სხეულის მოხრილ თუ გამობერილ ადგილებში) მხოლოდ

უკან მოციმულ ბაღშითაც დასტურდება: ეს საგანი, რომელიც ტრადიციულისგან განსხვავებით ორნამენტის გარეშეა დატოვებული და მხოლოდ ერთიან ლაქად წარმოგვიდგება, ერთნაირადაა გამოყოფილი ფიგურის ორივე მხარეს და პორტრეტებულის მკლავებიც ფერადოვან სილუეტს ქმნიან მასზე (ასევე ჩაღმა, რომელიც დეკორატიული ყვავილის მსგავს სამკაულად წარმოგვიდგება და სხვ.). მხატვარი ასევე ხელოვნურად ანაწილებს ფიგურის წინ ხალიჩაზე მოციმულ სხვადასხვა საგნებს. აქვე, და ეს უკვე ყველაზე საკვირველი წონასწორობა — თვით ფერის წონასწორობა, მისი კონტრასტული დაპირისპირება — მწვენი და წითლის ძლიერი, ლოკალური ლაქა, რომელიც სასურათო სიბრტყეს ჩო ნაწილად ყოფს; „ხაზი“ მათ შორის გავლებულია ზუსტად შუა ნაწილში — აქაც, კვლავ, ფიგურის ორნამენტულად გაყოფა. დასასრულ, ფერადოვან ხალიჩად წარმოდგენილი ჩარჩოს გულმოდგინე ნახატი და ეს, ხომ ეხადია — თვით პორტრეტს აკვარი ჩარჩო არაფერს მატებს — ის, მართლაც სამკაულია. ყველა დეტალი შესრულებულია ერთნაირი გულმოდგინებით, ერთნაირი მხატვრული მნიშვნელობით, სადაც თვით პორტრეტს — სახეს, მხოლოდ და მხოლოდ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

მცირედ შესამჩნევ სხვაობაზე ისევ ფონის (აქვე, ბაღშია და სხვა საგანთა ნეიტრალური ლაქები) ზემოთქმული ნეიტრალობა თუ მიგვანიშნებს — სხვა მხრივ და ძირითადად, ეს ჭერ კიდევ კლასიკური, ტიპური ირანული მინიატურაა.

¹⁶ იხ., რეზა ი აბასის „მოხუცი“ — 1614 წელი (მოსკოვის აღმოსავლური კულტურის მუზეუმი), „ამაკაცის პორტრეტი“ — 1637 წელი, „მშვილდოსნის კარიკატურა“ — XVII საუკ. დამლევი.

ტრადიციული პირობითობით, მონოტონურად როდია სიბრტყეზე დატანილი. ერთიანივე მინიატურის ფარგლებში ხაზი (და ეს მხოლოდ ისფაჰანური სკოლისთვისაა) ახლა უკვე სხვადასხვაგვარი სახეცვლილებით წარმოგვიდგება — მსუბუქი, ოდნავ შესამჩნევი შტრიხიდან ვიდრე მძიმე კონტურულ ხაზამდე. მაგ., იმ ადგილებში, სადაც ტანსაცმელი მჭიდროდ ეკვრის სხეულს, ფორმის გამომყოფი ხაზი უფრო სქელია, უფრო მკაფიოდ იკითხება და ავლენს მოცულობას; დანაოჭების ადგილებში, პირიქით — წვრილდება, მსუბუქი და ოდნავ შესამჩნევი ხდება და ქვემოთ, თანდათანობით წყდება. ზოგ შემთხვევაში ხაზი ჩვეულებრივზე მეტად სქელდება და ლაქად იკითხება, ზოგჯერ კი, შტრიხებში გადადის. ამგვარი შტრიხები, მართალია, იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ უკვე შესამჩნევად, ტონალური მოდელირების შთაბეჭდილებასაც ახდენს (მაგ., თიების გადმოცემის დროს)¹⁷. ამრიგად, ამ პერიოდისთვის ხაზი ფიგურის ან რაიმე საგნის მხოლოდ გარშემომწერი კონტური როდია — მისი მეშვეობით მინიშნებულია მოცულობა და მოძრაობა, რასაც ზოგჯერ გარკვეული ფერწერულობა შეაქვს ნახატში; ხაზისადმი ამ სრულიად ახლებური დამოკიდებულების შედეგად, დეკორაციულობის მკაცრ ჩარჩოებში, მინიატურათა შედარებით საერთო სტატიკური ხასიათი შინაგანი მოძრაობით, ენერჯითა და ხშირად ხაზგასმული ექსპრესიითაც ივსება; თანდათანობით ისახება კიდევ ერთი, სამინიატურო შემოქმედების ყველა ეტაპისგან განსხვავებული ტენდენცია — ფერზე, ლოკალურ ლაქაზე, ახლა უკვე, ნახატი დომინირებს — ტენდენცია, რაც გარკვეულად და სრულად მხოლოდ მოგვიანებით გამოჩნდება (სურ. 5).

ტრადიციულისგან განსხვავებული და უკვე გარკვეულად ახლებური დამოკიდებულება ისფაჰანურ მინიატურათა თითქმის ყოველ ელემენტში მქლავნდება როგორც კომპოზიციურ სტრუქტურაში — თუნდაც ისეთ დეტალში, როგორცაა ჩარჩოს გახსნა, მინიატურის შემომსახლვრელ ჩარჩოსგან გარეთ გასვლა, მისგან განთავისუფლება — ისე ფერადოვნებაში.

ფერი უკვე შესამჩნევად ნამდვილია, მეტად უახლოვდება ამა თუ იმ საგნის ბუნებრივ ფერადოვნებას, გაცილებით ძლიერია და მქლერი, უფრო ინტენსიურიც; ფერთა შეთანხმებაც თამამია და კონტრასტული, ხოლო ტონალური მსგავსება, სიმუქ-სინათლის მხრივ, უფრო ნაკლები, რამაც საბოლოოდ ფერთა შორის მეტი სხვაობა და სიჭრელე გამოიწვია¹⁸. ფერადოვნების მიმართ ამ შე-

¹⁷ ხაზი ადრეულ პერიოდშიც, კერძოდ, ილხ-ნურის სკოლის მინიატურაშიც (მაგ., რაშიდ ედ დინის ჯამი ათ თაჰარისის მინიატურები; იხ. A survey of Persian art, V, ტაბ. 827 a, b; 828 a, b) ასევე შრავალსახოვანია, მაგრამ სხვაობა ამ მხრივ, ამ ორ ეპოქის შორის, მინც მქლავნდება, რაც სახეებით გასაგებია — ადრეულ პერიოდში ხაზი სრულიად სხვაგვარ საფუძველზეა აღმოცენებული. შექმნილია სხვადასხვაგვარი ნიმუშების მიხედვით და არა ისე, როგორც ამ გვიან პერიოდში — ნაციონალური ირანული სამინიატურო ხელოვნების ორგანული განვითარების შედეგად მიღებული.

¹⁸ ირანული მხატვრობის ერთ-ერთი ძირითადი სპეციფიკა — კონტრასტულ ფერთა თამამი შეხამება, მათი ურთიერთლაპირისპირება თითქმის ყველა სამინიატურო სკოლისთვისად წარმოგვიდგება, მაგრამ მხატვრობის ისფაჰანურ პერიოდთან შედარებით, მინც აშკარად იგრძნობა ფერის როგორც ნაკლები სიმჭახე და ინტენსიურობა, ისე ნაკლები კონტრასტულობაც; ამასთან ფერი (ისევე და ისევე XVII საუკუნე, მხატვრობასთან შედარებით) გაცილებით პირობითია, ნაკლებად უახლოვდება ბუნებაში არსებულ ამა თუ იმ საგნის რეალურ ფერადოვნებას და სრულიად ლოკალურადაა სიბრტყეზე დატანილი. ადრეულ პერიოდში ფერთა უფრო კლასიკური შეთანხმება მიღწეული — ერთიანი ფონი, რაც საბოლოოდ ერთიან ლეიტმოტივს, ერთიან გამას ქმნის (ვიმეორებთ, ცალკეულ ფერთა ინტენსივობის მიუხედავად).

დარებით ახლებური მიდგომის ახსნა კვლავ ზემოთქმულ ტენდენციას უკავშირდება, და რაც ისევ ფიგურათა ყოველმხრივ აქცენტირებაშია გამომჟღავნებული: მინიატურაში მონაწილე პერსონაჟები, ახლა უკვე არა მარტო ზომებით, მოძრაობის მრავალფეროვნებით თუ შედარებით ბუნებრივად გააზრებული ურთიერთდამოკიდებულებით გამოირჩევიან, არამედ ტანსაცმლის ფერადოვნებითაც. მაგ., ერთი შეხედვისთანავე რაოდენ თამამი და კონტრასტულია რეზა ი აბასის ცნობილი მინიატურის, „ნადიმის“ ფერთა შეთანხმება¹⁹ (მწვანე და იქვე, მის გვერდით წითელი, შავის და თეთრის, ნარინჯისფერისა და იისფერის, ყვითლისა და ცისფერის კონტრასტი — იქვე მოწითალო იისფერი, მუქი შინდისფერი მუქ მოშავო მწვანესთან); ამასთან ერთმანეთის გვერდითაა წარმოდგენილი — ალბათ, ელერადობის გასაძლიერებლად — თბილი და ცივი ფერები: თბილი წითლის გვერდით ცივი მწვანე (იქვე, იისფერი, რამაც გაათბო ცივი მწვანე ტონი); იასამნისფერ კაბაზე ყვითელი სარტყელი (აქვე, ყვითელ სარტყელზე იასამნისფერი წვრილი ზოლები, რამაც გაამდიდრა ყვითელი ფერი) და სხვ. განსაკუთრებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კლასიკური ირანული მინიატურისგან განსხვავებით, სადაც ტანსაცმლის ფერადოვნება აუცილებლად დატვირთული იყო რაღაც ორნამენტით ან მცირე ზომის ორნამენტული ყვავილებით, ამ შემთხვევაში რჩება თავისუფალი ფერადოვანი სიბრტყე; ამასთან, ამ გვიან პერიოდში ფერის ლოკალურობაც შედარებით დარღვეულია — დარღვეულია თვით ფერისავე ოდნავ შესამჩნევი გამონათებით, რაც კიდევ უფრო ამდიდრებს ცალკე აღებულ ფერს და სხვ. მინიატურის სიბრტყიდან პერსონაჟთა გამოყოფას, მათ თანდათანობით მზარდ აქცენტირებას, როცა მათივე ტანსაცმლის ამგვარად წარმოდგენილი ფერადოვნებაც ემატება უკვე გარკვეულად შესამჩნევი ხდება ტრადიციული, ხალხისებერ გააზრებული მინიატურის ჰარმონიულობის დარღვევა. მართალია, სხვაობას ფერთა შორის, მათ კონტრასტულობას გარკვეულად ანელებს, მთლიანობაში აქცევს ტონალური ერთიანობა, მაგრამ, ვიმეორებთ, წინარე დროის მხატვრობასთან შედარებით მაინც ნაკლებად და სწორედ იმის გამო, რათა ნაკლებშესამჩნევი გახდეს უკვე ტრადიციულ ქცეული ფერადოვნების დარღვევა, მხატვარი მიმართავს პირობით ხერხს — თამამად ზრდის მინიატურის ჩარჩოს გარეთ მოცემულ არშიის ზომებს, რათა შემდეგ, ასევე თამამად ამავე არშიაზე გაიყვანოს, მის სხვადასხვა ადგილას მოათავსოს რამდენიმე ფიგურა; თვით არშიას კი, მხატვარი, ერთიან, ძალზე მკრთალ, მოყვითალო გამაში წარმოადგენს, სადაც მრავალადაა გაბნეული ასევე მკრთალი, ოდნავ შესამჩნევი ვერცხლისფერით დაფერილ ფრინველთა თუ ცხოველების დეკორაციული ფიგურები. ესოდენ ფართოდ მოცემული დეკორაციული არშიის ერთიანი, ნეიტრალური ფერადოვნება, საბოლოოდ, თავს უყრის და მთლიანობაში აქცევს (თუნდაც ნაკლებ ტონალურ ერთიანობასთან ერთად) თვით ფიგურათა ტანსაცმლის მედერსა და კონტრასტულს, შედარებით ინტენსიურ ფერადოვნებას. რეზა ი აბასის მხატვრული ხერხი ნათელი და გასაგებია: თუ მინიატურის წინა პლანზე წარმოდგენილ პერსონაჟთა ტანსაცმლის მკვეთრად ინტენსიური ფერადოვნება ხაზს უსვამს, ერთგვარად გამოყოფს, როგორც ფიგურებს, ისე მათ სამოქმედო წინა პლანს, შემდეგი — უშუალოდ მათი მომდევნო მთების ფონი — უკვე ნაკლებინტენსიურია (ერთ-

¹⁹ სახელმწიფო ერმიტაჟი, V P 740 ა, ბ. Персидские миниатюры XIV—XVII вв... ტაბ. 59, 60.

მანეთის მსგავსი ფერებით აფერადებული მთების, შეიძლება ითქვას, ფერწერულ წვეროები და მთისავე ღია, წყალნარევი მწვანე ფერდობი, რაც შესამჩნევად ანელებს ტანსაცმლის შემოსხენებულ ლაქათა ლოკალურობას); სრულიად ნეიტრალურია უკანა, უკიდურესი სიბრტყე და შემდეგ მინიატურის ოთხივე მხარეს გაშლილი ასევე ნეიტრალური ნაცრისფერის ფართო ბორდიური. საბოლოოდ სწორედ ამგვარი გადაწყვეტა ანიჭებს სურათს შემოსხენებულ მთლიანობას, რამაც გარკვეულად აღადგინა, რა თქმა უნდა, არა პირვანდელი სახით, ახლებური მიდგომის შედეგად დარღვეული ტრადიციული, ხალიჩისებრ გააზრებული მინიატურისთვის დამახასიათებელი ჰარმონიულობა.

ზემოგანხილული მინიატურით, ახლა უკვე ფერადოვნების მხრივ, შევეცადეთ წარმოგვედგინა ის, შეიძლება ითქვას, ძირეული ცვლილებები, რაც ისფაჰანელი ოსტატების მიერ იქნა შეტანილი სპარსულ სამინიატურო შემოქმედებაში.

რეზა ი აბასის მხატვრული შემოქმედება მის ზოგიერთ მოწაფეთა თუ მიმდევრების მიერ შემდგომ შემოქმედებითად იქნა გაგრძელებული²⁰. განსაკუთრებით ამ მხრივ, მართალია, აღრეც (კერძოდ, ყაზვინურ სამინიატურო სკოლაში) შემჩნეული, მაგრამ ამ პერიოდისთვის უფრო მკვეთრად წარმოჩენილი მოვლენა უნდა აღინიშნოს. ვგულისხმობთ მხოლოდ და მხოლოდ სხვადასხვა სიძლიერის გამომსახველი კონტურით შესრულებულ, პირობით-დეკორაციული ფერადოვნების გარეშე წარმოდგენილ ყანრული ხასიათის ჩანახატებს, ნახატ-პორტრეტებს და სხვ. (სურ. 6)²¹. ირანულ სახვით ხელოვნებაში, როგორც ჩანს, ჩნდება მინიატურის კიდევ ერთი სახე — მინიატურა, რომელიც, თუ შემომოტანილ მსჯელობას გავითვალისწინებთ, ნაცნობია ყველა მისი გარეგნული ნიშნებით, მაგრამ სადაც უარყოფილია ფერი — მისი ერთი ძირითად კომპონენტაგანი. ერთი მიუხედავად, ეს თითქოსდა უჩვეულო მოვლენა შედარებით იოლად ასახსნელია, თუ სხვა ხალხის ხელოვნებაში მომხდარ ანალოგიურ პროცესებს გავითვალისწინებთ. აქ საქმე უნდა გვქონდეს ხელოვნების დიფერენციაციასთან, სახვითი ხელოვნების ცალკეული დარგების (ფერწერა, გრაფიკა, მონუმენტური მხატვრობა და სხვ.) გამოყოფასთან; კიდევ მეტიც, ჩანს შემდეგში ეს ჯერ მხოლოდ სუსტად ფეხადგმული პროცესი უფრო მეტად განიტოტება პორტრეტულ, პეიზაჟურ, ანიმალისტურ და სხვა ამგვარივე სახის შემოქმედებად. ერთი რამ ცხადია, XVII საუკუნის დამდეგის ირანულ სახვით ხელოვნებაში საფუძველი ეყრება გრაფიკას, რომელიც მკაყურებელზე შემოქმედებას ახდენს მხოლოდ შავ-თეთრი ტონალობითა და დახვეწილი ხაზით. ეს მოვლენა — განვითარებული ხელოვნების დიფერენცირება — ამ შემთხვევაში გრაფიკის აღმოცენება, ირანულ ხელოვნებაში სინამდვილესთან, რეალურ სამყაროსთან მიახლოების კიდევ ერთი გზაა.

²⁰ გამოყოფთ მხოლოდ ერთს — მუინ მუსაეირს, რომელიც რეზა ი აბასის მხატვრული სტილის უშუალო გამგრძელებლად ითვლება და უკანასკნელი იმ ცნობილ მხატვართა შორის, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ამთავრებენ ქუშპარიტად ირანული მინიატურის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას. J. S t c h o u k i n e, Les peintures des manuscrits de Shāh Abbas I^{er} a la fin des Safavis. გვ. 67—72.

²¹ იხ. რეზა ი აბასისა და მუინ მუსაეირის უფროსი თანამედროვის, პოეტისა და მხატვრის სადიგ-ბეკ აფშარის (1533/34 — 1609 წწ.) მხატვრული შემოქმედება (С ад и т-Б е к А ф ш а р, Г а н у и ̄ с џ в џ њ. Т р а к т а т о ж и в о п и с и, в в е д е н и е, п е р е в о д, к о м м е н т а р и и п р и м е ч а н и е А. Ю. К а з и з е в а, 1963, გვ. 26—27, 30—21); შავი აბასის (გარდ. 1674/75 წ.) ზოგიერთი მინიატურა და სხვ. (A survey of Persian Art, V., ტბ. 924).

ამრიგად, თუ ზემოთქმულსაც გავითვალისწინებთ, შეიძლება აღინიშნოს — სპარსულ სამინიატურო ხელოვნებაში თავიდანვე შესამჩნევია მისი განვითარების ტოლფასად მნიშვნელოვანი ორი ხაზის, ორი ძირითადი ტენდენციის არსებობა. ერთი მხრივ, ხდება ამ უკვე ჩამოყალიბებული ხელოვნების ძირითადი სპეციფიკის, მისი ფუნქციის როგორც სამკაულის — დახვეწა, რაც, უკვე თავისთავად, შემდგომ სრულყოფას გულისხმობდა. ამგვარი პროცესი მაშინდელი სინამდვილის, რეალობის ამსახველი მოვლენა იყო, რასაც, ცხადია, შედარებით მეტად სრულყოფილი სილამაზის მიღწევის სურვილი აპირობებდა. ამასთან, და ეს შედარებით გვიანდელი ტენდენციაა, ვითარდება მეორე ხაზიც; როცა სპარსულ ხელნაწერთა ილუსტრატორებს აინტერესებთ უკვე არა მარტო მინიატურის შემადგენელ ნაწილთა საერთო სპეციფიკა (ფერადოვანი ლაქებისა და ხაზის, საერთო რიტმის თუ მთლიანი კომპოზიციური სტრუქტურის) საერთო სილამაზე, საერთო ამბავი, არამედ თვით ცალკეული დეტალის განვითარებაც — დეტალის, რომელსაც თავდაპირველად, მხოლოდ მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა. ირანულ მინიატურაში კონკრეტულის ძიების ეს შინაგანი და, ვიმეორებთ, აუცილებელი პროცესი, როგორც ჩანს, მასში ევროპული ხელოვნების გავლენის შემოჭრამდე არსებობდა²².

XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის პირველი მეოთხედისთვის ადგილობრივ მხატვრების მიერ, თვით ირანშივე, შესამჩნევად მზადდება ის ნიადაგი, რაც შემდგომ სინამდვილესთან მეტად დაახლოების გარკვეულ სწრაფვაში უნდა ყოფილიყო გამოქვადვებული²³. იმავე დროს ამ ხანის მინიატურათა უმრავლესობაში მთლიანობის დაკარგვაც იგრძნობა, იმ ორგანულ პირობითობაზე უარის თქმის, შეიძლება თქვას, მისგან სრული განთავისუფლების ხარჯზე, რითაც ესოდენ გამოირჩეოდა ამ დარგის მხატვრული შემოქმედება. და მართლაც, სამინიატურო სიბრტყეზე ადამიანთა ფიგურების ბუნებრივად წარმოდგენილი მოძრაობა თუ ბუნებაში არსებულ ფერადოვნებასთან მეტად დაახლოება ოსტატისგან, ცხადია, მოითხოვდა სრულიად სხვაგვარ, ძირეულად განსხვავებულ ამოცანათა გადაჭრას, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, დეტალის რეალური ბუნებით წარმოდგენა, კონკრეტულის, ამ კონკრეტულში ჯერ მხოლოდ დამახასიათებელის, შემდგომ კი, შესაძლოა უკვე განუმეორებელის მიგნება და მხატვრულ სახედ გარდაქმნა — სინამდვილესთან მეტი დაახლოება შემდგომ ძიებას, შემდგომ სრულყოფას მოითხოვდა; ამის მიღწევა კი, ირანული მინიატურის ტრადიციული მხატვრული საშუალებების, მისი შესაძლებლობის ფარგლებში გასაგებ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და ამდენად, ცხადია, იმთავითვე მიექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება სხვაგვარ ნიადაგზე შექმნილ ხელოვნების იმ ნიმუშებს, სადაც ეს ელემენტები უკვე ჩამოყალიბებული

²² გავიხსენოთ, რომ თვით დასავლურ სინამდვილეში, აღმოსავლურთან შედარებით, ამგვარი პროცესი ვაცილებით ადრე, ვაცილებით საჩინოდ და ორგანულად მიმდინარეობდა.

²³ საგულისხმოა, რომ აღნიშნულ პერიოდშივეა შექმნილი მხატვარ-მინიატურისტთა შემოქმედებისადმი, ამასთან, ხელნაწერი წიგნის მხატვრული გაფორმების, ცალკეულ ფერთა გამოყენების, მათი შეთანხმების და სხვ. ამგვარი საკითხებისადმი მიძღვნილი სპეციალური ტრაქტატები, სადაც წერილობით, უკვე თეორიულად ხდება სახითი ხელოვნების ახალი ამოცანების დადგენა — ზემოთ განხილული მოვლენის გაცნობიერება (К а з и - А х м е д . Т р а к т а т о к а л л и г р а ф а х и х у д о ж и ш и к а х , в в е д е н и е , п е р е в о д и к о м м е н т а р и ი Б . Н . З а х о д е р а , М . - Л . , 1947. С а д и к - Б е к А ф ш а р , Г а н у и ო ს ო ვ ო რ ; Т р а к т а т о ж и в о п и с и , в в е д е н и е , п е р e v o d , კომენტარი და примечание А . Ю . К а з и е в а , 1963).

სახით არსებობდა. პირველ ხანებში ამ მზა მხატვრული ხერხების გადმოტანა თუ გაუცნობიერებლად ზღვება, მოგვიანო ხანებში თითქოს უკვე შეთვისებულის სახით გვევლინება. ამასთან, ამ გარდამავალ პერიოდებში გვხვდება, როგორც უკვე დაკანონებულ ქარგად ქცეული, შემოქმედებითობას მოკლებული ტრადიციული სქემების განმეორება, ისე ამდროისთვის უკვე შემჩნეულის, რამდენადმე გამოვლენილის, ძირეულად ახლის წარმოჩენის გარკვეული ტენდენცია. ეს უკანასკნელი ტენდენცია კი — ირანულ მხატვრულ სინამდვილეში მომხდარი განვითარების ეს ნელი და ხშირად დაფარული პროცესი — შესაძლოა შეგვხვდეს მხოლოდ ცალკეულ მხატვართა შემოქმედებაში.

თვით ეროვნულ მხატვრულ სინამდვილეში მომხდარი ზემოხსენებული, ძირეული ცვლილებებით და, ვფიქრობთ, ეს მთავარია, ძიებითა და ალბათ, მრავალგვარი გაურკვევლობით დატვირთული პერიოდი, ირანის ხელოვნების ისტორიაში იმ ეტაპს ემთხვევა, როცა შაჰის კარი (სრულიად გარკვეულ გარემოებათა გამო) განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ევროპული კულტურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და საერთოდ, ყოფა-ცხოვრების მიმართ²⁴. ამგვარი

²⁴ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ირანის (და საზოგადოდ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების) ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის განმასწავლებელი უმთავრესი ფაქტორები (სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური წინამძღვრები) საფუძვლიანადაა ახსნილი სამჭოურ ორიენტალისტურ ისტორიოგრაფიაში და ჩვენ მათ აქ აღარ შევეხებით. ამ შემთხვევაში, სრულიად გარკვეული მიზნით, აღენიშნავთ ზემოხსენებული მოვლენის მხოლოდ ერთ მხარეს.

შიიზმის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ სეფიანთა ირანი იმთავითვე აქცია ძლიერ შიიტურ სახელმწიფოდ მუსლიმანურ სამყაროში. ამ გარემოებამ, ერთი მხრივ, ირანის შაჰის შეუქმნა თავისი უზენაესობისა და ერთადერთობის პრეტენზიის საფუძვლი (გავიხსენოთ — სეფიანი შაჰები იმავე დროს, შიიტთა აღზევებული ორდენის — „უფუჯის“ უმაღლეს შეიხებადაც ითვლებოდნენ), ამავე გარემოებით ამ პერიოდის ირანი იზოლირებული აღმოჩნდა სუნიტური გარემოებისგან და, როგორც პროფ. ი. პეტროვიჩი აღნიშნავს, გამოიწვია ოსმალეთთან, შუა აზიასთან და საზოგადოდ სუნიტურ სამყაროსთან ირანის კულტურული ურთიერთობის შეწყვეტა, რასაც გარკვეული შედეგები მოჰყვა (И. П. Петрушевский, Ислам в Иране в VII—XV веках, Л., 1966, გვ. 376).

ზემოაღნიშნული გარემოება ერთგვარად აპირობებდა სეფიანთა ირანის პოლიტიკური, ეკონომიური და ამის შედეგად კი, კულტურული ურთიერთობის გაცხოველებას ევროპის დაწინაურებულ სახელმწიფოებთან; ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მარჯვდ იყენებდნენ ირანსა და „სუნიტურ სამყაროს“ (მეტადრე ოსმალეთს) შორის არსებულ წინააღმდეგობებს. შიიზმის დაკანონებას შედეგად მრავალი ისეთი მოვლენა მოჰყვა, რომელიც ან ნაკლებად, ან საერთოდ არ იყო დამახასიათებელი სუნიტური სამყაროსათვის; სხვა მოვლენებს რომ თავი დაეანებოთ (რელიგიური რიტუალი, სამართლებრივი ნორმები და სხვ.), შიიზმის გამარჯვება, გარკვეულად აისახა ირანში სახეითი ხელოვნების განვითარებაშიც.

ცნობილია, რომ ისლამმა იმთავითვე შეაქცია ჩარჩოები შეუქმნა მუსლიმ ხელოვნის მის მოღვაწეობაში (ვევლისხმობთ, ცოცხალ არსებათა გამოსახვის აკრძალვას — Bilderverbot); ამ დოგმის შესრულებას განსაკუთრებული სიმკაცრით სუნიზმი მოითხოვდა (დაწერილობით იხ. R. Paret, Textbelege zum islamischen Bilderverbot, «Das Werk des Künstlers, Festschrift Hubert Schrade», Stuttgart, 1960, გვ. 35—48). მაშინ როცა შიიზმი, მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ამ მხრივ ერთგვარად უფრო მეტი შემწყნარებლობით გამოირჩეოდა (E. Kühnel, Miniaturmalerei im islamischen orient, Berlin, 1922, გვ. 1 და შემდგ., მისივე, Kunst und Volkstum im Islam, «Welt der Islams», XXV, 1, 1943, გვ. 121—139; მისივე, Die Kunst des Islam, Stuttgart, 1962, H. Glüch, E. Diez, Die Kunst des Islam, 1925, გვ. 93; B. Spuler, Iran in früh-islamischer Zeit, Wiesbaden, 1952, გვ. 279; R. Paret, Das islamische Bilderverbot und die Schia», Festschrift Werner Caschel, Zum siebzigsten Geburtstag S. März 1966 gewidmet von Freunden und Schülern», Leiden, 1968, გვ. 224—225).

ირანის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ბერტოლდ შპულერი სათანადო გამოკვლევებზე დაყრდნობით ხაზგასმით მიუთითებს: „იმ ჭარბი ზეგავლენის მიუხედავად (საუბარია ისლამურ ზეგავლენებით ხაზგასმით მიუთითებს: „იმ ჭარბი ზეგავლენის მიუხედავად (საუბარია ისლამურ ზეგავლენებით

გატაცებაც, ცხადია, ხელს უწყობდა სახვითი ხელოვნების ევროპული ნიმუშების ფართოდ გავრცელებას — სწორედ იმ ნიმუშებისა, სადაც წარმოდგენილი იყო ბუნებრივი განვითარების გზით მიღწეული სინამდვილის მხატვრული ასახვის მზა ფორმები. ნიადაგი ხომ თითქმის მზად იყო და, ამდენად, გასაგები ხდება ხელოვნების ევროპული ნიმუშების მეშვეობით მიღებული, გამოსახვის იმ სხვადასხვაგვარ ელემენტთა შეთვისება, რომლებიც, ერთი შეხედვით, ეწინააღმდეგებოდა აღმოსავლურ მინიატურაში საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ ტრადიციულ საშუალებებს. მაგრამ ამ მზა ფორმების, სწორმშობლურად გაუცნობიერებლად (და ეს გასაგებია), მიღებამ, შეიძლება ითქვას, ვალაუსწრო ბუნებრივი განვითარების გზას და ის, რაც ბუნებრივად უნდა მომხდარიყო და რაც ალბათ მიიღებდა კიდევ სპეციფიკურ ნაციონალურ ხასიათს, ძალდატანებით შეერია შემოტანილ უცხო ხელოვნებას.

ერთი მხრივ, უკვე ძალზე შორეულად ტრადიციულის, მეორე მხრივ, არაორგანულის ხელოვნური შერწყმის, ერთგვარი ჰიბრიდის დამახასიათებელ ნიმუშებს გვაძლევს XVII საუკუნის ბოლო მეოთხედისა და თითქმის მთელი XVIII საუკუნის ირანული სამინიატურო ხელოვნება²⁵. ამ ახალი მიმდინარეობის მხატვრები თანდათანობით უარს ამბობენ იმ ფერადოვან დეკორაციულობასა და ხაზგასმულ სიბრტყობრიობაზე, რომელიც აპირობებდა ღრმა, მკიდრო კავშირს მინიატურებში მოცემულ გამოსახულებათა აგების ყველა ელემენტსა და ხელნაწერ წიგნს შორის. დაზგური ფერწერისთვის დამახასიათებელი, ამ ახალი ელემენტების ირანულ მინიატურაში შეტანით, თითქმის იკარგება მისი მრავალი დამახასიათებელი თვისება — ირღვევა ის ორგანული კავშირი წიგნსა და მისთვის შექმნილ ილუსტრაციებს შორის, რომელიც ევრერივად იყო დამახასიათებელი წინარე ეტაპებისთვის და მინიატურის ეს უკანასკნელი თავისებურებაც — მისი ზომის სიმცირე, მისი მინიატურულობაც, კარგავს თავის უპირატეს მნიშვნელობას. ხელნაწერი წიგნის დასურათებანი უკვე ზომებითაც აღარ გავს თავის წინამორბედებს — შეუღარებლად იზრდება, ჩნდება წიგნის-

ნაზე) ირანულთათვის დამახასიათებელ აღქმას (რაც შეპირობებული იყო სახვითი ხელოვნების ხანგრძლივი ტრადიციით) დიდი წინააღმდეგობა უნდა გაეწია ისლამური მხატვრობის მოძულაობისათვის. ირანში ცხოველებისა და აფაზიანების გამოსახვა (რისი დადასტურებაცაა ლითონზე ნაკვეთი მრავალი ნამუშევარი თუ მამულის სასახლე ღაზნაში და სხვ.) არასოდეს შეწყვეტილა. ამიტომაც სხვა ისლამური ქვეყნებიც (ირანის ზეგაულის გამო) ცოცხალ არსებათა გამოსახვის მიმართ თავიანთ უარყოფაში ყოველთვის მერყეუნი იყვნენ. ამასთანავე, შიიტების მხატვრობისადმი კეთილგანწყობილება, უდავოდ განპირობებული იყო იმითაც, რომ შია დიდი ხნით იქცა ირანის ძირითად რელიგიად“ — B. Spuler, *ღაზნა. ნაშრომი*, გვ. 279.

²⁵ სწორედ აქ, ამ პერიოდის მხატვრობაში უკვე საბოლოოდ, გამოკვეთილად ჩნდება იმ ახლებური ტენდენციის, ახლებური მხატვრული მიდგომის მაუწყებელი მრავალი ისეთი ნიშანი, რითაც ირანული მინიატურა (თუკი აღნიშნული დროის სპარსული ხელოვნების ამ დარგს შეიძლება ვუწოდოთ მინიატურა), გარკვეულად უახლოვდება ევროპულ ხელოვნებას: ცალკეულ ფურცლებზე შესრულებული ფერადოვანი ნახატები უკვე აღარ უკავშირდება ლიტერატურულ სიუჟეტებს; თანდათანობით მკვიდრდება ზეთის საღებავები; ხაზი იმჟამად ფიგურის ან რაიმე საგნის მხოლოდ გარშემოწერი კონტური როლია — მისი მეშვეობით მინიშნებულია მოცულობა და მოძრაობა, რასაც გარკვეული ფერწერულობაც შეაქვს ნახატში; ფიგურები ხშირად რაყურსშია დაყენებული, იკმეჩება პორტრეტული თანრის თავისებურებანი; კომპოზიციამ ჩნდება რამდენიმე ხედის სიღრმის ჩვენება, პერსონაჟთა თუ რაიმე საგნისა შეტ-ჩრდილით მოდელირებაც კი, და სხვ. (მაგ., იხ. მუჰამედ ზამანის, ალი ყული-ბეგ ჯაბადარის და სხვათა მხატვრული შემოქმედება). J. Stehoukine, *Les peintures des manuscrits de Shāh Abbas I^{er} a la fin des Safavis*, 1964, ტაბ. XXXV; *Иранские миниатюры...*, ტაბ. 75, 76, 77, 78.

გან დამოუკიდებლად, უკვე ცალკეულ ფურცლებზე შესრულებული „მინიატურები“ — კიდევ მეტიც, ამ სახის გამოსახულებებით იმკობა სასახლეთა კედლის სიბრტყეები. მიუხედავად იმისა და ეს, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, ამ უკანასკნელ შემთხვევაში სრულიად გაუთვალისწინებელია კედლის მონუმენტური მხატვრობის სპეციფიკა²⁶.

მინიატურა — ხელნაწერი წიგნის ეს სახვითი სამკაული, წამყვანი დარგი ირანული სახვითი ხელოვნებისა — უკვე საბოლოოდ ქრება; მის ადგილზე ჩნდება მრავალი ისეთი მოვლენა, რაც ცალკე გამოკვლევას მოითხოვს. ამ მოვლენათაგან, თუ ზემომოტანილ მსჯელობას გავითვალისწინებთ, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო და, ვფიქრობთ, ყველაზე მნიშვნელოვანი — ერთია: თვით ისფაჰანური სამინიატურო ხელოვნების შიგნით წარმოჩენილი ე. წ. „ვეროპიზმები“ მიმართულება, რომელიც საჩინოდ სწორედ რომ აქ ვლინდება, რადგან სწორედ ამ პერიოდში, თვით სპარსული მხატვრობა, თავისი ორგანული განვითარების შედეგად მიაღწა იმავე ზღვარს, რომლის შემდეგაც უნდა დაწყებულყო იგივე ამოცანების გადაწყვეტა, რაც გაცილებით ადრე ჩაისახა და განვითარდა დასავლეთ ევროპაში. ამ ახალი მხატვრული პრინციპების დამკვიდრებაში, ცხადია, არამცირედი როლი ევროპული ხელოვნების გავლენამაც შეასრულა, მაგრამ, და ამას კვლავ ვიმეორებთ, ამ გავლენათა მიღება ყოველმხრივ შემზადებულია თვით ირანის მხატვრულ სინამდვილეში მომხდარი ზემოხსენებული ფაქტორებით. ამდენად, აღნიშნული ეპოქისა და მთელი შემდგომი დროის ირანული მხატვრობა, პირველ რიგში, უნდა განიხილებოდეს ტრადიციულ ირანულ სამინიატურო ხელოვნებასთან უშუალო კავშირში — მისგან უშუალოდ გამომდინარე, როგორც მისი ორგანული განვითარების აუცილებელი შედეგი.

²⁶ მაგ., იხ. ჩეპელ-სოთენისა და ალი-ყაფუს სასახლეთა კედლის მხატვრობის ნიმუშები. ამ უკანასკნელის პირები, შესრულებული მ. ი. მღებრიშვილის მიერ, დატულია საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

თამარ ტიშაძე

ქართლის მეფე როსტომის მიერ 1652 წელს რუსეთში
გაგზავნილი ელჩობის საკითხისათვის

1940 წ. „ენიშკის მოამბის“ V-VI ტომში, რომელიც აკად. ივ. ჯავახიშვილს მიეძღვნა, პროფ. მ. პოლიევქტოვმა გამოაქვეყნა მის მიერ მოსკოვის ფოლკლორული და ბატონყმური ეპოქის სახელმწიფო არქივში (დღევანდელი უძველესი აქტების ცენტრალური სახელმწიფო არქივი), რუსეთ-ირანის ურთიერთობის ფონდში აღმოჩენილი მასალები ქართლიდან რუსეთში 1652 წ. გაგზავნილი ელჩობის შესახებ.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ როსტომის მიერ მოსკოვში ელჩის გაგზავნის თაობაზე მხოლოდ კანტი-კუნტი ცნობები იყო შემონახული, ხოლო ქართულ წყაროებში და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა საარქივო ფონდში ამის შესახებ არავითარი ცნობა არ იყო დაცული, ცხადი გახდება ის დიდი ინტერესი, რომელიც მითითებული „საქმის“ მიკვლევამ და მისმა გამოქვეყნებამ გამოიწვია.

ქართლის მეფის მიერ მოსკოვში გაგზავნილი ელჩობის ამსახველმა მასალამ ჩვენამდე ძალიან დაზიანებული სახით მოაღწია. აღნიშნული საქმე სულ 31 ფურცლისაგან შედგება და რამდენიმე დამოუკიდებელ დოკუმენტად არის წარმოდგენილი. ესაა თერგის, ასტრახანისა და სარატოვის ვოევოდების მიერ საელჩო პრიკაზში მიწერილი წერილები როსტომის ელჩის მათთან ჩასვლის შესახებ; აღწერილია ის საჩუქრები, რომლებიც მაჰმად ხან ბეგს მიჰქონდა რუსეთის მეფესთან და ელჩობის ერთი ქალაქიდან მეორეში მიღება-გამგზავრების ცნობებია მოთავსებული. ბოლო ფურცლები, რომლებიც განსაკუთრებითაა დაზიანებული, და ამდენად ძნელად აღსადგენია, წარმოადგენენ ამა თუ იმ მოსკოველი დიდმოხელისადმი გაცემულ ბრძანებას ელჩის დედაქალაქში დაბინავებისა და მისთვის დამცველთა მიმაგრების თაობაზე, დოკუმენტების ერთი ნაწილი სრულებით არ ასახავს მაჰმად ხან ბეგის ელჩობის სურათს და სხვადასხვა წლებში ირანიდან თუ შირვანიდან რუსეთში ჩასული პირების მიღება-გასტუმრების მაგალითებს წარმოადგენს. ამგვარად, აღნიშნული საარქივო საქმე მხოლოდ იმის საშუალებას იძლევა, რომ დავადგინოთ ელჩის სახელი, მის ამაღლაში შესულ პირთა რაოდენობა, ის მარშრუტი, რომლითაც იგი თერგიდან მოსკოვს ჩავიდა და საჩუქრად წაღებული ნივთების სია.

პროფ. მ. პოლიევქტოვმა მის ხელთ არსებული მასალა არქეოგრაფიულად დაამუშავა და იგი შესაფერისი შესავლის, შენიშვნებისა და კომენტარების თანდართვით გამოაქვეყნა.

პუბლიკაციის შესავალში მოკლედ, მაგრამ შესანიშნავი მეცნიერული სიზუსტით პროფ. მ. პოლიევქტოვმა დაახასიათა როგორც თეიმურაზის, ისე მოსკოვის მთავრობის მისწრაფებანი, მიმოიხილა მის ხელთ არსებული მასალა და საინტერესო შეფასება მისცა მათ. შესავალშივე მოყვანილია იმერეთში ელჩად მყოფი ნ. ტოლოჩანოვისა და რუსი საეკლესიო მოღვაწის არსენ სუხანოვის ცნობები, რომელთაც მ. პოლიევქტოვის აზრით გარკვეული მნიშვნელობა ეძ-

ლეოდათ როსტომის ელჩობის საკითხის გასარკვევად¹. ავტორის მთელი მსჯელობა და მოყვანილი მასალა მოწმობს, რომ მას ელჩობის პოლიტიკურ ხასიათში ეჭვი არ შეჰქონდა.

ქართლიდან რუსეთში გაგზავნილი ელჩობის ხასიათის ამგვარმა გაგებამ შემდგომი განვითარება ჰპოვა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

პროფ. ი. ცინცაძემ თავის გამოკვლევებში როსტომ მეფის ელჩობას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო². მან 1653 წელს რუსეთში ერეკლე ბატონიშვილის გამგზავრების საკითხის განხილვისას საფუძვლიანად გამოიკვლია ამ პერიოდის საქართველო-რუსეთის ურთიერთობანი და ამასთან დაკავშირებით ირანის შაჰისა და როსტომის ინტერესებიც: „... ერეკლე ბატონიშვილის რუსეთის სამეფო კარზე გაგზავნა მნიშვნელოვანი ყოფილა და ირანის შაჰს ამ საქმის ჩასაშლელად როსტომ მეფეც გამოყენებული ჰყავს, როგორც უშუალოდ დაინტერესებული ხელისუფალი. როსტომის მიერ გაგზავნილი ელჩობა რომ თეიმურაზის საწინააღმდეგოდ უნდა იყოს გაგზავნილი წერილიდან მოჩანს, თუმცა კონკრეტულად რა წინადადებით მიდის რუსეთში როსტომის ელჩი უცნობი რჩება...“³.

სავსებით მართებულად მიუთითებს პროფ. ი. ცინცაძე, რომ როსტომ მეფე შაჰისაგან დამოუკიდებლად ვერ გაგზავნიდა ელჩობას: „...როსტომის ეს ელჩობა ირანის შაჰის განკარგულების ან თანხმობის გარეშე არ უნდა იყოს მოწყობილი. როსტომი თეიმურაზივით განდგომილი, ირანის მორჩილებიდან გამოსული მფლობელი არ უნდა იყოს, არც ამ წლებში“⁴. იგივე აზრია გატარებული ნაშრომის სხვა ადგილასაც: „ირანის შაჰისაგან დამოუკიდებლად და მასთან შეთანხმების გარეშე, ან თვით შაჰის დავალების გარეშე როსტომს ასეთი ნაბიჯის გადადგმა არ შეეძლო მაშინდელ პირობებში, თუ ირანთან დამოკიდებულებას ისე არ გაწყვეტდა, როგორც ეს თეიმურაზმა მოიმოქმედა“⁵.

ელჩობის პოლიტიკურ ხასიათზე მიუთითებს აგრეთვე პროფ. ნ. ნაკაშიძე⁶; იმავე აზრისაა დოც. გ. ჯამბურია, რომლის შეხედულებათა დამოწმებასაც პროფ. ნ. ნაკაშიძის შრომის მიხედვით ვახერხებთ⁷. საკმაოდ დაწვრილებით შეეხო როსტომის ელჩობას დ. კაჭარავა თავის საკანდიდატო დისერტაციაში⁸.

პროფ. მ. პოლიევქტოვმაც და პროფ. ი. ცინცაძემაც მართებულად შენიშნეს, რომ როსტომის ელჩობა უჩვეულო მოვლენა იყო თავისი დროისათვის: „როსტომი საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა საქართველოს ისტორიაში და მისი პოლიტიკის ძირითადი მიმართულების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რუსეთის

¹ М. А. Полиевктов, «К вопросу о сношениях Ростом Карталинского с Москвою», (შემდეგში შემოკლებით: К вопросу...), იხ. «ენიჭის მოამბე», ტ. V—VI, თბ., 1940, გვ. 524—525.

² ი. ცინცაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის წარსულიდან, ისტ. ინსტ. შრომები, ტ. I, 1955; მისივე, ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ, (შემდეგში შემოკლებით: ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები...) თბ., 1965.

³ იქვე, გვ. 40.

⁴ იქვე, გვ. 36.

⁵ იქვე, გვ. 42.

⁶ Н. Накашидзе, Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века, Тб., 1968, გვ. 177.

⁷ იქვე, გვ. 267; იხ. აგრეთვე: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. IV, გვ. 436 (ხელნაწერი).

⁸ დ. კაჭარავა, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა და რუსეთთან ურთიერთობის საკითხები (XVII ს. მეორე ნახევარი), თბ., 1968, საკანდ. დისერტაცია.

სამეფო კარზე წარგზავნილი ელჩობა და საჩუქრები, ჩვეულებრივ მოვლენად არ ჩაითვლება და ამდენად ინტერესი ამ ფაქტისადმი ძლიერდება⁹.

ამიტომ, სავსებით გასაგებია, რომ დაისვა კითხვა, თუ რას ისახავდა მიზნად თვით როსტომი ამ ელჩობის გაგზავნისას. პროფ. ი. ცინცაძე შენიშნავს: „...რა აწუხებდა გამაჰმადიანებულ როსტომს ან მის ხელქვეით მყოფ მოწინავე ქართველების წრეებს იმის შემდეგ, როცა ირანის შაჰმა ქართლ-კახეთი ერთი ხელისუფალის სამფლობელოდ აქცია და, რაც მთავარია, ქართული საქმის ხელისშემშლელი თითქოს ირანი აღარ მოჩანდა...“¹⁰. იხილავს რა თეიმურაზის საგარეო პოლიტიკურ კურსს და საქართველოს მდგომარეობას, მეცნიერი შემდეგ პასუხს აძლევს დასმულ კითხვაზე: „...მაგრამ რაოდენ მყარი იყო ირანის ფრთებ ქვეშ ქართული საქმის კეთება, ეს ყველაზედ უკეთ თვით როსტომმა იცოდა ალბათ... როსტომს და მის ხელქვეით მყოფს მოწინავე ქართველობას, არ შეიძლებოდა არ დაენახა საით მიექანებოდა ირანის ხელქვეით მყოფი საქართველო... როსტომ მეფეს, ვითარცა პოლიტიკურ მოღვაწეს, რუსეთის გადმოსვლა კავკასიონზე შეიძლება გახარებოდა და აქ საკვირველი და უცნაური არაფერია“¹¹.

იმ გარემოებას, რომ მაჰმადიან როსტომს ირანის საწინააღმდეგოდ შეიძლებოდა რუსეთთან დაკავშირების სურვილი აღძროდა, პროფ. ი. ცინცაძე საქართველოში შექმნილი აუტანელი ვითარებითა ხსნის: „...სპარსეთზე ან თურქეთზე ორიენტირებული ქართველი პოლიტიკოსების არსებობა საქართველოში, რუსეთის სამეფოს სამხრეთით სისუსტემ განაპირობა, თორემ მაჰმადიანი კონსტანტინე და როსტომიც პრინციპულად რუსეთს არჩევდნენ, იმდენად აუტანელი იყო ირანელი შაჰების ჭიქურ გასპარსელების უხეში პოლიტიკა საქართველოში“¹². ავტორს მიაჩნია, რომ „...როსტომი ქართულ საქმეს, როგორც ჩანს, გულწრფელად ემსახურებოდა და იმის ცდამი იყო სპარსეთის კარს დათმობის პოლიტიკა არ შეეცვალა“-ო¹³ და განაგრძობს: „...პრინციპულად, მიუხედავად იმისა, რომ როსტომი გამაჰმადიანებულ იყო, სრულიადაც მოულოდნელი არ არის როსტომის რუსეთზე ორიენტირების შესაძლებლობა, იმ შემთხვევაში თუ კი რუსეთს ისე ძლევამოსილად მიიჩნევდა ამიერკავკასიაში, რომ მასზე დაყრდნობით ქართლის სამეფოს არსებობას ისეთი საფრთხე არ დაემუქრებოდა, როგორც კახეთს შეემთხვა“¹⁴.

პროფ. მ. პოლიევქტოვი თავის ძირითად მიზნად მხოლოდ აღმოჩენილი მასალის პუბლიკაციას ისახავდა, რის გამოც მას არ ჩაუთვლია საჭიროდ ამ მიმართებით კვლევა-ძიების წარმოება. ქართლიდან რუსეთში ელჩობის გაგზავნის მიზეზისა და მიზნის შესახებ იგი ზოგადი სახის მოსაზრებათა გამოთქმით დაკმაყოფილდა: „Чем руководствовался Ростом, отправляя в 1652 г. своего посла в Москву? Об этом дошедшие до нас обрывки означенного дела нам ничего не говорят“¹⁵. „...Насколько все это было искренно, и как

⁹ ი. ცინცაძე, ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები... გვ. 35.

¹⁰ იქვე, გვ. 43.

¹¹ იქვე, გვ. 44.

¹² იქვე, გვ. 52.

¹³ იქვე, ამ საკითხზე იხ. დ. გვრიტივილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1965, გვ. 398.

¹⁴ ი. ცინცაძე, ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები... გვ. 42. იგივე მოსაზრება იხ. Ш. А. Месхиа, Я. З. Цинцадзе, Из истории русско-грузинских взаимоотношений X—XVIII вв., Тб., 1958, გვ. 81.

¹⁵ М. Полиевктов, К вопросу... გვ. 524.

далеко шел Ростом в своих планах (все та же теймуразовская программа, только переписанная на имя Ростом!), или это была просто дипломатическая провокация, инспирированная тем же шахским правительством? — сказать, конечно, трудно¹⁶.

საკითხს, თუ რა ამოძრავებდა როსტომს ელჩობის გაგზავნის დროს და რისი მიღწევის სურვილი შეიძლება დაბადებოდა მას, იხილავს აგრეთვე დ. კაჭარავა. „... რა უნდა ეთქვა როსტომის ელჩს რუსეთში ისეთი, რომ მოსკოვს თეიმურაზისათვის ზურგი შეექცია? როსტომი ამას იმ შემთხვევაში მიადწევდა, თუ მოსკოვს შესთავაზებდა მეტს თუ არა იმას მაინც, რასაც თეიმურაზი, სახელდობრ რუსეთთან კავშირს, მიმართულს ირანის წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში თეიმურაზს მართლაც ჰქონდა შემფოთების საფუძველი, რადგან მიუხედავად თეიმურაზის ერთგული სამსახურისა, რუსეთი ამჯობინებდა თეიმურაზი ბედის ანაბარა მიეტოვებინა და კავშირი დაემყარებინა როსტომთან, თუ კი ეს უკანასკნელი ამას შესთავაზებდა. როსტომს ძალაუფლება ჰქონდა ხელში. რეალური ხელისუფლების მქონე მეფესთან კავშირი გაცილებით უფრო ხელსაყრელი იქნებოდა რუსეთისათვის, ვიდრე ტახტის მძიებელთან კავშირი“¹⁷.

დ. კაჭარავა მხარს უჭერს ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას თითქოს როსტომი უარზე არ იყო გარკვეულ პოლიტიკურ პირობებში რუსეთთან კავშირი დაემყარებინა: „... როსტომი გარეგნულად შაჰს მორჩილებდა და სპარსული დროშით ქართულ საქმეს აკეთებდა“¹⁸ წერს იგი და უთითებს: „რუსეთისაკენ იხედებოდა როსტომიც, მაგრამ თეიმურაზისაგან განსხვავებით, ის უფრო რეალური პოლიტიკოსი ჩანს და იგი რუსეთის მეფეს მოუწოდებდა ჯერ დაეკავებინა ტერიტორია საქართველოსა და რუსეთს შორის და შემდეგ კისრულობდა მის ქვეშევრდომობას. როგორც ჩანს, ალორძინებას იწყებდა ალექსანდრე კახთა მეფის მიერ შემუშავებული რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის მოგვარების გეგმა-პროგნოზი“¹⁹.

ასეთი დასკვნების გაკეთების საბაზი ზემოთ მოხსენიებულ მკვლევრებს მისცა არა მარტო ქართლიდან რუსეთში ელჩობის გაგზავნის თვით ფაქტმა, არამედ იმერეთში ელჩად ნამყოფი ნიკიფორე ტოლოჩანოვის „მუსლობრიგმა აღწერილობამ“ და არსენ სუხანოვის მოგზაურობის ანგარიშში დაცულმა ცნობებმა.

ჯერ კიდევ პროფ. მ. პოლიევქტოვმა მიაქცია მკვლევართა ყურადღება იმ გარემოებას, რომ იმერეთში მყოფ რუს ელჩთან, ტოლოჩანოვთან, ქართლის მეფის კარზე მცხოვრები რუსი მხატვარი ივანე დანილოვი ცდილობდა დაკავშირებას²⁰. მეცნიერმა ხაზი გაუსვა აგრეთვე იმას, რომ არსენ სუხანოვის დანილოვი თარჯიმნობდა. შემდგომი კვლევის წარმოებისას არსენ სუხანოვის ცნობამ, როგორც აღვნიშნეთ, საფუძველი მისცა მკვლევრებს ზემოხსენებული დასკვნების გასაკეთებლად. ქვევით სუხანოვის ეს ცნობა სრულად მოგვყავს: „...ეპისკოპოსმა კი თქვა: ხელმწიფე რომ როგორმე ყუმუხებს დაიპყრობდეს, მაშინ კახეთიც მისი სახელმწიფოს შეიქმნება, ხოლო როგორც კი კახეთს დაი-

¹⁶ М. Полневктов, К вопросу... გვ. 524.

¹⁷ დ. კაჭარავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

¹⁸ იქვე, გვ. 32.

¹⁹ იქვე, გვ. 217.

²⁰ იხ. მ. პოლიევქტოვის დასახ. შრომა, გვ. 525.

ქერს თბილისიც მისი, ხელმწიფისავე, გახდება. არსენმა იკითხა: რამდენი კაცი იქნება საჭირო, რომ შაჰს წინ აღუდგეთ და შაჰის ბატონობისაგან გამოვიხსნათ და შემდეგ დაგიცვათ, ოცი ათასი საკმარისი იქნება თუ არა? ეპისკოპოსმა თქვა — ცოტა იქნებაო, აღებას და კარგად დაუფლებას, ისე რომ ხელმწიფის სახელის ხსენებაზე შიში აძრწოლებდეს, თრმოცდაათი ათასი კაცი დასჭირდებაო. არსენი შეეკითხა. თქვენი რამდენი კაცი იქნება? ეპისკოპოსმა თქვა: როსტომ-ხანს სააღწერო დავთარში შეტანილი ქართველები ოცდაოთხი ათასი ჰყავს, კახეთს გარდა, თეიმურაზს რომ წაერთვა, ხოლო კახეთში თორმეტი ათასი იქნება...²¹.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მაგალითად, დ. კაჭარავა ასკვნის: „... როგორც დაინახავთ (sic), არსენ სუხანოვს კათალიკოსისა და ეპისკოპოსის პირობით როსტომმა თავისი პოლიტიკური პროგრამა გადაუშალა და ეს პროგრამა საკმაოდ დეტალურად იქნა გარჩეული“²² და შემდეგ დასძენს, რომ „ყველაფერი ზემოთ თქმული, ჩვენი აზრით, აშკარად მიუთითებს როსტომის გადაწყვეტილებაზე დაამყაროს კავშირი რუსეთთან“²³. ამას გარდა, ავტორის მიხედვით დანილოვი როსტომის აგენტი ყოფილა და მისი მეშვეობით იმერეთში მყოფი რუსი ელჩი ტოლოჩანოვი ქართლის მეფეს მოუხსყიდა კიდეც, რათა ამით ხელი შეეშალა თეიმურაზისა და ტოლოჩანოვის მოლაპარაკებისათვის²⁴.

რატომ უნდა მივიჩნიოთ რუსი მხატვარი მაინცადამაინც როსტომის აგენტად, ჩვენთვის გაუგებარია. როგორც სხვა ქვეყნებიდან, ისე რუსეთიდანაც საზღვარგარეთ გაგზავნილი ელჩები, შიკრიკები, ვაჭრები თუ ხელოსნები უპირველეს ყოვლისა თავისი ქვეყნის მხვერავებს წარმოადგენდნენ. განა უფრო ბუნებრივი არ იქნება დავუშვათ, რომ დანილოვი საქართველოში მყოფი რუსეთის მეფის აგენტი იყო? იქნებ ტოლოჩანოვთან დაკავშირება მას იმიტომ სურდა, რომ საქართველოში თავის მიერ შეგროვებული ცნობები გადაეცა მეფისათვის. ივანე დანილოვი პირდაპირ წერდა ტოლოჩანოვს, რომ „...მეფეების თეიმურაზისა და ალექსანდრესა და მათი სამეფოების შესახებ ბევრი რამ იცის, რაც მის უდიდებულესობას სრულ. რ. ხ. მ. და დ. მ. ალ. მიხ. ძის საქმეებს შეეხება“²⁵. როგორც ჩანს, დანილოვს ნიკიფორე მიტროპოლიტის მეშვეობითაც მოუხერხებია რუსეთში წერილის გაგზავნა. ტოლოჩანოვს წერს: „... და იმავე მხატვრისაგან ვადმოგვცა რუსულად ნაწერი ბოიარის, თავად ივანე ბორისის ძე ჩერკასკის პასუხი, მიტროპოლიტად წოდებული ნიკიფორე ქართველი ელჩი რომ მოსკოვში იყო“²⁵.

რატომ უნდა ავხსნათ თბილისის ეპისკოპოსის ელისეს საქციელი როსტომის რუსეთზე ორიენტაციით, განა გამორიცხულია, რომ როსტომის კარზე თეიმურაზის მომხრე ძალები მოქმედებდნენ? თუ კარგად დაუფკვირვებით ელისეს ფრაზას: „როგორც კი კახეთს დაიქერს თბილისიც მისი, ხელმწიფისავე, გახდება“, წმინდა კახურ ინტერესებს დაინახავთ, რატომ დასჭირდებოდა ასეთი პირობის წაყენება როსტომს, რომელიც კახეთსაც და ქართლსაც ფლობდა, მისი რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შემთხვევაში ეს ორივე სამეფო წმინდრად დაუკავშირდებოდა რუსეთს? საქმე იმაშია, რომ ელისე

²¹ ი. ც ი ნ ც ა ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 74.

²² დ. კ ა ჯ ა რ ა ვ ა, დასახ. შრომა, გვ. 70.

²³ იქვე, გვ. 71.

²⁴ იქვე, გვ. 53—55.

²⁵ ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650—1652. წწ., თბილისი, 1970, გვ. 77.

8. „მ ა ც ნ ე“, ისტორიის... სერია, 1973, № 3.

თეიმურაზისათვის ილწვის და რუსეთის დაინტერესება სურს, კახეთის შემდეგ ქართლიც იძულებული იქნება შენ დაგემორჩილოსო.

ყოველი პოლიტიკოსის მოქმედებას თავისი მიზეზი და მიზანი გააჩნია. თეიმურაზმა რომ საკუთარი ხალხი და თავი არ დაზოგა ათეული წლების მანძილზე, გასაგებია, იგი სამშობლოს იცავდა მტრისაგან, რჯულს იცავდა ურწმუნთაგან, „ღვთით მონიჭებულ“ სამფლობელოს იცავდა სხვათა ხელყოფისაგან. რატომ უნდა შებრძოლებოდა შაჰს როსტომი, რატომ უნდა წაეხდინა ურთიერთობა შაჰთან ადამიანს, რომელიც ირანში გაიზარდა, რომელმაც მხოლოდ მაჰმადიანური რჯულის მეშვეობით მოიპოვა ტახტიცა და უზარმაზარი სამფლობელოც, რომელიც ირანის მხრივ არაფრით არ იყო მმართველობაში შეზღუდული და რომელიც ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ საქართველო მოეშენებინა და წყნარად ეცხოვრა.

ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო მისაღები ვარაუდი როსტომის ელჩობის მიზანდასახულების შესახებ გამოთქვა დ. კაჭარავამ: „... ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია, რომ როსტომის ელჩი მოსკოვში მიდის შაჰის ბრძანებით რუსეთ-ირანის იმ კონფლიქტის მოსაწყვრივებლად, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ეს იყო იმ ელჩობის ერთი, ოფიციალური მხარე. გარდა ოფიციალური, შაჰის დავალებისა, ვფიქრობთ, რომ მაჰმად-ხან-ბეგს უნდა შეესრულებინა როსტომის საიდუმლო დავალებაც და ეს დავალება კი მიმართული უნდა ყოფილიყო არა იმდენად ერეკლეს, არამედ თვით თეიმურაზის წინააღმდეგ...“²⁶.

ამ დებულების მეორე ნაწილს, სახელდობრ იმას, თითქოს როსტომს შაჰისაგან ფარულად ელჩისათვის საიდუმლო დავალების მიცემა შეეძლო, ვერ დავეთანხმებით. ვფიქრობთ, რომ როსტომს, რომელიც ივანე ჭავჭავაძის შვილის დახასიათებით „... პოლიტიკურადაც სპარსეთის სახელმწიფოს ყურმოჭირილი ყმა და მისი პოლიტიკის განმახორციელებელი იყო“²⁷, ირანის მთავრობისაგან არაფერი დასაშალი და დასაფარი არა ჰქონდა, მას აწყობდა თავისი მდგომარეობა საქართველოში და შაჰის წინააღმდეგ რაიმე პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმას არა ფიქრობდა. ამაზე უკვე გამოვთქვით ზევით მოსაზრება და აღარ შევჩერდებით. რაც შეეხება ელჩობის ოფიციალურ მხარეს, გვინდა ვთქვათ, რომ დ. კაჭარავას დაკვირვება საფუძველს მოკლებული არ არის. რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის სურვილი იმ პერიოდში ირანში საკმაოდ დიდი იყო და ელჩობის გაგზავნის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ეს უნდა ყოფილიყო. იმისათვის, რომ ჩვენი მსჯელობა უფრო ნათელი იყოს, მოკლედ მიმოვიხილავთ იმ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც მაშინ იყო შექმნილი და აღვნიშნავთ იმ უკიდურეს დაძაბულობას, რომლითაც ხასიათდებოდა XVII საუკუნის 50-იანი წლების რუსეთ-ირან-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობანი.

XVII საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული რუსეთისა და ირანის დამოკიდებულების ხასიათში გარკვეული ცვლილებანი შეიმჩნევა. 1639 წელს ოსმალეთთან ზავის დადების შემდეგ რუსეთის, როგორც ოსმალეთის წინააღმდეგ შესაძლებელი მოკავშირისა და აბრეშუმის ნედლეულის გასაღების ბაზრის, როლი მკვეთრად შემცირდა. ირანს, რომელიც ისედაც „... დაუინებით უარყოფდა ჩრდილოეთის ვოლგა-კასპისის სატრანზიტო გზას...“²⁸, საშუალება

²⁶ დ. კაჭარავა, დასახ. შრომა, გვ. 63.

²⁷ ი. ჭავჭავაძის შვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 371.

²⁸ В. А. Байбуртян, Армянская колония Новой Джульфы в XVII веке, Ереван, 1969, გვ. 49.

მეცა ისევ ძველი, ლევანტზე გამავალი, სახმელეთო გზა გამოეყენებინა ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობის საწარმოებლად. ირანის მთავრობა ახლა უკვე მოუტირებლად ატარებდა ისეთ საგარეო პოლიტიკას, როგორც მას მიზანშეწონილად მიაჩნდა და ანგარიშს აღარ უწევდა რუსეთს. განსაკუთრებით ეს იოქმის კავკასიის მიმართ ურთიერთობის საკითხებზე.

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობათა აღდგენამ და გააქტიურებამ რა თქმა უნდა უკვალოდ არ ჩაიარა. ირანის შაჰი დაძაბულად ადევნებდა თვალყურს ამ ორი ქვეყნის კავშირს და კონტროლისძიებების მიღებას ცდილობდა. თეიმურაზის ყოველ ნაბიჯს რუსეთთან დაკავშირებით ხსნიდა არა მარტო ირანის მთავრობა, არამედ ყველა თანამედროვეც. ქრისტიანული მოსკოვის დახმარების იმედი მცირე ფაქტორი არ იყო იმ პერიოდში.

ირანის მთავრობას ნაადრევად მიაჩნდა რუსეთზე აშკარა ზემოქმედების გაწევა და შემახიის ხანის წყალობით ცდილობდა რუსეთის დაშინებას. გარდა ამისა, შაჰი მიმართავდა ჩრდილო კავკასიის მთავრების გადაბირებასაც, რითაც რუსეთის პოზიციების შესუსტებას ვარაუდობდა. მართლაც, 40-იანი წლების მიწურულისათვის შაჰმა მიაღწია თავისი მიზნის ნაწილობრივ შესრულებას, მოსკოვის მეფის ჩრდილოკავკასიელი ქვეშევრდომების ერთი ნაწილი გადაიბირა, რაც ირანის გამარჯვების მომასწავებელი იყო.

რუსეთ-ირანის ურთიერთობათა დაძაბულობა ნათლად აისახა იმ პერიოდის დიპლომატიური ხასიათის მასალებში. მეტად საინტერესოა ამ თვალსაზრისით შემახიის ხანის მიერ თერგზე და ასტრახანში გაგზავნილი წერილები და ე. მიშცკის საქართველოში ჩასვლისა და უკან დაბრუნების აღწერილობა, რომელთაც სტატიის სიმციერის გამო ვერ მოვიყვანთ.

ყოველივე ზემოთქმულს დაემატა ირანისათვის ის არასასიამოვნო ამბავი, რომ თეიმურაზ მეფე რუსეთიდან სადედოფლოდ სამეფო გვარის წარმომადგენელს იწვევდა და თავის შვილიშვილს მოსკოვს სიძედ სთავაზობდა. ასეთი დინასტიური კავშირის დამყარება კი პოლიტიკური თვალსაზრისით, ირანისათვის ყოველად მიუღებელი აქტი იყო.

რუსეთ-საქართველოს საქმეებში ჩარევა შაჰისეული გაცემით მართლაც, რომ დროული მოსჩანდა. რუსეთის მთავრობა თავს მოვალედ სთვლიდა ირანთან დიპლომატიური მოლაპარაკების წარმოებისას თეიმურაზს გამოჰქომაგებოდა და პირდაპირ მოითხოვდა თავისი მოკავშირე შაჰისაგან ანგარიში გაეწია მისი, როგორც საქართველოს მფარველის, პრეტენზიებისათვის. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ საელჩო პრიკაზში 1650 წელს მეფის ბოიარებისა და ირანის ელჩის მაჰმად ყული ბეგის თათბირის ოქმის იმ ნაწილებს, რომელიც ჩვენთვის საინტერესო მომენტს აშუქებს:

„ბ(ოიარები): ლაპარაკობდნენ ქართველი თეიმურაზ მეფის შესახებ წერილის მიხედვით²⁹. ელჩმა მოისმინა რა სიტყვა ქართველ მეფეზე, თქვა: შაჰის მოწერილი ტყუილი არ იქნება, ქართველი მეფის თეიმურაზის და, ჩვენს წინა მეფეზე, შაჰ აბასზე იყო გათხოვილი, ხოლო მისი (თეიმურაზის — თ. ტ.) ქალიშვილი, შაჰ სეფისა ჰყავდა ცოლად. აქამდე, შაჰ აბასის დროს, არაფერი ცუდი არ მომხდარა. თეიმურაზის ბიძაშვილი, თბილისელი როსტომ ხანი დასაბამიდან

²⁹ ეტყობა იგულისხმება ირანიდან რუსეთში შაჰის მიერ მოწერილი რომელიღაც წერილი, სადაც თეიმურაზის ირანისადმი ქვეშევრდომობაში ყოფნა იყო დასაბუთებული. ლოკუმენტს წინა გვერდები აკლია და ამდენად მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეიძლება.

შაპის ყმაა, ახლა მაჰმადიანია. თეიმურაზ მეფეც დიდი ხანია რაც შაპის ყმაა და ხარკსაც უხდის მას.

ე(ლჩი) — ახლანდელი ომის შესახებ³⁰ შაჰმა არაფერი არ იცის, თეიმურაზ მეფეს როსტომ ხანთან მტრობა აქვს და გამუდმებით ომობენ.

ბ — როსტომი შაპის ქვეშევრდომია და მისი გაჩერება შესაძლებელია.

ე — თეიმურაზის ვაჟიშვილი, დავითი, როსტომ ხანის ხალხმა მოჰკლა და როსტომმა შაჰთან საბოდიშო წერილი მოიწერა, ამის გულისათვის შაჰი მას შემოსწერა. თეიმურაზ მეფეს როსტომისა შეეშინდა, თავის სიძესთან, ალექსანდრე მეფესთან იმერეთში გაიქცა. შაჰს მოსწერეს, რომ საქართველო უმეფოდ იყო და ის ადგლი, სადაც თეიმურაზ მეფე ცხოვრობდა, შაჰმა როსტომ ხანს უბოძა საბრძანებლად.

ბ — შაჰსა ჰმართებდა მეფის უდიდებულესობის წერილისა და თავისი შეპირების თანახმად როსტომი შეეკავებინა, არამც თუ თეიმურაზ მეფის მიწაწყლის დაუფლება ებრძანებინა მისთვის.

ე — როგორც კი იგი, ელჩი, შაპის უდიდებულესობასთან იქნება, იგი ყველაფერს შაჰს შეატყობინებს.

ბ — [თქვეს], რომ შაპის უდიდებულესობამ თეიმურაზ მეფე ძველებურად თავის სახელმწიფოში შეუშვას და მომავალში მისი გაძევება და განადგურება არა ბრძანოს, რადგან ქართველი მეფეები ძველთაგანვე რუსეთის დიდი ხელმწიფეების ქვეშევრდომნი არიან, ხოლო შაჰი მეფის უდიდებულესობასთან მეგობრობასა და სიყვარულში იმყოფება. შაპის უდიდებულესობა ისე უნდა მოიქცეს, როგორც მეგობრობისათვის უკეთესი იქნება. როდესაც თეიმურაზის ვაჟი დავითი როსტომ ხანის ხალხმა მოკლა, შაპის ხალხი იმ დროს იქ იყო თუ არა?

ე — შაპის ხალხისაგან მამინ იქ არავინ იყო, იგი როსტომ ხანის რამდენიმე კაცმა მოკლა.

ბ — თბილისის ხანი როსტომი ქართულ მიწებსა ფლობს, თუ შაპის ოლქები აქვს მას მიცემული?

ე — საქართველოს მიწა-წყალი თეიმურაზ მეფესა და როსტომ ხანს შუაზე აქვთ გაყოფილი, ვინაიდან ისინი ბიძაშვილები არიან. შაპის უდიდებულესობა მეფის უდიდებულესობისათვის უკან არ დაიხვეს, თეიმურაზ მეფეს ძველებურად საქართველოში შეუშვებს, ამის შესახებ მეფის უდიდებულესობამ შაპის უდიდებულესობას უნდა მისწეროს თავის სიგელში, ის კი, ელჩი, როგორც კი შაჰთან იქნება, ყველაფერს შაჰს შეატყობინებს³¹.

ირანისათვის განსაკუთრებით დამაფიქრებელი იყო ის გარემოება, რომ რუსეთი მარტო აღმოსავლეთ საქართველოსთან ურთიერთობითაც კი აღარ კმაყოფილდებოდა. როგორც ცნობილია, XVII ს-ის 40-იან წლებში რუსეთთან ურთიერთობა იმერეთის სამეფოშიც დაამყარა. თეიმურაზ პირველის ცდები, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებიც რუსულ ორიენტაციაზე გადაეყვანა, 1651 წელს იმერეთის რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლით დაგვირგვინდა.

³⁰ იგულისხმება თეიმურაზის და როსტომის შებრძოლება 1647—1648 წელს, როდესაც მოკლულ იქნა დავით ბატონიშვილი, ერეკლე პირველის მამა.

³¹ ЦГАДА, ф. 77, оп. 1, 1692 г. д. № 2, лл. 105—106. ირანის ელჩთან 1650 წელს წარმოებული მოლაპარაკების ეს შავი ჩანაწერი შემოგვინახა მხოლოდ 1692 წლით დათარიღებულმა საქმემ.

მართალია, იმერეთი ოსმალეთის გავლენის სფეროში იმყოფებოდა და ირანისათვის, როგორც ანტიოსმალურად განწყობილი სახელმწიფოსათვის, თითქოს ეს გარემოება საწყენი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ შაჰს კარგად ესმოდა, რომ თეიმურაზისა და ალექსანდრე III ეს პოლიტიკური ნაბიჯი ირანისათვის შეიძლება დამლუპველი გამომდგარიყო. ჯერ ერთი, ამით საქართველოს შიდა პოლიტიკური ძალები ერთიანდებოდნენ, მეორე, ძლიერდებოდა რუსეთის პოზიციები კავკასიაში და მესამე, ამას შეიძლება თვით ირან-ოსმალეთის ურთიერთობათა გართულება მოჰყოლოდა, რაც შაჰ აბას II ინტერესებს რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა.

ირანის მთავრობას კიდევ უფრო მეტად აშფოთებდა ის გარემოება, რომ სწორედ ამ ხანებში თეიმურაზის შვილიშვილის, ერეკლე ბატონიშვილის რუსეთში წასვლა რეალობად იქცა. ირანმა გადაწყვიტა რაღაც არ უნდა დასჯდომოდა ხელი შეეშალა თეიმურაზის ამ გეგმების განხორციელებისათვის. თუ ადრე, შაჰის ბრძანების თანახმად, შირვანის ხანი, ხოსროვი, ყოველმხრივ ავიწროვებდა რუს ვაჭრებს და თერგის ვოევოდებთან მუქარის წერილების წერით ცდილობდა რუსეთის მთავრობის დაშინებას, ახლა მან აშკარა სამხედრო მოქმედების ნებართვა მიიღო და ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი მთავრისა და ამიერკავკასიის ხანების დახმარებით 1652 წლის დასაწყისში მდინარე კოისუზე აშენებული რუსული ციხე-სიმაგრე დაანგრია. თერგის ციხეს საშიშროება დამუქრა. დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთსა და ირანს შორის ფაქტიურად გაწყდა.

უნდა ითქვას, რომ ირანის მთავრობის ასეთმა მოქმედებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. კავშირი რუსეთსა და საქართველოს შორის არ შესუსტებულა. პირიქით, ცხადი ხდებოდა, რომ თეიმურაზ პირველი სულაც არ აპირებდა აღებული დიპლომატიური კურსის შეცვლას. არც რუსეთი იხევდა უკან. ახლა, როდესაც ირანთან ურთიერთობა გაწყვეტილი იყო, რუსეთს დასაკარგი არაფერი ჰქონდა, ერეკლეს რუსეთში ჩასვლას აზრი ემატებოდა, იგი მოსკოვის მეფის კარზე მეტად საშიშ იარაღად შეიძლება ქცეულიყო. საჭირო იყო ისეთი ღონისძიების მიღება, რომელიც ხელს შეუშლიდა თეიმურაზ პირველს თავისი განზრახვა სისრულეში მოეყვანა. უპირველეს ყოვლისა შაჰ აბას მეორემ შირვანის ხანსა და თავის მომხრე ჩრდილოკავკასიელ მთავრებს ერეკლე ბატონიშვილისათვის რუსეთში გადასასვლელი გზების ჩაკეტვა და მისი დატყვევება უბრძანა. მაგრამ, ირანის მთავრობისათვის ისიც ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ კახეთისა და რუსეთის მეფეებს ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი მომხრეები ეყოლებოდათ და მხოლოდ სამხედრო სამხადის შეიძლება სასურველი შედეგი არ მოჰყოლოდა (რაც სინამდვილეში ასეც მოხდა).

ვფიქრობთ, რომ შაჰ აბაზ მეორემ საჭიროდ ჩასთვალა დიპლომატიური ხერხისათვისაც მიემართნა. იმ შემთხვევაში თუ ერეკლე მაინც მოახერხებდა ჩრდილოკავკასიაში შექმნილი წინააღმდეგობის დაძლევას და მოსკოვში მოხვდებოდა, მისი ჩასვლის მნიშვნელობა როგორმე გაეზაბებოდა. ასეთ ღონისძიებად მიჩნეულ იქნა ქართლიდან ელჩის გავზავნა. ჩვენი აზრით, ქართლი შემთხვევით არ იყო არჩეული ჯერ ერთი, იგი ქრისტიანული ქვეყანა იყო, რასაც ანგარიში უნდა გასწოდა რუსეთში, მეორეც, რუსეთ-ირანის კონფლიქტში მას მონაწილეობა არა ჰქონდა მიღებული (გავიხსენოთ, რომ ირანის თითქმის ყველა პროვინციის გამგებელი, შემახისი, განჯის და სხვები, უშუალოდ მო-

ნაწილეობას იღებდნენ მდინარე კოისუზე რუსული ციხე-სიმაგრის დანგრევაში).

ყველაზე მთავარი მაინც ის იყო, რომ ქართლიდან ელჩის გაგზავნით ირანის მთავრობას საშუალება ეძლეოდა ერთხელ კიდევ შეეხსენებინა მოსკოვისათვის, თუ ვის ხელში იყო რეალურად ის ტერიტორია, რომლის შემკვიდრის იქ ჩასვლასაც ავრერიგად ელოდებოდნენ. „შაჰის პროვინციის ქალაქ თბლისის“ მაჰმადიანი როსტომ ხანისაგან გაგზავნილ მაჰმად ხან ბეგს უპირველეს ყოვლისა, ჩვენი აზრით, შაჰის ძლიერების დემონსტრირება უნდა მოეხდინა და ეჩვენებინა, რომ მთელი აღმოსავლეთ საქართველო ირანის შემადგენელი ნაწილი იყო. ამ დიპლომატიური ნაბიჯით განსაზღვრული იყო თეიმურაზისა და ერეკლეს პოლიტიკური პრესტიჟის შერყევა.

ჩვენმა მკვლევარებმა მართებულად შენიშნეს, რომ რუსეთის დიპლომატიამ სწორად შეაფასა ეს ელჩობა, იგი შაჰისეულად მიიჩნია, რამაც მის ირგვლივ არსებული მასალის რუსეთ-ირანის ურთიერთობათა ფონდში მოხვედრა განაპირობა. ჩვენი მხრივ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ რუსი მოხელეები და დიპლომატები მაჰმად ხან ბეგს იმიტომ კი არ მიიჩნევენ „შაჰის პროვინციის“ ელჩად, ან საკვების განწესებისას იმიტომ კი არ ათანაბრებენ მას შემაჩიხის ხანის ელჩებთან, რომ სხვა წყაროებიდან იციან როსტომის ირანისადმი ქვეშევრდომობის ამბავი, არამედ იმიტომ, რომ თვით ელჩი ჩასვლისას თავის თავს შაჰის პროვინციიდან ჩასულად აცხადებდა. მართალია, ამის შესახებ შემორჩენილ დოკუმენტებში ზუსტი მითითება არ არის მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს, რუსული საქმის წარმოება გამოირიცხავს მოხელეთა თვითნებობას, თუ კი ელჩი ასეა მოხსენიებული, ეს იმაზე მიუთითებს, რომ იგი თვით ასე აცნობდა მოხელეებს თავს. გამოდის, რომ ელჩობა ოფიციალურად ირანული იყო და ამდენად როსტომისაგან, როგორც დამოუკიდებელი მეფისაგან, რუსეთთან დიპლომატიური კავშირის დამყარების მიზნით ელჩის გაგზავნის დაშვება შეუძლებლად მიგვაჩნია. ამავე მიზეზით, მაჰმად ხან ბეგის ელჩობის მოთავსება საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ციკლში არ იქნებოდა გამართლებული.

ზევით უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ მითითებულ მკვლევარებს შესაძლებლად მიაჩნიათ როსტომის მხრივ რუსეთთან თეიმურაზის ნეიტრალიზაციის მიზნით კავშირის დამყარების სურვილის გაჩენა³². ზოგის აზრით ეს ფარულად უნდა მომხდარიყო, ზოგი მათგანი უშვებს, რომ შაჰი საქმის კურსში იყო და სპეციალურად ამიერკავკასიაში ხმების გავრცელებაც კი დაიწყო როსტომის „განდგომის“ შესახებ, რათა რუსეთის კარი როსტომის ერთგულებაში მეტად დაერწმუნებინა³³.

როსტომის რუსული ორიენტაციის შესაძლებლობასა თუ შეუძლებლობაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი და კიდევ გავიმეორებთ, რომ შაჰისაგან ფარულად რუსეთთან კავშირის დამყარებაზე როსტომი არა გვეგონია, რომ წასულიყო. რაც შეეხება შაჰის მიერ როსტომის „განდგომის“ შესახებ ხმების გავრცელებას, ამ საკითხზე შეჩერება აუცილებლად მიგვაჩნია.

³² ი. ცინცაძე, დასახ. შრომა, გვ. 40; დ. კაჭარავა, დასახ. შრომა, გვ. 63.

³³ ი. ცინცაძე, დასახ. შრომა, გვ. 40; დ. კაჭარავა, დასახ. შრომა, გვ. 63; იხ. ნ. ნაკაშიძე, დასახ. შრომა, გვ. 177.

საფუძველი ასეთი დასკვნისათვის ისევ და ისევ არსენ სუხანოვის ჩანაწერებმა წარმოქმნეს. „... თბილისიდან განჯამდე და განჯიდან შემახამდე მიმავალ არსენს სხვადასხვა ხალხისაგან გზაზე ასეთი სიტყვები ესმოდა: როცა ჩვენ გვეკითხავდნენ თბილისის ამბავს, რა ამბავია თბილისში, ჩვენ ასე გავიგეთ თითქოს როსტომ-ხანი (სპარსეთის) შაჰს განუდგაო, ნუთუ ეს მართალიაო...“³⁴. შემახაში მისვლისას მას ოფიციალური მოხელეც შეეკითხა ამის შესახებ: „... ხმა დარხეულიყო, თითქოს როსტომ-ხანი შაჰს განდგომოდეს...“³⁵.

სუხანოვის ცნობებში ეკვის შეტანა არ შეიძლება. გასაკვირიც კი იქნებოდა, რომ ირანისა და რუსეთის საომარი შეჯახების შემდეგ შაჰის ერთგულ როსტომს მოსკოვში აშკარად ელჩი გაეგზავნა და ამიერკავკასიაში ამის შესახებ მითქმა-მოთქმა არ ამტყუდარიყო. ისიც სავსებით ბუნებრივია, რომ თანამედროვეებმა როსტომის ეს საქციელი სხვაგვარად, თუ არა „განდგომით“, ვერ ახსნეს³⁶.

შაჰის მთავრობას არ შეიძლება ეს ხმები თვითონ გაეგრცვლებინა. 40-იანი წლებიდან მოყოლებული შაჰი სულ იმის ცდაში იყო რუსეთისათვის ამიერკავკასიაში თავისი განუყოფელი ბატონ-პატრონობა დაემტკიცებინა, თავისი პოზიციების სიძლიერის დასამტკიცებლად იგი არაფერს არ იშურებდა, შეიარაღებულ კონფლიქტსაც კი არ მოერიდა, რათა რუსეთის წინსვლა შეეჩერებინა და განა იმას დაუშვებდა ირანის მთავრობა, რომ როსტომის „განდგომაში“ სპეციალურად დაეჭვებინა რუსეთის მეფე? გამოვიდოდა, რომ საქართველოში ირანის ერთადერთი ქვეშევრდომი მეფეც კი უკვე რუსეთის მხარეზე გადადიოდა, განა ამისაკენ მიისწრაფოდა შაჰ აბასი? სწორედ ასე გაიგეს როსტომის ელჩობა შემახის ხანმა და სხვა მოხელეებმა. როგორც არსენი სუხანოვი წერს შემახელები შეშფოთებულები იყვნენ ამ გარემოებით და ამბობდნენ: „... ამის წინათ ერთი თეიმურაზ-ხანი იყო. მრავალი წელი ვმტრობდით და შაჰმა ძლივს-ძლივობით აჯობა, მთელი თავისი ქვეყნის ძალებით ებრძოლა მასო, ახლა, როცა როსტომ-ხანი საქართველოს სამ ნაწილს ფლობს და მასთან თუ ბაშაჩუკების (იმერლების) მეფეც იქნება, მაგათთან ბრძოლა არავის შეეძლება, ისინი ორმოცდაათი ათასი რომ იქნეს, ჩვენ კი ასი ათასი, მაშინაც ვერ შევძლებთ მათთან ბრძოლას, ჩვენს ქვეყანას მდინარე მტკვრამდე ცარიელს ვახდინან, კარავის გამართვის საშუალებასაც არ მოგვეცემნო“³⁷. აწყობდა კი ასეთი პანიკის დათესვა თავის ქვეშევრდომთ შორის და საქართველოს პოლიტიკურ ძალთა გაერთიანების ამბის გავრცელება ირანს? — არა გვგონია.

ირანის მთავრობისათვის ასეთი ხმების გავრცელება მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. შაჰის დიპლომატია საკმაოდ გამოცდილი იყო და ესეც წინასწარ უნდა სცოდნოდა. და თუ მაინც დაავალეს როსტომს ელჩის მოსკოვში გაგზავნა, ეს მიუთითებს იმაზე, თუ რაოდენ საჭირო და აუცილებელი იყო ასეთი ნაბიჯის გადადგმა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ელჩობას მართო მოსკოვში ერეკლეს ჩასვლის მნიშვნელობის გაბათილება არ ევალებოდა. მას კიდევ ერთი მისია უნდა შეესრულებინა და იგი პირველზე ნაკლებ საჭირობოროტო საკითხს არ ეხებოდა.

³⁴ ი. ც ი ნ ც ა ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 77.

³⁵ იქვე, გვ. 78.

³⁶ იქვე, გვ. 41.

³⁷ ი. ც ი ნ ც ა ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 77—78.

საქმე იმაშია, რომ მართალია ირანი რუსეთთან წლების მანძილზე დაძაბულ ურთიერთობაში იყო, მაგრამ საბოლოოდ მასთან ურთიერთობის გაწყვეტას არ აპირებდა. რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკურ-ეკონომიური თვალსაზრისით საქმოდ ანგარიშგასაწევი ქვეყანა იყო რომ ირანს ასე ხელაღებით მასთან მტრული დამოკიდებულება დაემყარებინა. თუ თვალს გადავაკლებთ რუსეთ-ირანის დიპლომატიური ურთიერთობის მასალებს, დავინახავთ, რომ შაჰის ძირითადი სურვილი რუსეთ-საქართველოსა და რუსეთ-კავკასიის აქტიური კავშირურთიერთობის შეწყვეტა თუ არა შენელება მაინც იყო. განსაკუთრებით საშიშად ისახებოდა რუსეთის დანტერესება საქართველოთი და შაჰიც რუსეთის დაშინებას ცდილობდა.

1652 წლის 30 იანვრით დათარიღებულ წერილში, გაცილებით ადრე, სანამ შემახის ხანი რუსულ ციხე-სიმაგრეს დაესხმებოდა თავს, შაჰი რუსეთის მეფეს სწერდა: „... თქვენ, დიდო ხელმწიფე, მეგობრული სიყვარულით იწერებოდით ჩვენს უდიდებულესობასთან თეიმურაზ მეფის შესახებ და ჩვენც მოვისმინეთ თქვენი აჯა და შევიწყნარეთ იგი; ოღონდ მან, თეიმურაზ მეფემ, ჩვენს უდიდებულესობას თავისი წესიერი სამსახური დაუმტკიცოს და ჩვენი ერთგული ყმა იყოს. თქვენ კი, დიდო ხელმწიფე, ზემოაღნიშნულს უბრძანეთ, რათა ის, ჩვენს უდიდებულესობას თავისი ღირსებით ემსახუროს ისე, როგორც სხვა ჩვენი ყმები მორჩილად გვემსახურებინ; ამით მისი სურვილი უფრო მალე ასრულდება და თქვენი, ხელმწიფის, თხოვნის თანახმად, ყველაფერი შესრულებული იქნება თქვენი, დიდი ხელმწიფის სიყვარულის, მეგობრობისა და უწყვეტი სასიკეთო ურთიერთობისათვის. ღმერთმა კეთილად აგხდინოთ თქვენი სურვილები... ღვთის მონა შაჰი აბასი“³⁸.

როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ 1652 წლის დასაწყისში ირანი დიპლომატიური გზით ცდილობდა რუსეთთან საქმის მოგვარებას. მაგრამ სანამ ამ წერილს მათე სპირიდონოვი მოსკოვში ჩაიტანდა შემახის ხანმა სამხედრო თავდასხმა განახორციელა და შაჰი უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე დადგა. ჩვენ არ გვინდა ამით ისა ვთქვათ, თითქოს შემახის ხოსროვ ხანი თვითნებურად მოქმედებდა (რახელაც შემდეგ ირანის დიპლომატია ხშირად მიუთითებდა რუსეთთან მოლაპარაკებათა წარმოების დროს!), მაგრამ ყოველ შემთხვევაში შაჰმა მაშინვე დაიწყო კონფლიქტის მოგვარებისათვის გზების ძიება. ერთ-ერთი ასეთი გზა (სხვებზე ჩვენ აქ არ შევჩერდებით) რუსეთში შექმნილი განწყობის დაზვერვა და ურთიერთობის აღდგენისათვის ნიადაგის მოსინჯვა იყო. ამ დავალების შესრულება იმ პირობებში, როდესაც რუსეთის საზღვრები შეკრული იყო და რუსეთში დარჩენილ ირანელ ვაჭრებსა და დიპლომატებს სასტიკი იზოლაციის რეჟიმი ჰქონდათ შექმნილი, შედარებით იოლად ქრისტიანული ქვეყნიდან მეგობრული ვიზიტით(!) ჩასულ ელჩს შეეძლო.

დასაწყისში აღნიშნული გეგმონდა, რომ ამ ელჩობის ირგვლივ შემორჩენილი მასალა არ იძლევა საშუალებას ზოგადად მაინც აღვადგინოთ მაჰმად ხან ბეგის ელჩობის სურათი. მაგრამ ზოგიერთი დეტალის დადგენა მაინც ხერხდება. მოსკოვის უძველესი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, რუსეთ-ირანის ურთიერთობათა ფონდზე მუშაობისას 1653 წლის № 3 საქმეში მივაკვლიეთ იმ საჩუქრების სიას, რომლებიც მოსკოვის მეფემ ქართლის მეფე როსტომს მისი ელჩის მაჰმად ხან ბეგის ხელით მიღებული მოსაკითხის საპასუ-

³⁸ Ц Г А Д А, ф. 77, оп. 1, 1650 г. д. № 2, лл. 142—143.

ხოდ გაუგზავნა. ეს საბუთი, რომელიც ორ ფურცელს შეიცავს, შემდეგი შინაარსისაა: „7161 (1653) წლის მაისის 7 დღეს. სრულიად რუსეთის ხელმწიფის, მეფისა და დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის ბრძანებით ბოიარინს, თავად ალექსი ნიკიტას ძე ტრუბეცკოს და დიაკებს: გრიგოლ პროტოპოპოვსა და ტრეტიაკ ვასილევს: სრულიად რუსეთის ხელმწიფემ, მეფემ და დიდმა მთავარმა ალექსი მიხეილის ძემ ბრძანა თავისი მეფური ჯამაგირის გაგზავნა თბილისის ურუსტობ ხანთან მისი საჩუქრების სამაგიეროდ ოთხასი მანეთის სიასამურით მისი ელჩის მაჰმად ხან ბეგის მეშვეობით. მას კი, მაჰმად ხან ბეგს, მისი საჩუქრების საპასუხოდ წყალობა უყო, ბრძანა მიეცათ მისთვის თავისი მეფური ჯამაგირი ასი მანეთის სიასამური. თუ რა ფასის სიასამური გაგზავნონ ხანთან და რა ფასის სიასამური მიეცეს მის ელჩს, ამისი სია ამ სამახსოვროს თან ერთვის. და სრულიად რუსეთის ხელმწიფისა, მეფისა და დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის ბრძანებით ბოიარინმა, თავადმა ალექსი ნიკიტას ძე ტრუბეცკომ და დიაკებმა: გრიგოლმა და ტრეტიაკმა, ყველაფერი სრულიად რუსეთის ხელმწიფის, მეფისა და დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის ბრძანების მიხედვით უნდა შეასრულონ. დიაკი ანდრია სემირინი.

სია იმისა, თუ რა არის გაგზავნილი სრულიად რუსეთის ხელმწიფის, მეფისა და დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის ჯამაგირი თბილისის ურუსტობ ხანთან მისი საჩუქრების სამაგიეროდ სიასამურით: ერთი შეკვრა სიასამური³⁹ 60 მანეთიანი, ორი შეკვრა სიასამური 50 მანეთიანი, ორი შეკვრა სიასამური 35 მანეთიანი, სამი შეკვრა სიასამური 30 მანეთიანი თითოეული ორმოცი. თბილისის ურუსტობ ხანის ელჩს მაჰმად ხან ბეგს ერთი შეკვრა 40 მანეთიანი, ორი შეკვრა სიასამური 30 მანეთიანი⁴⁰.

როგორც ვხედავთ, ამ პატარა დოკუმენტს არ შეაქვს სიახლე როსტომ მეფის ელჩობის ხასიათის საკითხის დაზუსტებაში, მაგრამ თვით ელჩობის ისტორიისათვის საკმაოდ ყურადღების ღირსია. თუ ადრე გამოქვეყნებული მასალებიდან არა ჩანდა რა ბედი ეწია ქართლის ელჩობას, ამ საბუთით ვიგებთ, რომ იგი 1653 წლის ზაფხულში ჯერ კიდევ მოსკოვში იმყოფებოდა და, რაც მთავარია, ვრწმუნდებით, რომ მოსკოვის მეფეს იგი უპატიოდ უკან არ გამოუსტუმრებია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სწორედ ამ ხანებში რუსეთიდან ირანში დიდი ელჩობა გაიგზავნა თავად ი. ი. ლობანოვ-როსტოვსკის მეთაურობით, მოსაზრება იმის შესახებ, რომ ელჩობის ერთ-ერთი მიზანი რუსეთთან კავშირის აღდგენის გზების ძიება იყო, საფუძველს მოკლებული არ გამოჩნდება. მართალია, ცნობილი არ არის, სახელდობრ რა წვლილი მიუძღვის მაჰმად ხან ბეგს ამ საკითხის მოგვარებაში, მაგრამ უდავოდ არ უნდა იყოს ის, რომ მისი რუსეთში ჩასვლის ფაქტი მოსკოვის მთავრობამ ირანის მხრიდან კონფლიქტის მოგვარების სურვილი დაინახა.

რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა შეფერხებას და თეიმურაზ-ერეკლეს პოლიტიკური პრესტიჟის შერყევას, ეს ვერ მოხერხდა. ერეკლე ბატონიშვილი მოსკოვში დიდი პატივით იქნა მიღებული და შემდგომი წლების მანძილზე მისი რუსეთში ყოფნა საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რუსეთ-ირანის ურთიერთობებში. ამის მიზეზების კვლევა წინამდებარე ნა-

³⁹ 40 ცალი სიასამური საკმარისი იყო ერთი ქურქის შესაყარად, ამიტომ ეს რაოდენობა საზომ ერთეულად იყო მიღებული და თვლაც ორმოცობით სწარმოებდა.

⁴⁰ Ц Г А Д А, ф. 77, оп. 1, 1653, г. д. № 3, лл. 382—383.

შრომის დანიშნულების ფარგლებს სცილდება და ამდენად მათზე აღარ შეეჩერებოთ.

დაწართი

№ 1

1650 წ. — სპარსეთის ელჩს მამუად უშლი ბეგსა და გოიარბეს შორის
საქართველოს საკითხზე საშუალო პერიკაფში წარმოებულ
მოლაპარაკების ოქმიდან

- Б⁴¹-Говорили о грузинском Теймураз царе по писму. И посол выслушав речи о грузинском царе говорил: шахово де писмо лживо не будет, грузинского де Теймураза царя сестра была за шах Аббасом, за прежним царем, а дочь ево была за шах Сефием. И наперед де се-го при шах Аббасе никакова дурна не бывало. Теймуразова двуродной брат Ростом хан тефлинской шахов холоп природной, а ныне бусурман. А Теймураз де царь шахов холоп давно и дан де ему дает.
- Б-Теймураз де прежних царей росийских подданной много лет.
- П-А про нынешнюю де войну шаху не ведомо, нелюбов де у Теймураз царя с Рустем ханом и межды де собою у них война беспрестани.
- Б-Рустем хан шахов подданной и ево унят мошно.
- П-А Теймуразова де сына Давыда убили Рустем хановы люди, и Рустем де хан вину свою к шаху писал, и шах де на него опалу за то положил, а Теймураз де цар убося от Рустем хана, побежал к зятю своему к меретинскому к Олександру царю. И к шаху де писали, что Грузинская земля пуста и шах где Теймураз цар жил // и Грузинскую землю велел владет Рустему хану.
- Б-Шаху де было по писму царского величества и по своему писму Рустем хана за то мошно и смирить, а не токмо что землю Теймураза царя велеть владеть.
- П-Как де будет он, посол, у шахова величества, и он про то шаху известит.
- Б-Чтоб шахово величество Теймураза царя по прежнему пустил на свое государство и впред бы де не велел ево изгонят и разорят для того, что грузинские цари издавна подданные великих государей росийских, а шах с царским величеством в дружбе и любви, и шахову величеству учинит так, как годно к дружбе. И как де Теймуразова сына Давыда Рустем хановы люди убили, и шаховы люди в то время тут были л?
- П-Шаховых де людей в то время никою не было, убили де Рустем хановы люди не многие.
- Б-Тефлинской хан Рустим владет Грузинскою ли землю, или даны ему места шаховы области?
- П-Грузинская де земля Теймуразу царю да Рустему хану розделена пополам, потому, что оне братья двуродные. Шахово де величество для царского величества за то не постоит, Теймураза царя по прежнему на грузинское государство пустил, чтоб де царское величество писал о том к шахову величеству в своей царского величества грамоте, а он де, посол, как будет у шаха, и о том, шахову величеству [известит]....//

ЦГАДА. Ф, 77, Сношения России с Персией, оп. 1, 1692 г. д. № 2, лл. 105—106. Подлинник.

⁴¹ ბოიარებისა და ელჩის პირიქენება ოქმში შემოკლებითაა აღნიშნული «Б» და «П».



№ 2

1652 წ. იანვრის 30—მეფე ალექსი მიხეილის ძინაფში შაჰ აბას II მიერ მიწერილი წერილის თარგმანი

Перевод с грамоты Фарсовского письма какому прислал ко государю царю и великому князю Алексею Михайловичю всеа Руси кизылбашской шах Аббас з гондом с Матвеем Спиридоновым в нынешнем во 160-м (1652) году генваря в 30 день.

Бога единого безпорочного...⁴² писали вы, великий государь нашему вели-//честву о Теймуразе царе по своей к нам любительной дружбе, и нам ведомо учинилося и ваше прошение будет памятно, толкоб он, Теймураз царь нашему величеству прямую свою службу показал и был нам в услотстве верен. И вам бы великому государю в предиреченному приказать, чтоб он нашему величеству по своему достоинству служил, как прочие наши холопи в послушанье служат. И тако вскоре желанье ево ссвершитца и по вашему великого государя прошению все будет исполнено для вашии великого государя добрые дружбы и любви и добрые безурывные ссылки. Потом исполни бог желанье ваше добром.

Назади у грамоты в печати написано-Божий раб шах Аббас.

ЦГАДА, Ф. 77. Сношения России с Персией. 1650 г. д. № 2, лл. 142—143. Копия.

№ 3

1653 წ. მაისის 7—მეფის ბრძანება ქართლის მეფე როსტომთან მისი ელჩის მამუალ ხან ბაგის ხალით საჩუქრების გაგზავნის შესახებ

Лета 7161-го (1653) мая в 7 день по государству цареву и великого князя Алексея Михайловича всеа Руси указу боярину князю Алексею Никитичю Трубецкому да дяком Григорью Протопопову да Третьяку Василеву. Указал государь царь и великий князь Алексей Михайлович всеа Руси послать своего государева жалованья к тифлисскому Урустоп хану за его дары соболми на четыреста рублей с посланником его Магамет Хан беком. А его, Магамет Хан бека, пожаловал государь за ево дары велел ему дати своево государева жалованья соболми...⁴³ на сто рублей. А в какову цену сорок к хану послати и посланнику ево дати и тому роспис под сею памятью.

И по государеву цареву и великого князя Алексея Михайловича всеа Руси указу боярину князю Алексею Никитичю Трубецкому да дяком Григорю и Третьяку учинити о том по государеву цареву и великого князя Алексея Михайловича всеа Росии указу. Дяк Андрей Амирин.//.

Роспис, что послали государева царева и великого князя Алексея Михайловича всеа Руси жалованья к тифлинскому Урустоп хану за его дары соболей:

40 соболей в 60 рублей, 2 сорока соболей по 50 рублей сорок. 2 сорока соболей по 40 рублей сорок. 2 сорока соболей по 35 рублей сорок. 3 сорока соболей по 30 рублей сорок.

Тифлисскому Урустоп ханову посланнику Магамет Хан беку 40 соболей в 40 рублей, 2 сорока соболей по 30 рублей сорок.//

ЦГАДА, Ф. 77, Сношения России с Персией, оп. 1, 1653 г. д. № 3. лл. 382, 383. Подлинник.

⁴² გამოტოვებულია შაჰის სრული ტიტული.

⁴³ ერთი სიტყვა არ იკითხება.

ჯანსუგი სონულაშვილი

რთველი და ყურძნის წურვის წესები აღმოსავლეთ საქართველოში

რთვლის დრო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მევენახეობა მოითხოვს მეურნის დიდ ცოდნა-გამოცდილებას და ინტენსიურ შრომა-საქმიანობას. მეურნეობის ამ დარგის წინსვლა საქართველოში ამ ფაქტორებზე დიდად იყო დამოკიდებული. ქართველი კაცი დღენიადავ თავს ადგას ვენახს და მას მოვლა-პატრონობას არ აკლებს, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით შრომატევადია ოქტომბრის თვე, როდესაც რთველი ანუ სთველი დგება. ოდიტგანე ამ დროს ხდება მთელი წლის ნაშრომ-ნაამაგრის აღება-დაბინავება და ყურძნის ღვინოდ დაწურვა, რისთვისაც ოქტომბერს „ღვინობის თვე“ უწოდეს. ს. ს. ორბელიანის განმარტებით, „ოქტომბერი სთვლის თვეა, ხოლო სთველი ნიშნავს შემოდგომას, გრნა ყურძნის მოკრეფას“¹. ისტორიული წყაროების ანალიზის საფუძველზე იგ. ჯავახიშვილს ასევე დადგენილი აქვს, რომ სთველი შემოდგომასაც ნიშნავდა², ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დღესაც შემოდგომას სთველი ეწოდება.

მთხრობელთა გადმოცემით, კახეთში რთველი მოდიოდა ალავერდობის სწორზე, ხოლო ქართლში ეს დრო სვეტიცხოვლობით ისაზღვრებოდა. მათივე დაკვირვებით, ღვინის ღირსება (სიმაგრე, გემო) დამოკიდებული იყო ყურძნის მოკრეფის დროის სწორად შერჩევაზე. ირკვევა, რომ რთველი და სიცივის დაკვრა ამ მხრივ სასარგებლო ყოფილა (ქართლი, კახეთი, რაჭა). ხალხის დაკვირვება დადასტურებულია აგრეთვე სპეციალურ გამოკვლევებში³.

შედარებით ადრე კრეფდნენ საადრეო ყურძნის ჯიშებს: „თიბათვისას“, „ბუღდემურას“, „ბუხას“. ადრე მოკრეფილ ყურძენს იყენებდნენ როგორც სამაჭროდ რთვლის, დამღვესათვის, ისე ბაზარში გასაყიდადაც. ასეთი ვითარება დასტურდება გარე კახეთში, თბილისის სანახებში, ზემო ქართლში.

აღმოსავლეთ საქართველოს ანალოგიურად დასავლეთ საქართველოშიც ყურძნის კრეფის დრო განისაზღვრებოდა მისი ჯიშების ნაირსახეობითა და პრაქტიკული გამოყენების საჭიროებით. ამის შესაბამისად, იმერეთში სამაჭრე ყურძნის კრეფა ხდებოდა აგვისტოს მეორე ნახევარში, მეორე ჯიშის ყურძენს კრეფდნენ ენკენისთვის მეორე ნახევარში, ხოლო მესამე სახეობის ყურძენი შემოდგომად ოქტომბერში ან ნოემბერში. გურია-სამეგრელოშიც რთველი იწყებოდა აგვისტოს დამლევს და მთავრდებოდა დეკემბრამდე⁴.

ცნობილია ის გარემოებაც, რომ დაბლარი ვაზი მაღლარზე ადრე მწიფდებოდა, რაც კრამდენადმე აპრობებდა ღვინის ღირსებას და მისი გამოყენების

¹ ს. ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1928.

² იგ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, I, თბილისი, 1964, გვ. 17.

³ იქვე, გვ. 16.

⁴ იქვე.

შესაძლებლობას. როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, პირველი ჯგუფის ყურძნისაგან მაჭარს აყენებენ, მეორისაგან ერთი წლის გამძლეობის შინ სახმარ ღვინოს, ხოლო მესამისაგან დიდხან შესანახ და გასაყიდ ღვინოს⁵.

აღმოსავლეთ საქართველოში დადასტურდა ყურძნის სიმწიფის გამოცნობის ხალხური საშუალებანი. მოწეული ყურძნის გამოცნობა ხდებოდა არა მარტო ფერითა და სიტკბოთი, არამედ მისი მარცვლების თითებშუა გასრესითაც.

როცა ი. ჭავჭავაძე ღვინის ქართულად დაყენების წესებს იხილავს, იქვე გვაცნობს ყურძნის სიმწიფის გამოცნობის ხალხურ საშუალებას: „... ადამიანის ხელთვე არის, თვითონ ყურძნის დაკრეფასაც დრო შეურჩიოს და ამასაც ღვინის სიკეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩვენში და ყველგან სხვაგანაც ღვინობისთვის ნახევრამდენ დაიწყება ხოლმე ყურძნის კრეფა, ზოგჯერ ცოტა გვიანაც, რადგანაც, თუ კაი დარია, ყურძენი უფრო კეთდება, და ამას ევროპაში ცნობილობენ სხვადასხვა იარაღითა და ღონისძიებითა, და ჩვენში კი გაჟყულეტენ მარცვალს თითებ-შუა, და თუ თითები წვენი გამო ერთმანეთს ეწებება და ეს დაწებება დღედაღღე უფრო მატულობს, ამბობენ, ყურძენს ჯერ კიდევ „წებო“ ემატებაო და დაცდა, დახანება უნდაო, იმიტომ რომ ამ წებოს მეტნაკლებობაზედ დამოკიდებულია ღვინის სიკეთე. ამ ორ ღონისძიებათა გამო, მარტო ის ითქმის, რომ ევროპიული უფრო ხერხიანია და მეორე უფრო სადა და უბრალო, ყურძნის კარგად დამწიფების და შემოსავლის საცოდნელად კი ორივე გამოსადეგია“⁶.

ქართველი მეურნე ყურძნის სიმწიფეს ატყობს მტევნის ყუნწითაც: წითელ ყურძენს კლერტი ღია ფერად უწითლდება, თეთრ ყურძენს ყვითლად.

ხალხის დაკვირვებით, შემოსული ყურძნის მარცვლები გამჭვირვალე ხდება და მას კანი უთხელდება. ყურძნის სიმწიფეს ამოწმებენ კრეფის პროცესში. კრეფაში რომ ყურძენს წვენი გასდის და სიტკბოსაგან თითები ერთმანეთს ეწებება, ასეთ შემთხვევაში ამბობენ: „დუღყო“ აქვს, „ყურძენი კაი მოწეული ყოფილაო“⁷. „დუღყო ყურძნის და საერთოდ ხილუულას სიტკბოს ნიშნავს, რომელსაც ახასიათებს წებოსავით წვენი, რომელსაც აქვს თვისება მიკვრისა“⁸.

ყურძნის მარცვლები რამდენადაც მწიფეა, იმდენად სიტკბოც მეტი აქვს და ღვინოც მაგარი დგება. ამისათვის უნდა დაიკრიფოს სავსებით დამწიფებული ყურძენი. თეთრი ყურძენი მაშინ ითვლება მწიფედ, როდესაც მზისაკენ მიქცეული მხარე ჩამქრალ ყვითელ ფერს მიიღებს და დამჭირვალე ხდება. რაც შეეხება შავ ყურძენს, სიმწიფის პერიოდში ის გაშავებას და ჭკნობას იწყებს, მარცვლები კლერტს შორდება და ყლორტებიც ჭკნება⁹.

ვინაიდან ყველა ჯიშის ყურძენი ერთდროულად არ მწიფდება, ძველად ზვრებსა და ვენახებში რთველი ხშირად ორ წყებად მიმდინარეობდა. როგორც წესია, ასეთ შემთხვევაში ჯერ კრეფავდნენ თეთრ, ხოლო შემდეგ წითელ ყურძენს.

ვენახის პატრონი ცდილობდა რთველი დაეწყო დარიან ამინდში. ამასთან, გამოცდილი მევენახე დილით ადრე არ შეუდგებოდა ყურძნის კრეფას, რადგან დილით ჰაერი ნოტიოა და ღვინოზე ცუდად მოქმედებსო; ზოგი იტყოდა ღვი-

⁵ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

⁶ ილ. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VII, 1956, გვ. 90.

⁷ იოს. ნანობაშვილი, ვახის ძველი კულტურა, ქიზიყში, 1960, გვ. 102.

⁸ ს. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი.

⁹ გუთნის დედა, 1869, № 7, გვ. 50; კ. მოღვაძე, მეღვინეობა, 1918, 1924, გვ. 4.

ნომ „პკე“ იცისო. დაცვარული ყურძნისაგან მიღებული ტკბილის დუღილი გვიან იწყება და ღვინოში ხშირად სიტკბო რჩება, რასაც მომავალში ბევრნაირი ავადმყოფობის გამოწვევა, სითხეში მავნე მიკროორგანიზმების გამრავლება და ღვინის გაფუჭება შეიძლება მოჰყვეს. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ტკბილის ან მარნის განსაზღვრულ ტემპერატურამდე გათბობა, რათა დუღილი ნორმალურად წარიმართოს¹⁰. ამიტომ სიცივეების დროს მარანში ბუხარს ანთებდნენ.

ყურძნის შემოსვლის შემდეგ იწყებოდა რთვლისათვის სამზადისი. კახეთში და ქართლის ნაწილში სოფლის ამორჩეული თავკაცები ხალხს შეკრებდნენ სასოფლო ალაგას და იქ დათქვამდნენ რთვლის დაწყების დროს.

სოფლობაზე მიიღებდნენ გადაწყვეტილებას, რომ ყურძენი ყველა ოჯახს ერთდროულად მოეკრიფათ, რათა მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონოდა დაკრეფილი ვენახების გამოყენებისა. რომელიმე ვენახის დაუკრეფავად დატოვების შემთხვევაში მოსალოდნელი იყო მისი განადგურება, რის გამო ვენახის მეველე მეთვალყურეობას უწევდა სოფლის გადაწყვეტილების განხორციელების მიმდინარეობას.

ქართლ-კახეთის მევენახეობა-მეღვინეობაში დიდ ყურადღებას აქცევენ ახალ მთვარეს, რაც, რა თქმა უნდა, რთვლის დროსაც არ იყო უგულვებელყოფილი. ქართველი კაცი რთველს ახალ მთვარეზე არ მოაწყობდა, რადგან მათი რწმენით ღვინო წაუხდებოდა, „ქაჯას ჭია გაუჩნდებოდა“. კახელი მევენახის რწმენით, ყურძნის დაკრეფა მთვარის ფაზებთანაა შეთანხმებული, რადგან „მთვარის გადაბრუნების“ დროს თუ დაწურავ, ღვინოს მატლი უჩნდება, ჭუჭყი იცის, არც ფერი გამოსდევს ღვინისა“-ო¹¹.

რთვლის სამზადისი: რთვლის დროის განსაზღვრის შემდეგ ამზადებდნენ საჭირო ჭურჭელსა და იარაღს, წნავდნენ და ამაგრებდნენ გოდრებსა და საკრეფლებს (კალათებს, გოგროხებს), ასუფთავებდნენ მარანს, ქვევრებსა და ჭოცოებს სარქველებს ხდიდნენ, რათა „ჰაერს გაეცლო“, ხოლო შემდეგ იწყებდნენ ქვევრებისა და საწნახლის რეცხვას. ქვევრს წყალს სამჯერ გამოუცვლიდნენ, სუფთად გაწმენდნენ, კედლებსა და ძირს გაუშრობდნენ, შემდეგ კიდევ ერთ ორ ვედრო სუფთა წყალს ჩაასხამდნენ და ისე დასტოვებდნენ, რათა „სელის სუნი“ ანუ „ნახელარის“ სუნი მოესპოთ. ხალხის დაკვირვებით, მშრალი ქვევრი ობდებოდა და მასში ჩასხმული ღვინო ფუჭდებოდა.

მეორე დღეს ერთხელ კიდევ შემორეცხავდნენ, შეამშრალებდნენ სუფთა ტილოთი და ერთ კომშს ქვევრის კედლებს ხეხვით ზედ შეალევდნენ, რათა მას კარგი სუნი მისცემოდა. მეღვინეთა დაკვირვებით კომშის სუნი „ქვევრს აკეთებს და ღვინოს უხდება“. კომშის „შემოვლებს“ შემდეგ ქვევრს თავზე საცერს ან ცხროლს დაფარებდნენ, რათა ჰაერმა იტრიალოს და შიგ არაფერი ჩავარდეს. ქვევრის რეცხვა ღვინის ნახარშის წვენითაც წარმოებდა, რათა ქვევრს სურნელოვანი სუნი მიეღო¹².

ქვევრის რეცხვა წარმოებდა შემდეგი წესით: დიდრონ „ჩასავალ“ ქვევრებს ქართლ-კახეთში რეცხდნენ კრაზანით, ღვით, ორხელა მოკლე სარცხით, ნაწაწურით, ხაპით და სხვა იარაღებით (იხ. ტაბ. I), ხოლო პატარა ქვევრები და ჭურბები ირეცხებოდა ზემოდან, სარცხით. ქვევრებთან ერთად ასუფთავებდნენ

¹⁰ ს. ქუჭრაშვილი, მეღვინეობა, გვ. 24; ქ. მ. ოღეძაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 9.

¹¹ ა. ლეკიშვილი, მეღვინეობა-მევენახეობა კახეთში, საქ. ეთნოგრაფიის მასალები, ტ. XI, 1960, გვ. 65.

¹² ლ. ჯორჯაძე, მევენახეობა და ღვინის დაყენება, 1876, გვ. 70.

მეღვინეობის სფეროში სახმარ სხვა იარაღ-ჭურჭელსაც, ვინაიდან ღვინის ხარისხი ბევრად იყო დამოკიდებული მისი შენახვის პირობებზე. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ მარნის მოწესრიგება-დასუფთავებას, როგორც დიდ-მნიშვნელოვან ფაქტორს, საგანგებო ყურადღება მიაქციეს მეღვინეობის დარგის სპეციალისტებმა და დაასაბუთეს თუ როგორ შეიძლება გამოიწვიოს ღვინის დაავადება უსუფთაო ჭურჭელმა¹³. ქართველ მეღვინეს ეს გარემოება ყოველთვის გათვალისწინებული ჰქონდა და ასე გულმოდგინედ ამიტომ ასუფთავებდა მარნის ინვენტარს.

რთველში პატივებდნენ ნათესავებსა და ნაცნობებს სხვა სოფლებიდან და ისინიც მისახმარებლად მიდიოდნენ. რთველში მონაწილეობის ხალისს განსაკუთრებით იჩენდნენ იმ სოფლებიდან, სადაც მევენახეობას არ მისდევდნენ. სტუმრებს თან მამლები მიყავდათ, რომელსაც „სართველო მამალი“ ეწოდებოდა.

ს. ხაშში ჩაწერილი მასალის მიხედვით, ყველა შორს მცხოვრები ნათესავი სიამოვნებით ღებულობდა მონაწილეობას რთველში.

„რთველში ნათესავი იშვიათად დააკლდება, ამდროს ხვდებიან ერთმანეთს. მე ხაშში ვცხოვრობ, ნათესავი ყვარელში მყავს, სიამოვნებით მივდივართ ერთმანეთთან, რთვლის დროს ვატყობინებთ და ის მე მეწვევა, მე კი დევ იმას“ (სოფ. ხაშში, მთხრობელი: ს. ყირმელაშვილი, 1966 წ.).

დიდი ვენახების პატრონი რთვლის დროს დამხმარე და ნათესავ-მოკეთის გარდა დაქირავებულ მუშახელსაც იყენებდა. დიდი ზვრების მფლობელი თავად-აზნაურობა ძირითადად დაქირავებულ მუშახელს იყვანდა. დაქირავებული მუშახელის ფასი სხვადასხვა მხარეს სხვადასხვა ყოფილა. მაგალითად, ყვარლისა და ასმეტის რაიონებში XX საუკუნის დასაწყისში რთველში დაქირავებულ მუშას 30—40 კაპიკს უხდიდნენ და დღიურად აქმევდნენ სადილ-ვახშამს ღვინით. თბილისის სანახებში მერთველ მუშას 40—50 კაპიკს უხდიდა, ხოლო ბავშვებს 20—30 კაპიკს. აქმევდნენ სამ ჭერს სასმელით, მთხრობელთა გადმოცემით, ბაგრატიონები მუშას უხდიდნენ 50 კაპიკს, დღეში სამჯერ აქმევდნენ, საკლავსაც უკლავდნენ და ღვინოსაც ასმევდნენ. (სოფ. დილომი, მთხრობელი: ალექსანდრე სონდულაშვილი).

მუხრანში, ძალისში, ოძისში, მეჯვრისხევში და ზემო ქართლის სოფლებში ასეთივე მდგომარეობა დასტურდება. რთველში დაქირავებული მუშების ფასი XX საუკუნის დასაწყისში 20—50 კაპიკს შეადგენდა.

ქართლის ზოგიერთ სოფლებში, მაგ. ლიახვის ხეობაში, ისიც ღვინდება, რომ რთვლის დროს მემამულეებსა და დიდი ვენახის პატრონებს, უსასყიდლოდ ეხმარებოდნენ რამდენიმე დღით, რასაც ზოგან „მეწვევასაც“ ეტყოდნენ. დახმარების დროს მუშა ხალხს, სამ ან ორჯერ აქმევდნენ საქმელს და ასმევდნენ, უკლავდნენ საკლავსაც.

ზემოთ მოტანილი საკითხის გარშემო, საინტერესოა ვახტანგ VI დასტურლამალის ცნობა, საიდანაც შეიძლება გაირკვეს თუ დღეში რამდენი მუშახელი იყო ჩაბმული სამეფო ზვარში, რთვლის დროს, მაგალითად „მულავრისა და თეთრი სოფლის ბატონის და მოკვლეთა გამოსაღების საკომლოსათვის დადგენილ თავში ნათქვამია რომ: „... სასათულო პური მოურავს და მესთულეს პური დღეში ო (100); ღვინო ჩაფი იბ (12); ქერი კოდი ბ (2); ცხუარი სხნილში ა (1);

¹³ კ. მოღვებაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

ქათამი, რამდენი კაციც, გამასპინძლდეს, იმდენი, მარხვაში თევზი და სამარხო მიიტანონ-ო¹⁴.

ზემოთ მოყვანილი ცნობის საფუძველზე აკად. ივ. ჯავახიშვილს გამოანგარიშებული აქვს, რომ: „ძველ საქართველოში კვების ნორმად დღეში სულზე ერთი 1705 გრამიანი პური, ანუ 4 1/4 გირვანქა პური ითვლებოდა, თუ დასტურლამალის ზემოთ მოყვანილი დებულებითაც დიდი, 1705 გრამიანი პური იგულისხმებოდა, მაშინ ცხადი ხდება, რომ შულავერ-თეთრისოფლის ზვრების სიველში 100-მდე მუშახელი ყოფილა ჩაბმული, ხოლო ერთი ორად მომცრო პურიც რომ იყოს ნაგულისხმევი ისე, რომ სულზე აქ დღეში 2 პური ვივარაუდოთ, მაინც 50 მუშახელზე ნაკლები არ შეიძლება ყოფილიყო“¹⁵.

საინტერესო ცნობა მოიპოვება აგრეთვე „ქელმწიფის კარის გარიგებაში“, სადაც სამეფო ზვრებს მანდატურთუხუცესი ხელმძღვანელობდა და მას ემორჩილებოდნენ მთელი რიგი მოხელეები სამეფო ზვრებისა¹⁶.


რთველში მუშახელით უზრუნველყოფა ერთ მთავარ საყურადღებო საკითხად იდგა ვენახისა და ზვრის პატრონისათვის. შემოსული ყურძნის კრეფა ისევე საშურია, როგორც მოსამკალი ყანისა, რადგან მწიფე ყურძენს პატარა წვიმაც რომ მოხვდეს, ხარისხიც წაუხდება და ყურძნათაც აღარ ივარგებს, დასკდება და დაღებუა კიდევაც¹⁷.

ვენახების დროულად კრეფა დამოკიდებული იყო როგორც მეღვინეობასთან დაკავშირებულ იარაღ-ქურჭელზე, ისე მუშახელზედაც. ცნობილია, რომ რთველი ზოგ ზვარში ერთ თვეს გრძელდებოდა. ენოგრაფიული მასალების მიხედვით ღვინდება რომ, საშუალოდ „10 კაცი დღეში 1 თოკ ვენახს კრეფდა (ერთი თოკი ერთი ჩარექია. თოხი ჩარექი ერთი დღეშია), ქიზიყში პატარა ვენახში რთველი ერთ დღეს, ზოგჯერ უფრო ადრეც თავდებოდა, იყო იმისთანა ვენახის მეპატრონე, რომელიც დღეში, დაახლოებით 70—80 ფუთ ყურძენს ჰკრეფდა და რთველს 10—15 დღემდე და უფრო მეტხანს აგრძელებდა“¹⁸.

რთვის დაწყების წინა დღეებში, მუშახელის რაოდენობის შესაბამისად, ოჯახი აცხობდა პურს, ზოგი ოჯახი ამ დროს 5—6 თონეს აცხობდა, ამავე დროს ამზადებდნენ საქმელ-სასმელს, ზღინდნენ „სართველო ქვევრს“, ყიდულობდნენ ან წინასწარ სავლში ჰყავდათ რთვისათვის საკლავი, განსაკუთრებით მიღებული იყო თხის დაკვლა, რასაც „სართველო თხა“ ეწოდებოდა.


რთველი. რთვის წინა ღამეს, კახეთში იცოდნენ სტუმრებიანად ვენახებში გასვლა. სვამდნენ, მხიარულობდნენ და ასე ხვდებოდნენ მეორე დღეს, რთვის დაწყებას. ქართლში ასეთი წეს-ჩვეულებას იშვიათად ასრულებდნენ და ისიც მხოლოდ მამაკაცები, რომლებიც ვენახის ქოხში ათევდნენ ღამეს მხიარული დროსტარებით. ალბათ ეს დამოკიდებულია ვენახის მდებარეობაზეც, კახეთში ვენახები ზოგ სიველს ძალიან შორს ჰქონდა და რთვის მუშა წინააღმდეგობით მომზადებული უნდა ყოფილიყო ვენახშივე, რომ რთვის დღეს წასულ ხალხს გზაში დიდი დრო არ დაჰკარგოდათ.

14 ვ ა ხ ტ ა ნ გ V I, დასტურლამალი, გვ. 99.
15 ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, 1964, გვ. 20.
16 ე. თაყაიშვილი, ქელმწიფის კარის გარიგება, ტფილისი, 1920, გვ. 4.
17 გუთნის დედა, 1869, № 7, გვ. 51—63.
18 ი. ნანობაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.



საწინდელი (წავი)

(სოფ. უმჯავანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი)





ქართლში კი სოფელს მოშორებით მდებარე ვენახები იშვიათია, რის გამოც ღამისთევანზედაც ნაკლებათ ზრუნავდნენ.

მეორე დღეს, როცა მზე კარგად ამოვიდოდა და ისაუზმებდნენ, იწყებდნენ ყურძნის კრეფას. კრეფა იწყებოდა ვენახის ბოლოდან რიგის მიხედვით. პირველად ოჯახის უფროსი ხალხთან ერთად დაილოცებოდა და პირველივე ასპრი-და ჩხებს და აკიდოებს „ხატის სახელზე დაყენებული ვაზებიდან“ და იქვე ვენახში კიდებდა რთვლის დამთავრებამდე. ამის შემდეგ სახლში წამოიღებდნენ და საღვინე ტკბილთან ერთად ეკლესიაში საკურთხებლად მიიტანდნენ, სახატოდ უფრო თავკვერს აყენებდნენ (მთხრობელი სოფ. დიღმის მაცხოვრებელი ი. ყანადაშვილი).

ასეთივე რიტუალი სრულდებოდა ქიზიყში რაც ფიქსირებული აქვს ი. ნანობაშვილს¹⁹.

ანალოგიური წესები დამახასიათებელი იყო ქართლელ მევენახეთა ყოფისთვისაც. ლიანების ხეობაში ჩაწერილი მასალის მიხედვით, „რთვლის შემდეგ, როცა ტკბილი ქვევრებში ჩაისხმებოდა, ყველა ქვევრიდან ტკბილს ამოიღებდნენ, გაავსებდნენ ერთ საღვინე ტკბილს და ყურძნის აკიდოებით ეკლესიაში წაიღებდნენ, სანთლებს დაანთებდნენ ილოცებდნენ, მღვდელი აკურთხებდა და სახლში დაბრუნდებოდნენ“ (მთხრობელი სოფ. ქვემო ხვითის მცხოვრები ილ. ბუზალაძე).

სახატო ყურძნის ჩხების აჭრის შემდეგ, ოჯახის უფროსი დაივილიდა ვენახში, მოწვეული სტუმრებისათვის თან გასატანებლად აკიდოებს და ჩხებს ასპრიდა. „ჩხის და აკიდოს აჭრა მხოლოდ ვენახის პატრონს შეეძლო“, რადგან „იმან იცის უფრო მეტად თავის ვაზის ხელი, ესლა ყველა სჭრის და კარგი არ არის ვაზი ფუჭდება“ (მთხრობელი ქვ. მაჩხანის მცხოვრები იოსებ მჭედლიშვილი). აკიდოებისა და ჩხების აჭრის შემდეგ, ოჯახის უფროსს, ვის ფუნქციაშიც ვენახის მოვლა შედიოდა, რთვლის დროს შეიძლება ყურძნის კრეფაში მონაწილეობა აღარ მიეღო და საქმე მკრეფავებისათვის მიენდო, ოღონდ წინასწარ თადარიგს დაიჭერდა თუ საიდან და როგორ უნდა დაკრეფილიყო ყურძენი. თუ ყურძნის რომელიმე ჯიშს ცალკე კრეფდა, გადაანაწილებდა მკრეფავებს და რიგის მიხედვით დაავალებდა როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. თვითონ კი დაკრეფილი ყურძნის დაბინავებას შეუდგებოდა, მარანში მიდიოდა და თუ რთველი და ყურძნის წურვა ერთად მიმდინარეობდა, მარნის საქმეს უკიდებდა ხელს, ხოლო რთვლის სხვა საქმეებს ოჯახის სხვა რომელიმე წევრი ხელმძღვანელობდა.

ყურძნის კრეფდნენ: დანით, ვაზის მაკრატლით, სასხლავით და ხელით²⁰. ეთნოგრაფიული მონაცემების თანახმად ძველად დიდი ვენახისა და ზვრის პატრონი გარკვეული ჯიშის ყურძნისაგან ღვინოს ცალკე აყენებდა. მაგალითად: თბილისის სანახებში XIX საუკუნეში ცალკე კრეფდნენ და აყენებდნენ ღვინოს: თავკვერს, ჭყაპას, მწვანეს, რქაწითელს, გორულას, ჩინურსა და ასე შემდეგ.

ანალოგიურ სურათს ვხვდებით კახეთსა და ქართლში, დიდი ზვრების მებატრონეები ცდილობდნენ ცალკეული ჯიშების ცალ-ცალკე წურვას.

¹⁹ ი. ნანობაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 108.

²⁰ იქვე.

ცალკე ჯიშების მიხედვით ყურძნის წურვის ამგვარი წესი ისტორიული წყაროების ანალიზის საფუძველზე დადგენილი აქვს ივ. ჯავახიშვილს. იგი წერს: „მოკრეფილი ყურძენი უპირველესად ფერისა და მიხედვით იყო ხოლმე გადარჩეული რადგან თეთრი ან მწვანე და შავ-წითელი ყურძენი ცალ-ცალკე უნდა დაწურულიყო, რომ ღვინოს სათანადო ფერი ჰქონოდა. მაგრამ ამას გარდა, როგორც ეტყობა, მალღარი და დაბლარი ვაზის ყურძენიც ცალ-ცალკე ყოფილა დაწურულიც და ღვინოდ დაყენებულიც. ეს გარემოება თამარ მეფის დროინდელი მსახურთ-უხუცესის ივანე მკარგრძელის მიერ (მაშასადამე 1191—1212 წ-ში) დაარსებული ქვემო ქართლის, ბოლნისის მაზლობლად მდებარე მონასტრის ტიპიკონის ნაწყვეტიდან ირკვევა. ამ მეტად დაზიანებულ ძეგლში სავანის წესების შემდგენელს ნათქვამი აქვს: „ბოლნისსა საღვწე დავადევით ესე, ხოლო ქარცებით ხუარბალი მოვიდოდეს და ბოლნისსა ღვინოჲ მოიღებოს“, ამ მოტანილი „ღვინისაგან პირველად საბაბილო ჭური, საკვრაო შემომწირველთანი ჭურნი აღივსებოდიან და მერმე სხუანი, რავდენიც ეგებებოდეს“.

ამ ღვინის დახარჯვის შესახებ განსაზღვრული იყო, რომ „საბაბილო (საბაბილიო) ჭური დღეობასა წაიგებოდეს, ვითა მოსაქმარებლად, სკამსო იყოს და საკვრაოჲ ჭურამაღლებითგან ვითა წესი და პირი საქმეთასაჲ (3... სქთსა) მოქცემდეს“-ო.

აკად. ივ. ჯავახიშვილი იქვე აღნიშნავს, „სოფელში ყურძნის დაწურვის დროს პირველად მარანში „საბაბილო ჭური“ უნდა აეცხოთ, შემდეგ „საკვრაოჲ“, ანუ შემოწირველთა ვენახებითაგან შემოსულთათვის“.

„საბაბილო“ ჭურის რაობას მისი სახელივე ამჟღავნებს, ბაბილო მალღარი ვაზის ძველი სახელი იყო. ცხადი ხდება, რომ საბაბილო ჭური ის ქვევრი უნდა ყოფილიყო, რომელშიც მალღარი ვაზის ყურძნის დაწურული ტკბილისაგან ღვინოს აყენებდნენ და ინახავდნენ²¹.

საქართველოს მევენახეობაში მიღებული იყო არა მარტო ყურძნის ჯიშობრივად კრეფა, არამედ დახარისხებაც. დიდი ზერებისა და ვენახების პატრონები მწიფე ყურძენს ცალკე აკრეფინებდნენ, ბოლოს უხარისხო მკვახე ყურძენს ცალკე, რათა მალღალი ხარისხის ღვინო დაეყენებინათ. ამ მიზნით მამულის პატრონი ყურძნის მკრეფელს აძლევდა ორ კალათს; ერთში აგროვებდნენ მწიფე ყურძენს, ხოლო მეორეში მკვახეს²². რასაც მეტად დიდი შრომა სჭირდებოდა.

ჩვენ შევეცადეთ აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაგვეფიქსირებინა ყურძნის ჯიშებად დაკრეფისა და დაყენების პროცესები. მთხრობლების ნაამბობის მიხედვით ეს პროცესი აღვრიცხეთ რამდენიმე სოფელში, რასაც ქვემოთ გავცნობით.

კახეთში ქვ. მაჩხანაში მცხოვრებმა ი. მჭედლიშვილმა გადმოგვცა, რომ ხშირად აყენებს ცალ-ცალკე რქაწითელს, მწვანეს და საფერავს, დაუყენებია თავკვერი და ბუერა. თავკვერი თხელი დამდგარა, მისი სიტყვით „დანარჩენ ყურძნის ჯიშებს ცალკე არ სწურავენ შიგ სხვა ყურძენში ვაპარებთ რადგან არ არის კარგი ღირსებისა, მაგალითად მოვიტანე ბუერა და ცალკე დავწურე, მართალია კარგი შავი იყო, მაგრამ არ ვარგოდა ღვინოთ სრულებით (მთხრობელი: ს. მაჩხანის მცხოვრები 65 წლის მჭედლიშვილი იოსებ გიორგის-ძე).

²¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 23, 24; ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, 1919, გვ. 1, 23.

²² გუთნის დედა, 1869, № 7, გვ. 52.

ბაკურციხეში (კახეთი) ილია სამადაშვილის (გადმოცემით) ცალ-ცალკე აყენებენ საფერავს, რქაწითელსა და მწვანეს.

სოფ. დილოში მიხეილ სონდულაშვილი ცალ-ცალკე აყენებდა შემდეგი ჯიშის ყურძენს: თავკვერს, საყუთარს, პინოს და ალიგოტეს, ცალკე ჭყავს, ჩინურს, რქაწითელს, მწვანეს (არეულს). თავკვერს, საფერავს, ბუზას, ცხენისძიჟუს, დანახარულს — შერეულს (აყენებდნენ ოთხნაირ ღვინოს).

სოფ. დილოში ა. სონდულაშვილი ბუზა ყურძენს ცალკე აყენებდა, რქაწითელს, მწვანეს და ჩინურს — შერეულს. აქვე აყენებდნენ ცალკე ჭყავასა და დილმურ ჭყლარტანას „კარგი ღვინო იცოდაო“.

სოფ. მუხრანში, მახარაშვილი თავკვერსა და ჭყავას ცალ-ცალკე აყენებდა. მუხრანულ მწვანეს, გორულ რქაწითელს და ჩინურს ერთად. ამდაგვარად აყენებდა ამირაშვილების ოჯახიც.

მეჭვრისხევეში აყენებენ ძირითადად ორი სახის ღვინოს: წითელს და თეთრს. დანახარულს ცალკე, ჩინურს, გორულს, მწვანეს და ბუდეშურს — შერეულს.

ხიდისთავში, თავკვერს ცალკე აყენებენ, დანახარულს ცხენისძიჟუს და სხვა შერეული წითელი ჯიშის ყურძენს არეულს. თეთრს აყენებენ გორულს, ჩინურს, ბუდეშურს, მუხიქერქას არეულს.

ამრიგად, ყურძნის ჯიშობრივად დაყენებას ქართლ-კახეთში ძველიდანვე მისდევდნენ და ღვინის დაყენების ეს წესი ტრადიციულად გრძელდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვენახის კრეფას იწყებდნენ ბოლოდან რიგის მიხედვით, თუ ჯიშების მიხედვით კრეფდნენ, ჯერ თეთრით ან წითლით დაიწყებდნენ. ერთდროულად კრეფის დროს თითო მკრეფავს ორი საკრეფელა ედგა და რიგის მიხედვით მიყვებოდნენ. კრეფდნენ წნელისაგან მოწნულ კალათებში. გარე კახეთში და ქართლის ზოგიერთ სოფლებში საგურამო, ბიწმენდი, ნავდარაანთ კარი იყენებდნენ აგრეთვე ხის ქერქისაგან გაკეთებულ პატარა კასრებს ე. წ. ხოკერებს.

ყურძნით ავსებული საკრეფელა ჭურჭლები ვენახიდან თვითონ მკრეფავებს გამოჰქონდათ და გოდრებში სცილიდნენ, ხოლო ზოგ ვენახში ყურძნის ზიდვაზე სპეციალურად იყვნენ გამოყოფილი კაცები უფრო მეტად ახალგაზრდა „მორბედები“. ყურძენს სცილიდნენ ვენახის თავში ან ხეივანში დალაგებულ გოდრებში, რომელიც შემდეგ ურმით მარანში მიჰქონდათ.

ყურძნის გადაზიდვის დროს ტრანსპორტად ქართლ-კახეთში გამოიყენებოდა ურემი, ხოლო თბილისის სანახებში და კახეთში სახედრებიც.

თბილისის სანახებში ყურძნის გადასატან გოდრებს „საპალნის გოდრები“ ეწოდება. ამავე დროს ქართლში მოწმდება ყურძნის სპეციალური საზიდი საშუალება, რომელიც მთლიანი გულამოღებული ხისაგან შესდგება და ყურძნის დიდ საწურ ნავს მოგვავლენებს. ეს ნავი ურემზე იყო მოთავსებული და დგამდნენ ვენახის ან ვენახის ხეივის თავში მკრეფავებთან ახლოს და დაკრეფილ ყურძენს შიგ ყრიდნენ, გავსების შემდეგ შეუზამდენ ხარ-კამეჩს და მარანში მიჰქონდათ.

მთხრობელთა გადმოცემით, ყველაზე პატარა ნავში სამოცი ფუთი ყურძენი ჩადიოდა. ბაგრატიონებს დილოში ჰქონიათ ცაცხვისაგან დამზადებული დიდი ხის ნავი, რომელშიც ას ფუთზე მეტი ყურძენი ჩადიოდა, ამ ნავს თურმე ორ-სამ ყვეარ ხარ-კამეჩს უზამდნენ და ისე მიჰქონდათ. ს. გილაურის გადმოცემით, ბატონიანთ იმდენი ასეთი ნავი ჰქონიათ, რამდენიც ვენახი.

ასეთი ნავი გამოყენებული იყო განსაკუთრებით ისეთ ვენახებში და ზვრებში, სადაც მარანი შიგვე იყო მოთავსებული. ამგვარ ნავს სოფელში ყურძნის გადასატანად ცხარობდნენ ვინაიდან ყურძნის წვენი არ იკარგებოდა და შიგვე გროვდებოდა. — ასეთი ნავის არსებობა დავადვინეთ: მუხრანში, ძალისში, ოძისში, დილოში, ბაგეში, ხაშში, სართიჭალაში, გლდანში. ანალოგიურ ტიპოლოგიურ ნიშნებს ამჟღავნებს რაჭული „ჩაჭირლა“-ც.

საფიქრებელია, რომ ყველა მებატონის ზვარს გააჩნდა ასეთი ყურძნის გაგდასატანი, რაც პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სატრანსპორტო საშუალებას წარმოადგენდა. ზოგიერთი, მთხრობლის ინფორმაციით ყურძნის ნავი შიგ მარანში შეჭქონდათ კამეჩებით და საწნახელთან ახლოს დგამდნენ, მერე კალათებით და პატარა გოდრებით საწნახელში ყრიდნენ, რომელიც მაშინვე იწურებოდა (ს. დილოში, ანტ. სონღულაშვილი).

რთვლის დროს ვენახებიდან ყურძნის ძირითადი გადასაზიდი ტრანსპორტი მაინც ურემი იყო. ვისაც ხარ-კამეჩი არ გააჩნდა ურემს ხშირად ქირაობდნენ. ყურძნის საზომი რაოდენობა ურემობით ისაზღვრებოდა, ერთ ურემზე კი 10 გოდორი ეტეოდა. ადრე გოდორში 60—70 კილოგრამს ვარაუდობდნენ, ახლა კი ყურძნის გოდორი 100—120 კილოგრამზე მეტია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ზომის გოდორი გვხვდება. მაგალითად შიდა კახეთში და ქიზიყში 100—120 კილოგრამიანი გოდორები აქვთ, სამუხრანოში (ქართლში) 60—80 კილოგრამიანები, ქვემო ქართლში 100—60 კილოიანი, რომელსაც „ბზის გოდრებს“ უწოდებენ. ზემო ქართლშიც სხვადასხვა ზომის გოდრები გვხვდება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ერთ ურემად ძველებურად 10 გოდორი იანგარიშება, რომლის რაოდენობა 60 ფუთი ყურძნით განისაზღვრება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თბილისის სანახებში გოდრის გამოყენება მევენახეობიდან განიდეგნა და მისი ადგილი კასრებმა დაიკირეს.

რთველში ყურძნით შევსებული გოდრები მარანში მიქონდათ, სადაც ურემს სცილდნენ საწნახელში. თუ საწნახელი სავე იყო გოდრები ლავდებოდა საწნახლის ბაქანზე. მთხრობელთა გადმოცემით, ზოგ საწნახელში და ნავში ორი ურემი ყურძენი ჩადიოდა, რომელზედაც ოთხი კაცი ღვებოდა დასაწურავად.

სანამ ყურძნის წურვაზე გადავიდოდეთ საჭიროდ მიმაჩნია რთვლისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ჩვეულების აღწერა.

როცა ვენახი დაიკრიფებოდა, საბოლოოდ ვენახის თავში დააგორებდნენ ოჯახის დიასახლისს ან მსუქან ქალს, უფრო მიღებული იყო ბავშვების გაგორება რათა „გაისად ასეთი მსხვილი მტევნები დაისახოს“ ეს წესი მთელ აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება. შემდეგ კი რთვლის მონაწილენი სადილად სხდებოდნენ, სადილი ხშირად ვენახშივე იმართებოდა სადაც სართველო თხა იკვლებოდა.

რთვლის შემდეგ დაკრეფილ ვენახში სოფლის მოზრდილობა აწყობდა ყურძნის მომცრევას. ამ დროს, რიგის მიხედვით მისდევდნენ ყურძნის მწკრივს და ვინც მეტ ყურძენს იპოვიდა სახელი იყო და „სიხარულის ყიფინი ისმოდა“. აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მომცრევის შესატყვისი სხვადასხვა ტერმინები მოგვეპოვება. ს. ს. ორბელიანის განმარტებით „ცრევა ნართველის მოკუფხვლა“-ს²³ ნიშნავს, ხოლო იქვე მცრევა — ვენახის მო-

²³ ს. ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი.

კუფხვლას აღნიშნავს, კახეთში მცერევის შესატყვისია ტერმინი „გონგორა“. „გონგორა“ ანუ „მოგონგორავება“ გოგორის მოძებნის, ყურძნის მოკრეფის შემდეგ ვენახის შემოვლა და დარჩენილი ყურძნის მოძებნაა. ყურძნის ძებნისას იძახიან: „წინ გონგორა (გოგორა). წინ ყურძენი“-ო²⁴, თან მიიმღერიან და ასე სძებნიან ყურძენს. ზემო ქართლში მომცერევის და გონგორის ანუ მოგონგორავების შესატყვისად, ტერმინი „მაძებარა“ გვხვდება. ასევე იმერეთში „ნაძებარზე“ წასვლა (მევენაძებროთ) რთვლის შემდეგ ყურძნის მოგროვებას; იგივე გონგორზე წასვლას, მოგონგორალებას, მცერევას, საკიმპალოდ წასვლას ნიშნავს²⁵.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რთვლის დროს ვაზის წვერში რჩება შემოუსვლეელი მკვახე ყურძენი, რასაც „სამემრისო“ კვირტი ისხამს. ხშირად რქის გადაკაფვის დროს „სამემრისო“ კვირტი სკდება და ნაყოფს გამოიტანს. ასეთი ნაყოფი „ნამხრეც“ ანუ „ნაბოშარასაც“ გამოაქვს. ამ ნაყოფს, რომელიც გვიან შემოდგომით შემოდის საქმელად, საქართველოს ბევრ კუთხეში სხვადასხვა სახელით იხსენიებენ, მაგალითად, თბილისის სანახებში ნამხრეცზე გამოტანილ ნაყოფს „ნაბუშარა“ ეწოდება, რომლის შესატყვისად კახეთში „მოლოზანა“ გვხვდება, ხოლო ზემო ქართლში — „კიმპალა“. ქიზიყში „კიმპალასა და მოლოზანას“ შესატყვისია „ავოხებული“²⁶. აქვე მოწმდება ტერმინი „მოლოდნა“ გვიან შემოსასვლელი ყურძნის აღსანიშნავად²⁷. მისი, ნაყოფი მწიფდება ვაზის ფოთლის გაცვენის შემდეგ, რასაც „პირის გასასველებლად“ მიიროთმევენ.

ზემოთ მოყვანილ ტერმინთა მრავალფეროვნება მიუთითებს ქართველი ხალხის დაუნჯებულ ცოდნა-გამოცდილებაზე მევენახეობა-მეღვინეობის კულტურის დარგში.

ყურძნის წურვა: დიდი ვენახის პატრონი ყურძენს რთვლის დროსვე სწურავს, ხოლო პატარა ვენახის პატრონი რთვლის დამთავრების შემდეგ იწყებდა წურვას. გამოცდილ მეღვინეთა თქმით, კარგი არ ყოფილა ყურძნის წურვის დაგვიანება, „ჩახურდება“ და „დამჟავებას“ იწყებს ყურძენი რამაც „ღვინის დავადყოფება“ იცისო. ამავე დროს ჩახურებული ყურძნის წვენი სწრაფ დუღილს იწვევს და ქვეერი „გაცოფდება“. ამიტომაც მეღვინე ცდილობდა ყურძნის დაწურვას მისი დაკრეფისთანავე. ამ დაკვირვებას ამართლებს ღვინის ბიოქიმიური ანალიზებიც, სპეციალისტების აზრით მარანში მიტანილი ყურძენი 4—5 საათში უნდა დაიწუროს, უკიდურეს შემთხვევაში იმ დღესვე, რა დღესაც ყურძენი დაიკრეფა, რადგან გადაზიდვის დროს დაჰყვლეტილი ყურძენი სხვადასხვა მავნე ორგანიზმისა და მეტადრე ძმრის ბაქტერიების გასავითარებლად საუკეთესო არეს წარმოადგენს, ამასთან კიდევ, ღამე გამოვლილი ყურძენი ხშირად უხალისო, ყვითელი ფერის ღვინოს იძლევა²⁸.

მთბრობელთა დაკვირვებით, ზოგიერთი ყურძნის ჯიშს დაწურვა დაკრეფის დღესვე უნდა; წინააღმდეგ შემთხვევაში ღვინოს რაიმე „ხადი“ გამოყვება. მაგალითად: „წულუკიძის თეთრას ალლო ვიცით. თუ გააჩერე დაკრეფილი

²⁴ ს. მენთეშაშვილი, დასახ. ნაშრ., ნაწობაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 100.

²⁵ ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ და თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, გვ. 218 (იხევედა).

²⁶ ი. ნაწობაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

²⁷ ს. მენთეშაშვილი, დასახ. ნაშრომი.

²⁸ კ. მოდუბაძე, მეღვინეობა, 1948, გვ. 263.

ერთი დღე მაინც, ის წბოლს (ლეზგს) იკეთებს, ზეთის სისქე ეძლევა. რომ გადმოესხას ქიქაზე, რაღაც ეკიდება სისქე ზეთივით. აბრეშუმის ძაფივით გაიკეთებს. ამას არავითარი მიზეზი არა აქვს, გემო, ყველაფერი კარგი აქვს, ხოლო დასხმის დროს შეატყობ, რომ ცოტა სისქე მიუღია, ტკბილი სიღამწვრე ექმნება“ (რაჭა, სოფ. ხვანჭკარა, პორფილე ალექსის-ძე ტყეშელაშვილი, მ. გეგეშიძის ეთნოგრაფიული დღიური № 8).

ყურძნის საწური საშუალება, აღმოსავლეთ საქართველოში სხვადასხვა სახისა გვხვდება. ქართლში გავრცელებულია ძირითადად ხის ნავი. ქვემო ქართლში გვხვდება ხის ნავი, ქვიტკირის საწნახელი, მთლიანი ქვის საწნახელი. აქვე, თბილისის სანახების ჩათვლით გვხვდება ხის კასრის საწური, რომელიც დიდ კასრებზე და ჩანებზე თავსდება და ფეხით კაცის საშუალებით იწურება, კახეთში გვხვდება როგორც ხის ნავეები, ისე ქვიტკირის საწნახლები. აქვე დგინდება ქვის მთლიანი საწნახელიც. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პატარა ვენახის პატრონს თუ საწნახელი ან ნავი არ გააჩნდა, ხის ვარცლში სწურავდა უურძენს, რასაც „გამოჰყველტას“ უწოდებდნენ.

ყურძნის წურვის საინტერესო წესებია შემორჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს უვენახო სოფლებში. მიიტანენ ბარიდან ყურძენს, გაშლიან საქონლის ტყავს, დასდებენ ზედ ყურძნით სავსე გოდორს და დაიწყებენ წურვას, დაწურული ყურძნის წვენი ტყავიდან ქვევრში ჩადის.

XVIII საუკუნის გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი როცა ეხება ქართული ღვინის ტექნოლოგიას, აღნიშნავს: „მწიფე ყურძენს ყრიან კირით შეღებილი აგურითა და ქვით გაკეთებულ მიწაზე დადგმულ ნებისმიერი სიდიდის ჭურჭელში. ხოლო კაცები ჰყვებენ ან წურავენ. ამ ჭურჭელს ერთ ადგილას აქვს ხვრელი. მის წინ კი მოთავსებულია წნელით დაწნული ბადე. ამის საშუალებით ყურძნის წვენი ჩადის ღარში, საიდანაც ის 4—5 ფუტი სიღრმის და 4 ფუტი სიგანის მთლიანად მიწაში ჩადგმულ ქვევრში ჩაისხმება. ქვევრზე ადებენ ბურის ლავას, ამაზე კი თიხას და ასე უტდიან დადუღებას, მიწას კი ისე ასწორებენ, რომ ვერც კი გაივებთ დამალული განძის შესახებ. ხმარებისას ანკარა ღვინოს ამოხაპავენ ხოლმე, ამის გარდა ვაგზავნა ხდება თხის ან ხარის ტყავის ტიკით, რომელსაც შიგნით წასმული აქვს კუპრი, თხლისაგან ხდიან არაყს, ხოლო ცარიელ ქვევრებს გულმოდგინედ წმენდენ... საწნახელი და საცავი (მარანი) — შემორტყმულია კედლით და გადახურულია მსუბუქი სახურავით. ამ მარანში ფლავენ აგრეთვე თავიანთ ხორბალსა და ხილის მარაგს“²⁹.

ყურძნის დაწურვის დროს ქართველი მეურნე ცდილობდა, რომ საწნახელიდან წმინდა ყურძნის წვენი წამოსულიყო, არ გამოჰყოლოდა თან კურკა და ჩენჩო (ჩურჩა), ქართლ-კახეთში ამ მიზნის მისაღწევად მიმართავენ წნელისაგან დაწნულ ლასტს. ლასტი იწვენებოდა საწნახლის ზომისა, რომელიც იდებოდა ორ სწორ ხეზე, რომელსაც ქართლში ლატნებს უწოდებენ, ხოლო ქიზიყში რიკებს. სტ. მენთეშაშვილის ქიზიყური ლექსიკონის მიხედვით რიკი ყურძნის საწურ ნავში ტუპკირის ქვეშ ჩასაწყობი მოკლე მრგვალი ჯოხია. რიკს ხილსაც ეძახიან, მას მაღლა უჭირავს ტუპკირი, რათა ნავის ძირს არ მიეკროს ივი და ჰაჭამ ტკბილი წვენი არ დააგუბოს³⁰ (იხ. ტაბ. II).

²⁹ გულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1962, გვ. 253, 255.

³⁰ სტ. მენთეშაშვილი, დასახ. ნაშრომი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ტუპკირი არა მარტო ლასტისა კეთდებოდა, არამედ ფიცრისაგანაც, რომელიც შალაფით იყო დახვერტილი.

ალბათ აქედანაა აღებული ყურძნის საწური კასრის დახვერტა ტუპკირის მსგავსად, რამაც გავრცელება ჰპოვა ქვემო ქართლში, თბილისის სანახებში და გარე კახეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში.

საწნახელში, ლასტის ზემოდან ფენდენ ჩადუნას პრტყელ ფოთლებს. ს. ს. ორბელიანის განმარტებით ჩაღუ ანუ ჩაღო-გვიმრა, ჩადუნა ცოცხობი (ბალახი) ყოფილა³¹. ეთნოგრაფიულ ყოფაში „ჩადს“, „ჩადუნას“ ანუ გვიმრას, ყურძნის დაწურვის დროს ნავის ან საწნახლის ძირში ტუპკირზე გაუფენენ ხოლმე, რაზედაც შემდეგ ჰყრიან ყურძენს, რაც დაწურვის დროს დაკყუვტილ მარცვალს იჭერს, რომ წვეს არ გაჰყვეს და წმინდა წვენი გავიდეს საწნახლიდან ინდურში³², ქართლისა და კახეთის რიგ სოფლებში არა მარტო ჩადუნას ხმარობდნენ, საწნახელში გასაშლელად, არამედ შალაფა ბალახსა და ურთხმელის ფოთლებსაც იყენებდნენ.

ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ტუპკირი საწნახლის ლატანს ანუ ლასტს ნიშნავს³³.

ყურძნის წურვის დროს მწურავები შარვლის ტოტებს მუხლებს ზემოდ აიწვედნენ, ფეხებს ცხელი წყლითა და საპნით სუფთად დაიბანდნენ და გადადიოდნენ საწნახლისაკენ, აქაც ფეხებზე წყალს გადაივლებდნენ მხოლოდ ამის შემდეგ დგებოდნენ საწნახელში ყურძნის საწურად.

საწნახელში 4—5 კაცი დგებოდა, წმინდა წვენი საწნახლის ინდურიდან ღარში გადადიოდა, ხოლო ღარიდან ქვევრში ან თალარში გროვდებოდა. საწნახლის გინდ ნავის ინდურს, საიდანაც ტკბილი გამოდის, „კუპრიელი“ აქვს შემოკრული, რათა ტკბილი არ გამოვიდეს ღარის ქვეშ, ღარი გადებულია ქვევრზე და შიგ ჩადის ტკბილი. ღარმა რომ არ დაიხვიოს პირზე კაკლის ფოთოლი აქვს ამოკრული.

ყურძნის წურვის დროს სავსე გოდრებს ალაგებდნენ საწნახლის ბაქანზე, რომელსაც კახეთში სამცროსაც უწოდებდნენ³⁴, ბაქანი წარმოადგენდა ყურძნის საწური ნავის (საწნახლის) პირზე სიგრძივ გაკეთებულ ფიცარს, რომელზეც ყურძნით სავსე გოდორს დგამდნენ და ნავში ისე ყრიდნენ ყურძენს³⁵. დაწურული ყურძნის ჰაჰას ნიჩბებით აბრუნებდნენ, რასაც „ქცევას“ უწოდებენ, როცა კარგად დაიჰყლიტებოდა და წვენი კარგად გაიქაჩებოდა, ერთ კუთხეში მოაქუჩებდნენ და კვლავ გოდრებიდან ყურძენს საწნახელში ყრიდნენ, რის შემდეგაც იწყებოდა ახალი ყურძნის წურვა.

მასალების მიხედვით ირკვევა, რომ 10 საპალნიან ნავს ან საწნახელს ყურძნის წურვისას, ორი სამი კაცი მაინც უნდოდა. მეწინავემ უბრალოდ რომ გაიაროს, ყურძნის წვენი არ გავა, წამოისწრაფებს ერთს და დადგება. ნავს ან საწნახელს ტუპკირი თუ უდევს კარგია, რადგან აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ზემო ქართლში, ყველამ არ იცოდა ტუპკირის ხმარება. წურვის დროს, მცოდნე კაცი წინ უნდა მდგარიყო, რადგან როგორც კი ჰაჰა გამაგრდება უნდა აიშალოს, რასაც „ფეხის აქცევა“ ეწოდებოდა. ჰაჰას მთლიანად უკან დას-

³¹ ს. ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი.

³² სტ. შენთეშაშვილი, დასახ. ნაშრომი.

³³ ს. ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი.

³⁴ სტ. შენთეშაშვილი, დასახ. ნაშრომი.

³⁵ იქვე.

წევდნენ, ამ დროს ყურძნის წვენი თალარში ან „დედა ქვევრში“ მიდიოდა. წვენის გასაველში ჭაჭის ამოსაღები ოთხთითა იდო, რათა ჭაჭა წვენს არ გაყოლოდა. ჭაჭის ასაღები ჩანგალი იქამდის იდო, სანამ მეორედ ჭაჭა გასაჩეხი არ გახდებოდა. მერე კი კარგად გამოწურულ ჭაჭას საქაჯაში ატარებდნენ. გამოქაჯულ ჭაჭას ძველად აშრობდნენ და საქონლის საკვებად ხმარობდნენ. ტკბილს ქვევრში დედას მისცემდნენ, 10 კოკიან ქვევრს ექვსი ჩანახი ჭაჭა მიეცემოდა. შეიძლებოდა მეტიც. ეს ღვინის დამყენებლის გემოვნებასა და ოსტატობაზე იყო დამოკიდებული.

ზემო ქართლის მაგალითის მიხედვით, ყურძნის დაწურვის შემდეგ წვენი ქვევრიდან საწნახელში გადაჰქონდათ და იქ ადუღებდნენ. დუღილი საწნახელში 8—12 დღეს მიმდინარეობდა, რის შემდეგ ისევ ქვევრებში უშვებდნენ.

ყურძნის კარგად დაჭყლეტვას ქართველი ღვინის ტექნოლოგები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ღვინის სიკეთისათვის. სპეციალისტების აზრით. ღვინის დუღილი სრული და თანაბარი რომ იყვეს, აუცილებლად საჭიროა ყურძნის კარგად დაჭყლეტვა. ამით მარცვლის შემადგენელი ნივთიერებანი ერთმანეთში უკეთ აირევიან და ჰაერის ზეგავლენით ღვინის დედა უფრო გაძლიერდება და ენერგიულად დაიწყებს მუშაობას. რამდენადაც კარგად არის ყურძნის მარცვალი დასრესილი, დუღილიც მით უფრო ძლიერი, თანაბარი და სრულყოფილია³⁶.

ყურძნის წურვის დროს, იცოდნენ სიმღერებისა და შაირების თქმაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყურძნის მწურავი მუშა ხშირად ქირავდებოდა კიდეც. ვისაც დიდი ვენახები ჰქონდა, იმას ქირით აყავდა — „ყურძნის მწურავი კაცები“. საწნახელში მდგომ მუშებს პურის ჭამა ეკრძალებოდათ, რათა ტკბილს პურის ნამცეცი არ შეჰყოლოდა და ღვინო არ დაჰმარებულყო. ამიტომ მიღებული იყო მუშებისათვის მხოლოდ ღვინის დაღვევა, რასაც მემარნე განსაკუთრებით „უმარჯვებდა“ ხელადით, ეს წესი მთელ აღმოსავლეთ საქართველოში დასტურდება. კახეთში წურვის დროს ლეღვის ჭამაც არ შეიძლებოდა — „ქვევრი გაცოფდება“-ო.

მასალების მიხედვით ირკვევა, რომ დღეში ერთ კაცს, 40—50 ფუთი ყურძნის დაწურვა შეეძლო.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ტკბილი საწნახლიდან ღვინით თალარში ან „დედა ქვევრში“ ჩადიოდა, რომლის ავესების შემდეგ მეორე „დედა ქვევრში“ გადაჰქონდათ ღვინი. თალარს ს. ს. ორბელიანი „ტავარს“ უწოდებს, ტავარი ტკბილის სადგომია-ო და მიუთითებს „მენახე“, „მენა“ კი სამყოფის, სადგომი, მენასა კახნი ტავარს უწოდებენ და იგივე ტკბილის სადგომია“-ო³⁷.

თალარში ტკბილს გარკვეულ დრომდე ინახავდნენ საიდანაც შემდეგ ქვევრებში გადაჰქონდათ. პროფ. გ. ჩიტაია ქართლის ექსპედიციის შედეგების განხილვისას, აღწერს რა მარანს, იქვე თალარსაც ეხება, „მარანში საწნახელს გარდა მოთავსებულია მიწაში ჩაფლული დიდი და პატარა ქვევრები, საწნახელთან ყველაზე მახლობელ ქვევრს თალარი ეწოდება, ზოგიერთ შემთხვევაში თალარი საგანგებო ფორმისაა. მის ფუნქციას შეადგენს ღვინიდან გადმოღვნილი ტკბილი მოიცვას, აქ დაგროვილ ტკბილს შემდეგ გადაიღებენ ქვევრებში“³⁸. თბილი-

³⁶ კ. მოღებაძე, მეღვინეობა, 1924, გვ. 10.

³⁷ ს. ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი.


³⁸ გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, ენიმკის მოამბე, ტომი XI, 1941, გვ. 52.

სის სანახებში თალარს „დედაქვევრი“ ეწოდება, არაგვის ხეობაში „მენა“, ხოლო დასავლეთ საქართველოში — „ისარნა“. თალარის სიდიდე სხვადასხვა ზომისა ყოფილა.

ზოგ დიდ მარანში „20—30 კოკიანი“ თალარი მდგარა, ხალხური ზეპირსიტყვიერების მიხედვით თალარი ასეა დახასიათებული:

„საწნახელი მომიზადე,
პირი მოუღესე რძითა,
თალარი კარგი დამიდგი
იყოს ორმოცი კოკისა.
ისე გაგივსებ ქვევრებსა
ცვარი აღარ გედგას სხვისა“...³⁹.

გადმოცემით, თალარი 10—15 საბალნიანიც ყოფილა, რაშიც იწმინდებოდა და „ისვენებდა“ ტკბილი, ხოლო შემდეგ ქვევრებში გადაჰქონდათ. ამავე დროს თალარს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როცა უსაწნახლო კაცი სარგებლობდა მეზობლის საწნახლით, მისი ნაწური ტკბილი თალარში ქუჩდებოდა და მერე რუმბებით თავის სახლში გადაჰქონდა და მისთვის სასურველ ადგილზე ინახავდა ტკბილს.



თალარი

ამავე დროს თალარი გამოყენებული იყო ზვრებში დადგმულ მარნებში, სადაც ტკბილი ჩერდებოდა და მერე რუმბებით გადაჰქონდათ მთავარ მარანში. მაგრამ ყველა ამ დანიშნულების გარდა თალარში ტკბილის გაჩერების მიზნით „შესვენების“ პროცესი მიუთითებს ქართველ მეღვინეთა მაღალ ტექნო-

³⁹ ვ. კ. ტ. ტ. შ. ვ. ი. ლ. ე., ხალხური პოეზია, 1934, გვ. 142, 143.

ლოგიურ ცოდნა-დაკვირვებაზე, მაშინ როდესაც ბიოქიმიური ანალიზები პირდაპირ გვიჩვენებს ღვინის ტკბილის განიაგების აუცილებლობას. „... კლერტინად თუ უკლერტოდ ყურძნის დაჭყლეთის დროს წვენის აერაცია ხდება, რაც გამრავლებისა და მოქმედების ოპტიმალურ პირობებში აყენებს საფუერის უჯრედებს ტკბილის დუღილის დროს, რაც უფრო მცირე მყავიანია ყურძნის წვენი, მით უფრო ადვილად მოქმედებს მის ფერზე ჰაერის ქანგბადი. თეთრი ყურძნის მარცვლიდან გამონადენი წვენი თითქმის უფერულია, მაგრამ დარჩება თუ არა ჰაერზე ცოტა ხანს, ფერი მას უფრო და უფრო უყვითლდება. მკავეები ამ შემთხვევაში ადვილად დასაქანგავ ნივთიერებათა, მაგალითად, ტანიდების დამცველ როლს ასრულებენ.

აერაცია, როგორც ჩანს, დადებითად უნდა მოქმედებდეს ყურძნის წვენის არომატუცე, ჰაერზე რამოდენიმე ხნით დატოვებულ ტკბილს (დუღილის ნიშნები სანამ შეემჩნეოდეს) ღვინის მაგარი არომატი უფრო მეტი აქვს⁴⁰.

ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ირკვევა, რომ ძველად ქართული ღვინის ტექნოლოგებს ყველა ეს პროცესები კარგად ესმოდათ. ღვინის ტკბილს თაღარში გარკვეულ დრომდის გაჩერებით სიკეთე ემატებოდა; „ისვენებდა“ და „ყვითელი სასიამოვნო ფერის დგებოდა ღვინო“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ არქეოლოგიური გათხრების მიხედვით უძველეს მარნებში თაღარის შემცველი, კლდეში ნაკვეთი აუზები გვხვდება, სადაც ტკბილი გროვდებოდა და შემდეგ ქვევრებში გადაჰქონდათ. უძველესი აუზი თარიღდება IV—III საუკუნეებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე⁴¹.

ე. ი. თაღარს ჰქონდა დიდი და მრავალფეროვანი პრაქტიკული დანიშნულება აღმოსავლეთ საქართველოს მეღვინეობის ტექნოლოგიაში, რომლის შემცველი ზოგან „დედა ქვევრი“ იყო.

ქვევრებში დაყენებულ ტკბილს მეორე დღეს, როცა ჭაჭა სიმშრალით დაყვითლდებოდა, დედას მისცემდნენ სადღურად. დედის მიცემის ზომა დამოკიდებული იყო ღვინის დამყენებელზე, ზოგი მეტი დედის მიცემას ამჯობინებდა, ზოგი ნაკლებს. აღმოსავლეთ საქართველოში უფრო მეტად მიღებული იყო ღვინის ჭაჭაზე დაყენება, რასაც ერთგვარი მნიშვნელობა ჰქონდა ღვინის გამძლეობისათვის.

აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ტკბილის დადუღება პირაზლილად მიმდინარეობდა, ქვევრს თავზე ცხრილს აფარებდნენ.

მეორე შემთხვევაში ტკბილს როცა დედას მისცემდნენ, თავზე სარქველს აფარებდნენ და მიწას აყრიდნენ ან ატალახებდნენ და საპაერო თითის სიმსხოწნელის ნაჭერს სდებდნენ სარქველში, რასაც „უჩინჯელ“-ს უწოდებდნენ. „უჩინჯელის საშუალებით ადუღებული ქვევრი სულს იქცევს“, „ჰაერს უშვებს“ და ამ ღონისძიებით ქვევრი ჩუმად დულს დადუღებამდე.

როცა ი. ჭაჭაყაძე ღვინის დუღილის საკითხებს ეხება აღნიშნავს: „ჩვენში, როგორც ევროპაშიც ორნაირი დუღილი იციან ღვინისა, ერთნაირი დუღილი დახურულია და მეორე ახლილი, ჩვენში დახურულს დუღილს მისდევენ უფრო ალაზნის მარჯვენა მხარეს, ნამეტნავად სიღნაღის მაზრის სოფლებში და ახლისას კი უფრო გაღმა-მხარეში, ალაზნის მარცხენა მხარის ად-

⁴⁰ კ. მ. ო. დ. ბ. ა. ძ. ე., დასახ. ნაშრ., გვ. 267.

⁴¹ დ. ხ. ა. ხ. ტ. ა. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ახალი მასალები ელინისტური ხანის ქართლის ქალაქების მეურნეობის ისტორიისათვის, გვ. 116.

გილებში. საცა დახურული დუღილია, იქ რაკი თავის ზომის ჭაჭას მისცემენ „ტკბილსა“, ქვევრის ყელში ჯვარედინად ჯოხებს მისქედენ საკმაოდ ხშირად, რომ, თუ ვინცობაა ჭაჭამ დუღილის გამო ქუდის გასაკეთებლად ძალიან ამოიწიოს, ქვევრს სარქველი არ ახადოს და არ ამოაგდოს, აგრე მოწყობილს ქვევრს დახურავენ სარქველს და მიწას მიაყრიან, დუღილისაგან ამომხდარს ბუღსა, მაგალითებრ ნახშირმჟავისას, ამ გზით გამოსავალი აქვს იმდენად საკმაო, რომ შიგ არ ჰგუბდება. და გარეთის ჰაერის მიკარებას კი ამ გზით ცოტა არ იყოს დაბრკოლება ეძლევა, რადგანაც დახურულის დუღილის ერთი მიზეზი ეს არის სხვათა შორის ახდილის დუღილისათვის კი სარქველს ხშირად არა ჰხურავენ და თუ ახურავენ მიწას აღარ აყრიან ასე, რომ ტკბილი ზეზე ჰდულს და ზოგჯერ მდგარი ტკბილი ქვევრის ნაპირებზედაც გადმოვა ხოლმე“⁴².

ახალ ჩახმულ ტკბილს, დედას როცა დაურევდნენ, ბეჭებში ჯვარედინად ჯოხებს მისცემდნენ რათა ჭაჭა ზევით არ წამოსულიყო და ტკბილი არ დაქცულიყო. ამ პროცესს კახეთში ხიდის გაწყობას უწოდებდნენ, მთხრობლის გადმოცემით, ქვევრი თუ ძალიან სავსე იქნებოდა „იმას კიდებს მივცემდით, არ გადმოვიდესო. კიდები ჯოხებია, ქვევრს მკრებში, ეძლევა ჯვარედინად. ქვევრიდან რო ჭაჭა თავს აბჯენს, კიდები ზევით არ უშვებს, ქვევრი რო ზევიდან ასეთ თავს გაიკეთებს ქუდს ვეძახით იმას. ქუდი ყელში მოებჯინება ხოლმე ქვევრს“⁴³. ამის შემდეგ ქვევრს ჯოხით ურევდნენ დღეში სამჯერ, რაც ქვევრში დღინის დუღილს ხელს უწყობდა.

დარჩენილ ჭაჭას, საქაჯავში ქაჯავდნენ, ან წყალს ასხამდნენ შამანის დასაყენებლად.

ამრიგად, ისტორიული და ეთნოგრაფიული მონაცემებით გაირკვა აღმოსავლეთ საქართველოში დადგენილი რთვლის დრო, რთვლისათვის სამზადისი, რთველი და ყურძნის წურვის მთელი რიგი წესები. ოდითგანვე გამოცდილებით მიღებული ეს ცოდნა-დაკვირვებები საყურადღებოა და მხედველობაშია მისაღები.

⁴² ილ. ქაჯქაჯაძე, თხზ. ტ. VII, გვ. 113.

⁴³ ივ. ჯაჯავახიშვილი, სახ. ისტ. არქ. ეთნოგრ. ინსტიტუტი, საქ. ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული შინამრეწველობის მასალები; შვად. სტ. მე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, ქიზიყური ლექსიკონი.

შავილ ბაჰიაშვილი

პრტი ქართული წყვილჩარჩოიანი დამლის შინაარსი

ქართულ მონეტებზე დამლები თამარის დროს გაჩნდა და განსაკუთრებით რუსულანის მეფობის დროს გავრცელდა¹.

მონეტის დადამლვას სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა: ან წინამორბედების მიერ გამოშვებულ და ბრუნვიდან გამოსულ „მკვდარ“ მონეტას ამ უბრალო ხერხით ბრუნვის უნარს უბრუნებდნენ, ან უცხოურ მონეტას დამლავდნენ, აქცევდნენ საკუთარ ფულად და სხვა.

XII საუკუნის დასასრულისა და XIII საუკუნის პირველი მეოთხედის ქართულ მონეტებზე გამოყენებულ დამლათა რიცხვი ერთ ათეულს აჭარბებს. მათი უმრავლესობის შინაარსი ჯერ კიდევ გაუხსნელია. ასეთია მაგალითად, თამარისა და დავითის მონეტებზე გამოყენებული ერთი წყვილჩარჩოიანი დამლაც (ნახ. 1), რომლის შინაარსის გახსნასაც ეს წერილი ეძღვნება.



ნახ. 1.

ეს დამლა (იხ. ნახ. 1) ორი სწორკუთხედი ჩარჩოსაგან და ამ ჩარჩოებში ჩასმული გაურკვეველი ნიშნებისაგან შედგება. მონეტის შუბლზე აღბეჭდილ ამ დამლას ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნის ბუნი ყოველთვის შუაზე ჰყოფს² (ნახ. 2).

პირველი ნახატის თანადროული დამლები მონეტებზე დაკავებულ ადგილთა მიხედვით შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: I — დამლები, რომლებიც სათანადო მონეტების ამა თუ იმ მხარეზე ნებისმიერ ადგილს იკავებენ³ და ამის გამო ამ მონეტების გამოსახულებებს აზიანებენ. საფიქრებელია, რომ მათი გამოყენებისას მონეტათა გამოსახულებებს არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭებოდათ. II ჯგუფის დამლები წყვილჩარჩოიანებია, რომელთაც თამარისა და დავითის მონეტათა შუბლზე განსაზღვრული ადგილი უკავიათ და გამოსახულებებს არ აზიანებენ. შესაძლებელია, ამ შემთხვევაში მონეტების გამოსახულებებს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდათ, რის შედეგაც თავისთავად წამოიჭრება კითხვები:

1. რა საჭირო იყო ერთი შინაარსის გამომხატველი დამლის (იხ. ნახ. 1) ჩარჩოებით გათიშვა? 2. იქნებ დამლაზე არსებული ნიშნები სულაც ერთ ჩარჩოში ერთიანდებოდნენ, მაგრამ თამარისა და დავითის მონეტის თავისებურებამ განაპირობა მათი გამიჯვნა?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად სულ უბრალო ცდას მივმართოთ: წარმოვიდგინოთ, ჩვენს ხელთაა საკვლევი დამლის განმასახიერებელი, მისი ზომის ქაღალდის ნაჭერი და გვსურს ხსენებული მონეტის შუბლის (ნახ. 2) ნებისმიერი ადგილის „დადამლა“, ცდის მსკვლელობისას აუცილებლად შევამჩნევთ, რომ ნახ. 2-ის რომელ ადგილსაც უნდა შეეხოს „ჩვენი დამლა“, ყველგან გამო-

¹ დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე , ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1969, გვ. 83.

² Е. А. Пахомов, Монеты Грузии, Тбилиси, 1970, გვ. 112, № 5.

³ დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე , ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 84, №№ 1, 2, 4, 6, 8, 9, 10, 11.

სახელებას მეტ-ნაკლებად „დაზიანებს“ და გამონაკლისი მხოლოდ დამლის მიერ სინამდვილეში დაკავებული ადგილი იქნება, მაგრამ აქაც მხოლოდ იმ პირობით თუ კი ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნის ბუნი ზუსტად ჩარჩოებს შორის მოექცევა. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ამ დამლის გამოყენებისას ერთ-ერთი და ალბათ მთავარი პირობა თამარისა და დავითის მონეტის შუბლის გამოსახულებათა დაუზიანებლობა ყოფილა. რადგან მონეტის შუბლზე ისეთი სიდიდის თავისუფალი სივრცე, სადაც დამლა გამოსახულებათა დაუზიანებლივ მოთავსდებოდა, არ არსებობს, ამიტომ ხელოსანს დამლისათვის ისეთი ადგილი მაინც უნდა შეერჩია, სადაც მას გამოსახულებათა სახით ყველაზე ნაკლები დაბრკოლება დახვდებოდა. ასეთი ადგილი კი როგორც მე-2 ნახატის გამოსახულებათა განლაგება ცხადყოფს, თარიღის აღმნიშვნელ ასოთა შორის არსებული სივრცეა, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, მან დაიკავა. ამ ადგილზე დამლას დაბრკოლების სახით ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნის ბუნი დახვდა, რომელიც პირობის თანახმად დაუზიანებელი უნდა დარჩენილიყო. მაშასადამე, ამ პირობის გადასაწყვეტი საშუალებაც უნდა გამონახულიყო; რაც, ჩანს, მოხერხებულად გადაწყვეტილა: ბუნის დაუზიანებლობის მიზნით დამლა ორად გაყოფილა. რის გამოც დამლაში არსებული ნიშნებიც განცალკევებულან, მაგრამ არც ისე ძალიან, რომ თითოეულს დამოუკიდებელი დამლის სახე მიეღო, ან მათი ერთ დამლაში გაერთიანება გაძნელებულიყო.



ნახ. 2.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დამლის ორად გაყოფის მიზეზი თამარისა და დავითის მონეტის გამოსახულებათა და კერძოდ, ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნის, ბუნის დაუზიანებლობა ყოფილა. მაგრამ თუ მონეტის შუბლზე აღმოჩნდებოდა ისეთი სიდიდის თავისუფალი სივრცე, სადაც მთელი დამლა გამოსახულებათა დაუზიანებლივ მოთავსდებოდა, მაშინ იგი ორად კი არ გაიყოფოდა, არამედ ერთჩარჩოიანი დარჩებოდა.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დამლის ორად გაყოფის მიზეზი თამარისა და დავითის მონეტის გამოსახულებათა და კერძოდ, ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნის, ბუნის დაუზიანებლობა ყოფილა. მაგრამ თუ მონეტის შუბლზე აღმოჩნდებოდა ისეთი სიდიდის თავისუფალი სივრცე, სადაც მთელი დამლა გამოსახულებათა დაუზიანებლივ მოთავსდებოდა, მაშინ იგი ორად კი არ გაიყოფოდა, არამედ ერთჩარჩოიანი დარჩებოდა.

ახლა გადავიდეთ დამლის ჩარჩოებში ჩასმულ ნიშანთა განხილვაზე (იხ. ნახ. 1). მკვლევართა აზრით დამლის მარცხენა ნიშანი „ქ“-ს⁴, ჯვარს⁵ ან „ჯ“-ს⁶

მოგვაგონებს. მათვე დავუმატებთ  ვარიანტს⁷.

მკვლევარებმა სამართლიანად შენიშნეს მარცხენა ნიშნის მსგავსება ქართულ ასოებთან. აქვე აღსანიშნავია, რომ მარჯვენა ნიშნის მსგავსი დეტალებიც ქართული ასოებისათვის უცხო არაა. რაც გვაფიქრებინებს, რომ საკამათო ნიშანთა პროტოტიპები ასომთავრულ ასოთა შორისაა საძიებელი, მაგრამ, როგორც მარცხენა, ისევე და განსაკუთრებით მარჯვენა ნიშნის ნაკვეთსრულობა მათთან შესადარებელ ასოთა სააღბათო რიცხვს ზრდის. ამიტომ, განსაკუთრე-

⁴ Е. А. Пахомов, Монеты Грузии, გვ. 114.

⁵ იქვე.


⁶ თ. აბრამიშვილი, ქართულ და ბიზანტიურ მონეტებზე მოთავსებული დამლები, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შობაზე“, XXII—B, 1961, გვ. 106, №№ 7, 8.

⁷ Д. Г. Капанадзе, Грузинская нумизматика, М., 1955, გვ. 75, № 5.

ბით საყურადღებოა თითოეული ნიშნის არა მარტო საერთო ნაკვეთები, არამედ ის, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებიც, რომლებიც ნიშანთა დანარჩენ ვარიანტებს არ გააჩნიათ, რადგან თითოეული ნიშნის ვარიანტთა შეჯამებისას, ე. ი. ერთი, საერთო ვარიანტის შედგენისას დასახელებული დეტალები ამ უკანასკნელის მოხაზულობას შეავსებენ და მაშასადამე, შესაძარებელ ასოთა რიცხვიც სათანადოდ შემცირდება.


ასოთა ნაწილები ორი ჯგუფისაა: მთავარი და უმნიშვნელო. ასომთავრულ ასოთა უმეტესობას ერთი მთავარი ასწვრივი ხაზი აქვს, რომელსაც ერთი მხრიდან, ან ორივედან: ზევით, შუაში, ან ბოლოში განივი ხაზი, პირშეკრული, ან პირგახსნილი წრე, ან ნახევარწრე ერთვის ხოლმე⁸.

მარცხენა ნიშნის მთავარი ნაწილი ასწვრივი ხაზია, რომელსაც შუაში, მარცხნიდან კიდური ერთვის (ნახ. 3). კიდური დანარჩენთა შორის ყველაზე სრულყოფილად ნახ. 3—გ ვარიანტშია დაცული. ამის გამო იგი თანაბარი შესაძლებლობის ფარგლებში საძიებელი ასოს შესაბამისი ნაკვეთის უფრო მეტ ნაწილს მოიცავს, ვიდრე დანარჩენი (იხ. ნახ. 3, ა და ბ). ამ მიზეზით შეუძლებელია მარცხენა ნიშნის ა. და ბ ვარიანტები დასრულებულ ასოებად ჩაითვალოს. მაშასადამე, მათ ველარც „ქ“-ს, „ჯ“-ს (რომელსაც ბუნი საერთოდ არა აქვთ), ან ჯვარს დაეარქმევთ.



ნახ. 3

მარჯვენა ნიშნის (ნახ. 4) მთავარი ნაწილიც ასწვრივი ხაზია, რომელსაც ბოლოში მარცხნიდან კიდური ერთვის. ნახ. 4-I ვარიანტის ასწვრივი ხაზი თითქმის ჩარჩოს სიგრძისაა და ამრიგად იგი ამ საძიებელი ასოს (რომელიც ჩარჩოზე გრძელი ვერ იქნებოდა და რომელიც მისთვის განკუთვნილ ჩარჩოში უნდა ჩატეულიყო) შესაბამისი დეტალის თითქმის სრულყოფილი სახეა. ნახ. 4-II ვარიანტის ასწვრივი ხაზი კი უფრო მოკლეა და ამდენად იგი საძიებელი ასოს იმავე დეტალის (რომელსაც I ვარიანტი თითქმის სრულყოფილად გამოხატავს) მხოლოდ ნაწილობრივი სახე იქნება.



ნახ. 4.

რადგან მარჯვენა ნიშნის ვარიანტებში დაცული ასწვრივი ხაზები ერთი და იგივე საძიებელი ასოს ერთსა და იმავე დეტალს გამოხატავენ (აქედან პირველი თითქმის სრულად, ხოლო მეორე მხოლოდ ნაწილს ე. ი. მეორე პირველის მიერ გამოხატული დეტალის ნაწილია), ამიტომ იგი პირველის ნაწილიცაა.

„ასომთავრულის დამწერლობის ასოები ყოველთვის ორ ხაზს შუა არის ხოლმე მოქცეული“⁹. საკამათო დამღის ჩარჩოები ტოლი სიმაღლისაა და ზემო და ქვემო წიბოებით ორი ხაზის იმიტაციას ქმნიან.

სტრიქონში ასომთავრულ ასოთა ნებისმიერი ნაწილები მოსაზღვრე ასოთა ნებისმიერი ნაწილების მიმართ განსაზღვრულ მდებარეობას იკავებენ, რაც მათ მოძრაობას გამორიცხავს.


ზოგიერთ ასოზე გარეგნულად მარჯვენა ნიშნის კიდურის მსგავსი ორ-ორი დეტალია, რომელთაც სხვადასხვა მდებარეობის გამო სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ (ნახ. 5). მარჯვენა ნიშნის კიდურთა ვარიანტებიც გარეგნულად მსგავსია, მარცხენა მოსაზღვრე ნიშნის მიმართ განსაზღვრული და სხვადასხვა მდებარე-

⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ. 106.

⁹ იქვე.

რობაც უკავიათ, ამასთანავე მათი მოძრაობაც გამორიცხულია, ამიტომ ისინი სხვადასხვა მნიშვნელობისა არიან.

როგორც ითქვა, მარჯვენა ნიშნის მეორე ვარიანტის ასწვრივი ხაზი პირველის ნაწილია (იხ. ნახ. 4) და რადგან უკვე გაირკვა, რომ მათი კიდურები სხვადასხვა მნიშვნელობისაა, ამიტომ შეიძლება ორივე ვარიანტი თავთავიანთი



ნახ. 5.


მდებარეობის დაცვითურთ ერთ ნიშანში გავაერთიანოთ (ნახ. 6), რითაც ერთი ნაბიჯით მივუახლოვდებით საძიებელი ასოს გახსნას.

საკვლევი დამლის ნიშნები უცნობი ასონაშთებია და თუ აღნაგობის გათვალისწინებით მათ სრულ ასობამდე შევსებას მოვიწოდინებთ, მაშინ ასეთი მარცხენას რამდენიმე — 4, 4, 4, მარჯვენასა კი ერთი — 5 — აღმოუჩნდება. ბუნებრივია, მარცხენა ნიშნისათვის ზემოხსენებულ ასოთაგან შესაფერისის შერჩევა სათუო იქნება, ამიტომ საკითხის გადასაწყვეტად ეს ხერხი გამოუსადეგარია.



ნახ. 6.

ზემოთ ითქვა, რომ თამარისა და დავითის მონეტის შუბლის გამოსახულებათა დაუზიანებლობის მიზნით დამლა ორად გაყოფილა და თუ ამ გამოსახულებათა შორის აღმოჩნდებოდა ისეთი სიდიდის თავისუფალი სივრცე, სადაც მთელი დამლა გამოსახულებათა დაუზიანებლივ მოთავსდებოდა, მაშინ იგი ერთჩარჩოიანი დარჩებოდა. და რადგან დასახული ამოცანის გადაწყვეტა დამლის ამ, ე. ი. საბოლოო სახით არ ხერხდება, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია დამლა ერთჩარჩოიანი სახით წარმოვადგინოთ (იხ. ნახ. 7-ა). რაც საშუალე-



ნახ. 7.

ბას იძლევა, მის თანადროულ დამლათა შორის მივავნოთ ისეთს, რომელიც მას ნიშანთა მოხაზულობით უახლოვდება. ასეთი აღმოჩნდა თამარისა და დავითის მონეტების ზურგისათვის განკუთვნილი დამლა, რომელიც რუსუდანის სახელს დაქარაგმებულად გადმოგვეცემს¹⁰ (იხ. ნახ. 7-ბ).

ამ დამლების შედარების გასაადვილებლად ორივეს ჩარჩოები მოვხსნათ (იხ. ნახ. 7-I). თუ ნახ. 7-I დავაკვირდებით, მაშინ ამ ორი დამლის ნიშანთა შო-

¹⁰ დ. კ ა ბ ა ნ ა ძ ე , მითით. ნაშრომი, გვ. 84, № 6.

რის მსგავსებას შევნიშნავთ. საკვლევი დამლის ნიშნები ინვერსიულადაა შესრულებული (ასოთა ასეთნაირად გადმოცემა ქართულ ნუმისმატიკაში გამოწკლისად არ ჩაითვლება). მაგრამ საკმარისია ისინი „გავასწოროთ“ ე. ი. 180°-ით შევებრუნოთ, რომ შესადარებელი მასალის ტიპოლოგიური სიახლოვე უდავო გახდეს (იხ. ნახ. 7-II) და თუ მათ მხოლოდ თითო უმნიშვნელო დეტალს დაეუმატებთ, მაშინ ისინი ასოებად დასრულდებიან (იხ. ნახ. 7-III).

როგორც სათვალსაჩინოდ მოტანილი მასალიდან ირკვევა (ნახ. 7) საკვლევი დამლის შინაარსი რუსუდანის სახელის ინვერსიულად შესრულებული ქარაგმაა და ამგვარად ეს დამლა რუსუდან დედოფალს ეკუთვნის.

რუსუდან დედოფალმა ტახტი 1222 წელს დაიკავა და როგორც ცნობილია, მისი მონეტები მხოლოდ 1227 წლიდან ჩნდება¹¹. ცხადია, ამ ხუთი წლის განმავლობაში სახელმწიფო უფულოდ ვერ იარსებებდა. როგორც ჩანს, ამ პერიოდში რუსუდანი წინამორბედების მონეტთა დადამღვით, შემოფარგლულა. ვფიქრობთ, ზემოგანხილული დამლის გამოყენების ხანგრძლივობაც ალბათ, ამ ხუთი — 1222—1227 წწ. განისაზღვრება.

¹¹ Д. Г. Капанадзе, Клад монет XII—XIII вв. из сел. Ничхиси, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XXVIII—B, 1969, გვ. 83.

¹² იქვე.

ზაზა ალექსიძე

შასალუბი ღვინის 506 წლის სამკლესიო კრების ისტორიისათვის

ღვინის 506 წლის სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა ეპისკოპოსების საერთო კრების შესახებ ცნობები ძველ სომხურ მწერლობაში საკმაოდ სწორია, მაგრამ ისინი უშუალო შთაბეჭდილებებს არ ასახავენ და ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ამიტომ ამ კრების ისტორიის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენამდე ძველ სომხურ ენაზე შემონახულ ორ ეპისტოლეს, რომელთაგან ერთი კრების მიერ უნდა იყოს გაცემული, ხოლო მეორე — 506 წლის ახლო მომდევნო ხანაში. ორივე ეპისტოლე ხელმოწერილია ბაბგენ სომეხთა კათალიკოსის მიერ და სამეცნიერო ლიტერატურაში მისი სახელით არის შესული.

ბაბგენ სომეხთა კათალიკოსის ეპისტოლეები სპარსელთადმი ორჯერ არის გამოქვეყნებული. პირველად ისინი გამოცა კ. ტერ-მკრტიჩიანმა ჟურნალ „არარატში“¹, ხოლო მეორედ დაიბეჭდა თბილისში 1901 წელს როგორც „ეპისტოლეთა წიგნის“ შემადგენელი ნაწილი². ორივე გამოცემას საფუძვლად უდევს ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ნუსხა („ანტონიანთა ძმობის“), ამიტომ ისინი ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებიან. განსხვავება მხოლოდ ცალკეულ წაკითხვებსა და სასვენი ნიშნების დასმაშია, რაც გამომცემელთაგან ტექსტის სხვადასხვაგვარად გააზრებაზე მიუთითებს. სასვენი ნიშნების დასმის თვალსაზრისით, უპირატესობა პირველ პუბლიკაციას უნდა მიენიჭოს, თუმცა, ჩვენი აზრით, მასაც სერიოზული გადასინჯვა სჭირდება.

წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ორივე პუბლიკაციისა და ცალკეულ მკვლევართა კონიექტურების გათვალისწინებით. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს უნდა იყოს ბაბგენის ეპისტოლეების პირველი სრული თარგმანი³. ქართულ თარგმანს ადეკვატურობის პრეტენზია აქვს როგორც შინაარსის ისე საკუთარ სახელთა გადმოცემის თვალსაზრისით. სომხურ გამოცემებში ციტატები „ახალი აღთქმიდან“ აღნიშნული არ არის. ისინი ჩვენ მიერ არის დაძებნილი. როდესაც სომხური ციტატა ძველ ქართულ თარგმანს სიტყვა-სიტყვით ემთხვევა, ჩვენ იგი უცვლელად მოგვაქვს. სხვა შემთხვევებში მხოლოდ ძველი ქართული თარგმანის სათანადო ლექსიკას ვიყენებთ და შესადაარებლად შესაბამის ადგილს ვუთითებთ.

¹ К а р а ყ ხ ո Վ ա թ ա ყ ხ ո. Հայոց Եկեղեցւոյ առաջին մասնակցութիւնը դասակարգման վեցերորդին և Բաբգեն կարողիկոս, Մարաթո, 1898, թ. 431—436; Քուրբ Հայոց ի Պարս, առ ուղղափառ, Մարաթո, 1898, թ. 383—386.

² Գրք բոց; Տիգիս, 1901, թ. 41—51.

³ ვერმანულ ენაზე არსებობს I ეპისტოლედან დიდი ნაწილის თარგმანი. օ. E. Ter-Minasiantz, Die armenische Kirche in ihren Beziehungen zu den syrischen Kirchen, Leipzig, 1904, დამატ. I, გვ. 152—157.

10. „მ ა ც ნ ე“, ისტორიის... სერია, 1973, № 3.

I

სომეხთა ეპისტოლე სპარსეთში, მართლმადიდებელთაში

სიწმიდისა და ჭეშმარიტების მოყვარეთ და წმიდა სარწმუნოების ქრისტეს მიერ მსახურთ, ჩვენ უფალთ და წმიდა თანამორწმუნე ძმებს: უფალ დანიელ ქარმის ეპისკოპოსს, მალქა და შაეტა ქორეპისკოპოსებს, აბა და მარი ხუცეებს, მირჰორმიზდ და აბლაჰა დიაკვნებს; აზატებს: არტაშირს, ბრატოსა და სხვა ქრისტიანებს, წმიდა მორწმუნეთ რმზან შაჰასტანში, გარმეკან შაჰასტანში — კარმენანის ნაჰანგში; იოჰან ხუცესთა თავსა და აზატებს: ვარაზ-ბანდაკს — ტაჭიკების მცველთა-თავს მალოკანში, ჰართს მუშელიანში და სხვა ქრისტიანებს, წმიდა მორწმუნეებს ტაჭიკთა ქალაქ პეროზ-შაჰუჰში; იონათან მეუღაბნოეს და სხვა წმიდა მორწმუნე ქრისტიანებს ასურესტანსა და ხუჟასტანში, ჰერთსა და ნონაბარსადესში; ორიკნი მეუღაბნოესა და საჰაკს — ბლად შაჰასტანის ქორეპისკოპოსს; იაკობ ბელს, კათარასა და სხვა მორწმუნე ქრისტიანებს ასორესტანში, ნიზიბინის ნაჰანგში; ბასადე იმათეან მეუღაბნოესა და აზატებს: გნბას და სხვა მორწმუნე ქრისტიანებს ნოშირაკანისა და ნინუეს ნაჰანგისა, ყველა ეპისკოპოსს, ქორეპისკოპოსს, ხუცესს, დიაკვნს, მეუღაბნოეს, ერისკაცს, აზატსა და სოფლის-თავთ, დიდ-დიდთა და მცირეთ და ყველა მორწმუნეს სპარსეთის ქვეყნისა, რომლებიც ხართ კავატ მეფეთ მეფის ხელმწიფების ქვეშ.

დიდი სომეხთიდან ბაბგენ სომეხების ეპისკოპოსთა-თავისა და მის თანამოსაყდრეთავან: მერშაპუჰ მამიკონიანთა ეპისკოპოსის, ნერსეს სამარდბეტოს ეპისკოპოსის, ტეარნტირ ჰარქის ეპისკოპოსის, სამუელ ბზუნთა ეპისკოპოსის, ფოკას და სამუელ ბასენის ეპისკოპოსის, თათულ არშარუნთა ეპისკოპოსის, აღან ზორზორუნთა ეპისკოპოსის, ატატე ტაოს ეპისკოპოსის, ტაჭატ არშაპუნთა ეპისკოპოსის, დანიელ რშტუნთა ეპისკოპოსის, იაფკას მოკელთა ეპისკოპოსის, ხაბბა არწრუნთა ეპისკოპოსის, შაჰე ამატუნთა ეპისკოპოსის, საჰაკ პალუნთა ეპისკოპოსის, პავლოს გნუნთა ეპისკოპოსის, მოვსეს ზარიჰუანის ეპისკოპოსის, დავით ტმორთა ეპისკოპოსის, დანიელ ანძველთა ეპისკოპოსისა და თამრა მეჰუნთა ეპისკოპოსისაგან [მოკითხვა].

ასევე გულწრფელად მოგიკითხავენ ღმრთისმოსაეი და მართლმადიდებელი მონაზვნები, სომეხთა ქვეყნის კეთილმსახური მთავრები და იშხანები, რომლებიც მართლმადიდებლური რწმენით არიან გამსჭვალულნი: ვარდ მამიკონიანი, არწრუნთა უფალი საჰაკ კამსარაკანი, სპანდიატ სომეხთა სპასპეტი, არტაშირ სომეხთა მა[ლ]ხაზი, ზიკ ვანა[ნ]დის უფალი, მანგენ ამატუნთა უფალი, ტიროტ პალუნთა უფალი, ვარაზნერსე დაშტკარანის უფალი, ვსტამ აპაჰუნთა უფალი, გნელ გნუნთა უფალი, ბაშხენ ვაჰეგუნთა უფალი, არტაშირ სიგნიელთა უფალი, ატრნერსეკ რშტუნთა უფალი, არტაშირ არაგელინთა უფალი და სხვა ყველა მართლმადიდებელი იშხანი, დიდი და მცირე, და ვინც მათი ხელმწიფების ქვეშ არიან.

წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისაგან, ვისაც ჭეშმარიტი რწმენა გვაქვს მამისა, ძისა და სული წმიდის მიმართ, მთელი სომეხთა ქვეყნისაგან — ეპისკოპოსთაგან, ხუცესთა და ბერთაგან, აზატთა და შინაკანთაგან — თქვენს მართლმადიდებლურ სიწმიდეს, ქრისტეს სიყვარულით, შევბა-განა-რება.

კავატ მეფეთ მეფის მეთვრამეტე წელს, როდესაც მე, ბაბგენ, თავი სომეხთა ეპისკოპოსებისა, ყველა ეპისკოპოსით, ბერთა და ნახარაით შევიკრიბეთ აირარატის ვაჟარში, სომეხთა ქვეყნის ოსტანში, ქალაქ ღვინში, გვეახლნენ ვინმე კაცნი, რომლებმაც თავი ვაგვაცნეს როგორც მოსულეებმა მაგ მხარიდან — ტესბონიდან, გარმიკანიდან და ვეპარტაშირ ნაპანგიდან, გვაცნობეს თავიანთი ჭეშმარიტი სახელები და საცხოვრებელი ადგილები: საპუიელ მაპარძის მონასტრის ხუცესი კარმიკანის ნაპანგიდან, შმაგონ ბერდოშმას ხუცესი, ხუცესი ახა ტაჭიკთა ქალაქ პეროზ-შაპუჰიდან, ვეპარტაშირის ნაპანგიდან, მარა მწიგნობარი და სხვა მათი ამხანაგები, წარუდგნენ კრებას ყველას წინაშე წიგნით ხელში, რომლითაც აღიარებდნენ წრფელ სარწმუნოებას, დიდად გარჯილნი წმიდა სამების ჭეშმარიტი და მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმოჩენაში. ამისათვის მიიღეს ნებართვა, კავატ მეფეთ მეფის ხელმწიფური პროართაკი, რომლითაც უფლება მიეცათ, ნებისა და ქრისტიანობის ჭეშმარიტების გამოძიების მიხედვით, განიმტკიცონ თავისი სარწმუნოება ბერძენთა, სომეხთა, ქართველთა და აღბანელთა ქვეყნების სჯულისა და მეცნიერების თანახმად, და ამათ სიტყვებითა და ზედმეტი განმარტებით არ დაურღვიონ განსაზღვრება ქრისტეს მიერ მორწმუნეთ.

ჩვენთან მოსვლის მიზეზები მათ ასე აგვიხსენეს: უკეთუ კავატ მეფეთ მეფის მონები ვართ, მეფისა და მის ქვეშევრდომთა ყოველი სიკეთისათვის ნიდავგ ვიზრუნოთ ჩვენი შეძლებისდარად, რომ გამოვთხოვოთ ღმერთს მისი სიმრთელე, სიმშვიდე, დღევგრძელობა, და რაც კი რამ ამგვარი სიკეთეა, რომ მიემადლოს ღმრთისაგან.

ეს სარწმუნოება გვაქვს [მოცემული] ნიკეას შეკრებილ 318 წინაპარ მათაგან, ნეტარი კონსტანტინეს მეფობისას, რომელიც მთელმა მსოფლიომ შეიწყნარა და მასში განმტკიცდა წმიდა და საყოველთაო კათოლიკე ეკლესია, რომელიც დასაბამიდანვე უმოძღვრა საუფლო ხმამ დამოწაფებულებს, და თქვა ასე: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელსცემდით მათ სახელითა მამისაათა და ძისაათა და სულისა წმიდისაათა“.* რომელმაც მალაღი და დიდებული ბეჭედი დასლო ყოველივსა. ეს სარწმუნოება ჰქონდა ნამდვილად მთელს ჩვენ ქვეყანას ერთხმად და სრულიად არავითარი ცოდვა არ გამოჩენილა აშკარად პეროზის მეფობის 27-ე წლამდე, ხოლო მაშინ გამოჩნდა ბოროტების ცომი, რომელიც დამალული იყო უწმინდურ სულეებში, რომელთაც იწყეს შემდგრევა ჭეშმარიტი სამების ნათელი რწმენისა, თავის მოტყუება დაუმტკიცებელი ხორციელი ვნებით; გავრცელდა ეჭვიანობა და დასნეუდნენ მრავალნი საშინელი სენით იქამდე, რომ გმობა-წვალების მეთაურნი ადგილ-ადგილ კრებებს იწყევდნენ — ხან გუნტშაპუჰში, ხან ასორესტანში — აკაკი, ბარწუშა, მანი, იოჰანან, პავლე, მიქა და სხვა მათი მოზიარენი ნესტორის, დიოდორისა და თეოდოროტის გამოწინააღმდეგებასა და უღმრთოებას უერთხმადებოდნენ და ამნაირი საქმიანობით მთავართა და მსაჯულთ წინაშე დიდ გარჯასა და საფრთხეში გვაგდებდნენ ჩვენ და სხვა ყველა მართლმადიდებელს ჩვენს ქვეყანაში. ვეღარ შევძელით ასეთი ბოროტი, საშინელი და მწარე შეურაცხყოფის ატანა და ვიზრუნეთ, რომ მეფისათვის გვეცნობებინა, მოვალწიეთ თქვენამდეც იმავე საფრთხისა და შევიწროების გამო, რომ საღრ-

* მათე 28,19.

მართო წერილთა შემწეობა ეპოვით, რათა მტკიცედ და ურყევად ეგონ წმიდა მამათა გარდამოცემანი და მცნებანი, არ შეგვადონოს მუდმივმა სულიერმა და ხორციელმა შევიწროებამ ასეთ საქმეთა გამო ეჭვით.

შევიტყუეთ ეს ყოველივე მათგან, ზოგი ზებირ და ზოგი წერილით, რომელიც ჩვენი თვალთ ვიხილეთ. ამიერიდან ნეტარად ჩაეთვლით თქვენ, ჰოი ღმრთისმოყვარენო, რომელთაც კეთილი იღვაწეთ და აირჩიეთ ნეტარი და საწადელი ცხოვრება მართლმადიდებელი სარწმუნოებითა და სრული მხნეობის ქცევით, რომელთა მხილველთ უჩვენეთ სანატრელი ხმა მხსნელისა, სხვადასხვა საქმიანობით — ღმერთი. უკეთუ ქონებათა სურვილის არად ჩაგდებით, უკეთუ კაცებრივ დიდებათა უგულვებლყოფით, უკეთუ ქრისტესთვის გადატაკებით, უკეთუ სულის სიწმიდით ქრისტეს მხილველნი შეიქნეთ და, მასთანვე, ქრისტეს მიერ განსრულდებულნი, ახარეთ ქრისტესმოყვარეთაც; ჩვენც საჭიროა, რომ ცთუნების გარეშე ეახროთ ნიკეას შეკრებილ ნეტარ მამათაგან გამოსვლა წმიდა სარწმუნოებისა, 318 ეპისკოპოსისაგან შეწყნარებული სახით, რომლებსაც ღმრთის მადლით წმიდა კრებაზე შეუერთდა ჩვენი ნეტარი მამამთავარი არისტაკესი, მიიღო წმიდა მამათაგან სრულად ჭეშმარიტების სარწმუნოება და მოიტანა ნამდვილად ჩვენს ქვეყანაში, რომელიც მიიღეს მისგან სომეხებმა, იმ სარწმუნოებით განათლდით და მისგან მომდინარეობს დღემდე სომეხთა ქვეყნის მამამთავრობის ხელდასხმა და მასშივე მტკიცე ნება.

ამრიგად, გვწამს: ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ყოველი ხილულისა და უხილავის; ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა, ღმერთი ღმრთისაგან, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა შობილი და არა ქმნილი, თანაარსი მამისა, რომლისაგან ყოველივე იქმნა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, რომელიც ჩვენ, კაცთა, სახსენლად გარდამოვიდა, განხორციელდა წმიდა ქალწულის მარიამისგან, ივნო ჩვენი ცოდვების გამო, მოკვდა და აღდგა მესამე დღეს, გამოჩნდა ცათა შინა, დაჯდა მარჯვენით მამისა, მოვალს განსასჯელად ცოცხალთა და მკვდართა; მის შესახებ ვინც ამბობს, რომ იყო, როცა არ იყო, დაბადებამდე არ იყო, არარაისგან იყო, ან თვლის სხვა არსისა ან არსებისაგან, ცვალებადად ან წარმავლად [მიიჩნევს] ძე ღმრთისას, მათ შეაჩვენებს კათოლიკე მოციქულებრივი ეკლესია.

ისე ვიწამეთ, როგორც მოვინათლეთ და წმიდა მამებმა დაგვიკანონეს: ამ სჯულის გარეშე სხვა რამ განსაზღვრება არ არის, არც შევიწყნარებთ და არც მივიღებთ, რადგან ზეციური მოძღვარი საგლოს ფრიად გვაფრთხილებს კაცთა მიწიერ სიბრძნეთა და ცთომილ სიცრუეთაგან. მრავალია წმიდა წერილთა მოწმობა, უმრავლესი — წმიდა მართლმადიდებელ მამათა ნათლისმფენი მოძღვრება, რომლითაც ნათელ-იღეს ნათელ-ღებულთა და ნუგეშისცემით შეიმოსებთან სულით დაცემულნი წმიდა სამების სიყვარულსა, სასოებასა და რწმენაზე დამყარებულნი, რომ სულისა და ხორცის ცხოვნება და გადარჩენა.

ეს სარწმუნოება გვაქვს ბერძნებს, ჩვენ სომეხებს, ქართველებსა და აღბანელებს. მაგრამ როგორც თქვენმა მოციქულებმა, ძმებმა სამუელ მონაზონმა, შმაჟონ ხუცესმა და სხვა მათმა მოყვასებმა გვითხრეს, ბაბე ასორესტანის კათალიკოსი და სხვა ნესტორიანი ეპისკოპოსები ამბობენ: ორი ძე ყავსო ღმერთს — ერთი ღმერთი-სიტყვა თანასწორი მამისა, რომელიც გარდმო-

ვიდა ზეცით, და მეორე — იესუ, ჩვენს მსგავსად მოკვდავი კაცი, რომელიც მარიაშვიან იშვა და რადგან განმარტლდა ყველა კაცზე მეტად, პატივი-დაედო და მადლიერებით ეწოდა სახელით ოდენ ძე ღმრთისა და არა — ძე ღმრთისა; მამის სწორი კი არა, არამედ კაცი იყო ქმნილი [და] მოკვდავი ჩვენსავით, და რადგანაც სული წმიდა შეეწვია, შესძლო ძლევა სატანასი და წაიღო, და მისი სიმართლისა და კეთილ საქმეთა გამო ღირსი შეიქნა მადლისა ყოფილიყო ღმრთის სიტყვის ტაძარი. აგრეთვე ამბობენ, რომ საჭირთა გავყოთ და ვთქვათ ასე: ღმერთი სრული და კაცი სრული, ე. ი. სრულმა ღმერთმა აიღო სრული კაცი იესუ ქრისტე და, რადგან უყვარდა იგი, ღირს-ჰყო იგი მასთან ერთად თაყვანისცემის პატივისა. პატივი მიიღო კაცმა, რომ მიედო მადლი, სასწაულნი და საოცრებანი, რომლებსაც იქმოდა ღმრთის სიტყვით, რომელიც გარდამოვიდა ზეცით და დაემკვიდრა მასში ე. ი. ქრისტეში. და განძლიერდნენ მასში საკვირველებანი, რომლებსაც ის იქმოდა. ყველა ვნება და სიმდაბლე იყო მასში და ჩვენსავით მოკვდავიც აღმოჩნდა, თავისი სწორი კაცთა ნათესავისაგან გამოსული, ძე ღმერთისა ღმერთის სიტყვით. ამბობენ: იესუსთვის კი არ ვაის-მყო ხმა ზეციდან იორდანიაში — „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო ვიყავ“*. არამედ — სიტყვა-ღმრთისათვის რომელიც არის სწორი მამისა, გარდამოვიდა ზეცით და დაემკვიდრა მასში. ამბობენ: როცა იესუ შევიდა ხშული კარით თავის მოწაფეებთან, ის კარი დახშული კი არ იყო, არამედ მოწაფეებს დაეტოვებინათ ღია ურიათა შიშით**. მწვალებლები ამბობენ, რომ იესუ ქრისტე მოკვდავი კაცი იყო, შექმნილი, ჩვენი სწორი და არა გარდამოსული ზეცით და ზეცაში მყოფი, არამედ როგორც ელია და ენოქი ცაში ამაღლდნენ და ვერ იხილეს ღმერთი, ვერც მას ნახვეს აღდგომამდო. ესო, ამბობენ ნესტორიანები ჩვენს წინააღმდეგ, დიოდორის, თეოდორის, ნესტორის, თეოდორიტის, ჰაბას ნაწერების ძალით, სჯულია, რომელიც დაგვიდეს აკაკიმ, ბარწუმემ, მანომ, პავლმა და სხვა მათმა მოყვასებმაო. და ასე ამბობენ, რომ ბერძნებს, სომხებს, ქართველებსა და აღბანელებს იგივე სჯული და სარწმუნოება აქვთ, რაც ჩვენა ვვაქვსო. ეს შევიტყუეთ მათგან, [იმის შესახებ], თუ [რას] ამბობენ ნესტორიანები.

რადგან ისურვეთ, რომ ამ საქმეთა შესახებ ჩვენგან შეგეტყუოთ, გაცნობებთ: ბერძნებს, ჩვენ სომხებს, ქართველებსა და აღბანელებს ეს [ღმრთის] გამოხა არ შეგვიწყნარებია, არ შევიწყნარებთ და არც ვეზიარებით, არამედ — შევაჩვენებთ, რადგან ასე ამბობენ და ასწავლიან. როგორც პავლე მოციქულმა თქვა: „უკეთუ ვინმე გახარებდეს თქუენ მისსა გარეშე, რომელ-იგი მიიღეთ, შეჩვენებულ იყავნ“***. შემდეგ იმასვე იმეორებს და ამბობს: „არამედ დაღაცათუ ჩუენ, ვინა თუ ანგელოზი ზეცით გახარებდეს თქუენ გარეშე მისსა, რომელ-იგი გახარე თქუენ, შეჩვენებულ იყავნ“****. იგივე დაამტკიცეს ღმრთიური მადლით ავსებულმა ნეტარმა მამებმა, ნიკეას შეკრებილმა 318 ეპისკოპოსმა. შეუერთდა იმავე სჯულს 150 მართლმადიდებელი ეპისკოპოსი, შეკრებილი კონსტანტინეპოლს, რომლებსაც ჩვენც ვუერთდებით და შევაჩვენებთ იმ ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და ღმრთივმადლებული სრული სჯულის წინააღმდეგოთ.

* მათე 3,17.
 ** შტრ. იოანე 20,26.
 *** გალატელთა 1,9.
 **** გალატელთა 1,8.

დავწერეთ და დავბეჭდეთ ეს გამოკვლევა ჭეშმარიტი სარწმუნოებისა მე, ბაბუენ სომეხთა კათალიკოსმა, თანადგომით სომეხთა ქვეყნის ყველა ეპისკოპოსისა, იშხანისა და ნახარარისა. სერგისმა, რომელსაც ბაბუენი ჰქვია, აბდი-შოიან ხუჩუკმა შოშტარის შაჰსტანიდან, იმავე კრებაზე, ჩვენ, ყოველი სომეხის, წინაშე თქვა, რომ ეს ასეა. მესმის მაგ საქმეთა გამო, ხუჩასტანშიც არიან მწვალებლები, ამ სარწმუნოების შესახებ მე „სარწმუნოების წერილი“ მჭირდება და „სარწმუნოების წერილი“ მტკიცე, ჭეშმარიტი და უცვლელი დავწერეთ[ო]. მე, ბაბუენ სომეხთა კათალიკოსმა, და ყველა ეპისკოპოსმა, ვარდ მაიკონიანმა და სადაც კი სხვაგან იშხანები და ნახარარები ვიყავით, დავწერეთ სომეხრად და სპარსულად და დავბეჭდეთ ჩვენი ბეჭდით. სამუიელმა, შმაფონმა, აჯჰამ, მერამ და [მათმა] მოყვასებმა ეს „სარწმუნოების წერილი“ ჩემგან მიიღეს, მისცეს სერგისს და თავიანთ ქვეყანაში წამოიღეს.

II

სომეხთა ეპისტოლე სპარსეთში, მართლმადიდებელთაძენი

ჩვენს საყვარელ, მართლმადიდებელ და სარწმუნო ძმებს, ღმრთის წრფელ მსახურთ, ეპისკოპოსებსა და მრევლს, ბერებსა და ერისკაცებს ბაბუენ სომეხთა ეპისკოპოსთა-თავისა, მერშაჰუჰ სომეხეთში [მდებარე] ტარონის გავარის ეპისკოპოსისა, სხვა, გავარებისა და სახლების მიხედვით სომეხთა ეპისკოპოსების ყველა ჩვენი წმიდა ეკლესიის მსახურისა, იშხანთა — ვარდ მაიკონიანთა უფლისა და სომეხთა მარზბანის, საჰაკ კამსარაკიანის, არტაშირ მალხაზისა და სხვა დიდ-დიდთა თუ მცირე აზატთაგან ჩვენი ქრისტე ღმრთის სიყვარულით შეება-ვახარება.

მეორედ მოვიდა თქვენგან ჩვენთან სიმონ ხუცესი, შრომისმოყვარე და ნიღაღ დაუტნობელი სარწმუნოების ძიებაში, რომელმაც გვაუწყა კვლავ განახლება ნესტორის დავა-ბრძოლისა და არამცთუ შეუწყნარებლობა თქვენი ყველა მართლმადიდებლის მიერ ჭეშმარიტი სარწმუნოების გამო ნაწერასა (მასთან ერთად ჩემგან მიღებულისაც, რათა ცხოვნდნენ), არამედ [ცდილობენ], რომ ეგების შესძლონ და შეარყიონ წმიდა ეკლესიის სიმტკიცე, შეამწუხრონ თქვენს ქვეყანაში მართლმადიდებლური სარწმუნოება. ასე ამრიგად, მათ სიცრუეზე აღმოცენებული აზიანებს თქვენი საქმოს ჭეშმარიტ სარწმუნოებას, როგორც ვგასწავლა მოშურნეთა ღვაწლმა, რომლითაც განიდევნა კაცთა ნათესავი საღმრთო სიკეთიდან, არ დაცხრა ვიდრე მოაქვამამდე და აღაშფოთა წმიდა ეკლესია ქალკედონის კრებისაგან გაძლიერებულმა. წმიდა სამების შესახებ [გმობას] დასაბამი დაედო ნესტორისაგან, რომელმაც გაჰყო წმიდა ქალწულის მარიამისგან უფლის განხორციელება, რომელსაც ჭეშმარიტად კაცს და იმავე დროს ღმერთს ვაღიარებთ და თაყვანსა-ვცემთ ღვთაებრიობასთან ერთად განხორციელებას, ხორცშესხმასთან ერთად — ღვთაებრიობას. იმავე გარდამოცემით ვაღიარებთ ჩვენც, რაც მივიღეთ ნიკეის წმიდა კრებისაგან 318 ეპისკოპოსთა, მათ ზრახვათ ვეზიარებით სჯულმდებელთაგან, რადგან ჭეშმარიტია მართლა ღვთაებრივი შეწვევით, ვილტვით და უარყოფთ ქალკედონში ნესტორისა და სხვა მის მსგავსთა სიცრუეს, რომელიც მოჩვენებით გამოყვეს წარმართობისა და ურიული ცთომილებისაგან (იმა-

ვე წარმართობას კი აღიარებენ და ურიობასაც კი, რომ აცთუნონ ვონებანი უცოდველთა ანუ უმეცართა, ააცდინონ ბრმანი ვზას, რომლითაც განისაზღვრა სული წმიდის წინასწარმეტყველებით მათი მისაგებელი), რომელიც წმიდა მამებმა ერთობილად ამხილეს და დაშრიტეს მათ ბოროტ ზრახვათა მიქცევა, წმიდა წერილთაგან შეაჩვენეს ნესტორიოს, არიოს, დიოდოროს თეოდორიტოს, ევტიქოს, პავლოს სამოსატელი და მათი მსგავსნი, რომ ცომის შერევა—ქრისტეს განხორციელება—გაბედეს გამოეცხადებინათ როგორც ლიტონი კაცი [და] არა სრული ღმერთი სრულ ხორცში, რაც ქალაქ ქერსონის ეპისკოპოსმა, ჭეშმარიტი სარწმუნოების მოყვარემ და მსახურმა, დიდმა ამპელისმა დაწერა სწორად, ჭეშმარიტად, მაგრამ ვერ მოასწრო დასრულება. მისი ნაწერის მოშორნემ, კეთილმსახურმა ხუცესმა ანატოლის კონსტანტინოპოლელმა დაიმოწმა წმიდა ეპისკოპოსის ამპელის წერილი და არა სცნო წმიდა სამების დანამატი: წმიდა ქალწულისაგან შობა ძისა, არამედ თვითონ ღმერთი და სიტყვა უბიწოდ განხორციელებული იგივე დარჩა, რომელიც უწინარეს საუკუნეთა თაყვანიცემის მამისა და სულისა წმიდისა თანა. ჭეშმარიტად დაწერა ქერსონელთა წმიდა მღვდელთმთავარმა ამპელისმა, ნეტარი ეპისკოპოსის კირილეს „თორმეტ თავთან“ ერთად მას დაუმატა ზენონის ეპისტოლეც. განმადიდებელი ბერძენთა კურთხეული მეფისა, და დაიმოწმა სწორედ ღვთისმოყვარე ხუცესმა ანატოლისმა, რადგან ეს არის გარდამოცემა წმიდა მამათა, მხნე მოღვაწეთა, რომლებიც ჭეშმარიტად გაჰყვენენ სიმართლეს და განდევნეს სიცრუე, ვემორჩილებით მთელი [ჩვენ] საქმით მათ ნაწერებს და იმავე სარწმუნოებით ვცხოვრობთ, რომელიც დაგვიმკვიდრა წმიდა 318-მა და დაგვიმტკიცა წმიდა 150-მა.

ხოლო ვინც ასე არ აღიარებს და უარყოფს ძეს, ისინი დღისით-მზისით ცთუნებულნი, ივიწყებენ მამას, რომელთა შესახებაც კანონიერად ღაღადებს მოციქული: „ხენი უნაყოფონი ძირითურთ მოფხურილნი, ვარსკულაენი ცთომილნი, რომელთათვის წყუღიადი იგი ბნელისა და საუკუნოდ დამარხულ არსა*“; რომელთათვის ამოდ მოკვდა ქრისტე, უფალი დიდებთა, რადგან დაიჭაშინიკეს სიტკბობა მშვენიერი უფლის სიტყვისა და დაემორჩილნენ მწვალებელთა ორჭოფობას, რის გამოც გაკერპებულებმა არ იციან, რას იტყვიან და რაში განმტკიცებულან. ვინაიდან ნათქვამია: „ღმერთმან ამის სოფლისათა დაუბრმნა ვონებანი მათნი, რადთა არა გამოუბრწყინდეს მათ ნათელი იგი სახარებისა და ცხოვრის ქმნილთა“**, რომელსაც ნიადაგ კითხულობდნენ და არასოდეს ესმოდათ; ვინაიდან ვინც არ აღიარებს ძეს, იგი უარყოფს მამასაც, [ხოლო] თვითონ ქრისტემ თქვა, რომ უარყოფს მათ წინაშე მამისა***, და გეობრძანა ჩვენც გავემიჯნოთ მათ სრულიად და შევიძულოთ სიტყვითაც კი მათი მოკითხვა.

ხოლო რათა განცხადდეს ჩვენი აღთქმის სიტყვა, თუ როგორ გვეწამს მამა, ძე და სული წმიდა, რომელზეც აშენებული და განმტკიცებულია წმიდა ეკლესია, ვაღიარებთ მამას; ძეს შობილს მამისაგან უწინარეს საუკუნეთა, დაუსაბამოს, განხორციელებულს წმიდა ქალწულის მარიამისგან ქმნილთა სახსნელად, გამოუკვლეველი უბიწო შობით, დედის ქალწულად დარჩენით;

* შტრ. იუდა 12,13.

** შტრ. 2 კორინთელთა 4,4.

*** შტრ. მათე 10,33. I იოანე 2,23.

და სული წმიდას — შეუქმნელსა და სრულს; ღმერთს მამას, ღმერთს ძეს, ღმერთს სული წმიდას, რომლითაც ნათელს-ვცემთ და ნათელს-ვიღებთ, არც ურიათა მსგავსად დაგვაკლებთ და არც მწვალებელივით შემცდარნი შემატებით ერთმანეთზე ნაკლებად ან მეტად [ვაცხადებთ სამების წყურებს], არამედ თაყვანსა-ვცემთ სამს ერთებაში განდილებით და ერთს—სამებაში. ისე გვწამს, როგორც გარდამოგვეცა წმიდა მამებმა, ნიკეას [შეკრებილმა] 318 ეპისკოპოსმა, ჭეშმარიტმა მოწამეებმა, და რომლებიც ეფესოს [შეიკრიბნენ]. გწყველით ნესტორიოსს, არიოსს, თეოდოროსს, დეოდოროსს, თეოდორიტოსს, ევტიქოსს, პავლოს სამოსატელს, იბას, აკაკის, ბარწუმეს, ბაბეს, ვინც სპარსთა ქვეყანაშია, მათ სჯულსა და სარწმუნოებას, სიმწრის ძირკვებს ზემოთ ამოზრდილთ, რომელთაც მრავალი შეავიწროვეს და გამოღვენეს ჭეშმარიტებიდან მათგან ნამუშავევი თესლის ღვარძლით.

ღმერთშემოსილმა მხნე კაცებმა და მათმა მსგავსმა სამგზის ნეტარებმა: იგნატიოს — მოციქულთაგან დანერგულმა მცენარემ კეთილნაყოფიერმა, ათანასიოს — სხივმა ქვეყნის ნათლისა, ბასილიოს — კაბადოკიელთა ეკლესიას წოდებულმა, გრიგორიოს ღმერთსა და ორმა მისმა სენამ, იულიოს — დასავლის გზის მცხოვრთა წინამძღვარმა, ამპროსიოს, იოვანეს, ატიკოს, თეოფილის, კიურლოს, პროკლოს, და ბრწყინვალე მამამ ჩვენმა არისტაკეს — წმიდა გრიგოლის სიმართლის თესლმა, მიზეზმა და დასაბამმა სომეხთა ღმერთის სიყვარულისა და შევებისა — ამათ ყველა შეკრებილმა წმიდანმა, სამების მასპინძლებმა, მოწამებით დაამტკიცეს ძველი და ახალი აღთქმანი საზოგადოდ კათოლიკე ეკლესიაში. ამ სარწმუნოებით ვცხოვრობთ, როგორც მოგწერეთ კიდევ ადრე ქართველებთან და აღბანელებთან თანხმობით თითოეული ქვეყნის წიგნით, და ახლაც გიმეორებთ სარწმუნოების მიერ თანასწორი ძმის სიმეონ მოშურნე ხუცესის საშუალებით, რადგან ჩვენგან ვერავინ გაბედავს ამას [რაიმე] მიზეზის გამო წინააღმდეგს და დაუპირისპირდეს. ხოლო თუ კი ასე [მოხდება], განიდევნოს მისი თავხედური და ბიწიერი ზრახვა და ვილოცოთ ყველამ რომ თვითონ სამებად მოსპოს თავისი მტრები, ჭეშმარიტი სარწმუნოების წინააღმდეგნი, და განაძლიეროს მსახურნი და თაყვანისმცემელნი მისი სახელისა. ესეც იცოდეს თქვენმა ძმობამ, რომ ისინი, ვინც გასცემენ მამას, უარყოფენ ძეს და არ ემორჩილებიან სული წმიდას*, არ არის საკვირველი, თუ მართლმადიდებელთა კეთილი ზრახვის ნაწერებსაც არ შეიწყნარებენ, რათა შერცხენილნი სრულიად განერიონთ თვალთაგან, როდესაც მოვა უფალი ასეთებზე შურის საძიებლად, რომ განაცხადოს დამალული ბნელისა და დაფარული გულისა მათისა განსასჯელად**, და დაგვიანებული სინანული.

წმიდა აპელი ეპისკოპოსისა და ანატოლი ხუცესის წერილის გამო ვბრძანებ, რომ აქვე მაეწერათ. უკეთუ მწვალებელთაგან ვინმე მოვა და დაუბრუნდება ჩვენს წმიდა სარწმუნოებას, შეწყნარების ღირსია იგი, რადგან ღმერთის მოწყალების კარი მუდამ ღიაა აღმსარებელთა და მონანიეთათვის.

* შტრ. იოანე 15,23.

** შტრ. I კორინთელთა 4,5.

ღვინის 506 წლის კრებას⁴ და ბაბგენ სომეხთა კათალიკოსის ეპისტოლეებს „სპარსელ მართლმადიდებელთადმი“ კავკასოლოგიის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი უკავშირდება. რადგან ყველა საკითხის განხილვას საკმაოდ დიდი ადგილი სჭირდება, ჩვენ აქ მათგან მხოლოდ უმთავრესზე შევჩერდებით.

ღვინის 506 წლის კრებას ქართული ისტორიოგრაფია ერთგვარი გარდატეხის მაუწყებლად თვლის კავკასიის, და განსაკუთრებით ქართლის, იდეოლოგიურ ისტორიაში. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „VI ს-ის დამდეგს აღმ. საქართველო, სომხეთი, ალბანეთი და სივნიეთი გადაჭრით მონოფიზიტობის მხარეს ყოფილა“⁵. ღვინის კრება სპარსული ორიენტაციისა და მონოფიზიტობის გამარჯვებად მიაჩნია ს. ჯანაშიას. იგი წერს: „ქართლის მიმართ თავისი საეკლესიო პოლიტიკის გატარება ირანის მთავრობას შედარებით თავისუფლად შეეძლო მას შემდეგ, რაც უკვე სცივნიდან ჩამოსულიყო ისეთი ძლიერი მოწინააღმდეგე, როგორც იყო ვ. გორგასალი. 506 წ., რა თქმა უნდა, სწორედ ირანელების კარნახით, მოწვეულ იქნა სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის გაერთიანებული კრება, რომელმაც აშკარად დაჰკგმო ქალკედონის აღსარება და მონოფიზიტებს მიემხრო. ამ კრებაზე, ისე როგორც მთელს მომდევნო პერიოდში, ინიციატივას სომხები ჩემულობენ, როგორც უფრო ძველი მონოფიზიტები და ირანის პოლიტიკურ ცენტრთან დაახლოვებულნი. შეიძლება უკვე ამ დროს ირანელებისავე მოთხოვნით შექმნილიყო ერთგვარი ცენტრი სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის ეკლესიების მოქმედების კოორდინაციისათვის, მაგრამ ეს საკითხი ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის“⁶.

ამრიგად, ღვინის 506 წლის კრებასთან დაკავშირებით დღეს ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბებულია სამი ძირითადი დებულება: 1. 506 წლის კრებაზე ქართლი ოფიციალურად მიემხრო მონოფიზიტობას და ასე დარჩა VII ს-ის დამდეგს ქართველებსა და სომხებს შორის მომხდარ საეკლესიო განხეთქილებამდე, 2. ღვინის საეკლესიო კრებამ, შესაძლოა, დაადსტურა კავკასიის ეკლესიების ორგანიზაციული ცენტრის ჩამოყალიბება ღვინის საკათალიკოსოს

⁴ 3. გათრქიანი (რამდენადღე ჩვენთვის ცნობილია გამოქვეყნებულ ნაშრომში) და ნ. აკინიანი (*Հանդես Ամսօրեայ*, 1908, №. 169; *Կիսիხն կարողիկայ վրայ, Վիեննա*, 1910, გვ. 93). კრების დეილად, გვინი წყაროების ჩვენების მიხედვით, ნორ-ქალაქს (ელარშაბატს) ასახელებენ. ნ. აკინიანი თვლიდა, რომ ელარშაბატში სამი კრება შედგა: 510 წ. (სხვაგან იგი 508 წელს ასახელებს—*Կիսիხն...*, №. 14), 512/3 წ. და 514/5 წ. ბაბგენის პირველი ეპისტოლე დაწერა პირველ კრებაზე, ხოლო მეორე—მესამეზე (*Հայոց եկեղեցական կրտսեր*, 21, 1904, გვ. 211—212). ე. ტერ-მინასიანის გამოკვლევების შემდეგ უკვე არ უნდა იყოს რომ კრება შედგა ღვინში 506 წელს (იხ. *Ե. Տեր-Մինասյան, Բաբգեն կարողիկայի միովի բժական եկ տեղ: Պատմաբանասիրական հետազոտություններ*. Երև., 1971, გვ. 31—44; პირველი პუბლიკაციისათვის იხ. *Արարատ*, 1908). ამავე თარიღზე შეჩერდა ბოლოს ნ. აკინიანიც (იხ. *Մისი Մովսես Գախիարոսի...*, 21, 1953, 579—583).

ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ ღვინის 506 წლის კრება იყო სომეხთა ადგილობრივი კრება, ხოლო კავკასიის ეკლესიების საერთო კრება უნდა შემდგარიყო ახლო მომდევნო ხანაში ქ. ელარშაბატში (ქართული ერის ისტორია, 1, გვ. 314).

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 313., იხ. აგრეთვე, *И. А. Джавахов, История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века*, С.-Пет., 1908, გვ. 513—514.

⁶ ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე: შრომები, 1, თბ., 1949, გვ. 115.

პრიმატობით. 3. აღნიშნული იდეოლოგიურ-ორგანიზაციული ცვლილებები ირანის სახელმწიფოს გავლენით მოხდა.

1. ბაბგენის I ეპისტოლეს მიხედვით, დვინში კრება უკვე მიმდინარეობდა, როდესაც მასზე სპარსეთიდან ჩამოსული ანტინესტორიანები გამოცხადდნენ კავად მეფის ბრძანებით ხელში. მაშასადამე, კრების მოწვევა არაფრით არ იყო დაკავშირებული იმ საკითხებთან, რის გარკვევაც სურდათ სპარსელებს⁷. სპარსელების დვინში ჩამოსვლა მოულოდნელი იყო კავკასიის ეკლესიების მეთაურთათვის, ვინაიდან მათ მოუხდათ კრების მესვეურებისთვის თავისი ჩამოსვლის მიზეზების ახსნა როგორც ზეპირად, ისე წერილობითაც. თავის მხრივ, არც სპარსელებმა და მით უფრო კავად მეფემ, რომლის ნებართვითაც წამოვიდა დელეგაცია, არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ რა მრწამსს აღიარებდნენ ქართველები, სომხები და ალბანელები: სპარსეთში ნესტორიანებს ხმა გავრცელებინათ, რომ ესენიც ნესტორის მიმდევრები არიანო. ამრიგად ეჭვი არ არის, რომ დვინის 506 წლის კრების მოწვევასთან და მასზე განსახილველ საკითხებთან სპარსეთის სახელმწიფოს არავითარი კავშირი არა ჰქონდა და არც იყო მის შესახებ ინფორმირებული⁸.

ბაბგენის I ეპისტოლეს მიმართვა — „ყველა შორწმუნეს სპარსეთის ქვეყნის, რომლებიც ხართ კვატ მეფეთ მეფის ხელმწიფების ქვეშ“ — იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ სომხეთის კათალიკოსი თავის ქვეყანას სპარსეთზე დამოკიდებულად არა თვლიდა.

2. როგორი რელიგიური სიტუაცია იყო თვითონ სპარსეთში? ბაბგენის I ეპისტოლეს მიხედვით, სპარსეთში პეროზ მეფის 27-ე წლიდან (484) გაძლიერებულან ნესტორიანები. ისინი სპარსეთის სახელმწიფოში შემავალ სხვადასხვა ქვეყანაში ადგილობრივ კრებებს იწვევდნენ და მონოფიზიტებს სასტიკად დევნიდნენ⁹. როგორც ჩანს, ნესტორიანებს ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებიც („მთავრები და მსაჯულები“) მხარს უჭერდნენ და ასე მონოფიზიტები „დიდ ხიფათში ვარდებოდნენ“. ქვეყანა შფოთმა და არეულობამ მოიცვა. ნესტორიანები სამეფო ხელისუფლებას არწმუნებდნენ, რომ მეზობელ ქვეყნებშიც იგივე სარწმუნოების აღსარებაა გავრცელებული, რასაც ისინი ჯაღაგებენ. მონოფიზიტებმა საჩივრებით კავად მეფემდე მიაღწიეს და მისგან ნებართვა მიიღეს, რომ შეიტყონ „ბერძენთა, სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა“ პოზიცია გამწვავებულ იდეოლოგიურ შეხლა-შემოხლაში. ეჭვი არ არის, რომ თვითონ ირანში ნესტორიანები VI ს-ის დამდეგს გაბატონებული ყოფილან და მონოფიზიტები გაჭირ-

⁷ იხ. ნ. ს. ს. შ-შ-ის ნაშრომები, „ნათიარსკანიაკიანერ ჯაკაათანიან: შათან-რან-სიპრასკან ნათაკითიკიანცხერ“, გვ. 357.

⁸ ბიზანტიასა და სპარსეთს შორის იმ მიმდინარეობდა 502—506 წწ-ში. 505 წლის აპრილში დაიღო ზავი Status quo-ს შენარჩუნებით, E. W. Brooks, The Eastern Provinces from Arcadius to Anastasius. The Cambridge Medieval History, I, 1964, გვ. 481—483; История Византии, I, М., 1967, გვ. 216. ამ ხანებში სომეხებზე სპარსეთის გავლენა შეცვლილია ბიზანტიის გავლენით იხ. ს. ს. შ., ჯაკიე ათათიკიანერ, I: სრქსქი ძიქიქიძი, II, 1967, გვ. 141.

⁹ ს. ს. შ., ჯაკიე სრქსქიძი, 1908, გვ. 194.

ვეებით იცავდნენ თავს მათგან¹⁰. დვინში სპარსელი მონოფიზიტების ჩასვლაც თავდაცვის ერთ-ერთი ასეთი საშუალება იყო.

3. ბაბგენის მეორე ეპისტოლე გვიჩვენებს, რომ დვინში 506 წელს მოწვეული იყო სომეხები, ქართველთა და ალბანელთა საერთო კრება. არცერთი ეპისტოლედან არა ჩანს აშკარად რატომ და ვისი ნებით შეკრებილიყვნენ ერთად ამ ქვეყნის ეპისკოპოსები. პირველ ეპისტოლეში კრების მონაწილეთა გვერდით ყველგან და პირველ ადგილზე ბერძნების დასახელება უნდა მოწმობდეს, რომ დვინში კონსტანტინეპოლის ეკლესიის წარმომადგენლებიც ჩასულან. ბაბგენის მტიცივე პასუხი — „ბერძნების, ჩვენი სომეხების, ქართველებისა და ალბანელების სარწმუნოება ეს არისო“, იმის ნიშანია რომ მას ინფორმაცია ბერძენთა შესახებ საძებნი არა ჰქონდა და კრებაზე ყველა დასახელებული ეკლესიის პოზიცია სარწმუნოების აღსარების საკითხში სპარსელთა ჩასვლამდე უკვე გარკვეული იყო. მაშასადამე, ბერძნები კრებას ესწრებოდნენ, მაგრამ კრების მონაწილენი არ იყვნენ. ცხადია, ისინი კრების მოწვევის ინიციატორებად და ხელმძღვანელებად უნდა მივიჩნიოთ. ამას ისიც ადასტურებს, რომ კრების აქტები, მონაწილეთა ენის გარდა, ბერძნულადაც დაიწერა და არ დაწერილა სპარსულად¹¹. მაშასადამე, ჩვენ არ ვიცით ზუსტად რა მიზეზითა და რა დღის წესრიგით შეიკრიბა დვინში კავკასიის ეკლესიების წარმომადგენელთა საერთო კრება¹², მაგრამ ვიცით, ვის ნებას გამოხატავდა იგი. ამის შემდეგ ძნელი აღარ უნდა იყოს დოგმატიკის საკითხში კრების საერთო განწყობის განსაზღვრა, ვინაიდან ამ ხანების ბიზანტიის კეისართა რელიგიური პოლიტიკა და კონსტანტინეპოლის პატრიარქის პოზიცია საკმაოდ კარგად არის ცნობილი.

4. პირველი ეპისტოლეს მიხედვით, სომეხთა, აგრეთვე ქართველთა და ალბანელთა, მხოლოდ ანტინესტორიანული პოზიცია მოჩანს. რას ქადაგებდნენ

¹⁰ შტრ. A. Gardner, *Religious Disunion in the Fifth Century*: CMH, I, გვ. 519, 499 წ. კრებამ სელევკიაში ნესტორიანობა სპარსეთის სახელმწიფო სარწმუნოებადკე კი გამოაცხადა. იხ. **Կ ա რ ո ս յ ե ո Վ . . . Հայոց եկեղեցու...**, გვ. 434. გვიორ ბარჰებრეოსი ცნობით მხოლოდ ტაგრისის ეკლესია იყო ვაღარჩენილი ნესტორიანების მიძალებისა ან და სიმეონ ბეთ-არშამუნმაც ჩატანილი ეპიტოლუები იქ შეინახა: *Gregorii Barhebraei Chronicon Ecclesiasticum, Lovanii, 1877*, III, გვ. 85; **Ե. Տ Է ր - Մ Ի Ն ա յ ա Ն . Հայոց եկեղեցու յարաբերութիւնները սարսուց եկեղեցիների հետ.**, էջ. 1908, გვ. 77.

¹¹ იხ. აბრაამ სომეხთა კათალიკოსის III ეპისტოლე კიროს ქართლის კათალიკოსისადმი (ეპისტოლეთა წიგნი, სომეხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოცემა **Ն ա Ն Ն ա լ լ Ե լ Ե ի Ժ Ե մ**, თბ., 1963, გვ. 97—98). აბრაამის ცნობით, კრებაზე შედგენილი „პირობის წიგნის“ სომეხური ვარიანტი „არეულობისას დაიკარგა“ (572 წ.) და ამის გამო ბერძნულიდან მოუხდლათ თარგმნა ქ. ურპაში (ელდეს). ვფიქრობთ, არ არსებობს საუფშველი აბრაამის ცნობაში დვინახოთ ბაბგენის II ეპისტოლე (*V. Englishian, Chalkedon und die armenische Kirche: Das Konzil von Chalkedon.*, 1962, გვ. 368), თუნდაც იგი მართლაც ბერძნულიდან იყოს თარგმნილი, რის ერთ ვარსაფუძველს იძლევა საკეთარ სახელთა ბერძნული გაფორმება (იხ. შენ. 18.). „პირობის წიგნის“ გაიღებუა ბაბგენის რომელიმე ეპისტოლესთან შედგომა იქნებოდა (იხ. **Ե. Տ Է ր - Մ Ի Ն ա յ ա Ն . Բարբեն կարոյիկիսի ձովի...**, გვ. 42—43).

¹² ვ. ინგლიზიანის აზრით, ბაბგენის ეპისტოლეებში დაცული ინფორმაცია, ამ თვალსაზრისით, იმდენად მინიმალურია, რომ რაიმე დასკვნის გამოტანა ძნელია. ამიტომ გამოირცხული არ უნდა იყოს, რომ კრება მოიწვევის საეკლესიო იურისდიქციის საქმეების მოსაწესრიგებლად (*Chalkedon und die armenische Kirche*, გვ. 365) ასეთ შემთხვევაში საფუძვლიანად უნდა დასაბუთდეს, რომ ქართული და ალბანური ეკლესიები სომეხების ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდნენ, რაც ჯერ არავის გაუტყუებია.

ნესტორი და მისი თანამოაზრენი, დვინის კრების მონაწილეებმა „სპარსელი მართლმადიდებლებისაგან“ შეიტყვეს „ზოგი ზებირ და ზოგი წერილით“: „როგორც თქვენმა მოციქულებმა ძმებმა სამუელ მონაზონმა, შმაგონ ხუცესმა და სხვა მათმა მოყვასებმა გვითხრეს, ბაბე ასორესტანის კათალიკოსი და სხვა ნესტორიანი ეპისკოპოსები ამბობენ...“; „ეს შევიტყვეთ მათგან [იმის შესახებ], თუ [რას] ამბობენ ნესტორიანები“. როგორც ვხედავთ, პირველი ეპისტოლეს მიხედვით, ბაბგენმა სპარსელების დვინში გამოცხადებამდე არაფერი იცოდა ნესტორიანების მრწამსის შესახებ და თუ იცოდა, მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა¹³. დეტალურად მათი მრწამსის საკითხებში იგი დვინის 506 წლის კრების მსვლელობისას გაერკვა. პირველ ეპისტოლეში დასახელებული არიან მხოლოდ ის ნესტორიანად მიჩნეული ერესიარქები (დიოდორე ტარსელი, თეოდორე მოფსუესტელი, თეოდორიტე კვირელი, იბას ედესელი და სხვ.), რომლებიც შემდეგ (553 წ.) შეაჩვენა მართლმადიდებელურმა ეკლესიამაც (ხოლო ამ დროს უკვე წყველიდნენ შემარიგებლური პარტიის წარმომადგენლები), ისიც სპარსელთა წარმომადგენლების პირით. ამდენად, არც ეს სია იძლევა საშუალებას გამოვარკვიოთ, თუ ზუსტად რა პოზიცია ეკავათ დვინის კრების მონაწილეებს ქრისტეს ბუნების განსაზღვრების საკითხებში. სიმპტომატურია ისიც, რომ ნესტორიანთა საწინააღმდეგოდ არგუმენტაციისას ბაბგენი იშველიებს მხოლოდ ნიკეის I (325) და კონსტანტინეპოლის II (381) მსოფლიო კრების ავტორიტეტს. არა ჩანს ეფესოს III მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელმაც მოკვეთა და შეაჩვენა ნესტორი და მისი მიმდევრებო.

5. ბაბგენის პირველი ეპისტოლე დაიწერა დვინის კრების მსვლელობისას, როდესაც აქ სომხებთან ერთად იმყოფებოდნენ ქართლის, ალბანეთის ეპისკოპოსები და აგრეთვე კონსტანტინეპოლის ეკლესიის წარმომადგენლები. მეორე ეპისტოლე პირდაპირ ამბობს, რომ ასეთივე სარწმუნოების წერილები სპარსელებმა წაიღეს ქართველებისა და ალბანელებისაგანაც. ამდენად, პირველი ეპისტოლე ასახავს კრების ყველა მონაწილის პოზიციას და ქართული ეკლესიის მიერ არჩეული გზის შესახებ მხოლოდ მის მიხედვით შეიძლება ვილაპარაკოთ. რაც შეეხება მეორე ეპისტოლეს, იგი დაწერილია მას შემდეგ, რაც „სპარსელი მართლმადიდებლები“ მიიქცნენ სამშობლოში, ნესტორიანებმა არ მოიშალეს მათი დევნა-შევიწროება და სიმეონ [ბეთ-არშამელი] კვლავ დაბრუნდა სომხეთში ახალი წერილის წასაღებად. ცხადია, მთელს ამ ისტორიას რამდენიმე წელი მაინც დასჭირდებოდა და დვინის კრება დიდი ხნის დაშლილი იქნებოდა. მართლაც, II ეპისტოლეს მოსაკითხი ნაწილი აშკარად განსხვავდება პირველის შესაბამისი ნაწილისაგან. იგი დაწერილია მხოლოდ სომხეთის კათალიკოსის, მის კარზე იქამად მყოფი ეპისკოპოსისა და რამდენიმე უმაღლესი საერო ხელისუფლების წარმომადგენლის სახელით. ვინაიდან წერილში მოხსე-

¹³ ႁ ს-ის 11 ნახ.-ში სომხეთში ნესტორიანობის დოკმატიკაში გაწვრთნილი მოძღვრები არ მოიპოვებოდნენ (ნ. სტე-შჩინასხანი, ჯაიე ხსიღხეი კარაქეროიჩიანე, გვ. 80), თუმცა არის წყაროებში მინიშნებები ნესტორიანთა სომხეთში შემოჭრის ცდის შესახებ (ნ. სტე-შჩინასხანი, ჯაიე ხსიღხეი კარაქეროიჩიანე, გვ. 79—81; მისივე, ნუთარიკანიკონი..., გვ. 345—353; ზ. ალექსიძე, არსენი საფარელის ტრაქტატის—„განუფიასიჲს ქართლისა და სომხეთისა“—კრიტიკისათვის (ი. ძ. ანატონიშვილი), „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1972, № 4, გვ. 118—119).

ნიებულია სომეხთა მარზბანი ვარდ მამიკონიანი, რომელიც წყაროთა ჩვენებით 510 წელს გარდაიცვალა¹⁴, მეორე ეპისტოლე დაწერილი უნდა იყოს 506—510 წლებს შორის, უფრო კი 510 წლის ახლოს¹⁵. ამრიგად, თუ ბაბგენის პირველი ეპისტოლე ბერძენთა, სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა საერთო ნების გამოხატველი იყო, მეორე მხოლოდ სომეხთა ეკლესიის მხრივ არის დაწერილი¹⁶.

პირველსა და მეორე ეპისტოლეებს შორის განსხვავება თვალშისაცემია: ძლიერ განსხვავებულია წერილების სტილი, საკუთარ სახელთა დაწერილობა, არგუმენტაცია და განსახილველი საკითხები. პირველი ეპისტოლე მეორისაგან განსხვავებით, დაწერილია შედარებით ნათელი და მარტივი ფრაზეოლოგიით, სტრუქტურულად თანმიმდევრულად არის აგებული. საკუთარი სახელები პირველ ეპისტოლეში ჩვეულებრივ ბერძნული -ის დაბოლოების გარეშეა წარმოდგენილი, მეორეში კი — უმეტესად შენარჩუნებული აქვს. არის უფრო სერიოზული განსხვავებებიც, რაშიც მკითხველი ადვილად დარწმუნდება ქვემოთ წარმოდგენილი სიით:

I ეპისტოლე: შმაგონ, ბარწუმა || ბარწუმე, პავლე, ნესტორ, დიოდორ, თეოდორიტ, ჰაბა.

II ეპისტოლე: სიმონ, ბარწუმე, პავლოს, ნესტორიოს, დიოდოროს, თეოდორიტოს, იბა.

ცხადია, II ეპისტოლე დაწერილია სულ სხვა სიტუაციაში, სხვა წრეში და სხვა მასალის საფუძველზე, ვიდრე პირველი. ძნელია ამ განსხვავების ახსნა. პირველ სიაში უფრო სირიული ენის კვალი იგრძნობა¹⁷, მეორეში — ბერძნულის გავლენაა ძლიერი¹⁸.

თუ პირველ ეპისტოლეში ქალკედონის კრების ხსენებაც არ იყო, მეორეში იგი უკვე ორჯერ გვხვდება¹⁹. ეს გარემოება საფუძველს აძლევდა ზოგ

¹⁴ ვარდ მამიკონიანის მარზბანობის პერიოდს 605—610 წ-ლებით ვანაზღურავენ (Հ. Ա. Մ. Ա. Ջ. Հայ-ի անճանաչման քառարան, V, № 1, 1962, გვ. 70), თუმცა 516 წელს დაწერილ ეპისტოლეში იგი ჯერ კიდევ არ იხსენიება ამ ტიტულით.

¹⁵ ე. ტერ-მინასიანი 547—8 წწ ვარაუდობს (იხ. მისი Հայ-ի სსկსხვი յարաբերութիւններ, გვ. 83).

¹⁶ Ն. Տէր-Միհրանյան, Բարժեք կարգիկիսի ժողովի..., გვ. 36; Կարապետ Վ. Հայ-ի სსկსხვი յարաբերութիւն մասնակցութիւն..., გვ. 434.

¹⁷ შესაძარბებლად ჩვენ მხოლოდ ის საკუთარი სახელები მოვიტანეთ, რომლებიც ორივე ეპისტოლეში გვხვდება. ამით გარდა I წერილში დვინში ჩამოსული დელეგაციის უმრავლესობის სახელები სირიულია ან სირიულად არის გაფორმებული, რაც საფუძველს აძლევდა ე. ტერ-მინასიანს ისინი სირიულებად ჩათვალო (იხ. Հայ-ի სსկსხვი յարաբերութիւններ, გვ. 75—76).

¹⁸ ე. ინვლიზიანის აზრით, ბაბგენის II ეპისტოლე დაწერილია სიტყვა-სიტყვით სიმეონ ბეთ-არშამელის კარნახით (Chaikodon und die armenische Kirche, გვ. 367, 370). ამ დებულებით დასაბუთება შეუძლებელია სირიულების მაგიერ ტექსტში ბერძნულების გაჩენის აუსწნელად (იხ. შენ. 11).

¹⁹ 1. «ქალკედონის კრებისაგან გაძლიერებულმა [ნესტორიანობამ]» (Էի ժողովին «Քաղկեդոնի գործեսյա») 2. «ტიტებით და უარყოფთ ქალკედონში ნესტორისა და სხვა նის მსպետო სიტყւք» («Քաղկեդոնի օրացեսյա գ'ի Քաղկեդոնի սուրբին ցեստորի և այլոցն նմանիք») მეორე წინადადება სიტყვა-სიტყვით მეორდება Narratio de rebus Armeniae-ში, ოღონდ შეეწერება სომეხთში ჩამოსულ სირიულ ივლიანტებს ქრონოლოგიურად შედარებით გვიან (VI ს-ის შუა ხანები) პერიოდთან დაკავშირებით (იხ. G. Garitte, la Narratio de rebus Armeniae, Louvain, 1952, § 63, გვ. 152—153).

მკვლევარს, ეპეი შეეტანა მეორე ეპისტოლეს ავთენტურობაში²⁰. არის სხვა ცდებიც მასში ქალკედონის კრების მოხსენიების ასნისისა²¹. მეორე ეპისტოლე უკვე იცნობს ეფესოს III მსოფლიო კრებას, მონოფიზიტ ერესიარქებს, ზენონის „ჰენოტიკონს“, უფრო ფართოდ იშველიებს გამოჩენილი საეკლესიო მამების ავტორიტეტს²².

ორივე ეპისტოლეში ბაბგენი იძლევა იმ სარწმუნოების აღსარებას, რომელსაც აღიარებენ სომხები. საგულისხმოა, რომ პირველ ეპისტოლეში სომხური სარწმუნოების აღსარება ნიკეის სარწმუნოების სიმბოლოს ფარგლებიდან არ გამოდის და არიანელთა საწინააღმდეგო ფორმულით მთავრდება. მეორეში უკვე ჩანს ანტინესტორიანული მსჯელობა სამების „დამატების“ (*კახიკომბ*)²³ შესახებ და მომარჯვებელია ეფესოს კრების ავტორიტეტი. ძნელა თავი გაითავისუფლო ეკვისაგან, რომ დვინის 506 წლის კრების მონაწილეებს ჯერ კიდევ არა ჰქონდათ ნათელი წარმოდგენა V ს-ის მანძილზე მსოფლიო ეკლესიაში მიმდინარე ძლიერი ნესტორიანული და მონოფიზიტური ცილობის შესახებ; ისინი ჯერ კიდევ მხოლოდ ნიკეა-კონსტანტინეპოლის დოგმატიკის დონეზე იმყოფებოდნენ. მეორე ეპისტოლეს შედგენისას მდგომარეობა არსებითად განსხვავდება. სომხეთის ეკლესიის მესვეურები უკეთ არიან ვარკვეული თანადროულ რელიგიურ სიტუაციაში და მხარს, თუმცა ჯერ კიდევ შემარბიებლურ დონეზე, მაგრამ მაინც უფრო მონოფიზიტობას უჭერენ. ამიტომ ვარაუდობს სწორედ ვ. ინგლიზიანი, რომ ბაბგენის მეორე ეპისტოლე ასახავს სომხეთის ეკლესიის არა მხოლოდ კერძო პოზიციას, არამედ იგი სიტყვა-სიტყვით ნაკარნახევია სპარსეთიდან ჩამოსული სირიელი მონოფიზიტის სიმეონ ბეთ-არშამელის მიერ²⁴. ასეა, თუ ისე, ქართული და ალბანური ეკლესიები მეორე ეპისტოლესთან არ არიან დაკავშირებული და მათი მრწამსის შესახებ მხოლოდ პირველი ეპისტოლეთი შეიძლება მსჯელობა. ხოლო პირველი ეპისტოლე ს მიხედვით, დვინის 506 წლის კრება ქალკედონიანობის საკითხს არ იხილავდა.

6. ვნახოთ ახლა, რისი ამოკითხვა შეიძლება დვინის 506 წლის კრების შესახებ გვიანი ხანის სომხურ წყაროებში.

აზრაამ სომხთა კათალიკოსის III ნაისტოლე კირონ ჰაბთლის
 კათალიკოსისადმი:

„ეხლა, თუ მამათა სარწმუნოებისაგან შეცვლილი არა ხართ, როგორც მრავალჯნის მოგვწერე, მოდი, დაგმე შენც ქალკედონის წყეული კრება და ლეონის ბილწი ტომარი, როგორც შენმა წინაპარმა ნეტარმა გაბრიელ ქართ-

²⁰ ნ. აკინიანს VII ს-ში, ან უფრო გვიან, შეთხზულად მიაჩნია (ზმ., 1953, 582—583).
 იხ. შენ, 35.

²¹ ე. ტერ-მინასიანი უარყოფს მ. აბელიანის ვარაუდს, თითქოს II ეპისტოლეში ქალკედონიანობა გათანაბრებულია ნესტორიანობასთან (წ. Ա. Բ. Է. Յ. Ա. Գ., Հայոց Եկեղեցու Գիրքը քաղկեդონականության վերաբերմամբ 5-րդ դարի պასხინ: Երկիր, III, Եր., 1968, გვ. 672), რადგან 506 წელს საერთაშორისო რელიგიური სიტუაცია ამის უფლებას არ იძლეოდა. მისი აზრით მეორე წინადადება (იხ. შენ, 19) პირველის მნიშვნელობით უნდა გავეგოთ (ნեստორականությանը Հայաստանում, გვ. 360—362).

²² V. Inglisian, Chalkedon und die armenische Kirche, გვ. 367—370.

²³ შტრ. Н. Адонц, Амплий, епископ херсонский, Христианский Восток, II, в. II, 1913, გვ. 183.

²⁴ იხ. შენ, 18.

ლის კათალიკოსმა დაწყევლა ჩვენ ნეტარ მამებთან ერთად თავის თანამოსაყდრეებთან ერთად... ეს ნეტარი ეპისკოპოსები, რომლებიც თქვენი ქვეყნიდან იყვნენ, ალბანელებთან და სიენიელებთან ერთად სომხეთში შეიყარნენ ბაბგენ სომეხთა კათალიკოსის დროს იმ კრებაზე, რომელზეც დაიწყევლა მათგან ერთობით ქალკედონის კრება და ლეონის ტომარი. რადგან პირობის წიგნი, რომელიც სომხურად იყო დაწერილი, არეულობისას (აჯანყებისას) დაიკარგა, ეს ქალაქ ურპაში (ედესაში) ითარგმნა რომაელთა (ბერძენთა) წიგნიდან, რადგან მათაც ჰქონდათ იგი ჩვენგან. ჭეშმარიტად და წმიდად როგორც ჯერ იყო, ვერ შეძლეს ეთარგმნათ... ხოლო თუ გსურთ [იცოდეთ], იმ ეპისკოპოსთა სახელებით, აღვიღთა მომდევნოებით და ეპისკოპოსთა სხვა სახის სახელებით, როგორც წერია, შეგვიძლიათ იპოვოთ საეპისკოპოსოთა და სხვათა ნამდვილი სახელები, რადგან ჩვენც მაგნიაირად შევძელით, რომ გვეპოვა. მით უფრო რომ პირობის წიგნს თქვენს ენაზეც იპოვით“.²⁵

იოანე იმასტასერი (ოქტომბერი) — „იმ კრიზათა შესახებ, რომლებიც შეიღბა სომხეთში“:

„მეხუთე კრება მოიწვია ბაბგენმა, ქალაქულაშტში კავად მეფის მე-18 წელს აკაკისა და ბარსუმას ბოროტი წვალეების გამო, რომლებიც ბილწი ერესით, ნესტორის წყეული სნებით გაწვრთნილნი, შეეცადნენ ჩაეწმით მართლმადიდებლური სარწმუნოება აღმოსავლეთის მხარეში და დაენერგათ გაცოფებული ღვარძლი შეჩვენებული ნესტორის ვნებისმომტანი გველისმძივასი, რისთვისაც წერილი დაწერა უფალმა ბაბგენმა და [სარწმუნოების] საზღვარი დაიკვა, რომ თუ რაიმეთი გაცთუნონ მათმა სიტყვებმა, ჩვენ სომხები და ბერძენები, ქართველები და ალბანელები ერთი აღქმით [და] ჭეშმარიტი სარწმუნოებით ვართ განმტკიცებულნი, რომელიც გარდამოგვცეს ჩვენ წმიდა მამებმა სამ კრებაზე“.²⁶

გაგიკ ვასპურაკანის სომეხთა მფვის ეპისტოლე სარწმუნოების შესახებ ბერძენთა კენისრის რომანოსისადმი:

„სომხები, ქართველები და ალბანელები ერთხმა აღთქმით შეიკრიბნენ ბაბგენ სომეხთა კათალიკოსის დროს სომეხთა წმიდა კათოლიკეში, მათთან ერთად იყო გაბრეულ ქართველთა კათალიკოსი, და იმ კრების (ქალკედონის) წინააღმდეგ საერთო [აღთქმა] დადეს კირონ ქართველთა კათალიკოსამდე“.²⁷

იოანე დრასხანაკერძელი — „სომხეთის ისტორია“:

„ბერძენთა ქვეყნის ამ კეთილმსახურების დროს სომეხთა მამამთავარმა ბაბგენმა მოიწვია სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა ეპისკოპოსების კრება ნორ-ქალაქში, წმიდა კათოლიკეში, რომელმაც შეაჩვენა ქალკედონის კრება... ასე მაშინ ბერძენთა, სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა ქვეყნებში საერთო ღვთისმსახურების ერთი სარწმუნოება განმტკიცდა... და განიღვენა ქალკედონის კრება“.²⁸

²⁵ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 97—98.

²⁶ **Գիրք Կրթոց**, გვ. 220—221.

²⁷ **Եկե**, გვ. 300, 24—27 შენიშვნისათვის იხ. შენ. 35.

²⁸ **Յ զ զ ա ն ո յ Ա ր ք յ ի խ ի ս ի Գ ր ա ս խ ան ակ ք ո յ Ե լ յ Պ ա տ մ ար խ ան**

სტეფანოს ორბელიანი — „სისაკანის ისტორია“:

„შემდეგ კრება [შედგა] ნორ-ქალაქში — სომეხთა და სირიელ მართლ-მადიდებელთა — ხუჭიკეთში [მცხოვრებ] ნესტორიანთა ბოროტი აღსარების გამო და საეკლესიო წესებისათვის, ბაბგენის [მეთაურობით], რომელთა-ნაც იყო ნეტარი მუშე, სივნიელთა მიტროპოლიტი“²⁹.

როგორც ვხედავთ, გვიანი სომხური წყაროები დვინის კრების განსაზღვრებათა შეფასების თვალსაზრისით ორ ჯგუფად იყოფა: 1. აბრაამ სომეხთა კათალიკოსის ეპისტოლე, ვაგიკ ვასპურაკანელის ეპისტოლე და იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“. 2. იოანე ოძუნელის „სომხეთის კრებების ისტორია“ და სტეფანოს ორბელიანის „სისაკანის ისტორია“. პირველი ჯგუფის წყაროები გვამცნობენ, რომ დვინის 506 წლის გაერთიანებულ კრებაზე სომხებმა, ქართველებმა და ალბანელებმა შეაჩვენეს ქალკედონის კრება. მეორე ჯგუფის წყაროების მიხედვით, კრებამ ნესტორიანობის საკითხი განიხილა მხოლოდ; ამასთანავე, ბაბგენის პირველ ეპისტოლესთან შინაარსობრივად ესენი გაცილებით უფრო ახლოს არიან, ვიდრე პირველი ჯგუფის წყაროები. იოანე ოძუნელი და სტეფანოს ორბელიანი სპეციალურად ლაპარაკობენ სომხეთში მოწვეული ადგილობრივი კრებების შესახებ. ამიტომ, კრების დღის წესრიგის განსაზღვრისას მათ მეტი სიზუსტე მართებთ. მომდევნო სტრიქონებში მათ უნდა გვაცნობონ დვინის 551 წლის კრების შესახებ ნერსე II მიჯინის ხანაში, როდესაც უკვე სრულიად აშკარად დაიგმო ქალკედონის კრება. ცხადია, ეს ავტორები კარგად არჩვენ დვინის I და II კრების საკითხებს ერთმანეთისაგან:

„მეექვსე კრება მოიწვია უფალმა ნერსემ დვინში... ეს კრება უფალმა ნერსემ ქალკედონის კრების საწინააღმდეგოდ მოიწვია“ (იოანე ოძუნელი).

„შემდეგ დვინში [შედგა] კრება ნერსე კათალიკოსის დროს, ქალკედონის განსაზღვრებისა და ნისტორის წვალების გამო“ (სტეფანოს ორბელიანი).

დვინის II კრება ითვლება (როგორც მონოფიზიტურ, ისე ქალკედონურ მწერლობაში) სომხური ეკლესიის მიერ მონოფიზიტობის ოფიციალურ სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების ორგანოდ, მასვე მიეწერება უმნიშვნელოვანესი ანტიქალკედონური ლიტერატურის თარგმნის წამოწყება³⁰. დვინის I კრება კი ასეთი მნიშვნელობისა არ არის და ქალკედონურ სამყაროში საერთოდ უგულებელყოფილია.

იოანე ოძუნელის ცნობა იმითაც იქცევა ყურადღებას, რომ იგი დვინის კრებაზე ბაბგენის მიერ „სპარსელ მართლმადიდებელთადმი“ მხოლოდ ერთი წერილის მიწერის შესახებ ლაპარაკობს. ცხადია, იოანეს მხედველობაში აქვს პირველი ეპისტოლე, ერთადერთი, რომელსაც შეიძლება დასაერთო კრების სახელით შექმნილის პრეტენზია აქვს.

²⁹ მოსქიანის ოცეცხანი, შათნიქსნი ნანანქინ შიხსონ, შიქ., 1911, გვ. 453—454.

³⁰ Narratio de rebus Armeniae, § 68—76; Քաղբ Փառայ պատրիարքի առ Զարարի-այ կարդիქիս Հայոց մեծայ: Православный Палестинский Сборник, XI, С.-Пет., 1892, გვ. 181, 229; არსენის საფარელი, განუფისათს ქართლისა და სომხითისა, გამოაქვეყნა ზ. ალექსიძემ, ქართული წყაროთმცოდნეობა, IV, თბ., 1973, გვ. 135.

პირველი ჯგუფის წყაროებიდან უძველესია კირონ ქართლის კათალიკოსის მიმოწერა მოსე და აბრაამ სომეხთა კათალიკოსებს შორის. ამ წერილებს ბაზგენის ეპისტოლეებიდან ერთი საუკუნე აშორებთ. პოლემიკით გამოწვეულ თავისებურ სიტუაციას აღნიშნულ მიმოწერაზე თავისი კვალი დაუშინვეია და წარსულიდან ბევრი რამ მნიშვნელოვნად განსხვავებულად აღუქვამთ მოპაექრე მხარეებს, ვიდრე ეს პირველწყაროებშია ასახული.

მოსე კათალიკოსი VII ს-ის პირველსავე წლებში კირონ ქართლის კათალიკოსს წერდა: „გაიგე, რომ კავატ მეფეთ მეფის დროს სარწმუნოების კვლევა-ძიება იყო. რომაელებმა (ბერძენებმა) ქალკედონის სარწმუნოება შეიწყნარეს, ხოლო ჩვენი ქვეყანა და თქვენი განდგნენ და გაშორდნენ. ჯერაც წერილობით არის დაცული ჩვენი და თქვენი ერთობა სარწმუნოებისა“³¹.

ამასვე იმეორებს რამდენიმე წლის შემდეგ აბრაამ სომეხთა კათალიკოსი თავის პირველ ეპისტოლეში კირონისადმი: „თუმცა-ღა მეფეთ მეფის კავატის წლებში კვლევა-ძიება იქმნა ჩვენ ქვეყანასა და რომაელთა (ბერძენთა) შორის, რომელთაც ქალკედონის კრება და ლეონის ტომარი შეიწყნარეს, ჩვენი და თქვენი ქვეყნის მოძღვარნი და მთავარნი განეშორნენ მათთან ზიარებას, [რაც] ერთობით წიგნითაც არის დაცული ჩვენ შორის აქამდე“³².

ყველა მოპაექრე რომ ღვინის 506 წლის საერთო კრებას გულისხმობს, ამასი ეჭვი არ არის. ზემოთ უკვე ციტირებული აბრაამის მესამე ეპისტოლე ხომ კრების მონაწილე კათალიკოსებსაც (ბაბგენს და გაბრიელს) ასახელებს. მაგრამ არც ის არის საეჭვო, რომ სომეხი კათალიკოსები 506 წლის კრებას ამომდევნო ხანის ამბების პრიზმით უყურებენ, თორემ ჩვენ ხომ უკვე ვნახეთ, რომ ამ კრებაზე (ბაბგენის ეპისტოლეს მიხედვით) ბერძენებს, სომეხებს, ქართველებს და ალბანელებს შორის სრული თანხმობა იყო სარწმუნოების საკითხში³³.

კირონ ქართლის კათალიკოსმა, როგორც ჩანს, კარგად იცოდა ღვინის კრების ისტორია და ისიც, რომ მის ვადაწყვეტილებებში ქალკედონის კრების საწინააღმდეგო არაფერი ეწერა. ამიტომ აძლევს ის თავს უფლებას განუცხადოს მოსე კათალიკოსს: „კავატ მეფეთ მეფის დროის [შესახებ] რომ მოგიწერიათ,

³¹ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 126.

³² იქვე, გვ. 67.

³³ Կ ար ա յ ի տ Վ... Հայոց եկեղեցւոյ անաչխն ժամանակուրին. გვ. 435.

H. Адонц, Амплий..., გვ. 185.

აბრაამ სომეხთა კათალიკოსმა კიდევ უფრო კონკრეტული ამბავიც მიაწერა ღვინის I კრებას. იგი III ეპისტოლეში წერდა კირონ ქართლის კათალიკოსს, რომ სომეხებმა ამ კრებაზე თქვენიან, ალბანელებთან და სივნიელებთან ერთად დაწყევლესო ქალკედონის კრება (ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 98). მაშინ, როცა სივნიეთი სომეხეთის ეპისკოპოსების რიცხვშიც კი არ არის დასახელებული, არამიტუ ქართველებისა და ალბანელების გვერდით. საქმე ის არის, რომ სივნიეთის ეკლესია VI ს-ის ბოლოს გამოეყო ღვინის საკათალიკოსოს და მისი კვლავ შეერთება მწვავე პრობლემა გახდა სომეხეთის ეკლესიისათვის VII ს-ის დამდეგს. ამიტომ ვანიხილავს მასაც აბრაამი დამოუკიდებელი ეკლესიების რიგში და ძველ ერთობას უკიციანებს, თუმცა დოკუმენტრ ამის საფუძველს არ იძლევა. მოსე კალანკატუელის „ალბანეთის ისტორიაში“ (გვ. 306) ღვინის I კრების მონაწილეთა შორის დასახელებულია „მთელი იტალიაც“, მაშინ როცა რომის პაპი თავიდანვე დაუპირისპირდა ზენონისა და ანასტასის შემარიდებლურ კურსს. მოსე კი წერს, რომ „ბერძენებმა, მთელმა იტალიამ, სომეხებმა, ალბანელებმა და ქართველებმა ერთხმად დასწყევლეს ბერძენთა ეკთომსახური მეფეების ზენონისა და ანასტასის ბრძანებით ქალკედონის კრება და ლეონის ტომარი“, რათა შემდეგ ამ ქვეყნების სომეხთაგან გამოეყოფის შესახებ ილაპარაკოს (იხ. შენ. 40).

11. „მ ა ც ნ ი“, ისტორიის... სერია, 1973, № 3.

ვიციტ, რომ ისე იყო, როგორც მრავალჯერ გვსმენია. ჩვენი და თქვენი მამების ერთობის, აღთქმისა და სარწმუნოების დამტკიცების შესახებაც რომ მოგიწყობათ, ჩვენ იგივე გვაქვს³⁴.

ამრიგად, ღვინის 506 წლის კრების დროს დაიწერა მხოლოდ ბაბგენის I ეპისტოლე და მასში ქალკედონიანობის შესახებ სიტყვაც არ არის. ასეთივე წერილები დაუწერიათ ქართველებსა და ალბანელებსაც. გვიანი ხანის წყაროებში გაჩენილი ცნობის ასხნა კი ადვილია, თუ ზემოთ მოტანილ მასალას დავუმატებთ ნ. აღონცის ანალოგიურ დაკვირვებას, რომელიც მან გამოთქვა, როდესაც ბაბგენის II ეპისტოლეში გარკვეული ანტიქალკედონური ინტერპოლაციები ივარაუდა³⁵.

7. თუ ღვინში შეკრებილი ეპისკოპოსები არც ნესტორიანობის საკითხს განიხილავდნენ და არც ქალკედონიანობისა, მაშ რა უნდა ყოფილიყო კრების სამსჯელო საკითხი? როგორც ჩანს, მართალი უნდა იყვნენ ის სპეციალისტები, რომლებიც ვარაუდობენ, რომ 506 წლის კრებაზე ა/კავკასიის ეკლესიებმა მიიღეს ზენონის შემარიგებლური „ჰენოტიკონი“ (482 წ.), რომელიც კრძალავდა ქრისტეს ბუნების შესახებ კამათს და ნიკეა-კონსტანტინეპოლის სარწმუნოების სიმბოლოს დონეზე რჩებოდა³⁶. ანასტასი კეისრის ხანაში (491-518) საერთაშორისო ვითარება და ბიზანტიის სახელმწიფოს რელიგიური კურსი ზუსტად შესაბამემა ამ ვარაუდს³⁷.

8. აქვე გვინდა განვიხილოთ ბოლო ხანებში წამოჭრილი ერთი საკითხი. ბაბგენის მეორე ეპისტოლეში ნათქვამია, რომ პირველი წერილი დაიწერა „ქართველებთან და ალბანელებთან თანხმობით, თითოეული ქვეყნის წიგნით“ (*ქრავე კ სკოთანხე მქარანოქხამრ, ქარვანჯქარ აჯქარჩი ყიოქ*). ამ ცნობას სპეციალისტები იყენებდნენ VI საუკუნის დამდევს ალბანური მწერლობის არსებობის დასამოწმებლად: „სპარსელ მართლმადიდებლებს“ ეპისტოლე გაეგზავნათ სომხურ, ქართულ და ალბანურ ენებზე³⁸. ა. მნაცაკანიანმა გამოთქვა ვარაუდი, რომ „თითოეული ქვეყნის წიგნით“ ენება არა სომხებს, ქარ-

³⁴ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 130. კირონის ეპისტოლე მოსე ტურტაველისადმი მხოლოდ უხტანესმა შემოინახა (მც სთ ა ნ ც ხ, *ჟამონიქსინ რამანმან ქრავე ქ ლაიოე, ქაოყარქ*, 1871, გვ. 12—13). ივ. ჯავახიშვილი მას ნაყალბევად თვლიდა და, ალბათ, ამიტომ წერდა, რომ კირონი ღვინის კრების საკითხებს გამო უტრს იყრუებდა, რადგან თავის სასარგებლოდ არა თვლიდა (*История церковного разрыва между Грузией и Арменией*, გვ. 513; ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 314).

³⁵ აღონცი, ამპელი. გვ. 185. თანამედროვე მეკლევრებიდან ვ. ჰაუტნი და ე. მესერიანი II ეპისტოლეს მთლიანად აპოკრიფულად თვლიან, ხოლო კოვიანს იგი ინტერპოლირებულად მიანიჩნა (იხ. Jean Méségrian, *Histoire et institutions de l'Eglise armenienne*, Beyrouth, 1965, გვ. 64—65). ეს ბოლო თვალსაზრისი ჩვენ ჯერჯერობით ყველაზე უფრო მისაღები გვჩნდება.

³⁶ ღვინის კრებაზე სპარსეთიდან ჩამოსული სირიელი სიმეონ ბეთ-არშამელის ცნობით, ქართლისა და სომხეთის ეკლესიებმა ზენონის „ჰენოტიკონი“ მიიღეს (*Epistola Simeonis Beth-Arsamensis de Barsauma episcopo Nisibino: Assemani, Bibliotheka Orientalis Roma, 1799*, გვ. 355; იხ. ნ. ს. ზეკ-შჩინაიკი, *Рарцкн кавкаскх албанцев...*, გვ. 40—41; მისი გვ. *ნსთორაქანიოქიკინე ლუკასთანია*, გვ. 362).

³⁷ F. Hofmann, *Die keiserliche Politik in den Auseinandersetzungen um Chalkedon (451—553): Das Konzil von Chalkedon*, II, გვ. 124—141, აქვე იხ. სათანადო ლიტერატურა.

³⁸ А. Шанидзе, *Новооткрытый алфавит Кавказских албанцев и его значение для науки*, Тб., 1938, გვ. 3.

თველებსა, და აღბანელებს, არამედ — სპარსეთის სამეფოში მცხოვრებ „სხვადასხვა ეროვნების“ ქრისტიანებს, რომლებსაც ეგზავნებათ ეპისტოლე. მათ სთხოვეს სომხეთის ეკლესიას, სპარსეთის სამეფო კარის საშუალებით, რომ დახმარებოდა ზოგი დოგმატური საკითხის გარკვევაში, რადგან სომხეთის, ქართლისა და აღბანეთის ეკლესიები ერთ ორგანიზაციას წარმოადგენდნენ, რომელსაც მართავდა სომხეთის ეკლესია, მიმოწერაში ოფიციალური მხარეები იყვნენ მხოლოდ სომხეთი და სპარსეთი. ამიტომ, წერილიც უნდა დაწერილიყო მხოლოდ სომხურად და სპარსულად. ასეთი მსჯელობის შემდეგ ა. მნაცაკანიანი რუსულად აღნიშნულ წინადადებას ასე თარგმნის: „Вам (т. е. проживающим во владениях Персии христианам—А. М.) мы и раньше писали с согласия грузин и агванцев ствет и каждому из вас—на языке его страны“³⁹.

8. 1. ტექსტს ფორმალური თვალსაზრისით თუ მივუღებთ, შემოთავაზებული თარგმანი ზუსტი არ არის. იგი თავისუფალი გადმოცემაა იმ შინაარსისა, რომელიც მკვლევარმა ივარაუდა წინადადებაში. ა. შანიძის თარგმანი („...о чем мы писали вам и раньше, в согласии с грузинами и албанцами, каждый на своем языке“), ზუსტია, ერთადერთი შესაძლო წაკითხვაა ტექსტისა, და ასე ესმოდა ადრეც ყველა მკვლევარს, ვინც კი ამ საკითხებს შეხებია.

8. 2. ღვინის 506 წლის კრება იყო სამი ავტოკეფალური ეკლესიის თავყრილობა, რომელიც მოწვეული იყო ბიზანტიის სახელმწიფოსა და ხელისუფალთა კარნახით. კრების აქტები იწერებოდა ოთხივე ქვეყნის ენაზე. ყოველ შემთხვევაში, ბერძნულად, ქართულად და სომხურად რომ იწერებოდა, ამას უეჭველად მოწმობს აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მესამე ეპისტოლე კირონ ქართლის კათალიკოსისადმი. ბაბგენის პირველი ეპისტოლედანაც სრულიად ნათელია, რომ სპარსთა დელეგაციის მხოლოდ სომხური ეკლესიის მრწამსი კი არ აინტერესებს, არამედ ქართველთა და აღბანელთაც. ისინი მიმართავენ ბაბგენს: „(ნესტორიანები) ამბობენ, რომ ბერძნებს, სომხებს, ქართველებსა და აღბანელებს იგივე სჯული და სარწმუნოება აქვთ, რაც ჩვენცა გვაქვს“. ბაბგენის პასუხიც ამ კითხვის შესაბამისია: „რადგან ისურვეთ რომ ამ საქმეთა შესახებ ჩვენგან შეგეტყოთ, გაცნობებთ, რომ ბერძნებს, ჩვენ სომხებს, ქართველებსა და აღბანელებს ეს ღმრთის გამოზა არ შეგვიწყნარებია“. ცხადია, ბაბგენი თანაბარი ივარაქის მქონე ეკლესიებს ასახელებს (და ასახელებს რამდენჯანმე), თორემ რა ვუყოთ მაშინ ბერძნებს?⁴⁰ ბაბგენის პირველ ეპისტოლეში კიდევ უფრო ზუსტი მითითებაც გვაქვს, რომ სპარსელები მხოლოდ სომხეთის ეკლესიის არ სტუმრებთან. მათ „მიიღეს ნებართვა, კავატ მეფეთ მეფის ხელწიფურის პროკრატაკი, რომლითაც უფლება მიეცათ, ნებისა და ქრისტიანობის ჭეშმარიტების გამოძიების მიხედვით, განიმტკიცონ თავისი სარწმუნოება ბერძენთა, ქართველთა და აღბანელთა სჯულისა და მეცნიერების თანახმად“. იმისგან დამოუკიდებლად, რა აზრისა ვართ ჩვენ დღეს, ცხადია, კ ა ვ ა დ მ ე ფ ე ს დ ა

³⁹ М. Шенаванян, Ավանից աշխարհի գրականության հարցերի շուրջ, եր., 1960, թ. 11—14; А. Мнацаканян, О литературе Кавказской Албании, Ер., 1962, թ. 9—11.

⁴⁰ გვიანდელ წყაროებში ასეთი ცნობებიც გაჩნდა: „აბრაამ სომეხთა კათალიკოსის ღრის გამოყენენ ქართველნი სომეხთან ერთობას კირონის მიერ, ხოლო ბერძნები და იტალიაც — მათთან ერთად“ (Մովսեսի կապանկատուհացույ Պատմութիւն Աղուանից աշխարհի, թիք., 1912, გვ. 306).

სახელმწიფო ქვეყნების ეკლესიები ოფიციალურ მხარეებად მიაჩნდა და მათგან ოფიციალურ, ეპისკოპოსების ხელრთვიან წერილს ელოდა; ხოლო, როგორც ბაბგენის მეორე ეპისტოლე მოწმობს, მიიღო კიდევ:

დვინის კრებიდან ერთი საუკუნის შემდეგ, VII ს-ის დამდეგს, სომხეთის სახელმწიფოს მესვეურებს ჯერ კიდევ კარვად ასხვდათ, რომ ქართველები სპარსელებთან მიმოწერაში ოფიციალურ მხარეს წარმოადგენდნენ. სმბატ მარზპანი წერს კირონ ქართლის კათალიკოსს: „ენახეთ რომ არიელთა ქვეყანაშიც ქრისტიანები მართლმადიდებელნი იყვნენ; იგივე პირობის [წიგნი] ჩვენსა და თქვენს მამებს მათთვისაც მიეცათ მკაცრი ბრძანებით“⁴¹. უეჭველია, სმბატი ამ სიტყვებში გულისხმობს ბაბგენ და გაბრიელ კათალიკოსების დროს გაგზავნილ ეპისტოლეებს, რომლებიც სომხეთმა, ქართლმა და ალბანეთმა „თითო-ეულმა თავის ენაზე დაწერა“.

8. 3. ბაბგენის პირველ ეპისტოლეში გარკვევით არის ნათქვამი, რომ წერილი დაიწერა „სომხურ და სპარსულ ენებზე“. ა. მნაცაკანიანის აზრით, ასეთი ზუსტი მითითება გამორიცხავს ქართულ და ალბანურ ენებზე ეპისტოლეთა შედგენას. მაგრამ იგივე მითითება, ხომ სწორედ „სპარსეთში მცხოვრები მრავალეროვანი ქრისტიანებისათვის“ ეპისტოლეს შედგენას გამორიცხავს პირველ რიგში? ერთადერთი ენა იმ მხარისა, რომელიც გამართებდას თხოვლობდა იყო სპარსული. სპარსული იმიტომ, რომ სპარსეთის ქვეშევრდომი ქვეყნების ქრისტიანებმა ამიერკავკასიის ეკლესიებთან კავშირი დაამყარეს არა ცალ-ცალკე, არამედ სპარსეთის სამეფო კარის საშუალებით. რა ენაზე და როგორ გადათარგმნიდა შემდეგ იგი ამ ეპისტოლეს, ეს უკვე მათი საზრუნავი აღარ იყო.

ბაბგენის ეპისტოლე, რა თქმა უნდა, მხოლოდ სომხურად და სპარსულად დაიწერა. ქართულ-სპარსულად და ალბანურ-სპარსულად კი შედგა სხვა ეპისტოლეები, ამ ქვეყნის კათალიკოსებისა და ეპისკოპოსების ხელრთვით, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ. საგნებით სწორად და ამომწურავად მიგვაჩნია აღნიშნულ საკითხზე ე. ტერ-მინასიანის განმარტება, გაკეთებული ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში:

„ქართველი ეპისკოპოსები მოხსენიებული არ არიან ბაბგენის პირველ ეპისტოლეში იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ბაბგენის ეპისტოლე დაწერილია გარკვეული მიზნით და მხოლოდ სომეხთა მხრიდან. გარდა ამისა, აშკარად ჩანს, რომ ბაბგენის პირველი ეპისტოლეს მსგავსად სპარსეთიდან მოსულმა მართლმადიდებლებმა „სარწმუნოების წერილი“ ქართველთაგანაც წაიღეს (ხაზი ჩვენია — ზ. ა.). ამას უნდა გვიჩვენებდეს ბაბგენის მეორე ეპისტოლეში შემდეგი სიტყვები: „ასეთი სარწმუნოებით ვცხოვრობთ, რაც თქვენ აღრევე მოგახსენეთ ქართველთა და ალბანელთა თანხმობით, თითოეული ქვეყნის წიგნით“ (ხაზი ავტორისაა — ზ. ა.)⁴². ზუსტად ასეთსავე შეხედულებას გამოთქვამს მ. ორმანიანი, მეორე ცნობილი სპეციალისტი სომხეთის ეკლესიის ისტორიისა და საეკლესიო მწერლობისა. მისი შეხედულებითაც სომეხებმა, ქართველებმა და ალბანელებმა ცალ-

⁴¹ ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 73. დაზიანებული ტექსტი ჩვენ მიერ აღდგენილია ერევნის სახ. „მატენაღარანის“ № 3062 ხელნაწერის მიხედვით.

⁴² Հայոց եկեղեցու յարաբերութիւնները, გვ. 81.

ცალკე დაწერეს ეპისტოლეები. ეს ეპისტოლეები ერთი სულსკვეთებით არის დაწერილი, მაგრამ ერთმანეთის დუბლიკატებს არ წარმოადგენენ⁴³.

8. 4. ბაბგენის პირველ ეპისტოლეში ჩამოთვლილია ზოგი მოწესე, რომლებიც „კავატ მეფეთ მეფის ხელმწიფების ქვეშ“ არიან და პერსონალური მოკითხვა ეთვლებათ მათი მოღვაწეობის ადგილების დასახელებით (ასურეთი, ხუესტანი, ჰერთი და სხვ.). ა. მნაცაკანიანის აზრით, სწორედ ამ ოლქების მცხოვრებთ ეგზავნებათ ეპისტოლეები „თითოეულს თავის ენაზე“. ასეთ ვარაუდს სულ მცირე ორი გადაუღახავი დაბრკოლება ელოდება: 1. ეპისტოლეს ბოლოში გარკვევით არის ნათქვამი რომ ადრესატის ენა არის მხოლოდ სპარსული, 2. ყველა ჩამოთვლილი მხარე შედის სპარსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში და ბაბგენი არცერთგან „ქვეყნად“ (*აჯლარ*), არ იხსენიებს, იგი მათ ყველგან „ოლქს“ (*ნაანაყ*) უწოდებს. „ქვეყანა“ (*აჯლარ*), ბაბგენის ეპისტოლეების ლექსიკით, არის მხოლოდ საბერძნეთი, სომხეთი, ქართლი და ალბანეთი (მაგ. „განიმტვიცონ თავისი სარწმუნოება ბერძენთა, სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა ქვეყნების სჯულისა და მეცნიერების თანახმად“ — „...ნათაჲსი კანბაქნი ზიოთახსიეჲსი ესთ კანბიქი და კიხოქსანი აჯლარქნი ზიოთიე, ზაქიე, ჭაყე და სიკოანხე“). ამის შემდეგ, ცხადია, „თითოეული ქვეყნის წიგნით“ მხოლოდ სომხეთს, ქართლსა და ალბანეთს შეიძლება აღნიშნავდეს და არა სპარსეთის „ნაჰანგებს“.

8. 5. მაგრამ მართლაც და რა საჭირო იყო სომხურად, ქართულად და ალბანურად დოკუმენტების შედგენა? ხომ საკმარისი იქნებოდა სპარსულად დაწერილი ეპისტოლე? ბაბგენის ეპისტოლე დაიწერა სომხურად და სპარსულად იმიტომ, რომ ოფიციალური საერთაშორისო დოკუმენტაცია მოითხოვდა ამას. ასე იწერებოდა ღვინის 506 წლის კრების აქტები მონაწილე ეკლესიების ენებზე, ასევე ორ ენაზე იქმნებოდა მიმოწერა ქართველ და სომეხ საეკლესიო მოღვაწეთა შორის VIII ს-ის დამდეგს, რასაც უეჭველად მოწმობს უხტანესის მიერ X ს-ში ქართულ ენაზე აღმოჩენილი მოსე ელივარდელისა და კირონ მცხეთელის ეპისტოლეები, რომელთა სომხური ვარიანტები მაშინ უკვე დაკარგული იყო, ხოლო დღეისათვის აღარ შემოგვრჩა ქართული ტექსტები⁴⁴.

9. ამრიგად დავასკვნით: 1. ღვინის 506 წლის კრების მიმდინარეობის დროს კავკასიის საეკლესიო ცხოვრებაზე გავლენას ახდენდა ბიზანტია და არა სპარსეთი. ცხადია, ამიტომ სპარსეთის მოთხოვნით რაიმე ორგანიზაციული ცენტრი „სომეხების, როგორც უფრო ძველი მონოფიზიტების, ინიციატივით“, კავკასიაში არ ჩამოყალიბებულა. მით უფრო კიდევ, არ არის საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ქართლისა და ალბანეთის ეკლესიები სომხეთის ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდნენ⁴⁵: აკავკასიის ეკლესიების წარმომადგენელთა კრება მოწვეული იყო ბიზანტიის სახელმწიფოსა და ეკლესიის ნებით, 2. მთელი V ს-ის II ნახევრის მანძილზე სომხეთი, ქართლი და ალბანეთი განუწყვეტელი აჯანყებებისა და ბრძოლის პირობებში იმყოფებოდნენ ირანის მიმართ. 451 წლის ქალკედონის კრებაზე მონაწილეობა არ მიუღიათ ამ ქვეყნების ეკლესიების

⁴³ *წ. ბერძენიანი*, *საქართველო*, § 310.

⁴⁴ იხ. ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 015-026.

⁴⁵ მსგავსი გაერთიანებული კრება კავკასიაში არც მანამდე მოწვეულა და არც შემდეგ. ამ აზრით, შესაძლოა არც იყოს სწორი მისი სომხეთის ადგილობრივი კრებების რიგში განხილვა.

წარმომადგენლებს. მსოფლიო ეკლესიაში მიმდინარე პოლემიკამ კავკასიაში შემოაღწია მხოლოდ VI ს-ის დამდეგს. მანამდე სომხები, ქართველები და ალბანელები არ იყვნენ არც მონოფიზიტები და არც ქალკედონიტები, 3. დვინის 506 წლის კრება მოწვეულ იქნა ანასტასი კეისრის რელიგიური პოლიტიკის პირველ პერიოდში, როდესაც იგი ზენონის შემარიგებლური „ჰენოტიკონის“ პოზიციაზე იდგა და, გარეგნულად მაინც, კიდევ უფრო ლოიალურად იყო განწყობილი ქალკედონიანთა მიმართ, ვიდრე მისი წინაპარი კეისრის ტახტზე ასევე „ჰენოტიკონის“ დონეზე განსაზღვრულად, ან კიდევ უფრო ლოიალურად უნდა მივიჩნიოთ დვინის 506 წლის კრების მიერ აღიარებული სარწმუნოების სიმბოლო. ყოველ შემთხვევაში, ბაბგენის პირველ ეპისტოლეში, რომელიც ერთადერთი სანდო წყაროა დვინის I კრების მონაწილეთა აღსარების წარმოსადგენად, მონოფიზიტური მრწამსის ნიშანწყალიც არ მოიპოვება, 4. დვინის I კრების მონაწილე ეკლესიებს აშკარად ანტინესტორიანული პოზიცია უკავიათ, 5. სპარსელი წარმომადგენლები ჩამოვიდნენ კავკასიაში სომეხთა, ქართველთა და ალბანელთაგან სარწმუნოების აღსარების ოფიციალურად დასადასტურებლად. ამიტომ თითოეული ამ ქვეყნის წარმომადგენელმა ეპისკოპოსებმა სპარსულად და თავის ეროვნულ ენაზე შედგენილი ეპისტოლეები გაუგზავნეს კავად მეფეს, 6. ბაბგენის მეორე ეპისტოლე დაწერილია კრების შემდეგ და მხოლოდ სომეხთა მხრიდან. ამასთან იგი შეთხზულია ანასტასი კეისრის რელიგიური პოლიტიკის მეორე პერიოდში, როდესაც მან სევეროს ანტიოქელის შეგონებით აშკარად იწყო მონოფიზიტური განწყობილებების გამოხატვა. ამიტომ, მას უკვე ემჩნევა „ჰენოტიკონის“ მემარცხენე გააზრება და სირიელი მონოფიზიტების ძლიერი გავლენა, თუ კი დოკუმენტი გვიან ინტერპოლირებული არ არის, როგორც ვარაუდობს ზოგი სპეციალისტი. ქართულ ეკლესიას ბაბგენის მეორე ეპისტოლესთან არავითარი კავშირი არა აქვს და რა პოზიცია დაიკავა მან შედარებით გვიან ქრისტეს ბუნების საკითხში, ცალკე საკვლევია.

პალერი სილოვასა

ისტორიული საბუთები ლაგურკიდან*

ქართული დიპლომატიკის ორიგინალურ და საყურადღებო ძეგლებს წარმოადგენენ ხელნაწერი წიგნების არსიებსა და საგანგებოდ გათლილ ხის ნაჭრებზე მოთავსებული ისტორიული საბუთები. ასეთი საბუთები განსაკუთრებით მრავლად არის შემონახული სვანეთში. ამჟამად არსებული მასალების მიხედვით, ხის ნაჭრებზე დაწერილი საბუთები (და საერთოდ წერილობითი ძეგლები) საქართველოს სხვა კუთხეებში არ გვხვდება.

1972 წლამდე ცნობილი იყო ხის ნაჭრებზე დაწერილი შეიდი საბუთი. მათგან ხუთი ინახება მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და ორი — კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (Qd-7975, Qd-7976). ყველა მათგანი დაკავშირებულია ლაგურკასთან (იხ. საბუთების არქეოგრაფიული შენიშვნები). 1972 წლის აგვისტოში იმავე ეკლესიაში აღმოჩნდა 20 საბუთი. ამრიგად, ხის ნაჭრებზე მოთავსებული საბუთების კოლექცია ამჟამად 27 ერთეულს მოიცავს და ყველა მათგანი ლაგურკიდან მომდინარეობს¹.

რამდენიმე საბუთი მოთავსებული ყოფილა ხის ორ (შესაძლებელია მეტ) ნაჭერზე. მათგან სრული, ე. ი. ორივე ნაჭერზე მოთავსებული ტექსტის სახით მოაღწია მხოლოდ ერთმა (№ 5). რამდენიმე საბუთიდან შემორჩენილია ხის

* სტატიაში წარმოუგნია ბუბლოკაცია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სვანეთის კომპლექსური ექსპედიციის მიერ 1972 წლის ივლის-აგვისტოში მოპოვებული მასალის ერთი ნაწილისა, კერძოდ — საგანგებოდ გათლილ ხის ნაჭრებზე დაწერილი ისტორიული საბუთებისა. ექსპედიციის შემადგენლობა ასეთი იყო: მიხეილ ჩართოლანი (ხელმძღვანელი), რუსუდანი ყენია (ხელმძღვანელის მოადგილე), ლამარა ბედუკიძე, მზია მაკალათია. მოთა ჩართოლანი და ამ სტრიქონების ავტორი. საბუთები აღმოჩნდა 1972 წლის 28 აგვისტოს, ლაგურკის საკურთხეველის ნიშაში და საკურთხეველში დაღმეული სვივის ქვემოთ. ლაგურკა, მესტიის რ-ნის ს. კალის წმ. კვირიკესა და წმ. ივლიტას ეკლესიის სვანური სახელწოდება (<ლ-კვირიკე/ლ-კვირიკე). წარწერის გიხიბს პირველად მზია მაკალათიამ მიაქცია ყურადღება ეკლესიის საკურთხეველში მოთავსებული სიძველეების აღრიცხვის და მანვე გამოაჩინა საბუთების პირველი გვლედი, რომელიც საოცრების განმავლობაში დაგროვილ მტკვრში იყო ჩაფლული. ამ მასალების დამუშავებისა და შესწავლისათვის აუცილებელი პირობების შექმნაში ექსპედიციის დახმარება გაუწიეს მესტიის რ-ნის კალის სასოფლო საბჭომ თავმჯდომარე მკვიტი ავალიანმა, ლაგურკის მცელიმა ჯამალ (ილირ) გულბანმა და მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის უფროსმა მცელიმა დავით ნიქარაძემ. წარწერაინი ხის ნაჭრების გაწმენდა-გამარტობითი სამუშაოები ჩაატარა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ჭიმოურ-სარესტავრაციო ლაბორატორიის თანამშრომელმა ნათელა იაშვილიამ.

¹ ზოგიერთი საბუთის ტექსტი სრული სახით არ შემონახულა. მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული საბუთებიდან ერთის და 1972 წელს აღმოჩენილი საბუთებიდან ორის ტექსტი მთლიანად გადასულია. ნაწილის გადასვლის გამო, სავარაუდოდ არის აგრეთვე ნაკლები ზოგიერთი სხვა საბუთიც (იხ. №№ 4, 11, 14, 16, 17, 21). წინამდებარე სტატიაში, ახალი აღმოჩენილ საბუთებთან ერთად ქვეყნდება მესტიის მუზეუმსა და ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ხუთ დაწერილი საბუთებიც; ისინი აღარ პ. ინგოროვამ გამოსცა (პ. ინგოროვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაყ. მეორე, ტექსტები, თბ., 1941, №№ 69, 70, 72, 117, 118. კითხვასწავლობაში აღნიშნულია ლიტერითი), ხოლო მათა ახალი ბუბლოკაცია მხადდება მ. ბერძენიშვილის მიერ, „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ I ტომში გამოსაქვეყნებლად.

ნაჭრები ტექსტის ან დასაწყისი ნაწილით, ან — დასასრულით. კერძოდ, საბუთების დასაწყისი ნაწილებს შეიცავენ № № 8, 19, 20, 21, ხოლო დასასრულ ნაწილებს — № № 6, 13, 14, 15, 18.

საბუთები დაწერილია შავი, ან მუქი, ხოლო რამდენიმე საბუთი ბაცი ყავისფერი მელნით (ერთი მათგანი — № 7, ლურჯ-მწვანე ფერის მელნით) არყის ხისა და ნაძვის გათლილ ჯოხებზე.

მაშინ, როდესაც სეტის, ან სვანეთის რომელიმე სხვა ქვეყნის საბუთები ხელნაწერი წიგნების არსებობზე, ან დაუწერელ გვერდებზეა მოთავსებული, როგორც ჩანს, კალის ქვეყნის საბუთები, უპირატესად, საგანგებოდ გათლილ ხის ნაჭრებზე იწერებოდა².

ეს საბუთები ეხება კალის, ან უშგულის ქვეყნებს და ამ ქვეყნის მცხოვრებლებს. კერძო პირებს შორის დადებულ აქტებთან ერთად, მრავლად არის ისეთი საბუთები, რომლებშიც ერთ-ერთ იურიდიულ მხარედ მთელი თემი (ანუ ქვეყი) გვევლინება. ეს შეეხება არამარტო ხის ნაჭრებზე მოთავსებულ საბუთებს, არამედ საერთოდ სვანეთის სხვა საისტორიო ძეგლებსაც.

როგორც ხელნაწერი წიგნების არსებობზე, ისე საგანგებოდ გათლილ ხის ნაჭრებზე მოთავსებული საბუთებისათვის დაახასიათებელია ლაკონიზმი, ჩვეულებრივი სახის ისტორიულ საბუთებთან შედარებით ნაკლები სიდიდე. ეს, დიპლომატიკური ძეგლების თავისებურებებთან ერთად, საწერი ფართობის შეზღუდულობითაც არის განპირობებული³.

ხელნაწერის არსებობზე და ხის ნაჭრებზე მოთავსებული საბუთები სვანეთში გავრცელებას იწყებს XIV ს-ის დასაწყისიდან. თუ როგორი სახით იყო ამ დრომდე წარმოდგენილი სვანური ისტორიული საბუთები ამის შესახებ მასალები არ შემონახულა.

ხის ნაჭრზე დაწერილი ყველა ცნობილი საბუთი უთარილოა; არ ხერხდება მათი დათარიღება ტექსტებში წარმოდგენილი რეალიების მიხედვითაც. ამიტომ, აღნიშნული საბუთების დასათარიღებლად მათ პალეოგრაფიულ ნიშნებს უნდა მივმართოთ. ზოგადად, ამ ნიშნების მიხედვით, საბუთები XIV—XV სს. თარიღდება. ცალკეული ასოების მოხაზულობის სახეცვლილებათა მიხედვით შეიძლება ზოგიერთი მათგანის თარიღი, დროის დასახელებულ მონაკვეთში, ნახევარი საუკუნითაც შემოისაზღვროს. რომელი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება აღნიშნული საბუთები XIV—XV სს.?

ცნობილია, რომ დამწერლობის ნებისმიერი ასოს სახეცვლილებას არ შეიძლება პალეოგრაფიული ნიშნის მნიშვნელობა მიენიჭოს, რადგან, ეს სახეცვლილება, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება წერილობითი ძეგლის შემსრულებლის ინდივიდუალური ხელწერით იყოს განპირობებული. ამიტომ, როგორც წესი, წერილობითი ძეგლის პალეოგრაფიული დახასიათებისას გამოპყოფენ ისეთ ზოგად ნიშნებს, რომლებიც: ა. წარმოდგენენ დამწერლო-

² ხელნაწერი წიგნის არსებობზე მინწერი კალის ქვეყნის საბუთებიდან, ამჟამად ცნობილია ერთი საბუთი—დაწერილი კალის ქვეყნის მთის საქმის გამო, რომელიც მოთავსებულია კორიდეტის ბერძნული ოთხთავის (IX ს; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Gr.—28) 188r—187v გვერდებზე. ეს საბუთი XIV/XV ს. თარიღდება. მისი ტექსტის პუბლიკაცია იხ.: Н. Я. М а р р. Грузинские приписки греческого Евангелия из Коридии. „Известия Имп. Академии наук“, 1911, № 4, გვ. 234—235, ტაბ. VII; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ე ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 70, № 71.

³ ხელნაწერთა არსებობზე მოთავსებული სვანური საისტორიო საბუთების დიპლომატიკური დახასიათებისათვის შტრ. ვ. სილოგავა, ქართული დიპლომატიკის საყურადღებო ძეგლები, ვაზ. „ახალი სვანეთი“, 23. V. 1970, (№ 2563), 26. V. 1970 (№ 2564).

1
2
3
4



5
6




7
8




№ 2. XIV ს. დაწერილი არქევეან ოსიძისა კალის ჭევისადმი.

1
2
3
4




5
6



7
8



9
10



№ 5. XIV ს. დაწერილი ერთობისა უშგელისა და კალის კევეს შორის (დასაწყისი).

11
12

Handwritten text on a fragment of parchment, likely containing a list or record of names and titles.

13
14

15
16

Handwritten text on a fragment of parchment, continuing the list or record.


17
18

Handwritten text on a fragment of parchment, continuing the list or record.

19

Handwritten text on a fragment of parchment, including the number '5767-10' written in reverse at the end of the strip.

№ 5. XIV ს. დაწერილი ერთობისა უშველისა და კალის წევებს შობის (დასასრული).



№ 6. XIV ს. დაწერილის ფრაგმენტი — მოწმობითი ნაწილი.

3
4
5



6
7



8
9




№ 7. XIV ს-ის ბოლო. დაწერილი ბიბლია დეკლარიანისა კალ-ს ჭევისადმი.

1
2
3



4
5




№ 13. XIV/XV ს. დაწერილის ფრაგმენტი — მოწმობითი ნაწილი.



№ 16. XIV/XV ს. დაწერილის მოწმობითი ნაწილის
ფრაგმენტი.




1
2
3




4
5
6



7
8
9



10
11
12



№ 10. XV ს-ის I ნახ. დაწერილის ფრაგმენტი — დასასრული ნაწილი.

1
2
3
4




5



6
7
8
9



10



№ 20. XV ს-ის 11 ნახ. დაწერილის ფრაგმენტი — მოწმობითი ნაწილი.



№ 21. XV ს. დაწერილი კალის, უშველისა და ქალღმის ჰეეებს შორის
 (ფრაგმენტი)



№ 23. XV ს. დაწერილი უცნობი შირისა.

ბის განვითარების კანონზომიერ შედეგს, ბ. დამახასიათებელია დამწერლობის განვითარების, მისი ისტორიის რომელიმე საფეხურისათვის და გ. საერთოა ერთ ქრონოლოგიურ ჩარჩოში მოთავსებული წერილობითი ძეგლების ჯგუფისათვის.

ასომთავრულ და ნუსხურ დამწერლობებთან შედარებით ნაკლებად არის სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი ქართული მხედრული დამწერლობის განვითარების ისტორია. თუ XI ს. (ნაწილობრივ XII—XIII სს.) ქართული მხედრული დამწერლობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს გარკვეული მოსაზრებები, მომდევნო საუკუნეებში მისი განვითარებისა და სახეცვლილებათა შესახებ, შეიძლება ითქვას, თითქმის არაფერია აღნიშნული. ამავე დროს, XI—XVIII სს. მხედრული დამწერლობით შესრულებული მრავალრიცხოვანი თარიღიანი წერილობითი ძეგლები (XI—XV საუკუნეებისათვის, ძირითადად, ისტორიული საბუთები), მკვლევრებს ყოველთვის აძლევს საშუალებას, აღნიშნული პერიოდის უთარილო წერილობითი ძეგლების პალეოგრაფიული ნიშნებით ზუსტად დათარიღებისათვის. ამავე ძეგლების მიხედვით შესაძლებელია აღნიშნული პერიოდის მხედრული დამწერლობის პალეოგრაფიული ნიშნების დაჯგუფება.

როგორც აღინიშნა, მხოლოდ გარკვეული ასოების სახეცვლილებებს შეიძლება პალეოგრაფიული ნიშნების მნიშვნელობა მივანიჭოთ. ქართულ მხედრულ დამწერლობაში ასეთ ასოებს განეკუთვნება: ა-ნი, ბ-ანი, გ-ანი, დ-ონი, ე-ნი, ვ-ინი, ლ-ასი, ნ-არი, ო-ნი, პ-არი, რ-აე, ტ-არი, შ-ინი, ც-ანი, ჰ-აე. შეიძლება ცალკეულ წერილობით ძეგლში, ან ძეგლების ჯგუფში რომელიმე სხვა ასომაც მოგვეცეს თავისებური მოხაზულობა, მაგრამ მისი მონაცემები, აღნიშნული ასოების მონაცემების გათვალისწინებით უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული.

დასახელებული ასოების სახეცვლილებათა ქრონოლოგიური საფეხურების დადგენა ამჟამად, ჩვენს ამოცანას არ შეადგენს. აღნიშნავთ მხოლოდ ამ ასოების ისეთ პალეოგრაფიულ ნიშნებს, რომლებმაც განაპირობეს ლაგურკის საბუთების XIV—XV სს. დათარიღება.

XIII ს-ის წერილობითი ძეგლებიდან ლაგურკის ისტორიულ საბუთებს გამოირიცხავს ასოების ა-ნის, ბ-ანის, გ-ანის, ლ-ასის მოხაზულობა. თუ XIII

ს-ში ა-ნი ჯერ კიდევ **ა** მოხაზულობისაა, ამ საბუთებში ის უკვე ჩამოყალიბებული ფორმით არის წარმოდგენილი: **ა** თუ XIII ს-ის წერილობით ძეგლებში ბ-ანი და გ-ანი კბილებიანი თავით არის გადმოცემული **ბ**

XIV ს-დან მათი თავი მხოლოდ პატარა მარყუჟის სახით არის წარმოდგენილი (როგორც ეს ლაგურკის საბუთებშია). ამავე დროს, ბ-ანის მსხვილი მუცელი

დამწერლობის ოთხხაზოვანი ბუდიდან დაბლა ჩამოსული **გ** და ის ამ ბუდეში შუა ადგილს მხოლოდ XIV ს-ის შემდეგ იკავებს. ლაგურკის საბუთებში ბ-ანი გადმოცემულია დაბლა ჩამოსული მსხვილი მუცლით და პატარა მარყუჟით: **გ**.

ლ-ასი, რომელიც XIII ს-ში კაუჭზე მიდგმული დაკბილული ტეხილი ხაზის სახით არის გადმოცემული **ლ** XIV ს-დან ღებულობს მორკალულ შვეულ-

ხაზზე მიდგმული სამი პატარა ნახევარგოლის მოხაზულობას ლ-სი ამ უკანასკნელი მოხაზულობითაა წარმოდგენილი ლაგურკის საბუთებში.

XIV—XV სს. განსაზღვრავს ამ საბუთების თარიღს ე-ნისა და ნ-არის დამახასიათებელი მოხაზულობა მარყუქებით **ჟ** **ყ** **ჭ** აგრეთვე რ-აეს გადმოცემა შევეულ ხაზზე, პატარა განივი ხაზის მეშვეობით დაკავშირებული მარჯნივ მოტრიალებული მარყუქით: **ს** ამავე დროს, ლაგურკის საბუთების დამწერლობაში გვხვდება ორკბილიანი რ-აე დახრილი ზედა მორკალული ხაზით: **ზ**.

აქვე უნდა დავასახელოთ XIV—XV სს. წერილობითი ძეგლებისათვის დამახასიათებელი თავკომბალა ვ-ინი **ყ** **წ** რომლის ქვედა ტანი პირველ ხანებში სწორხაზობრივად ეშვება, ხოლო შემდეგ თანდათან მომრგვალდება ქვემოდან. სწორედ ასეთი, — თავკომბალა და შევეულხაზიანი, ხოლო ადგილადგილ მომრგვალებული ქვედატანიანი ვ-ინი გვხვდება ლაგურკის საბუთების დამწერლობაში.

ისევე, როგორც XIV ს-ის და XV ს-ის I ნახ. სხვა წერილობით ძეგლებში, ო-ნი ამ საბუთებში ჯერ კიდევ ატრიალებული **ა** მოხაზულობისაა, ხოლო პ-არი გადმოცემულია სარკისებური **ნ** **ტ** მოხაზულობით.

ც-ანსა და ტ-არს უკვე არ ეტყობა ნუსხური მოხაზულობის ის გადმონაშთები, რომლებიც მათ ჯერ კიდევ გადმოჰყავთ XIII ს-ში **ლ** **ლ** და ლაგურკის საბუთებში ისინი სავსებით ჩამოყალიბებული სახითაა წარმოდგენილი **ე** **ზ** *.

საბუთების ტექსტების ორთოგრაფიული თავისებურებებიდან უნდა აღინიშნოს ო-ნისა და უ-ნის მონაცვლეობა.

ამრიგად, აღნიშნული ნიშნების მიხედვით ლაგურკის ისტორიული საბუთები XIV—XV სს. თარიღდება.

* * *

ტექსტების გამოცემისას მიემართავთ შემდეგ პირობით ნიშნებს: ქარაგმები გახსნილია მრგვალ კავებში, აღდგენილი ადგილები კუთხოვან კავებსა და ნახევარკავებში; დამატებული სიტყვები — ტეხილ კავებში. ერთი შევეული ხაზი აღნიშნავს სტრიქონის დასასრულს და მასთან დასმულია მომდევნო სტრიქონის

*ლაწერილებით იხ. ნ. შოშიაშვილი, XIV—XV სს. ქართული მხედრული დამწერლობის განვითარება (ხელნაწერი).

რიგითი ნომერი, ხოლო ორი შეეული ხაზი — გათლილი ჯონის წახნაგის დასასრულს. **ნსხ**-ნუსხაშია. აღმოჩენის ადგილთან აღნიშნულია საველე ნომერი. ზომები მოცემულია სმ-ში. დეფისებით აღნიშნულია ნაკლული ასოების რაოდენობა. იმ შემთხვევაში, თუ მათი ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია ტექსტში ვსვამთ სამ წერტილს, ხოლო სქოლიოში აღვნიშნავთ ნაკლული ასოების, ან ტექსტის დაახლოებით სიდიდეს.

ბმქსტბზი

1. XIV ს. დაწერილი საერთო და სამოკეთეო არიშ ღვაჩელიანისა კალის ქვეისადმი

დედანი; ხის ნაჭერი, გათლილი ხუთწახნაგად; ზომები: 58×25. განკვეთილობის ნიშანი — ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ნაწერი ადგილ-ადგილ გამკრთალებულია.

აღმოჩნდა 1972 წლის აგვისტოში, ლავურკის საკურთხეველის ნიშაში (№ 9). პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XIV ს-ით.

ქ. ღ(მრ)თ(ი)სა და დედისა მისისა და ყო(ვე)ლთ(ა) წმიდათა მისთა თავსდებობითა და შეამდგომლობითა, და უ შ გ უ ღ ი ს ა ღ(მრ)თის¹მშობელისა თავსდებობითა და შეამდგომლობითა დაგიწერეთ და მოგეც დაწერილი ესე, საერთო და სამოკეთეო,² მე, ღვაჩელიანმან არიშ და ჩემ(მ)ან შეილმ(ა)ნ ბეჟან, თქვენ, ერთობილსა კალისა ქვესა, მა(ს) ქამსა, ოდეს მოგვიდა მოკეთე³ობა და გავაერთეთ ჩვენი საქმე სამტეროი და სამოყ(ვ)როი ყველაი, ავი და კარგი ყველაი.

და თქვენისა მტერისა მტერი ვი⁴ყო(თ) და მოყ(ვ)რისა მოყვარე ვიყოთ. და რაიცა საზეზოდა გორჯობდესა ყე — საზეზოდა ვიპიროდეთ, და რაიცა საქვექვეოდა გორჯობდესა ყე⁵ — საქვექვეოდა ვიპიროდეთ. არაი დაგაკლოთ რაიცა კაცსა კაცისაგან დაეკლებს. არაი გილალატოთ, არაი გიცრუოთ. და შე⁶გართვი ვარ ერთე(ვ)ამლად და ერ(თ)მოსახლეთ. და აწ, ვითა ესე გაერთებით გუმართებს — აგრე გაუყრელნი ვიყ(ვ)ნეთ, არ გავიმე⁷ტოთ არაისა კაცისა გულისათვის; ასე ვითა საქმისათვის გ(უ)მართებს აგრე [შე]გართვი ვარ, ავსა და კარგსა ზედა, მისაგებე⁸ლსა და წასაგებელსა ზედა, ყველასა ზედა. სად სა[უ]-რავი გორჯობდესა ყე — გიურ(ე)ოთ, სად შეველა გორჯობდესა ყე — გიშველოთ.

ამისა გათავებისა⁹ თავსდებად მოგვიცემია პირველ ღმერთი და უ შ გ უ ღ ი ს ა ღ(მრ)თ(ი)სმშობელი.

მე, ივანეს დამიწერია და მოწამეც ვარ ამა დაწერილისა.

ნსხ: 1. მისათა; თავსადებობითა; ოშგოლისა. 2. თავსადებობითა. 3—4. მოყვეთობა. 7. ესე; გომართებს; გაოყრელნი. 8. გოლისათვის. 9. გიორით; სადა; ამისასა. 10. თავსადებადა; ღმერთი; ოშგოლისა; ღთსა; მშობელი; ივანესა.

2. XIV ს. დაწერილი არჯევან ოისიძისა კალის ქვეისადმი

დედანი; ხის ნაჭერი, გათლილი ტრაპეციის ფორმით; ზომა: 50×3; განკვეთილობის ნიშანი — ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთის ბოლოს, დამტკიცების ნიშნად, დასმულია ოთხი ჯვარი.

აღმოჩნდა 1972 წლის აგვისტოში, ლავურკის საკურთხეველის ნიშაში (№ 4). პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XIV ს.

[ქ. ღმრთისა და] წმიდისა კვირიკეს კაღისა და მთავარმოწ(ა)მისა და ბევრისა თავსდებობითა დაგიწერე და მოგახსენე [ქაწერილი] ესე მე, ოსისძემან არჯევან და ჩემ(მ)ან ცოლმ(ა)ნ თამთა და ჩემ(მ)ან შვილმან მამიამან და ჩვენ³[თა მომავალთა]... * თა თვ(ი)თ ვინმ(ა)ნ დააბოლეთ(?), თქვენ, ერთობილსა კაღისა ქევსა, მას ჟამსა, ოდეს ივ⁴... * ოლე და კოკესიანი შემოგ(ვ)აკ(უ)და.

აწ, გაგებირდი იმა საქმესა ზედა: რაი გინდა საქმე «მოჰყვეს» ქ(მ)ანასა იმ⁵ საქმესა შიგ(ა)ნ, გინდა ჰავი, გინდა კარგი, გინდა ვინ მოღმა შემოგვაკ(უ)დეს, გინდა მიღმა შე(ვ)აკ(უ)დეთ, ⁶ ყველაისა პირი და პასუხისა გამცემი მე, არჯევან ვარ. ჩემისა ასაბიობასა შიგან, ვის(ა)ც რაიც დაგემართო⁷[უს], [პირი და პასუხისა გამცემი მე ვარ.

მე, ივანეს გოშქოთელიანსა დამიწერია, მოწამეც ვარ ამა დაწე⁸[რ]ილისა.

* არ იცოთება დაახ. 10 ასო. ნსხ: 5. მიღმა] მიღმა. 6. პასუხისა; ჩემისა. 7. პასუხისა.

3. XIV ს. დაწერილი უცნობი პირისა კაღისა ქევსადმი

დედანი; ხის ნაჭერი, გათლილი ოთხკუთხად; ზომა: 37×2,1—1,3; ნაწერი გაფერმკრთალებულია; განკვეთილობის ნიშანი — ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

აღმოჩნდა 1972 წლის აგვისტოში, ლაგურკის საკურთხეველის ნიშაში (№ 8). პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XIV ს.

ქ. ღ(მ)რ(თ)ისა და დედისა მისისა და ყ(ო)ვე(ვ)ელთა წმიდათა მისთა თავსდებობითა და ქველდეთისა მთავარმოწ(ა)მისა თავსდებობითა და შუვა-მდგომლ(ო)ბითა დაგიწერეთ თქვენ, კაღისა ქევსა¹ [ერთობილსა, მე, ... * [და ჩემთა] შვილთა და მომავალთა² [ჩემთა, მას ჟამსა, ოდეს ამა პირ]სა ზედა შევედგი:

თქვენი³[სა მტრისა] მტერი ვიყოთ და მოყ(ვ)რისა — მოყვარე; საღ შეველა გიჯობდეს — გიშველოთ; საღ საუ⁴რავი გიჯობდეს — გიურვოდეთ; არაისთვ(ი)ნა არა გილალატო; (არაი დაგაკლო), რაც კაცსა კაცისაგან დაეკ[ლე]⁵[შბის; რაიცა შემომვედრო — შენთვინ შეგინახო; რ(ომელ)ი მოითხოვო — კელთა შმიმიქეთო(!).

ამისინი⁶ მოწამენი არიან ქველდეთისა მთავარმოწამე.

მე, მიქელს დედარიანსა დამიწე[რია].

* ნაკლები ასოების რაოდენობა გაურკვეველია. აკლია არანაკლებ 20 ასო.

ნსხ: 5—6. საეირავი. 6. გიორვოდეთ; არაის გვნა. 7. მოითხოვო] მოხოვ.

4. XIV ს. დაწერილი ივანესი

დედანი; ხის ნაჭერი, გათლილი ექვსწახნავად; ზომა: 44×4,5. განკვეთილობის ნიშანი — ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ქარაგმის ნიშნები არ ახლავს. ნაწერის დიდი ნაწილი გადასულია.

აღმოჩნდა 1972 წლის აგვისტოში, ლაგურკის საკურთხეველის ნიშაში (№ 20). პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XIV ს-ით.

ქ. ლ(მრ)თისა და დედისა მისისა...* |²...* თავსდებობითა...* ||³...*
 დაგიწერეთ და მოგატყენეთ და წერილი ესე, ჩვენი, ...* ბიბლ...* |⁴
 ანსა. მე, ივანეს...* ნექე, ჩვენსა შეილსა...* ყოველთა...* შენ, ...*
 იმას და...* ||⁵ლთა და მომავალთა] --- [მას] ეამსა, ოდეს მოგინდა...* შენ-
 სა ბერ...* |⁶...* ღმა...* ----- |⁷ ---სა...* რთ...* და. და ყოველთა
 ...* |⁸ -----ლთ ----- |⁹ -----ებით -----
 ----- |¹⁰ ----- კაცთაგან...* -გა --- |¹¹ ----- კესონიანი -----
 [მე, -----] ჩემთა ზელითა და [მიწერია] ...* |¹²...*

* ნაკლები ასოების რაოდენობა გაურკვეველია.

5. XIV ს. დაწერილი საერთო და გაუყრელობისა უშგულისა და კალის ქვევებს შორის

დედანი; ტრაპეციის ფორმით გათლილი ხის ორი ნაჭერი; ზომა: 1. 28×3,5—
 2—1,5—1,6; 2. 28×3,5—2—1,7—1,6. განკვეთილობის ნიშანი — ორწერტილი
 ყოველი სიტყვის შემდეგ.

ხის ნაჭერი, საბუთის ტექსტის დასაწყისით, აღმოჩნდა 1972 წლის აგვისტო-
 ში, ლაგურკის საკურთხეველის ნიშაში (№ 3). ხის მეორე ნაჭერი, საბუთის ტექს-
 ტის გაგრძელებით, ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში — Qd-7975. ხელნა-
 წერთა ინსტიტუტში მისი შემოსვლის დროისა და ვითარების შესახებ წერილო-
 ბითი ცნობები არ მოიპოვება.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XIV ს-ით. 3. ინგოროყვა
 ათარიღებს XIV—XV სს.

გამოც.: 1. ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-
 სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 178, № 41 (ხის მეორე ნაჭერზე მოთავ-
 სებული ტექსტი ქალაღზე გადაღებული პირის მიხედვით). 2. პ. ინგოროყვა,
 სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. მეორე, ტექსტები, თბ.; 1941, № 72 (მეო-
 რე ნაჭერზე მოთავსებული ტექსტი).

ქ. ლ(მრ)თ(ი)სა და დედ(ი)სა მისისა და ყ(ოვე)ლთა მისთა წმიდათა თაუს-
 დებობითა დ[ა] |² შეამდგომლობითა, და უშგულ(ი)სა ლ(მრ)თისმშობლისა
 თაუსდებობითა და შეამდგომლობითა, დაგიწერეთ და მოგატყენეთ და წე-
 რი |⁴ლი ესე საერთო და საუკუნოდ გაუყრელობისა, მტკიცე
 ||⁵ და უქცეველი, ყოულისა სამიზეზოისა საქმისაგან უმიზეზოი, ჩვენი,
 უშგულისა ქეუმ(ა)ნ ერთობილ(ა)ნ, თქვენ — კალისა ქეუ[სა] |⁷
 ერთობილსა, მ(ა)ს ეამსა, ოდეს ერთმან-ერთისა ნდომითა |⁸ და ნებითა გავაერ-
 თედ ჩვენი საქმე ამა პირსა ზედა, |⁹ რომე დღეს და დღესითგან წალმა თქვენისა
 მტრისა მტე |¹⁰რი ვიყ(ო)თ და მოყ(ვ)რისა მოყვარე. და რაიცა თქვენსა საქმე-
 [სა] |¹¹* უჯობდეს გულმართლად მას ვიჭიროდეთ, თქვენიანად და |¹² უთქვენ-
 ნოდ. და რასაც პირსა ზედა შეადგომილ-ვართ, არ გავი |¹³ტეხოთა ქეუმ(ა)ნ ქეუსა
 ჭეობითა. თუ გავიტეხოთ, რაიც ჩვენ |¹⁴სა უხერასა უყოთ, იმისა საქმესა არას
 გერჩოდეთ. თუ ერთ |¹⁵მ(ა)ნ, ანუ ორ(ა)ნ გავიტეხოს — ერთობილ წავეკი-
 დოთ.

ამისა გათა |¹⁶ვებისა თაუსდებად მოგვიცხენებია დედაი ლ(მრ)თისა უშგუ-
 ლის(ა), |¹⁷ წმიდაი კვირიკე კალისა; კაცთაგან: ადაი გოშგოთელია-
 ნ(ი), ხოჯი ჩარგა |¹⁸სიანი, გიორგი დადილიანი(ი), დათვანი
 გელოვანი.

* აქედან ტექსტი გრძელდება ხის მეორე ნაჭერზე.

მე, ფარსმ(ა)ნ¹⁹ ანბარეგიანსა დამიწერია და მოწამეც ვარ.

6. უშგოლისა ნსხ. 11. ქ უჯობდეს ი; გოლმართლად ნსხ; ვიჭირვოდეთ ი. 13. ტეუბითა ნსხ. თო ნსხ. 15. ერთობილნი ი. 16. უშგოლისა ნსხ. 18. დოდლიანი ი. 19. ანბარეგიანსა] დობორჯგიანსა ი.

6. XIV ს. დაწერილის ფრაგმენტი — მოწმობითი ნაწილი

ხელნაწერთა ინსტიტუტი — Qd-7976; დედანი; ოთხკუთხად გათლილი ხის ნაჭერი; ზომა: 14×2,3—2—2,3—2,1. განკვეთილობის ნიშანი — ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთის ბოლოს, დამტკიცების ნიშნად, დასმულია თერთმეტი ჯვარი.

საბუთის დასაწყისი ნაწილი, რომელიც მოთავსებული იქნებოდა ხის სხვა ნაჭერზე, ამჟამად დაკარგულია. საბუთი ლაგურაკაში აღმოჩენილი კოლექციიდან უნდა იყოს. ხელნაწერთა ინსტიტუტში მისი შემოსვლის დროისა და ვითარების შესახებ წერილობითი ცნობები არ მოგვეპოვება.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XIV ს. 3. ინგოროყვა ათარიღებს XIV—XV სს.

გამოც.: პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. მეორე, ტექსტები. თბ., 1941, № 117.

[?] [სანდ]ურავი, არ დიდი და არ პატა²რაი, არაის თანა არა(ი); მოკეთეო³ბისაგან კიდეში აღა(რ)ც არას გეროდ⁴ეთ.

ამისა გათავებისა თაუ⁵სდებად მოგვე⁶იქსენებია პ(ირვე)ლ ლ(მერთი)ლ⁶ დაუსაბამოი, [მაცხოვარი] [მ რ ი ვ მ ე რ ი ს ა (?)].

7 ამისნი მოურაუნი და მოწამენი არიან: 8 ხ უ რ ს ი კ ე ს ო ნ ი ა ნ ი, ა ქ უ ლ ა კ ო ნ ბ ე რ ი ა ⁹ ნ ი, ¹⁰ და თ ვ ი ა (ნ) ი გ (ი ო რ გ) ი, გ ე ლ (ო) ვ ა ნ ი ა დ ა ი, და თ ე ლ ი ¹¹ ა ნ ი და უ ლ ა, ი ვ ა ნ ე და უ ვ ლ ი ა ნ ი და მ ¹² ი ქ ა ე ლ გ ა კ ე ლ ა (ნ) ი, ი ვ ა ნ ე და უ ვ ლ ი ა ნ ი.

მე, ¹³ მ (უ) შ კ უ დ ი ა ნ ს ა აღმართის დამიწერია ¹⁴ და მოწამეცა ვარ.

1. სანდურავი ქ უ რ ა ო ი, უ რ ა ო ი ნ ს ხ; და — ი. 3. კიდეში ი; 6. მ-რ-ვამერისა ი. 8. კეხონიანი ი; აჭულა ი; კონტერიანი ი. 10—12. დათვაი, გ¹ი გელოკანი, ადაი დათოლიანი, დაულა, ივანე ჩარგსანი, დ - - - მიქელ გაკელიანი, ივანე დ - - - ლიანი ი. 13. შშკოლიანსა ნსხ, მოშრიდიანსა ი; აღმართსა ი.

7. XIV ს. დაწერილი ბიბლია დევდარიანისა კალის ქვესადმი

დედანი; ხის ნაჭერი, გათლილი შვიდწახნავად; ზომა: 46×3,5—3. განკვეთილობის ნიშანი — ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

აღმოჩნდა 1972 წლის აგვისტოში, ლაგურაკის საკურთხეველის ნიშაში (№ 1). პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XIV ს.

ქ. სახელითა (ლ)მრთისაითა, მ(ა)მისა, ძისა და სულისა წმიდისაითა, თავსდებოტითა და შვამდგ(ო)მლობითა კვირიკე კა ლ ი ს ა ი თ²ა, ³ მ(ო)გაგსენეთ და წე რ (ი) ლ ი ესე, მტყიცე და უქცეველი, ყ(ო)ვლ(ი)სა მ(ი)ზეზისაგ(ა)ნ უმიზეზოი და რისა გ(ი)ნდა ქ(ა)მისა შემ(ო)სრ(უ)ლებისათვის ⁴ შე(უ)ცვ(ა)ლებელი, მე, ბიბლიამ(ა)ნ დევდარიანმ(ა)ნ და ჩ(ე)მთა მესისხლეთა ყველათა, მ(ა)ს ქ(ა)მსა, ოდეს ჩ(ე)მთა ცოდვ(ა)თაგ(ა)ნ ჩ(ე)მი სიმ(ა)მრი ⁵ - - - ანსა შეაკ(უ)და და მე გაგიპირდი - - - და მოგაგსენე თქვენ, კა ლ ი ს ა კვესა მე, ბიბლიამ(ა)ნ დევდარიანმ(ა)ნ.

აწ, დღეს დ(ა) დღესიდგ(ა)ნ [რაი] |⁸ გინდა საშინელი და უს(ი)ამო საქმე მოჰყვეს, გ(ი)ნდა ვინ მოკუდეს, გინდა ვინ გაიძ(ა)რცვეს(!), გინდა ვინ დაიკო-დოს, ||⁷ ----- რეს ყველას პირი და პასუხვისა გამცემი მე, ბი ბი ლა დე- (ვ)დ ა რ ი ა ნ ი ვ (ა) რ ჩ (ე) მითა პურ-წყლითა. და არაი მიზეზი მოგაქსენოთ პი- რ ო ბ ი ს ა მ ე ტ ი.

||⁸ ამისნ(ი) მოწამენ(ი): ბრძანებს წმ(ი)დ(ა)ი კვირიკე კ ა ლ ი ს ა და ბ(ა)რ- ბარე წმ(ი)დაი. ამისნი (მოწამენი) კაცთავ(ან): ი ვ ა ნ ე ა მ ბ ე რ გ (ა) ა ნ ი, და შე დ ა ნ ||⁹ დ ე ვ დ ა რ (ი) ა ნ ი, ი ვ ა ნ ე კ ე ს ო ნ (ი) ა ნ (ი), ხ ვ ე რ ა გ ო კ ე- ს ო ნ (ი) ა ნ ი, მე.

ნსხ: 1. სოლისა; თავზღებობითა. 3. ოქცეული; ომიზეზო; შემოსროლებისათვის. 4. შოც- ვალეუბელი; მესისხელეთა; ყველათა; 5. რაი გიგნა—ორჯერაა. 6. ოსამო; ზოკოდეს; გინდა ვინ მო- კოდეს—ორჯერაა; გაიძორცვეს. 7. პასოხვისა; პორ წყლითა.

8. XIV/XV ს. დაწერილი შერგილ კარძიანისა კალის კევისადმი

დედანი; ხის ნაჭერი, გათლილი შეიღწახნაგად; ზომა: 45×2,5. განკვეთილო- ბის ნიშანი — ორი, ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

აღმოჩნდა 1972 წლის აგვისტოში, ლაგურკის საკურთხევლის ნიშაში (№ 14). პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება XIV/XV ს.

1973 წლის 11—13 აპრილს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა ჩაატარა მორიგი XXI სამეცნიერო სესია.

სესიაზე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხე-ზით წაითხული 14 მოხსენება ეხებოდა საქართველოს არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ისტორიის, სამუზეუმო ნივთების დაცვისა და კონსერვაციის საკითხებს.

სესიაზე საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს ისტორიის მეცნ. კანდიდატებმა მ. საგინაშვილმა და ი. გაგოშიძემ („მინის ფიალების წარმოების ისტორიისათვის აქემენიდურ ხანაში“). ავტორებმა ყურადღება გაამახვილეს ალგეთის ხეობაში, სოფელ წინწყაროსთან აღმოჩენილ მინის ფიალაზე, რომელიც უნიკალური ნივთია ამიერკავკასიისათვის. აღსანიშნავია, რომ ძვ. წ. VI—III სს. გამჭვირვალე მინის ფიალები აღმოჩნდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, სულ 9 ერთეული. გარდა ამისა, სხვადასხვა მუზეუმში დაცულია უცნობი წარმოშობის ამავე ხანის 11 ფიალა. ნაშრომში დეტალურად არის გაანალიზებული ამ ფიალების წარმოშობის საკითხი და გამოტანილია დასკვნა, რომ ალგეთის ფიალა ყველაზე მეტად უახლოვდება აქემენიდური ხანის ფიალების მცირერიცხოვან ჯგუფს.

საქართველოს ისტორიის მეტად საინტერესო ბერიოდს ეხებოდა ისტ. მეცნ. დოქტორის ნ. ლომოურის მოხსენება: „ეგრისის სამეფოს და ბიზანტიის ურთიერთობის საკითხისათვის ახ. წ. V საუკუნეში“ — ავტორი განიხილავს ბიზანტიის იმპერიის სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობათა ოფიციალურ ნუსხასა ე. წ. „ნოტიცია დიგნიტატუმ“-ს, სადაც მოცემულია იმ პუნქტების დასახელებაც, რომელშიც იდგა პოლემონის პონტოს პროვინციაში განლაგებული სამხედრო ნაწილები. ამ პუნქტთა შორის დასახელებულია: პითეი, ვალენცია, ჰიუსიპორტი, კენე პარემპოლე, სებასტოპოლისი, ზიგანე და მახორა. ვინაიდან სამეცნიერო ლიტერატურაში ეს პუნქტები ეგრისის ციხე-ქალაქებთან არის

გაიგავებული, აქედან გამოაქვთ დასკვნა, რომ V ს-ის დასაწყისისათვის ეგრისის სიმაგრეებში ბიზანტიური გარნიზონები იდგა. ავტორი უარყოფს ამ მოსაზრებას და ამტკიცებს, რომ ეს პუნქტები მდებარეობდა პოლემონის პონტოს და ე. წ. „პირველი არმენიის“ პროვინციების ტერიტორიაზე და არა ეგრისში. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ის ვარაუდობა, რომ V ს. და უფრო გვიანდელ ავტორთა ცნობებში ეგრისში ბიზანტიური გარნიზონების ყოფნა არ არის დადასტურებული.

„ჯვარცმის გამოსახულებიანი ჯვრები სოფ. შენაქოდან“ ასეთი იყო ისტ. მეცნ. კანდიდატის რ. დოლაბერიძის მოხსენების თემა. მასალის დეტალური ანალიზის საფუძველზე ავტორი ამტკიცებს, რომ გამოსახვის თავისებური ნიშნებითა და შესრულების მანერით, თავისი ექსპრესიით ეს ჯვრები მჭიდროდ უკავშირდებიან VIII—X სს. ქართულ რელიეფურ ქანდაკებას და ჰედღური ხელოვნების ზოგიერთ ნიმუშს, რის გამო შენაქოს ჯვრები ქართული ხელოვნების განვითარებას გარდამავალი ეპოქის ძეგლებად შეიძლება მივიჩნიოთ.

ისტ. მეცნ. კანდიდატმა გ. კიკნაძემ აუდიტორიას გააცნო ახმეტის რ-ნის სოფ. მალრანში 1972 წელს აღმოჩენილი ვერცხლის ჭურჭლეების განძი. დანიშნულების მიხედვით ავტორი გამოყოფს 2 ჯგუფს: 1) ვერცხლის სამი თევში და ვერცხლის ბარქაში, თარიღდება XVII საუკუნის მესამე მეოთხედით, 2) ვერცხლის მაღალფეხიანი სასმისი XVIII საუკუნითა და პირშეკრული ბრტყელი თასი XVI საუკუნით. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ჭურჭელზე მოთავსებული წარწერები.

ისტ. მეცნ. კანდიდატის თ. ბერიძის მოხსენება ეხებოდა ძველი თბილისის ერთ-ერთი უბნის სეიდაბადის ისტორიას. XVIII საუკუნეში ირანის შაჰის შაჰ-სეთის (1629—1642 წწ.) მიერ სეიდების ტომის ჩასახლების შედეგად თბილისის ერთ-ერთმა უბანმა მიიღო სახელწოდება „სეიდაბადი“ XVII—XVIII სს. სპეციალურ

ლიტერატურაში და წერილობით წყაროებში ეს ტერიტორია უკვე ქალაქის გარეუბანია, რომელიც ქალაქის ბაზარს აწვდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.

მოხსენება — „მასალები ყვირილის აუზის გამოქვაბულთა შესწავლისათვის“ წაიკითხა ა. ვარაზიშვილმა. ავტორმა ისაუბრა მ. ყვირილას აუზის კლდის ძეგლთა ტოპოგრაფიის შესახებ, გააცნო აუდიტორიას მის მიერ შესრულებული არქიტექტურული ანაზომები და სქემები, ჩანახატები, ფოტომასალა.

დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლ. ჭილაშვილის მოხსენება: „ბაზარ-ზაგემის ლოკალიზაციისათვის“ ქართული ისტორიული წყაროებისა და საბუთების მიხედვით XIV—XVIII სს. კახეთში მოწინავე ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა ქალაქი ბ ა ზ ა რ ი, რომელსაც თურქული და სპარსული წყაროები ზ ა გ ე მ ი ს სახელით იხსენიებენ. რუსი დიპლომატების წერილებსა და ანგარიშებში არაერთხელ არის მოხსენიებული: „ზაგემი იგივე ბაზარი“. ამ უკანასკნელ მონაცემების მიხედვით მომხსენებელი მიიჩნევს, რომ ბაზარი იგივე ზაგემია, ქართული, რუსული, სპარსული და თურქული წყაროების შეჯერებით ავტორის მიერ მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალასთან, შესაძლებელი ხდება ბაზარ-ზაგემის XIV—XVII საუკუნეების ორი სახელით ცნობილი ერთი დიდი კომპლექსის განსაზღვრა და მისი ზუსტი ლოკალიზაცია თანამედროვე ზაქათალას რაიონში (ახ. სსრ) დღევანდელ სოფ. ალიაბადის დასავლეთით 7 კმ-ზე.

მოხსენება თემაზე „ცხოვრების ხის იდეა მცხეთის პატრიარქის ჯერის აღმართის მათემატიკურ თქმულებაში“ — წაიკითხა ისტ. მეცნ. კანდიდატმა ა. სოხაძემ. მან აღნიშნა, რომ თქმულებაში მოხსენიებულ ალვის ხეს ახასიათებს „ცხოვრების ხის“ ნიშნები, რაც შესაძლებლობას იძლევა ადვალდინოთ ამ ხის მიმართ წარმართი ქართველების მიერ შემუშავებული კონცეპციის ხელდააზრი. თქმულებაში შესული საკვირველი ხის ამბავი წარმოადგენს „ცხოვრების ხის“ ქართულ-წარმართული კონცეპციის ქრისტიანულ რედაქციას.

იმერეთის თიხის ნაწარმის გამოსაწვავი ქუჩების შესახებ სესიაზე მოხსენება წაიკითხა ე. კაკაბაძემ. მან აღნიშნა, რომ ზემო იმერეთში თიხის საბადოებით მდიდარ სოფლებში: ბოსლევში, გეზრულაში, ტყემლოვანში, დიდ და პატარა ჩხირულში, მანდაეთში, მეჩხეთურში, საწაბულში, მაქათუნაშში, ჯოყოეთში და შრომაში მისდევენ მეთუნეობას. მომხსენებელმა გა-

მოიკვლია წარმოება ამ სოფლებში, რის შედეგად კონსტრუქციის მიხედვით გამოიყო ქუჩათა სამი ტიპი: 1. ქურჭლის საწვავი, 2. ქუჩის საწვავი და 3. მოჭიქული ქურჭლის გამოსაწვავი. ფიქსირებულია მეთუნეობასთან დაკავშირებული მდიდარი ტერმინოლოგია.

დამანური ფაიანსის შესახებ სესიაზე მოხსენება წაიკითხა გ. მიქაქაძემ, მისი ვარაუდით, XII—XIII სს. დმანისში არსებობდა ფაიანსის ადგილობრივი წარმოება, რასაც ადასტურებს ნაქალაქარის კერამიკული სახელოსნოს ნაშთები. მომხსენებელმა გამოიყო დმანისში ადგილობრივად დამზადებული ფაიანსის ჭგუფი მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით.

ი. ჩხარტიშვილის მოხსენების თემა იყო: „გაზეთ ივერიის“ ანტირელიგიური ბრძოლის ისტორიიდან“. ავტორმა აუდიტორიას გააცნო, თუ რა უდიდესი როლი შეასრულა ანტირელიგიური იდეების პროპაგანდაში ქართულმა პრესამ, კერძოდ კი გაზეთმა „ივერიამ“.

ქიმიის მეცნ. კანდიდატის რ. ბახტაძის მოხსენება ეხებოდა არქეოლოგიური მინის დაცვისა და შენახვის საკითხებს. მან აღნიშნა, რომ წინა მიწაში განიკლის გამოფიტვის სხვადასხვა ფორმებში. გამოფიტვის ხარისხსა და ინტენსივობაზე დამყარებულია კონსერვაციის მექანიზმები. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კონსერვაცია უნდა ჩატარდეს ყველა პირობებში, ხოლო საუკეთესო მაკონსერვირებელ საშუალებად ხელოვნური და ბუნებრივი ორგანული ფისების კომბინაცია უნდა ჩაითვალოს.

თრიალეთის კულტურის სპილენძ-ბრინჯაოს ნაწარმის ქიმიური შესწავლის საკითხებს ეხებოდა ისტ. მეცნ. კანდიდატის ე. აბესაძის მოხსენება. მან აღნიშნა, რომ თრიალეთის კულტურაში შემოდის ხმარებაში კალიანი ბრინჯაო, სადაც კალის მაქსიმალური შემცველობა 14% აღწევს. ავტორი შეეხო ბრინჯაოს წარმოების ცენტრების და ნედლეული ბაზის ლოკალიზაციის საკითხს და შესაძლებლად მიაჩნია, რომ ქვემო ქართლში ხმარებაში იყო ალავერდის ჭგუფი, ხოლო შიდა ქართლში ცხინვალის მახლობლად სოფ. ნადარბაზევსა და ჩასავალთან არსებული სპილენძის მადნები, მომხსენებელი არ გამოირიხავს იმ ვარაუდს, რომ კალიანი ბრინჯაოს გავრცელება კავკასიაში წინააზიური სამყაროს გავლენის შედეგია.

სესიის მუშაობა უაღრესად საქმიან, მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარდა.

მთნოგრაფიული მასალების სამტრედიის რაიონში

სამტრედიის რაიონი, ისტორიული — სამიქვე-
ლაქეთ, მოიცავს იმერეთის ვაკე დაბლობის
მთლიან ზონას, რომელიც ზღვის დონიდან ქვე-
მო იმერეთის ყველა რაიონზე უფრო დაბლა
მდებარეობს (20—30 მეტრზეა განლაგებული).

სამტრედიის რაიონს სამხრეთ-დასავლეთით
გურია საზღვრავს, იგი ახალციხე-იმერეთის ქე-
დის ჩრდილო-დასავლეთ განშტოებებს მიჰყუე-
ბა; დასავლეთიდან — სამეგრელო ცხენის წყლის
ვაკოლებით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთ-
თისაკენ მთაყოვანისა და ვანის რაიონებში¹.

ეთნოგრაფიული მასალის შეკრება მოგვიხდა
სამტრედიის რაიონის იმ სოფლებში, რომლე-
ბიც მდებარეობენ მდინარე რიონის, ცხენის-
წყლის, ჭურთავის, ხევის წყლის, ფერჩხულას,
გუბის წყლის და ხოროჭინას ხეობაში (კულა-
ში, ღანიბი, ჭავანი, ქუტირი, გუბი, დიდი ჯი-
ხაში, ზემო ტოლები და ნოღა).

სამტრედიის მიკრორაიონი ეთნოგრაფიულად
თითქმის შეუსწავლელია. აქ შემონახულია ბევრი
ფასდაუდებელი მასალა, რომლის შეკრება
საშური საქმეა. ჩვენი მიზანი იყო ამ კონკრეტულ
სამეურნეო-გეოგრაფიულ გარემოში მი-
წათმოქმედების კომპლექსის თანამედევრული
შესწავლა, ხოლო ქართული ეთნოგრაფიული
ატლასისათვის საცხოვრებელ და სამეურნეო
ნაგებობებზე მასალის შეგროვება.

საკვლევი რაიონის უდიდესი ნაწილი უქირავს
სახნავ-სათეს მიწებს, რომლებიც გამოირჩევიან
მაღალი ნაყოფიერებით. მარცვლეულის მეურ-

ნეობასთან ერთად აქ განვითარებული იყო მე-
ვენახეობა, მებოსტნეობა და მებაღეობა. ამჟამად
ბარის ზონის მეურნეობის წამყვანი დარგი მე-
ბოსტნეობა-მებაღეობაა, ზეგანზე მევენახეობას
მისდევნენ; მესაქონლეობას, როგორც წინათ,
ასევე ახლაც, მეურნეობის ეკონომიკაში უმნი-
შვნელო ადგილი უკავია.

სამტრედიის რაიონის მიწათმოქმედების ცალ-
კელ დარგთა შორის ინტენსიურობით გამო-
ირჩევა მემინდვრეობა, რომელიც თავის მხრივ
ცალკე სამეურნეო საშუალებისაგან შედგება;
ამ საშუალების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნა-
წილია მორწყვა. მასთან კავშირში უნდა იქნეს
განხილული სახნავი მიწების გამოყენების კარ-
გი ცოდნა და მარცვლეულის და მიწის სამუშაო
იარაღების შერჩევის წესი.

ეთნოგრაფიული მასალებით ირყევა, რომ აქ
ძველიდანვე გავრცელებული ყოფილა მარცვ-
ლეული კულტურების სხვადასხვა ჯიშები: ფეტ-
ვი (ჭადი) *Panicum miliaceum*, ღომი — *Setaria
italica* (L) P. B., უფხო („ხოზო“) და ფხიანი
(„ბუძგურე“) პური, ორმწკრივა ქერი — *Hor-
deum sativum*. ჭვავი — *Secale cereale* L., სი-
მინდი *Zea mays* L., ბოკოვანი მცენარეები:
კანაფი — *Cannabis sativa* L., ხელი — *Linum
usitatissimum* L., ლერწამი — *Arundo donax*,
ცერცოვანი — მუხუღო *Faba vulgaris* და
სხვ.²

აღნიშნული მარცვლეულიდან ფეტვი დასავ-
ლეთ საქართველოსათვის ერთ-ერთი უძველესი
კულტურაა, რაც ისტორიული, აგრობოტანიკუ-
რი, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული გამო-
კვლევებიდანაც კარგად ჩანს³.

ღომი XIII საუკუნის დასავლეთ საქართვე-
ლოს წერილობით წყაროებში გამოსაღების
ერთ-ერთ საგანადაა დასახელებული — „მონდი
ღომი“, სავარაუდებელია, რომ ღომი ერთ-

¹ სამტრედიის რაიონის შესახებ აღრიხდელ
წყაროებში პარაპირა ცნობები არ მოგვეპოვება
ამ მხრივ მოვიყვანო ხანის ლიტერატურაც დარი-
ბია. გიულდენშტედტის და ვახუშტი ბატონიშვი-
ლის მიხედვით ეს მხარე „სამიქველაქეთ“ — „სა-
მიქლოდ“ იხსენიება. იხ. გიულდენშტედტის
მოგზაურობა საქართველოში, თბილისი, 1962,
ტ. I, გვ. 157 (გრძობაზე ტექსტი ქართული
თარგმან-თურთ გამოსცა და გამოკვლევა დიურ-
თო გ. გელაშვილმა); ვახუშტი, აღწერა
სამეფოსა საქართველოსა (თ. ლომოურის და ნ.
ბერძენიშვილის რედაქციით) თბილისი, 1941, გვ.
164.

² აკად. ს. ვანშია სამტრედიის რაიონს მუხი-
რეზინში შემავალ ტერიტორიად მიიჩნევს. ს. ვა-
ნაშვილი, შრომები, II, 1952, გვ. 320. მუხირე-
ზინის ლეკოზაციის საკითხზე სპეციალურ სამე-
ცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა.

³ ვ. ჯაოშვილი, ქვ. იმერეთის ზოგადი
ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება, ვახუშ-
ტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრო-
მები, ტ. XIII, თბ., 1960.

³ შტრ. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა სა-
ქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 29.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს
ეკონომიური ისტორია, I, ტფ., 1930, გვ. 322,
364; В. П. Менабде, Ботанико-система-
тические данные о хлебных злаках древней
Колхиды, Сообщ. Груз. фил. АН СССР, т.
I, № 9, 1940, გვ. 683—684; ნ. ნ. ბ. ბ. ბ. ბ.
რია, დიხა გუშუბა, კოლხეთის დაბლობის ძვე-
ლი მისახლობა, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამ-
ბე, ტ. V, № 2, 1944, გვ. 208, 210; ვ. ბ. რ. დ. ა.
ველიძე, ქართველთა უძველესი სარწყუნო-
ბის ისტორიიდან IV. მან დევცმ. მასალები სა-
ქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. 5, თბ., 1951,
გვ. 51—66.

ერთი უძველესი მარცვლეულია, რომელიც ყოფაში ადრე იყო დამკვიდრებული. ამის თქმის უფლებას გვაძლევს იმ კვლევა-ძიების შედეგები, რომელიც ღომის მოვლა-მოყვანის ღრმა და დაკვირვებულ ცოდნა-გამოცდილებას ემყარება⁸.

ქვემო იმერეთის მკვიდრთა ყოფაში ძველთაგან მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სელის და კანაფის კულტურა.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის ერთხმად აღიარებულია, რომ კოლხური სელისა და კანაფის ნაწარმი ძალზე მრავალრიცხოვანია და მრავალფეროვანია. კოლხეთში სელისა და კანაფის დამუშავებისა და მათი მაღალი თვისებების შესახებ ბერძენი მწერლები მოგვითხრობენ. კოლხური სელის ტილო მეტოქეობას უწევდა ევგობტურ სელს ძველი ქვეყნების ბაზარზე და მას ანტიკური ხანიდან XIX საუკუნემდე არ დაუქარავს ღირებულება საქართველოს ექსპორტში.

აღსანიშნავია, რომ კანაფის დამუშავების მაღალტექნიკური დონე უკანასკნელ დრომდე შემონახა სვანეთში — ისტორიული კოლხეთის მთიანმა რაიონმა⁹.

ეთნოგრაფიული მონაცემებით დამოწმდა აგრეთვე სელის და კანაფის საკულტო მნიშვნელობა. ყურადღებას იქცევს სელის ან კანაფის სუდარით მიცვალებულის დასაფლავების წესჩვეულება, რომელიც დასავლეთ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული¹⁰.

მეურნეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მორწყვის სისტემას. სამტრედიის რაიონში გავრცელებული ეწერი ნიადაგები მხოლოდ მოტიკლით იმღვოდა ნაყოფს. მოტიკლი კი ხდებოდა როგორც ბუნებრივად, ასევე ხელოვნურად — წყლის გადმოშვებით. აღნიშნულ რაიონში ახლაც მოქმედებს პრიმიტიული არხები, რომლებიც XIX საუკუნის 70—80-იან წლებში არის გამოყვანილი.

ყურადღებას იქცევს სამეურნეო იარაღების სიმრავლე და მრავალფეროვნება. სამტრედიის რაიონისათვის დამახასიათებელია რბილი მიწები; რომლის მოსახსნავად ძირითადად გამოყენებული იყო კავი. მთავარიან აღგილებში კავს

იმერული თოხი ცვლიდა. მისი დანიშნულება იყო აგრეთვე სარეველა ბალახისაგან ნათესის გაწმენდა და მიწის გაფხვიერება.

საწარმოო ჩვევების ძველი ტრადიცია შეიმჩნევა იმერულა კავის დამზადების წესში. სახენელი მთლიანი ხის მორია, სათანადოდ შერჩეული. მისი მოქმედება განისაზღვრება ნიადაგის აჩენვა-აქქევით. იგი შედგება გრძელი მხარის, რომელსაც აქ ზეწარს ან კავს ეძახიან, ერქვანის და ქუსლის ანუ გუთნისაგან, რომელსაც ცხვირი გათხლებული აქვს რკინის სახნისის წაშლასაგებად. სახენელი იარაღის ეს სახეობა შეგუებული იყო ჰავის, ნიადაგების, ტენიანობის, რელიეფის თავისებურებასთან და მიკრორაიონის სპეციფიკისთან¹¹.

რბილი მიწის მოსახსნავად აღწერილი სახენელის ფართო ფრთიანი და ყურიანი ქუსლი იყო გამოყენებული, ხოლო მაგარი ქვიანი ნიადაგისათვის სოლისებური უფრო და უყურო ქუსლი იხმარებოდა (ქუთაისის და წყალტუბოს რაიონი), რომლის გვერდები შეგრული სახენელის მსგავსად მომრგვალებული იყო.

მნიშვნელოვანია სახენელის სახელწოდების თავშემონახულობა. აქ კავს ხარსარახი // ხარსარალი // ხარწარალი ჰქვია. ამ სახელთან დაკავშირებით საყურადღებოა სახენელის აღმნიშვნელი სვანური ტერმინი ღენწვიში // ხენწვიში, რომელიც ხარის გაწეულს უნდა ნიშნავდეს და აფხაზური სახენელის სახელწოდება — აკამატა, რომელიც ასევე ხარის იარაღის აღმნიშვნელია. საყურადღებოა, რომ აფხაზური სახენელის თითოეული ნაწილის სახელი გამწვევ ძალასთან — ხართან არის დაკავშირებული. ეს სახელწოდებანი მიუთითებენ სახენელი იარაღის უძველეს სახეობაზე¹².

გარდა იმერული თოხისა ცნობილი იყო პირბასრი თოხი, რომელიც ახოს ადების დროს კუნძების და ფესვების ამოსაღებად იხმარებოდა. აღწერილობის მიხედვით, იგი თოხწერაქვის ტიპის უნდა იყოს¹³. გავრცელებული იყო აგრეთვე ღომის და ფეტვის გამოსამარგლავი პატარა თოხი.

⁸ შტრ. გ. ი. უ. ლ. დ. ე. შ. ტ. ე. დ. ტ. I, 1962, გვ. 157.

⁹ У. Генко, О названиях плуга в северокавказских языках, Доклады Академии наук СССР, 1930, № 7, გვ. 130 და შმდ.

¹⁰ შტრ. გ. ი. ტ. ა. ა. ა., თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში) ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკ. II, თბილისი, 1959, გვ. 152.

⁸ ჯ. რ. უ. ხ. ა. ძ. ე., ღომის კულტურა დას. საქართველოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XI, 1960.

⁹ ჯ. რ. უ. ხ. ა. ძ. ე., კანაფის მეურნეობა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVI—XVII, 1972.

⁷ იქვე, გვ. 88, ეს მოვლენა ზოგადი ეთნოგრაფიის მონაცემებითაც დასტურდება.



ქვემო იმერეთისათვის არც კევრი ანუ კელი იყო უცნობი. გვხვდება აგრეთვე ფეტვისა და ღომის გასაწმენდი — ყანის გამკლავი იარაღი **საცეხელი** || ჩაშური (სოფელი ტოლები, ნოლა), სიმინდის დასაფშენელი, მსხვილი წყნელი-საგან მოღობილი **საფშენელი** და ფიცრისაგან დამზადებული ჩირბუ (ზემო ტოლები, ნოლა). დადასტურდა ხის და ქვის საცეხველის ორი ტიპი: ხელის და ღერძით მოქმედი, რომლის ორი სახეა ცნობილი: ფეხის და წყლის. აქ ძირითადად ხელის და წყლის საცეხველი იყო გავრცელებული, რომელთა მარცვლის ჩასაყრელი ჯამი მეტწილად ხისაგან იყო გამოთლილი. XX საუკუნის დასაწყისში ქვის პატარა საცეხველის ხმარება დაიწყო.

ღომისა და ფეტვის ცეხვა ხდებოდა თავმოკაუქებული კაკუტით, რომელსაც კაკუტს, კავს და ხელკავს ეძახდნენ. სიმინდის საფშენელად კეტი იხმარებოდა, რომელიც ზემო იმერეთში საგანგებოდ იყო დაკვილული. კეტს ჰქონდა თავი, შუა ადგილი — წინი და ბოლო. დარტყმის დროს დაკვილული წვნი ხდებოდა ტაროს და სიმინდი იფშენებოდა. კეტს ხშირად ღომის საცეხვე კაკუტი ცვლიდა.

მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა დადასტურდა ტყის გაჯავის, ტყის ჯიშების ცოდნის და მათ თავისებურებათა მიხედვით მიწების სახნავად ათვისებაზე.

საგულისხმოა ტერმინ სამოლო მიწის და ოჩეს დადასტურების ფაქტი.

მოლი, როგორც გამოსაღების სახელი, 1246—50 წლების სიგელშია ნახსენები. გამოთქმულია აზრი (აკად. ივ. ჯავახიშვილი), რადგან მოლი ათონის აღპებში გამოსაღებად იხსენიება, იგი საზომის სახელისაგან წარმომდგარი სიტყვა უნდა იყოს¹¹. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით **მოლი** — **სამოლო** გამოღლილი მიწის სარგებლობისათვის დაწესებული გარკვეული გამოსაღების სახელია.

სამოლი მიწა ნაყანევია, რომელზედაც ქერი და ღომი ითესება. აღსანიშნავია, რომ ახალი გატეხილი მიწის — ტევრის || კაბეტის სამოლოდ გატემა არ ხდებოდა. სამოლო მიწიდან მიწის პატარონს პირველ წელს შემოსავლის მეოთხედ-ი მოდი ეძლეოდა, ხოლო შემდეგ შემოსავლის მესამედი მოდი და ა. შ.¹²

¹¹ ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მოზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, ტფილისი, 1925, გვ. 73.

¹² შტრ. კ. ბოროზდინი, რაფ. ერი-სთავი და ქ. მურჩიე, ბატონყმობა სამეგრელოში, ტფილისი, 1927, გვ. 24, 61. მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბილისი, 1957, გვ. 90; ო. სოსე-

ტერმინი ოჩე ჩვენი მუშაობის მნიშვნელოვან მონაპოვრად მივაჩინა (იმერეთი, გურია) რომელიც აქ ისევე, როგორც გურიასა, სამეგრელოსა და ზემო იმერეთში, ყანის ცნების შესატყვისად იხმარება, მაგრამ მხოლოდ ყანის აღნიშვნელი კი არ არის, არამედ შეძლებული გლეხის, აზნაურის, თავაძის დიდი და შემოკავებული, ნაყოფიერი ადგილის აღნიშვნელია, რომელიც ხშირად რამდენიმე ნაწილად იყო დაყოფილი: საბალახო, ქართა, ტყე, საყანე, რომლის თითოეული ნაწილი დროის შესაბამისად სახნავად იყო გამოყენებულ.

ტერმინი ოჩე — «ცხენით სამსახური ოჩისა» — როგორც ბევარის ერთ-ერთი სახეობა აღნიშნულია გურიის საქუთათლო ყმების XVI საუკუნის ნუსხაში¹³.

სამეცნიერო ლიტერატურაში ოჩე-ს შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ერთ-ერთი მოსაზრებით (ზ. ალექსიძე, გ. მაჭავარიანი¹⁴) ოჩე სოციალური შინაარსის მქონე ტერმინია, რომელიც საუფროსო-საუხუცესის ნიშნავს. ჩვენი აზრით «ოჩე» სიტყვისათვის მიგნებული თავდაპირველი მნიშვნელობა შეიძლება არ შეჩერდეს სოციალური ტერმინის («საუფროსო»-საუხუცესო-ს) დონეზე. თუ ეს ასეა, იგი შეიძლება გამართლდეს მხოლოდ როგორც მეორეული, ხელახალი ინტერპრეტაციის შედეგად წარმოქმნილი ცნების გამოხატულება.

ოჩე || **ოჩი**- ოღინდელი მნიშვნელობის კვლობაზე უნდა დახასიათდეს როგორც საყულტო ტერმინი, რომელიც თავდაპირველად (ოჩი || ბოჩი) აღნიშნავდა ნადირობის (აკად. ივ. ჯავახიშვილი)¹⁵ და შესაქონლეობის უძველეს ღვათებს (პროფ. ვ. ბარდაველიძე)¹⁶. ახალი ეთნო-

ლოია, მასალები აგრარული ურთიერთობის ისტორიისათვის გვიანდროდალურ დასავლეთ საქართველოში, მს. საქ. და კავ. ისტ. ნაე. 31, 1954, გვ. 159; და მისივე, ფოლადლური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბილისი, 1966, გვ. 111.

¹³ დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგარისა, შედგენილი 1578 წელს, ძველი საქართ. ველო, IV, ტფილისი, 1914—1915, გვ. 65—70.

¹⁴ ზ. ალექსიძე, გ. მაჭავარიანი, უძველესი ქართული სოციალური ტერმინები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 127, 1968.

¹⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, ნაწ. I, 1926, გვ. 73—74; მისივე, ქართული და კავკასიური ენების თვალპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 177, 179, 217.

¹⁶ ვ. ბარდაველიძე, ქართველი (სეპენტრი) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953.

გრაფიული მასალით იგი ნაყოფიერებს — მარცვლელთა კულტურის მფარველი ღვთაების აღმნიშვნელი ტერმინიცაა, რომლის კონკრეტული სახის ერთი მაგალითი გურიის ეთნოგრაფიულ ყოფილა შემონახული.

ველურ მუშაობამ გამოავლინა სხვადასხვა სახის და დანიშნულების სამეურნეო ნაგებობები: ხულა-ბედელი (ზ. ტოლები, ნოლა), ღომის საშრობი ნალია (ზ. ტოლები, ნოლა), სასიმინდე — ნალია, მოდგმულა, მარანი, ახორი, საბაქელი და სხვ.

იმერეთში ისევე, როგორც მთელ დასავლეთ საქართველოში, მარცვლელის შესანახი ერთ-ერთი ძირითადი ნაგებობაა სასიმინდე. ზემო იმერეთისგან (საჩხერის რაიონი) განსხვავებით აქ გვხვდება ერთ განყოფილებაში კვადრატული სასიმინდე, რომელიც სამი სახისაა: ჭარგვლური, ფიცრული და მოწნული. ფიცრული სასიმინდე ორნაირია: მარტივი ორნაშენიანი და უორნაშენი. მოწნული სასიმინდის ორი სახეა გამოყენილი: ღობური და „დაწნული“.

საყურადღებოა, რომ სამტრედიის რაიონის ბარის ზონაში ხმარებაში არ არის სასიმინდის შუა აღვილზე დასადები ძარო-გოდორი, რომელიც სიმინდის უკეთ გასაშრობად კეთდებოდა. როგორც ცნობილია, აქ აღმოსავლეთის ცხელი ქარების წყალობით სასიმინდემი მოთავსებული სიმინდი ადვილად შრებოდა; მაგრამ საკმარისია ახლო მდებარე გორაკ-ბორცვიან სოფელს ვესტუმროთ, რომ ძაროიანი სასიმინდის არსებობა დავადასტუროთ.

სამტრედიის რაიონის ბარის მოსახლეობაში ვერც ღომის საშრობი ნალია დადასტურდა, ნალია აქ სასიმინდის სინონიმად იხმარება; მაშინ როდესაც სოფელ ნოლასა და ზემო ტოლებში ამ სამეურნეო ნაგებობას ყველა მოხუცი ასახელებს.

უნდა ვიფიქროთ, რომ ნალიის, როგორც ღომის საშრობი ნაგებობის კონსტრუქცია და სახელი XVII საუკუნის შემდეგ უნდა შეცვლილიყო, როდესაც ჩვენს დეხი მოვიდა სიმინდის კულტურამ და თანდათან სხვა მარცვლელთა კულტურები განდევნა. ამას ისიც დასტურებს, რომ სიმინდის და ღომის საშრობი ნაგებობა ერთი და იმავე ტერმინითაა ცნობილი: ნალია (იმერეთი — გურია) || ნანი (სამეგრელო).

ვიფიქრობ, რადგან XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან სიმინდის ყველაზე მაღალი მოსავალი სამტრედიის მდინარე¹⁷, სავარაუდებელია,

რომ ღომი ცოტა მოჰყავდათ; ის მცირე მოსავალი, რომელიც დღესასწაულისათვის თუ ქირის სუფრაზე იხარჯებოდა ან სასიმინდემი ხმებოდა ან, როგორც მთქმელები ამბობენ — სახლის სხვენზე. ყოველ შემთხვევაში, ნალიაში ღომის თავისი ცეცხლით გაშრობა, რაც ამავე რაიონის გორაკ-ბორცვიან სოფლებში დადასტურდა, აქ ცნობილი არ ყოფილა. მას გეოგრაფიულ-კლიმატური პირობები უწყობდა ხელს.

შესაწავილი იქნა აგრეთვე უნიფიცირებელი საწყაოები და ზომა-წონის ერთეულები: ბათმანი, კოდი, გოდორი, გოდრიცე, ბარელი გოდორი, კაღაო, კარანჩხა, ურემი; მინდის ასადებალი და სამეზობლო ურთიერთობაში გამოყენებული საწყაო: ხობიო, კვახი, ქოქოთანე, ხალამი, ქოთანი; საწონი: ქსანი, კვერცხი, ქვა, წველა; საზომი ერთეული ბედელი (ზემო ტოლები, ნოლა და სხვ.).

ოღონდა მთისა და ბარისათვის დამახასიათებელი ორი სახის ურემი: მაღალი — ბარის და დაბალი — ფარდის ანუ მარხილე ურემი (ნოლა, ტოლები).

საყურადღებოა მეზობლის — მოსაზღვრის აღსანიშნავად ტერმინ მეგორავის დადასტურება და სხვ.).

აღნიშნული მიკრორაიონი იცნობს საცხოვრებელი სახლის რამდენიმე სახეობას: ფაცხა, ქუხნა ანუ ბოყიანი შავი სახლი, ოლა, პალატაინი ოლა.

ამჟამად ისპობა ღია აივნისი მოჩუქრომებული სახლები, ქრება ერის ქვის ყორით და ცოცხალი ღობით კეთების ტრადიცია და ქალაქური ტიპის სახლების აშენების ტენდენცია შემოიჭრება.

ბუნებრივია, რომ ჩვენს ეპოქაში უნდა შეიქმნას ახალი ცხოვრების შესაფერისი სახლები, მაგრამ არ უნდა დავავიწყდეს, რომ ახალი კულტურა იქმნება მხოლოდ ძველის მიღწევათა გამოყენების შედეგად. ღია აივნისი სახლები შემთხვევით კი არ იყო ხალხის ცხოვრებაში დამკვიდრებული, არამედ ყალიბდებოდა საუკუნეთა მანძილზე და ასახავდა ხალხის ყოფის თავისებურებებს; იგი შექმნილი იყო წმინდა პრაქტიკულ მოთხოვნილებათა საფუძველზე, ბუნებრივი პირობების და ესთეტიკურ შეხედულებათა გავლენით.

ასეთია წინასწარი სახით ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მოკლე მიმოხილვა.

¹⁷ И. О. Иоселиани, экон. быт государственных крестьян юго-запад. части Кутаисского уезда, МИЭБГКЗК, т. VII, Тиф., 1887, გვ. 239.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის გადამწყვეტილების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის გადამწყვეტილების შესახებ მოსახლეობაში მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის შესახებ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სათანადო გადამწყვეტილება და მიითვება მისცა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებს გაემახვილებინათ ყურადღება მეცნიერულ-ათეისტურ პროპაგანდაზე, ამასთანავე მიუთითა ამ მუშაობის ფორმებსა და მეთოდებზე. ამავე გადამწყვეტილების თანახმად აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან 1959 წელს შეიქმნა რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის კაბინეტი.

მუზეუმის პროფილისა და მიზნების შესაბამისად კაბინეტი პირველი დღიდანვე თავის მუშაობას წარმართავს სამუზეუმო-საექსპოზიციო, საექსპედიციო-შემკრებლობითი და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით.

მოსახლეობაში ფართო მეცნიერულ ათეისტურ პროპაგანდის ერთ-ერთ ქმედით საშუალება, ლექციური პროპაგანდის გვერდით, ითვლება და დიდი სარგებლობა მოაქვს ათეისტურ თემებზე მოწყობილ გამოფენებს. მიიღო რა მხედველობაში ეს ფაქტი მუზეუმის დირექციამ ყურადღება გაამახვილა სწორად ასეთი სახის მომარაგი და სტაციონალური გამოფენების მოწყობაზე. უკანასკნელი წლების განმავლობაში კაბინეტმა მოაწყო 5 მომარაგი და სამი სტაციონალური გამოფენა. სტაციონალური გამოფენები მოეწყო საქართველოს ც. კის კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სახლში, კიროვის რაიონის კულტურის სახლში, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კულტურის სახლში, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ამჟამად მოქმედებს მხოლოდ უკანასკნელი გამოფენა. მომარაგი გამოფენების დემონსტრირება მიმდინარეობდა თბილისის მსხვილ წარმოება-დაწესებულებებსა და რაიონის კულტურის სახლებში. სადაც კაბინეტის თანამშრომლები მ. გუგუტიშვილი, გ. ჩიგოჯიძე, ი. ჩხარტიშვილი და ლ. მელიქსეთ-მეგი სისტემატურად ატარებდნენ ლექცია საუბრებსა და კონსულტაციებს, მონაწილეობას ღებულობდნენ თემატური და კთხვგაპასუხის საღამოებში. კაბინეტის მიერ მოწყობილი, როგორც სტაციონალური ასევე მომარაგი გამოფენები, ყოველთვის დიდი გემოვნებით იყო გაფორმებული და საკმაო ფართოდ ეკავა, რაც საშუალებას

გვაძლევდა მთლიანობაში და დამაჯერებლად წარმოგვედგინა ექსპოზიციო გამოტანილი ესა თუ ის საკითხი. გამოფენების მოწყობისას ზოგადი ხასიათის მასალების გვერდით, მრავლად ვაყენებდით არქეოლოგიურ, გეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალებს, რომელიც დაეძლეა საქართველოს მუზეუმის განყოფილებების ფონდებში. თვალსაჩინო, მოცულობითი მასალა უფრო სინტერესოა და მიმზიდველს ხდიდა ექსპოზიციას.

როგორც მომარაგი ასევე სტაციონალური გამოფენების ორგანიზაციის დროს ყურადღებას ვამახვილებთ ისეთ საკითხებზე, როგორცაა: „მეცნიერება და რელიგია სამყაროსა და ადამიანის წარმოებაზე“, „რელიგიური ცრურწმენების მავნეობა და ბრძოლა მათ წინააღმდეგ“, „იუდაიზმის ანტისაზოგადოებრივი არსი“, „მეცნიერულ ათეისტური პროპაგანდის ხერხები და მეთოდები“, „კოსმოსის ათვისების ათეისტური მნიშვნელობა“, „რელიგიური სექტანტობა საქართველოში და მისი რეაქციული არსი“, „კულტის მსახურობა ამორალური სახე“ და სხვა. მიიღო რა მხედველობაში ის დიდი ინტერესი, რომელსაც იჩენდნენ პარტიული და სახელმწიფო ათეისტური პროპაგანდისა და კერძოდ, ათეისტური ხასიათის გამოფენების მოწყობისადმი, კაბინეტმა მოამზადა და გამოსცა მომარაგი გამოფენის მეგზური თემაზე — „მეცნიერება და რელიგია“ (შემდგენელი მირიან ზუციშვილი). კაბინეტის თანამშრომლები სისტემატურად დახმარებას უწევდნენ თბილისის წარმოება-დაწესებულებების, რაიონის კულტურის სახლებსა და სამოსწავლო დაწესებულებებს ათეისტურ თემაზე კონსულტაციებისა და საღამოების მომზადებასა და ჩატარებაში. გამოფენების მოწყობაში და სხვა. აქტიურად მონაწილეობენ მუზეუმის მიერ მოწყობილ სამეცნიერო გამსვლელ სესიებში. მაგ., გასული წლის დეკემბრის თვეში კაბინეტის თანამშრომლებმა: ი. ჩხარტიშვილმა, ნ. ურუშაძემ, ლ. მელიქსეთ-მეგიმ, მონაწილეობა მიიღეს მუზეუმის მიერ მოწყობილ გამსვლელ სესიაში, რომელიც ჩატარდა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის კაბინეტის საქმიანი და მჭიდრო ურთიერთობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერული ათეიზმის ინსტიტუტთან, ლენინგრადის რელიგიის ისტორი-

ისა და ათეიზმის მუზეუმთან, მოსკოვის ათეიზმის სახლთან და სხვა.

გასაგებია, რომ ქმედითი მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის გაწევისა და ანტირელიგიური თემზე მეცნიერულად გამართული გამოფენის მოწყობის აუცილებელი პირობაა სათანადო მეცნიერული კადრების მომზადება და რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის საკითხების საფუძვლიანი ცვლევა, რისთვისაც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ყველა პირობა შექმნილი. მუზეუმის დირექცია სისტემატურად აღუქმნებს თვალყურს და ყოველგვარ პირობას უქმნის კაბინეტის თანამშრომლებს, რათა გვემით გათვალისწინებული თემები შესრულდეს მაღალხარისხიანად და დროულად. ამ მიზნით კაბინეტი ყოველწლიურად აწყობს სამეცნიერო-კვლევით ექსპედიციებს საქართველოს მთიანეთის რაიონებში: თუშეთში, ფშავში, ხევსურეთში, ხევში, მთიულეთ-გუდამაყარში, რაჭაში, სვანეთში და სხვა. კაბინეტის თანამშრომლებს საშუალება აქვთ აიმაღლონ სამეცნიერო კვლი-ფიკაცია, განახორციელონ სამეცნიერო მივლი-ნებები ჩვენი ქვეყნის კულტურულ ქვეყნებში: მოსკოვში, ლენინგრადში, კიევი და სხვა. იმუ-შთან საბჭოთა კავშირის ცნობილ არქივებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში. ჩვენი თანა-მშრომლები მონაწილეობას ღებულობენ რო-გორც საკავშირო ასევე რესპუბლიკურ სამეც-ნიერო სესიებსა და კონფერენციების მუშაობა-ში. დირექცია შესაძლებლობის ფარგლებში აძ-ლიერებს კაბინეტს კვალიფიციური კადრებით. გასულ 1972 წელს კაბინეტის ორმა თანა-მშრომელმა დაიცვა დისერტაცია. ამჟამად კაბი-ნეტში მუშაობს ხუთი ისტორიის მეცნიერება-თა კანდიდატი (რომელთაგან სამი უფროსი მეც-ნიერ თანამშრომელია), და ერთი უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი. კაბინეტმა სამეცნი-ერო-კვლევით სამუშაოებში ყურადღება გაამა-ხვილა საქართველოს ისტორიის აქტუალურ სა-კითხებზე, როგორცაა ეკლესიის საწინააღმდე-გე მოძრაობა საქართველოში, რელიგიური სექტანტობა საქართველოში და მისი ანტისაზო-გადოებრივი არსი, ისლამი საქართველოში და მისი რეაქციული არსი, რელიგიური გადმონაშ-თები და მათი დაძლევის გზები, მშრომელთა ათეისტური აღდგენა ომისშემდგომი დროის სა-ქართველოში, ახალი საბჭოთა ტრადიციები და სხვა. კაბინეტის თანამშრომლებმა მოამზადეს და გამოსცეს კრებული „რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში“ (ნაკვეთი 1). კრებულში მოთავსებულია სტატიები: „ეკლესია და მის მსახურთა კრიტიკა გუბეთ „დროების“ ფურცლებზე“ (ი. ჩხარტიშვილი), „რელიგიური გადმონაშთები აღმოსავლეთ სა-ქართველოში (თუშეთი) და მათი დაძლევის გზე-

ბი“ (ა. ცამცივილი), „რელიგიური გადმონაშ-თები რაჭა-ლეჩხუმში და მისი დაძლევის გზე-ზი“ (ა. სოსხაძე), „აგრარული კულტის გადმო-ნაშთები დასავლეთ საქართველოში“ (მ. ნადა-რია), „საქართველოს ეკლესია ცარიზმის კო-ლონიური პოლიტიკის სამსახურში (XIX ს.) (მ. ხუციშვილი). ამჟამად მომზადებულია და წარდგენილია დასაბეჭდად კრებულის მეორე ნაკვეთი. ნაყოფიერი იყო კაბინეტისათვის გა-სული 1972 წელი. ამ წელს გამოცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა მირიან ხუციშვილის ნაშრომი — „საქართველოს სექტანტის რე-აქციული ღონისძიებები რევოლუციური მოძ-რაობის განვითარების პერიოდში“ (25 თაბახი). ლ. მელიქსეთ-ბეგის სტატია — „საქართველოს სსრ კანონმდებლობა რელიგიური სექტების შე-სახებ“ (ჭურნალ „საბჭოთა სამართალი“, № 2). „სოვეტსკაია არქეოლოგიაში“ გამოქვეყნდა ნ. ურუმაძის სტატია „ბრინჯაოს სარტყელი თრიალეთიდან“, მისივე სტატია — „წარმართო-ბიდან ქრისტიანობისაკენ“ გამოქვეყნდა ჟურ-ნალში „ნაუკა ი რელიგია“. საბჭოთა კავშირის აკადემიის კომპიის განყოფილების ჟურნალში „სიბირსკი ვესტნიკი“-მა გამოაქვეყნა მისივე ნა-შრომი — „პირველყოფილი ადამიანის ადრეუ-ლი სახვითი ფორმების მხატვრულ სემანტიკუ-რი ანალიზი“, ჟურნალ „ისკისრის“ უახლოეს ნომერში იბეჭდება ვ. ტარტარაშვილის სტა-ტია — „ქრისტიანობის აღდგენის ისტორიიდან საინვილოში (XIX ს.)“, მუზეუმის მოამბეში (ტ. XIX-ბ) დაიბეჭდა მ. გუგუტოშვილის სტა-ტია — „თანამედროვე დღესასწაულები და მათი როლი რელიგიური გადმონაშთების დაძლე-ვაში“ და სხვ. სულ 1972 წელს კაბინეტის თა-ნამშრომლებმა გამოაქვეყნეს სტატიებისა და ცალკე ბროშურის სახით 12 ნაშრომი.

1961 წლიდან რელიგიის ისტორიისა და ათე-იზმის კაბინეტმა დაიწყო საქართველოს მთია-ნეთში (თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, სვანეთი, რაჭა, ხევი) შემორჩენი-ლი ქართული ხალხური დღეობების აღწერა და კინოფიქსაცია. ამავე წლიდან მუზეუმში ასრუ-ლებს ზემოაღნიშნულ რაიონებში, ისეთ გადა-უღებელ და საჭირო სამუშაოებს, როგორცაა საკულტო დანიშნულების ძეგლების ტოპოგრა-ფიული აგეგმვა, არქიტექტურული აზომვა და მათი კინო-ფიქსაციის ფირებზე აღბეჭდვა. ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესწავლისათვის საჭირო და საშური სამუშაოების ორგანიზატორები და ხელმძღვანელები იყვნენ პროფესორი ვერა ბარდაველიძე და აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია, რომელთა უშუალო მონაწილეობით შესრულდა ეს მერტა შრომატევადი სამუშაოები. დასახე-ლებულ სამუშაოებს საქართველოს მუზეუმის რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის კაბინეტი

დღესაც წარმატებით ასრულებს. ამჟამად კაბინეტში ინახება თუშეთის, ფშავისა და ხევსურეთის თითქმის ყველა საკულტო ძეგლის ანაზომი. ეს მასალა დიდ დახმარებას გაუწევს სპეციალისტებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ძველი ფორმების შესწავლით. კაბინეტს ახლო მომავალში გათვალისწინებული აქვს ამ მასალის საფუძველზე შეადგინოს საკულტო დანიშნულების ძეგლების რუკა.

რუკაზე დატანილი იქნება როგორც ქრისტიანული ხანის ისე ადრექრისტიანული ხანის ყველა ძეგლი, თავისი სახელწოდებით. გარდა ამისა განყოფილებას განზრახული აქვს მსგავსი რუკები შეადგინოს საქართველოს ეთნიკური რეგიონების მიხედვით (თუშეთის, ხევსურეთის, ფშავის და სხვ.), რომელსაც დაერთვის ზოგიერთი ძეგლის ანაზომი და ფოტო-მასალა. კაბინეტი ყოველწლიურად ატარებს ექსპედიციებს რომლის მიზანია შემორჩენილი ქართული ხალხური დღეობების აღწერა და კინოფიქსირება. უკანასკნელ წლებში აღწერეთ და გადავიღეთ კინოფირზე ქართული ხალხური დღეობები თუშეთში (სოფლებში: შენაქო, დიელო, ბოქორანა, ომალო, ქუმელაურთა ფარსმა, ჩილო, ჩივლურთა და სხვ.), ყაზბეგში „მარიამობა“ („სამებობა“), კახეთში (აწყური) „მარიამობა“, რაკვიში „კობინჭკობა“, მთელიანში „ლომისობა“ კახეთში (ახალსოფელი, ყვარლის რაიონი) „გიორგობა, ქორღში (გორის რაიონი) „ბარბარობა“ და სხვ. სულ ამ წლებში განმავლობაში გადაღებულია 10000 მეტრზე მეტი კინოფირი და დამონტაჟებულია 15 ნაწილიანი სრულმეტრაჟიანი ფილმი — „ქართული ხალხური დღეობები“. ეს სამუშაო, რომელმაც კინოფირზე ასახა ისეთი დღეობები რომლებსაც სულ ახლო მომავალში გაჭრობა ემუქრება (ნაწილი უკვე აღარ ტარდე-

ბა) ნაწილობრივ წარმოდგენას იძლევა ქართველი ხალხის წეს-ჩვეულებებზე და მეცნიერებს საშუალება ექნებათ მუზეუმში გაეცნონ მათთვის საჭირო ეთნოგრაფიული ხასიათის მასალას.

საკულტო დანიშნულების ძეგლების ავეგმვა-ახაზვას და შემორჩენილი ქართული ხალხური დღეობების კინოფიქსირებასა და აღწერას მუზეუმში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შემდეგი გარემოების გამო. როგორც ცნობილია მთიანეთში შემორჩენილი საკულტო დანიშნულების ძეგლები ძირითადად ნაგებია „შპრალად“ (ხსნარის გარეშე), ვერ უძლებს დროთა სვლას და ინგრევა რის შემდეგაც თითქმის შეუძლებელია აღდგეს მისი პირვანდელი სახე. ბევრი ძეგლი რომლის ანაზომი და ფოტო ჩვენთან ინახება ახლა უკვე დაწვრილია. ამ ძეგლების მეტოქურულად შესწავლას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ძველი ფორმების დადგენისა და შესწავლის საქმეში. ამრიგად, ამ ძეგლების ანაზომების მუზეუმში დაუწყებით ჩვენ მეცნიერებსა და მომავალ თაობას ეუნარჩუნებთ ჩვენი ერის ისტორიის შესწავლის ერთ-ერთ ფრიალ საჭირო წყაროს, რომელსაც რაც ხანი გადის უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ასეთივე მნიშვნელობა ენიჭება შემორჩენილი ხალხური დღეობების აღწერასა და კინოფიქსირებას. ამასთანავე მუზეუმის ათეისტური კაბინეტი ატარებს ახალი საბჭოთა დღესასწაულების კინოფიქსირებასა და აღწერას. ამ ორივე წლის წინათ გადავიღეთ და აღწერეთ ახალი ხალხური დღეობა „ზეზვაობა“ (სოფელი ქვ. ალვანი, ახმეტის რაიონი). აღნიშნულ მასალას ჩვენ წარმატებით ვიყენებთ აგრეთვე ათეისტური პროპაგანდის დროს.

მირიან ხუციშვილი

საყვარდღეობო დისერტაცია უნგრეთ-საქართველოს შრომერთობის ისტორიის საკითხებზე

1973 წლის 8 მაისს თბილისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქემ, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ლაიოშ ტარდიმ დაიცვა დისერტაცია ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

ლაიოშ ტარდი 200-მდე ნაშრომის ავტორია. ეს ნაშრომები ძირითადად ეხება საქართველოს ისტორიას, საქართველო-უნგრეთის ურთიერთობას. მისი ზოგიერთი ნაშრომი ეხება უნგრეთ-რუსეთის ურთიერთობას.

საქართველო-უნგრეთის ურთიერთობას ლაიოშ ტარდი სწავლობს წლების განმავლობაში და იკვლევს ამ ურთიერთობას დაწყებული XIII საუკუნიდან დღემდე. ამ დარგში მან

არაერთი საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნა უნგრეთში, საფრანგეთსა და საქართველოში. მისი სტატიები გამოქვეყნებულია ასევე ავსტრიაში, პოლანდისა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ორი ნაშრომი, რომლებიც მან ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა პარიზში: ერთი, საქართველო-უნგრეთის ურთიერთობა XIII—XVIII საუკუნეებში და მეორე, საქართველოს მეფე სიმონ I-ის საგარეო პოლიტიკა ევროპის არქივებში მოპოვებული მასალების მიხედვით.

საქართველოში ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოვიდა ლაიოშ ტარდის რომანი „იაკუბ ბეი“. ისტორიული ბიოგრაფია უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიული კვშირებიდან. იგი ეხება ერეკლე II დროის საქართველოს, მის საშინაო და საგარეო მდგომარეობას. წიგნს მაღალი შეფასება მისცა ქართველმა მკითხველმა.

ასევე საინტერესოა ლაიოშ ტარდის ნაშრომები: უნგრეთის დიპლომატიური მისიები აღმოსავლეთში (ყერძოდ, საქართველოსა და ირანში), იაკუბ რეინგესისა და იანოშ კოპარის მოღვაწეობა საქართველოში, საქართველო უნგრეთის თვალში და სხვ.

ლაიოშ ტარდი ამჟამად არის უნგრეთის არქეოლოგიური ზიბლოთეის დირექტორი ბუდაპეშტში.

როგორც აღვნიშნეთ, მიმდინარე წლის მთავარ ლაიოშ ტარდის სადოქტორო დისერტაცია დაიცვა თბილისში. მისი დისერტაციის თემა იყო: „შუაევროპული საზოგადოებრივი აზრი საქართველოზე და საქართველო-უნგრეთის ურთიერთობა XVI საუკუნეში“. ეს დისერტაცია დაწერილია უნგრეთის, ავსტრიის, საფრანგეთის, იტალიისა და ევროპის სხვა ქალაქების არქივებისა და წიგნთსაცავების მასალების საფუძველზე.

ლაიოშ ტარდის ამ ნაშრომში, რომელიც ორი ტომისაგან შედგება (დაახლოებით 700 გვერდი), მოცემულია საინტერესო, დღემდე უცნობი დოკუმენტები საქართველო-სა და საქართველო-უნგრეთის ურთიერთობის შესახებ, უნგრულ, გერმანულ, იტალიურ, ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ, პორტუგალიურ და ლათინურ ენებზე.

საქართველო-უნგრეთის ურთიერთობის შესახებ ასეთი მნიშვნელოვანი ნაშრომის დაწერაში ლაიოშ ტარდის ხელი შეუწყო იმ ვარემოებამ, რომ მან კარგად იცის ვარა უნგრული და რუსულია, დასავლეთ ევროპის ენები, ასევე, მის საშუალება ჰქონდა წლების განმავლობაში ემუშავა ევროპის ქვეყნების არქივებსა და ბიბლიოთეკებში.

ოფიციალურმა ოპონენტებმა პროფესორებმა ემილ ნიდერპაუზერმა (ბუდაპეშტი), ზურაბ ანაბაძემ, გიორგი პიპიაძემ და ილია ტაბალუამ მაღალი შეფასება მისცეს ლაიოშ ტარდის სადისერტაციო ნაშრომს.

სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა და ლაიოშ ტარდის ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა აგრეთვე შ. რუსთაველის სახ. ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა აკად. ალ. ბარამიძემ.

სამეცნიერო საბჭოს წევრებმა, ფარული კენჭის ყრის შედეგად, ერთხმად მიანიჭეს ლაიოშ ტარდის ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ამჟამად, ლაიოშ ტარდი აგრძელებს მუშაობას საქართველო-უნგრეთის კულტურული და ისტორიული ურთიერთობის საკითხებზე XVI საუკუნიდან დღემდე.

ილია ტაბალაშა

ПАМЯТИ 26 БАКИНСКИХ КОМИССАРОВ

20 сентября 1973 года исполнилось 55 лет со дня гибели славных бакинских комиссаров, павших от рук английских и эсеро-меньшевистских палачей. Имена и дела бакинских комиссаров бессмертны. Непроходяща и боль их утраты. Нельзя без гнева говорить о подлости и преступлениях закавказских эсеров и меньшевиков, дашнаков и мусаватистов — этих презренных эмиссаров международного империализма, жалких клоунов у ковра истории.

После Великой Октябрьской социалистической революции в некоторых национальных окраинах бывшей Российской империи обосновалась контрреволюция. В Закавказье при прямой поддержке интервентов, — сперва германо-турецких, затем англо-французских, — власть захватили меньшевики (в Грузии), дашнаки (в Армении) и мусаватисты (в Азербайджане), которые превратили этот, богатый революционными традициями, край в колонию иностранных империалистов, в плацдарм борьбы против Советской России.

Иноземным империалистам и внутренней контрреволюции не удалось завладеть крупнейшим пролетарским центром в Закавказье, столицей нефтяной промышленности Российской империи, форпостом большевизма на Кавказе — Баку.

31 октября 1917 года на конференции расширенного Бакинского Совета рабочих и солдатских депутатов была принята резолюция о признании власти Совета Народных Комиссаров Советской России, а состоявшаяся 2 ноября конференция расширенного Бакинского Совета постановила передать всю власть в районе Баку Бакинскому Совету рабочих и солдатских депутатов.

Баку превратился в цитадель Советской власти в Закавказье. Против Советского Баку ополчились иностранные интервенты и внутренняя контрреволюция. Закавказские буржуазные и мелкобуржуазные партии создали краевые контрреволюционные органы Закавказский комиссариат (ноябрь 1917 г. — март 1918 г.) и Закавказский сейм (февраль—май 1918 г.), которые превратились в орудие борьбы против революции. В Закавказье, как в свое время указывал Ф. Энгельс, создалась такая ситуация, когда мелкобуржуазные партии взяли на себя роль авангарда контрреволюционных сил.

ЦК РКП(б) и правительство Советской России были обеспокоены судьбой Закавказья. 16 декабря 1917 года Совет Народных Комиссаров, обсудив доклад И. В. Сталина о положении на Кавказе, назначил председателя Бакинского Совета С. Г. Шаумяна временным чрезвычайным комиссаром по делам Кавказа. С. Г. Шаумяну с трудом удалось добраться из Баку в Тбилиси и 22 января 1918 года приступить к обязанностям комиссара Кавказа. В связи с отъездом С. Г. Шаумяна в Тбилиси председателем Бакинского Совета был избран П. А. Джапаридзе. На С. Г. Шаумяна обрушилась страшная клевета, его стали преследовать, травить, терроризировать. Закавказский комиссариат предложил ему за сутки покинуть пределы Закавказья. Был выдан

ордер на его арест¹, после чего С. Г. Шаумян оставил Тбилиси и переехал в Баку.

Достаточно перечислить некоторые контрреволюционные акции Закавказского комиссариата и грузинских меньшевиков с ноября 1917 года по февраль 1918 года.

В конце октября — начале ноября 1917 года представители воинских частей Тбилисского гарнизона образовали большевистский Совет солдатских депутатов под названием «Делегатское собрание», в октябре оно объединяло 36 частей, а в ноябре — 70. «Делегатское собрание» взяло под свой контроль Тбилисский арсенал. 29 ноября 1917 года отряды меньшевистской «народной гвардии» захватили арсенал. При попустительстве тбилисских большевиков контрреволюционерам удалось распустить «Делегатское собрание».

В начале декабря Закавказский комиссариат разгромил редакции и типографии Тбилисских большевистских газет «Кавказский рабочий», «Брძоლა» и «Банвори крив».

10—23 декабря в Тбилиси состоялся второй съезд Кавказской Армии, закончившийся победой большевиков. В избранном на съезде Совете Кавказской Армии большевики и поддерживавшие их левые эсеры получили 52 места, а меньшевики, правые эсеры и другие соглашательские партии — 48. Председателем Совета Кавказской армии был избран большевик Г. Н. Корганов. мелкобуржуазные партии саботировали решения второго съезда Кавказской армии. Объединив старый состав и контрреволюционное меньшинство нового состава Совета Кавказской армии, они объявили эту свору Советом Кавказской армии. Большевистская и левозсеровская часть Совета была вынуждена переехать в Баку.

19—23 декабря в Тбилиси проходил второй краевой чрезвычайный съезд Советов рабочих депутатов. Один делегат избирался на 500 организованных рабочих. Однако из-за отсутствия материальных средств и в силу ряда других причин Баку и промышленные центры Северного Кавказа не смогли прислать делегатов по этой норме. Например, Бакинский Совет вместо 160 делегатов (от 80 тысяч организованных рабочих) прислал всего 37 человек, рассчитывая, что каждому из них будет предоставлено по 4 голоса, а Тифлисская губерния, где имелось 47 тысяч избирателей, была представлена на съезде 90 делегатами. Всего же 15 большевистских Советов вместо 397 делегатов прислали на съезд 91 делегата, а меньшевистские Советы только Тифлиской и Кутаисской губернии имели 200 делегатов². Меньшевики и другие мелкобуржуазные партии категорически отклонили предложение бакинских делегатов о предоставлении каждому из них по 4 голоса, после чего большевистские делегаты ушли со съезда и, собравшись отдельно, провели свой съезд, параллельно с меньшевистским съездом. Меньшевикам удалось фактически сорвать второй Кавказский съезд Советов рабочих депутатов.

Необходимо отметить, что этот съезд был созван по настоятельному требованию Бакинского Совета, но, как отмечено выше, бакинцы не сумели прислать на съезд даже одну четвертую часть делегатов. Большевики ведь предполагали использовать второй Кавказский съезд Со-

¹ Очерки истории коммунистических организаций Закавказья, часть первая, 1883—1921 гг., Тбилиси, 1967, стр. 395.

² С. Г. Шаумян, избранные произведения, т. 2, Москва, 1958, стр. 140—141.

тов рабочих депутатов в установлении Советской власти в крае. А это обязывало их во что бы то ни стало добиться большинства на съезде.

Закавказский комиссариат как огня боялся революционно настроенных солдат Кавказского фронта. 5(18) декабря 1917 года между Советской Россией и странами австро-германского блока было заключено перемирие, началась эвакуация воинских частей. Закавказские контрреволюционеры, договорившись с иностранными империалистами и русскими белогвардейцами, составили план разоружения эвакуирующихся частей, чтобы вооружить воинские национальные (грузинские, армянские и азербайджанские) части, а также чтобы большевизированные части Кавказского фронта не были использованы в борьбе против российских белогвардейцев и Закавказской контрреволюции. И. В. Сталин в статье «Контрреволюционеры Закавказья под маской социализма», опубликованной в марте 1918 года писал:

«Разоружая идущих с фронта русских солдат и борясь, таким образом, с «внешними» революционерами, Закавказский контрреволюционный комиссариат рассчитывал убить сразу двух зайцев: с одной стороны, он уничтожал серьезную революционную силу, русскую революционную армию, на которую, главным образом, и мог опереться большевистский комитет края; с другой стороны, он получал таким образом «необходимое» оружие для вооружения национальных грузинских, армянских и мусульманских полков, составляющих главную опору меньшевистско-контрреволюционного комиссариата. Война против «внешних» революционеров призвана была, таким образом, обеспечить «гражданский мир» внутри Закавказья»³.

Следовательно, Кавказский краевой комитет большевиков допустил грубую ошибку, не использовав в борьбе против местной контрреволюции революционную Кавказскую армию, считая ее «посторонней» революционной силой. Этой ошибкой большевиков воспользовалась контрреволюция.

Разоружение эвакуирующихся войск сопровождалось столкновениями между ними и национальными полками. 9—12 января 1918 года в районе железнодорожной станции Шамхор при разоружении эшелона солдат, шедших с турецкого фронта на Северный Кавказ, было убито и искалечено около двух тысяч солдат. Досталось, конечно, и контрреволюционным бандам мусаватистов и меньшевиков. Основная масса войск с оружием пробилась в Баку. Нападения на солдат, возвращающихся с фронта, произошли в Акстафе, Джульфе, Хачмасе и других районах⁴.

10 февраля по распоряжению Закавказского комиссариата был расстрелян митинг Тбилисских рабочих и солдат, собравшихся в Александровском саду (в центре Тбилиси), чтобы выразить протест против созыва Закавказского сейма.

В этот день открылся Закавказский сейм, с целью оформить юридически отделение Закавказья от Советской России. В Сейм входили избранные от Закавказья депутаты Учредительного собрания, представители всех мелкобуржуазных и даже буржуазных партий. В марте 1918 года Сейм, сменивший Закавказский комиссариат, провозгласил создание самостоятельного Закавказского государства. Некоторое время контрреволюционеры скрывали это позорное решение, но 22 апре-

³ И. В. Сталин, Сочинения, т. 4, стр. 59.

⁴ Победа Советской власти в Закавказье, коллективная монография под редакцией И. И. Минца и др., Тбилиси, 1971, стр. 223.

ля Сейм открыто заявил о создании Закавказской независимой федеративной республики и о формировании нового краевого правительства.

Закавказские контрреволюционные партии, несмотря на существенные противоречия между ними, создали единый фронт против Советского Баку. У Бакинской Коммуны было много открытых и скрытых врагов и в самом городе: правые эсеры, меньшевики, дашнаки, мусаватисты и другие. Все они собирали силы для борьбы с Коммуной.

Бакинские правые эсеры, меньшевики и дашнаки, в том числе и те, которые окопались в Совете рабочих и солдатских депутатов, тайно вели переговоры с командованием английскими экспедиционными войсками в Иране, приглашали их в Баку, просили у них помощи в свержении власти Советов, взамен сулили английским интервентам всяческой помощи в захвате не только нефтяного Баку, но и всего Закавказья с его неисчислимым богатством.

Другая контрреволюционная группировка антианглийской ориентации, в основном мусаватисты, приглашала в Баку германо-турецких империалистов. Подлинно тесные отношения сложились между турецкими империалистами и мусаватистами. В основе турецко-мусаватистского блока лежали контрреволюционные теории панисламизма и пантюркизма.

Иностранные империалисты как англичане, так и турки предложили бакинским контрреволюционерам поднять мятеж против Советов, чтобы дать империалистам повод для вмешательства в Бакинские дела. Мусаватисты, желая перехитрить дашнаков, предложили им союз в борьбе против Бакинского Совета. В Баку дашнаки имели свои хорошо вооруженные отряды. Мусаватисты, заручившись обещанием дашнаков, выступить в их поддержку, 30 марта подняли мятеж в Баку, на помощь мятежникам поспешили вооруженные отряды гянджиского мусаватистского правительства и дагестанского имама Гоцинского. Бакинский Совет образовал комитет революционной обороны в составе С. Г. Шаумяна, П. А. Джапаридзе, Г. Н. Корганова, Н. Н. Нариманова и других. Три дня в Баку происходили ожесточенные бои, в которых с обеих сторон участвовало более 20 тысяч человек⁵. Мятежники были разгромлены.

В первые два дня мусаватистского антисоветского мятежа в Баку дашнаки заняли выжидательную позицию, а когда мятежники потерпели поражение, дашнаки выступили на стороне Бакинского Совета. Вот, что пишет по этому поводу участник этих событий Сурен Шаумян, сын С. Г. Шаумяна: «Лишь к концу второго дня боев (всего они продолжались 3 дня) дашнакские части вмешались в бой на стороне победителя—Совета рабочих и солдатских депутатов, — причем вмешательство их, в значительной степени, ознаменовалось погромами и пожарами⁶. Дашнакские провокации, как указывал С. Г. Шаумян, придали мартовским событиям в Баку некоторый национальный оттенок⁷.

Что же касается блока дашнаков с большевиками, то об этом также хорошо сказал Шаумян-сын (тут он имел в виду и летние события в Баку): «Дашнаки шли с большевиками потому, что считали более

⁵ Очерки истории коммунистических организаций Закавказья, часть первая, стр. 402.

⁶ С у р. Ш а у м я н, Бакинская Коммуна, Баку, 1927, стр. 15.

⁷ Как большевики пришли к власти в 1917—18 гг. в Бакинском районе, Баку, 1927, стр. 49.

«надежным» для армянского населения этот «блок». Но классовая природа дашнакской партии не могла быть заглушена мотивами национального самосохранения: ведя «дружбу» с большевиками, дашнаки в то же время затевают переговоры с английскими империалистами в Персии, подготавливая им почву для приглашения. Таким образом, блок с большевиками является тактическим шагом, продиктованным моментом. Общая же ориентация бакинских дашнаков была ориентацией английской»⁸.

Вооруженные отряды Бакинской Коммуны, преследуя дагестанские контрреволюционные банды, освободили Петровск и Дербент, где провозгласили Советскую власть.

Большевики разогнали Бакинскую городскую думу (управу), которая являлась оборным пунктом контрреволюционных элементов. Дума, будучи муниципальным учреждением, претендовала на роль политического органа. Она ведала милицией, финансами, продовольственным делом⁹, выпускала даже свои денежные знаки¹⁰. Чтобы ликвидировать этот очаг контрреволюции, а также двоевластие, порождаемое самостоятельными антисоветскими действиями Бакинской городской думы, она была распушена.

25 апреля 1918 года Бакинский Совет образовал Бакинский Совет Народных Комиссаров. Председателем Бакинского СНК и народным комиссаром по иностранным делам был утвержден С. Г. Шаумян, народным комиссаром внутренних дел — П. А. Джапаридзе, председателем Совета народного хозяйства — И. Т. Фиолетов, народным комиссаром городского хозяйства — Н. Н. Нариманов, народным комиссаром военно-морских дел — Г. Н. Крганов, народным комиссаром юстиции — А. Б. Кариян и народным комиссаром просвещения — Н. Н. Колесникова. Несколько позже народным комиссаром земледелия был назначен М. Г. Везиров, комиссаром труда — Я. Д. Зевин, комиссаром Бакинской губернии — М. А. Азизбеков, комиссаром Дагестанской области — В. И. Нанейшвили, уездными комиссарами — Б. И. Эфендиев, М. Н. Исрафибеков, А. Б. Юсуфзаде, К. М. Агасиев и другие¹¹.

Большевицкая фракция Бакинского Совета рабочих и солдатских депутатов и Бакинский Совет народных Комиссаров имели тесную связь с правительством Советской России и непосредственно с его председателем — В. И. Лениным.

В. И. Ленин проявлял постоянную заботу о Советском Баку. По прямому указанию В. И. Ленина в Баку на постоянную работу были направлены десятки опытных работников. По его указанию в Баку были отправлены отряды Красной Армии, оружие и воинское снаряжение, деньги, продовольствие и промышленные товары.

Бакинский Совет Народных Комиссаров осуществил ряд важных мер по социалистическому преобразованию политической и экономической жизни. Бакинский Совнарком продолжал начатую Бакинским Советом рабочих и солдатских депутатов работу по ликвидации буржуазных органов власти и созданию нового, советского аппарата управления. Декретами Бакинского Совнаркома были национализированы неф-

⁸ Сур. Шаумян, Бакинская Коммуна, стр. 40—41.

⁹ Э. Бурджалов, Двадцать шесть бакинских комиссаров, Москва, 1938, стр. 24.

¹⁰ Сур. Шаумян, Бакинская Коммуна, стр. 10.

¹¹ Очерки истории коммунистических организаций Закавказья, часть первая, стр. 407; История Коммунистической партии Азербайджана, часть первая, Баку, 1958, стр. 291.

тяная промышленность, каспийский торговый флот, банки, рыбная промышленность и другие отрасли народного хозяйства. В селах Бакинской губернии началась национализация земли. Бакинские коммунары осуществили ряд мер по улучшению культурно-бытовых условий рабочих, был узаконен 8 часовой рабочий день, почти удвоилась заработная плата рабочих. Школа была отделена от мечети и церкви, введено всеобщее обязательное бесплатное обучение¹².

Контрреволюция, потерпев поражение в единоборстве с революционными силами пролетарского Баку, все надежды возлагала на иностранных интервентов. Особые и чрезвычайные уполномоченные правых эсеров, меньшевиков и дашнаков обивали пороги задворков министерств иностранных дел стран Антанты и командиров английских экспедиционных войск в Иране, упрашивая их осчастливить население Баку оккупацией города.

Провал мартовской авантюры способствовал сближению мусаватистов с турецкими колонизаторами. Пока немецкие оккупационные войска находились в пути, турки заторопились прибрать к рукам жизненные центры Закавказья, в первую очередь Баку. Турки, не без основания, опасались, что немецкие империалисты захотят управлять нефтяным Баку не через своих турецких сателлитов, а непосредственно. У империалистов ведь особая натура, они, как и кровожадные хищники, не любят делиться добычей.

Турки, выражая недовольство блоком мусаватистов с грузинскими меньшевиками и армянскими дашнаками, категорически потребовали от мусаватистов порвать с ними, выйти из состава Закавказской федеративной республики и создать самостоятельное государство под протекторатом Турции. Благо, мусаватистов особо упрашивать не приходилось. Как известно, партия мусават родилась со влечением к сепаратизму. Центробежные устремления мусаватистов усилились в годы первой мировой войны, особенно в ее последний период.

Действуя по указке турецких империалистов, мусаватисты при обсуждении в Закавказском комиссариате и Закавказском сейме важнейших вопросов внешней и внутренней политики, как правило, оказывались в оппозиции, что, конечно, ослабляло, и без того непрочное, объединение Закавказских националистических партий, ускоряло окончательный крах Закавказского сейма. 26 мая 1918 года Закавказский сейм распался, образовались самостоятельные «независимые» демократические республики Грузии, Армении и Азербайджана. Мусаватистское правительство связало себя с турецкими империалистами.

Грузинские меньшевики признались (притом презрев элементарные нормы скромности) немецким захватчикам в своих давнишних симпатиях ко всему немецкому. Немецкие империалисты и без меньшевистской лести намеревались оккупировать Грузию. В конце мая — начале июня 1918 года в Грузию вступили немецкие войска.

Дашнаки действовали на многих фронтах, они одновременно заигрывали с немцами, англичанами, французами, американцами, а иногда, в зависимости от ситуации, даже с турками-геноцидистами.

Националистические правительства соревновались в грязном промысле отравления трудящихся ядом национализма, превращения Закавказья в страну братьев-врагов. Меньшевикам, дашнакам и мусаватистам удалось спровоцировать братоубийственные столкновения меж-

¹² Очерки истории коммунистических организаций Закавказья, часть первая, стр. 408—411.

ду Закавказскими народами. Но грузинских, армянских и азербайджанских националистов объединял антисоветизм. Они были единодушны в борьбе против Бакинской Коммуны.

Находясь под постоянной угрозой вражеского вторжения, преодолевая упорное сопротивление экспропрированных эксплуататорских классов, а также невероятные трудности, связанные с социалистической перестройкой политической и экономической жизни, трудящиеся Советского Баку с честью выполняли свой пролетарский долг перед Советской Россией. За январь—август 1918 года бакинцы послали в Советскую Россию 1,4 миллиона тонн нефти и нефтепродуктов. Это был вклад бакинцев в борьбу трудящихся России за защиту и упрочение завоеваний Великой Октябрьской социалистической революции.

Симпатии трудящихся Закавказья были целиком на стороне героического бакинского пролетариата — знаменосца социалистической революции в крае. Это выразилось и в вооруженных восстаниях трудящихся Азербайджана, Армении и Грузии против националистических правительств и иностранных интервентов, за установление Советской власти. В Грузии, например, с января по август 1918 года вооруженные восстания происходили почти во всех уездах. Самыми крупными и упорными из них являлись вооруженные восстания в Лечхумском уезде, в Южной Осетии, Мингрелии, Абхазии, Шорапанском и Душетском уездах, которые поставили меньшевистское правительство перед катастрофой. Если бы не военная помощь немецких оккупантов, то в июне—июле 1918 года отряды повстанцев Душетского уезда, к которым присоединились отряды Тианетского и Шорапанского уездов, «Западногрузинская Красная Армия» и вооруженная дружина рабочих Владикавказа захватили бы столицу Грузии—Тбилиси. Эти и другие вооруженные восстания трудящихся различных районов Закавказья отвлекли на себя воинские части местной контрреволюции и иностранных интервентов, которые могли быть использованы для удушения Бакинской Коммуны.

Летом 1918 года Баку вновь очутился во вражеском кольце. Терская область была захвачена белогвардейцами, в Закаспии орудовали правые эсеры и меньшевики, которые временно свергли Советскую власть и установили там свой кровавый режим. Каспийский военный флот находился под влиянием английских интервентов и внутренней контрреволюции, что крайне затрудняло связь Баку с Советской Астраханью.

В июне соединенные отряды Турции и Азербайджанского мусаватистского правительства начали новый военный поход на Баку. Бакинская Коммуна обратилась к правительству Советской России с просьбой об оказании ей военной помощи. 19 июля из Царицына в Баку прибыл отряд Красной Армии под командованием Г. Петрова, а 24 июля из Астрахани прибыла конная батарея. Они приняли активное участие в защите Баку. В Иране еще со времен первой мировой войны находился крупный казачий отряд бывшей русской армии, которым командовал Л. Бичерахов. В марте 1918 года он заключил тайное соглашение с командующим английскими экспедиционными войсками в Иране генералом Денстервилем. По его же указанию Бичерахов обратился к Бакинскому Совнаркому с предложением разрешить ему принять участие в обороне Баку от турецких и мусаватистских войск. Получив разрешение, отряд Бичерахова в начале июля прибыл из Ирана в Баку и принял участие в некоторых боях, а 30 июля Бичерахов оголил фронт, вторгся в Дагестан, захватил Петровск и Дербент и повел свой отряд на соедине-

ние с отрядом своего брата, который поднял антисоветский мятеж в Терской области.

Несправедливо обвинять дашнаков в симпатиях к турецким империалистам, которые варварски истребляли армянский народ, единственная «вина» которого заключалась в том, что он боролся за свою свободу и суверенные права. Но дашнаки, спасая свою шкуру, нередко проявляли трусость в борьбе с врагами армянского народа, хотя выдавали себя мужественными защитниками его национальных интересов. В июле 1918 года под Баку вслед за отрядом Бичерахова ушли с фронта и дашнаковские части¹³. В истории много примеров жестокости дашнаков. Нет сомнения, что жестокость дашнаков шла от их трусости.

Советское правительство попыталось отвести от Баку нависшую опасность дипломатическим путем. Но на требование Советского правительства строго соблюдать условия Брестского мира немцы китрили, грубо скрывали свою причастность к делам своих турецких сателлитов.

В тяжелые дни Бакинской Коммуны, когда бои шли на окраинах города, правые эсеры внесли в Бакинский Совет рабочих и солдатских депутатов предательское предложение о приглашении в Баку английских войск. Этот вопрос обсуждался на заседаниях Совета 25 и 31 июля. Большевики решительно выступили против приглашения англичан. Но большинством (правда, незначительным большинством: 258 против 236) прошло предложение эсеров, за которое голосовали дашнаки и меньшевики. Одна часть народных комиссаров решила подать в отставку, добровольно сдать власть. Для окончательного решения этого вопроса 27 июля большевики созвали общебакинскую конференцию, которая высказалась против добровольной сдачи власти. Бакинский Совет Народных Комиссаров наметил ряд мер по усилению обороны города, но осуществить их не успел, так как большевиков предавали эсеры, меньшевики и дашнаки, активизировались представители эксплуататорских слоев. 31 июля комиссары сложили с себя полномочия, Бакинский Совет Народных Комиссаров подал в отставку.

1 августа 1918 года было создано контрреволюционное правительство, так называемая «Диктатура Центрокаспия», куда вошли правые эсеры, меньшевики, дашнаки, кадеты и анархисты. При комплектовании этого правительства большевикам тоже предложили несколько постов. Большевики легко разгадали этот несложный маневр. Контрреволюционеры «хотели обеспечить себе временное сотрудничество представителей Советской России с англичанами, что нанесло бы тяжелый удар Брестскому миру»¹⁴.

4 августа 1918 года из Энзели в Баку на военных кораблях прибыли отряды английских войск. «Диктатура Центрокаспия» организовала торжественную встречу. Вот как описывает это событие А. И. Микоян: «Высадившись на берег, английские солдаты стали дефилировать по главным улицам Баку. Всего их прибыло в тот день человек двести. Однако, чтобы «произвести впечатление» на обывателей, отряд англичан дважды проходил по одним и тем же улицам. В последующие дни английские войска продолжали прибывать, но их было все еще очень мало: в Баку прибыло около тысячи солдат вместо обещанных и разрекла-

¹³ История Коммунистической партии Азербайджана, часть первая, стр. 36.

¹⁴ Я. Ратгаузер, Арест и гибель комиссаров Бакинской Коммуны, Баку, 1928, стр. 10.

мированных эсерами 16 тысяч»¹⁵. Английские войска выполняли в основном оккупационные функции.

Англичане по традиции считали, что они сумеют чужими руками доставать каштаны из огня. Английские отряды оставались в Баку около 40 дней, а когда в Баку вторглись турецкие и мусаватистские войска, они удрали в Иран. Кстати, они еще до вступления в Баку позаботились о перевозочных средствах на случай ретирады¹⁶.

Английский генерал Денстервиль выражал открытое недовольство «Диктатурой Центрокаспия». В своих воспоминаниях он пишет, что намеревался разогнать ее, но был вынужден отказаться от этой мысли из-за недостатка офицеров, которым можно было бы поручить отдельные отрасли управления.

«Диктатура Центрокаспия» обрушила на бакинских комиссаров поток клеветы, готова открытый судебный процесс и расправу над ними. Бакинская большевистская организация решила эвакуировать комиссаров и части Красной Армии в Астрахань. В середине августа военные корабли «Диктатуры Центрокаспия» перехватили в море караван судов с эвакуированными и возвратили их в Баку. Комиссаров арестовали и заточили в тюрьму, а красноармейцев разоружили, ограбили и через несколько дней отпустили в Астрахань¹⁷.

Англичане участвовали в боях против турок и мусаватистов в качестве наблюдателей, они, как говорится, берегли себя для отечества. Зато англичане развернули кипучую деятельность по вывозу нефти, представляя в «Центрокаспии» требование за требованием об отгрузке в Энзели нефтепродуктов. Правда, «Центрокаспии» не удалось насытить волчий аппетит англичан, но из Баку было вывезено десятки тысяч тонн нефтепродуктов для нужд английских войк.

Хозяиничанье английских интервентов и правительства блока контрреволюционных партий сказались и в ухудшении материальной жизни трудящихся Баку. Приглашение англичан не дало трудящимся ни обещанного мира, ни продовольствия. Обострились взаимоотношения между представителями различных национальностей, проживавших в Баку, особенно ухудшились отношения между азербайджанцами и армянами. Если основная масса армянского населения шла за дашнаками, то большинство азербайджанцев находилось под влиянием мусаватистов и ждало прихода в Баку турецко-мусаватистских войк.

15 сентября 1918 года турки вступили в Баку, куда же из Гянджи переехало мусаватистское правительство. За несколько часов до вступления в Баку турецких войк большевикам удалось освободить из тюрьмы бакинских комиссаров, которые погрузились на пароход «Туркмен» вместе с бойцами одного из отрядов бакинских дашнаков. Этим отрядом руководил Т. Амиров, брат редактора большевистской газеты «Бакинский рабочий» А. Амирова. Контрреволюционно настроенный экипаж парохода «Туркмен» отказался плыть в Астрахань и 17 сентября доставил пароход в Красноводск, который тогда находился в руках эсеро-меньшевистской контрреволюции, тесно связанной с английскими оккупантами. Бакинских комиссаров и сопровождающих их лиц арестовали. Всего их было 35 человек.

В ночь на 20 сентября из арестованных бакинцев отобрали 26 человек, отбор производился таким образом: у бывшего бакинского комис-

15 А. И. Микоян, Дорогой борьбы, Москва, 1971, стр. 179.

16 Э. Бурджалов, Двадцать шесть бакинских комиссаров, стр. 93.

17 Там же, стр. 97.

сара Я. Зевина нашли список на 25 человек. По этому списку они получили передачи, находясь в бакинской тюрьме. Красноводские палачи решили, что в список внесены все активные деятели Бакинского Совета Народных Комиссаров. К ним они от себя прибавили Т. Амирова. 26-ти заключенным объявили, что их переводят в Ашхабадскую тюрьму, посадили в специальный поезд, вывезли из Красноводска и на 207 версте, между станциями Ачха-Куйма и Перевал, расстреляли.

Жертвой этой зверской расправы стали: С. Г. Шаумян, П. А. Джапаридзе, М. А. Азизбеков, И. Т. Фиолетов, Я. Д. Зевин, Г. Н. Корганов, М. Г. Везиров, Г. К. Петров, И. В. Малыгин, В. Ф. Полухин, Э. А. Берг, Ф. Ф. Солнцев, С. Г. Осепян, М. В. Басин, А. М. Амирян, И. Я. Габышев, А. А. Борян, М. Р. Коганов, Б. А. Авакян, С. А. Богданов, А. М. Костандян, И. П. Метакса, И. А. Мишне, А. А. Богданов, И. М. Николайшвили, Т. М. Амиров (Амирян).

Английский генерал Денстервиль в главе XIV своих воспоминаний (глава называется так: «Обо всем понемногу») подло и цинично рассказывает об этой трагедии: «Шаумян и Петров были посажены в городскую тюрьму. Они были отпущены на свободу в день падения Баку, после чего они отправились, с небольшой группой своих приверженцев, в Красноводск. К несчастью для них, в то время большевики были очень непопулярные в этом городе и вся их партия была расстреляна»¹⁸.

Этот империалистический выродок умалчивает о том, что подлинными организаторами казни бакинских комиссаров являлись он, командующий английскими войсками в Закаспии генерал Маллесон, начальник штаба английских войск в Закаспии капитан Тиг-Джонс и другие английские офицеры. Члены закаспийского правительства по указанию английских убийц принимали непосредственное участие в уничтожении бакинских комиссаров. Английский капитан Тиг-Джонс присутствовал при казни, чтобы воочию убедиться в выполнении закаспийскими эсеров-меньшевистскими палачами распоряжения о расстреле 26-ти комиссаров¹⁹. Англичане позоветовали Закаспийскому правительству скрыть факт расстрела, обещав выдать справку о том, что якобы бакинские комиссары вывезены в Индию.

На одном из процессов над убийцами 26-ти комиссаров коммунист Казнецов, который, будучи одним из организаторов Советской власти в Закаспии в 1919 году, руководил экспедицией по розыску тел расстрелянных бакинских комиссаров, показал: «Надо полагать, что убийство этих товарищей происходило всевозможными средствами. Я заключаю это из того, что головы были отделены от туловищ, частью находились в ногах, сбоку и т. д. Часть черепов была перебита на части и раздроблена... Били чем попало, ибо череп разбить на куски одной шашкой нельзя... Белогвардейцы как перед расстрелом, так и после зверски издевались над комиссарами»²⁰.

И. В. Сталин в статье «К расстрелу 26 бакинских товарищей агентами английского империализма», которая была опубликована в газете «Известия» 23 апреля 1919 года, писал: «В «цивилизованных» странах принято говорить о терроре и ужасах большевиков. Причем англо-

¹⁸ Денстервиль, Британский империализм в Баку и Персии. 1917—1918 (воспоминания), Тифлис, 1925, стр. 216.

¹⁹ Б. Бибинойшвили, Ачха-Куймская трагедия, Тифлис, 1935, стр. 179.

²⁰ Последние дни комиссаров Бакинской Коммуны. По материалам судебных процессов. Составил А. С. Бакшман, Баку, 1928, стр. 125—126.

16. „მ ა ც ბ ე“, ისტორიის... სერია, 1973, № 3.

французских империалистов изображают обычно как врагов террора и расстрелов. Но разве не ясно, что никогда Советская власть не расправлялась со своими противниками так низко и подло, как «цивилизованные» и «гуманные» англичане, что только империалистические людоеды, насквозь прогнившие и потерявшие всякий моральный облик, могут нуждаться в ночных убийствах и разбойничьих нападениях на безоружных политических работников противоположного лагеря?»²¹.

За более чем три месяца своего существования Чрезвычайная комиссия Бакинского Совнаркома по борьбе с контрреволюцией расстреляла всего двух человек, левых эсеров, финансовых работников, которые украли большую сумму денег и пытались сбежать из Баку²², только за первые три дня пребывания в Баку турецких войск было убито более 20.000 мирных жителей²³.

Если в чем можно упрекнуть бакинских комиссаров, то скорее всего в терпимости к врагам. Правда, политическая умеренность требует подлинной смелости. Но сражаясь нельзя злоупотреблять умеренностью, а такой «грех» был у бакинских комиссаров.

В 1919 году останки бакинских комиссаров были перенесены в Ашхабад, а в 1920 году из Ашхабада в Баку и похоронены на Центральной площади, которая носит имя 26-ти комиссаров. Похороны состоялись 8 сентября 1920 года. Они были приурочены к первому съезду народов Востока, который происходил в Баку 1—7 сентября 1920 года. Выступая на траурном митинге в день похорон останков комиссаров, Н. Н. Нариманов сказал: «Сегодня мы предаем земле Советского Азербайджана наших лучших, дорогих товарищей, доблестно стоявших до последнего момента на своих революционных постах. Эти стойкие честные герои пали от рук Англии, той Англии, которая всегда говорит с своей человечности. Вот результат этой человечности — 26 гробов. Сегодня судьбе угодно было продемонстрировать эту человечность перед Востоком. Пусть Восток знает о ней»²⁴.

Как правильно отмечал в статье в связи с 10 годовщиной расстрела 26-ти старый большевик А. Е. Енукидзе, которого связывала с С. Г. Шаумяном, П. А. Джапаридзе, М. А. Азизбековым, И. Т. Фиолетовым и другими бакинскими комиссарами старая дружба, исторически 26 расстрелянных бакинских комиссаров отомщены, но гнев и горечь утраты остались. Героические бакинские комиссары, пользуясь выражением В. В. Маяковского, никогда не уйдут из народной памяти, которой и века не расстояние²⁵.

Память славных 26 бакинских комиссаров зовет нас к самоотверженному труду за новый расцвет экономики и культуры нашей Родины, — созданного великим Лениным, — Союза Советских Социалистических Республик.

НИКОЛАЙ СТУРГА

21 И. В. Сталин, Сочинения, т. 4, стр. 254—255.

22 Сур. Шаумян, Бакинская Коммуна, стр. 21—22.

23 Памяти 26 бакинских комиссаров. Документы и материалы. Баку, 1968, стр. 81.

24 Памяти 26 бакинских комиссаров. Документы и материалы, стр. 42.

25 В. В. Маяковский, Сочинения, в тринадцати томах, т. 6, стр. 86.

ბალზინა ჯიშია

ჰიათურის მუშათა ბაზიცვა 1913 წლის ზაფხულში

(გაფიცვის 60 წლისთავი)

ახალი რევოლუციური აღმავლობის მნიშვნელოვან მოვლენას საქართველოსა და ამიერკავკასიაში წარმოადგენდა ჰიათურის სამრეწველო რაიონის მუშათა მასობრივი გაფიცვა. იგი იყო იმ პერიოდისათვის მუშათა დიდი პოლიტიკური გამოსვლა მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, რომელმაც ბიძგი მისცა რევოლუციური ბრძოლის შემდგომ მძლავრ გაქანებას არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ რუსეთის მსხვილ სამრეწველო ცენტრებშიც.

XX საუკუნის დამდეგიდან მანგანუმის მადნის მოპოვება ჰიათურაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1900 წელს 40 მილიონ 300 ათას ფუთზე მეტი მადანი იქნა ამოღებული, ე. ი. 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე 1898 წელს. მაგრამ მალე მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა დიდი დაბრკოლება შეუქმნა მარგანეცის მადნის მოპოვებას. მომდევნო წლებში მადნის დამზადება უფრო შემცირდა და 1902 წელს 7,6 პროცენტამდე დაეცა ჰიათურის „შავი ოქროს“ ხვედრითი წონა მარგანეცის მსოფლიო მოპოვებაში.

მადნის მოპოვების აღმავლობა ჰიათურაში დაიწყო 1909 წლის მეორე ნახევრიდან, ხოლო 1913 წელს (ეს ითქმის აღნიშნული წლის პირველ ნახევარზე — მუშათა გაფიცვის დაწყებამდე) კულმინაციურ წერტილს მიაღწია, როცა ამოიღეს 59 მილიონ ფუთზე მეტი მადანი. ამ დროს მიღებულ იქნა ჰიათურაში მანგანუმის მადნის მსოფლიო მოპოვების 41 პროცენტი¹.

მეტად მძიმე იყო ჰიათურის სამრეწველო რაიონის მუშათა შრომის პირობები. მიწის ქვეშ მუშაობა არყვედა მუშის ჯანმრთელობას. გვირაბების სიმაღლე ზოგან ადამიანის სიმაღლეზე ნაკლები იყო. ამას გარდა, მრეწველები არ ზრუნავდნენ შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე და მალარობის ჩამონგრევის გამო მუშის სიცოცხლეს ყოველ წუთს საფრთხე ელოდა.

აკაკი წერეთელი, ახასიათებდა რა მანგანუმის მოპოვებასთან დაკავშირებულ მძიმე შრომას, წერდა — „მუშები უაზროდ და უნაყოფოდ დაღვრილ საკუთარ ოფლში იღუპებიან. უმეტესი მათგანი სნეულდება ტუნელ-გვირაბებში, სადაც ქარმკვალა სხვადასხვა ხვრელებიდან ყოველი კუთხით სტერიივით უბერავს, სტატისტიკური ცნობა რომ შეეკრიბოთ, ორი წილი მაინც, თუ არა მეტი, ვეღარ იტანს სახიფათო შრომას და წყდება“².

მალარობაში გამეფებული მომქანცველი შრომა დამღუპველად მოქმედებდა მუშების ჯანმრთელობაზე, რადგან ისინი მოკლებულნი იყვნენ შრომისა და ღასვენების ელემენტარულ საშუალებებს.

მალარობაში არ წარმოებდა გასამაგრებელი სამუშაოები, გვირაბებს არ უკეთებოდა მტკიცე საყრდენები. ეს იწვევდა უბედურ შემთხვევებს, ხოლო მრეწველები მატერიალური პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით მალავდნენ ასეთ შემთხვევებს.

¹ „Чиагурские месторождения марганца“, Москва, 1964, стр. 4.

² ვაზ. „კვალი“, 1902 წლის 8 დეკემბერი.

მონგრეული მადნის გადაზიდვა მაღაროს შიგნით უმთავრესად ადამიანის ფიზიკური ძალის ხარჯზე ხდებოდა. მართალია, ვიწროლიანდაგიანი გზების გაყვანა დაიწყო, მაგრამ იგი ვერ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნებს.

არანაკლები მძიმე იყო კიათურის მრეწველობაში მიწის ზედაპირზე მომუშავეთა (ჩალვადრები, მეურმეები, დამხარისხებლები და ა. შ.) შრომის პირობები. უბედურ შემთხვევებს ხშირად ჰქონდა ადგილი მტვირთავ მუშებს შორისაც.

მაღაროში სამუშაო დრო 14—15 საათსა და ზოგჯერ მეტხანს გრძელდებოდა. მტვირთავი მუშების სამუშაო დრო შორაპანში, ფოთსა და ბათუმში განუსაზღვრელი იყო. სამუშაო დროის გადიდებას იწვევდა ზედმეტ საათებში მუშაობაც. ამის ნებართვა ოფიციალურად ჰქონდათ მეწარმეებს. მუშაობის სანარდო სისტემა ხელს უწყობდა სამუშაო დროს გადიდებას 16—18 საათამდე.⁴

ქალებისა და ბავშვების შრომას ფართოდ იყენებდნენ მანგანუმის სარეცხ ქარხნებში, მადნის გადარჩევასა და სხვა სამუშაოებზე. სამთო ინჟინერ ა. ცეიტლინის მიხედვით, 1910 წელს კიათურის მანგანუმის მრეწველობის გამოკვლეული 3 213 მუშიდან ძირითად სამუშაოზე გამოყენებული იყო 71 არასრულწლოვანი, ხოლო დამხმარე სამუშაოზე — 233 არასრულწლოვანი და 59 ნიცირეწლოვანი.⁵

ქუთაისის ვებერნიაში ქალაქ ფოთის, შორაპნისა და ოზურგეთის მახრებისათვის დადგენილი იყო მუშის საშუალო დღიური ხელფასი სრულწლოვანი მამაკაცებისათვის — 1 მან., ქალებისათვის — 80 კაპ., არასრულწლოვანებისათვის — შესაბამისად 70 და 50 კაპ., ხოლო მცირეწლოვანებისათვის — 40 კაპ.⁶ მაგრამ სამუშაო დღიური ხელფასის რაოდენობა ხშირად ირღვეოდა და იგი მეწარმის თვითნებობაზე იყო დამოკიდებული. მრეწველს შეეძლო გაუფრთხილებლად უმიზეზოდ დაეთხოვა მუშა.

მრეწველები არ ზრუნავდნენ მუშების საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის. მათ აინტერესებდათ მხოლოდ დაჭირავებული შრომის ექსპლოატაციით მიღებული მოგება.

კიათურის მანგანუმის მუშების მეტი ნაწილი ზაფხულში გარეთ ცის ქვეშ ათენებდა, ხოლო ზამთრობით — შიგ მაღაროში. გაზ. „კვალის“ ცნობით, კიათურის მუშებს ან სრულებით არ გააჩნდათ თავშესაფარი დასაძინებლად ან თავსდებოდნენ ბნელ, ნოტიო და ვიწრო ბუნაგებში, სადაც 20 კაცზე ძლივს მოდიოდა 3 კუბური საყენი ჰაერი.⁷

მუშათა საბინაო საკითხი საქართველოში მწვავედ იდგა და მძიმე საბინაო პირობების მცირეოდენი შემსუბუქებაც არ მომხდარა 1921 წლამდე. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით დაიწყო ჩვენში მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

აუტანელი შრომისა და ცხოვრების პირობები, სასტიკი ექსპლოატაცია, ნაციონალური და სოციალური ჩაგვრა განაპირობებდა კიათურის მაღაროელთა საგაფიცვო გამოსვლების მძლავრ გაქანებას.

³ სსრ კავშირის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (სსრკ-ის ცსია), ფ. 23, აღწ. 20, საქ. 167, ფურც. 1—2.

⁴ ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია XIX—XX სს., წიგნი II, თბილისი, 1959, გვ. 122.

⁵ ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 264, საქ. 4380, ფურც. 84.

⁶ იქვე, ფ. 265, საქ. 100, ფურც. 7—15.

⁷ გაზ. „კვალი“, 1903 წლის 2 თებერვალი.

ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის მუშათა 1913 წლის გაფიცვა ყურადღებას იპყრობს თავისი ორგანიზებულობით, შეუპოვრობით და სოლიდარობით.

ლენინურმა „პრავდამ“ ჭიათურის მუშების ამ გაფიცვას მიუძღვნა რიგი წერილებისა, ხოლო 1913 წლის 13 ივნისს — სპეციალური წერილი სათაურით — „გაფიცულთა სოლიდარობა“, სადაც ყურადღება გამახვილებულია ჭიათურის მუშების ერთსულოვნებაზე მრეწველთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

გაფიცვის მსვლელობა ასე წარმოგვიდგება: 1913 წლის 2 ივნისს ჭიათურის მუშებმა აირჩიეს „სავაფიცო ბიურო“ 11 წევრის შემადგენლობით. იმავე დღის საღამოს ბიუროს პირველ სხდომაზე განიხილეს მუშების მოთხოვნები. აქვე გადაწყდა, რომ გაფიცვა დაიწყონ 5 ივნისს და მას მისცენ მშვიდობიანი ხასიათი. გაფიცვის გამოცხადების წინა ღამეს მუშებს შორის გაავრცელეს პროკლამაციები ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო 5 ივნისს კი მუშები არ გამოვიდნენ სამუშაოდ.

გაფიცვის წინა ღამეს გამოშვებულ პროკლამაციაში „ამხანაგო მუშებო“ ნათქვამი იყო — „დღეს „გაფიცვის ბიურო“ მოგიწოდებთ თქვენ, მანგანუმის მრეწველობის მუშებს, გაიფიცოთ... კაპიტალმა ხელიდან გამოგვტაცა ყოველივე ის, რაც შვიდიოდე წლის წინათ მოიპოვეთ. შავი რეაქცია კაპიტალისტების ნადიმი იყო, მაგრამ ჩვენ, მუშებს, რეაქციამ სიღარიბე, შიმშილი, ცრემლები, საპყრობილები და სახარჩობელები მოგვიტანა, ჩვენი დამარცხება მდიდრების გამარჯვებაა. ისინი ძველებურად უკონტროლოდ ყვლეფენ და ჩვენი ოფლითა და სისხლით სუჭლებიან... რეაქციის ძალებს აღარ შეუძლიათ დაამონონ პროლეტარიატი. რუსეთის პროლეტარიატი უკვე დადგა ფეხზე და დაიწყო დიადი ბრძოლა შრომის განთავისუფლებისათვის და თქვენ უკვე ეგსნით ამ ბრძოლის გამომძახილი ჩრდილოეთიდან. ჩაგრულებმა, როგორც ჩვენ, ჩვენმა ძმებმა — ამხანაგებმა გამოიღვიძეს და აწარმოებენ შეტევას მწყობრი რიგებით მტრის წინააღმდეგ. მათი სავაფიცო ბრძოლის ნათელმა მაგალითმა უნდა აღგვაფრთოვანოს ჩვენ“. პროკლამაცია მოუწოდებდა მუშებს — „არა, ამხანაგებო, ასე ცხოვრება არ შეიძლება, უნდა მოვუღოთ ბოლო თვითნებობას, გავერთიანდეთ და გავუწოდოთ ერთმანეთს ძმური ხელი, არ უნდა დავივიწყოთ დიდი მასწავლებლის სიტყვები — „მუშათა განთავისუფლება, თვით მუშათა საქმეა“⁸.

პროკლამაციაში გადმოცემულია მუშების მიერ წამოყენებული 24 მუხლისაგან შემდგარი მოთხოვნები: 8 საათიანი სამუშაო დღე, შაბათობით — 6 საათიანი, კვირასა და დღესასწაულების დროს მუშაობის აკრძალვა, მცირეწლოვანთა (15 წლამდე ასაკის) არ დაშვება სამუშაოზე, ხელფასის მომატება, სამუშაოზე მიღება-დათხოვნაზე მუშათა კონტროლის დაწესება და ა. შ.⁹

ჭიათურის გაფიცულ მუშებს მალე მხარი დაუჭირეს ზესტაფონის, ფოთის და ბათუმის მტვირთავმა მუშებმა, რომლებმაც წამოაყენეს ეკონომიურ ხასიათის მოთხოვნები¹⁰.

მანგანუმის მუშებს გაფიცვის დღეებში გვერდში ამოუდგნენ ტყიბულის მაღაროელები. ჭიათურის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ბოლშე-

⁸ ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 3-ს, საქ. 6052, ფურც. 19—20.

⁹ იქვე.

¹⁰ ჟურ. „Исторический архив“, № 1, 1958, გვ. 123.

ვიკთა ჯგუფმა, რომელიც გაფიცვას ხელმძღვანელობდა, იმ დღეებში ნათლად დაამტკიცა თავისი ბრძოლისუნარიანობა. ბოლშევიკების მოქმედებამ განაპირობა მენშევიკების ცდების ჩაფუჭვა, მიეცათ გაფიცვისათვის წმინდა ეკონომიური ხასიათი. გაფიცვამ აშკარა პოლიტიკური ხასიათი მიიღო¹¹.

გაფიცვას „სახალხო გაზეთის“ სიტყვით, „ღრმა ეკონომიური და სოციალური მიზეზები“ ჰქონდა და გამოირჩეოდა „თავისი შეუდრეკელობით და ხანგრძლივობით“, ამიტომ „ძნელია იმის თქმა, — წერდა გაზეთი, — რამდენხანს გასტანს ეს გაფიცვა, თუმცა კაპიტალისტებს ყოველივე ძალა ზელთ აქვთ, რომ ჩააქრონ მუშათა გაფიცვა“¹².

მანგანუმის სამრეწველო რაიონში ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაობის შედეგად პოლიციის აგენტურა აქ თითქმის პარალიზებული აღმოჩნდა. ქუთაისის ქანდარმერია თვლიდა, რომ ამ აგენტების მუშაობა უნაყოფოა, რომ მათ მოეღოთ ჩავარდნა, ცემა და სიკვდილიც კი. ქანდარმის მოხელე იტყობინებოდა აგრეთვე, რომ ქიათურაში არიან რკინიგზის ბატალიონის ჯარისკაცები და ფილერების არც თუ ისე მცირე რაოდენობა, მაგრამ მათი ნაწილი მუშებს თანაუგრძნობდა¹³.

მუშათა გაფიცვის გამო 6 ივნისს ქუთაისის გუბერნატორი და ქანდარმთა სამმართველოს უფროსი ჩავიდნენ ქიათურაში, მოიწვიეს მრეწველთა თათბირი. მრეწველები წავიდნენ 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღებისა და მუშებზე ხელფასის მომატების წინააღმდეგ, თათბირი უშედეგოდ დამთავრდა. ამის შემდეგ გუბერნატორი ესაუბრა მუშებს, სცადა მათი დამშვიდება დაპირებებით, მაგრამ მუშები თავისას არ იშლიდნენ და მოითხოვდნენ წაყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

ადმინისტრაციამ გადალიერა რეპრესიები მუშების წინააღმდეგ, პოლიციელები ემუქრებოდნენ მუშებს გასახლებით. „საგაფიცვო ბიურომ“ 9 ივნისს IV სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას გაუგზავნა თხოვნა დახმარების შესახებ, მაგრამ სახელმწიფო სათათბირომ ეს თხოვნა უშედეგოდ დატოვა¹⁴.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ განიზრახა ქიათურის მალაროებში მუშაობის განახლება სხვა მუშების მოწვევით. ამ მიზნით ბათუმიდან ჩამოიყვანეს აზერბაიჯანელი და სომეხი მუშები, მაგრამ ჩამოსულები ძმურად შეხვდნენ გაფიცულებს, უსურვეს წარმატება ბრძოლაში და დაბრუნდნენ უკან¹⁵.

შემდეგ მეფის მთავრობის დამსჯელი ორგანოები მუშების წინააღმდეგ პირდაპირ შეტევაზე გადავიდნენ. ქუთაისის გუბერნატორმა სპეციალური მითითება მისცა „საგაფიცვო ბიუროს“ განადგურების შესახებ¹⁶.

ივლისის პირველ რიცხვებში შორაპნის მაზრის უფროსი გაძლიერებული პოლიციელთა რაზმით ეწვია ქიათურას.

მუშების შეუბოვრობამ და გაფიცვის გაგრძელებამ აიძულეს მრეწველები დაეწყოთ მოლაპარაკება. ივნისის ბოლოს მუშათა მოთხოვნების გასაცნობად შეიქმნა შერეული კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ მარ-

¹¹ საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), თბილისი, 1971, გვ. 268—269.

¹² ვახ. „სახალხო გაზეთი“, 1913 წლის 4 ივნისი.

¹³ ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 3-ს, საქ. 6052, ფურც. 20—24.

¹⁴ ფურ. „Исторический архив“, № 1, 1958, გვ. 128.

¹⁵ იქვე.

¹⁶ ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 3-ს, საქ. 6052, ფურც. 43—45.

განეცის მრეწველთა ყრილობის საბჭოს წევრები საბჭოს თავმჯდომარის გ. ზდანოვიჩთან ერთად: აქვე მოწვეულ იყვნენ მსხვილი მრეწველები, იქსპორტიორები და მუშების წარმომადგენლები. კომისიამ იმუშავა ხუთი დღე, მაგრამ შეთანხმებას ვერ მიაღწია და მუშაობა შეწყვიტა¹⁷.

ჭიათურის მრეწველებმა და ექსპორტიორებმა 4, 6 და 9 ივლისს ცალკე გამართეს სხდომები. აქ მრეწველთა ნაწილმა თანხმობა განაცხადა დაეკმაყოფილებინა მუშების მოთხოვნები¹⁸. ასე, მაგალითად, პოპოვის, ფორჯულის და ჰანასიეს ფირმებმა აღუთქვეს მუშებს ეკონომიური დახმარება, გილერტის ფირმამ შეტევეთი პოზიცია დაიკავა — მუშებს შეუშვებია ხელფასი და ისინი დათხოვნილად გამოაცხადა. კერნარის ფირმის წარმომადგენელი სხდომაზე დათანხმდა დაეკმაყოფილებინა მუშების ყველა მოთხოვნა, მაგრამ სინამდვილეში არ შეასრულა დაპირება¹⁹. შუტცის ფირმამ დააკმაყოფილა მუშების ყველა მოთხოვნა და 6 ივლისს მუშაობა განახლდა მის სარეწებში. მრეწველი ჩილინგარიანი 20 ივლისს შეუთანხმდა მუშებს, ასევე მიიღეს მუშების მოთხოვნები მრეწველებმა მონოპოპულომ და აბაშიძემ. მრეწველების დანარჩენი ჯგუფი 25 ივლისს წავიდა დათმობაზე და მუშაობაც განახლდა, მაგრამ ყველა მალარომ და ქარხანამ სრული დატვირთვით დაიწყო მუშაობა მხოლოდ 15 აგვისტოდან²⁰.

ამრიგად, მუშებმა მოიპოვეს გამარჯვება, დაკმაყოფილებულ იქნა მათი შემდეგი მოთხოვნები: 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღება, მუშაობის აკრძალვა უქმე და დღესასწაულებების დღეებში, ბავშვის შრომის აკრძალვა 15 წლამდე, ხელფასის გაცემა სამუშაო საათებში, საბინაო პირობების გაუმჯობესება, მუშებმა პასუხი არ უნდა აგონ გაფიცვისათვის. ხელფასის გადიდება: ვინც იღებს 1 მან. და 20 კაპ. — 20%-ით, 1 მან. და 50 კაპ. — 15%-ით, ხოლო ვინც იღებს 1 მან. და 50 კაპ. მეტს — 10%-ით.

ქუთაისის გუბერნატორიც კი ვერ მალავდა, რომ ჭიათურის გაფიცვა, რომელიც მუშებმა უაღრესად მწყობრად და ერთსულოვნად ჩაატარეს და რამაც მათ მნიშვნელოვანი სარგებლობა მოუტანა, მუშების ძალის თვალსაჩინო დამამტკიცებელი იყო; და რომ მუშებისა და მეწარმეების ურთიერთობის გართულებას შესაძლებელია კვლავ ახალი გაფიცვა მოჰყოლოდა²¹.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა ყრილობის მასალების მიხედვით, 1908 წლის აპრილში ჭიათურაში დასაქმებული იყო 12 ათასი მუშა²². ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია ეს მონაცემები, ვიდრე სხვა, რადგან ყრილობის საბჭოს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული იყო მანგანუმის წარმოებასთან, ექნებოდა ზუსტი ცნობა აღნიშნულის შესახებ, და თუ 1908 წელს, მანგანუმის მადნის მოპოვების მკვეთრი დაცემისას, მუშათა რაოდენობა შეადგენდა 12 ათასს, ეს საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ 1913 წელს — ჭიათურის მრეწველობის საგრძნობი აღმავლობის დროს, ყველა კატეგორიის მუშათა საერთო რიცხვი 15—16 ათასზე ნაკლები არ იქნებოდა და როგორც ცნობილია, მათ ერთსულოვნად მიიღეს მონაწილეობა გაფიცვაში.

¹⁷ ურ. „Исторический архив“, № 1, 1958, გვ. 135.

¹⁸ ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 3-ს, საქ. 6052, ფურც. 140.

¹⁹ იქვე.

²⁰ იქვე, ფ. 2-ს, აღწ. 3, საქ. 73; სსრკ-ის ცსია, ფ. 1276, აღწ. 19, საქ. 846, ფურც. 13—16.

²¹ იქვე, ფ. 13-ს, აღწ. 29, საქ. 206, ფურც. 17—19.

²² ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 417, აღწ. 1, საქ. 36, ფურც. 6.

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტების მიხედვით ჭიათურის მუშათა 1913 წლის გაფიცვის დამთავრების თარიღად, ვფიქრობთ, უნდა მივიღოთ არა 24 ან 31 ივლისი, როგორც ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, არამედ 15 აგვისტო. ამრიგად, ჭიათურის მუშათა 1913 წლის ზაფხულის გაფიცვის საერთო ხანგრძლივობა აღწევდა 71—72 დღეს.

ზოგიერთი წყარო გაფიცვის ხანგრძლივობას ხსნის მუშების სოფელთან კავშირით, ე. ი. მათი „ორმისამართიანი“ ცხოვრებით. ეს დებულება არ არის მოკლებული გარკვეულ საფუძველს, მაგრამ მთავარი იყო მუშათა ორგანიზებული, სოლიდარული გამოსვლა, რომელიც დაუპირისპირდა ადგილობრივი და უცხოელი კაპიტალისტებისა და თვითმპყრობელური ხელისუფლების გაერთიანებულ ძალებს. ბოლშევიკების ხელმძღვანელი ჩკუფის თავდადებული მუშაობით აიხსნება ის, რომ მუშები გაფიცვის პერიოდში ეხმარებოდნენ ერთმანეთს, ისინი სასტიკად ებრძოდნენ შტრეიკბრეხერებს და მუშათა ინტერესების გამცემლებს. „საგაფიცო ბიურო“ სისტემატურად აქვეყნებდა მოღალატეთა გვარებს, უცხადებდა მათ ბოიკოტს და ა. შ. ყველაფერმა ამან განსაზღვრა. ჩვენი აზრით, გაფიცვის ხანგრძლივობა.

მართალია, ჭიათურის მუშები 15 აგვისტოს შეუდგნენ მუშაობას, მაგრამ „საგაფიცო ბიურო“ მაინც აგრძელებდა არსებობას. ბიუროს მიერ 16 აგვისტოს გამოცემული პროკლამაცია იუწყებოდა — „საგაფიცო ბიურო“ იარსებებს მანამდე, სანამ მუშების ყველა მოთხოვნა არ იქნება დაკმაყოფილებული და ამ მიზნით უნდა შეიქმნას საგაფიცო ბიუროს რაიონული განყოფილებები²³.

ჭიათურის მუშათა გაფიცვამ ფართო გამომხაურება ჰპოვა: იმავე წლის 8 აგვისტოს გაიფიცნენ თბილისის ტრამვაის მუშა-მოსამსახურეები²⁴, ხოლო 12 აგვისტოს — ტყიბულის მაღაროელები²⁵.

თბილისის ტრამვაის მუშა-მოსამსახურეებმა 23 აგვისტოს კვლავ გამოაცხადეს გაფიცვა, რადგან ტრამვაის ადმინისტრაციამ არ შეასრულა დაპირება ზელფასის მომატებისა და სამუშაო დროის შემცირების შესახებ. 25 აგვისტოს მთელ ქალაქში შეწყდა ტრამვაის მოძრაობა. გაფიცულებს შეუერთდნენ ტრამვაის დეპოს მუშები, გაფიცულთა საერთო რაოდენობა 866 კაცს შეადგენდა და გაგრძელდა 11 სექტემბრამდე.

მეფის მთავრობის მოხელეებიც კი აღიარებენ, რომ 1913 წლის ყველა გაფიცვა როგორც რუსეთში, ისე ამიერკავკასიაში მომზადებული იყო სოციალ-დემოკრატების მიერ ძალების შესამოწმებლად და იმის გასარკვევად, თუ როგორი გავლენით სარგებლობდნენ ისინი მუშებში²⁶.

ჭიათურის მუშათა 1913 წლის ზაფხულის გაფიცვა წარმოადგენს ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენას საქართველოსა და ამიერკავკასიის რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში. ამ გაფიცვამ დაადასტურა მუშათა შეუპოვრობის, ორგანიზებულობისა და სოლიდარობის უდიდესი მნიშვნელობა ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

²³ ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 3-ს, საქ. 605², ფურც. 193.

²⁴ სსრკ-ის ცსია, ფ. 1276, აღწ. 19, საქ. 846, ფურც. 26.

²⁵ იქვე, აღწ. 9, საქ. 143, ფურც. 5.

²⁶ ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 13-ს, აღწ. 27, საქ. 5117, ფურც. 39—40.



აკაკიევიძის გიორგი ჯერემის
სსრკსსსს

1973 წლის 9 სექტემბერს გარდაიცვალა გამოწეწილი ქართველი მეცნიერი აკადემიკოსი გიორგი წერეთელი. ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ განიცადა უმძიმესი დანაკლისი — მის მოღვაწეთა რიგებს გამოაკლდა დიდი მეცნიერი და მეცნიერების ნიჭიერი ორგანიზატორი, რომელიც უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ერთ-ერთ უმბრველეს როლს ასრულებდა ქართული საბჭოთა კომუნისტური მეცნიერებების განვითარებაში.

გ. წერეთელი დაიბადა 1904 წლის 21 ოქტომბერს. 1922 წ. ქუთაისის ქართული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტის საენათმეცნიერო განყოფილებაზე. აქ იგი მუშაობდა იუ. ჯავახიშვილის, გ. ანუღლიანის, ა. შანიძის და სხვა გამოჩენილი ქართველი მეცნიერების ხელმძღვანელობით. ასპირანტურის კურსი გ. წერეთელმა გაიარა ლენინგრადში, სადაც მისი ხელმძღვანე-

ლები იყვნენ ცნობილი აღმოსავლეთმცოდნეები: ე. კრაიკოვსკი, პ. კოკოვცოვი, ვ. ბარტოლდი. მცირე ხანს ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მოღვაწეობის შემდეგ, 1933 წლიდან გ. წერეთელმა თავისი საქმიანობა სამუდამოდ დაუკავშირა თბილისს, სადაც იგი სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა მეტად ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იგი კითხულობდა არაბული და ებრაული ენების კურსებს, აგრეთვე სემიტურ ენათა შუდარებით გრამატიკას. მისი ინიციატივით შეიქმნა უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, ხოლო ამ ფაკულტეტზე — სემიტოლოგიის კათედრა, რომელსაც გ. წერეთელი ხელმძღვანელობდა რამდენიმე ათეული წლის მანძილზე. აქ, ქართული უნივერსიტეტის კედლებში, ისევე როგორც შემდეგში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებებში, აკად. გ. წერეთელმა დიდი ენერგია მოახმარა აღმოსავლეთ-



მკოდნეობის სხვადასხვა დარგში, ძირითადად სემიტოლოგიურ დისციპლინებში, მეცნიერ მუშაობა კადრების მომზადებას. ამის შედეგად მონგრუნდა 1960 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შექმნა, რომელსაც იგი უცვლელად ხელმძღვანელობდა სიცოცხლის ბოლომდე.

1942 წელს გ. წერეთელმა ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია; 1944 წელს იგი აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1946 წელს — ამავე აკადემიის ნამდვილ წევრად.

გ. წერეთელი ფართოდ ცნობილი მეცნიერი იყო რესპუბლიკის გარეთაც — საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთ. სწორედ ამის გამოხატულებას წარმოადგენს ის, რომ 1946 წელს იგი თავის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1968 წელს — აკადემიოსად აირჩია საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ. გ. წერეთელი არჩეული იყო აგრეთვე დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო სააზიო საზოგადოებისა და პოლონეთის ორიენტალისტთა საზოგადოების საპატიო წევრად.

თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე აკად. გ. წერეთელი ქართული საბჭოთა მეცნიერების შტაბის — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ ხელმძღვანელს წარმოადგენდა: 1957—1967 წწ. იგი ხელმძღვანელობდა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას, 1967—1970 წლებში მუშაობდა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად, ხოლო 1970 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემამდე — ამავე აკადემიის პრეზიდიუმის წევრად. აკად. გ. წერეთელი იყო საქართველოს სსრ VI, VII, VIII მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და საქართველოს სსრ VII მოწვევის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. საბჭოთა მეცნიერებისა და ხალხის წინაშე დამსახურებისათვის გ. წერეთელი დაჯილდოებული იყო „შრომის წითელი დროშის“ ორი ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

ფართო იყო აკად. გ. წერეთლის სამეცნიერო ინტერესების სფერო, მეტად დიდია ის წვლილი, რომელიც მან შეიტანა მეცნიერების არაერთი დარგის განვითარებაში. მის დამსახურებას შეადგენს შუა აზიის მანამდე უცნობი არაბული დიალექტების აღმოჩენა და შესწავლა. მისი სახელი ფართოდ გახდა ცნობილი მცხეთაში წარმოებული გაოხრების დროს აღმოჩენილი წარწერების ამოკითხვის შედეგად, რასაც მიეძღვნა გ. წერეთლის შესანიშნავი ნაშრომი „არმაზის ბილინგვა“. ამ წარწერების მიხედვით მან პირველმა გამოპყო არამეული დამწერლობის თავისებური სახე, რომელიც მისი ინიციატივით

ამჟამად „არმაზულის“ სახელითაა ცნობილი, უძველეს ეპიგრაფიკულ ძეგლებზე მუშაობამ გ. წერეთელი მიიყვანა ქართული ანბანის წარმოშობაზე რიგი საყურადღებო მოსაზრებების წამოყენებაზე. მასვე ეკუთვნის სანიმუშო გამოცემა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული უძრავი წარწერების 1933 წელს გამოქვეყნებულ წიგნში საქართველოს მუზეუმის ურბანტული ძეგლები“.

განსვენებული მეცნიერი მუდამ დიდ ინტერესს იჩენდა ქართული ენისა და ლიტერატურის, საერთოდ ქართული კულტურისა და საქართველოს ისტორიის საკითხებისადმი. მან გამოთქვევინა და უძველეს ეპიგრაფიკულ ძეგლებად განსაზღვრა პალესტინის ახლად აღმოჩენილი ქართული წარწერები, მის კლამს ეკუთვნის ფუნდამენტალური გამოკვლევა „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“, რომელიც სულ ახლახან გამოქვეყნდა.

აკად. გ. წერეთელი ხელმძღვანელობდა ბევრ დიდ წამოწყებას ჩვენს მეცნიერებაში. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქართული ენის რეატიონიანი განმარტებითი ლექსიკონის შედგენაში, რისთვისაც მას, სხვა მეცნიერებთან ერთად, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭა. გ. წერეთელი ხელმძღვანელობდა „საქართველოს ისტორიის უცხო წყაროთა კომისიას“, რომელმაც გამოსაქვეყნებლად მოამზადა ას ტომზე მეტი არაბი, ირანული, თურქი, ბერძენი, სომეხი და დასავლეთევროპელი ავტორების ცნობებისა საქართველოს შესახებ. ამთვან ოცდაათამდე ტომი უკვე გამოქვეყნდა.

უკანასკნელ წლებში აკად. გ. წერეთელმა გამოთქვევინა საყურადღებო გამოკვლევები აგრეთვე ზოგად ენათმეცნიერების დარგში.

გ. წერეთელს არ უყვარდა ნაქართვევად თავისი ნამუშევრის საჯაროდ გამოტანა. ამიტომ იყო, რომ თითოეული მისი გამოქვეყნებული ნაშრომი თუ საჯარო მოხსენება დიდი მოვლენა იყო ჩვენს მეცნიერებაში და ამა თუ იმ სფეროში მნიშვნელოვანი ახალი სიტყვის თქმას მოასწავებდა.

გ. წერეთელი ნიჭიერი ორგანიზატორი იყო: მოვლენებისა და ვარეშობათა სერა ანალიზი, პერსპექტივის ნათელი ხილვა, ენერგიულობა, ძლიერი ნებისყოფა დიდად უწყობდა ნელს მისი, როგორც მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის საქმიანობას. მაგრამ უმოთვრესი მისთვის მთავრ ყოველთვის საკუთრივ მეცნიერების საფარში მუშაობა იყო. როგორც ჰუმანიტი მეცნიერი, იგი აფასებდა მხოლოდ მეცნიერებაში მის მიერ თქმული ახალი სიტყვის სათანადო დაფასებასა და ილიარებას.

ფართო განათლება, დასავლეთევროპული, კლასიკური და აღმოსავლური ენების საფუძვლიანი ცოდნა, სამეცნიერო ლიტერატურის მთელი გუ-

ლისყურით თვალის დევნება, მას საშუალებას აძლევდა მუდამ მეცნიერების სულ უახლესი მიღწევების კურსში ყოფილიყო და გამოეყენებინა ისინი კონკრეტულ კვლევა-ძიებაში.

მეცნიერული კვლევა-ძიებისას გ. წერეთელს ვერ წარმოედგინა სულ ოდნავი გადახვევაც კი მეცნიერული სიმართლის პოზიციიდან, რა მიზნითაც არ უნდა ყოფილიყო ეს შთაგონებული. მას ღრმად სწამდა, რომ მეცნიერულმა თვალსაზრისმა აღიარება შეიძლება მოიპოვოს მხოლოდ და მხოლოდ თავისი საფუძვლიანობითა და საბუთიანობით, ამიტომაც სხვა რამ ხერხებს საკუთარი თვალსაზრისის დასამკვიდრებლად არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და არ საჭიროებდა.

გ. წერეთელს ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კადრების შერჩევისა და აღზრდის დიდი უნარი გააჩნდა. ამ პრობლემას იგი მნიშვნელოვანწილად უკვე დასაწყისშივე წყვეტდა: ახლოს არ იკარებდა სათანადო უნარისა და საჭირო განათლების არმქონე პირებს, ისეთებს, ვისაც განუწყვეტელი ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა

სჭირდება და დამოუკიდებლად ცოდნის შექმნა-გაღრმავებისა და მეცნიერული კვლევა-ძიების არც უნარი და არც სურვილი არ გააჩნია. თავის მოწაფეებს იგი საშუალებას აძლევდა დამოუკიდებელი მუშაობით მაქსიმალურად გამოეყვინათ თავისი შესაძლებლობა; არა მარტო მეცნიერების კონკრეტულ დარგში მუშაობით, არამედ მთელი თავისი არსებით, შეხედულებებით, ქცევითა და საქმიანობით — უნერგავდა მათ წარმოდგენას იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ჰუმანიტი მეცნიერი.

ეჭვი არ არის, ჩვენი ჰუმანიტარული დარგის მეცნიერთა არაერთი კოლექტივი დღეს ბევრობ უფრო მაღალ დონეზე იდგომებოდა, მასში რომ მრავლად ემოღვაწათ ისეთ მეცნიერებს, როგორიც იყო გ. წერეთელი. სამწუხაროდ, ამჟამად ჩვენს რიგებს აღარ ამშვენებს თვით იგიც.

შესანიშნავი მეცნიერისა და დიდი მოღვაწის აკად. გ. წერეთლის ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს ჩვენი მეცნიერების მუშაკთა, მთელი ჩვენი ხალხის მესხიერებაში.

ბიორგი მელიქიშვილი

МАЦНЕ

Серия истории, археологии, этнографии и истории искусства, 1973, № 3.

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19

Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.X.73; შეკვ. № 1473; ანიწუობის ზომა 7×12;
ქაღალდის ზომა 7×108¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 23.8; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 21.45; უე 01154; ტირაჟი 1200
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა «მეცნიერება», თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19.

*

საქ. სსრ მეცნ. აკად. სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060. ул. Кутузова, 19

●

6119/196

ფანო 1 მან.

Индекс 76197

